184
ეროვნული
ბიბლიოთეკა
1926

№ 8-9 (28-29)

1

1926

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა
114
1926

408

ᲛᲝᲜᲐᲛᲔ

№ 8-9 (28-29)

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ.

ᲧᲝᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ, ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ—ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ. 1926 ᲬᲔᲚᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცემა: „ხახელგამი“

ს. ს. ე. ს. პოლიგრაფიული ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 40. მთავლიტი 1359. ტირაჟი 2.000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო
რ უ ს ე თ ი
დასავლეთი

კონ. ლოლთქიფანიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარათინოს ჩხიკვაძეს

ძმაო, სიკვდილიც პოეტის გულს ვერ მოხსნის გოლგოთს..
წაიღე სევდა, სამარეში თვალი გებურვის;
როცა შეხედავ გაყვითლებულ მთვარეს ვით მონგოლს,
მოგაგონდება სამშობლოში ქუსლი თემურის.

ნეტავ მანახა შენი სახე გაუხარელი,
ნეტავ ვიცოდე სამუდამო ბინა სად ჰპოვე..
ამოგძახებდი კაცს შემოსილს სიმწუხარეთი:
—საქართველოში დღეს ყვავილიც გამოზრდის პოეტს!—

წინამორბედო, ჩვენს მხარეში ცეცხლი მოვიდა,
უკულმართობა ქართლის ბედის გადაიარა:
დროა პოეტო, ანთებულ ცის კაბადონიდან
გადმოიხედო ვით ახალმა ადამიანმა.

შენც ხომ მღეროდი აქ მჭედლების საომარ ხმაზე,
შენი ლექსიც ხომ „მონა-ქალის“ ტრფობით ანთია!
ნეტავ გენახა დღეს ისინი გაკრულნი ხმალზე,—
როცა ხვდებოდენ გამარჯვების წითელ განთიადს.

ვის რათ უნდოდა იმ დღეებში ვაჟაუს ხარის
მთიდან ბღავილი ან ქუხილი ბარათაშვილის!
როცა გულიდან ხმა საომრათ ამონათხარი,
ქვეყნის დამამხობ წარღვნასავით იყო გაშლილი.

როცა მიწაა გახვეული სისხლში და ქარში,
ვილამ იფიქროს მოშაირის რითმების ნაზე...
ათასს აბაშელს, ათასს მერანს გავცვლიდით მაშინ,
თითო მეომრის მკლავის მარჯვე შემოქნევაზე.

ნეტავ მანახა შენი სახე გაუხარელი,
ნეტავ ვიცოდე სამუდამო ბინა სად ჰპოვე...
ამოგძახებდი კაცს შემოსილს სიმწუხარეთი:
—საქართველოში დღეს ყვავილიც გამოზრდის პოეტს!—

ვასო გოლგაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცა ტაშისკარის

რაფიელ გვეტაძეს

გზებზე დაფანტულ ლალის ღვარებით
გადმოწვა ტყიდან ნაძვების ჩრდილი.
შორს, ვით ქორების საბუდარები—
სჩანდენ სერები ცამდი აწვდილი.

მტრედივით სუფთა და დაწმენდილი
თავზე გვეხურა ცა ტაშისკარის
და, როგორც ლეკვი ხმა გაკმენდილი—
კლდიან ნაპირებს ლოკავდა მტკვარი.

არ დავერიდეთ მთის სიმარტოეს,—
ავყევით ალმართს გზებით ირიბით,
აღარ ვდარდობდით რომ მივატოვეთ
წყაროს ნაპირზე თეთრი ტირიფი.

გადმოზიდული ფოთლების ზვავით
კუნძივით იდგა ნანგრევი ძველი
და ტაროების დატვირთულ ზვავით
ყანებს მისდევდა სიმინდის სვრელი.

და იქ, სად წინათ მძიმეთ იძროდა
ზანტი ბარბაცით ბორბალი გუთნის—
ახლა ტრაქტორი ბელტებს ისროდა
გაუმაძღარი და ხარბი მუცლით.

წყდებოდა ღამე თვეების ღეროს.
ფარჩით ბრწყინავდა მზე მოქარგული
ვესალმებოდით დღეებს სიმღერით
და ფრინველივით გალობდა გული.

ქვიშხეთი.
1926 წ.
ზაფხული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი.

მე და ბარათაშვილი

(პოემიდან „ბედი ქართლისა“)

შესავალი

მორბის, მოღელავს მზე ალვირებით,
მოაქვს შორიდან ღრუბლების ტივი...
ვდგევარ მაღლობზე და გაღიმებით
დავყურებ თავზე შფოთიან ტფილისს.
ვხედავ: მთებიდან ჩრდილი გაშლილი
მამა-დავითზე როგორ გაწვება
და როგორ მოდის ბარათაშვილი
ღრმა დარდებიდან თვალ-ნაწვიმარი.
შესდგება გულზე ხელდაკრეფილი
და ფუნიკულიორს ხარბათ შეხედავს,
ვეტყვი: „ნიკოლოზ იყოს კეთილი
ამ მთაწმინდაზე ჩვენი შეხვედრა.
შენ დიდუბიდან ალბათ მოხველი
დაღლილ ფიქრების ტყვე მათხოვარი
მე—ტფილისიდან ვინმე ოხერი
ქუჩის ურჩი და შეუპოვარი.
გიამბობ: ქართლის ბედის ტრიალი
როგორ გადურჩა დროთა ურდულებს,
გიამბობ: მტკვარი ოდეს მტირალი
ეხლა რას ბოდავს, რას მოდუდუნებს!?
დღეს ინდუსტრია ქვებით ისვენებს,
სადაც მერანმა გადაირბინა,
ტფილისს დაჰყურებს ცა ჟანგისფერი
ცეცხლით ნაქსოვი კვამლის გვირგვინად.
მორბის მოღელავს მტკვარი ხარხარით,
მოაქვს ტალღები გათლილ სვეტებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველო გულზე მაღალი
ამბოკარების ბურგზე შენდება.
შენდება გული და იმედები,
თვალები რკინის ხმაურს მისდევენ:
ჩვენ ეხლა უფრო შორს ვიხედებით,
უფრო შორია გზა და მიზნები.
შენსკენ მოილტვის მასსა მშრომელი
ელვიურ დარტყმით რომ გადიადონ
ზაჰეს! ინდუსტრიის თეთრო მშობელო,
ზაჰეს! საქართველოს მზე,—განთიადო!
შენ სადგური ხარ ათასი გულის,
ამ საუკუნის ცეცხლად დაენთე
და შენი სუნთქვა გიგანტიური
ათას ოფლიან სუნთქვას აერთებს.
ხეთქავენ მინდვრებს ხეთქავენ კლდეებს,
ხარბათ გარბიან და გამორბიან:
ღრუბლიან უმბრით გამურულ დღეებს
მტკვარმა ელვების ტალღა მოჰფინა.
ამ დროს ყველაფერს კვამლი აცვია,
მობლავის შრომა ცეცხლის გვირგვინით,
რა იქნებოდა, რა სასაცილო
საქართველოში მერნით სირბილი.?!

ნისლებმა კლდეებს გადაუარეს,
და გადაფრინდენ ველი გაშლილი...
ბორგავს ზაჰესი და კომუნარებს
გადმოჰყავთ ტყიდან მტკვარი დაჭრილი.
ო, მე შევხარი გალმა ქვიტკირის
ცაში დამარხულ შუშის მნათობებს,
შენ—გული გტკივა, გული გიტირის
და ფოთლებივით ფიქრი გათოვებს.
აქ ვერ იხარებს შენი სუმბული,
გრილი ნიავიც ხმება და შრება...
გახედე: კვამლი დგება გუგუნით
და სუმპულივით მაღლა იშლება!
შენ ვერ გაიგე შრომის სახელი,
დღეს საქართველო ცეცხლის გულია:
ბორგავს ტფილისი რკინის ძარღვებით
და ხარბათ სკოხნის დღეებს ღრუბლიანს.
ᲗᲝᲠᲑᲘᲡ მოღელავს მტკვარი ხარხარით,
ᲨᲝᲐᲥᲕᲡ მეტეხი—მკერდი ირაკლის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის ცხოვრების შუბლი მაღალი
ისევ დამდგარა გულქვა სიმაგრით.

საქართველოში მოკვდა წარსული,
ტფილისი მზიან დროშებს უცინის:
ქუჩის რიგებში ვართ დარაზმული
ჩვენ პოეტები რევოლიუციის.
და მოაქვთ რისხვა დაუნდობელი
კლდე-ვულკანივით ანთებულ გულებს
და გილიოტინა ხარბათ მოდენის
პოეზიაში თავდადებულებს:
გალაკტიონი თუმცა დაობლდა,
ბედის პირდაპირ მაინც დიდია:
მან რაინდული გამბედაობა
ერთხელ თვალიდან გადმოიდინა.
მაგრამ ცრემლებით ცეცხლის გაზომვა
დღეს ცხოვრებაში ვის შეუძლია
და როგორც ბებერს—ახალგაზრდობა
ბევრს არ შეჰშვენით რევოლიუცია.
ხომ სულ ერთია: სადმე ურჩობით
გადაშლილ ნაღველს შავად ან თეთრად,
ან და რათ ვარგა უმღერო ჯონრიდს,
თუ ჯონრიდივით გული არ ფეთქავს?!
ძმებო! კივილით ქუხილს რომ მისდევთ,
ხედავთ ელვაა წინ გადაშლილი?
ლურჯა ცხენებიც არ ვარგა ისე,
როგორც მერანი ბარათაშვილის.
გულ-ამოსკვნილად სტირის გრანელიც,
ჩვენში მეორეთ მოსული ქრისტე,
უშნო, ულონო, დაუბანელი
მათხოვარივით საფლავებს მისდევს.
რბიან მხედრები თეთრი რაშების,
მოაქვთ დროშები დაჭრილ იმედათ:
აქ გრიშაშვილი, იქ აბაშელი
და შემდეგ რაზმი მოშაირეთა.
მათი ცხოვრება მოგავს პანთეონს,
სადაც ლანდია მხოლოდ ჩონჩხების,
სჩივიან ბედზე და საქართველო
გამოიტირეს შავი ჩოხებით.
თუმც წინაპრების გაწყდენ ძარღვები,
იფეთქა შურმა ცეცხლის გვირგვინად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თებერვალმა სისხლის ღვარებით
კრწანისის ველი შემოირბინა,—
ჩვენ მაინც გვინდა რომ სიყვარული
გულში მზესავით ამოდიოდეს,
განახლებული სახე მამულის
ბრძოლის ტალღებით მტკვარს მიჰკიოდეს.
რა ეშველება ცისფერ ყანწელებს,
მათი ოცნება—ძმური სეფაა:
ედგარის ოფლით ნადავლ—ნაწერებს
მაჩაბლის დარდი გადაეფარა.
თოლიებივით ჰკორტნიან პროსპექტს,
და გასცქერიან ზაჰეს ტკივილით:
ქალაქის ბუდე გულიდან მოსპეს
და სოფლისაკენ იბრუნეს პირი.
ტფილისის თაღზე გვალვას ელიან,
იციან: გვალვას შემდეგ რა მოსდევს,
მათ პოეზია შემოელიათ
და სცვლიან კალმებს დაჟანგულ თოხზე.
ოცნების ნალმებს ბევრნიც მოედვენ,
ამღვრეულ მტვერში ვიწვით, ვიღრჩობით,
„ღმერთო“, უშველე ამდენ პოეტებს
სნეულებს იჭვით და უნიჭობით!

ვინ? მაშაშვილი? ჰქუხს და გუგუნებს,
ჩემი სახეა—დღე ოქტომბერის,
გულით მიზიდავს ამ საუკუნის
რისხვა და რისხვა დაუნდობელი.
მე დავიბადე ქარში თარეშით,
ცა მახურავდა ფიქრებს ცრემლიანს,
და გლობუსებათ გაშლილ თვალებში
რამდენი ღამე დამიქცევია?!
მაგრამ უშიშარ ბრძოლის ხალისით
ცეცხლში ნასროლი გზა გადმოვედი:
ჩემში სისხლია ორ უკვდავ სფინკსის,—
სისხლი მზისა და სისხლი პოეტის.
ჩემში ცხოვრების დენა ჩქარია,
დენა უსაზღვრო, დენა მახვილი,
და ჩემი სუნთქვა ქარიშხალია
კლდე-ქარქაშიდან ამოვარდნილი.
მზეო, ვინ იცის სად დავეშვებით,
მზეო, ვინ იცის რას მიახლოვებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირბი, მიღელავ სხივთა ეტვნებით
და ცით დახურულ დღეს მიაქროლებ.

შენ? როგორც პოეტს და ადამიანს
ერთხელ წარსულში გიჭრის თვალები:
დღეს გუშინდელიც თითქოს მკვდარია
სახეთა სწრაფი ფერისცვალებით.
თუმცა ხარბია კაცის ბუნება,
დღევანდელ ბედზე ვინლა იდარდებს,
მხოლოდ სიკვდილის უბედურება
გვგონია მოდის ყოველთვის ადრე!
მაგრამ რას იზამ, ეს ყველაფერი
ძმაო, ბუნებით გადმოღვარულა:
ჩვენ ცხოვრებაში ვიბრძვით, ვიღლებით
და უკან ვრჩებით დროთა მარულას.
შენი მერანი? ჰო, არა უშავს,
იქნებ ჩალანდ[illegible]ათ კლდე გადმოვიდეს,
მაგრამ ტფილისში დღეს რომ გაუშვა
სადმე პროსპექტზე კისერს მოიტეხს.
გთხოვ: უზრდელობათ არ ჩამითვალო
ჩემი ასეთი შენთან მოქცევა:
რა უყოთ ქვეყნად ჭერება უკვალოთ
ბევრი სახელი და გაოცება.
შენ გიხაროდეს, რომ დღემდი გიცავთ,
და მომავალში თუ მოგერიეს:
განახლებული ტფილისის მიწა
ზრდის უფრო დიდს და უკვდავ გენიებს.
მეც სიცოცხლეში დაულალავად
თუ რაინდობის მქონდა უნარი,
გეტყვი საყვედურს და გეტყვი ალბათ
როგორც პოეტი და კომუნარი:
— შენი ფიქრები სიშორეს მიაქვს,
კიდ ღრუბელივით სდუმან თვალები,
უსმენ მოწყენით მთაწმინდის ნიავს
და მებრალები, და მებრალები:
ბარათაშვილო, მტკვარზე იწვოდა
შენი ცხოვრება ყრუ და ორგული,
საქართველოში ვინ გაგიწოდა
ხელი გამთბარი და მეგობრული!?
სამშობლო მიწა, კლდე-ღრეთ გეხვია,
გარბოდი ხარბულ თვალ-დაჟინებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გწვავდა ქართული მზის ტრაღედია
და შენს გარშემო გზა საშინელი.
რადგან ვერ სძლიე ფიქრებს ნაღვლიანს,
შენ ყოველივეს ჰგმობ და ემდური:
გამბედაობა იმას არ ჰქვია
რომ გაურბოდე ბედს უბედური.
შენ თითქოს სხვები სუნთქვას გიშლიან,
ილრჩობი მტვერში როგორც ობობა,
ცრემლის მიზეზი მხოლოდ შიშია
და ცხოვრებაში უმეგობრობა.
რას ნიშნავს სახე ფიქრებ-ტყიანი,
რა უყოთ სევდა თუ გახურია?
აი, ეს გული დანატყვიარი
ათი ათასი კაცის გულია.
დღეს ვის უნდები, ვინ მოგიგონებს,
ზიხარ დუმილში უდაბნო მწირი:
უკვდავი სიტყვის უკვდავ სტრიქონებს
ინახავს ხალხი და არა წიგნი.
საუკუნებზე დიდხანს ივლიან
ვინც ხალხის გულში დასდგა კარავი,
სცოცხლობს აკაკი, ვაჟა, ილია
წარსულის ფერფლით დაუფარავი.
სადაც მეფეა, არის მონებიც
შემოსალტული დუხჭირ ცხოვრებით,
მათ შორის ღელავს სისხლის მორევი
და ბრძოლის ცეცხლი დაუცხრომელი.
ერეკლეს რისთვის უმღერდი მაშინ,
თუ გულში ქართლის მზე დაგემარხა?
რა იქნებოდა ცხოვრების თვალში
შენც ბოქულაძე რომ დაგენახა?..

მოღელავს მტკვარი და ნაპირებზე
ცვივა ყბებიდან თეთრი კბილები,
მოაქვს შორიდან არღნის ტირილი
და ნაღვლიანად შენც ილიმები.
იგონებ წარსულ დღეებს სევდიანს,
გტკივა თვალები და გეხარბება,
თვალების გალმა ცრემლის გზები
და მთაწმინდაზე შემოლამება.
დღე იმურება კვამლით, ნახშირით,
ცა—საბერველი იწვის, ინთება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფრინველივით ნისლი გაშლილი
მთებიდან მთებზე გადაფრინდება.
აქ გადიოდა დრო სიყმაწვილის,
დრო უთვალავი დღეთა სალარო,
თვალებში გედგა ბოლმა დაჭრილი
და ღრუბლიანი ცა და საღამო.
გახსოვს? ამ გზაზე, ამ ბილიკებით
ერთხელ დაკარგულ იმედს გლოვობდი,
აქ დაგჩხაოდა ბნელი ფიქრებით
სული ბოროტი, სული ბოროტი,

მზე ისვრის ტორებს ნერვიულ ღელვით,
თვალ-გაბერილად მიდამოს გასცქერს,
დღემ შუბლი შეკრა ღრუბლის ნახევით
და სნეულივით გაწვა მიწაზე—
ამოისუნთქა ბოლო ნუგეში
და ცივ ნიავის ფრთებზე ფართხალებს:
დაეშვა ბინდი... ღამეს ღრუბლებში
კონდრაბანდივით ამოაქვს მთვარე.
ძირს კი: სიბნელე შორს იფანტება,
იწვის ცაოდა მრავალ-სართული,
ელვარებს მტკვარი ვით ცისარტყელა
ქალაქის წელზე გადასალტული.
აგერ: ყვირილით ამორბის ბოლი,
ზაჰეს ენთება შუქურ-ვარსკვლავად
და აკანკალდა ფუნიკულიორიც,
ვით ავარდნილი ცაში მაშხალა.
თითქოს შტორმია და ელვა ქარში,
თითქოს ღრუბლები მეხით სკდებიან,
და შენობები მნათობთა ზღვაში
წყლის გემებივით ილუპებიან.
აუ! მთაწმინდა ჰგმინავს დაფრთხალი,
ბარათაშვილო, სად ილუპები,
ღამე დაგეცა ვით მამად-ხანი
შემოსეული ურდო ღრუბლებით.
ტფილისს მოვდივარ, ტფილისს უძახი,
მეც ხომ თვალებში მზე მომილუნავს,
ქუჩის პოეტი, ქუჩის ტუსაღი
მთაწმინდის ღამეს ვერ მოვიხურავ.

მეტყვი მშვიდობას და ნაღვლიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ დიდუბეს გარდაეხვევი,
შენ პანთეონის გართობს ნიავი,
მე ცხელ პროსპექტზე მეწვის ფეხები:
ტფილისში მოჰკლეს ქართლის ბუნება,
აქ სიხარული მაინც დიდია,
გაჰქრა, არასდროს არ დაბრუნდება
ზურნა, დუდუკი და იდილია.
მხოლოდ აზიის დაღვრემილ ბედზე
სწუხს ყარაჩოღი და ავლაბარი
და საიათნოვას ლოთიან ლექსებს
სადმე კუთხეში აღრჩობს ,არღანი.
დღეს პოეზიაც სუნთქავს ლითონით,
მოაქვს სიცოცხლე ახალ-ქართული,
გუგუნებს ქუჩა—ქვის ბარიტონი
ზღვა მავთულებით გადახლართული.
გვინდა სირბილი თვალ-გახელებით,
მტვერში ბომბივით ფიქრთა ტრიალი:
შორს მიკივიან რკინის მერნები
და რკინის კვალებს თვლის მატიანე.

აგვისტო
ზთაწმინდა.

იოსებ ტატიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედაკაცის გული

ლურჯა ცხენი კოხტა თოხარიკით მიდიოდა. დაჭიმული სადავე პირს უღებდა. ცხენს თავი მაღლა ქნევით მიჰქონდა. სამკერდულსა და მოსართავებზე ოფლი თეთრად აჰქაფ,ბოდა. გზის თეთრი მტვერი უკან მისდევდა. ცხენზე მჯდომი—ჩასუქებული, საშუალო ტანის, დიდ-თავა თათარი იყო. მხრებში ჩამძვრალი კისერი ოფლით ჰქონდა სავსე. შავი ახალუხის საყელოს ჭუჭყი წითლად შემოჰვლებოდა. განიერი ბეჭები ყავისფერ შალის ჩოხაში ჩაქედილიყო. მხედარს ფეხთ ქუსლებ-ჩაკეცილი ხარაზული ჩუსტები და ჭრელი წინდები ეცვა. შეეერცხლილი ქამარ-ხანჯალი, კარგი თოფი და ვაზნებით სავსე სავაზნე წელსა და გულ-მკერდს შემოერტყა. თავზე ცხვრის ტყავის ძვირფასი ქუდი ეხურა. ეს მორთულობა სიცხის სიმწვავეს აუარესებდა. მაგრამ მხედარი ამას თითქოს ვერა ჰგრძნობდა. სახე დაღუშული ჰქონდა. თვალებში დარდი და დაფარული ბრაზი ჩასჯდომოდა.

აგვისტოს მიწურულები იყო და ბორჩალოს მზე მწვავედ იკბინებოდა. მხედარი სოფელში შევიდა. სოფელი სიცხეს დაჰმალოდა. ძაღლებიც კი არ გამოეგებნენ უცხოს. ცხენის ფეხის ხმა ჭრიჭინების ერიამულს უერთდებოდა. სადღაც, ჩარდახზე მწოლარე გლეხმა ნამძინარე თავი ასწია და გზას გაჰხედა.

— დუქანჩი ჰიუნუს! აქ რისთვის მოსულა?—გაიფიქრა მან; თავი ისევ მკლავებს დაადო და, პირქვე მწოლარემ, ისევ ჩასთვლიმა.

ჰიუნუსამ ცხენი ეზოს მიაყენა; უნაგირზე გასწორდა, ამოიხვნეშა, შუბლზე ოფლი მოიწურა და დაიძახა:

— მოლლა, ჰა მოლლა!

ძაღლმა შეჰყეფა და ჯაჭვი დააჩქარუნა. სახლის კარებში მოლლამ თავი გამოჰყო. შავი ტყავის მაღალი ქუდი ეხურა. შიშველ ფეხებზე ქოშები ეცვა. შავი ახალუხის დუგმები გახსნილი ჰქონდა, საცვლებისამარა იყო. ხელში წვრილ-მარცვალა, გრძელი, შავი კრიალოსანი ეჭირა. ნამძინარევი თვალები მზეს მიეპრუწა, ზანტად და ღრეჯით გადადგა ფეხი და სტუმრისაკენ წავიდა.

— რა ამბავია, ჰიუნუს?—ჰკითხა მოლლამ.—გამარჯვება! რისთვის გარჯილხარ? მობრძანდი.

— საქმე მაქვს, მოლლა მამედ! დუა*) მინდა.

*) ლოცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რის დუა? მობრძანდი.

— შინ შევიდეთ და გეტყვი.

მოლლა ტახტზე იჯდა. ქოშები ფეხთ წინ დაეყარნა. თავჩაღუნული იღიმებოდა. კრიალოსანს ათამაშებდა. ფიქრში იყო, თითქოს რაღაცას ანგარიშობსო.

ჰიუნუსამ ოთახში გაიარ-გამოიარა, ცხენზე ჯდომით დახუთული კუნთები გაისწორა. გზის სიცხით დათენთილს ოთახის სიგრილე ეამა. ტანთ ოფლი შეაშრა და გაგრილდა. ჰიუნუსა მოლლასთან შედარებით მდევსა ჰგავდა. საკვირველი იყო, რომ ასეთი კაცი დახმარებისთვის ამასთან მოსულიყო,—ტანდაბალთან, გამხდართან, სახე დანაოჭებულთან და მელა-ძუობით სავსე თვალების პატრონთან.

ჰიუნუსა წინ ჩამოუდგა, მათრახი წელში გაირჭო, პირდაპირ შეჰხედა მოლლას და უთხრა:

— დუა მინდა, მოლლავ!

— რის დუა? დუა ჩემი საქმეა. დუა ბევრნაირია: ციებ-ცხელებისა, ავი თვალისა, რა ვიცი. სიყვარულისაც არის. რომელი გინდა?

— დედა-კაცისა.

— მაინც?

— ჭკვიანად იყვეს.

მოლლამ ცალი თვალი მოხუჭა, თავი ჩაიქნია და ჩაიცინა.

— კიდევ? თავისას არ იშლის შენი ცოლი?

— არა, მოლლავ! რა ვქნა? იქნებ დუამ ვასჭრას. გახსოვს, ამ თხუთმეტი წლის წინედ მომეცი დუა. კარგი იყო. ძალიან გასჭრა. ჩემი დედა-კაცი ადვილად განთავისუფლდა და ეხლა თხუთმეტი წლის ბიჭი მყავს.

— ჰმ!—ჩაიცინა მოლლამ.—შენ რომ საქმე გინდა, საიმისო დუა ქვეყნად არ არის.

— მაშ რა ვქნა, მოლლავ? იქნებ სხვა რამ წამალი იცოდე.

— შარშან აკი მოგეცი სიყვარულის დუა. შენ ცოლს უნდა შეჰყვარებოდი. მე სხვა არ ვიცი.

— არ გასჭრა, მოლლავ.

— ალბად იქ სხვანაირი დუა ჰმოქმედობს. ან ჯადო ექნება სადმე, დუშმანის ხელით დამალული. მინამ ჯადოს არ ვიპოვნით, დუა ვერ გასჭრის.

— როგორ ვიპოვნო?

— ეგ ძნელია. მაგას დიდი დრო და ფული უნდა. შეიძლება ყარსელმა მოლლამ იპოვნოს.

— სად ვეძებო ეხლა ეგ ყარსელი მოლლა! ისევ შენ უნდა მიშველო.

— მე რა უნდა გიშველო! მეც მყავდა ერთი მაგისთანა ცოლი ამ ოცი წლის წინეთ. ლოცვებმა რომ ვერ გასჭრეს, საფლავი გავუჭერი.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ...

— მაგრამ... ვერ გაგიბედნია.

— ვერა. ძალიან ლამაზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

708

— ლამაზებმა კიდევ ეგ იციან. ან ცოლის სილამაზე, ან თავზე ქუდი.

— სამართალი?

— მაგასაც მოხერხება უნდა.

— რა მოვახერხო?

— მაგისი ნუ გეშინიან. წამალს მოგცემ.

— წამალს?.. მე ვერ მოვახერხებ. საჰმელს თითონ აკეთებს. უჩემოთა სჭამს. მე ხომ ნახევარზე შინ არა ვარ. მეორე დედაკაცს კი არ ენდობა.

— დედაკაცს არა ენდობა-რა. მართალია.

— მაშ რა ვქნა?

— მე რას მეკითხები? ცოლის წამალი ქმრის ვაჟკაცობაა.

პატარა ბიჭმა შავი სინით ჩაი შემოიტანა. სინზე დიდ-ულვაშიანი შაჰვი და წითელი ვარდები იყო დახატული. ზედ იდგა ორი ჭიქა, შაქარი, თაფლი. ნასიცხმა ჰიუნუსამ სიამოვნებით დალია ერთი ჭიქა ჩაი. მეორეც მიართვეს. თაფლით და ნაღებიანი ჩაი ადამიანს აგრილებდა. დახარჯულ ოფლის მაგივრად შედიოდა ჯანში თბილი წყალი და დაღლილ ჯანს ამშვიდებდა. ჭიქები პატარა, წვრილი იყო, მიკიტნური. ჩაის სმაში გართული ჰიუნუსა თავის დარდს ჰფიქრობდა. თავჩაღუნული მოლლა დინჯად შეექცეოდა ჩაის და ჩუმ-ჩუმ დაცინვით სავსე თვალით უცქერდა. ჰიუნუსას კი დიდი საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი. იმოდენა ბოღმა, რაც ეხლა გულში მიდგას, ქვეყნად არავის ექნებაო. მაინც გემრიელად სვამდა ჩაის და მეათე ჭიქა რომ გამოსცალა მხოლოდ მაშინ დააწვინა ჭიქა ლამბაქზე.

— საღოლ!—გადიხადა მადლობა.

— ჰიუნუს! სათხოვარი შენ კი არა გაქვს ჩემთან, მე მაქვს შენთან.

— მიმსახურე.

— შენ კარგი კამბეჩები გყავს. მე კი დამისიცხა. იქნებ მათხოვო შემოდგომის სახნავში.

ჰიუნუსამ შეხედა მოლლას. კარგად იცოდა მოლლას ხასიათი: მოლლას მგონი თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ მოუხნავს თავისი საქონლით. სულ სხვას ახვნევინებს. ეს იცოდა ჰიუნუსამ, მაგრამ ეხლა მას თავისი დარდი ჰქონდა. თანაც მოლლა ეხლა მისთვის საჭირო იყო.

— ბაშუსტა. როცა გსურდეს.

— დაღლილი იქნები, ჰიუნუს, წამოწექი.

— არა მოლლავ, მაგის დრო არ არის. შენ ის მითხარ, როგორ მოვიქცე.

— რა უნდა გითხრა! რაც ვიცოდი გითხარი.

— კანონს რა პასუხი მივცე?

— მოვახერხებთ. ფულიანი კაცი ხარ.

— ახლა ფულიც დავხარჯო?

— როგორც გერჩივნოს.

— ერთ ათ თუმანს ჯანი გავარდეს... მაგრამ როგორ მოვაწყო საქმე?

— ათი არ გეყოფა.

— ოცი იყოს... მაგრამ ძმა ჰყავს, დედა. საქმეს თავს წამოაბამენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ ჩემი საქმე იყოს. შენს ცოლის ძმას მე გავაჩუმებ. ჰიუნუსა კი ნუ გეშინიან, დედაკაცია, რას მოახერხებს! აი, შენი შვილი გააჩუმე. მთავრობას კი ვუთხრათ.—დუშმანები დაგვეცნენო.

ჰიუნუსა ყველაფერს ერთბაშად მიხვდა. გაიღიმა. მერე დაფიქრდა და გავიდა გარეთ. თითქოს, ეს არის, ეხლავ უნდა შეასრულოს, რაც მოლლამ ასწავლა. მოლლაც ღიმილით და კრიალოსანის ქნევით გაჰყვა უკან.

— თუ გინდა ეხლავ წავიდეთ. კურბანას მოველაპარაკები. თუნდ შენც იქ იყავ. არა უშავსრა. შენი ყურით გაიგებ ყველაფერს.

სოფლის მტვრიან გზაზე ორნი მიდიოდნენ. მოლლა—ფეხით და თავის ქოშებს მტვერში ურევდა. ჰიუნუსა—ცხენით.

ჰიუნუსას ცოლის ძმა მოლეულ ბოსტნის ბოლოში დახვდათ. სიცხეს ისიც დაჰმალოდა და თავი ქოხში შეეფარებინა. მოულოდნელმა სტუმრებმა გააკვირვეს. იცოდა, თუ არ დიდი საქმისათვის, ესენი ეხლა აქ არ მოვიდოდნენ. საზამთრო მიართვა. თან ქვეშ-ქვეშ უცქერდა.

— ნამგზავრები ხართ, დასიცხულნი. საზამთრო კარგია.—ჰპატიჟობდა კურბანა. იცოდა კი, რომ მისი სტუმრები ისეთ გზით არ იყვნენ მოსულნი, რომ ნამგზავრობა დასტყობოდათ. მაინც ჰკითხა:

— სად ყოფილხართ? ერთად სად შეყრილხართ?

ჰიუნუსამ საზამთროს კურკები პირიდან გადმოყარა, ქერქი კარებში გასტყორცნა და ცოლის ძმას უთხრა:

— შენთან საჩხუბრად მოველ, კურბან!

— ვიჩხუბოთ. მეც არ დაგივარდები. რა ამბავია?

— ჩვენში სისხლი უნდა ჩამოვარდეს!

— განა რა მოხდა?

— ვითომ არ იცი?

— არ ვიცი, ვალლაჰ!

— კარგია, კურბან, მთელმა ბორჩალომ იცის და შენ კი არა?

კურბანა მიხვდა რასაც ეუბნებოდა ჰიუნუსა, მაგრამ არ გაიმხილა.

— ბორჩალომ იცის და მე არა. მე ხომ ბორჩალო არა ვარ!

— ჰიუნუსა თავის ცოლისას გეუბნება, კურბან!—ჩაერია ლაპარაკში მოლლა.

— რა არის?

— ის როგორი ქალი მომათხოვე, განა არ იცი?

— ჰაი ქიში![1]) რაღა მაგ ლაპარაკის დროა! გუშინდელი საქმე ხომ არ არის.

— გუშინდელი თუ არ არის, თვრამეტი წლისა ხომ არის?!

— მეც მაგას ვამბობ. ეხლა რაღა შარები გინდა?

— ამ თვრამეტ წელიწადს ჩემს ოცდა-ათ-თუმანს ტკბილადა სჭამ, მე კი ხალხში თავი მომეჭრა.

---

1) ჰეი კაცო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოცდა-ათი თუმანი ჩემს ჯიბეში ხომ არ დარჩა. უკანვე გამოვატანე. თავი მომეჭრა!

— ვიცი რაც გამოატანე. რა გქონდა, რა უნდა გამოგეტანებინა?—შინ ნაყარი და ნაცვეთი მზითევი დედიშენისა.

— რაც იყო. რათ წაიღე? ქალიც წაიყვანე. ეხლა რაღას მედავები?

— იმისა, რომ შენი და კახპაა.

კურბანა აფეთქდა. განზე გადგა და ხანჯალს ხელი იტაცა.

— ჭკვიანად იყავ, კურბან!—დინჯად და შებღვერით უთხრა მოლლამ.—საჩხუბრად არ მოვსულვართ. საქმე გვაქვს. ერთმანეთის პური გაქვთ ნაჭამი, ნათესავები ხართ. საქმეზე ვილაპარაკოთ.

— რა უნდა ვილაპარაკოთ?—უთხრა გულმოსულმა კუბანამ.—ჩემი და თუ კახპაა, რა ჩემი საქმეა ! როცა წაიყვანა, მაშინ არ იყო კახპა?! პატრონმა თავისი ძაღლი თითონ უნდა დააბას.

— ვერ დაბა და ეხლა უნდა სულ აუშვას.—უპასუხა მოლლამ.

თავის ნებაა. ცოლი მაგისია. თუ უნდა, გაეყაროს. ჩემი ორმოცი თუმანი გამოატანოს და ჩემი დაი გამომიგზავნოს.

— არა, ეგ არ შეიძლება.—დაიყვირა გაბრაზებულმა ჰიუნუსამ.—ჩემი ცოლი ჩემთან უნდა მოკვდეს.

— მაშ რა გინდათ ჩემგან? აქ რაღასთვის მოხველით?

— ჰიუნუსა მართალია.—ჩაერია ლაპარაკში მოლლა.—იმისთანა დედაკაცის გაშვება არ შეიძლება. გაყრილი ქმარს მაინც შეარცხვენს. ხალხი იტყვის დუქანჩი ჰიუნუსას ნაცოლარიაო. ჰიუნუსა კი სახელოვანი კაცია. დოვლათიანი. ერთმა დედაკაცმა ამისი სახელი სახალხო რათ უნდა გახადოს!?

— ჩემი დაი მე მომეცით. როცა მაგისი ცოლი არ იქნება, მაგას რაღა უნდა?

— არა. კურბან! მაგაში არც შენთვის არის ხეირი! ხომ იცი, მთელ ბორჩალოში ჰიეთარას*) კახპის სახელი აქვს გავარდნილი. განა მხოლოდ ქმარს არცხვენს. შენც გარცხვენს. რად გინდა ოჯახში შეიყვანო! საბოზო გაგიხდება ოჯახი. შენ კი პატიოსანი კაცის სახელი გაქვს. ოჯახიც პატიოსანი გყავს, მაგისთანა საქმეს ალაჰი ვერ მოითმენს. რომ ერთ წუწკმა დედაკაცმა პატიოსანი ოჯახი წაბილწოს. ალლაჰს ნუ გაარისხებ, კურბან!

— მაშ რა გინდათ ჩემგან!

— ეგ ჩვენ ვიცით.—უპასუხა მოლლამ.—ოღონდ შენ ჩუმად იყავ, ხათაბალას ნუ დაიწყებ.

კურბანა მიხვდა რასაც ეუბნებოდნენ. გაბრაზდა. თვალები და თავი სისხლით აევსო. მოლლა დინჯად უცქერდა, ჰიუნუსამ თოფი მოიმარჯვა.

— შენ რა გინდა, კურბან !? შენ რას დაჰკარგავ, ან რას მოიგებ? ეს კაცი თავისას მაინც იზამს. ცოლი ამისია. რაც უნდა, იმას უზამს. შენცა გყავს ცოლი. აბა იმან გიყოს ისეთი საქმე, რასაც შენი და ამას უშვრება...

---

*) ეეთარა—ქმარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურბანამ ხელი აიქნია, რალაცის თქმა ჰსურდა, მაგრამ მოლლამ არ აცალა.

— მოიცა... შენ რაც მიგიცია, უკანვე მიიღე. იმ დედაკაცის ოჯახში შეყვანა კი შენთვის რა ხეირი იქნება. ან რა იცი, რომ შენს ცოლსაც არ აიყოლიებს? დედაკაცის შეცდენა ადვილია, მეტადრე თუ მაგალითი აქვს თვალწინ. გასათხოვარი ქალი გყავს. შენს ოჯახს ყველა მოერიდება.

— გავათხოვებ ჩემ დას.

— ჰია ქიში! როგორი ყოფილხარ!—დაცინვით უთხრა მოლლამ.—ჰიეთერას, კახპობისათვის ქმარ-გაყრილს ვინ წაიყვანს! სახლში უნდა დაგრჩეს და იკახპოს.

კურბანა აქამდის ცხარობდა, ეხლა კი დაცხრა. მოლლას საპასუხო ვერა მოახერხა-რა. დირეზე ჩამოჯდა და თავი ჩალუნა. თითონაც გაჯავრებული იყო დაჩე. შინ არ უშვებდა, რამდენჯერ გაუფიქრნია ის, რასაც ეხლა ელაპარაკებოდნენ. ეხლა თუ ცხარობდა, ნათესაურ მოვალეობას ასრულებდა.

— კურბან, თუ შენ ჩემს ადგილას სხვანაირად მოიქცეოდი, მითხარ,— უთხრა ჰიუნუსამ.—განა ბორჩალოში კაი ეაქკაცი სხვანაირად მოიქცევა?

— აი, ეხლაც რომ გელაპარაკები, იმის სახელის ხსენებაც კი არ მინდა. სახელისა კი არა, იმასაც ვერ ვახერხებ, შენი დაი ვუწოდო. შენს პატიოსნებას არ შეშვენის. რამდენი მიეცი შენს დას, როცა გაათხოვე?— ჰკითხა მოლლამ.

კურბანამ თავი უფრო ჩალუნა.—მიხვდა რასაც ჰნიშნავდა ეს სიტყვები. მართალია, თითონაც წინააღმდეგი არ იყო გუნებაში მოლლასი და ჰიუნუსას განზრახვისა. ისედაც დასთანხმდებოდა მათ, მაგრამ თუ ფულის სუნი დატრიალდა, რატომაც...

— ორმოცი.—ჩუმად წაილუღლუღა კურბანამ.—ჰიუნუსა წამოხტა.

— რის ორმოცი, რას ამბობ! ქვეყანას ატყუებ?—ხელების ქნევით დაიყვირა მან—მაგდენი სადა გქონდა! ჩემგან ოცდა-ათი მიიღე და უკან ოციც არ გამოგიტანებია. ჯეეზი*) ნარზიასი სთქვი. იმის ფულით დაიწყე ვაჭრობა შენ კი ჩემი ფულით გახდი კაცი.

— რაებს ლაპარაკობ, ჰიუნუს. წინ დაიხედე. რატომაც არა იყო-რა. ხუთი თოხლი, ერთი ყოჩი, ორი ძროხა. ახლა მზითევი. ორმოცისა არ იყო?

— ტყუილია, კურბან! განა მე არ ვიცი, რაც იყო? ქებინის**) ქალალდი მე არ დავწერე?! აბა ნახე, რა სწერია იქა. შეფასებული არ არის, მაგრამ ხომ ვიცი, რაც ღირდა.

— ორმოცისა იყო.—ჯიუტობით სთქვა კურბანამ.

— ორმოცისა კი არა, ოცისაც არ იყო.

— ორმოცისა თუ არ იყო, ოცდა-ათისა ხომ იყო.

— არც ოცდა ათისა. თუ არა და, რაც იყო. ქალისაა მზითევი; შარიათით შენ ხომ არ გერგება, შვილი ჰყავს.—უთხრა მოლლამ.

— კურბანა მიხვდა, რომ ეს ორი კაცი თავისას იქმოდნენ და თუ რისა-

*) მზითევი.

**) ქორწინების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გამორჩენა შეიძლებოდა, ის მაინც მიელო, შეხედა მოლლას და თავი გაიქნია.

— ჰიუნუსა ოცს გაძლევს და ყაბული იყავი. სხვა რაღა გინდა?

ჰიუნუსა კვლავ წამოხტა.

— რის ოცი, რას ამბობ, მოლლავ!? მაგდენის მიმცემი არა ვარ. ათი თუ უნდა, მიიღოს.

— არა, ჰიუნუს. მე ვამბობ—ოცი მეთქი და ახი ფასია. კურბანაც ცოდო კაცია.

— არა მაქვს მაგდენი.

— სსუ, ჰიუნუს. ვამბობ და ვიცი რასაც ვამბობ. მე ყველაფერი ვიცი, მაშ ჩემთან რად მოხველი თუ არ დამიჯერებ?!

ჰიუნუსამ ხმა აღარ გასცა. ტახტზე ჩამოჯდა და საზამთროს ნაჭრით პირი გაისველა. კურბანაც ჩუმად იყო.

მეტი ყოფნა აქ საჭირო აღარ იყო, მეტ ლაპარაკს გამოიწვევდა. და ეს საქმეს გაართულებდა. კარგ ადგილას გაწყდა ლაპარაკი.

ალლაჰა ამანათ ოლ!*) კურბან. კარგად იყავ. ჭკუა არ წააგო, კახპა კაცს არ უყვარს და ღმერთს სულაცა სძულს. ოცი თუმნის თავდები კი მე ვარ.

— სალამათ ოლუნ!**) —უპასუხა კურბანამ და სტუმრები გააცილა.

მზე მთის წვერზე დამჯდარიყო. სიცხეს დაეკლო. მოლლა და ჰიუნუსა ფეხით მიდიოდნენ. ჰიუნუსას ცხენი სადავით მიჰყავდა. გზა-გასაყარზე ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— დაპირებული გადუხადე კურბანას. საჭიროა.—უთხრა მოლლამ.

— პარასკევამდის გადმოგიტან და შენ თითონ მიეცი. გუთნეულსაც ხვალვე გამოგიგზავნი.

— ჰიუნუს! მეც სიჩუმე მმართებს. ხომ იცი!

— მოლლავ, ოღონდ ღმერთმა ამ ხათაბალას გადამარჩინოს და მერე მე ვიცი.

მოლლამ თავი დაუქნია და თავის ეზოში შევიდა.

— თავის თავს თითონ ჰხვევს ხათაბალაში და ღმერთმა თუ გადამარჩინაო ამბობს... ღიმილით გაიფიქრა მოლლამ. არა უშავს რა, ფულიანი კაცია.

2

ათი წლისა იყო იეთარა, როცა ჰიუნუსამ შეირთო. პატარა გოგო მესამე ცოლად მიიყვანა. პირველი ცოლი მოუკვდა, მეორე კი უკვე მობეზრებული ჰყავდა. არც ვაჟი-შვილი ჰყავდა. იეთარას ბავშობაშივე ეტყობოდა, ლამაზი ქალი დადგებოდა. მდიდარ მედუქნეს კი ქვრივმა დედამ და ღარიბმა ძმამ სიხარულით მიათხოვეს.

შინ რომ მიიყვანა, იეთარა ნაზი იყო, თეთრ კანს ხარბლის ფერი დასცემდა. ჰიუნუსას ლამაზი, მსუქანი, მადიანი ცოლი ჰსურდა. ამიტომ პირველ

*) ღვთის ამანათი იყავ.

**) კარგად იყავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ წელიწადს ახლოს არ მიეკარა. გაიზარდოს, გასუქდესო. მხოლოდ ანებივრებდა, ლამაზად აცმევდა, თავისუფლად ჰყავდა. გამხდარი რომ იყო იეთარა, არ მოსწონდა. მის გასუქებას სცდილობდა. „შვენიერი ქალი დადგება, შინ გაზრდილ-გასუქებულიო. გასუქდესო, ჭამაში ძალას ატანდა. მუდამ იმას ეუბნებოდა, ბევრი ჭამე, შენი სამშობლოს სახლში მშიერი იყავი, აქ უნდა გაძღეო. რძე, ყველი, კარაქი, დუმაში ნამცხვარი თავზე საყრელი ჰქონდა იეთარას. ქმარი ჯიბეს კამფეტებით უვსებდა—შემიყვაროსო. დედას ოჯახში კარგ საჭმელს მართლა მოკლებული იეთარა ქმრის სახლში ხარბად სჭამდა ნოყიერ საჭმელს. მაგრამ ჯინი მალე გაეკვსო და ბევრი ჭამა მოჰბეზრდა. სამაგიეროდ მართლა გასუქდა. დამშვენდა. ჰიუნუსამ შეატყო—ჭამას უკლოო და შეშინდა, ვაი თუ ისევ გახდეს, ველარ გასუქდესო. ამიტომ, ხან მუქარით, ხან ხვეწნით ჭამაში ძალას ატანდა. როცა ამან ვერ გასჭრა, ცემა დაუწყო. ხანდახან მუშტებით სცემდა. სჩქმეტავდა. ამაში ჰიუნუსამ მხოლოდ დატუქსვა კი არ დაინახა, ნორჩი ტანის თითებში სრესაც მოსწონდა. იეთარა დაშინდა. უკვე შეეშინდა ქმრისა, თუმცა მისი ქმრობა ჯერ არ განეცადნა. ორი წლის შემდეგ მოქალდა. მაგრამ ჰიუნუსას გემოვნებისა ჯერ ვერ გახდა. ჰიუნუსას გადაწყვეტილი ჰქონდა, ვიდრე ცამეტი წლისა არ გახდებოდა იეთარა, მისთვის ხელი არ ეხლო. სმა-ჭამით გათამამებული, ფულით შაამაყებული ჰიუნუსა ლამაზ ცოლების გარდა სხვა სიტკბებას ვერა ჰხედავდა. ერთი რამ კი ენატრებოდა ჰიუნუსას: ვაჟი შვილი. პირველმა ცოლმა ორი ქალი შესძინა, მეორე უშვილოდ მოუკვდა. ერთი მიზეზიც ეს იყო, რომ ჰიუნუსამ მესამე ცოლი შეირთო. ნორჩ იეთარას თავს ევლებოდა და იმ დროის წარმოდგენაც კი ახარებდა, როცა, იეთარა მას დაატკბობდა. ეს გახსენებაც მას ჯანში ნდომის ნაკადულს უსხამდა. ხანდახან შორით უცქეროდა იეთარას და ქვეყანა ავიწყდებოდა. მის თვალ წინ ივსებოდა ქალი, რომელიც მისი საკუთრება იყო, მხოლოდ მისთვის იყო ქვეყნად გაჩენილი. თავის თვალით ჰხედავდა ჰიუნუსა, თუ როგორ ქალდებოდა ბავშვი და მისთვის მზადდებოდა: მკერდი უბურთდებოდა, თმა უგრძელდებოდა, თვალებს ელვარება ემატებოდა. ჰხედავდა, წვრილი კანჭები ხორცს ნელ-ნელა რომ ისხამდა, მკვრივდებოდა, ყალიბში გამოდიოდა. ბავშური თეძოები უმრგვალდებოდა, სადედაკაცო ხდებოდა. ფეხშველა სიარული აუკრძალა და ვიწრო ჩუსტებს აცმევდა, ფეხები დიდრონი არ დაეზარდოსო. ქმრის ამისთანა თვალს ჰხედავდა იეთარა და მის ფასს მიხვდა. ჰიუნუსა ხანდახან ვერ მოითმენდა ხოლმე და ალერსს დაუწყებდა. ტანსა და ძუძუებზე ხელს უსვამდა, ჰკოცნიდა. ეს ალერსი და ცემა, იეთარას ერთმანეთში აერია და ამან ქმარი შეაჯავრა. ქვემოდან შესცქეროდა იეთარა ჰიუნუსას და ქმარს ქამრამდის ძლივსა სწვდებოდა. მის თვალებში ალერსსა და ნდომას ჰხედავდა და ამ დროს ისე ეგონა, თითქოს ჰიუნუსა მხეცია, რომელიც მომიტაცებს და შემჭამსო. ოც-და-ათი წლის ვაჟკაცი ნდომის თვალით დასცქეროდა თერთმეტი წლის გოგოს და ჯერედ გაურკვეველი გრძნობის ჟრუანტელს ჰგვირიდა. თვალით ვერა ჰხედავდა იეთარა, მაგრამ ისე ეგონა, თითქოს დიდი კბილები აქვს ჰიუნუსას და ამ კბილებს ხორცში ჩამირჭობსო. სწორედ ამასა ჰგრძნობდა იეთარა, როცა ჰიუნუსა სცემდა ან უალერსებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში ერთი განიერი ტახტი იდგა—კედლიდან კედლამდის გაჭიმული. მთელს ოჯახს ამ ტახტზე ეძინა. ნარზიამ იეთარა ამოითვალწუნა და ჩუმად სჩქმეტავდა ხოლმე. ლოგინს ტახტის ბოლოში უშლიდა, თავისა და ქმრის ლოგინის მოშორებით: ქმარი არ შესცდესო. იეთარას ტახტის ბოლოდან ქმრისა და ნარზიას დაურიდებელი ჩურჩული ესმოდა ხოლმე. ამან ყველაფერს მიახვედრა. ადრე მიხვდა, რის ცოლიც იყო თითონ. ქმრისადმი სიძულვილს მომავალ გაუგებარ გრძნობისადმი შიშიც მიუმატა.

ჰიუნუსა შორიდან უცქეროდა ხოლმე იეთარას, როცა იეთარა ტანთ იხდიდა დასაძინებლად. თვალს ადევნებდა შევსებაში შესულ ქალის სხეულს. ერთხელ ვერ მოითმინა და ლოგინში ჩაუწვა. იეთარა შეშინდა. ლოგინის კუთხეში მიიკუნჭა. ალერსით დიდი ხანი აწვალა ჰიუნუსამ, მაგრამ თავისი სიტყვა, ცამეტ წლამდის მოთმენისა, მაინც შეინახა და ნარზიასთან წავიდა. ის ღამე თრთოლვით გაათენა იეთარამ.

ძილში ხშირად ეღვიძებოდა და ჩუმი ცრემლით ტიროდა. შიში და ადრეული სურვილი აწუხებდა. ამის შემდეგ შეეჩვია ჰიუნუსა და ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე. ნაწვალები, ჩვილ სხეულში ახალ გრძნობა ჩამდგარი იეთარა ამ სტუმრობის შემდეგ ქმრისა და ნარზიას თავაშვებულ ალერსს შორიდან უცქეროდა. მის სხეულში სქესმა მახინჯად გაიღვიძა, მაგრამ კმაყოფილებას არ აძლევდნენ. თუმცა თვალით სხვისას ჰხედავდა. მას შემდეგ, რაც ჰიუნუსა ასე შეეჩვია იეთარას, ნარზიამ იგი უფრო აითვალწუნა. ნარზია, უკვე დედაკაცი, იეთარას ყველაფერში მეტოქეს ჰხედავდა. ხასიათით ჩუმს და ხნით პატარას იბრიყვებდა. სიცოცხლეს უმწარებდა.

შესძულდა ქმარი; მაგრამ იცოდა იეთარამ, რომ ქმარი იყო და ყველაფერში უნდა დაჰმორჩილებოდა, ესე ემორჩილებოდნენ ქმრებს სხვა დედაკაცები, ესე ემორჩილებოდა ნარზია, ესე ემორჩილებოდა იეთარას დედაც იეთარას მამას. ამიტომ უსიტყოდ, მაგრამ შიშ-ზიზღით თითონაც ემორჩილებოდა.

ეოთ ღამეს ჰიუნუსამ თავის შეკავება ველარ მოახერხა და თავის სიტყვის დარღვევა მოისურვა. შიშმა, სიძულვილმა, ალერსის ტკივილებმა, ახლად გაღვიძებულ გარძნობის ერთბაშად აფეთქებამ იეთარას თავზარი დასცა და ყვირილი დააწყებინა. ჰიუნუსამ პირზე ხელი დააფარა. ტახტის ბოლოდან კი გესლიანი ძახილი მოისმა:

— ჰაი ქიში! მაგ წიწილისაგან რა გინდა. ჩემთან მოდი.

ჰიუნუსა გონს მოვიდა. თავისი პირობაც გაახსენდა. გაჯავრებულმა იეთარას სილა გაარტყა და თავის მეორე ცოლთან ნარზიასთან წავიდა.

ტახტის ბოლოდან იეთარას ნაცნობი ხმები მოესმა, მაგრამ ეხლა სულ სხვა გვარი გრძნობები ჩაუდგა გულში: შიშისა, ალერსისა და ცემასთან ერთად ნარზიას სიტყვებმა წყენაც მიარგეს: ჯერ დედაკაცი არ იყო, მაგრამ სადედაკაცო შეურაცყოფა უკვე განიცადა. ყველაფერი ეს გაღვიძებულმა ქალობამ ბავშურ მოთმინებით აატანინა და მხოლოდ აატირა.

რაც უფრო იზრდებოდა იეთარა, მით უფრო მშვენდებოდა. იმ ღამის შემდეგ ჰიუნუსამ თავი დაანება. მისი აზრი იყო, კარგა მოვიდეს ჯანზე იეთარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ღონიერი და ჯანსაღი ვაჟი მეყოლოსო, იეთარას გულიდან კი ქმრისადმი სიძულვილს უკვე ვერაფერი ამოფხვრიდა. მხოლოდ თრთოლვით ელოდა თავის მომენტს, მაგრამ ჰგრძნობდა, რომ ის მომენტი, რომელსაც იგი სხვა, ახალ ქვეყანაში უნდა შეეყვანა და სიტკბოება უნდა მიეცა, მისთვის უკვე მოწამლული იყო.

ჰიუნუსამ თავის სახლის ზემოდან მეორე ოთახის დადგმა დაიწყო. იეთარასთვის უნდოდა, აქ მარტოს ჰსურდა დამტკბარიყო იეთარასთან. ამ ოთახში მისი ვაჟი უნდა დაბადებულიყო. იქ რკინის საწოლი დადგა—პატარა მაგიდას ლურჯი კლეონკა გადააფარა. რკინის ღუმელი დადგა. ჭერში დუქნური ლამფა ჩამოჰკიდა. ამ სამზადისის მიზანს იეთარა მიხვდა და გულის კანკალი მოუვიდა. ნარზიაც მიხვდა და ბოღმამ და შურმა გააბრაზა.

დიდი ხანია იეთარს ერთი რამ დასჩემდა: ქმრის დანახვაზე ნიკაპი დაენაოჭებოდა ხოლმე: უნებური გამოსახვა იყო ქმრის ძულებისა. ჰიუნუსა ამ მოძრაობის სათავეს მიხვდა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. ცოლი მისი იყო. და რა ედგა მის ცოლს გულში ჰიუნუსასთვის ეს საანგარიშო არ იყო. იეთარა კი თავის ნიკაპის ამ მოძრაობას პირველში ვერ ამჩნევდა. შემდეგში კი თავის გულნადების ამ უნებურ გამოსახულებას მიხვდა. იმასაც მიხვდა, ჰიუნუსა მამჩნევს ამასაო. შეშინდა სიძულვილი არ გამიგოსო. ამიტომ თავს იმაგრებდა; სცდილობდა თავის ნიკაპი თავის გრძნობათაგან გაენთავისუფლებინა და გონებისათვის დაემორჩილებინა. მაგრამ ამას სავსებით ვერ ახერხებდა და უნებურად ნიკაპი ისევ უნაოჭდებოდა, თუმცა უკვე ძალიან მცირედ. მაგრამ თუ ჰიუნუსას უცაბედად შეეყრებოდა სადმე, მაშინ თავს ველარ იკავებდა და ნიკაპი მკაფიოდ უნაოჭდებოდა. ოფლიანი, მტვრიანი, დუქნის და ოფლის სუნით გაჟღენთილი ქმარი ლოგინში ეჯავრებოდა. მაგრამ ქმარს მაინც ემორჩილებოდა. ქმარი კი მის გრძნობებს ყურადღებას არ აქცევდა. მხოლოდ ჰრთავდა: მუდამ ახალი კაბა, ფერადი ფარჩა—აბრეშუმი, ახალი ქალაღიი, ჩულქები და არა წინდები, ტუფლები და არა ქოშ-ჩუსტები და სუნიანი საპნები მოჰხქონდა ცოლისათვის და თავის ხორციელ სამოთხესა რთავდა. ეს უფრო ალამაზებდა. იეთარა ამას ჰხედავდა და ულამაზო გაკენკილ, ჩასუქებულ ქმრისათვის თავი ეფსუსებოდა.

თოთხმეტი წლის იეთარას ახალ ოთახში ვაჟი ეყოლა. ჰიუნუსას სიხარული მის სიცოცხლეში მგონი პირველი იყო. შვილს თავის მამის სახელი დაარქვა: ჯაფარ-ჯაფარ ჰიუნუს-ოღლი. თითონ ჰიუნუს ჯაფარ-ოღლი და კიდევ ჯაფარ ჰიუნუს-ოღლი—ჰიუნუსას პაპა. ასე განუწყვეტლივ გადადიოდა მის გვარში პაპის სახელი უფროსს ვაჟიშვილზე. ვაჟიც ხომ იმისთვის ჰსურდა ჰიუნუსას, რომ გვარი და ჩამომავლობა შეენახნა.

ათი წლისა რომ გახდა ჯაფარა, მამამ დედას მოაშორა და დუქანში წაიყვანა, თავის გვარის, თავის ჩამომავლობის წარსულის და მომავლის ნუგეში თავისთან ჰსურდა ჰყოლოდა. თავის ხელობა ჰსურდა ესწავლებინა,—ჩემს შემდეგ ქონებას პატრონი ჰყავდესო. მაშ ვისთვის აგროვებდა ქონებას!? სწავლით შვილს არ ასწავლიდა, მის მამას არ ესწავლნა და მის პაპას. ქონება ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჯაფარასათვის სხვა რალა იყო საჭირო? იეთარამ ერთი შვილი ჰყოლია და შვილოსნობა შეუწყდა. შვილის მოშორებამ იეთარას მარტოობა შესძინა და აქამდის ქალის მარტოკა გული, ეხლა დედის გულითაც დამარტოვდა. ხანდახან იეთარა კვირით-კვირამდე ვეღარ ჰხედავდა შვილს. მამას სულ თან დაჰყავდა: დუქანში, ქალაქში, ცხვარში, საქონელში. ქმრის ძველ სიძულვილს ამან ახალიც დაუმატა. ჰიუნუსამ კი შვილის მოშორების შემდეგ იეთარა ნარზიას ჩააბარა. იეთარას სილამაზე აფიქრებდა და ეშინოდა ჯეელ ბიჭებზე თვალი არ დაიჭიროსო. ნარზიას ბატონობის საბაბი მიეცა. ცოლების შუა შუღლი გამწვავდა. იეთარამ ნარზიას ჯიბრზე კაცებს არშიყობა დაუწყო: თვალებით, მიხვრა-მოხვრით, კოპწიაობით. მამაკაცებში იეთარას სილამაზემ სახელი გაითქვა. ჰიუნუსას უფრო შეეშინდა. სახლიდან მარტოს არ უშვებდა. ნარზიას ჩაგონებით, ათი წლის შემდეგ კიდევ სცემა.—იეთარა გაგულისდა.

მაისში ცხვარი მთაში წავიდა. მთელი სოფლის ახალგაზრდა ბიჭები ცხვარს გაჰყვენ. ჰიუნუსამაც ნახევარი ოჯახი—ნარზია და მისი შვილები და ცხვარი გაგზავნა მთაში. იეთარა კი შინ დასტოვა ოჯახის მოსავლელად. მისი გაგზავნა მთაში სახიფათოც იყო: იქ იყო სოფლის ახალგაზრდობა და ქმრის თვალს მოშორებულ იეთარას სახიფათო თავისუფლება მიეცემოდა. საქონელი რომ წავა მთაში—თიბათვეში, სოფელი მთლად დაცარიელდება, ყარაულების მეტი არავინ დარჩება, მაშინ თითონაც წავა და იეთარასაც წაიყვანს. საქმე ბევრი გაუჩდა. იქ იალაღზე აპირებდა საზაფხულოდ დუქნის გადატანას და შეშუდი უნდა წაეღო: თამბაქო, ჩაი, შაქარი, საპონი და მარილი, ბლომად მარილი. ყველისა და ერბოსათვის ხალხს მთაში ბევრი დასჭირდება.—შარშან ,ოტა წაიღო და იზარალა. წელს ერთ ვაგონ მარილის წაღებას აპირებდა. თავადაც ნახევარზე შინ არ იყო, და ეხლა ხომ სულ მთლად მოსწყდა ოჯახს. კვირაში ორ დღეს ვერ ათევდა შინა. შვილიც თანაშემწედ და სასწავლებლად დაჰყავდა. ხან საქონელში იყო, ხან საიალაღოდ მწყემსების დაქირავებას უნდებოდა, ხან ტფილისში ჩამოდიოდა შეშუდისათვის, ხან ბოსტნებში იყო, ხან მინდვრებში. ბოსტნებისა დიდი იმედი ჰქონდა. მკათათვეში კიტრი, საზამთრო, ნესვი უნდა ეზიდნა ქალაქში. ამაში ფულს ბევრს მოიგებდა. იეთარა რომ მარტო არ დარჩენილიყო და თვალის დამჭერი ჰყოლოდა, შინ ერთი ბებერი ნათესავი დედა-კაცი მიიყვანა. მაგრამ ამის იმედიც არა ჰქონდა. ბებერი ხშირად ავადმყოფობდა და სულ ჩარდახში იწვა. ამიტომ ბებერი დაარიგა, ღამ-ღამობით იეთარას კარები დაკეტე ხოლმეო. დამწყვდეული იეთარა ფანჯარას მიუჯდებოდა და ქვეყანას გასცქეროდა. მაშინ დიდი მოწყენილობა და დარდი მოაწვებოდა ხოლმე. ნახევარი სოფელი უკვე მთაში იყო წასული. დედა და ძმა სხვა სოფელში ჰყავდა, ძმა არც უშვებდა სახლში. ცარიელ სოფელში, ცარიელ ოჯახში, შვილ მოშორებულს გულიც უცარიელდებოდა.

მაისის ,ხელ საღამოს კარებ ჩაკეტილი იეთარა ფანჯარას მისჯდომოდა და მიყრუებულ არეს გასცქეროდა, ფანჯრის ძირში ჯაჭვიდან აშვებული ძაღლი დასუნსულებდა. ჩარდახში ბებერი კვნესოდა.

ეზოში ბინიდან ჩამოსული მწყემსი შევიდა. მწყემსებისათვის ჯერი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაელო. ჰიუნუსა შინ არ დაუხვდა. ბებერს ვახშამი მოსთხოვა. პურით და ყველით ხელში მწყემსმა ეზოს დაუარა და უცბათ იეთარას შეჰხედა ფანჯარაში. მალალი, მხარ-ბეჭიანი ვაჟ-კაცი ქვემოდან შესცქეროდა ფანჯარაში მჯდომ ქალს და შავ თვალებში ღიმილი ედგა. ამ ღიმილში იდუმალი ნატვრა იყო მინდორ-ტყეში და საქონელში გაზრდილ ვაჟ-კაცისა.

— ხანუმ! კარები დაკეტილი რათა გაქვს?—შეეკითხა მწყემსი.

იეთარამ გაიღიმა.

— ჰაი, ჰიუნუს!—დაიძახა მწყემსმა.—მაგარი კაცია ხაზეინი!—თავი გადიქნია, ფანჯარას მოშორდა და პურის ლუკმით ბეღლის თავზე აძვრა დასაძინებლად. გაურკვეველ გრძნობებით სავსე იეთარაც მოშორდა ფანჯარას და ლოგინში ჩაწვა. მწყემსის თვალების ღიმილი თან ჩაჰყვა.

შუალამისას გაელვიძა. რამ გააღვიძა—არ იცოდა. დარდიანი, რაღაცის მონატრლული, მძიმე და გაურკვეველ შიშის გრძნობა ედგა გულში. მთვარე ფანჯარას ანათებდა. მაისის თბილ ჰაერს ყველაფერი გაეყლენთა. ოთახში ბუღი და სიჩუმე იდგა. ჭერი ჰაერს აწვებოდა. ჰკუმშავდა და იეთარასაც გული ეკუმშებოდა. ღამის სიჩუმე და მარტოობა ფანჯარაში მომზერალი ბუნებას მიმზიდველს ხდიდა. ბეღლის თავზე ფაჩუნი გაისმა.

— ალიას არა სძინავს.—გაიფიქრა იეთარამ.

მოაგონდა წელან რომ შესცქეროდა ალი ქვემოდან და მისი მხოლოდ შავი ულვაშები და ღიმილით მბრწყინავი თვალები გაახსენდა. ფანჯარა გააღო და ეზოში გადიხედა. შორს მინდორში დებედა-ჩაი მიიკლაკნებოდა. მთვარით განათებულ, ვერცხლივით მოლაპლაპე მის ზოლს მისივე ტალღების ჩრდილო ანაოჭებდა. მდინარის შორეული შხუილი ღამის სიჩუმეში შეკავებულ შრიალით მოისმოდა. მთვარის შუქით განათებული ბაბაქარის ნთები ლურჯ მუქობით და ბუმბერაზ უძრაობით დასცქეროდა მდინარეს. ჩარდახში ბებერი ჰბრუნავდა და ჰკენესოდა, სადღაც მამალმა იყივლა. ალიამ ბეღლიდან თავი გამოჰყო და იეთარას ცქერა დაუწყო.

— შენს პატრონს კარგი ყარაული უნდა!—გაიფიქრა ალიმ, ბეღლიდან ჩამოძვრა და ეზო დინჯად გაიარა. იეთარას გული აჩქროლდა, დასუმბუქდა, თითქოს სისხლი დააკლდაო. მიმავალ ალის თვალი გააყოლა. ალი სადღაც, თავლის და ანწლის ჩრდილოებში მიიმალა.

— სად წახველი ალი?!—ჰკითხა იეთარამ ეზოზე დინჯად მომავალ ალის.

— ალას ცხენი შინ რად დაუტოვებია?—უპასუხა ალიმ და გაჩერდა.

— რა იყო?—ჰკითხა იეთარამ.

რაღაც გაუგებარი რამ ჩამოვარდა მათ შორის.

— ისა, რომ შენ და ხაზეინის ცხენს კარგი მოვლა გინდათ.

— აკი გვივლის კიდეცა.—

—ეხედავ.—ღიმილით უპასუხა ალიმ.—შენც კლიტე გადევს და ცხენსაცა. მაგრამ კარგ ქურდს კლიტე ვერ დაიჭერს.

— რაებს ამბობ, ალი!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ალის ხმაში იეთარამ დაფარული, მაგრამ ნაზი და მოალერსე დაცინვა იგრძნო.

მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟ-კაცი, შუა ეზოში გაჩერებული ალი ოცნებასავით იდგა. მთვარით განათებული მისი ტანის მოყვანილობა მთების და მდინარის სურათზე საიდუმლოებით სავსე ჩრდილივით იყო გაწოლილი. ძლიერი სიძულვილი, ცხოვრებაში გამოვლილი ტანჯვის ყრუ მოგონება და ეს ლამაზი ვაჟკაცი, ბუნების შუა-გულში რომ იდგა, ეს ყველაფერი იეთარას თავბრუს ახვევდა.

— ჰიუნუსა რომ ამას ჰგავდეს!—გაიფიქრა იეთარამ. ქმრის მოგონებამ იეთარას შეაზარა. ამ დროს, ამ ტკბილ და მყუდრო სურათში ჰიუნუსას მოგონება შხამი იყო.

— ახლოს ნუ მოდიხარ, ალი! არ დაგვინახონ.

— თუ მარტო მაგიტომ არ გინდა შენთან მომიშვა!?.. უპასუხა ალიმ და ფანჯრის ძირში ქვაზე ჩამოჯდა.

იეთარა ფანჯარამ დაიბა.

— ალამ არ გაგიგოს!—ზემოდან ჩასჩურჩულა იეთარამ. ალი კი მაღალ ქვაზე იდგა და ხელებს ფანჯარს უწვდიდა.

შიშის და სიხარულის შვებიანი ხმუკუნი გაისმა იეთარას გულიდან როდესაც ოთახში გადამძვრალი ალი დაინახა.

ამით დაიწყო. იეთარამ ქმრის სიძულვილს გზა მისცა და განიერ მდინარესავით გადმოანთხია. ალიმ ბინიდან სახლში სიარულს უხშირა. იეთარა მის მკლავებში იმ ბედნიერებას ჰგრძნობდა, რაც ქმარმა ვერ მისცა. ამ ახალ-გაზრდა, ღონიერ და ლამაზ მწყემსის ალერსით იეთარა ტანიდან იმ ალერს-კოცნას ირეცხდა, რომელსაც ქმარი სტოვებდა ხოლმე. აქამდის უნახავ ბედნიერების მიმცემი ადამიანი იეთარასთვის ყველაფერი გახდა. იალაღზე რომ წავიდნენ, მთელ ზაფხულს ალის სურვილობის მორევში სცურავდა. რაკი ჰიუნუსა ხშირად ჩადიოდა ბორჩალოში, იეთარას თავისუფლება ეძლეოდა. ნარზიას ალარ ერიდებოდა. სიყვარულმა ყველაფერი დააავიწყა. ნარზიამ კი ქმარს უამბო ყველაფერი. ღვარძლით, სიხარულით ჩაუკენჭა, რაც თვალით ენახა, ყურით გაეგონა. ეგე, შენი საყვარელი და ლამაზი ცოლი, მოგთხარა თვალიო!

ჰიუნუსა ბოღმით გაივსო. მდიდარს, გათამამებულს, მთელს ბორჩალოში ცნობილს თავი მომეჭრაო. მერე ვინ არის დამნაშავე? ჩემი მწყემსი, ჩემი მოჯამაგირე, ჩემს ლუკმაზე მყოფიო.

ერთ საღამოთი ჰიუნუსას ბინაზე ტყვიით მოკლული ალი ჩამოასვენეს. ცხვარში მოეკლათ. ჰიუნუსა უკან მოსდევდა. მოკლულს თავზე დაადგა და ხმა მაღლა სთქვა:

— ჩემმა დუშმანებმა ჩემი მწყემსი მოჰკლეს, თუ კაცი ვარ, გადაუხდი.

უძრავად მდგომმა იეთარამ, აქამდის მოკლულს რომ დასცქეროდა, თავი ასწია და ქმარს შეხედა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ქმრის თვალებში იეთარამ შურის ღიმილი და მრისხანე მუქარის ელვარება დაინახა. ფერ-წასული, მუხლებ-ა ანკალებული იეთარა ჩუმად მოშორდა მოკლულს და კარავში შე-

ეროვნული

ვიდა. რასაც განიცდიდა არც ოხვრით გასცა, არც მოძრაობით. ... და წყნარი იყო იეთარა. ვერვინ შეატყობდა, რომ ერთხელ მოკლული გული მეორედაც მოუკლეს. იეთარამ სიყვარული დაჰკარგა, მაგრამ ქმრისადმი სიძულვილს ეხლა ჩუმი მტრობაც მიემატა.

სოფელში დაბრუნების შემდეგ ცხოვრება ისევ ძველებურად წავიდა. ალის მაგივრად ეხლა ჰასანა იყო მწყემსად. მაგრამ იეთარასთვის სულ ერთი იყო ალიას ადგილს ვინ დაიჭერდა, ვინ იქნებოდა მეტოქე, შურის მგებელი. ნარზიას ალარად აგდებდა. აბუჩადაც აიგდო. იეთარა ყოველ მოხერხებულ დროს სარგებლობდა. უბედურობა სხვაც დაატყდა ჰიუნუსას.

დაბრუნდა თუ არა მთიდან საქონელი და ზამთრის ბინებზე დადგა, ქურდი შეუჩნდა. წყვილი კამეჩი ერთად მოჰპარეს. ყაჩაღები დაეცნენ მის ცხვრის ფარას და სამოცი ცხვარი გაიტაცეს. ჭალაში საუკეთესო ძროხა დაუკლეს და სამგლე გახადეს. შიგ ეზოში დიდი ძირი თივა დაუწვეს. ჰიუნუსსა მტრებს დაეძებდა, ვინ უნდა ყოფილიყო? უეჭველია ალიას ნათესავები. საშიშიც გახდა მისი ყოფა: ადვილი საქმე იყო ჩასაფრებულ მტერს ან თვით ჰიუნუსა მოეკლა, ან ჯაფარა. იმედი კიდევ იმისი ჰქონდა, რომ ალის ნათესავები ცოტანი და შორეულნი იყვნენ და ადვილად ვერას გაჰბედავდნენ. ღამე მგზავრობას ერიდებოდა. იარაღს ხელიდან არ უშვებდა და ყველა ამასთან იეთარას საქციელიც აბრაზებდა. ვერ გაეგო, რა ჰსურდა იეთარას.

არას ვაკლებ, სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა, ყველაფერი აქვს და რაღად მიშვრება ამ საქმესაო!?

მოლლასთან ლაპარაკის შემდეგ ერთ საღამოს, როცა ნარზიაც შინ არ იყო, ჯაფარა შინ გაგზავნა. წადი, რაც ნახო, მარტო მე მითხარ და ნურავის ეტყვი, დედა-შენსაც ხმა არ გასცეო.

— მხოლოდ უთხარ, უქეიფოდ ვარ-თქო.—დაარიგა შვილი.

ეზოში რომ შევიდა ჯაფარა და ძალლმა წკმუტუნით მიუალერსა, ფანჯარაში ჰასანა გადმოხტა და გაიქცა. ჯაფარა იქვე აენთო, გაბრაზდა, რაც მამისგან იგავებით ჰქონდა გაგონილი, ეხლა თვალით ჰნახა. მაგრამ მამის სიტყვა შეინახა და არ გასცა. იეთარა ქმრის ამ ხერხს მიხვდა. შვილს ავადმყოფობა არ დაუჯერა და მოვლა არ დაუწყო. უგულოდ გაუშალა ლოგინი. შვილმა ეს დედის გულ-ცივობად და კახპურ უდარდელობად ჩასთვალა.

— ხომ ჰხედავ როგორია დედა-შენი.—ჰკითხა მეორე დღეს ჰიუნუსამ ჯაფარას.

— ვხედავ. მაგრამ რა ვქნა!

— შენ არაფერი. რაც საქნელია, მე უნდა ვქნა. ცოლი ჩემია. შენ მხოლოდ ეს მითხარ. ჩემთან ხარ თუ დედაშენთან.?

— შენთან ვარ. გინდა, ჩაბან ჰასანა მოვკლა?

— არა ეგ შენი საქმე არ არ ის. მტრები ისედაც გავიჩინეთ დედიშენის გულისათვის.

— მაშ როგორ მოვიქცეთ?

— ეგ მე ვიცი მეთქი. თანახმა ხარ თუ არა?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ვარ.

— ბიჭი წაიყვანე და დილაზე კამეჩები ჩაულალე მოლლა მამედას. სახნავში ვათხოვე.—დინჯად გაათავა ლაპარაკი ჰინუსამ.

მესამე დღეს საღამოთი ჰინუსამ უთხრა იეთერას:

— ამაღამ ქალაქს მივდივარ შეშუდისათვის, ჯაფარა დუქანში იქნება. ნარზიაც არ ამოვა—დედა ცუდათ ჰყავს. ჰასანა ჩამოვა ბინებიდან და წისფქვილში საფქვავს წაიღებს. მერე ველარ მოიცლის, ბინაზე მარტო დარჩები სხვებს დაითხოვ.

— ჰიუნუსას ჩვეულება ასეთი ჰქონდა: ზაფხულობით, საიალაღოდ მწყემსებს უმატებდა, ზამთრობით კი დაითხოვდა ხოლმე.

წისქვილში გასაგზავნი ტომრები დაამზადა, ურემი შუა ეზოში გამოაგორა და იეთერას მიუბრუნდა:

— სახლს ყური უგდე, ხვალ საღამოთი შინა ვარ.—

მიმავალ ქმარს იეთარამ თვალი გაადევნა. შუბლი გაეხსნა. ყოველთვის როცა კი ქმარი სახლიდან მიდიოდა, იეთარას სახეს მშვიდობა ეტყობოდა.

თავჩაღუნული, დაფიქრებული, მაგრამ პირ-ღიმილიანი მოლლა სოფლის კანცელარიისაკენ მიდიოდა. კრიალოსანზე რაღაცას ანგარიშობდა.

— ჰაი ჰინუს ეხლა ჩემს ხელში ხარ!—გაიფიქრა მოლლამ და კანცელარიის კარები შეაღო. უიატაკო, ბნელ და გაბოლილს ოთახში არავინ იყო. პატარა ფანჯარასთან ერთი დიდი, ჭუჭყით გაშავებული მაგიდა იდგა. ზედ პურის და ყველის ნამცეცები ეყარა და გაქონილი გაზეთი ეგდო. ოთახის შუაში რკინის ღუმელი იდგა. ზემოდან ნაცარი ეყარა. ტაბურეტი და ერთი ფეხმოტეხილი სკამი მაგიდის ქვეშ შემძვრალიყვნენ. ოთახის ბნელ კუთხეში ფეხებ-გაკრული კრუხი აბთხრიალდა. მოლლამ სახლს უკან, თივაში პირქვე ჩაფლული მწერალი იპოვნა. ფეხი წაჰკრა, მწერალი გაიზმორა, ზურგზე გადაბრუნდა და მოლლას რუსული ქერა სახე შეანათა. თვალები დაწირპლული ჰქონდა. ჯაგარივით აფხვერილი წვერ-ულვაშში თივის ნამტვრევები გაბმოდა. მოლლას ღვინის სუნი ეცა.

— ადექ, ვანკავ! დიდი საქმეა!—

მწერალი გაშტერებული უცქეროდა და ადგომას არ ჰფიქრობდა.

— ადექ მეთქი, არ გესმის? რაფორთი უნდა დასწერო.

— რა იყო, მოლლავ! ამ სიცხეში რამ მოგიყვანა?

— სიცხე გაქვს შენა! სოფელს გვიბილწავ ღვინითა. ან სად შოულობ მაგდენს?

— იქა, მოლავ, სადაც მე და შენა ვშოულობთ ხოლმე; ეხლაც მაქვს. გინდა წავიდეთ კიდევ ერთად წავბილწოთ თქვენი მაჰმადის რჯულის სოფელი. კარგი ღვინო მაქვს. შულავრული.

— დრო არ არის. ადექ.

— რატომ არ არის დრო?—ადგილიდან არ იძროდა მწერალი.—როცა შენ სვამ სოფელი არ იბილწება, ჩემი სმით რათ უნდა წაიბილწოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე საქვეყნოდ არა ვსვამ, ხალხს არ ვანახვებ. შენ ეს ბოლოს სოფელში დაფარფატებ ხოლმე.

— ესე იგი... შენ შენს ღმერთსა ჰპარავ, მე კი ჩემი ღმერთი ღვინის სმის ნებას მაძლევს.

ვანკას სიტყვები მოლლას ეწყინა, მაგრამ ეხლა არ ეცალა.

— ადექ მეთქი. ქაღალდი გაქვს? რაფორტი უნდა დასწერო.

— ქაღალდიცა მაქვს, მელანიცა და ღვინოც. ჩემი ხელობა მაშ რა არის?

ვანკა ერთ დროს ადამიანი იყო. ბორჩალოში მეწისქვილეთ იყო, კარგი ხელოსანი, ცოლშვილით სავსე. მეწისქვილეობაში თათრული ისწავლა. ბორჩალოს ჰავამ და მალარიამ ცოლშვილი დაუხოცა. დარდზე გალოთდა. მეწისქვილეობიდან დაითხოვეს. სოფელს დაუდგა მწერლად; ლოთი იყო, მაგრამ სოფელი არ იშორებდა: რუსულის მცოდნე ძნელი საშოვარი იყო. ვანკა კი იაფი უჯდებოდა. მის ლოთობას სოფელი არად აგდებდა. ვანკა შეჩვეული ჭირი იყო, მამასახლისებისა ხომ მარჯვენა ხელი. თითონ ვანკაც არა შორდებოდა სოფელს. ბინა ჰქონდა, საჭმელი არ აკლდა, ღვინის ფულს მუდამ შოულობდა. ან სადღა წასულიყო? სადაც თავისი განვლილი ცხოვრება დარჩა, იმ ადგილს ვეღარ შორდებოდა.

დინჯად წამოდგა ვანკა, გაიზმორა, დააბოყინა და მოლლას შეჰხედა:

— ჰა! მოჰკალით ვინმე?

მოლლა შეკრთა.

— რაებს ბოდავ, სადაური მკვლელი მნახე!

— არ გიცნობთ რაცა ხართ? მაშ რა მოხდა?

— წამოდი და გაიგებ.

— წავიდეთ, რის რაპორტი გინდა?

— წუხელის დუქანში ჰიუნუსას ცოლი მოუკლავთ.

— ვაა ვისა?

— წამო, დასწერე რაფორტი და გაიგებ.

— იიფ! რა დედა-კაცი იყო! სადღა იშოვნის ჰიუნუსა ინისთანასა?!

— შენ დარდი ნუ გაქვს. ჰიუნუსა დოვლათიანი კაცია. თაფლს ბუზი თითონ ეტანება.

— რის რაპორტი, მოლლავ! ჩვენ რა ვიცით რა მოხდა. ადგილას უნდა წავიდეს მამასახლისი და ისე დაიწეროს რაპორტი. იქნებ ტყუილია?

— თუ ტყუილი იყოს მე დამაბრალეთ. მამასახლისმა ყველაფერი იცის, იმან გამომგზავნა შენთან. მითხრა როგორც გინდა ისე დააწერინე რაფორტიო. აბა, დასწერე: წუხელის აგვისტოს 30-ს ღამის 11 საათზე სოფ. კარასუში ჰიუნუს ჯაფარ-ოღლის სახლს დაესხნენ ყაჩაღები, სროლაში მოჰკლეს ჰიუნუსას ცოლი ეთარა. მოკლული მაჰმადიანთა წესისამებრ დამარხულია დღესავე. მეტის მოთმენაც აღარ შეიძლებოდა — სიცხე აფუჭებდა გვამს.

— მოლლავ, შენ იქ იყავ? ეს ამბები საიდან იცი?

— თითონ ჰიუნუს მ შემატყობინა.

— შენ რად შეგატყობინა და მამასახლისს კი არ შეატყობინა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმიტომ, რომ მოკლულის ძმასაც უნდა შეეატყობინა. ეტყობინა და მთხოვა თქვენთვის შემეტყობინებინა.

— დამარხულიაო, რომ მაწერინებ, ჯერ რომ დამარხული არ არის?

— სანამ ქალალდი შულავერში ჩავა, სანამ დავმარხავ კიდეც. ჰიუნუსამ დამიბარა, გადმოდი დავმარხოთო.

— რათ გეჩქარებათ დამარხვა?

— ეგეთი წესია. ჩვენი მიცვალებულის დიდ-ხანს შენახვა არ შეიძლება. ხამი ხომ არ ხარ.

— მოლლავ! აქ ყაჩაღები ტყუილია. მართალი სთქვი, რა მოხდა!

— ბეგრს ნუ ლაპარაკობ. რა უნდა მომხდარიყო. არვადინ კისმათ? [1])

არ იცი?—აჰმ, ჰიუნუსამ ხუთი მანეთი გამოგიგზავნა... ბეჭედი დასვას მამასახლისმა მერე წამოვიდეს.

— ბეჭდის ფული?—ორაზროვნათ ჰკითხა ვანკამ.

— მიცემულია. რამდენიც ერგებოდა, მამასახლისსაც გამოუგზავნა. შენ მუდამ მამასახლისების ჯიბის ყარაული ნუ ხარ. ჯერ რაფორთი გაგზავნეთ, არ დააგვიანოთ, და მერე წამოდით.

5

— ხანუმ! ეხლა წისქვილში დილამდის ნობათი არ იქნება, რა მინდა რომ ასე ადრე წავიდე?

— შენც მოიცადე. მამლის ყივილისას წადი. ან რაში დასჭირდა საფქვავის გაგზავნა? დაფქვილი ზამთრამდის გვეყოფა.

იეთარას საწოლში ჩობან ჰასანი იწვა. ქმრის სიძულვილით სავსე იეთარა ჯიბრით შექმნილ ნაქურდალ სიყვარულში ეფლებოდა და რაც წაართვეს, რაც სიცოცხლეში დააკლეს, იმის ბადალს ეძებდა. განა გულითადი სიყვარული აწვენდა იეთარას ჰასანასთან. მისი ნამდვილი სიყვარული და მისი ქალობის ნამდვილი წამლები ალი ტყვიით მოუკლეს. ქმარმა ისიც ისე წაართვა, როგორც ბავშობა, ქალობა, დედობა. და ეხლა ჰასანა რომ ეალერსებოდა, მის სხეულს ხელს რომ ახლებდა იეთარას გულის შური უნელდებოდა და სამაგიეროს მიმზღვევი გრძნობა ეძლეოდა.

— ბევრჯელ გასცლია ქმარს. ბევრჯელ გაჰქცევია დედასთან და ძმასთან და გაყრა უთხოვნია, მაგრამ მოლლები, მეზობლები მიადგებოდენ ხოლმე: არცხვენდენ ხოლმე: არცხვენდენ და ქმარს უბრუნებდნენ. თავის გასამართლებელს ვერას იტყოდა ხოლმე. ქმარი მდიდარი ჰყავდა, საუკეთესოდ აცმევდა. სმა-ჭამას არ აკლებდა,—სხვა რალაა საჭირო?—ეტყოდნენ ხოლმე. იეთარამ გულით კი იცოდა, რაც იყო, მაგრამ თქმას ვერ ახერხებდა, იმ საბუთებს პასუხს ვერ აძლევდა და გულ-მოკლული გაჰყვებოდა ხოლმე მოლლას და ძმას და ქმრის სახლში ბრუნდებოდა. აქ კი ქმრის საყვედურს, თვალების ბრიალს და მუქარას მისივ ალერსი მოჰყვებოდა, ხოლმე. ალერსი და

[1]) დედაკის ბედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუქარა, საჩუქრები და ძულვა უფრო მეტ დარდს ჰმატებდნენ. — ... ეშმდეგ ჩობან ალი თუ ჩობან ჰასანა—სულ ერთი არ იყო?

— იცი, იეთარ, რომ ჩობან ალი შენი გულისთვის მოაკვლევინა ხაზეინმა? —ჰკითხა ჰასანამ.

— ვიცი! —უპასუხა იეთარამ და თვალებში ჩაჰხედა. ჰასანა ამ თვალების ნათქვამს ვერ მიხვდა: ჟინ-დაკმაყოფილებული ვაჟ-კაცი იქნებოდა და ენას ცნობის მოყვარეობით ალაქლაქებდა. იეთარას კი გონებაში ალისავით გაშოტილი ჰასანა წარმოუდგა.

— მეც რომ მომკლას?

— ეგ შენ უნდა იცოდე.

— შენ რომ მოგკლას?

— ალბათ ჩემი გზაც ეს იქნება. არვადინ კისმათ!—ხომ იცი დედაკაცის ბედი.—გულ დინჯად უპასუხა იეთარამ.—ჩემისთანა დედაკაცი ცოტა მოუკლავთ ქმრებსა?

— წამო წავიდეთ, გავეცალნეთ ხაზეინს. ყაზახში გადაგიყვან.

— არა... რით უნდა მაცხოვრო?

— შენ არას დაგაკლებ.

— მერე? შენც რომ ჰიუნუსას დღე დაგაყენო? მენდობი?

— თუ გეყვარები?...

— არა... აქ უნდა ვიყვე .. ასე უნდა მოვექცე ჰიუნუსას. ასე უნდა. ნიშნის მოგებით სთქვა იეთარამ,—ჰიუნუსას ბედი ესა ყოფილა და მეც ჩემ ბედს ვერ გავექცევი.

ჰიუნუსა სადგურზე არ იყო. იგი მოლლასთან წავიდა და ეხლა შინ ბრუნდებოდა. ოცი თუმანი ჩაუტანა მოლლას ცოლის ძმისთვის. მოლლას კიდევ სთხოვა დახმარება. ხუთი თუმანიც იმას მისცა. თავის ბედისა აღარ ეშინოდა. ხვალ დილით მოლლა მამასახლისს საჭირო „რაფორთს“ გააგზავნინებს. მხოლოდ ჩქარობდა: იცოდა, ჰასანას მიუსწრებდა.

— იათარ! კარი გააღე, მატარებელმა გამისწრო.—დააკაკუნა თავის სახლის კარები.

— იეთარა დაიბნა. ჰასანამ თავის ქურქი წამოისხა, და კარებს ამოეფარა. ჰიუნუსამ ოთახში მომხდარი ფათური იგრძნო და კარებს მტვრევა დაუწყო. იეთარას ტანზე ბალანი აეშალა, თითო ბეწვიც კი უთრთოდა. თავს ძალა დაატანა, კარებთან მივიდა, ჰასანას წინ ჩამოუდგა და კარები გააღო. ჰასანა გაღებულ კარებსა და იეთარას უკან დარჩა. სიარულში გაოფლიანებული, თვალებ-დაბრიალებული ჰიუნუსა თავის მსუქანი, ტლანქი სხეულით ოთახში შევარდა. ნაყვავილარი, გაბრაზებული სახე ზემოდან დაანათა ცოლს და თვალებში ჩახედა. კისრის ძარღვები დაბერილი ჰქონდა. იეთარამ უკან დაიხია.

— ურემი აქ არის. ჰასანა სად-ღაა. შეჰღრიალა ჰიუნუსამ. ჰსანა კარებში გადახტა და ღამის სიბნელეში ჩაინთქა.

— აჰა! აგერ სადა ყოფილა!—დაიყვირა ჰიუნუსამ და ხელი ასწია. იეთარას თვალებში შავმა რევოლვერმა გაიელვა, მუხლები მოეკვეთა და კედლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირას ჩაიჩოქა. შიშით სავსე თვალებში ხიზლი და მუდარა ედგა. შავი რევოლვერის ტუჩი მას, მთრთოლვარეს, დასცქეროდა. ლამაზ სახეს სიკვდილმა ხელი გადაუსვა. ლოყებზე კანი გაეჭიმა. სახე ერთ წუთში გახდა და თეთრი ჰრიალი დაიწყო. თვალები დაუდიდდა და ღრმად ჩაუძვრა. გული სისხლისგან დაეცალა. დაჩოქილი მხოლოდ იარაღის ტუჩს შესცქეროდა. იქიდან წამის-წამს სიკვდილი უნდა გამოეარდნილიყო. მრისხანე და ულმობელ-გულ-გრილი იყო იარაღის შავად მოლაპლაპე მრგვალი ტუჩი, ცალ-თვალს რომ ჰგავდა. ამ ტუჩის მეტს იეთარა ვერას ჰხედავდა. პატარა ლამფის შუქი დიდ უშველებელ შუქად იქცა და თვალთ დაუბნელა. იეთარას წინ კი მხარ-ბეჭიანი, ჩასუქებული, თვალებ-დასისხლიანებული ქმარი იდგა. მისი ნაყვავილარი სახე დიდ, უშველებელ ბორბლად იქცა და ყველაფერი დაჰფარა. ეხლა ჰიუნუსა ის მხეცი იყო, რომლის კბილებისაც იეთარას პატარაობითვე ეშინოდა. ეს მხეცი ეხლა მთლად გამოვიდა თავის საიდუმლოებიდან.

— ხანუმ აღა!—წამოსცდა იეთარას. თავისთავად, უნებურად მოადგა ეს სიტყვები მის დაცარიელებულ გონებას, თითქოს ხსნის რაღაც იმედი მჰქონდა ამ სიტყვებს, როდესაც გონებიდან ენამდის მოიარა. მაგრამ თან იგივე გონება იკავებდა ამ სიტყვებს, ამბობდა, რომ უკვე ამაო იყო სიტყვები. იქნებ უარესიც ყოფილიყო, ელვასავით სწრაფად მოადგა იეთარას გონებას ეს სიტყვები ხსნის იმედად, ისევ სწრაფად წარმოსთქვა იეთარამ და ისევ სწრაფად გაჰქრა. თითქოს ამ სიტყვების გაელენის დასანახად იეთარამ იარაღის ტუჩს უნებურად აარიდა თვალი და ქმარს სახესა და თვალებში შეხედა. რასაც ეძებდა—ვერა ჰნახა, მაგრამ ნიკაპი უნებურად დაუნაოჭდა: დინჯად და მკაფიოდ გამოსახა ნიკაპმა სიძულვილის სიმბოლო ბავშობიდანვე რომ დასჩემდა, მაგრამ შიშით და ჩვეულებით ერთბაშად გაჰქრა. მიხვდა იეთარა, რომ ამ წუთს ეს უარესი იყო.

წითლათ გაიელვა, იეთარას სახეზე რაღაცა შეეფრქვია ქალმა, სახეზე მკლავები აიფარა. გრიალმა გაავსო ოთახი. იეთარას ყრუთ დაეცვა. ლამფა ჩაჰქრა და იეთარას ბოლის სუნი ეცა. ტკივილი ვერა გაიგო რა, მაგრამ იგრძნო კი რომ სხეულში სიკვდილი უკვე ჩაუდგა. მერე კი, თავის ბედის გულგრილობა, ორი ახალი სროლა უკვე მშვიდად მოისმინა.

იატაკზე ეგდო როცა გარედან ყვირილი შემოესმა:

— მიშველეთ... ყაჩაღები...

ძაღლებმა ზავ-ზავი ასტეხეს.

მიხეილ მრევლიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგო

ანუ უცნაურ ამბავთა კრებული.

ამბავი პირველი

„ხტუმარი ქალაქში"

I.

სრულიად შემთხვევით ესტუმრა ის ამ პატარა ქალაქს. ოთახი ქალაქის საუკეთესო სასტუმროში დაიჭირა, მთავარ ქუჩაზე, ქალაქის მოურავის მშვენიერი სასახლის პირდაპირ. ქალაქში მეზობლებს ახალი სალაპარაკო მასალა გაუჩნდათ. მოსულ სტუმარზე ლაპარაკობდენენ ყველგან.

პატარა ქალაქის მცხოვრებნი დააინტერესა მისმა დიდკალთებიანმა ქუდმა, ოდნავ გახუნებულმა, მაგრამ ლამაზად შეკერილმა, საზაფხულო პალტომ, შავმა პორტფელმა და რაღაც ცოცხალმა არსებამ, რომელიც თან მოჰყვა, და რომელიც არც ერთ მოქალაქეს ამ ქალაქში თავის თვალით არ დაენახა, და რომლის არსებობაც ქალაქს სასტუმროს ლაქიამ შეატყობინა.

დანამდვილებით იმანაც ვერა სთქვა, რა უნდა ყოფილიყოს ეს არსება, რადგან უცნობს ის ქსოვილში გახვეული ექირა. მეზობლები ამაზე სხვა და სხვა აზრისანი იყვნენ: ზოგი ამბობდა, ძუძუმწოვარა ბავში მოიყვანა,—ზოგი კი ისე ფიქრობდა, რომ ის ძაღლის ლეკვი იყო, ზოგი კი ამტკიცებდა.—რომ ციმბირული კატა ჰყავდა უცნობს თან.

ძალიან ბევრს ფიქრობდნენ ამაზე ქალაქში, მაგრამ დიდხანს ვერაფერი გაიგეს. და მხოლოდ ერთხელ...

2.

გვიან მოვიდა სასტუმროში. ფეხაკრეფით გაიარა ვიწრო დერეფანი. მოსძებნა თავისი ოთახი და წყნარად შევიდა. აგვისტოს მთვარე უხვად ავსებდა ოთახს.

გააღო ფანჯარა და გადახედა ქუჩას, მის წინ სწორედ გადახაზულს. ქალაქის მოურავის სახლიდან ისმოდა როიალის ხმა. ვიღაც შოპენის სამგლოვიაროს უკრავდა.

მოუსმინა.

ტუჩებზე უცნაური, გამოურკვეველი ღიმილი, სევდიან და დამცინავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუთამაშდა. შემდეგ სწრაფად მოსწყდა ფანჯარას, მშრალად და უსიამოვნოდ ხმა მაღლა ჩაიცინა, მივიდა სავარძელთან და შიგ მოკალათებული ცოცხალი არსება ხელში აიტაცა, მიიკრა გულზე და გაშმაგებით დაუწყო კოცნა.

— გესმის... გესმის... ინონ!.. სამგლოვიარო მარშს უკრავენ.

ხა-ხა! ალბად რომელიმე სანთლისფერ ხელებიანი მადონა დასტირის დაკარგულ სიყვარულს... ხა-ხა-ხა!.. ინონ, ეს ქალაქი სამარედ მეჩვენება. გული უფრო დამიმძიმდა აქ. ის ვიღაც უცნობიც, მეზობელ სახლიდან, ყოველ საღამოს ასე დაგვტირის. აუტანელია... მე მინდოდა კიდევ განგვეგრძო გზა, მაგრამ შენ, გეტყობა, ძალიან დაიღალე, და ეს ქალაქიც სხვებზე უფრო მოგწონს. რა გაეწყობა: დავრჩეთ აქ. მე ვეცდები შევეჩვიო ჩვენს ახალ სადგურს.

დარეკა. ცოცხალი არსება სავარძელში ჩასვა და ქსოვილი გადააფარა. მსახური შემოვიდა.

— რა ნებავს ბატონს?—კითხულობს ნამძინარევი ხმა.

— ღვინო!

გაკვირვებული მსახური თვალებს იფშვნეტს.

— გესმის, ღვინო!

მსახურს მოაქვს ღვინო, სდგამს მაგიდაზე, აპირებს წასვლას.

— დაიცადე.

— ბრძანეთ.

— წადი პირდაპირ, იმ სახლში, საიდანაც ეხლა როიალის ხმა ისმის და ჩემ მაგივრად სთხოვე, რომ გააჩუმონ.

მსახურის ნამძინარევი თვალები ფართოვდება.

— როგორ შეიძლება, ბატონო!

— რატომ?

— ეგ სახლი ქალაქის მოურავისაა. როიალზე ქალაქიდან ახლად დაბრუნებული მისი ქალიშვილი უკრავს ალბად.

— მერე?

— მამას ძალიან უყვარს ქალი. არაფერს არ უშლის. მე რომ წავიდე და ვთხოვო, მოურავი გაიგებს. გაჯავრდება. ამას მე ვერ ვიზამ.

— ძალიან კარგი.

მსახური აპირებს წასვლას.

— დაიცადე.

— რას მიბრძანებთ?

— ღვინო მიირთვი.

მსახური ყოყმანობს, თავს უხერხულად გრძნობს. მასპინძელი აძალებს და რამდენიმე ჭიქას აცლენვინებს.

პაუზა.

— მაშ შენ ამბობ, რომ ქალაქის მოურავს ძალიან უყვარს თავისი შვილი?

— ძალიან, ბატონო. რუსეთში ჰყავდა სასწავლებლად გაგზავნილი. იმის მოლოდინში გათეთრდა.

— დიდი ხნით იყო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორი წელიწადი.

— სხვა შვილები არა ჰყავს?

— არავინ.

მასპინძელმა კიდევ დაუსხა მსახურს.

— ლამაზი ქალია?

— რუსეთიდან აქ ხმა მოვიდა, თითქოს მაგისთვის ორ ვაჟკაცს ერთმანეთი დაეხოცნოს.

— მაშ ძალიან ლამაზია?

— რო მიდიოდა, ძალიან კარკი იყო. რაც იქიდან ჩამოვიდა, ალერ შინახავს. ამბობენ რომ უფრო გაკეთებულა. დასრულებულა.

— რა გვარია მოურავი?

— თავადი შერვაშიძე გახლავთ.

ერთ ხანს კიდევ იბაასეს. მასპინძელმა მსახური ბარბაცით გაისტუმრა. თითონ კელავ საეარძელს მიუახლოვდა და შიგ მყოფს ალერსი დაუწყო.

— ინონ, შენ ხომ ერთად ერთი მეგობარი ხარ ჩემი. გახსოვს დიდი ქალაქი? გახსოვს, როგორ გვციოდა ჩვენ იმ საშინელ ღამეს? ოჰ, ინონ, როგორ მარტონი ვიყავით! ეხლაც მარტონი ვართ. მაგრამ მაშინ სხვა იყო... საშინელი!.. გახსოვს, სასაფლაოზე მამიჩემის გაქვავებული გვამი?.. გახსოვს, მომაკვდავი დედის ალერსი...

დაწყევლილი ბედი ინონ, დაწყევლილები ჩვენ. ოჰ, რა საშინელად ციოდა! შემდეგ წვალება. უაზრო ხეტიალი ქუჩებში ან და ეზო-ეზო ლუკმა პურის სათხოვნელად. საბრალო ინონ, შენ ყველაზე ძლიერ დაიტანჯე, დაგაძრა ფეხები ყინულზე ცეკვით. ცრემლები გდიოდა თვალებიდგან სიცივისაგან. ან იქნებ ისიც გახსოვს როგორ ვტიროდით დაკარგულ სიყვარულზე.

სად არის ეხლა ის? გახსოვს მას მე და შენ ლამაზი წერილიც მივწერეთ. რამდენი ვიხეტიალეთ მას შემდეგ, ჩემო ძვირფასო მეგობარო. სად არ გადაგვაგდო ბედმა.. ვის არ შეგვახვედრა.

ეხლა კი დავიღალეთ. ეს ქალაქი კარგი სადგურია, ცოტა ხნით შევისვენოთ. გესმის, იქ კიდევ უკრავენ სამგლოვიარო მარშს... ამ ქალაქმა ასე მიგვიღო. ვნახოთ, როგორ გაგვისტუმრებს.

დეე, იმათ სამგლოვიარო მარში დაუკრან, ჩვენ მრავალ ჟამიერ ვიმღეროთ ნონი, მრავალ ჟამიერ...

3.

მეზობლები ფიქრობენ, რომ ის ანორმალურია, რომ მას ძალიან გამსჭვირვალე თვალები აქვს, რომ ის ძალიან მახინჯი და საზიზღარია.

თურმე ხშირად დადის ღამეებით სასაფლაოზე, კიდევ ბევრ რამეს ამბობდნენ მეზობლები. ამბობდნენ იმასაც, რომ ქალაქის მოურავმა დიდის მოკრძალებით მიიღო და სთხოვა კიდეც თავის სახლში დაბინავება. მაგრამ მან უარი განაცხადა.

და, ვინ იცის, კიდევ რას არ ამბოდნენ მეზობლები იმ კაცზე, რომელიც რამდენიმე დღის წინად ესტუმრა პატარა ქალაქს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად მესაფლავე, საღამოობით ალაყაფის კარებთან შეგროვილ მეზობლებს უამბობდა, რომ ეს უცნიური სტუმარი ყოველ ღამე დადის სასაფლაოზე, ხელში რაღაც პატარა, ცხოველის მსგავსი ცოცხალი არსება უჭირავს და ხმა მაღლა ელაპარაკებაო.

ამან უფრო გააოცა ქალაქი. პატარა ქალაქი, დღემდის დახშული და მოწყენილი, ერთფეროვან დღეებით სავსე, გამხიარულდა და გამოცოცხლდა. მეზობლებს ეხლა ბევრი მასალა ჰქონდათ სალაპარაკოდ: ახლად გაჩენილ კუდიან ვარსკვლავზე, უცნაურ სტუმარზე და ახლად ჩამოსულ მოურავის ქალზე. ამბობდნენ, ვითომ ის ძალიან გაღამაზდა და დასრულდა. მამასახლისის მოსამსახურე გოგოც ამბობდა, რომ ისეთი ლამაზი ტანისა ჯერ არვინ ენახა.

ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ მოურავის ქალზედაც პატარა ქალაქში.

ეხლი იქ არავინ იწყენდა. სალაპარაკო მასალა ბევრი ჰქონდათ.

4.

მაყვლის ფერ ხავერდში ჩასმული ავეჯი. კედლებზე პორტრეტები და ნატიურ-მორტ. ჩვენი და უცხო კლასიკური მხატვრობა. იატაკზე სქელი სპარსული ნოხი. კუთხეებში მარმარილოს მინიატიურული ქანდაკებანი. კედელთან ძვირფასი ხისგან ნაკეთები შკაფი, ისიც მაყვლის ფრად ნაღები და ნაირი წიგნებით სავსე.

დიდ ფანჯრიდან—ზაფხულის გულ შემხუთველი საღამო და ქალაქის მონოტონური ხმაური.

საწერ მაგიდასთან—საქმეებში ჩაფლული ქალაქის მოურავი თავადი შერვაშიძე. ერთ დროს თავდადებული სოციალისტი, მერე დიდი პატრიოტი და შემდეგ, როგორც ჩვეულებრივ ხდება, გამდიდრებული მოქალაქე, სვინდის მოკლებული მოხელე.

მსახურმა ბარათი მოუტანა. ბარათზე ეწერა:

„დანიელ ჯაკობია"

— სთხოვეთ—ბრძანა შერვაშიძემ.

აუჩქარებლივ შემოვიდა ოთახში. ცივი გამოხედვით გადასჭრა კედლები. მიუახლოვდა მომლიმარ ქალაქის მოურავს და ცივად მიესალმა.

— იმედია გახსოვართ.

— რასაკვირველია.

პაუზა.

დანიელ ათვალიერებს ნატიურ-მორტს. თავადი თავს უგემურათ გრძნობს.

— დაბრძანდით.

— გმადლობთ, მეჩქარება.

— რით შემიძლიან გემსახუროთ?

— ერთხელ უკვე მოგახსენეთ.

— დიახ.

— პასუხი?

პაუზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემის აზრით, ეს უფრო ადმინი...

— უკაცრავათ—შეაწყვეტინა ქალაქის მოურავს.—ვიცი, რაც გინდათ სთქვათ. მაგრამ ჩემს თქვენდამი მომართვას სხვანაირი მოსაზრება აქვს.

პაუზა. ერთ ხანს თავადს ყოყმანი ეტყობა.

— ძალიან კარგი, ამბობს ბოლოს—ძალიან კარგი, რითაც შემიძლიან ხელს მოგიწყობთ.

— ძალა?

— გეყოლებათ საკმაო.

— ფული?

— იმდენი, რამდენიც საჭიროა.

— ძალიან კარგი.

პაუზა. ემზადება წასასვლელად.

— მაშ მე შემიძლიან შეუდგე საქმეს?

— თუ გნებავთ, დღესვე.

გამოემშვიდობა და ისევ დინჯათ გავიდა ოთახიდან. მოურავმა თვალი გააყოლა მიმავალს: საშუალოზე ცოტა უფრო მაღალი ტანის იყო, ოდნავ წელში მოხრილი, ეცვა ნაცრის ფერი მოძველებული კოსტიუმი. კოსტიუმს შიგნით მოსჩანდა თოვლივით თეთრი საცვლები.

სტუმარი დიდი ხნის წასული იყო, როცა ფიქრებში წასულ მოურავს მოაგონდა მისი სახე. გააჟრჟოლა. განუსაზღვრელ ზიზღს, შიშს და სიბრალულს იწვევდა მისი დანაოჭებული, ორი ოქროს კბილით მოელვარე და მუდამ დამცინავი ღიმილით გადასერილი პირი; ცივი, გამსჭვირვალე, თითქოს ფოსფორიული სინათლით სავსე, თვალებიანი სახე.

გუნება ნაქცევი მოურავი თავისი ქალის პორტრეტს გადასწვდა, რომელიც ყოველთვის საწერ მაგიდაზე ნაგულევ ალაგს ეგულებოდა (ასე თუ იცოდა აღელვებისას). გასწია ხელი და...

პორტრეტი იქ აღარ იყო.

საკვირველია!

მშვენივრად ახსოვდა, რომ თხუთმეტი წუთის წინ პორტრეტი კიდევ მაგიდაზე იდო.

საინტერესოა!

5.

ყველას აკვირვებდა ნაბინა—ზრდილი ასული თავადი შერვაშიძის. ქალი, სავსე აღმოსავლეთის ცხელი სინოყიერით და... რაც არ უნდა სთქვათ თქვენ, საუკუნის ცივო, ფორმულისა და მათემატიკის პოეტებო; როგორიც არ უნდა იყოს, თქვენი გესლიანი სიტყვები, თქვენი ირონია, ონანიზმით გამოფიტულნო—უულვაშო ქონდრის კაცებო; მაინც ჩაგაფიქრებთ, მაინც მიგიზიდავთ, მაინც აგაჟრჟოლებთ ნაბინას ღრმა, ნაბინას უსაზღვროთ ღრმა და შავი თვალები, სავსე უცხო ალერსით.

წარბი—ნახაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუჩები—სისხლი.

ტანი ბროლის, არაბული ცხენის ყალყის მსგავსად ახეთქილი. გულმკერდი—ზღვა, ვნებით რომ არის აზვირთული. ნაზი—ნაზი ხმა ნაბინასი და ალერსიანი, საიდუმლო გამოხედვა, დატვირთული, დაბურუსებული.

ჰოი, ივერიის კურთხეულო ნიადაგო! ივერიის ნაყოფიერო მიწავ! ალბად შენშია ძალა ასეთის ნაყოფის წარმოშობისთვის. რატომ აღარ არიან მეკობრეები პონტოსის ზღვაზე, რომ ივერიის ქალების დასატაცებლათ კიდევ მოსცურვადნენ. რად არ მოდიან სპარსელები და არ ბრძანებენ: „წელიწადში თორმეტი ქალი ივერიის და თორმეტი ვაჟი ამავე ქვეყნის, ჯიშის გასაუმჯობესებლად“. ასეა მორწყული, კურთხეულო ივერია, შენის თესლით მთელი ქვეყანა,

ნაბინა დაუბრუნდა მამის ოჯახს. დასრულდა დღეები ტოლ-ამხანაგებში ბედნიერი ცელქობის. შეუმჩნევლად გავიდა დრო ბავშური ჟინის. თავის და შეუმჩნევლად დასრულდა ნაბინა და, ერთ დილით დარცხვენილმა თავის თავის წინ, იგრძნო ვნება ტანში და გული უცნაურად აუთამაშდა. მას შემდეგ თანდა-თან იზრდებოდა ვნება. გაჰქრა ბავშური გულწრფელობა და ქალწულურმა გულდახურვამ იჩინა თავი.

ნაზი ნაბინა იგრძნობს პირველ სიყვარულს და მიეცემა თავდივიწყებას. ქალი შეხვდება ოცნებით შემკულ გმირს—აქედგან გულუბრყვილო სულის გადაშლა, მინდობა, ვნებიანი ტანის და ჟინის თავისდა შეუმჩნევლად დაოკება. დასასრული—გატეხილი იმედი, დაკარგული ქალწულობა (ეს ხომ ფრიად ჩვეულებრივი და სრულიად უინტერესო ამბავია).

ყველაფერი ეს ისტერიული იყო, ელვასავით სწრაფი.

ზღაპარი გათავდა. აღარ იყო გმირი. მისი ადგილი ტანზე გაბატონებულმ-მხეცმა დაიჭირა (არც ეს არის უჩვეულო).

თვით ნაბინამ იგრძნო შეურაცყოფა ასეთი ქცევის. და აი, მოთენთილი უიმედო, გაურკვეველი და არა ჩვეულებრივი აზრებით თავში, დაქანცული და ნატკენი გულით, დაუბრუნდა საევარელ მამას, პატარა ქალაქს, სადაც მან გაატარა თავისი ბავშობა, სადაც ყველაფერი ძვირფასი და მშობლიური იყო. დაუბრუნდა თავის დიდ ცაცხვებიან და კვიპაროსებიან ბაღს, სადაც ისე საიდუმლოთ ანათებს მთვარე.

აქ, ამ ბაღშია ნაბინა ეხლაც. დადის და ფიქრობს. ზანტია ფიქრები.. გაურკვევი სევდა... საშინელი სიმარტოვე... და ნელა ღრღნის გულს რაღაც მძიმე, მძიმე...

თმა-გაშლილი ნაბინა დადის ბაღში და მთვარე ჰკოცნის საუცხოვო ქალს.

6.

მოსწყინდა ბაღი. მოსწყინდა სიმარტოვე. ფიქრი დაკარგულ სიყვარულზე, უბედო ბედზე. დადის და აზმორებს ზანტად.

ზაფხულის ცხელი დღე სთენთავს ასულს. გადადის ბაღის კუთხიდან კუთხეში, ჰკითხულობს მრავალჯერ წაკითხულ წიგნებს. ათასში ერთხელ დადის ბაზარში ან საყდარში, სადაც სიარული იშვიათად უყვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობს: წინგანუსაზღვრელი, უფსკერო სიცარიელე, დაუსრულებლობი. თითქოს მოწყვეტილი... გარშემო ლურჯი სიმარტოვე—უმეგობრობა.

ხშირად ლანდივით ადგება საწოლიდან და დადის ბალში ფიქრებით, შავი გაურკვევი ფიქრებით. „საიდან საით“,—ჰკივიან თავში და ელავენ, ელავენ ფიქრები მოუსვენრად.

ათასში ერთხელ მივა როიალთან და აათამაშებს ბროლის ხელებს კლავიშებზე, და აჰყვება აკორდი აკორდს. უცბათ უხეშად მოსწყვეტს, გადასტეხავს ხმას და გველ-ნაკბენივით წამოხტება. ალბად წარსული გადაფურცლა რომელიმე აკორდმა, უსიამოვნოდ დაუხატა რომელიმე სურათი.

— სულერთია!—ჩაიქნევს ხელს სასოწარკვეთილი და აჰყვება ახალერდებულ დარბაზებს.

7.

ის დადის და ათვალიერებს ყველაფერს. სინჯავს ქალაქის ყოველ კუნჭულს. აინტერესებს ყველაფერი.

ქალაქში მასზე ეხლა უფრო მეტს ლაპარაკობენ. ეს მისთვის სულ ერთია, რაც უნდა სთქვან. ის აწყობს მომავალ გეგმას.

„ამ ქალაქში რამოდენიმე ქარხანაა. ძალიან კარგი. დაახლოებით ათასი მუშაა. ეს კარგი ძალაა. ქარხანაში მუშაობენ გლეხებიც. ესეც საინტერესოა. საჭიროა მჭიდრო ორგანიზაცია, თუ ის არ არსებობს. აუცილებლად საჭიროა მაგარი ორგანიზაცია“.

ფიქრობს, ზომავს ქუჩებს.

გასცდა ქალაქსაც. იწყება მინდვრები. გრძელ გზატკეცილზე მოსჩანან ურმები. ქალაქიდან სახლში ბრუნდება გლეხი.

ფიქრებში წასული, შემთხვევით დააკვირდა გზაზე მომავალ ქალს. ლამაზად აცვია. მშვენიერი ტანი. დაინტერესდა—ისე, ცოტა, ოდნავ. ქალი ქალაქისკენ მოდის, ნაბიჯი ნელი აქვს. უპირდაპირდება.

„დიდებულია!“—გამოერკვა. აღტაცებულია. მისი სახე წუთით ჰკარგავს შუბლზე ნაოს. დაუპირდაპირდა.

თითქოს სადღაც უნახავს. სად... სად... სად?!.

ქალმა თავი ასწია, შეხედა (თითქოს შეკრთა კიდეც), თავი დახარა და გაიარა ნელი რხევით.

სად... სად... სად...

გააყოლა თვალი მშკენიერ ასულს.

სად... სად... სად...

მოაგონდა. გაეცინა.

„იმის სურათია“—გაიფიქრა, ამოიღო უბიდან პორტრეტი. ერთხანს დაეცქერდა. შემდეგ უცფათ მოტრიალდა და უკვე მიმალულ ქალს დაედევნა. შორს წასულიყო.

მირბის. მიუახლოვდა. შესდგა. შესწორდა. მივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს ცოტა უხერხულად გრძნობს. ფიქრმა მაინც გაიელვა: „ალბათ, ჩემი სახე მაინც არა სჩანს“.

— უკაცრავად!

ქალი შეკრთა. მოიხედა.

ქალს პორტრეტი გაუწოდა:

— თქვენ დაჭკარგეთ ალბად. ეს მე გზაში ვიპოვე.

ქალმა დახედა. გაკვირვებამ დასერა სახე.

— დიახ, ჩემი სურათია.

პაუზა.

— მაგრამ საიდან, მე იგი თან არა მქონია!

— რა მოგახსენოთ.

ქალმა თავი ასწია, კვლავ შეანათა თვალები და კიდევ დასწია. ასე რამდენჯერმე.

ვაჟი შეინძრა.

— უკაცრავად. ნება მიბოძეთ.

ხელი გაუწოდა.

ქალმა თითქოს ორქოფობობით ასწია თავისი.

— დანიელ ჯაკობია.—მოესმა ქალს ცივი დაბალი ხმა.

კიდევ შეკრთა თითქოს. შეხედა ეხლა უფრო ხანგრძლივ.

— აა... თქვენ? გამიგონია.

— როგორ?

— ქალაქი დაინტერესებულია თქვენით.

— ისე, როგორც ყველა ახალი მოქალაქით პატარა ქალაქი.

— აა... არა, უფრო, უფრო,—ჩაიცინა ქალმა და კეკლუცი ღიმილი ბათა-მაშა.

პაუზა.

— რად სეირნობთ ასე... მარტო?—იკითხა დანიელმა.

— ისე, მომინდა.

— ძალიან გიყვართ?

— არა.

პაუზა.

— უკაცრავად.

— ბრძანეთ.

— თქვენი სახელი, ქალბატონო?

— მეძახიან ნაბინას. უცნაური სახელია, არა? მამაჩემის ერთმა კარგმა მეგობარმა, ინდოელმა ექიმმა დამარქვა. ასე შემრჩა ეს სახელი.

— ნაბინა... ნაბი...

— დიახ.

— კარგი სახელია.

პაუზა.

— თქვენ აქ დიდი ხნით?—იკითხა ქალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიცი.

— რამ გადმოგაგდოთ ამ სოროში?

— ჩემმა ხელობამ.

— მაინც?

— მიყვარს ხეტიალი, ქალბატონო. ხან დიდ ქალაქებს ვესტუმრები, ხან პატარა მომენატრება. ხშირად ვატარებ სოფელშიდაც დროს, ან სულ შორს მთაში.

— ალბად ძალიან საინტერესოა.

— ოო, უზომოდ!

— ბევრი ლამაზი შემთხვევები?

— მაგალითად, როგორც დღეს.—დასძინა ვაჟმა და ჩაეცინა. ქალსაც. დანიელმა თავი თავისუფლად იგრძნო.

— თქვენ, ალბად, დასასვენებლად დიდი ქალაქიდან?

— მგონი უფრო დიდი ხნით, ვიდრე თქვენ.

— როგორ?

— ეს ჩემი სამშობლო ქალაქია.

— ეგ არ დაგიშლით აქედან წასვლას.

— სად?—უიმედოდ სთქვა ქალმა. ხელი რაღაც ნერვიულად ჩაიქნია და დალონებულმა გახედა ქუჩას, რომელსაც ისინი ნელა მისდევდნენ.

— ქვეყანა დიდია. მაძიებელი ბევრი. სიცოცხლე თქვენში.—თითქოს თავისთვის ჩამოსთვალა ვაჟმა.

მიუახლოვდნენ სახლს.

— ჩვენ ახლოს ვცხოვრობთ.

— როგორ?—იკითხა ნაბინამ.

— აი მე, თქვენს პირდაპირ, ამ სასტუმროში.

— აა... სასიამოვნოა.

— ხშირად ვისმენ თქვენს მუსიკას.

— არ გირჩევთ.—ჩაიცინა ქალმა. მიიპატიჟა ვაჟი შემდეგისთვის და დაემშვიდობა.

ცოტა ხანს შემდეგ, დანიელ თავის უცნაურ მეგობარს ესაუბრებოდა.

— ინონა, იცი, მე დღეს შევხვდი იმ ქალს შენ რომ პიტრეტზე ისე ძლიერ მოგეწონა. საუცხოოა... დიდებულია! ყველაფერი ეს მე ძალიან მაინტერესებს. ჩვენ ალბად აქ კარგა ხანს დავრჩებით. უნდა შევეჩვიოთ ამ ქალაქს, ძვირფასო მეგობარო, საყვარელო ინონ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავი-ვეიზარ

ბადატეხილი კვიპაროსი

I.

შემოდგომა ესტუმრა ქალაქს. წვიმები გახშირდა. შესამჩნევად ადრე ღამდება. ხშირია ქარი ბნელ ქუჩებზე. ფოთლებს სიყვითლე შეეპარა, მაგრამ ჯერ კიდევ თბილა. შემოდგომის მთვარე ანათებს ბაღს. ნაბინა პატარა ქანდაკს მიჰყრდნობია და უყურებს მის წინ დაცვენილ ხის ყვითელ ფოთლებს; იქვე ჩამომჯდარა დანიელ და მათ შორის აყუდებულა უცნაური სიჩუმე.

— მაშ თქვენ ასეთი მკაცრისა და ეჭვიანის თვალით უყურებთ ყველას?.

— ყველას, ჩემო კეთილო ქალბატონო, რადგან წითელი თიხის კოკაც და ქაშანურის ლამაზი ხელადაც ერთი და იგივე თიხის ნაყოფია. მათში ერთნაირი სითხის მოთავსება შეიძლება.

— განა სილამაზეს, სადაც და როგორც არ უნდა იყოს ის, არ შეუძლია გაალხოს თქვენი სიმკაცრე?

— ერთ დროს ეგ მეც უსაზღვრო ბედნიერებად მიმაჩნდა. მაგრამ როცა დავინახე, რომ ის ბაზარზე გამოტანილი ყიდვა-გაყიდვის საგნად გადაქცეულიყო, მისდამი რწმენაც დამეკარგა.

— ამით ხომ თვით საგანს არა დაუკარგავს-რა?

— პატივისცემა დაჰკარგა.

— ეს თქვენი ეჭვის ნაყოფია.

— შესაძლებელია, რადგან ეჭვი გადამეტებული სიფხიზლეა. მე კი ყოველთვის ფხიზელი მაყურებელი ვარ ამ ცხოვრების.

— უარყოფა თავდავიწყების, არა?

— ყველაფერი ჩემს გარშემო და ჩემში, ნებას არ მაძლევს, თავდავიწყებას მივეცე.

— განა არ ყოფილა თქვენში წუთები, როცა ბედნიერება და სიხარული განუსაზღვრელი და დაუფასებელი ყოფილა?

— როგორ არა, ჩემო ქალბატონო. ეს მაშინ იყო, როცა ჯერ კიდევ მჯეროდა ზღაპრებისა და, ყველაფერს მინდობილი, თავის-მოტყუება სიხარულად მიმაჩნდა.

ამ სიტყვებმა კიდევ გაამეფეს სიჩუმე და, კარგა ხნის შემდეგ, ნაბინამ თითქოს თავისთვის ჩუმათ ჩაილაპარაკა.

— ალბათ ბევრი გინახავთ, რომ ასეთის სიცივით უყურებთ ქვეყანას.

— შესაძლებელია, მაგრამ ამაზე შემდეგ. უნდა გითხრათ, რომ ყველაზე ნაკლებ მიყვარს ჩემს თავზე ლაპარაკი.

ხანგრძლივი პაუზა. სიჩუმე აივნიდან გადმოძახილმა ხმამ გასერა.

ნაბინა შეკრთა. შესწორდა

— ოთახში გვიხმობენ.—სთქვა ქალმა და გაჰყვა ყვითელი ფოთლებით მოფენილ ხეივანს.

დანიელ უსიტყვოდ მისდევდა ქალს და მხრებს ნერვიულად ათამაშებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

სასადილო ოთახი. მაგიდაზე, ყველაფერთან ერთად—შემოდგომის მჭლე ყვავილები.

მაგიდასთან სხედან და სამხრობენ: თავადი შერვაშიძე და მისტერ ჯონ ჰაირტონ. (ამ კაცს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით). აქვეა ექიმი, რომლის სახელი და გვარი ძალიან ხშირათ ავიწყდებათ; არც გასაკვირია, რადგან თითონაც ავიწყდება ხოლმე. მშვენიერი მოხუცი, გულკეთილი, ცოტა ბრმა, ცოტა ყრუ, მაგრამ ეს მას ექიმობას სრულიადაც არ უშლის.

ბალიდან დაბრუნებულებმა გაამხიარულეს მოწყენილი მაგიდა. მისტერ ჰაირტონ გაბრწყინებული სახით მიეგება ნაბინას, მის სიახლოვეს მოიკალათა და გამოცდილი, გათამამებული არშიყის ქცევით შეჭურვილი, ამუსაიფდა.

ექიმი და დანიელ უკვე იცნობდნენ ერთმანეთს (ასეთი იყო ჩვეულება ექიმის: ქალაქში ჩამოსულ უცხო სტუმარს, ყველაზედ უწინ გაიცნობდა. თუ ასე არ მოხდებოდა, თავს დამცირებულად გრძნობდა და სტუმარზედაც სამუდამოდ გულს აიყრიდა).

სასადილო მაგიდაზე—ბაასი ყველაფერზე და არაფერზე. ახალი ამბები ქალაქში—სიძვირე ბაზარზე—ახალი ავადმყოფობა—ცოტა პოლიტიკა—სამართალი და სხვა.. ბოლოს, საერთო ლაპარაკიც შესწყდა. ნაბინას ყურადღება მთლად, აღტაცებით მობაასე მისტერ ჰაირტონმა მიიპყრო. დანიელ და თავადი ექიმმა დაისაკუთვრა და ვრცელ ლექციას შეუდგა—„ჩვენში მალარიის გაძლიერების“ შესახებ,—წყნარი, აუჩქარებელი, გადაბმული ხმით.

კარგა ხანს გაგრძელდა ასე.

მოთმინებიდან გამოსული დანიელ გრძნობდა, რომ ჩვეულებრივი თავდაპერილობა ეკარგებოდა და ბოლოს, ღონემიხდილმა, ექიმს ცოტა უხეშად შეაწყვეტინა:

— იცით რა, ყველას ემჯობინება, რომ ამ საკითხს თავი დაანებოთ. სულ ერთია, მე მაინც არაფერი მჯერა თქვენი და საერთოდ მთელი მედიცინის. ხალხურ წამლებს უფრო მეტი ნდობა აქვს ჩემს თვალში, გამოცდილი დოსტოქარი უფრო პატივ საცემია, ვიდრე მთელი პლეადა ექიმების. მშვენივრად იცით თქვენ, ექიმო, რა არის მალარია, სად იწყება ავადმყოფობა, სად გადადის, და რით თავდება, მაგრამ ეს ავადმყოფისთვის ხომ სულ ერთია. თქვენ კიდევ კარგა ხანს მოანდომებთ ალბად იმის გამორკვევას, რომ ყველა კოლოს ვაკბენი გამოიწვევს ავათმყოფობას, თუ მხოლოდ ერთი გათახსირებულ ჯგუფის ბრალია. დამერწმუნეთ, ავადმყოფისთვის ესეც სულ ერთია. ავადმყოფი მიზეზს არ ეძებს, ავადმყოფი განკურნებას ითხოვს. აი, თუნდაც თქვენ, ძვირფასო ექიმო, იმის მაგივრად რომ ხალხს წამალი მიაწოდოთ, ყველგან დადიხართ და სრულიად გაუგებარ ლექციებს კითხულობთ საათობით...

გაჯავრებული დანიელ უცბად გაჩუმდა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა და მხოლოდ კარგა ხანს შემდეგ ნაწყენი ექიმის ასლოკინებული ჩურჩული მოისმა.

— მე პირველ შეხვედრის თანავე გითხარით, ბატონო დანიელ, თქვენ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ოდესლაც მალარიით ყოფილხართ შეპყრობილი. საშინელ მალარიით. როგორ-ლაც გადაგიტანიათ და ეს მას შემდეგ არის ალბად, რომ თქვენ ასეთი ავადმყოფური გამოხედვა გაქვთ და ხშირად ანორმალური კაცის შთაბეჭდილებას სტოვებთ: აი, აი, მაგალითად ეხლა... თქვენ...

ᲐᲥ ᲔᲥᲘᲛᲛᲐ ᲐᲚᲐᲠ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲯᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲝᲗᲐᲮᲘᲓᲐᲜ.

ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲘ ᲡᲘᲩᲣᲛᲔ, ᲓᲐᲠᲑᲐᲘᲡᲔᲚᲛᲐ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲐ. ᲑᲐᲐᲡᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲢᲔᲠ ᲰᲐᲘᲠᲢᲝᲜ ᲜᲐᲠᲓᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲒᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔᲓ ᲐᲠ ᲨᲝᲡᲣᲚᲘᲧᲝ, ᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗ-ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲛᲐ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲛᲐ ᲨᲔᲐᲢᲧᲝ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ, ᲓᲐᲣᲧᲝᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲨᲘᲘᲞᲐᲢᲘᲐ. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲣᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚ ᲝᲗᲐᲮᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲛᲐᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲢᲝᲜᲣᲠᲘ ᲩᲮᲠᲘᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗᲐ ᲗᲘᲗᲘᲗ ᲝᲠᲝᲚᲐ ᲑᲔᲓᲖᲔ ᲬᲐᲛᲝᲡᲠᲝᲚᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲡᲛᲐ.

— ᲙᲐᲛᲐᲗᲔᲚᲝ, ᲓᲣ-ᲨᲐᲨᲘ, ᲙᲐᲛᲐᲗᲔᲚᲝ, ᲨᲐᲨᲘ-ᲘᲐᲥ.

ᲜᲐᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲐᲜᲡ ᲘᲡᲮᲓᲜᲔᲜ ᲩᲣᲛᲐᲓ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲡ ᲙᲐᲛᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲮᲠᲘᲐᲚᲡ ᲐᲧᲝᲚᲔᲑᲓᲔᲜ.

ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲡ ᲐᲑᲠᲐᲖᲔᲑᲓᲐ ᲔᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲡᲘᲩᲣᲛᲔ. ᲒᲐᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲡᲐᲓᲐ ᲘᲛᲔᲕᲔ ᲡᲐᲒᲐᲜᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲐᲨᲢᲔᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ: ᲛᲐᲨᲘᲜᲚᲣᲠᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲘᲓᲐ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ; ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲙᲐᲛᲘ ᲘᲓᲒᲐ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲤᲔᲮᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲐᲖᲘ ᲘᲧᲝ ᲭᲔᲠᲖᲔ, ᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲦᲘᲚᲘ ᲣᲩᲐᲜᲓᲐ ᲜᲐᲑᲘᲜᲐᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲐᲯᲣᲠᲖᲔ. ᲔᲠᲗ ᲮᲐᲜᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲪ ᲓᲐᲐᲐᲠᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲡᲬᲘᲐ ᲒᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲙᲔᲜ. ᲙᲐᲠᲨᲘ ᲥᲐᲠᲘ ᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲚᲐᲪ ᲪᲣᲓᲐᲗ ᲮᲣᲘᲓᲐ ᲑᲣᲮᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲐᲛᲣᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ...

ᲗᲣᲛᲪᲐ...

4

ᲥᲐᲠᲘ ᲐᲤᲐᲠᲤᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲐᲬᲧᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲣᲠᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲡ. ᲑᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲘᲡᲛᲐ ᲮᲘᲡ ᲮᲛᲔᲚᲘ ᲢᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲣᲕᲔᲛᲣᲠᲘ ᲭᲠᲘᲭᲘᲜᲘ.

— ᲪᲣᲓᲘ ᲥᲐᲠᲘᲐ, ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲮᲔᲔᲑᲡ ᲓᲐᲛᲘᲛᲢᲕᲠᲔᲕᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ.—ᲡᲗᲥᲕᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲐᲠᲫᲔᲚᲨᲘ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲓᲐ.

— ᲰᲝ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲐ.

— ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲛᲝᲔᲩᲕᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ

— ᲠᲝᲒᲝᲠ?

— ᲬᲘᲜᲐᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲐᲢᲧᲓᲔᲑᲝᲓᲐ.

— ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ!

— ᲐᲚᲑᲐᲓ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲧᲕᲐᲗ,—ᲘᲮᲣᲛᲠᲐ ᲜᲐᲑᲘᲜᲐᲛ.

— ᲥᲐᲠᲘ?.. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ,ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ.

— ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ.

— ᲠᲐ?

— ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲔᲗ.

— ᲛᲔ ᲙᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ...

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲘᲩᲣᲛᲔ, ᲮᲣᲮᲣᲜᲘ ᲥᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲮᲠᲘᲐᲚᲘ ᲑᲐᲦᲨᲘ.

— ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲔ ᲒᲐᲓᲐᲢᲔᲮᲝᲡ,—ᲰᲙᲐᲜᲙᲐᲚᲔᲑᲡ ᲜᲐᲑᲘᲜᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შესაძლებელია ბევრი, შესაძლებელია არც ერთი.

— საწყალი ბაღი.

— თქვენ გაწუხებთ ალბად პატარა კვიპაროსი. ის ხომ თქვენ ისე ძლიერ გიყვართ.

ნაბინა გაფითრდა და კანკალით წამოიწია.

— რას ამბობთ!

—ის ისეთ ალაგას სდგას...—დაჟინებით გაიმეორა დანიელმა.

— მართალია.

— ქარი ჩქარა მიუდგება.

— მართალია!

ნაბინა ველარ ითმენს: ქარი ცოფ-ნარევი ღრიალებს.

— ღვთის გულისთვის!.. წავიდეთ, ვნახოთ.—ქალი გავარდა მეორე ოთახში, მოიფარა გრძელი ქაშმირის შალი. დანიელ ღიმილით წამოადგა. რაღაც უცნარი აღფრთოვანებით უყურებდა, პატარა ხის სიყვარულით ატაცებულ ქალს. გავიდნენ.

ქარმა აგურ-ნაყარ ბილიკიდან მოიტაცა ქვიშა და პირში მიაყარა. ბაღი აღელფებულ ზღვასავით ქანაობდა. ტოტი ტოტს სწვდებოდა, ხე ხისკენ იზნიქებოდა, და თითქოს ვილაც უცნაური სილუეტები ქანაობდნენ ხის თავებზე.

ქარი გველ-ნაკბენი დასისინებდა. მთვარე თითქოს უზუნდარას სცეკვავდა რძესავით აჭრილ ღრუბლიან ცაში.

ისინი მისდევდნენ ბაღის ლამაზ ბილიკს. ქარი თითქოს არ უშვებდა მათ ხან გადმოსხეპილ ტოტს ჩაუგდებდა მიმავალი ფეხებში, ხან აგურის ხრეშს მიაყრიდა თვალებში.

ნაბინა შეშინებული მიიჩქარის საყვარელ ხისკენ, განსაკუთრებით უყვარს ბაღის ბოლოში, მოედანზე, კლდის ნაპირას მდგომი პატარა კვიპაროსი, და არ უნდა რომ ქარმა გადატეხოს ყველაზე საყვარელი ხე ამ ბაღში.

დანიელ ფეხ-და-ფეხ მისდევს აჩქარებულ ქალს. თვალები ანთებია, თმა ქარს უწყალოდ აუწეწნია და პირზე თითქოს დამცინავი ღიმილი ახატულა. საერთოდ მისი აბეზარი სახე ამ ქარიან ღამეში ღამაზია და მიმზიდველი. აუჩქარებელი, დაწყნარებული, თითქოს გრძნობს რაც უნდა მოხდეს. გამოჩნდა მინდორი. შორს-სილუეტი გადაზნექილი კვიპაროსის. ნაბინამ სიხარულით შეჭკივლა და ბიჯს აუჩქარა. ქარი ზურგში სცემს მძლავრ ტალღას ტალღაზე- მინდოზრე ერთ წუთს შეჩერება არ შეიძლება.

კვიპაროსი თან და თან იზნიქება კლდისკენ, უახლოვდებიან ხეს—სულ ახლოს. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი. გახარებული ნაბინა ხელებსა სწვდის. დანიელ უცნათრად იღიმება.

ქარი აწყდება კვიპაროსს, რამდენჯერმე გადაჰხრის წელში, რამდენჯერმე შეიქნევს თავს ობოლი და, წელში გადამყდარი, ხრამში გადაეშვება.

კვიპაროსი გადატყდა შუაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბინას ხელები ჰაერში შერჩა. ქარმა მოსტაცა ქაშმირის შალი და გადატეხილ კვიპაროსს, როგორც ცხედარს, შემოახვია.

ნაბინას თითქოს რაღაც გაუტყდა გულში, ეტკინა ქალს ქარის ცელქობა დაღონებული და აკრემლებული უცქეროდა გადამტყდარ კვიპაროსს. და შემდეგ თითქოს თავის თავს ჰკითხა.

— აღარ იხარებს ნეტა?

— მგონი რომ აღარ.—უპასუხა დანიელმა და აჭრელებული გამოხედვით შეხედა ქალს. უცნაურ გლოვად ჩასწვდა სიტყვები ნაბინას გულში, ააკრეოლა და გააოცა.

— წავიდეთ.—სთქვა ცივად ქალმა და კლდის პირს გაშორდა,

ჩუმად დაბრუნდნენ ოთახში. სასტუმროდან კიდევ ისმოდა მონარდეთა ჩახრინწული ხმა.

— დუ—შაში, კამათელო!.. შაში-იაქ!.

5.

დანიელ გამოეთხოვა ნაბინას. ჩქარი ნაბიჯით გადასჭრა ქუჩა და სახლში ავიდა. რამდენიმე წუთი და კვლავ დბუბრუნდა ქარიან ქუჩას. ხელში რაღაც ცოცხალი ეჭირა და მაგრად იხუტებდა ქარისგან გათოშილ გულზე.

— ინონ.. იცი, კვიპაროსი გადატყდა შუაზე. ამას მე ვგრძნობდა, ხა-ხა-ხა! მე გატყობ, შენ, გიხარიან, გიხარიან რომ ქარმა კვიპაროსი შუაზე გადატეხა, ჩვენ ამ ქაოაქში ბედი გვწყალობს, ინონ, ამას შენც ატყობ.

6.

რაღაც უცნაური სიზმრებით გაათენა ის ღამე.

ბევრი რამ მოაგონა გადატეხილმა კვიპაროზმა.

უცნაური, გამოუცდელი სევდა კვლავ ლოდივით დააწვა გულზე. კარში ქარი კიდევ ანადგურებდა ბაღს და მის ხრიალში თითქოს ისმოდა ცივი ირონიით და ბოროტებით სავსე ხმა ნაცრის ფერი კაცის.

„აღარ იხარებს მგონი“.

ეს სიტყვები არ ანებებენ თავს. მაგრა დახუჭავს თვალებს. თვალის ლრუებში ვარსკვლავებივით დაიბნევა მოციმციმე სხივები, ხან რგოლებივით დატრიალდება, როგორც აცეცხლებული რკალი, და ცეცხლიანი ასოებით დაიწერება.

„აღარ იხარებს“.

გაახელს თვალებს და მიბნედილ ოთახს ააყოლებს გამოხედვას. კედლებზედაც ატორტმანდება საზიზღარი სახე, გაიელვებს ორი ოქროს კბილი და პირიდან ამოჭყრის აღველფებულ სიტყვებს.

„აღარ იხარებს. აღარ... აღარ... აღარ“...

ტრიალებს საწოლში. სული ეხუთება. ჰგონია აღრჩობენ. აზრებს ველარ იკრებს. და თუ ოდნავ სისუსტე დაეუფლა, რაღაც ცივი, გამოურკვევი მძიმე ლოდივით დააწვება გულს და შეჰხუთავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვინ არის ეს კაცი?“—გაუელვებს თავში და კვლავ რიგი გამოუცნობ აჩრდილების, ოქროს კბილიან აჩრდილების, ნაცრის ფერ კოსტიუმებში.

„რა უნდა?“—სასოწარკვეთილი ეკითხება თავის თავს და ფართე საწოლი ვიწროდ ეჩვენება. ქუჩაში დაგვიანებული მგზავრის ფეხის ხმას შემოიტანს ქარი.

ცივი კოცნით მიეკრობა ტანს, გამოაფხიზლებს.

ნაბინა ნელი-ნელ ერკვევა. იკრებს გადამწყდარ ფიქრებს.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ გაურკვევი სევდა მაინც ღრღნის, მაინც!

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ასულის სული ოცნებისთვისაც დაზანტებულა. ქარი ᲐᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲡ ლამის პერანგს და თმა-გაშლილი ნიმფა გაჰყურებს თმა-გაშლილ ბალს.

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ.

ᲐᲓᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲘᲠᲔ.

1.

— მისტერ ჯონ ჰაირტონ!

— გისმენთ!

— რას ფიქრობთ თქვენ?

— რაზე?

— კაცზე, რომელიც დღეს თქვენს კანტორაში იყო.

— ძალიან მომწონს. ეტყობა მუყაითია, და ამასთანავე ერთად სარეკომენდაციო ბარათიც აქვს.

აქ მემანქანე ქალმა ისე ააწკრიალა საწერი მანქანა „რემენგტონ“, რომ ლაპარაკი შეუძლებელი იყო.

ის, ვისაც მისტერ ჰაირტონ უწოდეს, (ძველი ნაცნობია ჩვენი) ჰგავდა წმინდა წყლის ამერიკელს. იყო ამერიკელი და ამავე დროს მაღაროების დირექტორიც. უხდებოდა კიდეც ასეთი თანამდებობა მის ჭარხლის ფერ ლოყებს, წყლიანსა და სათვალეებისგან კიდევ უფრო გაწყალებულ თვალებს, ახოვან ტანსა და ჩიბუხს, რომელსაც პატივცემული მუდამ თან ატარებდა.

მისტერ ჰაირტონ ბედმა და უკანასკნელი ტეხნიკით მოწყობილმა გემმა აქეთ გადმორიყა და მან აქ იპოვა—ბევრი არაფერი, მაგრამ—მაღაროების დირექტორობა მაინც.

საერთოდ—ჩვეულებრივი ამერიკელი: სერიოზული, საქმიანი, მედიდური რომაულ ბატის ნათესავივით; უყვარდა; კარგად სმა, ჭამა, სუფთად ჩაცმა, სპორტი გაგიჟებით და კიდევ სხვა რაღაც... ჰო, ფული. (კულტურული ადამიანის განსახიერება). ეჯავრებოდა: სიზარმაცე, დაუდევრობა და სხვა და სხვა... ჯონ ჰაირტონმა, როგორც თვითონ ამბობს, დაასრულა ნიუ-იორკის ᲰᲝᲚᲘᲢᲔᲮᲜᲘᲙᲣᲛᲘ, მოიარა (ამასაც თვითონ ამბობს) მთელი ქვეყანა სამჯერ. ხშირად ლაპარაკობდა (უყვარდა ლაპარაკიც) სხვა და სხვა საგნებზე, დიდის რიხით და გამბედაობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, მესამე მოგზაურობის დროს, ბედის გადამტყდარი იალქნით მოადგა ჩვენს ქვეყანას... და განაცვიფრა მისმა სილამაზემ, მოხიბლა მისმა კეკლუცობამ. ერთი რამ საკვირველია—თავის წარსულზე არ უყვარს ლაპარაკი და ამაზე არც ლაპარაკობს არასოდეს მისტერ ჯონ ჰაირტონ.

ისე თუ იტყვის ათასში ერთხელ, გაკვრით, სხვათა შორის, რომ მარტოდ მარტოა და არავინა ჰყავს, მაგრამ... აპირებს იყოლიოს, რადგან აქ სხვა ყოფილა ქალის სისხლი და მისტერმა შეიყვარა ორი რამ: დირექტორობა და ქართველი ქალი. მართალია ხელდადებით ჯერ არავინ, მაგრამ აპირებს...

ესეც ბევრია ამერიკელისთვის.

დიახ ასეთი გახლავს ჰაირტონ, რომელმაც დღეს ერთ ქაღალდს ასეთი რეზოლიუცია წააწერა.

„მისტერ დანიელ ჯაკობია დაინიშნოს მაღაროებში უფროს ზედამხედველად“.

დირექტორი ჯონ ჰაირტონ.

2.

დღეები მისდევდნენ ერთი მეორეს. ხან ქარი იყო, ხან მზე ანათებდა. ხან თოვლის თეთრი ლამეები ისადგურებდნენ.

მეზობლები ბუხართან ლაპარაკობდნენ.

— დიდი ზამთარია.

— ცივი ზამთარია.

3.

მიწის გულს... მიწის გულს... მიწის გულს...

მედგარი დარტყმა წერაქვის—რამოდენიმე გადმონგრეული ბელტი. სულის შემხუთველი ჰაერი. ვიწრო სორო, ოდნავ ამუქებული სანთურით და მიწაზე გაწოლილი მაგარ კუნთიანი მაღაროელი.

ბნელა. ნაკვერჩხლები სცვივა წერაქვ-ნაკრავ ქვას და ხრიალით გორდება ბელტი ბელტზედ.

მკლავები მოელალა. ოფლი თვალებს უჭამს. სული ეხუთება. არაფერია. ნაჩვევია.

წერაქვი მონოტონურად კაკუნებს და დაგორებული ბელტი ჟღრიალებს.

მიწის გულს... მიწის გულს... მიწის გულს...

წერაქვი შეაჩერა. წამოიწია. გადააფურთხა. ღონივრად გაილანძღა და მძიმე სუნთქვით მეგობარს მიუბრუნდა.

— ჯოჯოხეთია!

— ეშმაკმა დასწყევლოს ამისი მომგონი!—ამბობს მეგობარი და მომდგარ ოფლს იწმენდს. ჰაერი დატვირთულია ნესტით, ბუღით და მტვერით. მეგობრები ერთმანეთის გამურულ სახეებს ოდნავ ხედავენ.

— შენ იცი...—ჩურჩულებს ერთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა?..—ეკითხება მეორე და პირველისაკენ იწევს, ეკრობა მჭიდროდ, ოფლიან მკერდს მის მკერდს მიაყრდნობს და იმედიანი თვალებით უყურებს თვალებში.

ვიწრო და პირქუშ დერეფანში მოისმის ჩურჩული, თითქოს ფიცი, თითქოს ლოცვა იმედიანი.

— მე არ ვიცოდი თუ ეგ ასეთი კაცი იყო.

— ოო, ჯაკობია დიდებული მეთაურია!

— სანდო თუ არის?

— მხოლოდ ეგ შესძლებს გაგვაერთიანოს.

— საუცხოვოა!

— მოდი დღეს კრებაზე.

— იქნება ის?

— აუცილებლად.

— მოვალ უსათუოდ.

— მე გამომიარე, წაგიყვან, მარტო ვერ შეხვალ.

— ძალიან კარგი.

— დღეს საინტერესო კრება იქნება.

— ბევრი ამხანაგი ესწრება კრებას?

— ფრთხილობს, ბევრს არ უშვებს.

— დღეს რომ ბევრი იყოს?

წინდაწინვე იცის რამდენიც იქნება.

— ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— ჩვენ დიდიხანია ველოდით ეგეთ კაცს. ძალიან ფრთხილია.

— წარჩინებულ საზოგადოებაში რომ არის ჩაბმული?

— იმისთვის, რომ პოლიციას თვალი აუბას.

— სამსახური კი ჩვენთან მისცეს.

— იმიტომ, რომ მისი ჩვენთან სიახლოვე აუცილებელია.

— მაინც საჭიროა გავფრთხილდეთ.

— ს ს ს... აქეთ მოდიან. აიღე წერაქვი.

წერაქვი ატოკდა. ბელტი დაიძრა და გაისმა ჟღრიალი—

მიწის გულს... მიწის გულს... მიწის გულს...

4.

დაიწყო დღეები ნერვიული და არა ჩვეულებრივი ფხიზელი. მას ცოტა სძინავს. თავის ოთახში ღამეებს ათენებს წიგნების კითხვაში. რალაცას სწერს. ერთი თვეა პირი არ გაუპარსნია. ცოტა ჭუჭყიანი საცვალი აცვია. გაქონილ ყელსაბამს აღარ იხსნის. ცოტა აჩქარებული მიხვრა-მოხვრა აქვს. სახის კუნთები ჩვეულებრივზე უფრო დაჭიმული. დაბნეულია. ხშირად ავიწყდება, რომ ქუჩაშია.

უცნაურად ათამაშებს მარჯვენა ხელს. სასტუმროს უფროსმა უკვე რამდენჯერმე შეამჩნია, რომ სახლში ჩვეულებრივზე უფრო გვიან ბრუნდება. ქალაქში ლაპარაკობენ, ვითომ უყვარდეს ქალაქის მოურავის ლამაზი ქალი. ზოგი

ეროვნული

ფიქრობს, რომ სამსახურის ბრალია, თითონაც ამას ამბობს, [illegible] სცალიან თავის თავს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

ქალაქში უკვირთ—არაფერი არ იციან.

5.

სდგას და დაჰყურებს.

მის წინ ადუღებული საკირე.

შავი გვირაბები. გზა ჯვარედინები. პირ-ღია ლიფტები. წრიპინა რონოდები. მაგარი ჯაჭვები.—რკინა.

ყველაფერი—ერთმანეთში გადალესილი. ჩქარი, უდგომი—ზილფო და მტვერი, ბოლი, ნახშირი, ორთქლი და ოფლი.

რონოდა რონოდაზე ტვირთ-მძიმე წრიპინით. ამონადენი, მონადენი—ოქრო. თითქოს სიცოცხლე აქ იწყება, და აქ თავდესა ამ მიწის გულში.

არც ერთი ვარსკვლავი, არც ცა, არც ღრუბელი, არც დღე, არც ღამე—გარშემო ნახშირია და შავი ქვა. ბნელში მოსჩანან სილუეტები მაღაროელების. გამხმარი და კუნთიანი სახეები. გაწეწილი თმა, ოფლით და ნახშირით ალესილი სახე და ტანი. ეს ხალხი—ნახევრად მიწა, ნახევრად ხალხი. დადიან და ილანძღებიან. შრომით მოქანცული სახეები იღიმებიან სიბნელეში იმედიანად და ისევ ჰქრებიან. ადუღებულ საკირეში აჩრდილები აქა-იქ, აქაც და იქაც, ყველგან, უამრავი.

ჯარი განწირულთა აქაფქაფებულ საკირეში, რომ ჩაჰბღუჯვიან მიწის გულს და თავ-დავიწყებით ღრღნიან მას.

„აქ არის განიხრული ცხოვრება. რომელს ეცოდინება უკეთ ფასი ცხოვრების?“ ასე ფიქრობს შეშინებული დანიელ ჯაკობია. სდგას მაღაროს ვიწრო დერეფანში. უყურებს სილუეტებს, რომ დადიან და ილანძღებიან, რომ დადიან და სწყევლიან გაჩენის საათს. და სიყვარული მათდამი იღვიძებს მასში. განუსასღვრელი სიყვარული და სიბრალული. და ნაცრის-ფერი კაცის გამსქვირვალე თვალები სველდება ცრემლით.

მუშები დადიან, მოწიწებით აძლევენ სალამს ზედამხედველს და იმედიანად ულიმიან.

6.

ეს უამრავი ღამეები მათთან ყოფნის, მათთან ერთად იმედიან მომავალზე ფიქრის, იმედი ამ ქვეყნიურ სამოთხის ხილვის. და აი, იმედიანი ოცნება თეთრ პურზე, სუფთა ლოგინზე. მის წინ, როგორც ლეგენდა რული სამყარო უბოლოვო, ისე იზრდებიან, ძლიერდებიან ერთ უძლეველ, ერთ უდრეკ, ერთ ულმობელ რაზმად, მეორე ნაპირს დარჩენილნი უკანონონი—თეთრი პურისთვის და სუფთა ლოგინისთვის.

და აი, ის სდგას სადღაც ნოტიო სარდაფში. ჭრაქი ოდნავ ანათებს დასველებულ კედლებს. მის გარშემო ოციოდე კაცია.

სიჩუმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა უყურებს—რას იტყვის მასწავლებელი. ყველას უნდა გასცეს ყველაფერი. ყველას უნდა, მისწვდეს უსამართლობის ამოცანას.

და ის, როგორც ქრისტე, მდგომი მათ შორის, ჰქადაგებს.

— ამხანაგებო... მოვა დღე განკითხვის და მაშინ მიწის გულიდან ვით ჭიანჭველა უამრავი, დაიძვრებიან განწირულნი. და ვით ვეფხვნი დაუდგრომელნი, ვით ლომნი ძლიერნი, გასრესავენ უნასს მონებივრეს და მის საფლავზე გამართავენ ქეიფს გამარჯვების აღსანიშნავად...

ისმის მისი ხმა ვით მედგარი დარტყმა მიწის გულს, და ივსება მსმენელთა სული ტკბილი იმედით, და ფოლადდება კუნთები საბრძოლველად.

ასე მიდიან ღამეები.

სილუეტები ბნელ სოროებში უფრო იმედიანად იღიმებიან. ჩურჩული მათი უფრო საიდუმლოა, ხმა-უფრო მკვეთრი და დაფარული მუქარით სავსე.

საკირეში სიხარული თან და თან იზრდება. რიგები ივსება. მაღაროებში მასწავლებელი უყვართ, ხელმძღვანელს უგონებენ და მართლაც ის ყველგან მზად არის.

7.

კარში კი თოვს...

და ხშირათ, როცა ქარი ამოვარდება, მესაფლავეს სასაფლაოდან ესმის სიცილი. შეშინებული მესაფლავე ამ ქალაქიდან სხვა ქალაქში აპირებს გადასახლებას. ქალაქში არა სჯერათ. მესაფლავე კი ფიცით ამტკიცებს.

8.

დაქანცული ბრუნდება სახლში.

გააღებს ფანჯარას. გახედავს მოპირდაპირე სახლს, ამაყად რომ ამართულა. ს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნია, ეს უცნაური სიცარიელე არ აღივსოს ნაინატრ სურათებით? რათა გგონია რომ ყურდნობია და ცარიელი ყველაფარი.

რა გინდა შენ? რათ ელი უცნაურს, რათ გიყვარს უცაბედი, ინონ! ნუ ავცდებით! იქით კლდეებია! მე მაგონდება და ლანდივით მსდევს—გადატეხილი კვიპაროსი ნაბინას ბაღში... ოო! რა-რიგ აენთო ეგ თვალები ამ სახელის გაგონებაზე!

რა გინდა, ინონ!?

ნუ დამლუპავ!

ინონ, მიშველე!

და განართხული, როგორც ჯვარცმის წინ, ვედრებით სავსე სახეს აპყრობდა უცნაურ მეგობარს.

ამბავი მეოთხე.

ზღაპარი ნაცრის ფერი კაცის.

1.

ისევ წვიმიანი დარები ქალაქში. ატბორებული და ალაფებული ქუჩები. ნაცრის ფერი ცა. ბურუსიანი საღამოები, ნისლში რომ ხვევს ქალაქის შენობათა დამპალ სახურავებს. თითქოს მზე დაიღუპა სამუდამოდ. თითქოს ციენსტემ დაისადგურა ყველგან. ქარი დასისინებს გაყინულ ქუჩებში.

დიდი ხანია მეზობლებს არ მოუყრიათ თავი ჭიშკართან სალაპარაკოდ, მასალა კი ბევრია, ძალიან ბევრი.

მძიმე ბურუსი დასწოლია აფარდაგებულ ოთახს. თითქოს მილეულა ნაინატრი სურნელება, ბანოვანის ოთახს რომ სჩვევია. ყველა კოსმეტიკასთან ერთად, რალაც საიდუმლოთ ამაჟრჟოლებელი, დაჟენთილი სუნი ვნებით გადამწვარი ხორცის.

ყველაფერს ამას გადაჰფარებია ბურუსი ნესტიანი დღეების.

ნაბინა ნაზად მინელებულა სავარძელში და ხამუშად სწევს. ნაზად ნაქარგ კედლებიან ბუხარს აუწითლებია ნესტიანი ჰავა. ნაბინა უყურებს ცეცხლს, რომ ალაპლაპებულა, და თითქოს ცეცხლის მხიარული ალი მოწოლილს და ჩვეულ სევდას უქარვებს. წითელი ენების ნელი ხითხითი ავსებს ოთახის სიცარიელეს და არღვევს ჩამოლოდებულ სიჩუმეს.

უცნაური თვისებისაა ის—ცეცხლი. მისი ალი იმედს იძლევა. მისი ლაპლაპი აღბნევებს და ექსტაზურ სიმშვიდემდის მიჰყავს სული.

ნაბინას ალი უნათებს პირსა და მის, ისედაც ფერ მკრთალ სახეს, აფერმკრთალებს.

დარეკეს.

„გვიანია“—გაიფიქრა ქალმა და მაშინალურად დააცქერდა ცარიელ მაჯას. მსახურმა ამცნო:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დანიელ ჯაკობია.

— სთხოვეთ.

ცოტა შესწორდა, მდგომარეობა უცვლელი დაიტოვა. ნაუბეს გაუხშირა. შემოვიდა. თან შემოიტანა ნესტიანი დარის დაჟონილი სუსხი. მიუახლოვდა. როგორც ხატს. მოწიწებით აკოცა ქალს ხელზე და უსიტყვოდ მოპირდაპირე სავარძელში ჩამოჯდა.

პაუზა.

— მოულოდნელად მგონი.—დაარღვია სიჩუმე ჯაკობიამ.

— პირიქით.

— როგორ?

— ამ ბოლო დროს იშვიათად გხედავთ, მაგრამ დღეს მაინც გელოდით.

— ნუ თუ? საკვირველია!

— გე-ლო-დით...

ნაბინამ უცნაურად შეხედა ვაჟს, რაღაც არაჩვეულებრივი სიცხით არია თვალები და სახე მიბნიდა. მან თვალები აარიდა და ცოტა ცივად გადახედა ბუხარს. დაშტერებული ნაბინა ერდ წუთს შეკრთა. თითქოს რაღაც საბრალო დაინახა ამ კაცის ცივ სიამაყეში. შიშმა გაიარა, მაგრამ მაინც იყო რაღაც ცივი, გამოუცნობი ამ ნაცრის ფერ კაცში.

— ბუხარი?!—რაღაც უგრძნობლად, თითქოს თავისთვის წაილუღლუღა მან.

— არ გიყვართ?

— ერთ დროს—ძალიან, ჩემს ბავშობისას. როცა კარში ქარი ზუზუნებდა როგორც ეხლა, წვიმა ქოხის გაცრეცილ კედლებს ხარბად ასკდებოდა და საკვამურში ჭინკები რომ ჰყიდდნენ სულს, შეშინებული მოვიკალათებდი ბუხართან, დედის კალთაში თავს ჩავდებდი და უყურებდი აღველფებულ ნაკვერჩხალს. მხიარული ალი ბუხრისა მამხნევებდა და მავიწყდებოდა ჭინკების არული, ავქაჯები. და ისე ტკბილად მივიძინებდი, ბუხრის ალს მიჩერებული, ისე თბილოდა დედის კალთაში. ან და უსმენდი ბაბუას ნაამბობ ზღაპრებს ცხრა თავა მდევებზე და ლამაზ ფერიებზე. როცა საშიშო ადგილს გვიამბობდა, აკანკალებული ვეკროდი დედას და დაჟინებით უყურებდი ალაპლაპებულ ალს.

— ალარ გახსოვთ?

— რა?

— ზღაპრები.

— მახსოვს ზოგი.

— მიამბეთ ეხლა.

— ოო, თქვენ გინდათ ზღაპრებს დაუბრუნდე და ისიც ბუხრის წინ! მე ხშირად მინახავს ელექტროფიკაციის ჭინკები, რომ დასცინიან ცეცხლსა და ბუხარს, როგორ მოსწყურებიათ ალის დანახვა! ნახშირზე ნავთი გადაუსხამთ და სადღაც მიგდებული ქურა მოუნახავთ, რომ შეექმნათ ილიუზია ბუხრის. მხოლოდ ჩუმად, საიდუმლოდ... ეს ხომ სირცხვილია, სანტიმენტალიკა... ხა-ხა-ხა!.

— და მერე, თქვენც ამისი გეშინიათ? არ მოველოდი თქვენგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მე საერთოდ მიყვარს ზღაპარი, მაგრამ ის არ ეგულება ჩვენ-დროს. ზღაპარი სხვაა. ზღაპარი უდიდესი ხელოვნებაა ნიადაგის და მიწის. დღეს ხელოვნება არავისა სწამს. დღეს გრძნობაც გადაჭარბებული ზედმეტობაა.

— ეს უცნაური სიტყვებია.

— პირ-იქით.

— არ მესმის.

— მე ვამბობ საუკუნეზე.

— განა ის ასეთი ცივი და მიუკარებელია? განა არ შეგიძლიათ ამ საუკუნეში იპოვოთ ან სიმშვიდე ან განცდით სავსე წუთები?

— თავის მოტყუებაა.

— დეე იყოს თავის მოტყუება.

— დღეს სხვებს ატყუებენ.

— გუშინ?

— თავის თავს.

— ხვალ?

— ალბად ორივეს ერთად.

პაუზა.

— რა დიდებულია!—დაარღვია სიჩუმე ფიქრებში წასულმა ნაბინამ.

— რა?

— ზღაპარი და მისი ჩვენებური დაწყება.

— იყო და არა იყო რა?

— დიახ. იყო და არა იყო რა.—ქალმა ხელი მისკენ გადასწია—დანიელ მე მაინც მინდა...—აქ ქალმა ალერსი დაუმატა მიბნედილ თვალებს, და კატასავით დასჭიმა ტანი.

— რა, ჩემო ქალბატონო?

— მიამბეთ ზღაპარი. მე მინდა ამ წუთს გავშორდე ჩემს თავს. რა კარგი იქნება ეს ჩემთვის, რომ იცოდეთ, თხოვნას ამისრულებდით.

დანიელ ხანგრძლივ ჩააცქერდა ცეცხლს. ერთ ხანს დაავიწყდა თავისი არსებობა, დიდხანს უყურებდა გაშტერებით ბუხარს. თითქოს კითხულობდა იქიდან გრძელ ზღაპარს.

— რას ჰფიქრობთ?

— მაგონდება ერთი ზღაპარი.

—სთქვით.

— დამაცადეთ. კარგად მოვიგონო.

კიდევ ერთხანს ჩააშტერდა ნაკვერჩხალს ბუხარში. წვიმისწვეთები მონოტონურად მისდევდნენ ერთი-მეორეს ფანჯრის მინებზე. ქარი მშობიარესავით ჰკიოდა საკვამურში.

„კარში ისევ წვიმს“.—გაიფიქრა დანიელმა და ჩუმად დაიწყო.

2.

„იყო და არა იყო რა—ღვთის უკეთესი რა იქნებოდა!—იყო ერთი ტყის ფერია ალილლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად სდუმდა ტყე, სადაც სცხოვრობდა დედობალი ულრანის ტყისა, ალილლა.

სდუმდა ტყე. ჩუმი და ზანტად გაწოლილი, ჩრდილავდა და უგრილებდა ათრთოლებულ და ცხელი მზით ნათენთ ტანს, მწვანე ტანს ალილლას, რომელიც იყო ქალ-ღმერთი ულრანის ტყისა. და სიჩუმეს არ არღვევდა არც ერთი ტოტი ბნელის ტყისა. არ უყვარდათ ჩურჩური ფოთლებს მაშინ, როდესაც განისვენებდა მათი დედოფალი ალილლა. და იდგა სიჩუმე ბნელს, ასწლიან ტყეში. და არვინ არღვევდა მდუმარებას. და ეძინა ტყეს და სთენთავდა მას მზე ისარდაწვდილ სხივებით. ჰაერი არ ლოკავდა ტყის ულრანს. ის იდგა და ელოდა როდის შეინძრეოდა ტყის ასული, უდრეკი როგორც ტყე და ვნებიანი როგორც ცხელი ქვეყნის დამწვარი მზე—ასული ალილლა.

ხშირად დადიოდა ალილლა და ჰკრეფავდა მარწყვს, და თითქოს ვნებაამტყდარი ასული, ეძებდა ტყეში დაჟინებით, დაკარგულ ნივთს; ეძებდა ნივთს ალილლა და ჰკრეფავდა-ტყეში მარწყვს. როცა დაღლილი ალილლა ჩუმი ლანდურის სიარულით ბებერ ცაცხვებში, სისხლ ადულებული იღვიძებდა—შეინძრეოდა ულრანი ტყე, აშრიალდებოდა და ტოტები ტოტებს გადასცემდა კოცნას და დაიწყებოდა შრიალი, და დაიწყებდა ტყე თავის ძველ სიმღერას, მრისხანე სიმღერას. და აჰყვებოდნენ ჟამრავი, მაღალი ალვები, დაიწყებდენ ცეკვას—ცეკვას გიჟურს, იგრიხებოდნენ ტანში, იზნიქებოდნენ გატაცებულნი.

აგუგუნდებოდა ტყე და იყო გიჟური ქეიფი ტყის ფერიის. ალილლა, როგორც გველი, ასრიალდებოდა მაღალ ალვაზე და იქიდან ნაზად მონანავე, მაღალი ალვიდან გადაჰყურებდა მოგუგუნე ტყეს და თმა-გაშლილი ნიმფა დირიჟორობდა. ძვირად უჯდებოდა ეს ქეიფი ალილლას. უზომო იყო გადამტყდარი ალვა ქეიფის შემდეგ.

გაჩუმებული ტყე სტიროდა დაღუპულთ. თმა გაშლილი დედოფალი ფეხაკრეფით დადიოდა ცხედრებში და უცრემლოდ სწუხდა.

მაგრამ თუ ალილლას გიჟური აზრი მოუვიდოდა, თუ ალილლა ბრძანებდა ქეიფს კიდევ, ტყე კვლავ აგუგუნდებოდა, უფრო ძლიერ, უფრო მედგრად, და კონცენტი ტყის მისდევდა ფერ-შეცვლილ მაესტროს.

ასე სურდა ალილლას.

არ იცნობდა დედოფალი სხვა ქვეყანას გარდა თავისი ტყისა. ვნება აწვალებდა ასულს, მაგრამ ხომ იყო კონცერტი, სადაც დედოფალი იკლავდა ჟინს. და რაც უფრო დიდი იყო ვნება ასულის, მით საშინელი იყო ქეიფი ტყის და მით უამრავი—მოცეკვავე ალვათა ცხედრები. ემორჩილებოდა გაგიჟებულ დედოფალს ტყე.

ერთხელ ასული ჰკრეფავდა მარწყვს და თითქოს დაჟინებით ეძებდა ასული ტყეში დაკარგულ ნივთს. და შეუმჩნევლად გადასცდა საზღვარს. შეკრთა. ინდომა დაბრუნება, მაგრამ კლდე დახვდა უნაპირო. ალილლა შესდგა—კლდის ძირში დაინახა გამოქვაბული და გასწია მისკენ. გამოქვაბული ბნელი იყო და ისმოდა იქიდან კვნესა. უდრეკი ქალი მიიზიდა სიბნელემ, ალილლა შევიდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იპოვა: ჭაბუკი მკერდ-მაგარი მიჯაჭული იდგა და კვნესოდა. მის თვალებზე ღაშურებს მოეკალათნად, და იყო ჯვარცმული ჭაბუკი.

ალილლა აირია. აენთო ასული.

— რათ ჰკვნესის ჭაბუკი?

— აქ საშინლად ცივა.

— კარში მზეა.

— ოჰ, არ მიხსნის მე მზე მიჯაჭულს ცოდვებით.

— დასწყვიტე ჯაჭვი.

— აქ ბნელა, ასულო.

— მე სანთელს გიშოვნი.

და გაშალა გული ალილლამ და აჩუქა კოცნა მიჯაჭულ ჭაბუკს.

ჭაბუკი გმინავდა და გაუასკეცა ტკივილი კოცნამ. ვნება-ამტყდარი გულსავსე ალილლა კი წავიდა სანთლის საძებნელად.

ტყუილად ეძებდა ბნელი ტყე დედოფალს. ტყუილად აწუხებდა ზეცას ლრიალით. ტყუილად ილეოდა ტყეში ალვა.

ალილლა ეძებდა. გაიცნო ფერიამ ბევრი ქვეყნები. ხიბლავდა ყველას მწვანე დედოფალი და როგორც ქრისტეს, დასდევდენ ალილლას კარ-და-კარ ჭაბუნი. მაგრამ ალილლა ეძებდა სანთელს. სანთელი უნდოდა მიჯაჭულ ჭაბუკს. ჯვარს ეცვა ალილლა—არ იყო სანთელი. აცრემლდა უცრემლოდ და ვით მათხოვარი კარ-და-კარ მავალი, ეძებდა.

და როცა დაღლილი, ნაწამები მიადგა ერთ ტაძარს და ითხოვა სანთელი, მოხიბლულმა ქურუმმა ტაძრისამ, ალილლა ტაძარში მიიპატიჟა.

— რა გინდა, ასულო, და რას ეძებ?

— ქურუმო, სანთელი!

— რათ გინდა იგი?

— ვიხსნა!

— ვინ?

— სიყვარული, ქურუმო. თქვენგან განდევნილი.

ქურუმი შეკრთა. მომხიბლები ალილლა სთენთავდა ქურუმს. თვრებოდა დამპალი, და გაყინულ ძვლებს წყალი უდგებოდა.

— ალილლა!

— გისმენ, ქურუმო!?

— ალილლა! ოოჰ, მზიურო! შენ, ღმერთზედ დიდო შენის ვნებით! მიბრძანე, ავასრულო.

— ქურუმო, სანთელი!

— ალილლა, ფასი აქვს!

— სთქვი!

— ძვირია, ალილლა!

— სთქვი!

— საშინელია, ალილლა!

— სთქვი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, ცეცხლოვანო, მაქვს სანთელი, იგი იხსნის სიყვარულს.

— ფასი, ქურუმო!

— შენი ტანი, ალილლა!

აილეწა ასული. სიბრაზემ დასერა, სისხლი შეუჩერდა. უნდოდა გაქცევა, მოიგონა უმანკო ტყე და, უცრემლო, კვლავ აცრემლდა. დააპირა წასვლა ალილლამ, მაგრამ მოიგონა ჭაბუკი მიჯაჭული და აკვნესდა. გოიგონა პირველი კოცნა და ატოკდა. ყველაფერი იფიქრა ალილლამ და ბროლის ტანი გაყინულ ხუცესს დაუმორჩილა. ეწამა ალილლა და იპოვა ხსნა.

მიჰქროდა ალილლა და გული უტოკდა. წარსულს მომავალი ავიწყებდა. მიჰქროდა ალალლა და მიჰქონდა აელვარებული კვერთხი. და ნაწამები, საბედნიეროდ მიადგა დედოფალი გამოქვაბულს.

იყო სიჩუმე კლდის იქით ტყეშიდაც, ალბად ტიროდენ დაკარგულ დედოფალს. და ათრთოლებული ალილლა შევიდა მღვიმეში.

ბნელ სიღრმეში მოსჩანდა ჯაჭვი გაწყვეტილი და იქვე მჯდომი ჭაბუკი თავისუფალი. ალილლა სიხარულმა ააკვნესა. მიუახლოვდა და ჰკითხა:

— შენ ჯაჭვები გასწყვეტე და განთავისუფლდი, ჭაბუკო?

— გავნთავისუფლდი.

— რატომ არ გამოხვალ მზის სხივებზე ტანის გასათბობად?

— ბნელა, ი ედოფალო.

— ხომ ხედავ გზას, რომელსაც მე ვანათებ?

— მე ბრმა ვარ, დედოფალო!

3.

დაასრულა. ბუხარში ცეცხლი ჩამქრალიყო. წვიმის წვეთები მონოტონურად მისდევდენ ერთი მეორეს ფანჯრის მინებზე. ქარი მშობიარესავით ჰკიოდა საკვამურში.

„კარში ისევ წვიმს“.—გაიფიქრა დანიელმა და გამოსათხოვრად მოემზადა.

ამგავი მეხუთე

ბ ა ლ ა რ ი ა.

1.

ახავერდებულ დარბაზს გაჰყოლია ბრჭყვიალა შუქი ელექტროს ლამპრებისა. ფარჩისა და ატლასის მაგვარ პრიალა მატერიას დაუფარავს კედლები. ოქროს ფერ ჩარჩოებში ჩასმული სურათები შეჰფერებიან დარბაზის საერთო ფერს.

ფარჩა გადაკრულს ავეჯისაგან და გადახიდულ კუთხეთაგან მკრთალად გამოქრთიან თეთრი ქვისა და მარმარილოს ქანდაკებანი. სპარსული ხელოვნებით ნაქარგ მძიმე ხალს დაუფარავს იატაკი.

და ასე, შერჩეულ ფერებში ალივლივებულა დიდი დარბაზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2

სტუმრები თან-და-თან გროვდებიან. დარბაზი სავსეა პეპლის სინაზისა და მის ფერ მსგავს ქსოვილით ტან-დაფარული ბანოვნებით, დეზებიანი ოფიცრებით, ზრდილი ვაჟკაცებით. მასპინძელი—მისტერ ჯონ ჰაირტონ, მომღიმარი სახით მიიღებს სტუმრებს,—თავაზიანსა და ზრდილს თავი თავისუფლად უჭირავს (სხვა არა იყოს რა, ევროპიელია).

საზოგადოება ორმოც კაცს არ აღემატება. აქ არიან ქალაქის გამოჩენილი პირნი,—რასაკვირველია, ცოლ-შვილით. დარბაზი სავსეა მხიარული სიცილით, ერთმანეთში არეული ხმები იკარგება ჰაერში.

ლაპარაკობენ—სხვა და სხვა ალაგას - სხვა და სხვა ტემაზე. მაგალითად, ერთგან:

— რასაკვირველია, ასეთ შეურაცყოფას, ვერ აიტანდა.

— და მერე, ისიც ბრწყინვალე ოფიცერი.

— საწყალი კაცი.

— ყოველივე ჩვენგანი ასე იზამდა.

— როდის მოხდა ეგ?

— გუშინ მივიღე დეპეშა, რომ თავი მოიკლა.

მეორეგან:

— როდის დაბრუნდით პეტერბურგიდან?

— კარგა ხანია.

— უთქვენოდ აქ მოწყენილობა იყო.

— თქვენ ჩემს იქ ყოფნაში უფრო დამშვენებულხართ

თავშეკავებული სასიამოვნო სიცილი ყელში.

სხვაგან:

— ყოველივე პატარა სახელმწიფო ასეთ დათმობაზედ უნდა წავიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში...

— თქვენ გავიწყდებათ შვეიცარია.

— აქ პირობებს აქვს მნიშვნელობა...

კიდევ სხვაგან:

— ასე ფიქრობდით ჩემზედ?

პაუზა.

— არა, მაგრამ...

— დიახ... დიახ...

— არა...

— ჰაა...

პაუზა.

საზოგადოება მხიარულობდა.

3

ცოტა დაგვიანებით მოვიდა შერეაშიძე თავისი ქალით. მისტერ ჰაირტონ გაბრწყინებული სახით მიესალმა, მიუახლოვდა ნაბინას, მოწიწებით აკოცა ხელზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე უკვე ველელავდი, ვაპირებდი მდევარის გამოგზავნას.—ამბობს მისტერ.

— ო, გეფიცებით, ჩემი ქალის ბრალია ეს.

— ამ შემთხვევაში საპატიებელია.—იცინის ჰაირტონ.

დარბაზში შევიდნენ. სტუმრებს შეერიენენ. ნაბინამ ზანტი მიმოხვრით გადასჭრა დარბაზი და ნაცნობებს მიუახლოვდა. დიდებული იყო. ცის ფერი ფარჩა აჭკროდა ტანს და შემოსალტულიყო კოხტად. ცოტა მოყვითალო, მკრთალი სახე გადაესერნათ კოპწია ტუჩებს მკრთალი ღიმილით. ღრმა თვალებში ჩასწოლოდა ღამე და ხვთიური სასოებით ავსებდა სახეს.

ნახა ზოგი ძველი ნაცნობებიც.

— ااا, თქვენც აქა?

— ქალბატონ ნაბი!..

— თქვენ აქ საიდან?

— ისე, გავლით შევჩერდი.

— დიდი ხანია?

— რამდენიმე დღე.

— მერე და, განა ძველი მეგობრები ასე დაივიწყეთ? ჰო, თუმცა...

— გეფიცებით არა, პირიქით, პირიქით თავადის ასულო!—არწმუნებდა მობაასე ნაბინას, როცა მისტერ ჰაირტონმა დარბაზში შემოიყვინა დანიელ ჯაკობია და საზოგადოებას წარუდგინა.

— ბატონებო! შესაძლებელია უმეტესობა არ იცნობდეს ჩემს პატივცემულ სტუმარს. დანიელ ჯაკობია. გთხოვთ...—ალარ დაამთავრა და დანიელ შუა დარბაზში მარტო დასტოვა, თითონ კი ისევ უკან გაეშურა.

დანიელმა ცივად მიმოავლო თვალი დარბაზს, ცოტა მედიდური პოზით სალამი მისცა საზოგადოებას და სტუმრებში მიიმალა. დიდხანს ათვალიერა დარბაზი სხვა და სხვა სურათებითა და სხვა-და-სხვანაირ ავეჯით მორთული.

მოსწყინდა. იქვე მდგომ ღრმა სავარძელს მიაშურა და მოწყვეტით დაეშო. კიდევ კარგა ხანს იყო მარტო. ბოლოს ვილაც ბებერი გენერალი მიუახლოვდა, ჩამოჯდა მის გვერდით. ბაასი დაუწყო. დანიელ უგემურად უპასუხებდა და თან მის გვერდით მდგარ ყვავილის ფოთლებს ათამაშებდა ხელში.

— უკაცრავად ყმაწვილო.

— ბრძანეთ.

— თქვენ თითქოს მეცნობით. მგონი სადღაც მინახვირხართ.

— რა მოგახსენოთ.

— უკაცრავად, თქვენი გვარი?

— ჯაკობია, გენერალო.

— ااا... თავადი ჯანდიერი—დააყოლა გენერალმა და ხელი გაუწოდა. რამდენსამე ხანს დაკვირვებით უყურებდა. შემდეგ თითქოს ძლიერ გახარებულმა ალმოჩენით წამოიძახა.

— ااا, მახსოვს. პეტერბურგში, ქართველ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების კრებაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შესაძლებელია.

— ისევ ისეთი დაუდგრომელი ხართ?—იხუმრა გენერალმა.

— როგორ? თავადო.

— მაშინ თითქმის ყველა სათავეში მდგომი ჯვარზე გაგვაკარით.

— კარგი მეხსიერება გქონიათ, თავადო, ეს ამბავი კარგა ხანია რაც მოხდა.

— დიახ, თითქმის ათი წელიწადი—თავ მომწონედ სთქვა გენერალმა.

— ათი წელიწადი, ათი წელიწადი—გაიმეორა დანიელმა და, შეშინებულმა ასეთი დიდი მანძილით, აზრების სხვა მხარეზე გადაკრეფა დაიპირა. მაგრამ მოგონებამ მაინც აწყვიტა ლაგამი და მკაფიოდ დაუხატა წარსული სახეები ნაცნობთა და საყვარელთა, მეგობართა და მტერთა. ერთხელ სინამდვილეში განცდილი, მოგონებამ მეასედ და მეათასედ განაცდევინა. რაც უფრო მკრთალად მოსჩანდა სახე წარსულის, მით უფრო ძლიერი და საიდუმლო ხდებოდა მისთვის ის, რაც იყო და აღარ იქნება არასოდეს.

მოგონებებით გატაცებულს, მუსიკის ხმა მკრთალათ ჩაესმა ყურში. გამოფხიზლდა. მის წინ ქალ-ვაჟი წყვილად ტრიალებდნენ. ტანი ტანს აჰკვრია—ნელა ირხევა. ტანი ტანს იზიდავს. რიტმით გაჟღენთილი მოძრავი კუნთები თრთიან.

4.

თავბრუ დაესხა. მეორე ოთახს მიაშურა, სადაც ძვირფას პალმის ხეებს აუწვდიათ ფართედ გადაშლილი თაიგული ფოთლებისა. თვალები ასტკივდა. მან ეხლა იგრძნო, რომ თვალები, მისდა უნებურად, ვიღაცას ეძებდნენ დიდ დარბაზში. გაუკვირდა. ფეხზე დგომით დაიღალა. მაინც ამ უკანასკნელ დროს თავს ცუდათა გრძნობს, აშინებს ბავშობაში ნაცადი ციებ-ცხელება.

ჩამოჯდა პალმებითა და გრძელი სავარძლებით დაფარულ კუთხეში. ყველგან იდგა ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა ვნებით ამწვარი ხორცის და კოსმეტიკის მძიმე სუნი. ისმოდა მოსწრებული ოხუნჯობა, სიცილ-ხარხარი, ჩუმი საიდუმლო ჩურჩული.

და დანიელის დასიცხულ თვალებში ათასფრად ამტვრეული დარბაზი კიდევ ათას ფრად იმტვრევა, და ამ ფერებში ლამაზად შერჩეული ქალ-ვაჟთა სილუეტები კრთიან. გრძნობს საშინელ სიმარტოვეს. მაყურებელი ლამაზი სურათების ვერ იოკებს ათრთოლებულ სულს.

მასაც უნდა იყოს წარმტაცი ახალგაზრდა, უნდა იყოს შინაური ამ ხალხში, გამბედავი, ცოტა კადნიერიც. და მაინც გრძნობს, რომ ეს მისთვის მიუხწეველია, თითქოს ყველაფერი მასში სხვა მასალისაგან იყოს ჩამოსხმული.

ეს მარტოობა გადააგდებს მას შორეულ წარსულში. იქ, სადაც იყო, დროზლაპრული არაკების. იქ, სადაც იყო დედის ალერსი. საყვარელო დედა.

და წარმოუდგება მოხუცი დედა. დანაოჭებული სახე მოხუცი მარიამისა. თვალები—საესე უსაზღვრო ალერსით, უსაზღვრო სიყვარულით. რომ დაეკონებოდა საყვარელ შვილის სიცხისაგან გათოშილ ტუჩებს, რომ უმღერებდა ტკბილ ნანას და თითქოს ეხლაც მოესმის როგორ ტკბილი იყო, რა რიგ ალერსიანი ის ლოცვა, რომელიც პირველად ასწავლა დედამ და რომელსაც ის ყოველ საღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოს უმანკო გულწრფელობით ეუბნებოდა მის საწოლის თავზედ—კუთხეში დაკიდულ, ლამპარ ანთებულ ხატს. ან და უწვდენელი მთები მშობლიური მხრისა. უზარმაზარი ტყემოფენილი მთის კალთები. სადაც ის დღეებით დადიოდა, თავის მეორე დედას ეალერსებოდა. და აქაც ალერსიანი ნანა აშრიალებული ტყის.

ის უდარდელი ბიჭუნა, ჩილიკას რომ თამაშობდა სოფლის გოგო-ბიჭებთან, ან და ბაბუას რომ მისდევდა წისქვილში. წისქვილში მეწისქვილე—ისიც ალერსიანი, თავის ხმას რომ ააყოლებდა წისქვილის სარეკელას და მინდის ჩამოსვლამდე რომ ჰყვებოდა ზღაპარს. რამდენად დასცილდა ის თავის სოფელს. რამდენად გასტეხა განვლილმა გზამ, როგორ წარყვნა სული!

და ეხლა ის—ვინ ან რა... ვინ ან რა... ვინ ან რა...

5.

ხმაური მეზობელ დარბაზიდან-ღა ისმოდა. ირგვლივ დაცარიელდა, მხოლოდ აქა-იქ თუ მოსჩადნენ საიდუმლოდ მოჩურჩულე ახალგაზრდანი პალმებაფარებულ კუთხიდან. დანიელ უაზროდ ათამაშებდა გამოხედვას. მცენარეულობა უგრილებდა სახეს. მოგონებები თითქოს ჰქრებოდენ უსაზღვროებაში, რომელსაც ის თავის თავში გრძნობდა, და საიდანაც მათ იცოდნენ მოსვლა.

ტანს მოდუნებული ძარღვები ეუფლებოდა და აწყვეტილ კუნთებს უკანკალებდა. დარბაზში თვალი მოჰკრა ნაბინას; ამან გამოაფხიზლა. ქალს თან მისტერ ჰაირტონ ახლდა. ხელი-ხელ გაყრილნი პალმებისკენ მოემართებოდენ. ნაბინას ავარდისფერებულ ლოყებზე ეტყობოდა, რომ ცეკვით დაღლილი იყო. თავდახრილ მისტერს დღეს თითქოს დარცხვენა ეტყობოდა. ჩამოსხდნენ.

მათ ერთმანეთთაგან პალმები ჰფარავდა. დანიელს ოდნავ ესმოდა მათი ჩურჩული.

— შეიძლება ჰო, შეიძლება არა.—ამბობდა ქალი.

— როდემდის გასტანს თქვენი ორჭოფობა?

— მოთმინება ყველაფერს იზამს, პატივცემულო მისტერ.

— მოლოდინმა დამიკარგა მოთმინების უნარი, ჩემო ბოროტო ქალბატონო.

— განა ამდენს ითმენთ?—მაცდურად შეეკითხა ნაბინა და ტუჩებში დამცინავმა ღიმილმა გაურბინა.

— მას შემდეგ, რაც თქვენ ამ ქალაქს ეწვიეთ ნაბინა, მას შემდეგ რაც მე ჩემი სურვილი შეგატყობინეთ და პასუხი გთხოვეთ. დღემდის მე მხოლოდ ორჭოფული პასუხი მესმის, რომელიც სამი სიტყვისაგან შესდგება და რომელსაც არც ემატება და არც აკლდება.

— ასეთია ჩემი სურვილი ჯერ ჯეროობით, მასტერ ჯონ.

— რა გიშლით ხელს? რათ არ გინდათ გააბედნიეროთ კაცი, რომელიც თქვენთვის არაფერს არ დაიშურებს? ნაბინა... ნაბინა... ჩემო ძვირფასო ქალბატონო!—წაიჩურჩულა აღელვებულმა ჰაირტონმა და ქალის მკრთალ ხელს გაშმაგებით დასწვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიელ სავარძელში შესწორდა, ჩაახველა. შემდეგ ნელა-ნელა ფალმის ღერო გასწია და წყვილს მიუახლოვდა. გაბრაზებულმა ჰაირტონმა თავი შეიმაგრა და სტუმარს ზრდილობიანად სავარძელზე მიუთითა.

ქალი თითქოს შეაკრთა, თითქოს გაახარა ამ უცაბედმა გამოცხადებამ —ვფიქრობ, არ დაგიშლით—ოდნავ დამცინავი ღიმილით შეეკითხა დანიელ წყვილს და შემდეგ ლაპარაკი, კარში გამდგარ გაზაფხულის სუნზე გაიტანა.

6.

მასპინძელი გაიხმეს. დანიელ და ნაბინა დიდი დარბაზის პალმებ-აფარებულ კუთხეში მარტონი დარჩნენ. დანიელს თანდათან უხურდა ტანი. ნასიცხარი თვალები ელულებოდა და შორს ჩავარდნილნი, ოდნავ-ღა ბეუტავდნენ, ისე როგორც ბნელ ქუჩაზე, ქალაქს გარეთ, სადმე შორს, ბოძზე მიკრული ჭრაქი.

მაშინ მისი ხმა აკრიალებულ წისქვილის ბორბლის ხმას ჰგავდა, ან და—ქალაქის უმთავრესი ქუჩის განუწყვეტელ ხრიალს.

— გეტყობათ სიცხე გაქვთ. ავადა ხართ?—ეკითხებოდა ქალი.

— არა, აქ ძალიან ცხელა, იმისი ბრალია.—არწმუნებდა დანიელ და ქალის მარაოთი თავს იგრილებდა.

— დანიელ!

— რას მიბრძანებთ, ჩემო ქალბატონო!

— როგორ ფიქრობთ თქვენ, მე რომ მისტრის ჰაირტონ გავხდე, კარგი იქნება?

— რატომ არა, ძალიან კარგი. – ამის პასუხად დანიელს უგემური სიცილი ჩასწვდა ყურში.

— რას იცინით, ქალბატონო ნაბი?

— სისულელეა!

— რა?

— სისულელეა... თქვენ იცით რომ მე ამერიკელები მეჯავრება.

— შესაძლებელია. მაგრამ ისინი ჯიშიანი და მდიდარი ხალხია.

— ჩვენი ჯიში უკეთესია, დანიელ, რათ ივიწყებთ საკუთარ სისხლს?

— მე ის დიდი ხანია დავივიწყე.

თითქოს ამ სიტყვებით შეშინებულმა ნაბინამ ლაპარაკი შეატრიალა.

— ბატონო დანიელ, თქვენ ამ ბოლო დროს ძალიან დამივიწყეთ.

— არა, ნაბინა. საშიშია თქვენს სიახლოვეს ყოფნა.

— რათა? აკი თქვენ, უშიშარი რაინდი საუკუნის...

— საბაგიეროთ თქვენ, საუკუნის გარეთ მდგომი, თქვენი მომხიბვლელობით. შეიძლება უფრო შორეული საუკუნის შვილი, თქვენი ბუნებრივი სილამაზით, რომელიც ათასჯერ უფრო მეტს მოიგებდა, მხნე რაინდნი და უდრეკი მეომარნი რომ დასტრიალებდნენ თავს და არა ჭუჭყიანი, ოქროს მეპატრონენი, რადგან მათთვის ერთნაირ ღირებულებას წარმოადგენს, თქვენი სილამაზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ქვა, ორივე ერთ მიზანს ასრულებს. მათთვის ორივე გინის მსაკლავი საგანია.

— მართალი ხართ, დანიელ, და არ მინდა მე, რომ ეს ასე იყოს.

— ეს ასეა იმიტომ, რომ თქვენ არა ხართ ჩემი საუკუნის. თქვენ არა ჩემი საუკუნის, არამედ სხვა, შეიძლება ის, რომელიც ჩემთვის ყველაზე ნაინატრი და ყველაზე საყვარელია. მაგრამ მე თვით—იმდენად დოშორებული მას, რომ თითქმის უუფლებო, ვახსენო იგი.

— მომავალი ხომ უფრო მომხიბლელი და წარმტაცია, ის ხომ წინ არის.

— მომავალი მათია, ვინც სიცოცხლესა და ძალას გრძნობს, ვისაც ბრძოლა შეუძლიან, ვისაც ძარღვების მაგივრად რკინა აქვს, გულის მაგიერ—ყინული.

— თქვენ?

— მე—ჩატეხილი ხიდი წარსულისა და მომავლის შორის. მე—დაკარგული კაცი და, შეიძლება, მხოლოდ ნიღაბივით მატარებელი კაცის სახის.

— მაშ თქვენ ვინ?..

— თქვენ მაინც დაჟინებით გინდათ გაიგოთ ჩემი ვინაობა, ნაბი?

— მე მივდა ვიცოდე, ვინა ხართ თქვენ?

— უბედური მგზავრი, მუდამ ორ ცეცხლში.

— დანიელ!

— რა, ჩემო ქალბატონო?

— ყველაფერი ეს ჩემთვის ნაცნობია. თითქოს თქვენ აძლევთ სათაურებს ჩემს ცხოვრებასაც.

— ოოჰ, მე კიდევ უკეთესი სათაური ვიცი ჩემი ზღაპრისათვის.

— მაინც?!

— სანტიმენტალური რომანტიკა.

— სთქვით!

— გადატეხილი კვიპაროსი.

ქალი გაკვირვებით უყურებს დანიელს. ერთ წუთს ნაბინაში იღვიძებს გრძნობა სიბრალულის, ხელებს სურთ ალერსით დააოკონ ეს მოხეტიალე მგზავრი... მაგრამ ეს ერთ წუთს, მხოლოდ მანამდის, სანამ ნაბინა დაინახავს ამ ნაცრის ფერი კაცის აჭრელებულ თვალებს, მედიდურად რომ გამოიყურებიან და დამცინავად რომ ელავენ.

ნაბინას უნდა, რომ გაექცეს ამ კაცს, მაგრამ რაღაც უსაზღვროდ ძლიერი იზიდავს მას ამ კაცთან. უნდა კილო ცივი ჰქონდეს, და თავის უნებურად ალერსიანად ესაუბრება. უნდა დასცინოს,—ადიდებს, აღმერთებს.

— დანიელ...—ალერსიანმა კილომ ააჟრჟოლა დანიელ—დანიელ!—თითქოს თავისთვის ბუტბუტებს ქალი.—დანიელ, მე არ მინდა, და მაინც ვერ ვიკავებ თავს, რომ არა გთხოვოთ... ისიც არ ვიცი, რა გთხოვოთ... რა მინდა გთხოვოთ... მე ვიცი მხოლოდ, რომ თქვენ ძლიერი ხართ, მე ამასა ვგრძნობ... თქვენ სხვას ამბობთ, თქვენ უძლურებაზე ლაპარაკობთ—ეს ტყუილია... და თუნდაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე, თქვენს უძლურებაშიდაც უსაზღვრო სიძლიერეა. დანიელ... მე ხშირად ვგრძნობ, როგორ მიპყრობს ეს სიძლიერე მე, მართლაც უძლურსა და უსუსურს... მე ვიცი ეს... ოოჰ, ნუ დამარწმუნებთ წინააღმდეგში, არ არის საჭირო... მე არ მინდოდა ჩემი მშველელი თქვენ ყოფილიყავით, გეფიცებით არ მინდოდა... მაგრამ ეს მოხდა, დანიელ... გესმით. მოხდა!.. მე მოვდივარ თქვენთან და შველასა გთხოვთ... რისგან მიხსნათ—მე თვით არ ვიცი... ეს თქვენი საქმეა. მე ბევრი მტანჯავს, ბევრი რამ... თქვენ, შეიძლება, კეთილი არა ხართ, იყავით ერთხელ ქრისტიანი... იყავით ძლიერი ერთხელ ჩემთვისაც. ხშირად თქვენში მე მეგობარს ვხედავ, კეთილ მეგობარს, იყავით ასეთი მეგობარი ბოლომდის... შეიძლება ამან მიშველოს... დანიელ, მე ქალი ვარ. ტანი მტანჯავს ყველაზე უფრო, მე მინდა დავიმორჩილო ის; გესმით მინდა! თქვენ მიშველეთ, გევედრებით, დანიელ! მე ხელებს გიკოცნით და ძვირფას მეგობარს გევედრებით—მაჩუქეთ იოტი თქვენი სიძლიერის, რომ ამით ჩემი ხორცი ჩემს ხელში მეჭიროს... ისე როგორც ამას თქვენ, თქვენს ხორცს უშვრებით.

აქ ქალი დასწვდა დანიელის ხელებს და კოცნა დაუწყო. დანიელ ძლივს დაუსხლტა. მას თითქოს ყელში მარწუხებს უჭერდნენ. სპაზმა-აკრულს უნდოდა ყვირილი. დარბაზი ალივლივებულიყო და აჭრელებულიყო ფერებით ათიასად.

მოსხლეტით დაეშვა სავარძელზე.

მთელი ტანი უკანკალებდა.

„მალარია!“

გაიფიქრა.

7.

უღონოდ მიათრევდა მოთენთილ ტანს. თვალებში ლიბრედი სიბნელე ჩასწოლოდა. ყურებში ჰკიოდნენ განუწყვეტლივ. და როგორც მთვარეული, ისე მისდევდა დათოვლილ ქუჩას. თეთრ ღამეს თოვლით დაესადგურნა.

გაწამებული, უღონოდ ადგამდა ბიჯს, თითქოს ყოველ წუთს ლამობდა უფსკრულში გადავარდნას. გულ-აჩქროლებული მიუახლოვდა თავის სასტუმროს. გამოუცნობი შიში იტანდა აკანკალებულს, ამ ბოლო დროს სახლში მისვლისას. საშინელებას უმზადებდა თითქოს ყოველ ღამ ეს სასტუმრო. სასოწარკვეთილმა გაჰხედა მას და ზლაზვნით, როგორც ქურდი, მიუახლოვდა თავის ოთახს. შეაღო ფრთხილად. გაანათა.

ელექტროს შუქმა უფრო აუჭრელა თვალები. დაბარბაცებულმა, ძლივს შეიკავა თავი, შუქი კვლავ ჩააქრო და ცივ ფანჯრის მინას მიადო თავი.

დიდხანს იდგა ასე, გაწამებული. სახე ჰქონდა როგორც ჯვარზე გაკრულს, ნაწამებ იესოს. თვალები—სადღაც შორს წასული და მიბნედილი. ალაპლაპებული სახე სიცხისგან.

— „გადაჭარბებული გრძნობიერება“—გაიფიქრა და ნაძალადევად ჩაეცინა ამ უეცრად გამოქროლილ აზრზე. უცბად შეინძრა, თითქოს გამოფხიზლებული, მიუახლოვდა ღრმა სავარძელს და მის წინ დაემხო. სავარძელში რაღაც შეინძრა, მოიკუმშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ინონა!.. ინონა!.. ინონა!..

ოოჰ, რათ ივსება ეს სული ამდენი მწუხარებით! რად იტანჯება ეს სხეული! რად ჰკვნესის ყველაფერი ჩემს გარშემო! დღეს ხომ ზეიმი უნდა იყოს. დღეს ხომ ბედნიერება უნდა მეპოვოს. დღეს ხომ ნაინატრი სიზმარი ხელთ მომიფრინდა... ოოჰ, ნუ თუ გინდა, მწყალობელო, აღავსო გული სიმწუხარით! ნუ თუ გსურს ხილული უხილავ ჰყო, რათა გაასკეცდეს სურვა ხილვის! ინონ... უძვირფასესო მეგობარო, დღეს ზეიმია, გესმის, დღეს ზეიმია!.. ის დარწმუნდა ჩემი თვალების სიძლიერეში, ის დარწმუნდა ჩემი სულის სიმტკიცეში. ის ჩემთან მოვიდა და, ვით ქრისტეს წინ სამარიელმა მათხოვარმა, განკურნება მთხოვა.

ინონ... ინონ!.. რა იცის, თუ ჩემი სული უფრო უძლურია. რა იცის, თუ ჩემი სიტყვა უფრო მჭლეა. რა იცის, თუ ჩემი გამოხედვა უფრო სუსტია.

რით ეუშველო მე, მე თვით საშველმა? რით 'დავაოკო მე, თვით დასაოკებელმა? რომელ ღმერთს ვთხოვო შველა? რომელი შეისმენს? რომელი გაიგებს? ვინ!?

ინონ! შენი უაზრო გამოხედვა, შენი ბოროტად მოღუშული შუბლი, უმადური სიბრაზით დაწითლებული. რად უყურებ ამ დაკოდილ სხეულს, რად გინდა კვლავ შენზე ვილოცო და შენ დაგინთო სანთელი!

ინონ... ინონ... ინონ...

ცეცხლი მწვავს, ცეცხლი, უზარმაზარი კოცონი ანთებული. ხედავ? ო.. რა თამაშით აანთეს ის ჩემმა წინაპრებმა უბრალო ნაფოტების საშუალებით! ხედავ!? როგორ ალ მოდებული გუგუნებს და ლამობს გასრესას!

ინონ, გზა!

ჩემო ერთად-ერთო მსხნელო, შენი სიზმარი ასრულდა! მე შევიყვარე. რათ გინდოდა ეს? ნუ თუ შენ დაცინვა ხარ ჩემი უძლურების? ინონ! ნუ თუ შენა ხარ ხილვა ბოროტების? მალარია!!!

მომეცი ძალა, გესმის! მე ვედრებით გიკოცნი ფეხებს—არ არის სხვა გზა. არ არის სხვა ღმერთი. ყველამ გამრიყა, ყველა დავტოვე.

მე, უნიადაგო—შვილი უკანონო, ნასაზდოები მამა-პაპათა დამპალი სისხლით. მოღლილი, უნუგეშო, მე-თვით უბედურება!

ინონ! შენ—ერთად-ერთი ხსნა! მე ვითხოვ შველას, ვითხოვ ძალას, ვითხოვ ნაყოფს... ინონ! ნაყოფი, ისმინე ეს ვედრება, მიწყალობე... თუ ძალა შეგწევს, თუ ისევე ძლიერი ხარ, როგორც ძალა შენის გაბატონებისა ჩემზე. ო ძლიერო, ცეცხლი იზრდება—შენ სახეზედაც, იზრდება ეს უცნაური ღიმილი... მე აღარ მესმის რას ნიშნავს ეს. შენი ღიმილი მაგ საზიზღრობით სავსე სახეზე.

ინონ, ჩემო საყვარელო, ჩემო მეფე, მე ისევ შენს წინ, ბრძანე ავასრულო.

... სისხლი მოდუნდა...

მე ვეღარ უყურებ მამა-პაპათა აბობოქრებულ საფლავებს. ისინი მოდიან ჩემზე, დასცინიან ჩემს უძლურებას. ინონ! მიხსენი მათი შურისგან. ინონ! მიხსენი მათი განკიცხისაგან...

...მოდუნდა სისხლი... გატყდა სხეული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხსენი ინონ!!! მე ავასრულებ ყველა შენს ბრძანებას.. მე ავასრულებ ყველა შენს თხოვნას.. მე მონა შენი, ოღონდ დამიხსენი მათგან—მუქარით რომ მოდიან, ხმლებს რომ აწკრიალებენ და მე მათ სისხლსა და ხორცს ბრძოლაში მიწვევენ. რა უნდათ!

რა ჩემი ბრალია თუ საუკუნოებმა გააქვრეს ნდომა.. სიკვდილმა გვინდო. ეს მათი ბრალია, უთხარი რომ ეს მათი ბრალია..

ინონ! მიხსენი მათგან და თუნდაც ეშმაკებს მიჰყიდე სული.

ის რეტდასხმული ტრიალებდა.. ისრესდა თვალებს, სისხლი სახეში აწვებოდა და თავს რალაც ღრღნიდა. სხეული მისი აცეცხლებული კიოდა და იატაკზე განართხული, როგორც მშობიარე ქალი ისე გმინავდა. იგლეჯდა ხორცს და თავს ახლიდა ცივსა და მიუკარებელ იატაკს.

ბარბაცით ადგა, ფანჯარას მიუახლოვდა და გამოაღო.

ზამთრის სუსხმა გათოშა ჰაერი, მოედო აცეცხლებულ ტანს და გააგრილა. როგორც ქანდაკი გაშეშებული იდგა დანიელ და გაჰყურებდა თოვლით გათეთრებულ ქალაქს. თვალებზე ცრემლები გაჰყინოდა და გამოხედვას ერთ წერტილზე დაესადგურნა.

8

დანარჩენი ღამის ტკბილად გაატარა. ყველაფერი მიყუჩდა მასში. გაშორდა მრავალ ტანჯულ სულს და თითქოს დიდი ხნის სიმთვრალის შემდეგ გამოფხიზლდა. უცნაურ სიწყნარეს გრძნობს ტანში.

თუმცა—კარში წვიმს.

თუმცა—კარში ქარია.

მაგრამ ის მაინც ხვთაებრივ სიმშვიდეს განიცდის. თითქოს კოკაინით მოუდუნებია ტანი. მოუკლავს ხორცი და ის ხორცი მხოლოდ უტკივნელო ლეშად ჰკიდია. ეზარება განძრევა. წევს და არაფერზე არ ფიქრობს. სიზმარს გრძელსა და საშინელს თავი დააღწია. გაჰქრა საშინელი სამყარო ქიმერების... აღარ არიან...

„რა კარგია ასე“ დიდი ხანია ასეთი ნეტარება აღარ უგრძნია. წევს გულაღმა, გაყურებს ჭერს უაზროთ და უხარიან რომ არ აწვალებს ლეში. რომ აღარა სწვიმს მის გულში, ისე განუწყვეტლივ, ისე დაჟინებით.

„ნეტა სულ ასე, ნეტავ სულ ასე—უელავს თავში და როგორც აკვანში მიძინებული ბავში, მშვიდათ სუნთქავს.

სიამოვნებით ილიმება.

ნეტარებით ევსება სახე.

სწორეთ ისე გრძნობს თავს, როგორც მძიმე ავათმყოფი გამოფხიზლების შემდეგ.

ნელა—ნაზათ უსვამს ხელს იქვე სავარძელში მიყუჩებულ მეგობარს და ღიმილით აცმაცუნებს ტუჩებს.

— რა კარგია ინონ. რა დიდებულია.

(გაგრძელება შეშდეგ ნომერშია).

ლევ. მეტრეველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარღვეული მიწა

მოთხრობა.

(გაგრძელება).

ცეცხლი ცეცხლზე.

მთელ კვირას თებრო თვალით არავის დაჰნახვებია.

კომისარი კოწიაც როგორღაც განზე დადის და არაფრით აწუხებს შიოს დამწუხრებულ ოჯახს.

ერთხელ გზათ შეეჩეხა შიოს. გააჩერა და ასე გამოელაპარაკა:

— შენ, შიო! თავი ანგელოზი არ გეგონოს! მე კარგად ვიცი შენი ქვეშ-ქვეშაობა! ვითომ არ იცი, რა ბრალსაც, გდებ. ჰა? ნურც ეგრე უმანკოდ მაჩვენებ თავსა! როგორ? ფირალა განა ცოტაჯერ ყოფილა შენ სახლში? განა შენ ქალს ის არა ჰყვარობდა? მე ყოლიფერი კარგად ვიცი! ვერ მომატყუებ! ყოველ წუთში შემიძლიან შენ და შენი შვილიც ფირალის კვალს მიგაყოლოთ, მაგრამ გინახავთ. ვერ გაგწირავთ ისე უბრალოდ, მხოლოდ მადლობა შენც უნდა გადამიხადო, თუ არა...

— როგორა, შენი ჭირიმე? მიბრძანე და თავს განაცვალებ!

— როგორა? აი, ჩემო კარგო რას გეტყვი! მე მიყვარს შენი ქალი თებრო და უეჭველად ცოლადაც უნდა გამომყვეს. თუ უარი გამიბედა, მაშინ... მაშინ მე ნულარ დამაბრალებთ თქვენს დაღუპვას. აწი შენ იცი! როგორც გინდოდეს, ისე დააჯერე შენი ურჩი ქალი! თუ თავი გეზოგებათ, ჩემ ჭკვაზე უნდა გეიაროთ, თუ არა და თქვენ ზღავით მერე ყოველიფერი! აწი მშვიდობით! კარგა მეიფიქრე, რაც გითხარი!

კოწია თავის გზას გაუდგა. თავ-გზა დაბნეული შიო კი კარგა ხანს იდგა ერთ ადგილას და მხოლოდ ბოლოს მოაგონდა შინისაკენ წასვლა.

ეს რა სთქვა კოწიამ? მაშ იმას სცოდნია ყველაფერი და არ გაუმხელია! ასეთი დათმობა რათ ჩაიდინა მთავრობის სამსახურში მყოფმა კაცმა! ალბათ ძალიან უყვარს თებრო და ხათრიც აქვს. უიმისოდ ხომ დალუპავდა, რომ მოენდომა! მაგრამ თვითონ თებროს რატომ არაფერი უთქვამს ამის შესახებ?

აქ როგორღაც ძალიან იხლართება საქმე. შიოს ვეღარაფერი გაუგია.

შიო მივიდა თუ არა სახლში, მაშინვე თებროსაკენ გაეშურა. მართალია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი უცნაურად დაძმარებული გოგონა სრულიადაც არ იყო ლაპარაკის გუნებაზე, მაგრამ ეს აწეწილი საქმე მეტს ველარ აიტანს.

— შვილო, თებრო! ე შენ სახეს აღარ უნდა აღიაროს ღიმილი? ეგრე დადარდიანებაც არ ვარგა! წადი შენ ტოლებში გაიარე, ქვეყანას შეხედე! ვის თავს არ მომხდარა უსიამოვნობა, მაგრამ ზედ არავინ გადაჰყოლია! გამეცი შვილო ხმა! მეც უნდა ერთ ძნელ საქმეზე მოგელაპარაკო.

— მე, რა საქმე შემეხება მამა, ან რაზე შემიძლიან მოგელაპარაკო!

— შენ შეგეხება, შვილო, მარტო შენა! აი, კომისარ კოწიაზე უნდა გკითხო რამე...

ამ სახელის ხსენებაზე თებრო სულ კანკალმა აიტანა.

— იმას რა საქმე აქვს ჩვენთან, მამა?...

— იმან ყველაფერი მითხრა, შვილო...

— ... ვაიმე ჩემო შერცხვენილო თავო!

— კიდე კარგი, ცოტა უსინდისია და შევუნახივართ, თორემ სულ დავილუპებოდით.

— მამა! მე არაფერი მესმის! რა სთქვა იმ საზიზღარმა მხეცმა?

— არა, შვილო, ნუ აგინებ! მართლაც იმისი მადლობელი უნდა ვიყოთ, თუ ჩვენ ასე ხელუხლებლადა ვართ დარჩენილი. იმას თურმე სულა სცოდნია, რო ფირალა ჩვენთან დადიოდა, რო შენც უყვარდი...

— მაშ სწორედ იმან გასცა, იმ გაიძვერამ, და როგორღა ბედავს ამაზე ლაპარაკს!

— მაინც მადლობა ეთქმის, რო შევუნახივართ, სხვა სულ არ დაგვინდობდა...

— არა, არა! მაგაზე ლაჩარი და სინიდის გაწბილებული კაცი განა დუნიაზე კიდევ მოიძებნება ვინმე!

— ვაიმე, შვილო! შენ ისე ლაპარაკობ, რომ ამაო ყოფილა მაშ ყველაფერი, რაც იმან მითხრა.

— რაღა პირითა ბედავს შენთან ლაპარაკს! რა სთქვა იმ გაიძვერამ?

— შვილო! თუ ეგრე მოექცევი, სულ დავილუპებით! ქვას ქვაზე აღარ დაგვიტოვს...

— რას გადაგვეკიდა? რა უნდა ჩვენგან?

— ... ცოლათ წამომყვესო თებროიო! თუ უარს იტყვის, მაშინ ორთავეს გაგცემთ, რო ფირალა თქვენთანაც იმალებოდაო. მერე ციმბირიც აქეთ დაგრჩებათო.

თებროს ისევ დაესხა თავბრუ. ისედაც დაბნეული ქსელი ცხოვრებისა ეხლა სულ ერთიან აეწეწა.

— ... თქვენ სახსენებელს სუ მოვსპობ ამ ქვეყანაზე, თუ არ წამომყვა თებროიო. ი ულმვრთო ისე დამუქრებითა ლაპარაკობს, რო უეჭველათ მოგვიდნობს, თუ არ დაჰყე იმი ნებას.

— ვერ ეღირსება!... უწინამაც დღე დამლევია!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი ბედი შენი ნებაა შვილო! მაგრამ დაგვლუპავს კია ი ულმერთოი! არა! ჩვენ თავს სიკეთე აღარ დატრიალდება, მე ისე ვატყობ.

— ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია!

განა თებროს კიდევ შეაშინებს რაიმე უბედურება! ის ხომ ყოველ წუთში მზათ არის—მიწა გასკდეს და შიგ ჩავარდეს! მაშ ამაოა კოწიას მუქარა, თებრო ამ ქვეყანაზე აღარავითარ საფრთხეს არ ელის. დაუმსახურებლივ მოვლენილი ბოროტება და სიმუხთლე კი ვეღარ გააოცებს. მაშ მოხდეს რაც მოსახდომია! სინიდის გატიალებული და მრუში კოწია კი ვერ ეღირსება თებრის ცოლობას.

ბედისაგან ასეა გადაწყვეტილი და თებრო ვერც გადაუხვევს ამ ბრძანებას, როგორც ვერ გადაეხვევა გზასა სიკვდილისას.

მხოლოდ მოხუცი შიო ჩავარდა საგონებელში. ის კარგადა ხედავს, რომ მთელი ცხოვრების სიმაგრე უეცრივ თავზე ენგრევა და ხელი ვერც ერთი მხრიდან ვერ მიუშველებია.

რომელი ერთი იდარდოს ამ წელში გატეხილმა კაცმა! ფირალას სიკვდილი? თებროს უზომო დანაღვლიანება? კოწიას მუქარა? თუ თავისი უძლურება? ავად თუ კარგად თვითონ უკვე მოუჭამია ეს დროება; მაგრამ საფიქრებლად ეხლა თებრო დარჩენია—ეს მამის ხელში საგანგებოდ გათამაშებული და გააზიზმაზიზებული გოგონა. ვინ იცის რა ბედი ეწევა! როგორ დაიხლართება იმისი გზა-კვალი ამ უთავბოლო ცხოვრებაში! დაბინავებული მაინცა ჰყავდეს! პატრონი რომ გაეჩინა აქნობამდის, ეგრე უდიერად ვინღა გასცემდა ხმას!

არა! შიო თავის სიცოცხლის დასავალზე დიდ სიმწარესა გრძნობს წუთისოფლისას. სულ ერთიან დაებნა საწყალ კაცს თავგზა. რომელ ღობე-ყურეს მოედოს? ვის სთხოვოს შველა?

— ეჰ, დაილოცოს ღვთი სამართალი! ალბად ასე მეწერა ცხოვრებაშიო—

ფიქრობს შიო და თვალ წინ ებლანდება მომავალ საფრთხეთა დახლართული ქსელი...

საიდუმლოების საძირკველზე.

მაგრამ თებროსა და შიოს ბედიღბალზე არა ნაკლებ სწუხს თედო ბიჭი. იმ დღიდან, რაც თებრო ფათერაკს გადაარჩინა, იმის თვალს თითქმის ლული აღარ მიჰკარვია.

მას შემდეგ თვითონ თებროც ხომ გასაოცრად გამოიცვალა. კაცი ვეღარ იცნობს.

უწინ ის მთელი სოფლის თვალის ჩინს წარმოადგენდა. არც ერთი ნიშნობა, არცერთი ქორწილი ანუ ლხინი უიმისოდ არ ჩაივლიდა. სადაც ის მივიდოდა, ყველგან ლაზათისა და სიმხიარულობის ნათელს დააყენებდა. იმისი თამაში, გაცინება, დაირის დაკვრა,—ყველაფერი ეს ღვთიურ საჩუქრად იყო მიჩნეული მოლხინეთაგან და მაყურებელთა ენა-პირიც არ იღლებოდა მისი ხოტბასხმით·

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა კი თებრო რაღაცა საზარელ სიმძიმისაგან ისე დაემხო პირქვე, რომ ადგომასაც ალარა ფიქრობს. თითქოს სამუდამოდ შეეზარა მალალი ცის შეხედვა და მხოლოდ მიწის სიღრმეს ანდობს თავის გულში დასამარებულ საიდუმლოებას.

თებროს ვარამი, ეტყობა, დიდია, მაგრამ რა მალამო შეუძლია დასდოს თედომ? ან რომ ჰქონდეს კიდეც რაიმე უებარი მალამო, შეიფერებს კი თებრო მისგან მინიჭებულ სიკეთეს?

ბნელ ღამეში, დაკარგულ ხარის ძებნის დროს ათას ჩირგვსა და ხრამებს წასწყდომია თედო. ეხლაც ათას გარდაუვალ ღობე-ყორეს ეჩეხება, რა დაფიქრდება თებროს ყოფაზე.

ესეთი მალხაზი და ვარსკვლავებთან მოთამაშე გოგონა რამ აიძულა თავის დასახრჩობათ? ცხოვრებაში არაფერი აკლია. ყელთამდის სიკეთეშია ჩაფლული. შიო ხომ ისე ევლება თავსა, რომ ერთხელ არ შეჰკადრებს—წინ ხიხარ, უკან დაიწიეო. მაშ რამ აიძულა? თუ უყვარდა ვინმე და გულის მურაზი ვერ შეისრულა... მაგრამ ვინ იქნება ღვთისაგან ისე დაშამათებული, რომ თებროს გაღიმება ამომავალ მზეთ არ მოეჩვენოს? მაინც სად არის სათავე უბედურობისა? ასე თავ გამეტებით რად შემოსწყრა თებრო თავის სახარბიელო ახალგაზრდობას და ფერად თვალ-მარგალიტით შესამკობელ სიცოცხლეს? ასე ჰკითხულობს და ძიობს საწყალი თედო, მაგრამ ყოველგვარ აღსნის კარი რკინის გაუტეხავი ურდულით არის დაკეტილი.

მაინც იმ უბედურ შემთხვევაზე თედოს დიდი კლიტე აძევს პირზე. არავისთვის არ გაუმხელია ეს საიდუმლო. და ამ გავერანების სიბნელეში თედოს კიდეც ესიამოვნება, რომ თებროსთან იმას აქვს რაღაც დაფარული საიდუმლოება, რაც სხვისთვის სრულიად უცნობელია.

მთელი კვირის განმავლობაში მან ორჯერ-სამჯერ შეიარა—თებროსთან ვითომ ხალათის შესაკერად. ნახავდა, ამომავალ მზეს როგორ დაბნელებოდა სახე და გულ-მოკლული გამოტრიალდებოდა.

რამდენჯერ გადასწყვიტა თედომ, გაუზიაროს თებროს თავის გულის ნადები, მაგრამ ვერ ხერხდებოდა. უცნაურ მიზეზით დაწყლულებულ გოგონას სად ჰქონდა საამისო გუნება! აქ თედოს იმედებიც შავი ზეწრით იბურებოდენ და ბოლმა-გულში ჩახვეული გაბრუნდებოდა უკან.

ერთხელ, როგორც იქნა, დათრგუნა თედომ ყოველგვარი მოკრძალება: როცა ახალად მივიდა თებროსთან, გამბედავათ მოისურვა იმის დაკოდილ გულში ჩახედვა.

— თებრო ქალო! რა უბედურობა დატრიალდა შენ თავს, რატომ არ იტყვი?

— უბედურობა კი დიდი დამატყდა, მაგრამ არა ღირს იმის გამხელა. ისევ სჯობია, მე ვივალალო ჩუმათ! სხვისი ნუგეში კი აქ ვერას მიშველის.

— გამიზიარე შე დალოცვილო, კაცი არა ვარ! თუ გაწყენინა ვინმემ რამე, ერთი მითხარი და მერე მე თვითონ მოურიგდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, თედო! დაე, მე თვითონ ვზიდო ტვირთი ჩემი უბედურობისა! სხვას კი რაღაზე გაუმწარო სიცოცხლე.

— გამაგებინე ქალო! მეც ხომ რამდენიმეთ მონაწილე ვარ მაგ შენი სატანჯველისა, მაგრამ საიდან მოდის მისი სათავე, ეს კი ვეღარ ამიხსნია.

— რათ გინდა? სჯობია მოვკვდე და სამარეში ჩავიტანო ყველა ჩემი ბოლმა.

— მე რაღაც საშინელი იჭვები მებადება...

— ეხ, თედო, თედო!...

ქალს ერთბაშად გული ამოუჯდა. თავი ვეღარ შეიმაგრა და ქვითინით დაემხო მუთაქაზე.

თედოც გულაჩუყებული უყვავებს. ბოლოს ჰბედავს და თავზე ხელსაც უსვამს.

როცა თებრო დამშვიდდა, თედო ფეხაკრეფით გამოვიდა კარში. მაგრამ ვაი ამ გამოსვლას! კაცს ვეღარა გაუგიარა და წისქვილის ქვასავით ტრიალებს იმის თავში რაღაც საშინელება. თანაც გრძნობს, რომ თებროს უფრო დაუახლოვდა. ძალა-უნებურად გახდა მესაიდუმლე იმის ტანჯვისა.

არა! ეს ბიჭი სხვა ქალს აღარ შეირთავს. ან თებრო უნდა გახდეს იმის გვირგვინის სწორი, ან ესე მარტოობაში დალევს სულს, როგორც ტოლდაკარგული ირემი.

დამარცხებულის შურისძიება.

სადღაც შორს, ცხოვრების დიდი ბორბალი ტრიალებს თავისთვის და თითქოს საქმე არა აქვს, თუ რა ხდება—დედამიწის უმნიშვნელო წერტილზე — ბროლოსნის სოფელში. მაგრამ თუ კი თვალს გადავავლებთ დაკვირვებითა და გულმოდგინეთ, მაშინ მივხვდებით, რომ ამ ბორბლის თვლები სწორედ იმ გვარ ყრუ ადგილას არიან მოჭრილი და გამოჩარხული. და თუ თავიანთი საქვეყნო ტრიალით შორდებიან თავიანთ დასაბამს, რა ვუყოთ! ეს ხომ ჩვენთვის ვალს არ წარმოადგენს, რომ აღარ მივიხედოთ უკან, სათავისაკენ!

მაგრამ ჩვენი მოქმედების გმირებს სადა სცალიათ ჩრდილში მხართეძოზე წამოწოლით იმსჯელონ ცხოვრების ჩარხის წაღმა უკუღმა ტრიალზე. პირიქით ისინი აჭყოლიან თავიანთ პატარა ცხოვრების მოვარდნილ ნიაღვარს, რომელმაც უნდა დააპროწიალოს მათივე პატარა ჩარხი და შეიძლება კისერიც მოატეხინოს.

აი, მაგალითად, კომისარი კოწია სულ ამოვარდა თავის საბუდრიდან, როცა გაიგო თებროს გადაწყვეტილი პასუხი.

— რავა უბედავს ის ლაწირაკი „ვარს“ ჩემისთანა კაცსო!

აენთო, აპილპილდა კოწია და მოსვენებას ვეღარსად ჰპოულობს. ეგონა, ნამუს ახდილ თებროს იმის იქით გზა აღარ ექნებოდა. მაგრამ მუხანათურად დაჭრილმა ორბმა უფრო თავგამეტებით შეინავარდა ცის ტატნობში და ამგვარად კიდევ დაშორდა მასზე სანადიროდ გასულ სიმრუშეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოწიას თვითონაც ვერ გამოურკვევია: ჯიბრი აკავშირებს თებროსთან, თავმოყვარეობა თუ სიყვარული? მხოლოდ კაცი რაკი ერთ რამეს ჩაიდებს გულში, უნდა—კიდევაც შეასრულოს იგი. რა გამოვიდა სოფლის ვილაცა გოგო, რომ ასე უარი სტკიცა კოწიას? დაე, თუნდა ნესტანივითაც იყვეს მზეთუნახავი, მაგრამ მაინც სოფლის ტეტიკელაა. ამისათვის, მე ვიცი, პარიზიდან გამოიქ-ცევიან სათხოვნელად! ათასი რომ იფარფაშოს, კოწიაზე კაი კაცს მაინც ვერ წაჰყვება.

გადაწყვეტილი საქმეა: ან კოწიასი იქნება თებრო, ან—არავისი. ნამუსით ხომ ხელში ჩაიგდო სამუდამოდ! ყაჩაღი ფირალიც ხომ ჩამოიშორა გზიდან—ეს ყველაზე სახიფათო მოქიშპე და მოდავე! თებროსი და შიოს სულიც ხელში უჭირავს: როცა კი მოისურვებს, გასწირავს და ციხეშიაც ამოაყოფინებს თავს. მაგრამ არა! თებროს ხელს არ ახლებს! იმას ყოველ მხრივ დაიფარავს, დაზ-გავს, რომ ბოლოს როგორმე ხელში ჩაიგდოს. იმის გარშემო კი ისეთ ჭიაკო-კონას დაატრიალებს, რომ თვითონვე განაპყრობდეს ხელებს კოწიასკენ.

თუ ამასაც ვერ მოახერხებს, მაშ რაღათ უნდა ან უფლება, ან ვაჟკაცობა! მერე რამდენიმე ლოთურ ჰამქარში დაკვეხნითაც აქვს ნათქვამი, რომ თებრო იმის წერაა და ტყუილად სხვას თვალი ნულარ ეჭირება იმ გოგოზეო. თუ ამა-საც ვეღარ შეასრულებს ცხოვრებაში, მაშინ ყოველმა ჩანჩალამ რომ თავში ჩაარტყას—ღირსი არის და აღარც ხმა ამოეღება.

შიშისა და სიფრთხილის ძალაში მაინც იმედი არ დაჰკარგა მან და შიოს უბრძანა მეორედ შეჰკითხოდა თავის უგუნურ ქალს.

— ჩერჩეტო, აუხსენი! შენ თითონ აუხსენი იმ ბეცს, თუ რა უბედურება მოგელით მაგეთ ჯიუტობაზე. შე ტეტია, შენ! ტვინი არ გაქვს? სიცოცხლე სულ ერთიან მოგძულებია? აღარ გინდა შენი სიბერე შენ ოჯახში გაატარო?

— დიახაც, რომ მინდა, მაგრამ—ჩემ ხელთ რა არი შენი ჭირიმე?

— როგორ თუ არ არი! რასაც შენ ეტყვი, იგიც მას გაიგონებს! უიმი-სოდ ორთავე დაიღუპებით! ეს თვითონაც კარგად იცის, შენმა პატიოსანმა თებრომ!

შიო წავიდა. მთელ ორ დღეს იფიქრა: ღირს თუ არა, კიდევ უთხრას თებროს რამე? თანაც ურჩევდა მოხერხებულ დროს, მაგრამ სულ ამაო იყო იმის ლოდინი. ბოლოს როგორც იქნა, ერთხელ მაინც შეეკითხა:

— ჰა, შვილო თებრო! მაშ უკანასკნელი სიტყვა ის არის რაღა, შენ რო მითხარი?

— როგორ? ის გათახსირებული ავაზაკი განა კიდევ იმედოვნებს ჩემს ცოლობაზე? უმალ მეხი დამეცეს და თან ჩამიტანოს—ის მირჩევნია, ვიდრე იმის სახელი ვატარო ქვეყანაზე!

შიო მივიდა კოწიასთან და მოწიწებით მოახსენა შვილის უარი.

— ბარე მეც ბევრი ურჩიე, მარა არ იქნა და ვერ დავაწერიე პირჯვარი!

— ჰაი, შე ქოფაკო, შენა! მაშ მე გიჩვენებ ეხლა სეირსა!

— თუ კი ესე უბრალოთ გამიმეტებ, შენი ნებაა, შენი ჭირიმე, რა გაე-წყობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შე ჩერჩეტო ქოფაკო, პირჯვარი ვერ დააწერინე, ჰა? თუ კი ყაჩაღ-ბოლშევიკ ფირალზე აწერინებდი პირჯვარსა? კოწია იმასთან ალარ მოგწონთ განა? დამაცა მე გიჩვენებ სეირსა!

— რა ვქნა, ჩემო შვილო, ჩემო თვალის სინათლე! წკნელს ხო ვერ წავა-ბამ ი გოგოსა და ისე ვერ მოგიყვან დეკეულსავითა! ისიც ადამიანია! იმასაც ეკითხება თუ არა თავისი ბედ-ილბალი!

— მე აწი მაგაზე ალარ გელაპარაკები! აწი მე ვიცი, სადაც გიკრავ თავს! შენ არ ხარ, შე ქოფაკო, ფირალს რომ ჩუმ-ჩუმად საგზალს აწოდებდი და ღამეებსაც ათევინებდი შენთან?

— ღამე ერთხელაც არ უთევია ჩემთანა, ღმერთი, რჯული!

— ვახშმებს ხომ უზიდავდი, ვახშმებს!

— რა ვქნა! სულს ვერ წავიწყმედავ და გამოტეხით უნდა ვსთქვა, რო ერთი-ორჯერ კი მიმიწოდებია საგზალი.

— ხო შენ თვითონ გამოტყდი, შე ქოფაკო ტეტია, შენა! ჰოო, და მეც ეგ მინდა! მე უშენოდაც კარგად ვიცოდი ყველაფერი!

— კოწია! შვილო და ძმაო! მე რო ყაჩაღი და ბრუნდე კაცი არა ვარ— ეს შენც კარგად მოგეხსენება. მაგრამ გაჭირებული ადამიანი რო მოგადგება კარზე, რანაირათ შეიძლება, უარი უთხრა ერთ ლუკმა პურზე!

— არ ეტყვი ვარსა და, მაშ, ზიდე პასუხისგებაც!

— თუ კაცი ხარ, მაგ ადამიანური გაკითხვითვინა ნუ დამღუპამ, კოწია!

— როგორ! ყაჩაღის შემნახავი დავინდო! მაშ მე რისლა მოხელე ვარ აქა? მაშ ჯამაგირს რეიზა მაძლევს ჩემი მთავრობა!

— ღმერთმა დაგიფაროს, მაგრამ, კაცო, შენ რომ მოხვიდე ჩემ კარზე გაჭირვებული, მაშ არ გაგიკითხო? არ მოგცე რამე შველაი? მა ოჯახის ბედი და დოვლათი რალამ ააშენოს, თუ ასეთ მცირე სიკეთესაც არ გავიმეტებ?

— მაგნაირი არაკები ორთაჭალაში უამბე ორი დღის შემდეგ! ჩემთან კი მაგეებით ველარას გააწყობ! თქვე გლახაკებო, თუ თქვენ არ იცით, მე გასწავლით—ვინც არის კოწია და რა ძალაცა აქვს! თავის ფეხით მოვა შენი პატიოსანი ქალი ჩემს კარზე, თავის ფეხით! მაშ შენ ყაჩაღები გირჩევნია კოწიას თავს არა? კარგი! აწი ვნახოთ, ვინ ჩავარდება ზარალში!

— კოწია! შეხედე შენ ღმერთსა!

— აწი ყველაფერი თქვენ თავს დააბრალეთ!

—

საღამოზე გაჭბაწრეს მოხუცი შიო. მეორე დღეს კი კოწიას ხელით დაწერილ დიდ საგანგებო მოხსენებასთან ერთად თბილისისაკენ უკრეს თავი.

ახალი კვანძი.

დარჩა თებრო მარტოდ მარტო განწირულივით.

ის თავის უბედურ თავზე მთების დანგრევასაც ელის, მეხსაც, ცის რისხვასაც. მაგრამ როცა ნამდვილათ დაატყდება რამე ცხოვრებაში, თითქოს არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯერა ბედის ასეთი სისასტიკე, უკულმართობა და სახტადა რჩება. ის მაშინ წაგავს მინდორზე იალაღათ მოხტუნავე ნუკრს, რომელიც უეცრივ წააწყდება მინდვრის იქით ჩარღვეულ უფსკრულს.

მაშ კოწია შეასრულებს თავის მუქარას? დაე, ჩაიდინოს უფრო მეტი საზიზღრობა, თებროს სიტყვა კი უცვლელია როგორც სიკვდილი.

კოწიას კი იმედი აქვს, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი თებრო მოვა მასთან, შეეხვეწება შველას და შეიძლება კიდევაც დათანხმდეს მის ცოლობაზე.

პირველ დღეებში თებრო მართლა ისე იყო, თითქოს თავში კეტი დაარტყეს და გააბრუესო. ყველაფერზე გაუტყდა გული. ყველაფერზე დაეკარგა სურვილი და თაოსნობა.

როგორ ებრძოლოს ცხოვრების ამდენ მუხანათობას ეს საბუდრიდან ნაადრევათ გაფრენილი ჩიტი? რომელი ერთ ზვავს მიაშველოს ქორფა სატაცურივით უძლური თავისი მხრები?

თებროს სიტყვიერათ არ შეუძლია გადმოშლა. მხოლოდ გულში კი გრძნობს, რომ აქამდის იყო სულ დღე, დღე. ამას იქით კი დადგა სულ ღამე, ღამე. თანაც ეჩვენება, რომ საიდანლაც, სიბნელიდან მოდის საშინლად გავარვარებული ღველფის კორიანტელი: მას თავშესაფარი არსად არ აბადია, არცა სცდილობს მორიდებას და იობის მოთმინებით ელის თავის შთანთქვას.

ან წინ, ცხოვრების გზაზე ხედავს ანთებულ საკირეს. თებროს სიცოცხლეს კი გამხმარი თავის ქალასავით მიაგორებს უბედურობის კორიანტელი და ჩქარა შიგაც გადაუძახებს.

რა დააშავა თებრომ ასეთი?

მხოლოდ ის, რომ დედამიწაზე დაიბადა ისევე უმანკოდ, როგორც პეპელა, ვაზის კვირტი, ან დილის ცვარი.

ორი-სამი კვირის წინედ ის ათასნაირად სახარბიელო ნატვრის თვალს წარმოადგენდა.

თითქოს იმას მხოლოდ აბრეშუმის ყაჭი უნდა ექსოვა და თვითონვე უნდა გახვეულიყო იმის შრიალა და ფერად ქსელში.

მაგრამ პირი იბრუნა სიკეთემ და თებროს წინაც გაიხსნა უცნობი და უვალი გზა განსაცდელისა.

მხოლოდ პირველ გაბრუების შემდეგ თებრომ თითქოს მხრები შეიბერტყა. მასში გაიღვიძა გაჭირვებით გაკაჟებულმა ქედ-მოუდრეკაობამ.

— ეგებ სულმოკლე კოწიას ჰგონია, ჩემშიაც გაიღვიძოს სულმოკლეობამ? ვერ ელირსება! მანამ ცოცხალი ვარ, ალმასის ხმალივით ვიქნები მის წინ ალმართული, და როცა მოვკვდები—ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია!

ეხლა კი რახან ეგრეა, თებრო ქვეყანას არ გააცინებს. ოჯახს დაუტრიალდება კარგი ჯარასავით და ეცდება, სიყრმიდან ნაშენი შიოს კერა ულაზათოდ არ დაანელოს. მანამდისინ თვით შიოსაც გამოუშვებენ. ქვეყანა მართლა ისე გაურჩეველი ხომ არ არის!

ასე გაამხნევა გულ-დაკოდილმა თებრომ თავისი თავი და ამპარტავნული სიკერპით თითქოს ახალად შეება შუა გზაზე მიტოვებულ ტვირთის ულელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთანავე თედოც ნამდვილ გაჭირვების ტალკვესად მოევლინა ღვთისანაბრად მიტოვებულ თებროს.

გაიგო თუ არა, შიოს ოჯახს გამოაკლდა, უფროსი და ამასთანავე ვაჟკაცი, მაშინვე მფარველ ანგელოზათ მოევლინა იქაურობას.

საქონელს იმან დაუწყო მოვლა-პატრონობა. სახნავ-სათესსაც მოუარა. ერთი-ორი დღის სასიმინდე ჰქონდა—იმის თადარიგიც დაიჭირა. ამგვარად შიოს სახლში არაფერს აგრძნობინა ვაჟკაცის ხელის დაკლება.

სამაგიეროდ თავის ოჯახს მართლა ყველაფერით აკლდებოდა, მაგრამ განა ეს აინუმში ჩასაგდებია თედოსთვის? მან თავის სანაცვლოდ ოჯახში დაიქირავა ერთი პატარა მოჯამაგირე და იმის წყალობით მიდიოდა ოლად. თანაცა იმისი მარიფათიანი დედა ყველაფრის თაოსნობას იჩენდა და თავის ერთად ერთ შვილს სრულიადაც არ აგრძნობინებდა ოჯახიდან მოცდენას.

თვითანაც საუცხოოდ ჰხედავდა მოხუცი მშობელი, რომ ეს „მოცდენა" უნაყოფო არ უნდა იყვეს და ბოლოც კეთილი იქნება.

მეზობლებმა თედოს რამდენჯერმე კაი მადლობაც შეახვედრეს ასეთი ადამიანური მოსარჩლეობისა და გატანისათვის. მხოლოდ კომისარი კოწია კი სულ სხვა თვალით უცქეროდა თედოს ასეთი თავგამოდებისათვის.

კომისარს ჯერ ისედაც ათვალისწუნებული ჰყავდა ეს ბიჭი კარგა ხანია.

იმას აქნობამდის გულიდან არ ამოუღია ის შერცხვენა, რომელიც თედომ მიაყენა ამ სამიოდე თვის წინედ ერთ სახალხო კრებაზე.

საქმე შემდეგში იყო.

კოწიამ ბროლოსანში და ახლო-მახლო სოფლებში სამას ფუთამდე ჭინახული მოაგროვა მაზრის დამშეულ სოფლების დასახმარებლად. ამ საქმეში თედოც გულმოდგინედ მუშაობდა. ბოლოს კი რა გამოირკვა?

სამასი ფუთის სანაცვლოდ რაღაც სამოციოდე ფუთი მიეწოდებინა დანიშნულებისამებრ. დანარჩენი კი ისე გააქრო ხელსა და ხელ შუა, რომ იმის ასავალ-დასავალი ვეღარავინ გაიგო. მხოლოდ კაცი თუ თვალს გადაავლებდა კოწიას მოხშირებულ ქეიფს, დარდი-მანდობას, ან იმას, თუ სოფელში როგორ ააგო მშვენიერი ქვითკირის სახლი, ეგებ მაშინ მიმხვდარიყო, სადაც წავიდა ის დანარჩენი ჭინახული.

ერთხელ კოწიამ კიდევ შეჰკრიბა ხალხი და მოსთხოვა შეწირულობა ბათომიდან და აჭარისტანიდან ლტოლვილ ქართველობისთვის.

თედო დარწმუნებული იყო, რომ ხალხის ეს გულუხვობაც ისევე ბოროტად იქნება გამოყენებული კოწიას მიერ, როგორც უწინ. ამიტომ ვეღარ მოითმინა და ხალხის წინაშე ხმა მაღლა ამხილა კოწიას მისი უზომო თვალთმაქცობა და სიმსუნაგე.

კოწია ათას ღობე-ყორეს მოედო თავის გასამართლებელად, მაგრამ ყველასათვის აშკარა იყო, რომ ის თავით ბოლომდის სტყუოდა. თედოს მიერ კაკანათში მაგრად გაბმული ამაოდღა აფართხუნებდა ფეხებს.

სამართალითა და კანონით ის ეხლაც ციხეში უნდა ბრძანებულიყო და არა სოფლის ბატონ-პატრონად, მაგრამ რა გაეწყობა! თედომ ვერ დააგდო

ყველაფერი თავის საქმე და ვერ გაჰყვა სადაოთ კანონიდან კანონში. კოწიას პირდაპირი უფროსები კი ისეთივე მამა აბრამის ბატკნებს წარმოადგენდენ, როგორც თვითონ იგი... ამასთან, გულზე ხელდადებით უნდა ვალიაროთ, რომ კარგადაც ჰყავდა მომადლიერებული იგინი კოწიას.

ამ დღიდან კომისარს დიდი ჯავრი ჩაჰყვა თედოსი და ყოველთვისაც მიდარაჯებული იყო, ეგები როგორმე გაება მახეში და ჯავრიც ეყარა. ის ყველგან ხმებს ავრცელებდა, რომ თედო ქვეყანას ამტუტებს, ის ბოლშევიკია.

ეხლა რომ თებროს საქმეშიც წინ გადაელობა—ამითი ხომ სულ აივსო მოთმინების ფიალა.

აქ უკვე თედო ისე გადაუდგა წინ, რომ იმის გვერდის ახვევა აღარ შეიძლება. ამიტომ იმასაც ისევ დაუნდობრად უნდა შეებრძოლოს, როგორც ფირალას.

ერთხელ გზაში შეეჩეხა თედოს და მკვახედ შეაჩერა.

— შენ ეი, თედო ხარ თუ რაღაცა კვინტრიშა! შენ ვინ გეხვეწება, ესეთი მეტიჩრობა გამოიჩინო?

თედოს როგორღაც ეუცხოვა კოწიას ასეთი უკუმეხი კილო.

— რა მეტიჩრობაზე ლაპარაკობ, ამხანაგო კოწია?

— ვითომ არ იცი! რა უმანკო კრავი ხარ, საწყალო!

— ჰო, სწორე მითხარი, რა გინდა სთქვა? როგორ ქარაგმებით მელაპარაკები?

— მე სწორე გეუბნები! შენ ვინცხა მატრაკვეცი ხარ! აპა რა გესაქმება, შიოს სახლში რომ დეიარები? ხომ არ გინდა, შენც იმის გზას გაგიყენო?

— რაზე უნდა გამიყენო ძმაო იმის გზასა? ჯერ იმან რა დააშავა, რო თავი უკარი ციხისკენა და შემდეგ მე რაღა დავაშავე, რო ახლა მეც თან მიმაყოლო?

— მე ძალიან კარგად ვხედავ, რასაც აშავებ!

— თუ რამე გიძევს ძმაო გულში, ბარემ პირდაპირა თქვი, ვიცოდე! თუ არა და—მე ჩემ ზურგზე დანაშაულს არაფერსა ვგრძნობ!

— შენ რას დაქვეშქვეშაობ, რას, ი შიოს სახლში? დიდი ხანია გახდი იმის მოურავად?

— მე საქვეშქვეშო რა მაქვს! მე რასაც ვაკეთებ, ყველაფერი დღის ნათელზე სჩანს ხელი გულივითა.

— გიცნობ, რა შვილიცა ხარ!

— შენა ძმაო, უეჭველად შორს ეძებ რაღაცასა!

— მე გეკითხები, შენ თუ სწორე კაცი ხარ, რა გინდა მეთქი შიოს სახლში?

— როგორ თუ რა მინდა! უვაქკაცოდ დარჩენილი სახლია და მიშველება ეჭირვება. ი კაცს მართლა ციხეში ხომ არ დაალპობენ! რო გამოვა, ყველაფერი ხო გაოხრებული არ უნდა დახვდეს?

— მერე შენ ვინ რას გეკითხება?

— როგორ თუ ვინ რას მეკითხება, კაცო? კარის მეგობარი ვარ. თუ მე არ მივეშველები, მაშ გადამთიელი რას გაიცხელებს თავსა?

— შენ კაი რამე არ გიძევს გულში!

— შენ თვითან არ გიძევს კაი რამე გულში, თორემ ალარც ეგრე დამიწყებდი ლაპარაკსა!

— უჰ, ბოდიშს ვიხდი ბატონ თედოს წინაშე!

— სადაც ადამიანობაა—მართლადაც რო საბოდიშო გაქვს! უვაქკაცოდ დარჩენილ სახლს ქომაგობას ვუწევ, არ ჩამორჩეს დროებასა და ცხოვრებასა მეთქი. შენ კი ამას საძრახისად მითვლი?

— საჭირო არ არის!

— მა, კაცო, უნდა გაოხრდეს ოჯახი? ხალხში არა ცხოვრობს? ქვეყანა არ არის? თუ ერთმანეთი არ გავიტანეთ გაჭირების დროს, სოფელი ისე ვერ იცხოვრებს, ვერა!

— თუ ეგრე ყოჩაღი ხარ, შენ სახლს მოუარე! შიოს ოჯახს კი თავი გაანებე! ეგ შენი საქმე არ არის და ტყუილად ნურც ეჩრები იქა!

— ახა, ღმერთო ჩემო!

— მე გითხარი და გავათავე!

ასე დამთავრდა პირველი პირის პირი შეხვედრა თედოსა და კოწიას შორის.

თედომ რალაც იქვები აიღო კოწიაზე და თანაც ალღოთი იგრძნო, რომ იმათ შორის სუფთა წყალი არ ჩაივლის. მაგრამ ცამდის ალალმართალსა და თავმომწონე ბიჭს ეთაკილა კოწიას უმსგავსო თავხედობა და ამიტომ ფიქრადაც არ გაუვლია მისი შეპოება.

რასაკვირველია, კოწიას კარგად იცნობს როგორც დაუნდობარსა და უკმეხ კაცს. მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ სუსტებზე უფრო ეხერხება ჯირითი. და თუ ვინმე კრიჭაში ჩაუდგა ვაჟკაცურად მაშინ უკან დახევაც მშვენიერად ეხერხება.

მაინც ახალი ძალა-უნებური ფიქრი მიემატა თედოს, რომლის შესახებაც თებროსათვის არაფერი გაემჟღავნებია.

ხალხის შვილი.

ბოლოს ვინ არის თედო, ასე მძლავრად რომ მოაბიჯებს ცხოვრებაში? ანრა დოვლათის მატარებელია იგი ამ ქვეყანაზე?

მოკლედ ასეთია მისი წარსული:

თედოს მამას უნდოდა, თავისი შვილი ცოტა ქვეყანაში გამოსული ადამიანი ყოფილიყო და არა თავისავით პირუტყვი.

— სოფლის ჭაპან-წყვეტა იმის მამასაც ეყოფა. მოდი ახლა შვილმა მაინც იგემოს ქალაქის თავისუფალი და იოლი ცხოვრებაო!

ადგა და რვა-ცხრა წლის თმა-კულულა თედო თავის ძმისწულს გააყოლა ქალაქში. იქ სამრევლო სკოლაში მიაბარეს ბავშვი. კარგი ბეჯითობით სამ წელიწადში გაათავა კიდეც.

ეროვნული

შემდეგ მისი ბიძაშვილები ავადმყოფობამ, სიკვდილმა და სიღარიბემ სულ ერთიან დაქსაქსა და თედოსაც მოეშალა საბუდარი.

ერთხანად მამამ ისევ სოფელში წაიყვანა. შემდეგ, ქალაქში მყოფ მეზობლის რჩევით, ხელობაზე მიაბარა შეგირდად და სამი-ოთხი წლის შემდეგ ჩვეულებრივი ზეინკალიც დადგა.

თედოს წიგნების კითხვა ძალიან უყვარდა. თავისუფალ დროს სულ თვალებს იწყალებდა შიგ. ყოველი ახალი წიგნის წაკითხვით ცხოვრების ახალი წიგნი იხსნებოდა იმის წინ და თედოც გაოცებას რჩებოდა ქვეყნის სიმდიდრით და სიდიადით.

აქ თედო მოექცა მოწინავე მუშების წრეშიც. ხედავს, ეს უცნაური რწმენით აღგზნებული ხალხი როგორის გატაცებითა და სიმტკიცით ანთებენ რევოლიუციის ჭიაკოკონას.

პატარა თედოც ნიჭიერი მიბაძულობით ჩაერთო ამ ჯგუფში და ჩქარაც დაწინაურდა.

ის ჯერ ყველაზე საუკეთესო და საიმედო გაგზავნ-გამომგზავნათ იქცა „კომიტეტის“ წევრებ შორის. შემდეგ ჩუმ სტამბების საქმეებშიაც ჩაება და ერთ უმთავრეს მესაიდუმლეთაც გადიქცა იგი.

მთელი ორი წელიწადი გაატარა ასეთ მუშაობაში.

ბუნებით ისედაც დინჯი და კეთილშობილი თედო, ამგვარი მუშაობით კიდევ უფრო დადარბაისლდა. ის აქიდანვე შეეჩვია სიმართლისათვის უანგარო, უჩინარ და თავგამეტებულ ბრძოლას. ამასთანავე ისწავლა სიფრთხილე, წინდახედულობა და თავდაჭერა.

დემონსტრაციის დროს კი, როცა წითლად ანთებულ დროშებს მისდევდა როგორც სანადიროდ პირველად გამოსული ლომის ბოკვერი, რაღაც შეუბორკავ ქარიშხალს წარმოადგენდა. საიდუმლოებისა და თავდაჭერის პალოდან უეცრივ აწყვეტილი, ის ნამდვილი ელვა და რისხვა იყო მტრის თავზე ჩამონთხეული.

ხასიათის ხან ასეთი ღრმა მორევები და ხან კი გადმოხეთქილი ნაკადები დავაჟკაცების დროსაც უმთავრეს თვისებათ დასჩემებოდა თედოს.

შემდეგ, 1905 წლის რევოლიუციის მთლიანი ნაკადი მრავალ ტოტებათ დაიშალა. ბევრი მუხლებამდის ძლივსლა სტოპავდა შიგ, ბევრი მშრალზედაც გაირიყა.

თედოსაც გული გაუტყდა სხვის გულგატეხით, მაგრამ ზოგიერთებთან მაინც ცოდვილობდა კიდევ რაღაცას. მხოლოდ ყველასთან ერთად გრძნობდა შენელებას და თანაც დაშორებას იმ ახალი აღთქმისას, რომლისთვისაც მრავალჯერ გადაუდვია თავი სხვა მრავალთან ერთად.

მსოფლიო ომის დროს თედო ჯარში წაიყვანეს. ჩქარა გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა.

იქ გერმანელებმა თედოს ახლად დააწყებინეს გლეხური მუშაობა. სამი-ოთხი წელიწადი თედოს ისევ ხვნა-თესვასთან ჰქონდა საქმე. ისევ ყანასა და ჭირნახულს შესცქეროდა ბუნების გულღია თვალით. რაც ბავშობიდან დააკ-

ლდა გლეხურ მუშაობიდან, თედომ ეხლა აინაზღაურა ყველაფერი. ბავშვობა-ითა და აღტაცებით უცქეროდა რკინის სალტებში მომწყვდეულ გერმანელის გაუტეხაობას, სიბეჯითეს და მუყაითობას. უცქერიდა თედო და თვითონაც ენათესავებოდა სულიერად ამ სიმართლის მოყვარულ, ბავშვივით მინდობილ და მშრომელ ხალხს. სხვა უიმისო ათასჯერ გატყდებოდა წელში უთვალავ მტერთაგან თავზე დამხობილ რისხვის ქვეშ. გერმანელი კი ყოველ ჩაქუჩის რაკუნზე, ყოველ ბარის დარტყმაზე თითქოს გუნებაში იძახდა:

— მე უნდა გავიმარჯო! მე უნდა გავიმარჯო!

თედოს უყვარს და მოსწონს ასეთი რწმენა, ასეთი სიმტკიცე—დედამიწის ზურგზე ყველაზე მშრომელ და მუყაით ხალხისა, რომელიც სასროლად გამზადებულ ისრის კონას წარმოადგენს მათზე დაგეშილ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ.

ეს თედოს საკუთარი აზრია და გრძნობა, ეს თვით თედოს არსებაა.

ის გერმანელების ტყვედ იქცა განა მარტო სამხედრო წესით, არამედ სულიერადაც.

— ბრძოლა, შრომა, სიდინჯე! გაუტეხაობა და სიმართლე!

ეს მცნებანი შეისისხლხორცა თედომ თავის ტყვეობის დროს. იმათ ჩანასახს წინედაც ხომ ატარებდა თავის არსებაში, მაგრამ ის ჯერ მხოლოდ გარეული ძიმწარა იყო. ეხლა კი გადიქცა საუკეთესო ნამყენად ცხოვრების ხილეულისა.

1918 წელს თედო დაუბრუნდა თავის სამშობლო მხარეს.

რევოლიუციის შემდეგ ყველაფერს ელოდა სულ სხვანაირად. ელოდა ისე, როგორც წარმოდგენილი ჰქონდა თავის გამტკიცული აზრით და ნატვრით 1905 წლის კორიანტელში.

მას უნახავს უანგაროთ თავგანწირულნი მებრძოლნი საციხეთ, საკატორღოთ, სასიკვდილოთ. თვითონაც ყოველთვის მზად იყო სამსხვერპლოდ სიხარულით, დაუნანებლივ. ის საქმე, რომლისთვისაც იბრძოდენ ასეთი თავგამეტებით, მათთვის ნაცნობი იყო, მათ ფეხქვეშ ნიადაგიდან საღათ და მარტივათ ამოღებული.

ეს იყო ხალხის სიკეთე და ბედნიერება.

მათ დაჰკარგეს ძველი სარწმუნოება და სალოცავი. მაგრამ იმავე სათუთი გრძნობით, იმავე სასოებით შექმნეს ახალი სარწმუნოება და ააგეს ახალი სამლოცველოები. ეს სარწმუნოება და სამლოცველო იმ მებრძოლებისა იყო—

— ისევ ხალხის სიკეთე და ბედნიერება.

თედომ კი რევოლიუციას ეს წმინდა სამლოცველო როგორლაც შელახულად იცნო.

ჰხედავს, რომ ბევრი იმისი ამხანაგები წარჩინებულ ადამიანებად გადაიქცენ. თავიანთი აღმატებით თავბრუ დახვეულნი ისეთ თავხედ და ზვიად იერს ატარებენ, რომ ცა ქუდათ აღარ მიაჩნიათ და დედამიწა—ქალამნადა. იმათ, თითქოს, ეთაკილებათ კიდეც თავიანთი სადა წარსული და ხალხის შვილობა.

თედოსათვის არავითარი წარჩინება ცდუნებას არ წარმოადგენს და არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურს იწვევს. მხოლოდ სწყინს, რომ ბევრი ძველი მებრძოლი ხელისუფლებას სულ ერთიან გაუხარწნია. ისინი ხალხს ისევე სჩაგრავენ და აბუჩად იგდებენ, როგორც მათგან დამხობილი მტარვალნი.

მისი ალალი ბუნება ვერ ურიგდება რევოლიუციის სახელით წარმოებულ ასეთ უკულმართობას.

მან გულის ტკენით პირი იბრუნა სოფლისკენ.

— დავიცდი! ვნახოთ! ალბათ დაიწმინდება ეს მღვრიე წყალიო!

თედოს სოფელში დაბრუნებას ხელს უმართავდა კიდევ ქალაქის მაშინდელი გაჭირვებული მდგომარეობა და პურის უქონლობა. ერთ გირვანქა პურზე ორ-სამ დღეს სცდებოდა კაცი და ბოლოს ისევ ხელცარიელი რჩებოდა. თედოს ოჯახში კი ჯერ ისევ ძველი ბარაქა ტრიალებდა.

ერთი წლის შემდეგ თედოს მამაც გარდაიცვალა და ამის გამო ის კიდევ უფრო მიეჯაჭვა სოფლის ცხოვრებას. პატრონობა უნდოდა საქონელს, მამულ-დედულს. ოჯახის საქმე მოითხოვდა თავის განგრძობას.

ქალაქი ჯერ ისევ სახარბიელოს არაფერს წარმოადგენდა. სოფელში კი გამართული ოჯახი აქვს კაცსა და ამ სისხლის პურის ჭამის დროს აუტკივარი თავი რათ აიტკიოს? მაშ ისევ სოფელში იჯდება და მოუცდის დრომდის ცხოვრების გამოდარებას.

რამდენჯერმე თავიანთ მხარეში კომისრადაც აირჩიეს თედო, მაგრამ დიდათ იუარა. თავის ხასიათისთვის ძალიან შეუფერებლად ეჩვენებოდა ეს ახირებული თანამდებობა.

სოფლის ამორჩეულადაც ბევრჯერ იყო, ძალიან ისერებოდა ამ პატარა საქმეში. მადლობელი კი ძალიან ცოტა იყო, რადგან ყველას თავის სასარგებლოდ უნდოდა საქმის გადაწყვეტა.

თედომ სოფლის ყოველგვარ არჩევნებს ზურგი შეაქცია და სცხოვრობდა თავისთვის დამოუკიდებლად. ისე კი სოფლის ავ-კარგზე ყოველთვის ჰქონდა კითხული. ხალხის მაგიერ მოპასუხე და სიტყვის გამომთქმელიც მუდამ ის იყო. საერთოდ, შეპოება და სიყვარული როგორც ბროლოსანში, ისე ახლო-მახლო სოფლებში ერთობ დიდი ჰქონდა.

მუშაობაში და გლეხკაცურ გარჯილობაში თუ გაუსწრებდა ვისმეს, თორემ არავის ჩამორჩებოდა. სახლში იმყოფებოდენ მხოლოდ ისა და მოხუცი დედა. მის დაოჯახებაზე ბევრჯერ ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ თედო თითქოს არ ესწრაფოდა ამ წუთი სოფელს. ფიქრობდა:

— ბედი თითონ მომადგება კარზედაო!

ბედნიერების რიჟრაჟი.

თებროს, მართალია, თედო დიდ შვებათ მოევლინა ოჯახში, მაგრამ ის მაინც მარტოხელი გოგოა. უკვირდება თავის გარემოებას და ხსნა ვერსაიდან ვერ უპოვნია, ყოველმხრივ თითქოს რკინის სალტებით არის მაგრად შებოჭილიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ეტყობა, შიოს ეგრე ადვილათ არ უშვებენ ციხიდან, ოჯახს კი გაძღოლა უნდა თავის წესზე და ადათზე. მეზობლობითა და პატივისცემით თედომ განა როდემდის უნდა წაიყვანოს მთელი ოჯახი იოლათა? ამასთანავე ძალიან უხერხულიც არის ახალგაზრდა ვაჟკაცის ესე სახლში მოშინაურება. ქვეყანა არის, სოფელია! ვინ რას იტყვის? ადამიანის თვალი თავის თავად ბოროტია იქ, სადაც ნამდვილად ვერაფერს ჰხედავს. ვერც თებრო ასცილდება ცილის წამებას და სახელის შელახვას.

მაგრამ თამამი და ამპარტავანი თებრო აქ რომ არავის შეეპოვოს, თავისი დიდი უბედურების წინაშე მაინც იარაღ დაყრილი რჩება უმწეოდ.

— ის ხომ ორსულია! და რა წყალში ჩავარდეს? როგორ მოუაროს ამ საქმეს.

და ყოველი წუთი ისევ საწამლავით აღევსება, ისევ შეუჩერებლივ იწონება ყოფნა არყოფნის სასწორი. სიკვდილის პირქუში ლანდებიც უფრო გრძნეულათ წამოიშლებიან და იწყებენ ბარბაცს თებროს წინ ჩამოშვებულ შავ ფარდაზე.

უკვე ორი კვირე გავიდა ამგვარად.

თედოსაც ეჩოთირება ასეთი ორეოფული მდგომარეობა.

რომ ახლათა ჰქონდეს გადასაწყვეტი საქმე, კიდევ შესაძლებელია ყოყმანი, მაგრამ თედოსთვის დიდი ხანია ბეჭედ-დასმულათ ითვლება თებროს შეუღლების საკითხი. მხოლოდ ოვით ქალზეა ეხლა დამყარებული მთელი იმედი მომავალისა.

ერთხელ აკი უხელთა კიდეც ვაჟმა დრო.

— გოგო თებრო! შეხედე შენ ღმერთს! ნურც მე მაცდენ ამ წუთისოფელში და ნურც შენა სცდები.

გოგოს ფერი-ფერმა გადაჰკრა.

— ...მე რა შემიძლიან, თედო?

— როგორ თუ რა შეგიძლიან, ქალო! ხომ ხედავ, შენს იქით გზა ალარა მაქვს!

— ჩემი გულისთვის შენ რად იკარგავ ბედსა?

— ჩემ ბედს ორი ხელით შენსკენ გამოუკვლევია გზა! ჩემი მომავალი ცხოვრების მძევალი აქ არის, ამ ოჯახში და სხვაგან ალარც დავეძებ მას!

თებროს მრავალ ფიქრთა ნაგუბარი ადგება პირზე. თითქოს ენა ებმის

— ...მე შენი ღირსი არა ვარ, თედო!

— თავს რათ იმცირებ, ქალო! თუ კი მიკადრებ და ტოლათ გამიხდი, შენზე უკეთეს რაღას ნახავენ ჩემი თვალები!

— თედო! მოდი, საღამოზე ერთ რამეს გეტყვი და თუ მაშინაც არ შეიცვლი აზრს, მერე... მერე...

— კარგი, გენაცვა! ამდენი მომითმენია და ერთი მზის ჩასვლას ველარ მოუცდი!

თებროს უნებლიედ ბოლმიანი ოხვრა აღმოხდა. თედომ ათას სხვა მიზეზს მიაწერა გოგოს ასეთი დანაღვლიანება და არჩია, ჯერჯერობით მარტო დაეტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა. საღამოზე კი ალბათ გაიხსნება იმისი ცხოვრების ნასკვი ... ბროლის თითებით.

ბნელ ტაძარში გაშვებული მტრედივით დიდხანს ეხეთქა თებრო თავის ფიქრების მაღალ გუმბათს და ბოლოს გადასწყვიტა:

— უეჭველად გავუმჟღვანებ თედოს „ჩემ საიდუმლოებას“, თუ გამიგო და არ დამძრახა, ხომ ჩვენ შორის ხიდი გადებულია. თუ ვერ გამიგო და არ შეიფერა ჩემი გულახდილობა, მაშინ კი მხოლოდ სიკვდილი მიხსნის სირცხვილისაგან. სხვა გასაქანი მე არა მაქვს ამ ქვეყანაზე!

ასე გადასწყვიტა თებრომ და ერთხელ კიდევ იგრძნო სიკვდილის პირისპირ სუნთქვა, მისი ხმელი ხელების გადახვევა—სავსეთ და კოხტად მოყვანილი თავის მხრებზე.

ვახშმობისას თედოც მოვიდა.

— აჰა, გოგოჯან! ან ამიგე ანდერძი სამუდამოთ, ან გამიღე კარი ახალი ცხოვრებისა და ვიაროთ ერთად შახიანად, თავმომწონეთ—სანამ დედამიწის ზურგს შეეძლება ჩვენი ზიდვა.

თებრომ ლამფას ჩაუწია და პირიც სიბნელისკენ იბრუნა.

— ...თედო! ძალიან მეძნელება! სიკვდილს უდრის რასაც მე გეტყვი ეხლა...

— ჩემი თავი შენ გენაცვალოს!

— არა! ჩემთვის უდრის სიკვდილსა!

— ვერ მიმხვდარვარ ქალო, რა არის ეგრე სამძიმო!

— ვაი, თუ ვერ გამიგო, თედო?...

— ასე მგონია, ცხოვრებაში, ველარაფერი გამაკვირებს მეთქი და შენ რაღა უნდა მითხრა ისეთი! ეგება გიყვარს ვინმე?...

თებროს მცირედი შვება მიეცა.

— მიყვარდა...

— ნუ თუ? ვინ?

— ფირალა!

— ფირალა! რა ვუყოთ მერე!

— არაფერი! ალარც მე ვიწვალებ და ალარც შენ გაწვალებ! პირდაპირ გეტყვი! შეიძლება ცხელი ტყვიასავით მოგხვდეს გულზე, მაგრამ ეს ალარ დაიფარება.

— სთქვი!...

— ... უკანასკნელ ღამეს, მანამ ფირალას მოჰკლავდენ, მე იმას მსხვერპლად შევსწირე... ჩემი ქალური უმანკოება. ეხლა შეგიძლიან დამგმო, ჩამქოლო დამამცირო და ხელიც მკრა!

სიჩუმეა.

(კომისარ კოწიაზე კრინტიც არ დაძრულა. ალბათ ასე ჯობდა.)

— სულ ეგ არის, ქალო-ჯან?

— ნუ თუ არა კმარა ეს ჩემ გასაწბილებლათ!

— კარგი! რათ მითხარი ეგ, თებრო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამის შემდეგ ნუ თუ კიდევ მოისურვებ ჩემს ულლადობას?

— ...და რომ მოვისურვო, შენ ეხლა მაინც ხარ თანახმა ჩემი გვირგვინის სწორობაზე?

— თუ კი მიკადრებ და არ გამწირავ...

— აჰა, მაშ ჩემი ხელი და სანამ თავი მხრებზე მაბია, ჩემი ენა-პირით შენ ვერასდროს ვერ გაიგონებ რაიმე საყვედურს და ნიშნის მოგებას! არ იქნება ოდესმე ცუდათ ხსენებული ფირალას სახელი!

ხელი ხელს ჩასჭიდეს, კისერი-კისერს და ასე დააგვირგვინეს პირველი ფიცი—ერთმანეთის სიყვარულისა.

ᲛᲔᲠᲐᲒᲣᲚᲘ ᲯᲘᲣᲢᲚᲒᲐ.

ხმა უკვე გავარდა სოფელში:

თებრო და თედო დაინიშნენ და ამ დღეებში ქორწილსაც გადაიხდიანო.

კომისარ კოწიას იმედი არ გაუმართლდა:

ეგონა, უპატრონოთ დარჩენილ თებროს ადვილად მოადრეკინებდა კისერს, მაგრამ სრულიად მოულოდნელათ აკი შუა გზაზე წინ გადაუდგა თედო და ყველაფერი უკუღმა შეატრიალა.

ასე ულაზათოდ მოუცდა მიზანში ნასროლი ბადე.

მაგრამ თებროს ცეცხლი უფრო და უფრო მძლავრად მოედო იმის ამღვრეულ გულს.

— არა! როგორც იქნება, თედოსაც მოინელებს და იმ გოგოს კი უეჭველად ჩაიგდებს ხელში! ის კოწიას წერაა და ვერც ასცდება საბოლოოდ იმის გზა და კვალს! რაღა თავში სახლელად უნდა ვაჟკაცობა! ან რას აქნევს თავის კომისრობასა და მთელ ძალა-უფლებას, თუ კი ვიღაცა სოფლის კაცი, ასე უმსგავსოდ გამოსტაცებს ხელიდან თავის სასურველ არსებას!

თებროს კიდევ მიუგზავნა ერთი თავისიანი ვინმე და განმეორებითა სთხოვა ცოლობა.

ქალმა ისეთი უარი სტკიცა, რომ სამუდამოდ დაუკარგა იმედი საქმის მშვიდობიანათ დაბოლოვებისა. თუმცა კოწია წინდაწინვე ელოდა ასეთ პასუხს.

ჯერ მოსარჩლე არავინ ჰყავდა და მაშინაც ასე დაჟინებით უარობდა კოწიას ტოლობას. რაღა იქნება ეხლა, როდესაც გვერდში ეკულება ახალი პატრონი და მოიმედე!

აქ კოწია ახალად უნდა შეებრძოლოს ყოველგვარ დაბრკოლებას. მას აუცილებლად სწყურია გამარჯვება, რა ფასადაც უნდა დაუჯდეს!

პირველი დაბრკოლება ეხლა თედო არის. მაშ უნდა გადაიაროს იმის ზურგზეც. როცა იმასაც ჩამოაცლის თებროს და იგი ახალათ დარჩება ცხოვრების შარა გზაზე უსაშველოთ, უმწეოდ—მაშინაც არ იკადრებს კოწიას, არ შეეხვეწება მფარველობას და ცოლობას?

მაგრამ თედო ცოტა ჯიუტი კაცია და იმასთან ძალიან ფრთხილად უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება. მას უნდა მხოლოდ კანონით ებრძოლოს და ეს-დაიმორჩილოს, თორემ სხვანაირად არაფერი მოევლება ასეთ ფრთხილ ნადირს. ისე კი სჯობია ერთხელ მაინც დააშინოს თედო, ეგები არ გაბრიყვდეს და ჯვარი არ დაიწეროს. მაგრამ თუ არ დაიშალა, მაშინ თვითონვე ზიდოს მთელი რისხვა კოწიასთან შებრძოლებისა და თავხედობისა.

ქორწინების წინა დღეს კიდევაც შეხვდა თედოს და ახალად გამოელაპარაკა.

— შენ კაი გზას არ დადგომიხარ, ყმაწვილო!

— მერე შენ რასა დაობ ემაგაზე?

— განა არ იცი, შიო რეიზა არის დაჭერილი?

— მე საიდან მეცოდინება!

— ყაჩაღების შენახვიზაა, ყაჩაღებისა! მაშ ფრთხილად! შენც იქ არ მიგაყოლო!

— თუ რამე ავკაცობაზე დამიჭერ—ბატონი ბრძანდები! თუ არა და ბუზსაც ვერ ამიფრენ ტყუილ-უბრალოდ!

— შენ გირჩევნია, იმ გოგოს თავი გაანებო!

შენ თვითონ ხშირ-ხშირად ნუ ახსენებ ი გოგოსა, ის გირჩევნია! ჩემ საცოლესთან რა გესაქმება, ეგრე რომ ლაპარაკობ! ჩემი მოწილე ხომ არა ხარ, რა გინდა, ძმაო?

— შენც ისე არ ჩაგმწარდეს, როგორც ერთს მოუვიდა!

— მგელი შიშითა ცხვარი არავის გაუქლეტია! შენი შიშითა მა ცოლი ვეღარ უნდა შევირთო კაცმა?

— თებროს გაუშვი ხელი! შენ მარტოობაში უხელთე დრო და ისე შეძვერი იმ სახლში. ეგ ვაჟკაცის წესი არ არის!

— თუ რამე ქვეყნის საწინააღმდეგოს ჩავდივარ, მაშინ წამედავე, თუ არა და—რას ამხირებიხარ, ჩემო ძმაო და მეგობარო?

— მაშ ირთავ, ირთავ, ჰა, თებროსა?

— ჰაი, ჰაი, რო ვირთავ! ცოცხალი თავით მაშ ეხლა უკან დავიხევ?

— კარგი! მხოლოდ მგელი ძვალს გაზომავს და ისე გადაყლაპავსო.

— შენც გამზომე, და ისე გადამყლაპე! რა ვიცით, კაცნი ვართ! ეგები ყელზე დაგადგე!

ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

კოწიას შეეძლო, გამოემეღავნებინა თებროს ქალობის საიდუმლოება. ამით სამუდამოდ დასჭრიდა თედოს თავმოყვარეობას და შეიძლება საქმე სულ ერთიან აეწეწა. მაგრამ ამ უკიდურესი საშუალებით თებროსაც სამარადისოდ დაჭკარგავდა. თავისადმი აღძრავდა საშინელ ზიზღს და უნდა კიდეც დაესამარებინა იმედი იმის ოდეს მე შერთვისა. თანაც ის სცდილობს, თებროს ამ უკიდურესი საიდუმლოების შენახვით ეგები როგორმე მოინადიროს იმისი გული. ამიტომ ამ იარაღის გამოყენება არას გზით არ უნდოდა თავის სასარგებლოდ.

ის განსაკუთრებულს ახირებითა და სისასტიკით ხერხავს თებროს გარშემო ცხოვრების ყოველგვარ ხიდს. უნდა სრულიად მარტოდ მარტო დასტოვოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიყულ კუნძულზე და შემდეგ თვითონ მოევლინოს ბხსნელად ამ გახწირულების ჟამს.

ასეთ თადარიგს იჭერს კოწია და იმედიცა აქვს, რომ გამარჯვება ბოლოს მაინც იმას დარჩება.

ძოკრწინება.

ორი დღის შემდეგ თედომ ლაზათიანი ქორწილიც გადაიხადა.

მართალია, თედო დიდ უხერხულობას გრძნობდა, რომ იმის სიმამრი ციხეში იყო გამომწყვდეული და იმას კი აქ ხელგაშლით უნდა ემხიარულა.

მაგრამ კაცს ხომ ერთხელ უხდება მთელ სიცოცხლეში ასეთი დღესასწაული და ისიც შეეცადა, სანიმუშოდ აღენიშნა იგი.

თვით თედომ ყველაზე მეტი მონაწილეობა მიიღო თავის ქორწილში.

მხიარულობა, სიმღერა, ცეკვა, სადღეგრძელო—ყველაფერი ეს თედოს გაიალაღებულ გუნებაში ჰპოულობდა ახალ-ახალ სათავეს. თითქოს ამითი უნდოდა შეევსო ყოველგვარი დანაკლისი წარსულისა და, შეიძლება მომავალისაც.

განმტკიცულ პურის შოთები და ლავაშები პირის ფერ მარმარილოს ზოდებივით ეფინენ სუფრის თავიდან-ბოლომდის. ხორაგეულობის თადარიგი ყოველ ზომაზე მოიჭარბებდა. საგანგებო „ხიდისთაური“ კი, რომელიც „ატენურთან“ ერთად მხოლოდ ქართლშივე ისმის ფაქიზ ნექტარივით, მთელი სუფრის ეშხს წარმოადგენდა.

(ეს სასახელოდ მოართვეს თებროს ბიძებმა ხიდისთავიდან.)

პურაძვირ კაცსაც კი ყველაფერი გულუხვათ და თავსაყრელად ეჩვენებოდა.

მასპინძლის ასეთ მომხიარულებას—სტუმრებიც თითქოს საგანგებოდ შეეწყვენო და ისეთი თავანკარი ქეიფი გაიმართა, რომ სოფელს რამოდენიმე წელიწადია აღარ ახსოვს ამის ბადალი დროს გატარება.

შიოც რომ იქ ყოფილიყო, წარმოგიდგენიათ რა იქნებოდა!

ყანწი და ძველი აზარფეშა ხელიდან ხელში ცილაობდენ, როგორც მეჯვარე და ტოლუმბაში მოლხენასა და სიტყვა-პასუხში.

მეფე დედოფლის წინ კი ჰშვენოდა წმინდა სანთლებით გალაქლაქებული ალავი. მისალოცსა და პირი-სანახავს კი მჭერმეტყველურის ოხუნჯობით იღებს და ითვლის ნაცადი ტოლუმბაში.

კარში, აივანზე უკლებლივ შეგროვილან მთელი სოფლის ღარიბ-ღატაკნი, მწყემსები და მენახირენი. შემოსხდომოდენ ხორაგეულობით თავადგმულ ხონჩასა და გოდრებს და ბრმა ყვავივით ილუკმებოდნენ.

ასე ხარობდა საგანგებოდ შიოს ოჯახის თარო-კედელი მიმსველელ-მომსვლელით, დამხვედრით, პურით და ღვინით.

შუა ქეიფის დროს კომისარმა კოწიამ რამდენჯერმე გაითარეშა თავისი მილიციელებით სახლის წინ. ფერდაკარგულ თებროს კი ისე ეჩვენებოდა, თითქოს იმის გულზე გადაიარა ამ პირქუშმა ადამიანმაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ფრივ ამ პირველ საგვირგვინო ალამოს შავი ზოლი არ გავლებია.

თედო მაინც გასაოცარ ხალისიან გუნებაზე იყო. თითქოს ცხოვრების ლრუბლიანმა ცამ ეხლა სამუდამოთ მოიკრიალა სახე და ეს საგანგებო დღე კი ფერადოვან ცისარტყელად გადაკრულა მის კაბადონზე. მან თავის უკან თითქოს სამუდამოდ გამოჰკეტა ნახევარი ცხოვრების ულაზათოდ დაფჩენილი კარი სამაგიეროდ კი—მტკიცე, სწორი მარჯვენით, სიმღერითა და აურ-ზაურით შეაღო უცნობი კარი მომავალისა.

შავბედითი თებროს წყევა-კრულვით დაქანცულ ბაგესაც თითქოს წუთიერად მოჰშორდა თასი საწამლავისა და იმის გუნებასაც ბინდი გადაეყარა. ამ დროს გატარებისა და სიმხიარულის მაცქერალს თითქოს სჯეროდა კიდეც, რომ იმისი ბედი უკვე ჩამოვიდა შავი რაშიდან და ეხლა წითელი, საზეიმო რაშით მოაქროლებს თვალთ-მატყვეებელად გადაშლილ მომავალის სარბიელზე.

თუ ხანდახან მწვავე ჰვალივით გაუვლიდა რაღაცა აზრი—ეს ისევ შთაინთქებოდა უცნაურ იმედით აგიზგიზებულ წარმოდგენაში.

თებროს თითქოს არც კი სჯეროდა, რომ ეს ქორწილი და სიმხიარულე მას ეკუთვნოდა, მაგრამ მეორე მხრივ ვეღარც ის დაეჯერებინა, რომ ამ სანატრელ დროს გატარებას ოდესმე ექნება დასასრული.

ეს თითქოს უნდა გაგრძელდეს ყოველ დღე, მუდამ, საშვილიშვილოთ. ამაში ერთობა თებრო. ამითი გრძნობს თავდავიწყებას. უიმისოდ... უიმისოდ ეშინია ჩვეულებრივი გაჭიანურებული დღეებისა.

ახალი იერიშები.

ასეთი ატეხილი ჟრიამულით, მაყრიონითა და სარით გაათენეს პირველი საგვირგვინო ღამე.

ის იყო ახალგაზრდა მაყრებმა დილის კამარა დაარტყეს ზურნითა და ხონჩაზედ გაწყობილი პურ-ღვინოთი, რომ ამ დროს ერთი მილიციელიც მიადგა თედოს კარებს.

— თედო! დღეს გზის შეკეთების ბეგარაზე უნდა გამოხვიდე შენი ურმითა!

თედოს მაგიერ სხვები შეეხმაურნენ.

— რა დროს ბეგრაა, კაცო?

— სად გაგონილა, ნეფობიდან კაცი ააყენო და ბეგარაზე წაიყვანო!

— შენა, ე, ძმობილო! ტყეში ხომ არა ხარ გაზდილი!

მილიციელი მკვახედ უპასუხებს:

— მე როგორც მიბრძანა კომისარმა, ისე ვიქცევი! ჩვენი რა საქმეა, ქორწილი აქვს თუ არა! ე ჯერ გზაზე გამოვიდეს და როცა მოვალეობას მოიხდის, მერე თუნდა ქეიფითა ცანიც შეაჯეროს.

ხალხი ისევ ახმაურდა.

— ე, რა ულმერთო ყოფილა კაცო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენა ან ხათრი არ იცით, ან ადამიანობაი?

— არა! გაგონილა ესეთი ამბავი, რომა კაცს გვირგვინი მოხადო და ბეგარაზე გაიყვანო!

აქ თვითონ თედო ჩაერია დავაში.

— მილიციელი მართალს ამბობს! მაგათი რა საქმეა, მე ქორწილს ვექცევი თუ ქელეხსა! ქვეყანას ბეგარა სჭირდება და მეც უნდა გავიდე, მორჩა და გათავდა!

ხალხი ისევ, ახმაურდა,

— დაიცა კაცო! რა ვქნა, შენა ვინ გაგიშვებს აქედანა!

— ჩვენ განა ხალხი არა, ვართ? თუ კი ეგრე გაჭირდა საქმეი, შენ მაგიერ განა სხვა ვერ წავა!

— ვაიმე, ვაიმე! გვირგვინ ქვეშიდან რო არ გამოვიყვანოთ კაცი მე ვერ წავალ განა იმი მაგიერათა!

— მეც სიამოვნებით წავალ!

— მეცა! მეცა!

მილიციელი მკვახეთ უპასუხებს:

— ყველა თავის მაგიერ წამოვა! თედოც თავის მაგიერათა! აქ დავა და აყალ-მაყალი რა საჭიროა!

თედომ ისევ მოკლედ გააწყვეტინა მილიციელს.

— ჰო, კარგი, კარგი, ძმობილო! გამოვალ, უეჭველად, გამოვალ ჩემი ურმითა! წადი და ეგრე მოახსენე კომისარს! მაგრამ დაიცა! ერთი რამე მაინც გადაჰკარი! ან დაილოცე, ან დაიწყევლე!

მილიციელმა უყმურად გადაჰხუსა ორი ჯამი ღვინო და წავიდა ლუკმის ღეჭვით.

ხალხში ატყდა ერთი ალიაქოთი, მითქმა-მოთქმა, გინება და მუქარა.

თედომ ყველანი დაამშვიდა.

— თუ გიყვარვართ, თუ ხათრი გაქვთ, დაწყნარდით და გემოიან პურის ჭამას ნუ მოშლით! ეინუმშიც ნუ ჩაიგდებთ ესეთ მცირე უსიამოვნებას! ეს ქვეყნის ვალია! უნდა მოვიხადო. მა როგორ გინდათ! ჩემ მაგიერ, აი, დედაჩემი იქნება აქა! ხედავთ, როგორ კაი ჯარასაეით ტრიალებს!

— შენ ვერ გაგიშვებთ, თედო, ვერა!

— სად სმენილა და გაგონილა, კაცო, ასეთი ამბავი!

— კარგი თუ ძმა ხართ, ნულარ გააზვიადებთ საქმესა! აქ უცხო არავინ არის! ყველა ნათესავია, მეზობელი და მოყვარე! დასხედით და ისევე ლაზათიანად მოილხინეთ, როგორც ჯულდაგულ თქვენ სახლში! მე ჩემ ვალს მოვიხდი და მოვალ! მერე კი ისეთი ქეიფი გავაჩაღოთ, რომ ქუდი ჭერსა ვკრათ!

თედომ არ დაიშალა და წავიდა ბეგარაზე. თებრომ სული თან გაატანა— არამც და არამც კომისარს არ აუხირდე რამეშიო.

თითქმის მთელ დღეს იმუშავა თედომ გზაზე. დაუღალავად ეზიდებოდა ქვიშასა და სილას თავისი კოხტად გამართული ურმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოწია კი თითქოს საშაროდ დადიოდა წალმა-უკულმა და ზოგჯერ თედოსაც შეუბურტყუნებდა:

ეგ რა არის? ცოტა მეტს ვერ დააყრი ურემზე? თამაშობა გგონია თუ რა?

თედოს ლამის ზეწრამდის ჰქონდა ხოლმე მოყრილი ურემი, მაგრამ კოწია მაინც განგებ უხირდებოდა. თედო კი უსიტყოდ ყლაპავდა ამ უსაბუთო შენიშვნებს და გულშივე ინელებდა უცეცხლო ცეცხლს.

საღამოზე, როგორც იქნა, მორჩა ბეგარას და თავის სახლს დაუბრუნდა. შუბლ-გახსნილი გუნებით და ვაჟკაცური იერით ის ახლად შეუდგა ულაზათოდ შეწყვეტილ ქეიფის გაგრძელებას.

სოფლის სხვა მხარეს კი კოწიაც კმაყოფილებას განიცდიდა, რომ თავის მოქიშპეს ასე მოსწრებულად ჩააშხამა ქორწილის პირველი დღე. თანაც შემდეგისათვის კიდევ იგონებდა ახალ-ახალ გეგმებს თედოს გასარიყად და განსაწირავად.

თედოს ოჯახში კი სწორედ იმ ღამეს გაჩნდა ნამდვილი მყუდრო პურის ჭამა. სახელდახელოდ შემოსწრებული ყველა წავიდ-წამოვიდა თავის ბინაზე. დარჩენ მხოლოდ თავანკარი ნათესავები და მეზობლები, რომლებიც ერთმანეთისათვის ამომავალ მზესა ნიშნავდენ. დასხდენ და სიმღერით, სიამტკბილობით ისეთი დროება გაატარეს, რომ ადამიანს გული გაუნათლდებოდა.

მეორე დღეს ისევ კარს მიადგა მილიციელი:

— კომისარმა—ქალაქიდან კაცები მოვიდენ და ჩქარა ცხენი გამოგზავნეო!

თედომ შუბლი შეიკრა.

— ბიჭო! ეგები სხვასთან იშოვო! ჩემი ცხენი დღეს მე მჭირდება, ერთი ნათესავი უნდა გავაცილო.

— არ შეიძლება! თუ არ მოგცეს, თედო დაიჭირე და აქ მომიყვანეო!

— ცხენი გულითვინ კი თავს როგორ დაგაჭერინებ, მაგრამ მაინც კარგი არ არის ეგრე!

— ჩქარა გამოიყვა, არა მცალია!

მეტი რა ჩარა ჰქონდა. გაატანა თედომ ცხენი და სულიც თან გააყოლა.

— თუ ძმა ხარ, გაუფრთხილდი! ჯერ ფეხ-რბილი კვიცია და ულაზათოდ არ გამიფუჭოთ!

— ცხენზე ჯდომასა ეხლა შენი გულითვინ ხომ არ ისწავლიან საგანგებოთა!

გაატანა ცხენი მაგრამ ერთი დღის მაგიერ კაი ხუთ დღეს აწვალეს, ათრიეს და მშიერ დაღლილ-დაქანცული მეექვსე დღეს მოუგდეს სახლში.

ბარემ ბოლმები დაუტრიალდა თედოს გულში, მაგრამ ისევ სიჩუმე არჩია. შეატყო რომ თებროზეც საშინლად მოქმედობდა ყოველი ასეთი გაბოროტება და ეს ამბავიც ისე ჩაატარა, თითქოს არაფერი არ მომხდარაო.

ან ასეთ წუთიერ უსიამოვნებას როგორ უნდა მიაქციოს თედომ ყურადღება, როცა იმას სამუდამოდ მხარში ამოდგომია თავისი ნატვრა, თავისი ჯადოსანი დედოფალი, თავისი თებრო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საძმე გამწვავდა.

თედო ცხოვრების ნოყიერ მკერდს თითქოს ეხლა შემოეხვია ორის ხელით და თანაც დაეწყაფა დანატრულებულ ენინიანობით როგორც დამშეული შვილი.

თითქოს, მარტოობის გამოქვაბულიდან ეხლა გამოარღვია კარი შუადღის გულზე და კაი სანაძლეოსავით კიდეც შეხვდა პირის პირ თავის სწორსა და უბადლოს.

უცნაური ვეშაპი სიცალიერისა და ცხოვრების უგემურობისა ველარ აშინებს მას მომავალის ჯურღმულებიდან. როგორც ბედაურ ცხენზე მჯდომი კაი მახარობელი, ისე მოდის და მოიმღერის ამ ქვეყნის გზაზე.

ან რისა უნდა ეშინოდეს? ვისთან აქვს შესაპოვარი გულით მართალს, მკლავით მაგარს, შრომის მოყვარულს და სინიდისით თავმომწონე ვაჟკაცს?

თუ ადამიანი კმაყოფილია და გულდამშვიდებული ოჯახში, მაშინ კარშიც, ქვეყანაზე მუხლ-მაგარი დაიარება.

თედო ეხლა თავის თავში როშით ნაკვებ კამეჩის ძალასა გრძნობს და სადავლოდ გამოსულ ვეფხის სიმამაცეს. გუნება კი ისეთი აქვს, რომ გასაკვირია, რატომ ცანიც არ იდრიკებიან იმის წინაშე.

მაგრამ როგორ გრძნობს თავს თებრო?

ის უფრო გალიაში გამომწყვდეულ მიმინოს წააგავს, ვიდრე ლაჟვარდოვან ცაში მორაკრაკე ტოროლას. ის თითქოს დიდათ ბედნიერია. მაგრამ თანაც ეშინია ამ ბედნიერების და ძღარბივით მოკუნტული იმისი სული ყველას ემალება, ლამის თავის თავსაც.

მასში არ ელავს ძუ ლომის სილაღე და მოქნილობა, მაგრამ ეზოში მჯდომ ფარშევანგის ბოლოსავით წყნარათ გადიშალა და აფშვინდა მისი უმწიკვლო მშვენიერება.

თუ იმის სახეს აღარ დაჰქროდა უბიწობის გიჟური იერი, სამაგიეროდ დამცხრალი ცეცხლივით თბილად ღვიოდა მისი არსება.

მართალია მისი თვალებიც ველარ ბზინავდენ გიშრის კაკლებივით. ისინი უფრო კირში ჩათუთქულ ორ შავ წენგოს ჩამოგავდენ.

საერთოდ თებროს თითქოს მოხსნია უბიწობის პორფირი, მაგრამ ცოდვილის ფარჩეულობაშიც იგი ისევ საცდუნებელია და თითით საჩვენებელი, როგორც წინედ.

მას ისევ შეუძლიან თამამად მიესალმოს მზის ამოსვლასა და გამოემშვიდობოს იმის ჩასვლას. მზეც შეიფერებს იმის ასეთ კადნიერებას.

თედომ თავისი და შიოს ოჯახი თითქმის სულ გააერთიანა.

გასაყოფი და სადაო იმათ რა აქვთ? მოცილე და-ძმანი არც ერთსა ჰყავს და არც მეორესა. რაც აბადიათ—სულ იმათ ეკუთვნით და იმათ შვილიშვილებს.

ერთი კვირის შემდეგ თედომ კაი ძღვენი შაუტანა სიმამრს ორთაჭალის ციხეში და თავიანთი ბედნიერებაც ახარა. ესიამოვნა შიოს ოჯახის კაი ამბავი, მაგრამ ციხის გაჭირვებაში მაინც სიამოვნებით ვერ შეიტკბო ეს ბედნიერება. მოხუცი ერთობ დანაღვლიანებულიყო და გამხდარიყო. სამოცი წელიწადი სოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის იალაღზე გაზრდილ ადამიანს ვერ შეეფერებინა ქვითკირის კედლების სულ-შემხუთავი სივიწროე. ვერ იტანდა ჯოგ-ჯოგათ მოფუსფუსე ბაღლინჯოებს და იქაურ გარყვნილ ლაზღანდარა ხალხის ყოფა-ქცევას.

არ ესიამოვნა თედოს სიმამრის ასეთი ყოფა, მაგრამ თებროს მაინც ვერ გაუმჟღავნა მამის ასეთი სამწუხარო მდგომარეობა.

თედო და თებრო მაინც იშვიათი გულმოდგინეობით შეუდგნენ თავიანთი ცხოვრების მოწყობასა და გამშვენიერებას.

მაგრამ არც კოწია სცდებოდა უბრალოდ. ისიც სულ ახალ-ახალ ბადესა ქსოვდა, რომ უფრო კარგად მოეყოლებინა შიგ თედო და გასაქანიც აღარ მიეცა.

ამასთანავე ყოველთვის სცდილობდა, კანონისა და სამართლის სახელით ემოქმედნა, რომ ეჭვი არავის აეღო და უბრალო ახირებით არ მოენათლათ.

თუ სადმე ბეგარა იქნებოდა, პირველი უნდა თედო გაეგდო იქ. თუ ვისმეს ცხენი დასჭირდებოდა, პირველათ უნდა ისევ თედოს კარებს მისდგომოდა. ერთი სიტყვით, თედოს არაფერში არ აძლევდა გასაქანს და ყოველ კანონიერ საშუალებას ბოროტად იყენებდა იმის წინააღმდეგ.

თებრო მას ეხლა კიდევ უფრო საცდუნებლათა და სასურველად ეჩვენებოდა. ვერას გზით ვერ მოენელებინა თავისი უარყოფა და სხვის ასე „ულირსად“ გაბედნიერება.

კოწიამ უნდა დაანახოს თებროს, რომ იმისი ქმარი უძლურია, ჩანჩალა ამ ცხოვრებაში. თვითონ კი ძლიერია, უფლება მოსილი და სიტყვის მაღლა მთქმელიც.

რამდენიმე კვირა ასე სწოვდა კოწია ტვინს ყოველმხვრივად ათვალისწუნებულ თედოს და მოსვენებას აღარ აძლევდა. საქმეს ყოველთვის ისე აწყობდა, რომ თედოს თითქოს არაფერიც არ ეთქომდა. და თუ გაბედავდა ხმის ამოღებას, ამას კოწია ყოველთვის მთავრობის ღალატათა და წინააღმდეგობათ მონათლავდა.

სამაგიეროდ თუ თვით თედოს დასჭირდებოდა რაიმე მოწმობა კოწიასაგან, ამას ან სულ არ აღირსებდა სხვა და სხვა მიზეზით, ან ისე გაუძაღლებდა საქმეს, რომ ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგებოდა და გაბეზრებული თედოც მიანებებდა თავს.

ერთხელ თედომ კიდევ დააპირა სიმამრისთვის საგზლის წაღება. იმ დროს მატარებელში საკმაო სურსათის ზიდვა აკრძალული იყო ნება დაურთველად. მივიდა თედო, შეეხვეწა კოწიას, რომ მიეცა ნებართვის ბარათი, მაგრამ კოწიამ უკუმეხად გამოისტუმრა.

— მე ყაჩაღებსა და ავაზაკებთან სურსათს არავის არ ვატანო!

თედომ იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადასწყვიტა, ნებადაურთველად წაელო სიმამრთან ერთი კარგად გაჭიკნული ხურჯინი. სავაჭროთა და საბოროტოდ ხომ არ მიაქვს? ყველა შეატყობს, რომ ეს ოჯახური საგზალია და არც არავინ აუხირდება. მა, საწყალ შიოს ასე ხომ არ უნდა გამოუღამდეს ცხენში უყურადღებოდ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო წავიდა ქალაქისკენ. იმავე მატარებელს კოწიას მილიციელიც გაჰყვა. ქალაქს რომ მიატანეს, თედო გასჩხრიკეს. დააპატიმრეს. იმის წინააღმდეგ წერილობითი საბუთიც წამოაყენეს, რომ ყაჩაღურ რაზმების ხელის შემწყობი არის და სატუსაღოშიც უკრეს თავი.

მთელ ერთ კვირას აწვალეს თედო ათასნაირი დაკითხვითა და იჭვიანობით. იმისი ალალ-მართლობა ნამეტანი აშკარა იყო, მაგრამ მაინც ეგრე იოლად არ უნდოდათ გაეშვათ ერთხელვე ბადეში მომხვდარი მსხვერპლი.

ერთი კვირის შემდეგ როგორც იქნა, გაუშვეს დიდის მუნათითა და მუქარით, რომ მეორედ აღარ მოხვედრიყო ხელში.

თედოს მართლა არავის წინაშე დანაშაული არ მიუძღოდა, მაგრამ მაინც ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ასე ჩქარა დააღწია თავი ესეთ მოულოდნელ ხათაბალას.

რადგან თედო საგანგებო რაზმში იყო დაპატიმრებული, ამიტომ შინ თვალით არ უნახავს და გულიც ძალიან სწყდებოდა. მეორე მხრივ კი სახლში ისე მოუხაროდა, რომ ერთი დღის დაგვიანებაც კი წლის შესადარად ეჩვენებოდა.

სახლში უკვე ვინ იცის, რა მოხდა! უსამართლობა და სიბოროტე რაკი ერთი და ერთი შეუჩნდა, მაშ ყველაფერი უკულმართობაც მოსალოდნელია ამ ქვეყანაზე.

მართალია თედო ბევრი მწარე ფიქრებით იყო გულდათუთქული, მაგრამ სახლში დაბრუნებით მაინც დიდ შვებას გრძნობდა: შინ ეგულებოდა მოლოდინით სავსე მკლავები თავისი გვირგვინის სწორისა, თავისი თებროსი.

სოფლის ბოლოს რომ მიატანა, კიდეც შეხვდა თავის კბილის ჭიას, რომელმაც დანახვის უმალ მიაძახა:

— ჰა! ციგნობითა და ეშმაკობით მაინც დააღწიე თავი სამართალსა? დამაცა! ჩქარა მაინც ოხრად დაგრჩება შენი ლამაზი ცოლი!

რა უნდა ეთქვა თედოს? მართალია ლახვარივით ჩაერჭო გულში ეს სიტყვები, მაგრამ ძალა უნებურად პირზე კლიტე დაიდო.

რომ უთხრას რამე და შეუხირდეს, ვის დააჯერებს, რომ კოწია მტყვაანია. პირიქით შარს მოსდებენ, რომ გაჯავრებულ გუნებაზე შენ თვითონ აუხირდი კომისარსაო.

ამ მოსაზრებით სიტყვა ისევ უკან დაიჭირა თავდაბლათ და თითქოს წისქვილის ქვებით დაუტვირთავთო—ისე გასწია წელში მოტეხილმა თავის სახლისკენ.

შინ, აბა, რას ეტყოდა თედო ამ ამბავს! ამითი ხომ უფრო გააბოროტებდა ისედაც გულ გახეთქილ თებროს. შინ ყველაფერი წესზე დაუხვდა თედოს, მაგრამ ამას მხოლოდ შემთხვევას მიაწერს. ნამდვილად ის უკვე ყოველგვარ სიბოროტეს ელის ციდან, ქვეყნიდან, ყოველი ოთხი მხრიდან.

ეჰ, ისე აუხირდა ურჯულო კოწია, რომ კეთილს აღარაფერს დააყრის ამ საწყალ კაცსა. უბედურება იმაშია, რომ კანონის გზით ვერც თუ აუხირდება ადამიანი: ის ყოველთვის მართალი გამოვა, თედო კი მტყვაანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედომ უნდა იფიქროს, საფუძვლიანად უნდა იფიქროს, თორ რა მოევლება იმის გარემოებას, თორემ მეტის ატანა შეუძლებელი ხდება! მხოლოდ ჯერ უბრალო ვარაუდიც კი ვერ აუღია, თუ რა ხსნა შეიძლება ნახოს აქ კაცმა.

შავი ღრუბლები.

მოხუცი შიო თანდათან დადნა ციხეში. წყალწყალა ბორშჩი და ლობიო ნამდვილ საწამლავად გადაექცა ციხის სულშეხუთულ კედლებში. გასაოცრად მოტყდა წელში, ჩამოხმა, დაჩაჩანაკდა. კაცის საცნობელი აღარ იყო—დღე და დღე ასე ილეოდა გაჭირვებითა თუ დარდით. ორ თვეს ძლივს გაუძლო ცხოვრებისაგან ასეთ დაბრიყვებას წელში გატეხილმა შიომ და ბოლოს სულიც განუტევა.

ეს სამწუხარო ამბავი პირქუშ ღრუბლებათ ჩამოწვა თედოს და თებროს მომხიარულე ცაზე.

ერთად ერთ კოწიას მიუძღვის ამაში ბრალი, მაგრამ ვის შესჩივლონ? რა გზით დაუმტკიცონ ეს უღმერთობა და უსამართლობა?

ვსთქვათ, ეს დარდი კიდევ როგორმე მოინელა კაცმა. მაგრამ ამას აკმარებს ერთხელვე სინიდისზე გაღ ამდგარი კოწია?

ვაი თუ კიდევ უარესი დამართოს, სანამ გულს ერთი ლაზათიანად არ იჯერებს შეურაცყოფითა და შურისძიებით?

ეს რა ღვთის რისხვას გადაეკიდა ცამდის ალალ-მართალი თედო? ისეთი რა ცოდო ჩაიდინა, რომ ესე უმსგავსოთა და უილაჯოთ აგებს პასუხს ვილაცა შეჩვენებულ ადამიანის წინაშე?

როგორც ეტყობა, თედოს მოსვენება აღარ ექნება ცხოვრებაში. რა ჰქნას? რა წყალში გადავარდეს? როგორ წახდეს ეს თავანკარი ვაჟკაცი ასეთი სიგლახითა და უსამართლობით.

თებროს ხომ დღე და ღამ მოსვენება სულ დაეკარგა. კოწიას უბრალო გახსენებაც კი ერთიან უკარგავს ფერსა და სიმშვიდეს. ეს სახელი ისე ღრღნის იმის გულს, როგორც მუხის გულში შეჩენილი ჭია.

ნუ თუ ასე უდროოთ უნდა მოეწამლოთ სიცოცხლე ცხოვრებაში სადღესასწაულოთ დამშვენებულ თედოს და თებროს?

განა ბედს ეგრე ნაადრევათ შეხარბდა მათი ლამაზი მაყრიონი და პირველ ჯვარედინ გზაზედვე უნდა მოატეხინოს კისერი?

ეს მწარე კითხვები დაუნდობრათა სთუთქავენ ორთავეს გუნებას, იმედსა და სიცოცხლეს...

სწორედ ამ დროს საქართველოში მოხდა გადატრიალება და გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ.

მოულოდნელობით დამბრუნალი ძველი დროების დამქაშები ან ერთიანად გადაიხვეწენ ცხოვრების გზიდან, ან სხვა და სხვა სოროებში მიიმალენ, რომ დრომდის თავი შეეფარებინათ. შემდეგ კი დროს შერჩევით ნელ-ნელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოძვრებოდენ, რომ მოხერხებით შეეფარდონ ახალ ყოფას და ისევ ისეთნონ ძველებურად, თავიანთებურად.

წუთისოფელი აირია თუ არა, კოწიაც მაშინვე ისე გაჰქრა, რომ იმის ასავალ დასავალს კაცი ვეღარ გაიგებდა.

სოფელმა ბროლოსანმა საბჭოთა წყობილების პირველ სიკეთედ ამ კაცის თავიდან მოშორება ჩასთვალა. აქამდის თურმე შიშით ყველას პირზე ლოდი ეფარა. მხოლოდ ეხლა გამომჟღავნდა, რომ ის ყოფილა დაუზოგავი და უღმერთო მოქრთამე. სიმართლის სასწორს მუდამ იქით გადასძლევდა, საითაც მეტ ანგარებას დაინახავდა. ერობა და კოოპერატივიც კარგა უსუსნია თურმე, მაგრამ ამით ნამდვილ ანგარიშს ვილა გაასწორებს ეხლა!

ამასთანავე ამ ერთი წლის წინად იმან დაიწყო სკოლის დიდი შენობა, ეს საუკეთესო და სასიკეთო საქმეც მან გადააქცია ანგარებისა და შემოსავლის საოთავედ. მისი სახელით რამდენი ბეგარა შეაწერა ხალხს, რამდენი გადასახადი! იმითი ორი ამნაირი სკოლაც კი აშენდებოდა, მაგრამ მან ეს ერთიც საძირკველს არ ააცილა. ახლა მთავრობას რამდენჯერ დასტყუა დახმარება! და ყველაფერი ეს მიდიოდა იმის ჯიბეში. სახელს კი იკეთებდა ხალხისათვის თავდადებული კაცისას.

სამ თვეს ისე იყო კოწია დაკარგული, რომ იმის სახსენებელიც კი არავის გაუგია. მაგრამ აკი მოხდა სასწაული და კოწია ისევ ამოტივტივდა ახალ ცხოვრების ზედაპირზეც.

სხვა და სხვა გვარი განცხადებით გაზეთებში თუ პირადათ მან მოახერხა და ახალ ხელისუფლებაშიც შეჰყო თავი. ბოლშევიკებიც მოხერხებულად დაარწმუნა, რომ ის ყოველთვის მოსურნე და მონატური იყო საბჭოთა წყობილების და მუდამ მზათ არის თავი გასწიროს მის დასაცავად. მართალია მენშევიკებთან მსახურობდა, მაგრამ არსებითად ის მუდამ იმათი მოწინააღმდეგე იყო.

ასეთი პოლიტიკური ოინბაზობის შემდეგ კოწიამ ისევ მოახერხა სამსახურში ჩადგომა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ბროლოსანს მოევლინა რევკომის თავმჯდომარედ.

თედოს იმის დანახვაზე სწორედ ელდა ეცა. ხალხმაც რომ ნახა, კოწია ახალ ძალა-უფლებაშიც ურევიაო, ისევ ხმა ჩაკმინდა. ყველა ისევ მოიხარა წელში ნაძალადევი პირფერობით, როგორც უწინ.

თედო სოფლის საქმეებშიც ჩაერია ნელ-ნელა. მაგრამ როგორც მარტოხელა კაცს, იმდენი მოცალება არა ჰქონდა და ამიტომ, ჯერ-ჯერობით, მთელი ძალ-ღონით ვერ ეძლეოდა ქვეყნის საქმეს.

როცა კოწია დაუბრუნდა ბროლოსანს, თავი და თავი მისი ზრუნვა ის იყო, რომ თედო როგორმე გაერიყა სასოფლო საქმეებიდან და აღარავითარი კითხული არ ყოფილიყო იმისი.

პირველ ყოვლისა მან მოახერხა ახალი სასოფლო არჩევნები. აქ იმდენი იეშმაკა, რომ თედო აღარ გააყვანა არჩევნებში მიუხედავად ხალხის სურვილისა. შემდეგ კი, როცა ხალხმაც დაინახა, რევკომის თავმჯდომარეს არ ესია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვნება იგიო, ადგენ და იმათაც ზურგი შეაქციეს, რომ ასე გველდაფლეთ, ვაინც მომადრიელებული ჰყოლოდათ თავიანთი ბატონ-პატრონი.

ზურგს უკან, რასაკვირველია, ყველას უკვირდა, თუ როგორ მოახერხა კოწიამ ახალ მთავრობაშიც მოკალათება, მაგრამ პირში ვინ გაუბედავდა ასეთ თავხედურ შეკითხვას?

ხელმეორედ დაბრუნებისას კოწიამ თან მოიყვანა თავისი ნაცნობი თუ ნათესავი ვინმე სილიბისტრო, რომელიც იმის მარჯვენა ხელათ გადიქცა ყოველ საიდუმლო და გამოსაჩენ საქმეში.

კოწიას მეგობრობით „პატიეცემული“ სილიბისტრო რამდენ გაჭირვებულს უკეთებდა საქმეს! რამდენ ბოროტ-მომქმედსა და კაცის მკვლელსაც კი გადაარჩენდა სასჯელისაგან!

კოწია მიუდგომელი კაკი იყო, რამე წყალობის საოხოვნელად. სილიბისტრო კი თავდაბალი იყო, ყველას მიმღები, გამგები და თანაც ფრიად გავლენიანი კოწიასთან.

შეიძლება რომელიმე ბოროტმა ენებმა სთქვან, რომ კოწია ქრთამებს იღებდა. აბა, მას რა აქვს საერთო ქრთამებთან! ან სილბისტრო კი როდის იღებს ქრთამებს! ეს მხოლოდ უბრალო მადლობაა—თავაზიანი და თითქმის აშკარაც.

ხელი ხელსა ჰბანსო! მაშ როგორ გნებავთ! და ისევ ასე ოსტატურად შეუდგა კოწია თავის ძველებურ მოღვაწეობას.

პირველი ქცევიდან თედომ აშკარად შეამჩნია, რომ კოწია ისევ განაგრძნობს თავის ვერაგობას იმის წინააღმდეგ და, ალბად, აღარც მისცემს მოსვენებას.

თედო სრულიადაც არ შემცდარა ანგარიშში.

აი, მაგალითად წითელ-არმიელთა ოჯახებს მოხვნა-მოთესვა ეჭირვებათ. სიმინდის თოხნაც ზედ მოესწრო. ამისთვის საჭიროა სოფლის დახმარება. კოწია ფიცხლად მოეკიდა საქმეს და პირველ რიგში თედო გაიყვანა სამუშაოდ.

თედოც სიამოვნებით წავიდა. მაგრამ სხვებმა რომ თითო დღე იმუშავეს, ან შეიძლება ისიც არა, თედო მთელ კვირეს ამუშავა კოწიამ, სანამ სულ არ მოუარეს წითელ-არმიელთა ყველა მამულებს.

შემდეგ ზოგიერთ ქვრივ-ობლებს აღმოაჩნდათ მიწის ნაკლებობა. აქაც პირველ რიგში თედოს მიადგა კოწია და ორი-სამი დღის საუკეთესო მამული ჩამოართვა.

თედოს რა ეთქმის? ქვრივ ობლების სასარგებლოდ არის და იმანაც ხელი უნდა გაუმართოს. მხოლოდ ცოტა გული სტკივა: რაღა ყველაფერი იმისაგან იწყება პირველათ და ყველაზე მეტი მსხვერპლიც იმასა ხდება?

ჯერ ერთი ტვირთი ვერ მოენელებინა თედოს, რომ კოწია მაშინათვე მეორეს დააწოლებდა თავზე.

აი, მაგალითად, დამშეულ ღარიბ ხალხს შველა სჭირდება ჭირნახულით, სანამ ახალი მოსავალი მოუსწრებს. პირველ ყოვლისა ვის უნდა მიადგენ? რასაკვირველია, ისევ თედოს. ის ყველაზე დიდ „ბობოლათ“ არის ცნობილი. მას არასდროს არ შია. იმას ყველაფერი ყოველთვის თავსაყრელი აქვს. კოწიამ ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოუცარეიელა ბეღელი, რომ ნახევარ ტომარა ნაფქვავის მეტი აღარა დაუტოვა რა.

— კაცო! რაღა სულ ჩემზე მოიცალე! ქვეყანას მარტო მე ხომ არ გავაძღობ? გაგონილა ასე დაბრიყვებაი!

— როგორ თუ შენზე მოვიცალე! ვერა ხედავენ შენი ბრმა თვალები, რომ სხვასაც ვართმევ?

— კაცო! სხვას რო ერთ ჩანახს ართმევ, მე ორ კოდს მართმევ! ეს სამართალია განა!

— შენ მეტიცა გაქვს და მეტსაც გართმევ! ორი ოჯახის ქონება რომ ჩაიგდე ხელში, მა როგორა გგონია!

— კოწია! კანონის კაცი ხარ, კაცო! ადამიანის ეგრე დაბრიყვება არ გამოდგება!

— შენ როგორ ბეკრსა ლაპარაკობ! გენანება განა მშივრებისათვის ორი მარცვალი პური! ეგეთები ხართ ყველა „კულაკები". თქვენ თუ ძალით არ წაგართმევენ, აჰა თქვენი ნებით ერთ ლუკმასაც ვერ გაიმეტებთ!

— ბიჭო, მე ვარ „კულაკი?" ჩემი სიცოცხლის დღენი სულ ჭირის ოფლი მიწურია და შენ „კულაკს" მეძახი!

— „კულაკი" ხარ „კულაკი!" ბევრს ნუღარ ლაპარაკობ, მე შენთვის არა მცალია!

— არ გამოდგება კაცის ეგრე დაბრიყვებაი, თორე შენ იცი!

— როგორ! კიდეც მემუქრები, განა? დამაცა, მე შენ გიჩვენებ სეირსა! შე კონტრ-რევოლიუციონერო შენა!

— შე რო ეგრე ლაპარაკობ, იცი კია ნამდვილათ რა არი რევოლიუცია?

— აჰა შენ გცოდნია მარტო, ვინცლა შტერი ხარ, შენ!

— მე რევოლიუციას ვიცნობ დეენით, ციხით, ათასგვარი გაჭირვებით და თავგანწირვით! შენ კი მხოლოდ სარფით იცნობ, სარფითა! რევოლიუციისაგან შენ მარტო ქონს ითლი, თუ გინდა მართალი გაიგო!

— შენ ვინცლა შტერი ხარ, მაგებს რაებსა როშავ! ეხლავე ციხეში გიკრავ თავსა, შე სალახანავ! შენ კონტრ-რევოლიუციას ეწევი სოფელში და ხალხს მიჯანყებ, არა! დამაცა, დამაც! კი ვასწავლით შენისთანა რეგვენებს ჭკუას!

— კაცო! სიმართლე რათა გწყინს, ძმაო! სიმართლი გულითვინ უნდა ჩამსვა ციხეში! რევოლიუცია განა მაგას გასწავლის!

— შენ დაგიგძელებია ენა და აღარ იცი, რას არაკუნებ! დამაცა, დამაც!

კოწია წავიდა ასე დამუქრებით, თან, რასაკვირველია, „ქვრივ-ობლების სასარგებლოდ" გამორთმეული ჭირნახულიც წაიღო.

ორი დღის შემდეგ თედო სათოხში იყო. მოვიდენ მასთან საგანგებოდ გამოგზავნილი კაცები, დააპატიმრეს და გააქანეს ქალაქისაკენ.

იქ მთელი თვე იჯდა საპყრობილეში, თვითონაც არ იცოდა რისთვის. ბოლოს დაჰკითხეს დაწვრილებით: ვინ იყო? რას აკეთებდა? რათ არის სოფელში? რატომ ქალაქში არ მუშაობს. შემდეგ ისევ იჯდა თედო და ველარაფერი გაეგო თავისი გარემოებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თებროსთან შედარებით—თედო ბედნიერი კაცი იყო ციხეში ჯდომით. ამაზედ უარესი მეხი თებროს ველარც კი წარმოედგინა, მას ძიმწარედ ერგებოდა ყოველი წუთი სიცოცხლისა, რადგან შველას არსაიდან არ მოელოდა. ის ჰგავდა ნამდვილ წყალ-წაღებულს, რომელსაც დაყვირებაც კი აღარ შეუძლიან. მხოლოდ აქეთ-იქით უმწეოდ აცეცებს თვალებს და უგონოდ იქნევს ხელებს.

წესიერ საქმეში, ბუნების მკერდზე, სოფლის ცხოვრებაში თებრო დიაღ, კაი ყელ მოღერებული დიასახლისივით წარმოგიდგებოდათ. მაგრამ ადამიანებისა და ქალაქის დახლართული საქმეები მას სულ ერთიან უბნევენ გონებას და იგი უსუსურად გამოიცქირება აკვნის ბავშვივით.

თებრო ფეხმძიმედ იყო, მაგრამ გულმა აღარ მოუთმინა და წავიდა ქალაქში, რომ თედოც ნახოს და თან არზაც მიართვას ვისმეს, ან თავი კედელს ახალოს.

სანამ ქალაქში წავიდოდა თებრო, ზოგიერთების რჩევით, სოფელს შეეხვეწა: ოქმი დამიწერეთ, რომ თედო მუდამ სოფლის სასარგებლო კაცი ყოფილა და არასდროს მას მთავრობის საწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენია.

გლეხებმა პირველად დიდის სიამოვნებით თანხმობა განაცხადეს და ხელიც მოუწერეს. მაგრამ როცა თედოს დედამ კოწიასთან მიიტანა შესამოწმებლად, მაშინ ყველაფერი უკულმა შეტრიალდა: კოწიამ ყველას სათითაოდ დაუძახა და ეკითხება:

— შენ აწერ ხელს, არა? გესმის მერე, რაზეც აწერ?

ეს კითხვა ისე მოქმედებდა ყველა გლეხზე, რომ ის მაშინათვე ჭოკმინს იწყებდა:

— რა ვიცი შენი ჭირიმე! არც კი ვიცი, რაზე მოვაწერე ხელი! რავი! მომიტანეს, მოაწერეო და მეც მოვაწერე, რახან ეგრეა, მე ხათაბალის თავი სადა მაქს! არაფერ ხელს აღარ ვაწერ, მორჩა და გათავდა!

ამგვარად ყველამ უარი სთქვა თავის ხელის მოწერაზე და სოფლის დადგენილებაც თედოს სასარგებლოდ სულ ერთიან გაუქმდა.

დარჩა თებრო ხელცარიელი. მხოლოდ რის ხვეწნითა და მუდარით ერთ ნაცნობს ჩუმათ დააწერინა არძა და იმის ამარად გაემგზავრა ქალაქში.

როცა ციხეში მივიდა თებრო, იქ რაღაც ნებართვები სთხოვეს აქედან, იქიდან. ბევრს ეხვეწა თებრო: სოფლიდან ჩამოსული ვარ, მაგდენი გზები არ ვიცი. მაგრამ ასეთმა საბუთებმა ვერ გასჭრეს და ციხის კარი ვერავის გააღებინა.

შემდეგ ერთი ნაცნობისაგან დაწერილი არძით ხან რომელ დაწესებულებას მიადგა და ხან რომელს. ერთიდან მეორეში უთითებდენ, მეორედან—მესამეში. ყველგან ეუბნებოდენ, დაიცადეო და ვერადროს ვერ ეღირსა იმათ ნახვას, ვიზედაც თითქოს დამოკიდებული იყო თედოს ბედ-იღბალი.

ბოლოს გაბეზრებული, ქანცგამოლეული და სასო მიხდილი თებრო ისევ დაბრუნდა სახლში.

აქ ერთი პირობა იფიქრა: მოდი ისევ კოწიას შევეხვეწოვო. მაგრამ რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც შხამიანი გველი—იმწამსვე მოიგლიჯა თავიდან ეს აზრი: ყველაფერი განა კოწიას ბრალი არ არის? მაშ ის როგორღა გაუხდება მშველელად უბედურობით მიწაზე დამხობილ თებროს?

აქ აღარაფერი გაეწყობა. თებრომ ისევ ბრმათ უნდა წაჰქინდროს ქედი ყოველგვარი სიმუხლეთის წინაშე! მაშ დაე, მოხდეს, რაც მოსახდომია! თებრო აღარ ელის გათენებას ამ ცხოვრებაში.

თედოს ციხეში ყოფნის დროს ოჯახი ნახევარზე მეტად სულ გაუნიავდა. სწორედ ეხლა იყო ვაჟკაცის მუშაობის დრო—გაზაფხული და ზაფხულის პირველი დასაწყისი. თედოს ყველაფერი მოუცდა: სიმინდის მოთოხნა, საშემოდგომო ანეული. საქონლის წესზე მომვლელიც არავინ იყო და ხარები ისე დახდენ, თითქოს აზრუმი მოეტარებინოთ სულ ერთიან უსმელ-უჭმელათ. ამასთანავე ქალაქში წასასვლელად თებროს ფული არ ჰქონდა. იძულებული იყო, ძროხა გაეყიდნა. ცხენს კიდევ კოწიამ თითქმის სულ ბეგარაზე ამოართვა სული.

თედოს დედა ბარემ ბევრს წუწუნებდა, მაგრამ ვინ იყო მისი შემპოებელი! თებრო კი ღრმა მორევივით იტრიალებდა გულში მთელ თავის ბოლმებს.

თედოს დაკითხვის შემდეგ გავიდა სრული ორი კვირე და ერთ მშვენიერ დღეს კიდევაც გაანთავისუფლეს. მხოლოდ ხელი მოაწერინეს რაღაც ქაღალდებზე, რომ ნება დაურთველად აქედან და იქიდან არ გახვიდეო.

მართალია თედომ საყვედურის კილოთი რამდენჯერმე დაიჩივლა, რომ ის სრულიად ალალ-მართალი კაცია. რომ არც მთავრობისა და არც ხალხის წინაშე მას დანაშაული არ მიუძღვის. მაგრამ თედოსთვის რომ ეს დაეჯერებინათ, მაშინ ხომ კოწიას ჩვენება სრულ სიყალბეთ უნდა მიეღოთ. კოწიამ კი გაქნილი ვერაგობითა და თვალთმაქცობით ისე დაარწმუნა ყველანი თავის ერთგულობაში საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომ იმას ესე ადვილად ვერავინ დაუკარგავდა ნდობას. ამას თვითონაც საუცხოოდ ჰხედავდა კოწია და ამიტომაც ბოროტმოქმედობდა უზომოდ მთავრობის ნდობით.

დაბრუნდა თედო სახლში, მაგრამ ფეხები კი სულ უკან რჩებოდა. თვენახევარია, სახლისა არაფერი გაუგია. ვინ იცის, კიდევ კარგად არიან? თუ არაფერია იმათ თავს რატომ ერთხელ მაინც არ მიაკითხეს ციხეში? ყველაფერი ეს ფიქრები გზისსავალს უგრძელებენ და უწამლავენ. ამასთანავე ყოველს ფიქრს და ყოველ ნაბიჯს აჩრდილივით თანა სდევს ერთი განუყრელი კითხვა:

— რა დააშავა თედომ? რათ იჩაგრება ესე უსამართლოდ?

მივიდა სახლში. გაუხარდა, რომ ცოცხლებსა ჰხედავს დედასა და ცოლსაც. მხოლოდ ოჯახის დაწევამ კი ძალიან დააღონა.

რამდენიმე დღეს ხელი აღარც კი გაუნძრევია. ყველაფერი მუშაობა უაზროდ ეჩვენებოდა.

განსაკუთრებით გული გაუტეხა სოფლის ზურგის შექცევამ. როგორ? ისე შეეშინდა ყველას, რომ ალალ-მართალ კაცს უბრალო ოქმზე ხელი აღარ მოუწერეს? განა ამაზე მეტი თავგამოდება არ გამოუჩენია იმას სოფლისთვის?

ან სოფელს კი რა ბრალი მიუძღვის ყველა ამაში! სოფელზე უკვე სამუდამოთ აცრუებულია გული. ეს მხოლოდ დროს საკითხია, თუ როდის აიბარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გება აქედან თედო. მიჰყიდის, მოჰყიდის, რისი მოშორებაც შეიძლება. შემდეგ კი ბედისაგან ასე უმსგავსოდ განაწყენ თავის გოგონათი და მოხუცი მშობლით ვაუდგება ქალაქის გზას.

იქ ცხოვრება უფრო ლაღია, ძლიერი, მდიდარი. უფლებასა და სამართალსაც იქ მეტი გასავალი აქვს. კაცის ნიჭსა და უნარსაც მეტი გასაქანი ეძლევა. ულაზათოდ და უჯიმშოდ იქ კაცი არ წახდება ვისმე გლახაკისაგან.

მხოლოდ როდის, როდის მოახერხოს ყველაფერი ეს?

მანამ კი სოფელშია, უნდა ისევ იწალმართოს ძველებურად. თუ საქმეს ერთი და ერთი მიუშვა ხელი, მერე ისე ჩამორჩება, რომ ბედის გლახაკს დაემსგავსება.

თებრომაც სიამოვნებით კვერი დაუკრა ქალაქში გადასახლებაზე. ისიც კარგად ხედავს, რომ სოფელში ყბად-აღებული კაცი, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა მოშორდეს იქაურობას.

პირველი გაგედვა.

სოფელში ხომ უბრალო გულის-პასუხიც არ დაიმალება. ხელად გავარდა ხმა, რომ თედო ქალაქში აპირებს გადასახლებასაო. ამ ამბავს კოწიამაც მოჰკრა ყური და სიბრაზით ათასნაირ ღობე-ყორეს მოედო. როგორ? მაშ თებრო უნდა სამუდამოდ გაუსხლტეს ხელიდანა? მერე? ი ნაყოფს რომ ატარებს გვამში, ვისია ის, ვისი?

ამდენი დარდისა და ვარამის შემდეგ რომ დაუშნოებულიყო მაინც, რომ დაჰკარგოდა ის ჯადოსნური ძალა, რომელიც ისე ბრმად იმონებდა ვაჟის გუნებას, მაშინ კიდევ ადვილად ელოდა კოწია.

მაგრამ თებროში უცნაური გარდაქმნა და ფერისცვალება მოხდა.

ხომ გინახავთ ზოგიერთ ქალს რა განსაკუთრებითა ჰშვენის ძაძა-მოსილება? თებროც ისე დამშვენდა სწორედ თავისი სულიერი ძაძა-მოსილებით.

ის აღარ არის უბრალო ნ[illegible]ზედაც ძლიერათ და ღრმად მღელვარე ყანა. ის უკვე საუკეთესო თავთუხის თავდადგმულ ხვავს წარმოადგენს.

ის აღარ არის ქარიშხალი. აღარ წააგავს მიუვალ თხემებიდან გადმოსქდარ ჩანჩქერს. მაგრამ ის სულ ახალი თილისმა არის დამკვიდრებული და სევდა-ნაგუბი სიმშვენიერისა. და სწორედ ეს თილისმა შეიძლება უფრო მეტად მოქმედობს, ვიდრე გიჟური ნავარდობა პირველი შეღერებისა.

რა ჰქნას კოწიამ? რა იღონოს თედოს ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

ჯერ თითონაც არაფერი არ იცის, მაგრამ უეჭველად კი უნდა მოახერხოს რამე.

სოფელ ბროლასანზე მოვიდა გადასახადის მოწერილობა. იმავე საღამოს შეჰკრიმა კოწიამ ამორჩეულები და გაანაწილა კომლობრივ ეს გადასახადი.

ყველაზე მეტი წილი ისევ თედოს შეახვედრა. თავის თავად სოფელ ბრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსანზე შედარებით დიდი გადასახადი იყო მოწერილი. ყველას ებევრა თავისი ხვედრი.

როცა თედოს გამოუცხადეს ამდენი და ამდენი უნდა შემოიტანოვო, კაცი პირდაღებული დარჩა.

როგორ კაცო! ყველაზე თავანკარ გლეხად მთელ სოფელში თედო გამოიყვანეს! ნუ თუ ამაზე ღონიერი სხვა აღარავინ არის! არა, შეუძლებელია ადამიანის მუდამ ასე დაბრიყვება!

აქ თვითონ სოფელიც ახმაურდა, რადგან ყველამ იბევრა ეს გადასახადი. შეიკრიბნენ ერთ მეზობლის კალოზე. გაჩნდა დიდი მსჯელობა, ყაყანი, ღრიანცელი, ერთმანეთის მტყუნება და ცოდვების კარში გამოტანა. ბოლოს როგორც იქნა ისევ თედომ დაამშვიდა ყველანი და ერთ ენაზე აალაპარაკა.

დაადგინეს, გაგზავნონ კაცები ქალაქში და იშუამდგომლონ გადასახადის შემცირებაზე. არჩეულ კაცებში თედოც მოაყოლეს. ბარემ არ უნდოდა, მაგრამ სოფელი რას მოეშვებოდა!

ორი დღის შემდეგ არჩეულები კიდევაც დაბრუნდენ და კაი ამბავიც მოიტანეს.

— საქმეს ახლად განვიხილავთ და თუ შესაძლებელია კიდევაც დავუკლებთო.

თედოს ისევ მოემატა სოფელში ღირსება და პატივისცემა, რაც კოწიას ნესტარივით ეჩხვლიტებოდა გულში.

სწორედ სამი დღე გავიდა ქალაქიდან დაბრუნების შემდეგ. თედო ნაფუზარში იყო. მის სახლს მოადგა საგანგებოდ მოსული სამი შეიარაღებული კაცი ადგილობრივ მილიციის თანხლებით.

ეს ისევ კოწიას ოინბაზობა იყო. მან ვრცელი მოხსენება გაგზავნა ქალაქში, რომ ესა და ეს კაცი სოფელს აჯანყებს მთავრობის წინააღმდეგ და აქეზებს, უარი სთქვა ყოველგვარ გადასახადზეო.

ასეთ ქცევას კი რევოლიუციონურ ხანაში ვინ აპატიებს თედოს! აკი კიდევაც მოსძებნეს იგი.

მილიციელების დანახვაზე თედოს დედა მაშინვე გულ-გახეთქილი გაექანა შვილისაკენ და შეატყობინა ახალი უბედურება.

თედომ, როგორც იქნა, დაამშვიდა მოხუცი. ისევ გაგზავნა სახლში და თან დააბარა—ეხლავე მოვალო.

ცოტა ხანს დაჯდა თედო, რომ ეგების მოისაზროს რამე, მაგრამ აქ რილას მოსაზრება შეიძლება? ეხ! თედო კი წავა, ჩავარდება მთავრობის ხელში, მაგრამ ვინ იცის, რა ბრალდებას წამოაყენებენ იმის წინააღმდეგ! ისევ უნდა იტანჯოს ალალ-მართალი კაცი ბოროტი ენის წყალობით. ისევ უნდა ჩავარდეს სევდისა და გაჭირვების ჯოჯოხეთში იმისი სამურაზოდ მოკიდებული ოჯახი. და ვინ იცის, ეგები კიდევ რა უბედურება დატრიალდეს მის თავს, რომლის გათვალისწინებაც ეხლა საზარლად ეჩვენება.

მაგრამ მაინც უნდა წავიდეს.სხვა გზა არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალ-მკვდარი თედო მოდის ნაფუზარზე. ისეთი შეხედულობა აქვს, თითქოს, ამ ქვეყნისა აღარ არისო.

გადმოდგა ლობეზე ფეხი და ამ დროს სახე-ანთებული კოწიაც შეეფეთა წინ. კარგა მოშორებით კიდევ ერთი მილიციელი მოსდევდა, რომელსაც ტოლული მოშვებოდა და ისწორებდა ახლად.

კოწიამ არც აცივა, არც აცხელა და ძველებური დიამბეგივით დააყარა თედოს.

— როგორ? შენ იმალები კიდეც!

— მე დასამალი რა მაქვს! გავძარცვე ვინვე თუ მოვკალი?

— კარგად ვიცი შენი ვინაობა! ო გიცნობ რა შვილიცა ხარ! წაეთრიე ჩქარა სახლში, შე ჰარამზადავ, შენა!

— კოწია! ცოტა დაისვინდისე, კაცო! ეგრე უღმერთობაც არ გამოდგება!

— ვითომ რაო, ჰა?

— მეც ადამიანიშვილი ვარ, კაცო! დანდობა მნიდა! განა ეგრე ულმერთოდ უნდა გამწირო!

— წაეთრიე ჩქარა შე გლახაკო! იქ მოგირიგდებიან შენ საკადრისად!

აქ კოწიამ თანაც ხელი წაჰკრა თედოს.

თედო გაფითრდა სიბრაზით.

— ბიჭო!..

— რა, ბიჭო? რაო?

— კაცო, მოთმინებიდან ნუ გამომიყვან, თორე...

— თორემ რა? ეგები გუნებაში გიძევს რამე, ჰა!

აქ კოწიამ ერთი კიდევ მაგრად წაჰკრა ხელი და მათრახიც გადაუქირა.

— მა, აღარ მინდობ, რაღა! შენი დედა და რჯული კი ვატირე, შენი!

გაშმაგებული თედო მისწვდა იქვე ლობის მარგილს. ერთი მოწევით მოჭგლიჯა და შემოუტრიალა კოწიას. ისე მძლავრად შემოსცხო, რომ მარჯვენა მკლავი ძირს მკვდარივით ჩამოეკიდა.

კოწიამ გმინვით იქვე ლობის ძირში წაიჩოქა. თედომ მეორეც დააყოლა თავში და შუბლი გაუჩეხა.

მილიციელმა შეამჩნია თუ არა ეს ალიაქოთი, მაშინვე თოფ-მოღერებული გამოექანა თედოსკენ.

თედომ თვალი მოჰკრა ამას, საჩქაროდ სწვდა კოწიას თოფს და შესძახა მილიციელს:

— შენ ე, უდღეურო! ეხლავე უკან გაიძურწე, თორემ ბელურასავით გაგაცივებ! აბა, ჩქარა!

მართლაც შიშისაგან ფერ-ნაცვალი მილიციელი უცებ მოსწყდა ადგილიდან და ყვირილით გაექანა სოფლისკენ. თედოში კი იფეთქა შურისძიების ცეცხლმა. მიუბრუნდა კოწიას და თოფის კონდახით სულ საგანგებოდ დაამუქუა.

კოწია ძლივს ღა ლუღლუღებს:

— შემიბრალე... ნუ მომკლავ...

— არ მოგკლავ, ძაღლო, არა! მაგრამ აღარც ცოცხლებში დაგტოვ, შე წულწკო, შენა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თედო! შემიბრალე, თუ ღმერთი გწამს!

— შენ შემიბრალე განა, შე ძაღლო, ძაღლო!

თედომ გული იჯერა ცემით. პირშიც ბევრი აფურთხა. მერე მოხსნა რევოლვერი, პატრონები და ანგარიშ მიუცემლად გაუდგა ტყის გზას.

როგორც კაი მატარებელი ცხენი—ისე მიეშურებოდა ტყისაკენ.

თან თოფ მომარჯვებული უკან იხედებოდა—მდევარი არსაიდან წამომეწიოსო.

დარგეული გუნება.

საღამო ჟამი იყო, როცა თედო ხშირ ტყეში შეერია და თავიც საიმედო საფარში იგრძნო.

აქ ძლივას შეისვენა. თავისუფლად ამოილო ქარი და უცებ ცხელი შანთებით პირველად ამოიდაღა იმის აზრში სიტყვა—

— ყა-ჩა-ღი.

დიაღ, თედო ამის იქით ყაჩაღია! და ელვის სისწრაფით თვალწინ წარმოუდგა დღე და ღამე ტყეში წოწიალი, დევნა, სიმშილი, სიცივე და ბოლოს, ვინ იცის, როგორი გაწამებული სიკვდილიც.

დღეიდან იმან დაჰკარგა ხალხში ბინა. იმისი საფარი მხოლოდ ეს ხშირი ტყე არის.

თედომ დაკარგულივით მიიხედ-მოიხედა ირგვლივ. შემდეგ განივრათ გაშალა ხელები და უცნაური სიყვარულით შემოეხვია ერთ ხეს, როგორც დედის საიმედო მკერდს. ერთი ხიდან გადავიდა მეორეზე, მესამეზე. ეხვეოდა, ჰკოცნიდა, ეხუტებოდა.

— ამის შემდეგ ეს ხეები არიან მეგობრები თედოსი. ეხლა იმათზეა მინდობილი თედოს სიცოცხლე. ამ ხეებმა უნდა შეინახონ, ამათ უნდა უყარაულონ ადამიანზე მეტად და თანაც დაიცვან მათ ვერაგობიდან.

ჰკოცნის და ეხვევა თედო როგორც ცოცხალ არსებათ. და აქ პირველად იგრძნო ვ ქკაცმა, თუ როგორ გადაეჭდო თავისი ადამიანური გრძნობით და ტკივილებით ბუნების სახეს და იმის უცნაურ სიცოცხლის ძარღვებს.

ამდენი მღელვარების შემდეგ თედო უეცრივ მოიკვეთა და იგრძნო საშინელი დაღლილობა.

სახლი, ცოლი, დედა—ყველაფერი გაეხვია რალაც სასოწარკვეთილების ბურანში. თედოს არ შეუძლია, ყველა ამაზე იფიქროს გარკვევით. იმის თავში ჯანყია, ჯანყი. მას ეჭირვება ცოტა მოსვენება. მაგრამ ვინ მიანიჭებს მოსვენებას? ძილის მაგიერ ეს არის რალაც შფოთვა, ბურანი, ზმანება და მთელი ტანის მოუსვენარი თრთოლვა.

თოფი კი მაგრა ჩაიხუტა უბეში და ისე შემოსჭიდა ორივე ხელი, როგორც ერთად ერთ მეგობარს გაჭირვებისას.

მაგრამ თედოზე მშვიდათ იმ ღამეს არც სოფელ ბროლოსანს ეძინა.

მილიციელმა საჩქაროდ შეატყობინა ყველას თედოსი და კოწიას ამბავი. უბედურების ადგილას ხელად გაჩნდენ ქალაქიდან მოსული კაცები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი ხელისუფლებაც. თითქმის სიკვდილის პირად მისული კოწია ჯერ მოასულიერეს და შემდეგ საჩქაროდ გაამგზავრეს თბილისისაკენ სამკურნალოდ.

თედო ბევრი ეძებეს, მაგრამ მისი ასავალდასავლისა ველარა გაიგესრა.

— რადგან კოწიასათვის იარაღი აურთმევია, სჩანს უეჭველად ყაჩაღად გავარდა.

ამის გამო მთელი სოფელი ჩავარდა უბედურებაში. ორმოც გლეხამდის დაიჭირეს, რომლებიც ყველაზე თვალში მოსახვედრი იყვენ. თან მიყოლეს თედოს დედაც. ყველას გამოუცხადეს.

— სანამ თედოს არ დაგვაჭერინებთ, აღარავის არ გაგიშვებთო.

ეს მთელი სოფლის უკან დაწევა იყო. ამ გახურებულ მუშაობის დროს ორმოცი კაცის ოჯახიდან მოცდენა ადვილი საქმე ხომ არ არის! სოფელი ჯერ უკმაყოფილოდ იხსენიებდა თედოს. შემდეგ როცა კი დაპატიმრება რამდენიმე დღეს გაგრძელდა, წყევლა კრულვაზედაც გადავიდენ და ბოლოს ზოგიერთი კიდევაც ემუქრებოდა მას. ამბობდენ—

— ოღონდ კი ხელში ჩაგვივარდეს და მთავრობამდის აღარც კი მივაღწევინებთ, ისე გამოვლადრავთ ჩვენი ხელით ყელსაო.

თვით თედოს ოჯახში კი ისეთი გლოვა სუფევდა, თითქოს გასუდრული მიცვალებული ესვენოს იქო.

სამ-ოთხ დღეს შიგ სახლშიაც უყარაულეს თედოს. ეგები გაბრიყვდეს და ერთხელ მაინც შეეცადოს ცოლთან მისვლასო. მაგრამ ყოველივე ლოდინი ამაო გაბოდგა. ამ დღის მოსწრე თებროს კი ისევ სიკვდილი ერჩია ამგვარად გაწამებულ სიცოცხლეს.

საწყალი გოგო დღე-ნიადაგ სულ იმას კითხულობს:

— ისეთი რა ცოდვა მიუძღვის ქვეყნის წინაშე, რომ უბედურობა ასეთი დამუქრებით მისდევს ფეხდაფეხ? ახალგაზრდობის ხუჭუჭი ოცნება ასე უცაბედათ რად გარდაექცა ქარზედ გაწეწილ შავ დალალებათ? ნეტავი შეეძლოს ისევ გამოჰხუროს ამ ახალი ცხოვრების კარი! გარდალახა თუ არა იგი, პირზედ მოწაფებული შარბათის თასი უეცრივ შეეცვალა ნაღველ-სამსალის ფიალად. ყელთამდის აღივსო ამ სიმწარით. უკვე იღრჩობა კიდეც. მაგრამ ბედის ბოროტი ხელი ერთ წამსაც არ ეშვება და გაჯიუტებით ასმევს ბალღამს ბალღამზე.

ნუ თუ ასე უნდა აღმოხდეს სული?

ვინლა დარდობს ოჯახზე! სახნავ-სათესზე, სათიბ-სამკალზე!

ყველაფერიმც წყალს უზიდია, თუ კი ესე უდროვოდ ჩამწარდებათ წუთისოფელი!

თებროს თითქოს სულ დააავიწყდა თავისი განწირული თავი და ფიქრების უდაბნოში უგზო-უკლოდ დაკარგული მხოლოდ ერთსაღა სწუხს:

— სად არის თედო? რა დაემართა? სად აფარებს თავს? ან ფიქრობს თუ არა თებროს შავ ბედზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲓᲐᲒᲣᲠᲘ ᲧᲝᲤᲐ.

სამ დღე და ღამეს თედო დაჭრილი დათვივით დაეხეტებოდა ტყეში. ყოველი მხრიდან ერიდებოდა ადამიანის შეხვედრას. ის ყურადღებით აკვირდებოდა დიდ ფულუროებს, ხშირ ჯაგებს, ან დაბურულ ჩირგვებს, სადაც შეიძლებოდა ბუნაგის გამართვა ხამუშ-ხამუშ, რამდენიმე დღით.

პირველ დღეს თითქმის არც კი გრძნობდა სიმშილსა და წყურვილს. მეორე და მესამე დღეს კი მკვახე პანტითა და გარეული ვაშლით დაიწყო კვება, მაგრამ ამით სიმშილი ვერ მოიკლა.

ამასთანავე პირველ მღელვარებისა და ბურანის შემდეგ ცოტა დაუხმო თუ არა აზრებსა და გრძნობებს, შეატყო, რომ მთელი იმისი ტვინი და გული საშინლად არის დიკაწრული: თითქოს ცოფიან აფთარს დაუგლეჯია თავისი ტორებითო.

როგორც მიზანში გასროლილი ისარი—თედოც თავის დაკაწრულ ფიქრებს მიმართავს მხოლოდ ერთ მხარეზე:

— რა მოუვიდა იმის ოჯახს? როგორ არის თებრო? ან იმისი მოხუცი დედა? იციან თუ არა თედოს შესახებ რამე? ხვდებიან თუ არა მის ტყეში გავარდნას? ან ეგებ კვდარი ჰგონიათ? ან იმის გულისთვის ხომ არ გააწამეს ეს ილბლისაგან ათვალისწინებული ქალები?

განსაკუთრებით თებროს გახსენება უკლავს გულს:

— ის ხომ ჯერ ნორჩი და უნწიკველო რამეა. თედოსთან შეუღლების დღიდან კი ბედის ათასგვარი უკეთილმართობა სულ ცხოვრების რიყეზე დაახეტებს ფეხშიშველათ. ვეღარ ეღირსა საწყალ გოგონას რბილ და წყნარ ჟიჟოზე გავლა. ყველაფერი თითქოს ისეთ ნიშნებს იძლეოდა, რომ თედოსა და თებროს ძალიანაც სახარბიელოდ უნდა მოეწყოთ თავიანთი ცხოვრება. ნამდვილათ კი რა უბდრუკად გაცრუვდა ადამიანის სწორე და იმედიანი ანგარიში! მათ საძირკველიც კი არ ჩაუყრიათ თავიანთი ბედნიერების ციხე-სიმაგრისათვის, და უკვე მისი ასაშენებელი ქვები ეხლავე თავზე ენგრევათ. და მერე ისეთი სიმძიმით, რომ ყოველგვარი სასოება იკარგება გადარჩენისა. ადვილი ყოფილა ადამიანის აბუჩად აგდება განგებისაგან. თედოს აღარაფერი უკვირს. მტკვარი და არაგვიც რომ უკეთილმა შეტრიალდენ—ეს უფრო წესიერად მოეჩვენება, ვიდრე მათი ბუნებრივი დენა.

მაინც ის ეღმერთო კოწია როგორ ჩამოეკიდა!

— გინდა თუ არა ხელი გაუშვი შენ ჯვარწნაერ მეუღლეს, შენ ნატვრის თვალს და ჩემი უნდა გახდეს იგიო.

ამის გულისთვის გადაეკიდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ. ამის გულისათვის გავარდა თედო ტყეში ნადირივით და შეიქმნა ადამიანთაგან მიუსაფარ ყაჩაღად.

ეჰ! რახან ხელი ასწია და თავიც ასე გაიმეტა თედომ—ბარემ მოეკლა ის წუწკი—ახალწლის ბასილასავით რომ ეგდო გაბრტყელებული იმის ფეხებ ქვეშ! რალათ დასტოვა ცოცხალი! რომ ახლად გაუმწაროს სიცოცხლე მასაც და თებროსაც?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ არა! ეხლა ის ძალი ველარ გაბედავს, ხმა გასცეს თებროს, რადგან თედო თავისუფალია! აღარ ეშინია ხალხის და კანონის! ის თვითან გამოიტანს ყველას განაჩენს! ეხლა უბრალოდ რომ ბუზი აუფრინოს თებროს, მაშინვე სიცოცხლით აგებს პასუხს ყაჩაღ თედოს წინაშე,

— ყაჩაღი თედო ეხლა ყველას გაუსწორდება, ვინც კი მოისურვებს მასთან უბრალო შექიშპებას! მაშ ფრთხილად ლაჩარო და თავხედო კოწია! ეხლა ველარ გიხსნის სხვა და სხვა ვერაგული მოხსენებანი და მოხერხებით კანონის ფრთებ ქვეშ ამოდგომა! ეხლა ყველაფერი დავა ვაჟკაცურ სარბიელზეა გამოტანილი უშუალოთ და ყველაფერიც გადასწყდება სიკვდილ-სიცოცხლით!

— მაინც რომ მოეკლა ის უმსგავსო—ბევრად კი სჯობდა!

—

თედო სიმშილმა ერთობ შეაწუხა. ლამლამობით სიცივეც უჭირებს საქმეს. განსაკუთრებით განთიადის სუსხია ხოლმე საგრძნობელი.

რა ჰქნას? როგორ მოუაროს თედომ ამ გაჭირვებას?

— სხვა ყაჩაღებიც ხომ არიან ტყეში გავარდნილი! ნეტა ისინი როგორ ცხოვრობენ? რანაირად აქვთ მოწყობილი ჭამა-სმის ან თავშესაფარის საქმე? მართლა ხომ მუდამ პანტას არ სჭამენ და ჯაგებში არ სძინავთ დათვებივით?

თედო ნელ-ნელა მიიპარა შორი ტყიდან მომავალ გზის პირად და იქვე ხშირ ჩირგვებში ჩასაფრდა შეუმჩნევლად.

საღამო ჟამამდის ფეხმოუცვლელად იჯდა თედო თავის ბუნაგში. იმის წინ ბევრმა სოფლის მწყემსებმა გაიარეს თავიანთ საქონლით. უცქერიდა გულ-მოკლული თედო ხან შურით, ხან ნატვრით. ზოგჯერ კი დაუგეშავ ნადირივით გორაზადაც გადაავლებდა თვალს და ყველას გაუშვებდა მაინც მშვიდობიანი ფიქრით.

ლამის ბინდდება. თედომ თითქოს დაჰკარგა ყველაფრის იმედი. მაგრამ აგერ შორიდან თვალი მოჰკრა თავის ბიძაშვილს—პატარა შაქროს. ნაგვიანევად საქონელი მოუდის შინ და თანაც თავის გასამხნევებელის ოროველათი მთელ ტყეს ახმაურებს.

თედო მშვიდად გამოვიდა შუა გზაზე, რომ უეცარი შეფეთებით არ შეეშინებინა ბავშვი და ნელი ნაბიჯით გსწია მისკენ.

— გამარჯობა, ბიჭო შაქრო!

ბავშვი მაინც შეკრთა თედოს დანახვაზე.

— გაგიმარჯოს!..

— ბიჭო! პურის ნატეხი ხომ არა გაქვს აბგაში დარჩენილი?

— ჭადი მაქვს, თუ გინდა?

— არიქა მომე, შენ გაზრდასა! ლამის სიმშილით სული ამომხდეს!

ბავშვმა მიაწოდა ჭადის ყუა.

— დაიცა, ბიჭო შაქრო! დამაც, ერთი ორი სიტყვა გითხრა რამე!

ბავშვი შეჩერდა.

— თებრო როგორ არის, არ იცი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თებროს არა უშავსრა, სახლში არის, დედაშენი კი ჯერ ისევ დაჭერილია.

— როგორ თუ დაჭერილი?

— მა! სხვებთან ერთად არი დაჭერილი!

— ვინ სხვებთანა?

— რავი! ბარე ორმოცი კაცია დაჭერილი! ასე ეუბნებიან თურმე, რო თედო მოგვიყვანეთ და გაგიშვებთ, თუ არა და ასე გვეყოლებით დაჭერილებიო.

— მაგას მართლა ამბობ, ბიჭო?

— მართლა, მა! ისეთი ამბავია სოფელში რომა! ამბობენ, თედო კავკავში გავიდაო და შენ კი აქა ყოფილხარ!

— ჰო, ეგ მართალია! მე ამ დღეებში ვაპირებ წასვლასა. შენ შაქრო, მოიტა ეგ ძველი მაზარა მე მომეცი! მე კი სახლში კაი ახალი მაზარა მაქვს და თებროს უთხარი, ის შენ მოგცეს სამაგიეროდ! მერე კიდვ რას გეხვეწები ბიჭო! არამც და არამც არ გაბრიყვდე და არავის არ უთხრა, რომ მე მნახე სადმე. მე კი აქ ველარ მიპოვიან, მაგრამ შენ კი დაგიჭერენ, კარგად გაგლახავენ და გაწვალებენ—გინდა თუ არა გვიჩვენეო! შენ კი, აბა, საიდან აჩვენებ ჩემ თავსა? მე ხომ აქ არ გაგიჩერდებით? მერეა და ბიჭო, ბიძაშვილს ხომ არ გასწირავ?

— არა, კაცო! ვის უნდა უთხრა!

— ჰო და, აი, წითელი დეკეულა რო მყავს, იმასა შენ გაჩუქებ! მხოლოდ მარტო თებროს უთხარი ჩუმათა, რო მნახევი და ნუ იდარდებს ჩემზე!

— კარგი!

— შენ საქონელი საით დაგიდის შაქრა?

— აქეთაც დამიდის და ბრმაღელისკენაცა. იქაც კაი ბალახია.

— ჰო და, ერთი-ორი პური თებროს გამოართვი ხოლმე და ატარე ზედმეტად აბგაში. თუ ვინიცობა შეგხვდი სადმე, გამოგართმევ, თუ არა და ღმერთმა შენ შეგარგოს. დეკეულა კი თებროს უთხარი, დღესვე მოგცეს ხელალებითა. აჰა, აი, ნიშნათ ე ხალათის ღილი მაინც წაუღე, რო ენიშნოს...

თედომ აიგლიჯა საკინძზე ერთი სადაფის ღილი და მისცა შაქროს.

— ეხლა წადი ჩქარა, თორემ საქონელი ჭირნახულში გავა სადმე! მხოლოდ შაქრა, როგორც გითხარი, ისე მოიქეცი! აბა, ვინძლო არსად არაფერი წამოგცდეს, თორემ მერე დეკეულასაც წაგართმევენ და შენ თითონაც ბევრს მოგცხებენ!

— კარგი, კარგი! გიჟი ხო არა ვარ!

—

თედომ საჩქაროდ გადაუხვია ხან წაღმა, ხან უკუღმა. იმას ხომ გარკვეული თავშესაფარი არსად არა აქვს! ყოველი ხის ქვეშ შეუძლია ძილი და მაინც ყველგან ხიფათი მოელის.

მიდის თედო და თან გზაში მშიერი დათვივით იღმურძლება გამხმარი ჭადით. ერთ ხევის პირად ცივი წყალიც დააყოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ! ხიდისთაურიც არ დაულევია ასეთ გემოზე თავის ქორწილში!

ცოტაოდენად ფერდი ამოიღსო თუ არა თედომ, მხოლოდ მაშინ ჩაუფიქრდა ნამდვილად ზაქროსაგან ნათქვამ სიტყვებს. უეცრივ ფიქრებმა ისე დაამძიმეს, რომ შორს ვეღარ შესძლო სიარული და იქვე მიწვა კვრინჩხის ჯაგებში.

— ორმოც კაცამდის არის დაჭერილიო! დედაშენიც იმათთან არისო! მანამ თედოს არ მოგვიყვანთ, არ გამოგიშვებთო.

— ერიჰა! ეს კაი უბედურებაა სოფლის თავსაცა და ჩემ თავსაცა! მე მეგონა ეხლა მაინც გავთავისუფლდი უსამართლობისაგან. ყველაფერს შემიძლია ვაჟკაცურად შევეკამათო და ყველანიც ვაიძულო, შემეპოვონ მეთქი. მაგრამ, ხედავ, რას მიშვრებიან? არა! სცდებით, თუ გგონიათ, რომ თედო მაგნაირი ფანდებით შეშინდება! მე მაგნაირად გაშლილ ბადეში ვეღარ მომიგდებთ! ჩემი მტრობა და დევნა სიკვდილ სიცოცხლედ არის ეხლა შეფასებული. მაშ ფრთხილად წუწკო, კოწია! ეხლა ზურგიდან ვეღარ მომივლი კანონების დახლართული გზით! ეხლა მე თვითან მოგივლი! და გიჩვენებ კიდეც, რას ნიშნავს ადამიანისა და ვაჟკაცის უბრალოდ გაფუჭება! ეხ! თუ კი სოფელს ასეთ დღეს დააყრიდენ, ბარემ მომეკლა რაღა ის იუდა!

ეს ფიქრები ანთებულ ბორბალივით ტრიალებდენ თედოს თავში და შიგ იწოდა მოუსვენრად მისი სიცოცხლე.

— მაინც სად მიიყვანს ეხლა თედოს ეს გზა? რა მოელის? ბოლო რა არის, რა? ნუ თუ მარტო შურისძიება? ოო, ესეც საკმარისია ულაზათოდ დაჩაგრული და შერცხვენილი ვაჟკაცისათვის!.. მაინც რა უნდა იყვეს ბოლო? რა უწერია კიდევ ცხოვრებაში?

ისევ შემოესიენ ობობას ქსელივით ეს დახლართული კითხვები. შემდეგ გაბრაზებულს, როგორც იქნა, მიეძინა დაფლეთილ მაზარის ქვეშ.

— მოქალაქე თებრო! სად არის შენი ქმარი?

— არ ვიცი!

— შეუძლებელია, ცოლმა არ იცოდეს, თუ სად არის მისი ქმარი.

— მეც ის ცეცხლი მწვაეს რომ ალარაფერი არ ვიცი!

— რათ გავარდა ყაჩაღად?

— არ ვიცი! ყაჩაღობისა იმას არა ეცხო-რა! ის მუდამ პატიოსანი ვაჟკაცი იყო.

— რა მტრობა ჰქონდა კოწიასთან?

— არავითარი! კოწიასაც მხოლოდ კაი კაცობა მართებდა მისი.

— მაშ რათ გადაეკიდა?

— ის არავის მტერი არ ყოფილა!

— რა ჰქონდა კოწიას საწინააღმდეგო, რომ კაცი ლამის მოსაკლავად გაიმეტა?

— თვითან კოწია სდევნიდა მას და მოთმინებიდანაც გამოიყვანა!

— რათა სდევნიდა? ალბათ სტყუოდა რამეში?

— ის ყოველთვის სიმართლის კაცი იყო.

— მაშ კოწია ვოფილა მტყვაანი?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ის მთელი ხალხის წურბელაა, მარტო ჩვენი კი არა!

— კარგი! მაგის შესახებ ხალხსაც დავკითხავთ. მხოლოდ გვითხარი: რათ არის თედო დღევანდელი მთავრობის წინააღმდეგი?

— ის არასდროს არ ყოფილა წინააღმდეგი! ის მხოლოდ თავის სიმართლეს იცავდა ყოველთვის!

— გხედავს ხოლმე ხანდახან შენი ქმარი?

— იმ უბედურობის დღიდან მე თვალით აღარ მინახავს! აღარც ვიცი ცოცხალია თუ კვდარი.

— განა ეგ დასაჯერია?

— ჩემთვის სულ ერთია, დაიჯერებთ თუ არა! მე ვიცი მხოლოდ, რომ ჩემი მზე ჩასულია.

— შენ შეგიძლია დააჯერო შენი ქმარი, რომ მიეცეს მთავრობას ხელში და შეიძლება მერე ვაპატიოთ კიდევაც თავისი დანაშაული.

— მე არაფერი ვიცი! მე თვალით ველარა ვხედავ მას! გამანებეთ თავი! გავუბედურდი სამუდამოთ და სხვა რაღა გინდათ ჩემგან?

თებროს გული აუჩუყდა. მხოლოდ ბუნებით ამპარტავანს ეთაკილება, უცხო ხალხსაც დაანახოს თავისი სისუსტე. სასწრაფოდ გავიდა ბნელ ბოსელში და მდულარე ცრემლებით იქ შეიმსუბუქა მარტოობაში თავისი ბოლმა.

საგანგებო კომისიის ერთ-ერთი წევრი—ვინმე გიორგაძე კარგა დაკვირვებული კაცი იყო ცხოვრებაში. მას არც ისე ზერელედ ეჩვენა ეს საქმე, როგორც ოფიციალური ცნობა აუწყებდა. თედო თითქოს სავსებით არ ეჩვენებოდა საყაჩაღო კაცად. ამასთან კოწიას სრულ სიმართლეშიც როგორღაც იქვი ეპარებოდა. მისი რჩევით—გადასწყვიტეს ამხანაგებმა სოფელი დაჰკითხონ კოწიას ავკარგობაზე. საღამოზე შეაგროვეს სოფელი და შეეკითხენ, ხმა-მაღლა აღიარონ, თუ ვის რა ეთქმის კოწიას საწინააღმდეგო.

გლეხებს ბარემ კი ჰქონდათ სათქმელი კოწიას მექრთამეობაზე, უდიერობაზე, ქვეყნის საქმის დაუდევრობაზე, მაგრამ... ვაი თუ სიმართლე წამოსცდეთ, კოწია ისევ კოწიათ დარჩეს და მერე ყველაფერი ჩამწარდეთ, როგორც თედოს. ამის გამო ყველამ სათითაოდ განაცხადა, რომ კოწიას საწინააღმდეგო იმათ არაფერი აქვთ. მეტი რა ჩარა იყო! საგანგებო კომისიის წევრებმაც ეს ჩვენება მიიღეს სახელმძღვანელოთ და ისე გაბრუნდნენ ქალაქში.

საღამოზე პატარა შაქრომ ფრთხილად გაანდო თებროს თავისი „ტყის საიდუმლოება.“ ამდენი დარდისა და ვარამის შემდეგ თებროს ცოტა გულზე მოეშვა. ის მაშინათვე მიხვდა თედოს სიფრთხილეს და წინდახედულობას. ის შაქროს ვერ ეტყოდა დანამდვილებით—ამ ადგილას, ამ დროს ეს და ეს მომიტანეო. მაგრამ ისე კი უეჭველად შეხვდება შაქროს.

მეორე დღეს პურებიც ბლომად ჩაულაგა შაქროს. ერთი კაი კვერეული ყველიც გააყოლა, თედოს მაზარაც მხარზე გადაჰკიდა და გაისტუმრა. დეკეულის შესახებ კი უთხრა:

— როცა გინდოდეს, წაიყვანე! მე იმისი დამჭერი არადროს არ ვიქნები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი თედომ გაჩუქა! მხოლოდ ყველას კი უნდა უთხრა, რომ სამწყესურში მომცესთქო.

მართლაც ამ დღიდან თებრომ მთელი თავისი საქონელი შაქროს გადააბარა სამწყესურად, რომ ვისმეს იქვი არ აეღო. შაქრო წავიდა თუ არა, თებრომ თითქოს მხოლოდ ეხლა იგრძნო თედოსაგან გამოტანებულ ღილის მთელი მნიშვნელობა. ხან მაგრად ჩაჰბღუჯა იგი ხელში, ხან ჰკოცნიდა, ხან იხუტებდა. თან კი სტიროდა ტყეში დაკარგული ბავშვივით და ყრუ მორევივით გულშიევ ატრიალებდა თავისი ახალგაზრდული ცხოვრების მთელ სივალალეს.

თედოს დედა, როგორც უძლური ადამიანი, სხვებზე ადრე გაანთავისუფლეს. მაგრამ სულ ერთია, იმას პირი სიცოცხლისაკენ აღარა ჰქონდა. იმის თვალზე ცრემლის ლული აღარ შემშრალა. მთელ დღეს იჯდა უბედური და მოსთქვამდა თავისი პირმშოს უდროვოდ დანგრეულ კერაზე.

თედო მეორე დღეს საღამოზევე შემოხვდა შაქროს და გამოართვა სანოვაგე. თან მაზარაც წაიღო და შაქროს კი დაუბრუნა თავისი.

— ბიჭო, შაქრო! სიტყვა ხომ არსად წამოგცდენია?

— არა, კაცო!

— დეკეულა ხომ გაჩუქა თებრომა?

— მაჩუქა. საქონელიც მე ამაბარა ამას იქით.

თედომ თითქოს ეხლა მოჰკრა თვალი თავის საქონელს. გაექანა და ჯერ ერთ ხარს მოეხვია კისერზე, მერე-მეორეს. დაუკოცნა შუბლი. გადაუსვა ხელი ქედზე. ალერსით ჩაჰხედა თვალებში. წელზეც გადაუსვა ხელი. კუდიც გაუწია, გაუტკაცუნა და გაისტუმრა შინისკენ გულდაწყვეტითი.

— ბიჭო, შაქრო! თებროს უთხარი, თავს გაუფრთხილდეს! მე კი არა მიშავსრათქო!

— კარგი!

— თუ არ დაგეზარება, პურებიც წამოიღე ისევა! რა ვიცი, ეგები კიდევ შეგხვდე, სანამ კავკავში წავიდოდე.

— კარგი!

— მაგრამ გახსოვდეს, სიტყვა არსად წამოგცდეს, თორემ ხომ იცი, როგორ გაგაწვალებენ! თუ ჭკუით იქნები, მე კიდევ ბევრ სიკეთესა გწევ! არ დავივიწყებ შენ კაი ბიჭობას!

— მე დეკეულიც მეყოფა! ისეთი მადლობელი ვარ რომა!...

— მაშ გაიქე ეხლა ჩქარა!

შაქრა წავიდა. თედომაც გადაუხვია სხვა მხარეს და კარგა ხანს იარა ტყის გაურკვეველ სიღრმეში. ერთ მუხის ძირს თედომ კონდახით გათხარა მიწა. მუხისავე ფოთლებში შეახვია პურები და ჩაფლა შიგ, ნიადაგი მუდამ გრილად ინახავს თავის ანაბარს. თედოს კი ვინ იცის, როდის დასჭირდება ეს გამოსაზოგი საგზალი!

დღიდან თავისი ტყეში გავარდნისა თედო თითქოს ფიქრებისა და განცდის სულ ახალ სამფლობელოში შეიჭრა. მას თვალწინ უდგია მუდამ არსენა ოძელაშვილი, კაკო ბლაჭიაშვილი და ილიკო ფუხაშვილი. გრძნობს იმათ ფიქ-



რსა და ზრახვას მისხლის მისხლობით თავის თავში გადმოსეროვნოს. ისინიც აუმხედრდენ უსამართლობას და მარად ჟამს მოსარჩლე ოყვენ ღარიბ-ღატაკი, დაჩაგრული ხალხისა. თედოც იმავე სულისკვეთებით არის გაჟღენთილი. მაგრამ გრძნობს, რომ ეხლა სულ სხვა გაჭირებული დროა და ყაჩაღობით ველარ მოიპოებს ხალხური გმირის უჭკნობელ შერავანდედს.

ხალხის ტკივილების მომშუშველ დღეანდელ ცხოვრებას ხომ თედო უნდა გამოეყვანა თავის სარბიელზე გათამამებულ შვილად და კოწია კი განედევნა როგორც ულირსი, ბოროტი სული? მაგრამ ეხლაც ისევ დაძრწის სიმართლე ტყეში.

თედო ეხლა სულ ახალათა სწონის მთელ ცხოვრებას, სიცოცხლეს, ყოფნას და არ ყოფნას. ახლად აფასებს კაცობრიობის განსაცვიფრებელ მიღწევებს, შესაძლებლობას. ახალად სცხრილავს ამ ქვეყნის სიძლიერეს და სისუსტეს, სწავლას და ჩამორჩენას, სიმართლეს და სიყალბეს, სიკეთეს და სიბოროტეს. ფიქრობს ათასი წლობით დაწერილ კანონებზე წესიერებისა და უფლების შესახებ. მაგრამ მაინც ისეთ უბირ კაცს, როგორც თედოს, სიმართლის გულისთვის ტყეში უხდება გაჭრა. ვერაგობით დევნილმა უდანაშაულო კაცმა ისევ ტყეში უნდა ეძებოს თავშესაფარი გარეული ნადირივით.

მაინც არ იშლის.

ერთ თვეში კოწია სულ გამოკეთდა. მას აღმატების ნიშნად მაზრის თავმჯდომარეობაც კი შესთავაზეს ახალ-ქალაქში. მაგრამ კოწიამ ისევ ბროლოსნის რაიონში არჩია უფროსობა. თებროს გულის გასახეთქად ისევ მოვიდა ეს პირქუში ადამიანი ბროლოსანში.

მაშ ხსნა ალარსად არის? უეჭველად უნდა ამოიჭამოს ამ ბოროტმა სულმა ეს ორი ღვთისნიერი ადამიანი? კოწიამ მოჰკრა თუ არა თვალი თებროს, მეასედ თუ მეათასედ კიდევ გადასწყვიტა, რომ ის ვერ ელევა ამ ქალს. ეხლა უფრო საადვილოდაც ეჩვენება იმის ხელში ჩაგდება. თედო ძალიან დიდხან ველარ იბოგინებს. რამდენიმე თვეში უეჭველად ჩაუვარდება მთავრობას ხელში. ან ტყეშიშეხვდება სიკვდილს ვისიმე ხელით. თვით თედოს დედა ანგარიშში არ ჩაითვლება. თებროს კი სხვა მოსარჩლე ალარავინ ეყოლება. რჩება ერთად ერთი გზა —კოწიასაკენ წარმავალი.

კოწიამ გადასწყვიტა—რაც შეიძლება მეტი წინდახედულობა გამოიჩინოს ამ საქმეში: თებროს უნდა ძალიან გაუჭიროს საქმე. უნდა ერთიან გაუწვრილოს გული, მაგრამ პირადათ კი არ აწყევინებს, რომ ამგვარად ყოველთვის ღია იყვეს მისკენ მიმავალი კარი.

კაცმა კინაღამ თავი დაჰკარგა ამ ქალის გულისთვის და ნუ თუ ბოლოს მაინც არ უნდა ერგოს წილში? მაგრამ სანამ თედო ცოცხალია, მაინც საფრთხილოა. ამიტომ ჯერ იმას უნდა აეგოს ანდერძი და, რაც შეიძლება, ჩქარაც. სანამ წესიერ ცხოვრებაში ერია თედო, მანამ უფრო ძნელი იყო მასთან ბრძოლა. ხან და ხან შეიძლება მის სიტყვასაც ჰქონოდა გავლენა. ეხლა კი როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაჩაღს—ვინლა შეეპოვება. ეხლა კოწიას და სხვასაც უფლება აქვს, პირველივე შეხვედრაზე მოჰკლას იგი ცოფიანი ძაღლივით. ამაზე მადლობასაც დიდს მიიღებს და თავის გზიდანაც სამუდამოდ ჩამოიშორებს ყველზე მოსისხლე მტერს.

კოწიამ მეორე დღესვე შეჰკრიბა მთელი რაიონის ხალხი და ყველას მისცა უსასტიკესი განცხადება:

— ვინც კი ყაჩაღ თედოს ან საზრდოს მიაწვდის ან თავშესაფარს მისცემს, ან რაიმე ცნობას გადასცემს, ან კიდევ იმის შესახებ ყურს მოჰკრავს სადმე და არ შეატყობინებს ხელისუფლებას, ყველა უსასტიკესად იქნება დასჯილი.

განსაკუთრებით გათამამდა კოწია მას შემდეგ, რაც მთავრობის მხრივ ასეთი თავგანოდება ნახა იმის გულისთვის. მაშ ეხლა ადვილათ ველარავინ ახლებს იმას ხელს. თვით თედოც კუდს ამოიძუებს ალბად, რადგან აქ მძევლადა ჰყავს მისი დედა და ცოლი. ერთი სიტყვით, კოწია საუცხოოდ არის ხელშეწყობილი გარემოებისაგან. იმას ეხლა უფრო თამამად შეუძლიან ყველგან გაჰკრას კლანჭი. წინ ვიღა გადაუდგება? ერთად ერთი თედო იყო სიტყვის გამსწორებელი, კრიჭაში ჩამდგომი და ისიც ხომ მოინელა! ეხლა უფრო გულდამშვიდებით მოაგროვებს ცოტაოდენ სახარჯოს და გადასდებს მომავალისათვის. ქალს ყოველთვის ყყვარს შეძლებული კაცი. თებროც ქალია. არც იმას აწყენს მცირეოდენი ფუფუნება და აზიზმაზიზობა.

ერთ საღამოს ველარ მოითმინა და ეწვია თებროს.

— ქალო! ერთი მითხარი, რეიზა ამითვალისწუნე? რატომ მეც არა მწყალობ მცირეოდენად?

— რა პირით შემოდიხარ ამ სახლში, თუ კიდევ გაბადია სინიდისის ნატამალი?

— მიყვარხარ და იმიტომ მოვდივარ!

— შენ მხოლოდ ზიზღის ღირსი ხარ! გასწი აქედან! ნუ მირცხვენ ქალობას!

— ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგების დროს შეგრცხვესო. შენ ხომ ბოლოს ჩემი იქნები და რათ მეპყრობი ეგრე სასტიკად?

— ჩამიგდე მარტო ქალი და გინდა სულ ერთიან გამათახსირო? ეგ არის შენი კაცობა?

აქ თებრომ დასტაცა ხელი ხანჯალა დანას და ფეხებში ესროლა კოწიას.

— ან გამეცალე ამ წუთში, ან დამკალი ამ დანით, ის მირჩევნია! დამკალი, დამკალ, შე ჯალათო!

— შენ თედოს იმედით ლაპარაკობ ეგრე ხმა-მაღლა? ჩქარა დაქვრივდები და, აბა ვნახოთ, მერეც ეგრე ილაპარაკებ თუ არა!

— ან დამკალი, ან გამეცალე მეთქი!

— კარგი, გაგეცლები, მაგრამ კიდე ინანებ! მე გიფრთხილდები შე საწყალო იმიტომ, რომ მერე, სულ ერთია, ჩემი თავში საცემი გახდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ თუ ქალი ისე უნდა გაამწარო, რომ რამე დაგარტყა! მომშორდი მეთქი! თუ არა და, ბარემ მომისპე ეს გაეერანებული სიცოცხლე, რაღა!

— მე კი წავალ ჯერ-ჯეროობით, მაგრამ მერე რას იქ ქალო, ბოვში რომ ჩემი გამოდგეს?

კოწია წავიდა. თებრო ცელ-მოსმულივით დაეცა მუთაქაზე და სულ-გამწარებულ ქვითინში ჩაანელა უკურნებელი ბოლმების ალი.

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ.

თედო ნელ-ნელა ტყის კაცად გადიქცა. ტანისამოსი შემოაცვდა. თმა და წვერი გაეზარდა, გაებურძგნა. თანაც გაჭუჭყიანდა, გახდა. თავისიანიც უკვე ძნელად იცნობს მას, არამც თუ გადამთიელი.

უკვე ორი კვირეა, თავის ოჯახზეც აღარაფერი გაუგია. პატარა შაქროს ცივება დააწყებინა და სხვა მოციქული კი თედოს აღარავინ გააჩნდა. ვეღარც ის გაიგო, თუ შაქროს რატომ აღარ დაუდის საქონელი.

სამ დღეს რომ აღარ გამოჩნდა ბავშვი, თედოს იქვი შეეპარა, ვაი თუ ხიფათი რამე დაემართაო და გადასწყვიტა ადგილის გადანაცვლება.

თუ სადმე თითო-ოროლა პური ჰქონდა ჩაფლული, ისიც შემოელია. ორისამი დღეა სიმშილობს კაცი. ხან მეაუნასა სჭამს, ხან პანტას. ცოტაოდენად სულს იბრუნებს, მაგრამ განა ამითი შეიძლება იოლად წასვლა?

თედომ წილკნის ტყიდან გადაინაცვლა დამპალას თავზე, სადაც ძველი ტყე კიდევ გაუტეხავად არის შენახული.

სიმშილით ინსილა მილეული თედო დილა სისხამზე ზიის დუშეთის გზის პირზე და გარინდებული მისჩერებია ალმა-თუ დალმა მიმავალ ურმიან გლეხებს. იმას არავინ ამჩნევს დაბურულ ჯაგებში. ის კი ყველას ჰხედავს. ხან დმ ხან გადასწყვეტს: მოდი, გადაუდგეს ან ამ გლეხს, ან იმას და პური მაინც გამოართვას. იმას მეტიც არა უნდა რა. მხოლოდ რამდენიმე პური მისცენ, რომ სული მოიბრუნოს. ფულსა და სხვა სიკეთეს კი ის არ დაეხარბება.

— განა ჭირის ოფლში მოცურავე გლეხ-კაცობაზე თედოს ხელი აეწევა. მაგრამ ერთი-ორი პური არც თუ ისეთი დასანანია გაჭირვებულ კაცისათვის.

დიდხანს უთვალთვალებს თედო და მაინც ვერ გადაუწყვეტია, რომელ მეურმეს გადაუდგეს წინ. ისედაც ყველასაგან დაბრიყვებული გლეხი—იარაღში ჩასმულ თედოს დანახვაზეც ხომ დაფეთდება და ათასი რამ უნდა გაივლოს გულში..

კარგა ხანი გაატარა თედომ ასეთ ჭოჭმინში.

აგერ კიდევ მოჭრიალებს შეშით დატვირთული ორი ურემი. ზედ პატარა ბიჭები უსხედან. ქალაქისაკენ თუ მიაქთ გასასყიდად. უფროსები ალბათ უკან ჩამორჩენ.

თედო დინჯათ გადაუდგა წინ. ბავშვები შეკრთენ იარაღიან კაცის დანახვაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ გეშინიათ კაცო!.. მე თქვენ არაფერს გერჩითო. ... გექნებათ და ის მომეცით! მე თქვენგან მეტი არაფერი მინდა!

— პური ჩვენ თვითონ გვჭირდება! ქალაქში მივდივართ და...

— შე კაი კაცის შვილო, გაჭირვებული ადამიანისათვის პური როგორ გენანება? გლეხის შვილი არა ხარ? ეგ როგორ არ გესმის!

— ეგება მესმის, მაინა ჩვენც რო გვინდა!

— მოიტა ჩქარა ნულარ მაცდენ ამ შუა გზაზე! თქვენ სხვას იყიდით კიდევ!

— ფული მერე?

— რო მქონდეს, მოგცემდით. არა მაქვს მორჩა და გათავდა. არც კი გრცხვენიათ, პურზე მალაპარაკებთ ორი დღის მშიერ კაცსა! რომ მინდოდეს, ხომ ძალით წაგართმევთ და თქვენც ბევრს მოგცხებთ!

— აჰანდე, წაილე, მაგრამა...

თედომ ამოალაგა სამ-სამი პური ორთავეს ტოპრაკიდან.

— სულ მიგაქ კაცო?

— მა მეორედ ხომ ველარა გნახავთ!

— ჩვენ ჯამა ალარ გვინდა მერე?

— თქვენ კიდე იშოვით, თქვე კაი კაცებო არა უშავს რა!

— ბარემ კი უშავს. მაგრამ რა გაეწყობა...

— გამარჯვებით ბიჭებო! დაიბარდეთ, ღმერთმა ნუ ჩაგაგდოთ ჩემ დღეში!

თედო წავიდა. მთელ დღეს სულ უსვენებლივ იარა ტყე-ტყე. ამგვარად გადავიდა ლამისყანის თავზე. ეს სიბრთხილე საჭირო იყო. რადგან მეურმე ბავშვები უეჭველად იტყოდენ სოფელში თედოს შეხვედრას და მდევარიც ჩქარა გაჰყვებოდა იმის კვალს.

კარგა დალამდა. თედოს როგორლაც გული ეთანაღრება. ვერსად ვერ დასცა იმ ღამით ბინა. რალაცა მოუსვენრობით შეპყრობილი ადგა და ისევ გაუდგა მუხრანის გზას.

თედოს სულ ერთიან გამოეცალა არაქათი, როცა მიატანა მუხრანის ქვეით დარჩენილ ძველ ეკლესიებს.

თითქოს აქ იკითხა პირველად თედომ—

—სად მიდის იგი?

— არსად! თვითონაც არ იცის—სად!

ამ პასუხზე როგორლაც უფრო მოეკვეთა ვაჟკაცს მუხლები.

— მაშ სადღა იაროს? რათ იაროს?

ტყიდან მომავალ ურემივით თედო უეცრივ დამძიმდა. გზის პირად აყრილან ხშირი ჯაგები. ის მათ დაბურულ ჩარდახში შეერია და გაწვა გრილ ბალახზე.

— წყალსაც უზიდია ქვეყანა, ხალხი, სიბრთხილე და შიში სიკვდილისაც!

— ადამიანი უსუსური და უმწეო ჭიაყელაა, რომელიც ათასჯერ რომ გადარჩეს საბრთხეს, ბოლოს სულ ერთია—გაიჭყლიტება.

ნამდვილ გულიანი ძილი ვერ დაეუფლა ვაჟკაცის ჯანს, როგორადაც სჩვეოდა ან ალოდან, ან ტყიდან დაბრუნების შემდეგ.

ეს იყო ბურანი შფოთვითა და მოუსვენრობით გაცრეცილ გუნებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც იქნა—გათენდა.

თედომ ჯაგებიდან თვალი მიმოავლო არე-მარეს: მუხრან-ქსანის გზა იქავე იმის წინ მოდიოდა. მარცხენივ ჩაუდიოდა ქსნის ტოტი. მარჯვნივ და უკან კი—ისევ დაბურული ჯაგები. თედოს თავშესაფარშიც უწესრიგოდ გადახლართულან ერთმანეთში ეკლიანი კვრინჩხი და კუნელი. ასკილი და კოწახური, კრიკინა და ზღმარტლი. და ყველა ესენი კი შეყვარებულის მკლავებივით შემოჰხვევიან მუხისა და ნეკერჩხლის ნორჩ ხეებს.

თედო მთელ დღეს აქ უნდა იყვეს დატყვევებული. მისი ჩარდახი კი ისე საგანგებოდ არის დაბურული, რომ იმის გულს ვერ ჩასწვდება ვერც ერთი შემთხვევით გადაკრული თვალი, ის ყველას ჰხედავს თავის ბუნაგიდან. მას კი—ვერავინ.

ჩქარა გაცოცხლდა მთელი შარა გზა. ხალხი, ურმები, საქონელი მიდის და მიდის შეუსვენებლივ. თედომ უეცრივ თვალიც მოჰკრა ერთ თავის მეზობელ გლეხს.

უნდა გიჟივით გამოვარდეს. გამოჰკითხოს სახლის ავ-კარგი, თებროს ამბავი. გული საგულეს აღარა დგება. აჰა, ლამის მოსწყდეს თავის ბუნაგს. მაგრამ ბოლოს როგორც იქნა ისევ დასძლია სიფრთხილემ და ცხოვრების უკულმართობით ამღვრეული ვაჟკაცი დაკოდილ ნადირივით დაემბო პირქვე.

— რა ხდება თებროს თავს? იმ იუდა კოწიამ ეგებ კიდეც შეისრულა თავის ჯინი!...

— მაგრამ არა! ეს რომ მოხდეს, მაშინ თედო ცოფიანი ვეფხვივით სულ დაბდღვნის იქაურობას. მაშინ იმას აღარაფერი ექნება დასაზოგი. და თავზე ხელაღებულ ვაჟკაცს კი რალა დაუდგება წინ! შურისძიებით აღტყინებული—ერთის შეტევით კლდესაც კი შემუსრავს და შემდეგ თითონაც ზედ გადაჰყვება ბედის სისასტიკით გადატყორცნილი.

თედო ათასჯერ გადაავლებს თვალს თავის სიცოცხლეს და მაინც აქნობამდის ვერ გაუგია: სად არის იმისი ნავთსაყუდარი ამ ცხოვრებაში?

ერთი ამხანაგი მაინც რომ ჰყავდეს—ესეც დიდ შვებას წარმოადგენს ქვეყნიდან დევნილი ადამიანისათვის. მაგრამ რანაირათ გამოსძებნოს თედომ ნამდვილი ძმა და მეგობარი ამ ტყეში ხეტიალის დროს? ამ ხანობაზე დუშეთის მაზრაში თარეშობდა ორი თავზე ხელაღებული ყაჩაღი—გურგენი და დიანოსა თედოს შეეძლო გასულიყო მათთან. მაგრამ ასეთ ხალხთან შეამხანაგება—ეს ხომ ფეხ ქვეშ გათელვა იქნებოდა ადამიანობისა და პატიოსნობისა! ამ ყაჩაღების ხელობა არის—ქალების გახრწნა, მშვიდი ოჯახების დარბევა, მხეცურად ხოცვა-ჟლეტა. ასამდის მარტო ქალი ეყოლებათ ნამუს ახდილი. ამაზედ მეტი კიდევ—უდანაშაულოთა სისხლი დაულევიათ.

— არა! თედო ამათი ტოლი არ გახდება! ტყეში რომ გავარდა, სინიდისი და პატიოსნება შარა გზაზე კი არ დარჩენია! იმის გულში ეხლა უფრო ძლიერადაც აკვესებს ტალ-კვესი სიმართლისა, ვიდრე უწინ.

არიან კიდევ ამ არე-მარეში ისეთი რაზმები, რომლებიც პოლიტიკურ ელფერს ატარებენ, მაგრამ თედო ვერც იმათ მიეთვისება. თავის დროზე ისინიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონობდენ საქართველოში, მაგრამ ვერავითარი საშვილიშვილო სიქმე ვერ დასთესეს. არც ისინი არიან ქვეყნის ნათლის-მცემელნი.

ერთხელ კიდევაც შეხვდენ იგინი თედოს და რა გაიგეს მიზეზი მისი ყაჩაღად გავარდნისა, სთხოვეს—ჩაწერილიყო იმათ რაზმში.

თედომ სასტიკად იუარა.

— რა მაქვს თვენთან საერთო? განა სამი წლის განმავლობაში თქვენ არ დიამბეგობდით საქართველოში? მერე რითი მოიმადლიერეთ ხალხი? ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობდა—ისე იყო ერთმანეთში არეული ავი და კარგი. განა ეს ბროლოსნელი კოწიები თქვენგანვე არ მომდინარეობენ—ეხლაც რომ ამტუტებენ წუთი სოფელს? არა ძმაო! ჩემი სიმართლე და თქვენი სიმართლე ერთმანეთს ვერ მიუდგებიან! მე ისევ მარტო მოვინელო ჩემი ბოლმა—ის მირჩევნია!

ასეთი პასუხი გასცა თედომ ტყეში გავარდნილ პოლიტიკურ რაზმებს.

უკვე შემოღამდა. თედოს მთელი დღის განმავლობაში ზამთრის მგელივით შიოდა. მხოლოდ სცდილობდა, რაც შეიძლება, მეტ ხანს გამოეზოგა ის ოთხი საცოდავი პური—წინა დღეს რომ გლეხის ბიჭებს გამოართვა. საღამოზე მეტი ვეღარ მოითმინა, იმის გვერდზევე მოჩხრიალე რუს ტოტში ჩაალბო სიცხისაგან გამოფიტული პური და ამითი ცოტაოდენად მაინც მოიდგა ფერდი.

როცა კარგად შემობნელდა, თედომ გადასწყვიტა ადგილის გადანაცვლება.

მართალია, ეს არე-მარე იმდენ თავშესაფარს არ იძლევა გავარდნილი კაცისთვის. მაგრამ მეორე მხრივ კარგიც არის, რადგან არავის მოუვა გუნებაში აქ ყაჩაღის ყოფნა.

თედო წაადგა იქავე გზის ქვევით, ვერხვის ძირში გადმოჩხრიალე წყაროს. მას სრულიადაც არა სწყუროდა, მაგრამ მაინც ჩაირბინა მისკენ და გულიანათ დაეწაფა დაბალ ღარს. ამითი უნდოდა მოეგონა ის დრო, როცა თავისუფლად გაუვლია აქ და ქვეყნის დაურიდებლად შეუსვენია ამ წყაროს თავზე.

უსამართლობის გრძნობამ აქ თითქოს ახლად იფეთქა ძლიერი ნალმივით. თვალ წინ წამოუდგა ღვთის პირით შეჩვენებული კოწია, რომელმაც ასე აამღვრია მისი სიცოცხლე და თვითონ კი ისევ დადის გაფაშფაშებული თავისუფლად.

— ის ხშირათ დადის ამ გზაზე რაიონის დასათვალიერებლად. უნდა ჩაუსაფრდეს ერთ-ორ დღეს აქ და თუ მოხვდა კლანჭებში, ბოლოც მოუღოს. ეს ისეთი ეკალია ქვეყნისა, რომელიც მოსვენებას არავის მისცემს.

თედოს შორს სასიარულო ალარსადა აქვს. გადასცდება თუ არა ფერდობს, უკვე ქსნის მიდამო იშლება თვალ წინ. მან მაღლობისაკენ გადაუხვია და მისცა თავი ქსნის ციხეს.

თუ სადმე გამოჩნდა კოწია. იქიდანაც კარგა ამოიღებს მიზანში.

— თედომაც თუ არ მოიდნო როგორმე ესეთი იუდა, მაშ სხვა ვილას შეუძლია—დააკლოს რამე?

ცოტა ხან სიარულის შემდეგ თედო უკვე მიადგა ძველის ძველ ციხის დანგრეულ კედლებს. ავიდა შუა აივანზე. გადმოავლო თვალი სიბნელეში გარინდებულ ქართლის არე-მარეს, შემდეგ გადაჰხედა ცის კამარას ალმოსავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიდან დასავლეთამდის და ყველაფრის, ყველაფრის საპასუხოდ ისევ ასეთ-ნახდა რაღაცა სასოებით;

„...მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო!
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო!
უცნაურო და უთქმელო, მფლობელო გულის თქმათაო!
მომეც დათმობა სურვილთა, უფალო უფლებათაო!

ამ მაღალ კედლებადან ქართლისათვის რამდენჯერ გადაუვლიათ მგრუნველი თვალი მისთვის თავდადებულ მამულიშვილებს! რამდენი ვაჟკაცის გულს უფეთქია აქ გმირულის გახელებით! რამდენი ფიქრი და ზრახვა დაბადებულა აქ ქვეყნის მოჭირნახულეთაგან ქართლის ბედის გადასაწყვეტად! ან რამდენი სიცოცხლე ჩანელებულა აქ რაინდულ თავ-განწირვაში.

ეს ყველაფერი ბნელ საუკუნოებს იქით არის მოქცსული. მრავალ თაობას გამოუვლია მას შემდეგ. მაინც ყველაფერი ეს კვდარი, შორეული, დავიწყებული უფრო მახლობლად და ნათესაურად ეჩვენება თედოს ამ წუთში, ვიდრე თანამედროვე სოფელი და ქალაქი, მეცნიერება და კანონი, ხალხი და იმისი ათასგვარი სულთა სწრაფვა. ის თითქოს სულ ერთიან მოსწყდა ამ ქვეყანას, ამ დროებას, რომელმაც დაუნდობრად გასწირა ეს პირმშო შვილი შრომისა და პატიოსნებისა. მთელი იმისი სულიერი ციხე-სიმაგრე თანამედროვე ცხოვრების მწვერვალებიდან ერთის შეტევით გადაინგრა წარსულის ბნელსა და ზვიად სიღრმეში.

ასე თეთრად გაათენა შავი ფიქრებით დახვეწილი ღამე. მზის ამოსვლისთანავე მთელ მინდვრებს მოედვენ სათიბ-სამკალად გამოსული გლეხები. ოქროს ფერად მობზინავე და სიუხვით თავმძიმე ჭირნახულს იმდენად შეესიენ ალმასებურ აწყობილი ნამგლებით. ჰაერში დატრიალდა ჰოროველას გუგუნი და მთელი არე-მარეც გახალისდა ამ შრომის თავაწყვეტილი ჟრიამულით.

ციხის სიმაღლიდან შურით უცქერის თედო ამ შრომას ზეიმობს და რამდენჯერმე გულამოსკვნით ამოიოხრა:

— ნეტავ თუ იმის ყანებსაც პატრონობს ვინმე!

ჩქარა სიცხის ისეთი ბუღი დატრიალდა, რომ სულია თქმა აღარ იყო. მიყუჩდა სიმღერა და ჟრიამული. არე-მარე გახურებულ სათონეს დაემსგავსა. დასიცხულ მინდვრების სუნთქვა გამქვირვალე ალმურათ მილივლივებს ჰაერში.

გუშინდელი საგზლიდან თედოს ერთი პური კიდევ დარჩა. იმით საკმაოდ მოიფერდა დილითვე, მაგრამ წყურვილით კი ლამის სული ამოხდეს მზე შუადღის საქოჩრეზე გასწორდა. დალამება ჯერ კიდევ შორს არის. თედოს კი ხახა გაუშრა სულ ერთიან. ის მზათ არის, თავისი მაჯის ძარღვი ამოჰგლიჯოს კბილით და იქიდან ამოწუწნული სისხლით გაიგრილოს ყელი. ბოლოს სულგამწარებულმა იქვე მდგომ თელის ჩირგვს მოსხვიპა ფოთლები, დაჭღეჭა მაგრად და იმით მოგროვილი ნერწყვით გაისველა ყელი.

ცოტა ხნის შემდეგ თედო ისე შეწუხდა წყურვილით, რომ კიდევაც გადასწყვიტა, ჩამოსულიყო შარაზე, ერთი გემოზე დასწაფებოდა წყაროს ალმასებრ მჩქეფარე წყალს და მერე თუნდა სიცოცხლეც გაეწირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყოვლმხრივ განწირულ კაცსაც სწყალობს ხანდახან ბედი!

უეცრივ ცას შემოესივნენ ტყვიის ფერი ღრუბლები და ასტყდა სასტიკი ჭექა-ქუხილი. ამას თან მოჰყვა ციე-ცივი ზენა-ქარი. ცოტა ხნის შემდეგ ისეთი სეტყვა წამოვიდა, თითქოს განრისხებული ცა ჩაქცევას უპირებდეს საბრალო დედამიწასო.

ციხის ყოველ კუთხეში იმდენი სეტყვა დაგროვდა, რომ გოდრები გაივსებოდა. თედომ ჯერ მთელ-მთელი მარცვლები ჰყლაპა, სანამ პირველ წყურვილს მოიკლავდა. შემდეგ კი გულ დამშვიდებულმა თითო თითოდ დაუწყო წუწვნა.

თედოსთვის ნეტარება იყო ამ სეტყვის მოსვლა.

— ოჰ, გმადლობ ზეციერო, რომ სულ უნუგეშოდ არ სტოვებ ყველასგან განწირულ ადამიანს!

მაგრამ აქ მოაგონდა ბალ-ვენახები. ჭირნახული, სოფლის ჭირვარამი. წარმოიდგინა, თუ რამდენი ჰკრულავდა ამ სეტყვის მოსვლის საათს და ამის გახსენებაზე ლამის ბალღამათ შეერგო ეს ზიარებასავით მოსწრებული სეტყვა.

თედოს თავის თავი თითქოს მოწყვეტილი ეგონა ქვეყნის ტკივილებიდან მაგრამ არა! ის ხორციდან ხორცია და სახლიდან სისხლი ქვეყნისა და თავის ხალხისა.

როგორც იქნა, ეშველა ზაფხულის დღეს და ძლივს გაილია. მზე უკვე ორ ისრის წვერზეა დასული. თედოს ეხლა ძალზე მოშივდა.

საწყალ კაცს რამდენი ხანია ერთი ყუათიანად აღარ უჭამია პური. ეჰ, ან ეღირსება კი როდისმე? ამის იმედი არა აქვს თედოს.

ერთი-ორი ფიქრის ნაელვიც და—მზე სულ გადაცურდა შორეულ კიდის იქით. ცაზე დასტოვა ცეცხლ-წაკიდებული ოკეანე და ათას სახედ ახთებული ფერადები, რომლებიც სწრაფად იცვლიდენ იერს ცეცხლიდან—ოქროდ იქცეოდენ. ოქროდან ვერცხლად. ვერცხლიდან—სპილენძათ. შემდეგ—ტყვიის ფერ ღრუბლებათ. და ბოლოს ბნელიც მოედო არეს ყორნოსან ფრთებით.

აქ თედოს უცებ მოაგონდა, რომ სოფელ აღაიანში ერთი კაი ნაცნობი ჰყავს და გულიც გაუნათლდა. ის ლამის ნათესავადაც კი მოხვდება თედოს. ერთხელ ახალ-ქალაქში ქირაზე ყოფნის დრრს კიდევაც იყო იმის ოჯახში. ეხლაც მივა. არაფერით იმის შემწუხებელი არ იქნება, გარდა იმისა, რომ ერთი ოჯახიშვილურად პური აჭამოს და თანაც ეგები რამე ამბავი იცოდეს თებროსი.

თედო გზას გაუდგა. დაუზარებლივ გასტოპა ქსანში. ვახშმობა გადასული იქნებოდა, როცა მიადგა თავის მონათესავის კარებს.

— გამარჯობა, ზურაბ!

ზურაბი გაშეშდა.

— ვერა მცნობ, კაცო?

— როგორ არა გცნობ, მაგრამ აქ რამ მოგიყვანა?

— გაჭირვებამ, ჩემო ზურაბ!

შეშინებულმა ზურაბმა ფრთხილად მიიხედ-მოიხედა.

— შე ულმერთო, რათა მლუპავ? რა დაგიშავე?

— ზურაბ, კაცო, თედო ვარ! ეგებ ვერ მიცანი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიცანი, ჰო! თედო ხარ! მაგრამ თუ ძმა ხარ, გამშორდი ეხლავე და ჩემ ცოდოში ნუ ჩადგები!

— რა იყო კაცო? რამ შეგაშინა?

— ვინმემ რომ თვალი მოგკრას აქა, ხვალ ხომ ჩემი ხსენებაც ალარ იქნება—ისე ამიგებენ ანდერძსა.

— ერთი პური მაინც მომეცი, შე კაი კაცო და წავალ, მოგწყდები თავიდან!

— ვაი ჩემ თავს! პურს როგორ დაგიჭერ, მაგრამ, რა ვიცით! ტყე უყურო ნუ გგონია და მინდორი უთვალო! ერთიც ვნახოთ, უნებლიედ დაგინახავინმემ! ეგებ მოდარაჯებულიც არის ვინმე! არა, თუ ძმა ხარ, ჩქარა გამეცალე!

— ერთ პურს ვერ იმეტებ, კაცო, გაჭირვებული ადამიანისთვინა?

— რა ვქნა! ძალიანაც მეკალება გული, მაგრამ თავს ხო ვერ დავიღუპავ!

— ბიჭო, ზურაბ! თუ ბევრი არა, ცოტა პატივისცემა მაინც მიმიძღვის შენთან!...

— რა ვქნა, ძამაო! ყაჩაღ კაცს ვერ გაუმასპინძლებდი! აი ჩვენებიანთ გოლაც მაგითვინ არა ზის ეხლა ციხეში!

— ეჰ, ამნაირი სიცოცხლეც რა ვსთქვა! კაცს ერთი პური ვერ გაუმეტნია!

— წადი, კაცო, წადი! რაზე მლუპავ შე ურწმუნო!

— ეჰ, დაიქცეს ჩემი გაჩენის საათი! ეს არის ქვეყანა და ადამიანობა!

— შენი გულითვინ თავს ვერ დავიღუპავ! ცოლშვილის ცოდოში ვერ ჩავდგები, ვერა!

— ეჰ! ოღონდ თქვენ იყოთ მშვიდად და კარგად! ჩემი გაოხრებული თავი კი... ჯანდაბას! მართალ კაცს შველა არცა ჰქონია ამ ცხოვრებაში და არც ექნება! ერთს კი ვიტყვი: ისე გაუმარჯოს მთელ ქვეყანას, როგორც მემართლებოდეს! მშვიდობით!

ზურაბს თითქოს სინდისის მძიმე ლოდი ჩამოეკიდა თავზეო და ძლივს შეტრიალდა სახლში მიწასთან გასწორებული.

თედო კი მიდის იმავე გზით, როგორც მოვიდა. მიდის, მაგრამ ფეხები კი უკანა რჩება, რადგან წინაც ისეთივე სიბნელეს ხედავს, როგორც უკან.

— რათ უნდა ადამიანს სინიდისი, ჯანი, ან შრომის უნარი, ან სიყვარული ხალხისა და ოჯახისა—თუ კი ასე ტიალად ივლის ამ დანავსულ წუთი სოფელში.

თედოს ამ სიბნელის ყოველი მხრიდან სასტიკად შემოერია აქნობამდის თითქოს უცნობ და შორეულ ფიქრთა ლაშქარი. იბრძვის თედო. ებრძვიან თედოსაც. ყველას ისარი ხვდება გულში. ყველას მახვილი ჭრილობას ამჩნევს იმის მკერდზე. ფარი კი არავითარი გააჩნია თედოს, რომ მცირეოდენად მაინც დაიცვას თავი ამ სასტიკ იერიშებიდან.

— რა ღმერთი გაუწყრათ ან იმ იუდა კოწიას, ან მილიციელებს, რომ ერთხელ ვერსად წააწყდა გზაში! რა სიამოვნებით შეებრძოლებოდა! და ისეთივე სიამოვნებით ან მოჰკლავდა ან თავს შეაკლავდა!

აგერ მართლა ვიღაცეები მოხმაურობენ გზათ. თედომ არსაით არ გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხვია. მხოლოდ თოფი მოიმარჯვა. ხანჯალიც დასძრა ქარქაშიდან. მახლოვდენ—გლეხები გამოდგენ. გზას ჩამორჩენოდენ ნაგვიანევათ. თედომ სალამი მისცა და გაატარა. იმას წინ დარჩა ისევ ბნელი გზა, ოღრო-ჩოღრო და გაურკვეველი.

— ოხ კოწია! ერთი შენი სისხლი დაალევინა თედოს! მართალია, მთავრობა დაგიგლოვს იმიტომ, რომ კაი კაცი ჰგონიხარ. მაგრამ ქვეყანა კი ერთს მაინც ამოისუნთქავს თავისუფლად შენისთანა გაიძვერას გამოკლებით.

— მაინც ბოლო რა არის თედოსი? ან თებრო როგორ არის? ან იმისი მოხუცი დედა? ოჯახი თუ კიდევ სდგას ფეხზე? კოწიამ ხომ არაფერი დაუშავა თებროს? ხალხი რას ფიქრობს ნეტავ? ან შაქრა როგორ არის, ან იმისი პოტა ხარი? ჰიდაობა უყვარს! ვინ იცის რქაც მოსტეხეს და სულ დააუშნოვეს?—მაგრამ ეხლა მაინც სად წავიდეს თედო? სად იშოვოს პური თავის არსებისა?

— ოხ, კოწია, კოწია! როგორ აინაზღაუროს კაცმა ამდენი ვაი-ვაგლახი? შენთვის ერთი სიკვდილი ცოტაა, ორიც, ათიც, რომ გადაგხდეს მხოლოდ თავნი ამდენი უბედურობისა.

— ღმერთმა ისე ნუ წაახდინოს თედო, რომ ყველაფერი ეს შეგანარჩუნოს!

ისევ გასტოპა ქსანში. გამოურკვეველობის გაურღვეველმა კედელმა ისევ შეაჩერა თედო სახტად. მაგრამ აქ მწვავე აღშფოთების გრძნობა როგორც გაფიცხებულ კვარს, ისე მოედო თედოს არსებას:

— მტრედივით ალალ-მართალი კაცი ქვეყნის უკულმართობით ყაჩაღად გავარდნილა. სასიკვდილოდ სდევნიან ფეხდაფეხ და იმას კი ისე უნდა იაროს, რომ ჯიანჭველაც არ გასჭყლიტოს! ეს ყაჩაღობა კი არა ლაჩრობა არის! თედო აქაც არ იშლის თავის გულკეთილობას და ლმობიერობას! ნუ თუ ამაყსა, ჯანსაღსა და სინდისიერ კაცს მშიერ ძაღლივით უნდა ამოხდეს სული! მაშ რაღას აქნევს ამ თოფ-იარაღს, ძლიერ მარჯვენას და ყაჩაღის სახელს?

თედომ დამუქრებით გასწია ქსნის სადგურისკენ. განაპირაზე საქულას სამიკიტნო ატუზული. თედომ რიხიანად დააკაკუნა.

— ვინ არის?

— მგზავრი! გააღე!

— გვიან არის! არც დასაძინებელი მაქვს!

— ერთი ჩარეჟი ღვინო მინდა, სხვა არაფერი!

საქულა აგვიანებს.

— გააღე რაღა, შე ოჯახაშენებულო, რისა გეშინია!

კარი გაიღო. თედო შევიდა თოფ-მომარჯვებული. იმის დანახვაზე საქულას ელდა ეცა.

— რა გაშინებს, შე ჩათლახო? თოფიანი კაცი არ გინახავს?

— რას მემართლები, ძმაო-ჯან?

— გემართლები რაღა, მამა-პაპური დავა მაქვს შენთან გადასაწყვეტი, შენმა მზემა!

— ...ერთი საწყალი კაცი ვარ! ცოლშვილს ძლივს ვარჩენ...

— რასა ტირი? ჩემგან ხომ არ ელი გამდიდრებასა? მოიტა ჩქარა, საქმელი გექნება რამე! აბა, დროს ნუ მაკარეევინებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საჭმელი... აი ცოტა ყაურმაა დარჩენილი...

— მოიტა დროით, აბა!

საქულამ წავით ყაურმა გამოიღო.

— აბა, ერთი ჩარექი ღვინოც ჩამოასხი!

— ჩემი თავი შენ შემოგეელოს! აჰა, ინებე!

თედომ ბრმა ყვავივით დაუწყო სანსვლა უშველებელ ლუკმებს. თანაც ღვინოს აყოლებს გემოზე.

— ერთი ჩარექი კიდევ დაასხი ამ შენი მაჟალოსი!

— რამდენიც გესიამოვნება, გენაცვა!

თედო მადიანათ შეექცა ყაურმას და ღვინოს. ამ დროს სულ დაავიწყდა ყველაფერი. ახსოვს მხოლოდ საჭმელი და შესაძლებელი საფრთხე. ჩქარა ლაზათიანად მოიფერდა ვაჟკაცი და წელშიც გასწორდა.

— აი, ცხონდეს მამიშენი სული, საქულ! ეხლა კი მშვიდობით!

— არაფერს იხდი, შე კაი კაცო?

— ბიჭოს! შენ მადლობელი არა ხარ, რომ მარტო საჭმელს დაგჯერდი? ყოჩაღი კაცი ასე იოლად გაგშორდეს და ხვალ სამღთოს კი არ დაჰკლავ!

— ღმერთმა შეგარგოს, ძმაოჯან! ჰალალი იყოს, რაც გიჭამია! წამომცდა, რა ვუყოთ!..

— მაშ გამარჯვებით იყავი! ამ ერთ ჰურსაც წავიღებ საგზლად!

— მიირთვი, გენაცვა! შენისთანა კაი კაცს ან სულს კი როგორ დავუჭერ!

— საქულ! თუ საიქიოს არ წაწყდე, იცოდე, ამაღამდელი მადლის ბრალი იქნება! მშვიდობით!

— გამარჯვებით!

თედო წავიდა. საქულა შეფიქრიანდა: იყვიროს თუ არა საშველად? მაგრამ ვაი თუ უფრო მეტი ხათაბალა დამატყდესო, და ისევ ძილი არჩია.

თედომ გზას გადაუხვია და მინდორ-მინდორ გასწია მარჯვნივ. ღვინო საამო ნექტარივით გაუჯდა ტანში. თითქოს გაიზარდა, გაიშალა. მუხლშიც ძალა და სიმკვირცხლე მოემატა და როგორც გამაძღარი ლომი—რიხიანად მიდის სიბნელის უდაბნოში. ჩქარა მას ტვინიც შეუღიტინდა. ყელშიც აწვება რაღაც სამხიარულო ხმები. კიდეც დააღო პირი მაყრულისა თუ მრავალ-ჟამიერის სათქმელად, მაგრამ... სიმღერის ნაცვლად მის დაფოლადებულ ხმაში გადმოიჭრა რაღაც საშინელი გმინვა და ვაგლახი, რაღაც შემაძრწუნებელი ზარი და ყივილი...

იმის უცნაურ, ეხეშ ყვირილსა და გმინვას კი ქვესკნელიდან მოელენილ მოზარესავით იმეორებს მთელი მიდამო და თედოს ყურებშიც ბზუის შეუჩერებლად, გულშემზარავად.

კოწიამ ყური მოჰკრა—მეურმე ბავშვებს რომ დაუხვდა თედო და ჰური წაართვა. მან მეორე დღესვე უმაღლეს ხელისუფლებას მიმართვა უშველებელი განცხადება. იქ კოწია აღწერდა ყაჩაღ თედოს საშინელ აბეზარობას და სისასტიკეს, რომელიც არ ინდობს გზათ მიმავალ გლეხობას ბავშვებსაც და კი. დაუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობრად სძარცვავს სულ ყველას და უკანასკნელ ლუკმასაც კი ართმევს. კოწიამ ეს არ აკმარა. ყაჩაღ გურგენისა და დიანოსასაგან ჩადენილი საძაგლობაც განზრახ სულ თედოს გადააბრალა. ის უდიდესი აღშფოთებითა სწერდა: ამა და ამ ადგილას ქალი გააუპატიურა, ამა და ამ ადგილას კაცი გაძარცვა და მოჰკლა. და რადგან თედო აქნობამდის ხელში ვერ ჩაუგდიათ, ამიტომ ჩამოერთვას მას მთელი ქონება და მიეცეს დასაკმაყოფილებლად მისგან დაზარალებულ ხალხსო.

კოწიამ სულ ადვილად მიიღო ეს ნებართვა და მეორე დღესვე დაბრუნდა სოფელში. იმას მოსვენებას არ აძლევდა თედოს თავისუფლად ყოფნა. სანამ ის ცოცხლად ეგულება, კოწია ვერ შეისრულებს თავის დაუთმობელ ჟინს. ის ვერაფერს უბედავს თებროს, რადგან ეშინია მაინც კანონის გარეშე გავარდნილ კაცისა. მაგრამ ესეც იცის, რომ ვერც თედო გაიმეტებს ადვილად, რადგან თებრო მუდამ საუკეთესო მძევალს წარმოადგენს იმისას. ამიტომ თებროს არაფერს უშავებს. პირიქით, მას კიდევაც მფარველობს მთავრობის წინაშე და სცდილობს, ამგვარად მოიგოს იმისი გული. ამავე დროს თან ისე უპირვებს საქმეს, რომ თებრო იმას გარდა ველარსად ვერ ხედავს შველას.

საცაა თებრო სალოგინეც იქნება და ეს სადაოა—ბავშვი კოწიას ეკუთვნის თუ თედოს. ამას გამოარკვევს ვადა მშობიარობისა, რომელიც კარგად აქვს მეხსიერებაში აღბეჭდილი კოწიას.

კოწია დილიდანვე ეწვია თებროს შეიარაღებული პირებისა და მილიციელების თანხლებით და შეუდგა თედოს ქონების აღწერას. თებრომ გაიგო თუ არა მათი მოსვლის მიზეზი, ზედაც არ შეუხედია. უიმედოთ ჩაიქნია ხელი, ჩაიკეტა თავის პატარა ბეღელში და ფეხიც აღარ გამოუდგამს იქიდან. მხოლოდ თედოს მოხუცმა დედამ შექმნა მთელი ვაი-ვაგლახი. ის ათასნაირად იგლიჯებოდა, რომ არაფერი დაენებებინა. კოწია მოთმინებიდან გამოვიდა მოხუცის წივილ-კივილით და უბრძანა მილიციელებს, სადმე დაემწყვდიათ. მილიციელებმა სტაცეს ხელი, შეაგდეს ბოსელში და კარიც გამოუკეტეს. ყველაფერი ასწერეს, რაც კი ერთი-ორი გლეხის დაკითხვით თედოს ეკუთვნოდა. თებროს ქონებას კი ხელი არ ახლეს.

წასვლისას გააღეს ბოსლის კარი და—უბედური მოხუცი ხლეებზე ეგდო სულ-გაპნეული. ალბად ელდით გაუსკდა გული.

კოწიამ ამის დანახვაზე ღვარძლიანად წამოიძახა:

— ახია შენ'ხე, იმ გველის წიწილის გაზრდისათვის!

საღამო ჟამს მან შეჰკრიბა მთელი ბოლოსანის მცხოვრებნი და ისევ გაანუმეორა სასტიკი ბრძანება:

— ვინც გაბედავს და თედოს ან საზრდოს მისცემს, ან რაიმე ცნობას მიაწვდის, ისე დაისჯება, როგორც ნამდვილი ყაჩაღი. ვინც ნახავს სადმე და არ გასცემს, იმასაც ესეთივე დღე დაადგება. მხოლოდ თუ ვინმე გამოიჩენს სიყოჩაღეს და მოკლავს, იმას ჯილდოთ მიეცემა თედოს ულელი ხარი. თუ გავიგეთ, რომ თედო ამ არე-მარეში დაიარება სადმე, ან კიდევ ჩაიდინა რამე, მაშინ მთელ სოფელს მოეთხოვება პასუხი... ხალხი მორჩილად დაიშალა.

თებრომ ერთი-ორი შორეულ ნათესავის დახმარებით როგორც იქნა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაფლავა ელდისაგან მონელებული დედამთილი და ეხლა დარჩა მარტოდ-მარტო—საფლავზე დარჭობილი ჯვარივით.

მეზობლებს, მართალია, გული შესტკიოდათ, მაგრამ კოწიას შიშით ახლოს ვერ ეკარებოდენ—ვაი თუ ჩვენც ბრალი დაგვდოს რამეშიო. ხმა მაღლა სამძიმარიც კი ვერ გამოეთქვათ საწყალი ქალისთვის და ყველას განზე ეჭირა თავი. ბოლოს ველარ გაუძლო თებრომ მაარტოობის შემზარავ ჟრუანტელს და თედოს ბიძაშვილს—პატარა შაქროს იწვენდა ხოლმე თავისთან.

კოწიამ ველარ აიტანა დიდხახს ლოდინი. ვერ იქნა, თედო ვერ ჩაიგდო ხელში. თებრო თვითონ არა ნებდება. მაშ ისევ ძალა უნდა იხმაროს. ეხლა ხომ წინ ველარავინ დაუდგება? ვინ მოსთხოვს პასუხს ყაჩაღის ცოლის „შეურაცყოფაზე“?

ერთ საღამოს, როცა კოწია ცოტა ნუნუათიც იყო შეღიტინებული, მიიპარა თებროს სახლთან და მოულოდნელად შეაღო კარი.

— გამარჯვება ჩემ თებროს!

თებრო გაფითრდა. თითქოს იმის ძარღვებში სულ გაშრა უკანასკნელი სისხლის წვეთიც კი.

— ხმა გამეცი. ქალო! მე შენთვის ვდნები და შენ კი რეიზა მიცქერი ეგრე შტერივით?

კოწიამ წინ წაიწია უგუნური მკლავებით.

— საზიზღარო! ულინდისო! იუდა! იუდა!

თან სულგამწარებული თებრო, როგორც იქნა, გაუსხლტა ხელიდან გუნება ამღვრეულ კოწიას და გავარდა გარეთ.

პატარა შაქრომ ყველაფერი დაინახა. შეშინებული წამოჯდა, მიეყუდა, კუთხეში და მოართო ფშლუკუნი.

კოწიას დარჩენას აქ აზრი აღარა ჰქონდა. მან თითქოს შერცხვენილად, თანაც გაბრაზებით მიიხედ-მოიხედა დაბნეულად და მუქარა-ბურტყუნით გავიდა კარში. შუაღამე იქნებოდა, როცა თებრო ფრთხილად შემოვიდა სახლში და აზრ-დაკარგული აჩრდილივით ჩაემხო ლოგინში. რამდენი მწარე ფიქრი და სიცოცხლის წყევა დაემხო მასთან ერთად, ვინ დაითვალოს! ან ვინ გაიგოს, თუ რაღათ ღინღილობს კიდევ თებრო ამ ცოდვილ მიწაზე!

თედოს ქსანში ყოფნის შემდეგ თითქმის ორი კვირე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში, ღმერთმა უწყის, როგორ იკლავდა იგი ან სიმშილსა და ან წყურვილს. მაგრამ სახლის ჯავრით ლამის დადნეს კაცი.

— ცოცხლები არიან? დაიხოცენ? ჰშიათ? სწყურიათ?

ველარ გაუძლო საწყალმა კაცმა ამ დარდების იერიშს. მათ ნამდვილი ალყა შემოარტყეს ამ გატიალებულ, მიუსაფარ ადამიანს და ბოლოს ლამის დანებდეს კიდეც.

— რას აქნევს თედო მთელ მსოფლიოში ობობას ქსელივით დაბლანდულ ტელეფონებს და რადიო-სადგურებს, თუ კი იმას ორი საათის სავალზე თავის ოჯახის ამბავიც კი ვერ გაუგია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომ ქვეყნის დაღუპვა შეიძლებოდეს ერთი კაცის დაწყევით, ვინ გაამტყუნებს თედოს ასეთ დაწყევა-შეჩვენებისათვის?

თედოს თითქოს დაეკარგა ყველა გზები და თავისდა უნებურად მოდის ბროლოსნისაკენ. როცა კარგა შებინდდა, ის უკვე გამოვიდა ტყიდან და მინდორ-მინდორ გასწია. აგერ ის წაადგა თავის ერთ ყანას და გაოცებული დარჩა: მთელ სოფელს უკვე მოუმკია ჭირნახული ლამის აგერ ორი კვირეა. იმისი ყანა კი ისევ ფეხზე სდგას საქონლისგან შეჭმულ-გაოხრებული.

— თუ კი წლის მოსავალის მომვლელი არავინ გამოჩენილა, მაშ სულ გაოხრებულია იმის ოჯახი. აქ უეჭველად სასიკეთო არაფერი დაიბადებოდა! უიმისოდ თებრო ასე საერანოდ როგორ დასტოვდა მთელი წლის ნაშრომ-ნაღვაწს?

— ალბად დაიხოცენ! ან ავად იქნებიან! ოხ, კოწია, კოწია! სულ შენმა კისერმა უნდა ზიდოს თედოს ამდენი უბედურება!

— რაღათ დადის თედო მიწაზე? რას აქნევს საბრძოლველად გამზადებულ თოფ-იარაღს! ან თავის ყაჩაღობას, ან თავის ეაკკაცურ ჯანსა და ხასიათს, თუ კი ყოველ ნაბიჯზე ასე იქნება შელახული მისი ცხოვრება!

თედოს არსებაში გაიღვიძა განრისხებულ ნადირის გახელებამ. რა არის სოფელი? ან შეიარაღებული ქვეყნიერება? რას წარმოადგენს ციხე და სახრჩობელა? რა არის თვით შიში?

თედომ გასროლილი ისარივით გასწია პირდაპირ სახლისკენ.

— ვაი იმ თავმოძულებულს, რომელიც წინ გადაეღობება!

მიდის თედო შარა-გზაზე. ყველაფერი თითქოს ნაცნობია და თან უცნობადაც გარდაქცეულა. კაცს გული საგულეს აღარ უდგება. იმისი აზრი სულ ერთიან დაუქმდა. მხოლოდ გამახვილებული გრძნობა ათას ნაპერწკლად აკვესებს თედოს ძარღვებში და ნაბიჯებსაც უფრო უმატებს. ალბად ასევე დაუზოგავია და თავგამეტებული დაჭრილი ლომი, რომელმაც თვალი შეავლო თავის მკვლელს.

მიადგა თავის კარმიდამოს.

ეზოში სიწყნარეა.

და სწორედ ეს სიწყნარე ელვის ჟრუანტელივით უვლის მთელ ტანში თედოს.

კარი დააკაკუნა. სიჩუმეა.

კვალად დააკაკუნა და გულიც უკაკუნებს უფრო მაგრა. შიგნიდან მოისმა ფრთხილი და შეშინებული ხმა.

— ვინ არის?

(ოო! ეს თებროს ხმა იყო. მაშ რაც თავი და თავია, კარგად ყოფილა).

— გააღე, თებრო!

— ვინა ხარ?

— გააღე ნუ გეშინია!

თებრომ იცნო ხმა და ყურებს არ უჯერებს.

გააღო კარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გოგო-ჯან ეს მე ვარ! მიცანი?

— თედო! გენაცვალე!

ქალი ძირში მოჭრილი ხესავით ჩამოეკიდა ვაჟის კისერს. იმის განიერ მხარზე დაამხო დამძიმებული თავი და წასქდა გულამოსკვნილი ქვითინი. თედომ ბევრი უყვავა თავის ახლად ნაპოვნ გვრიტს. ლამის თვითონაც აუჩუყდა გული. ბოლოს, როგორც იქნა, დააშოშმინა და ეკითხება

— როგორა ხარ, ჩემო წამებულო?

— მე ჯანდაბამდისაც გზა მქონია! შენ როგორა ხარ გენაცვალე, შენ?

— დავდივარ ტყე-ღრეში ხან მშიერი, ხან მწყურვალი და შენი დარდი მუდამ თან დამდევს საკუთარი აჩრდილივით.

— მეც მხოლოდ შენი დარდი მკვლავს. სხვა ყველაფერი აინუმში არ ჩამიგდია.

— დედა სად არის?

— დედა... აღარ არის...

— როგორ? რა მოხდა?

— იმ დაწყეველილმა ქონება რო აგვიწერა, მაშინ ველარ აიტანა. ელდა ეცა და სულიც განუტევა.

— ვაიმე დედაჩემო! შენი გამწარებული შვილისაგან ცრემლის დაყრასაც კი ველარ ეღირსე! მაგრამ რაო? ქონება ასწერაო?

— მაშა! როგორც ყაჩაღად გავარდნილს, შენი წილი ქონება სულ აგიწერეს.

— ოო, წუწკო ქვემძრომელო; შხამიანი გველივით გაგიჭეჭყავ მაგ გესლიან თავსა!

თედომ იარაღი. მოიმარჯვა და გასწია კარებისაკენ.

— თედო, გენაცვალე, სად მიხვალ?

— აღარ შემიძლია მეტის ატანა! ეხლავე უნდა შევანანო წუთისოფელი იმ იუდა ისკარიოტელს! ან თუ არა და თავს დავსდებ!

— თედო, გენაცვალე, დაშოშმინდი! ხომ იცი, მერე სოფელს სულ აიკლებენ შენი გამოჯავრებით.. ჯერ ამას წინედაც რამდენი აწვალეს საწყალი ხალხი!

— მე ხომ ადამიანი ვარ! და ადამიანს განა ეპატიება ამდენი რამის ატანა?

— გამიგონე, შენი ჭირიმე! სოფელი დაისჯება! რათ გინდა ჩადგე ამდენი ხალხის ცოდოში! გეხვეწები! გემუდარები!

— ეხ! ეს ოხერი სოფელი მუდამ ყველა უბედურობის მუაშია ჩაჩხირული.

— გაუშვი შენი ჭირიმე, თედო! საწყალი და ალალ-მართალი ხალხის წყევა ამოგვაგდებს ერთიანად!

— მაშ რა ვქნა, რა? ბარემ მოვისპო კაცობა, არ მირჩევნია!

— დაინდე, გენაცვალე! მაშინაც ცოდვით ვიწოდი! ჩემი თავი დამეიწყებოდა და იმათ ვგლოვობდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოხ, გოგოჯან! ნეტა ჩვენც ისე ვებრალებოდეთ ქვეყანას, როგორც ჩვენ გვებრალება იგი:

— შენ ის მითხარი, გენაცვალე, რა გაძლებინებს ტყეში?

— მე ნუ მკითხავ! შენ თვითონ მითხარი, როგორა სძლებ აქ? როგორ არსებობ?

— მეც არ ვიცი... შენზე ვფიქრობ... შენ გელი და... ისე ვიწვი, ვიდაგვი...

თედომ კარი ჩაკეტა და თოფიც გვერდზე მიაყუდა.

— ჭირნახულისთვის რათ მიგინებებია თავი, გოგოჯან?

— გამიჭირდა. მუშა ვერ ვიშოვე. ეგებ ამ დღეებში მოვახერხო რამე.

— ვაიმე, ჩემო დაკარგულო თავთუხო! განა ეგრე უნდა გაოხრებდეს ძალი და ღორი!

— შენ ხომ პური გეშივება თედოჯან? ეხლავ ქათამს დავკლავ!

— ქათამი? სადა მცალია საამისოდ? გავიწყდება, რომ ჩუმათა ვარ აქ მოსული?

— მაშ ერბო-კვერცხი?

— კარგი!

თებრო შეუდგა სახელდახელო ვახშმის მზადებას. თედო თითქოს სასაფლაოზე იყვესო, სევდიანად იცქირება ყოველ კუთხეში. შემდეგ უნებურად მიეყუდა დედაბოძს და ამოიოხვრა:

— ოხ, დედა-ბოძო! რათ მენგრევა ოჯახი თავზე რათ?

ვახშამი მზად არის. თედო ნასწრაფევად შეექცა ყველაფერს.

მრავალი მხრიდან მოვარდნილი ნიაღვარი იმის გულში უძირო მორევათ დაგუბულა და ტრიალებს საშინელი სიძლიერით, რომლითაც ირყევა თედოს არსება.

— რა ჰქნას ამ ერთი კაცის დაკოდილმა გულმა? ნშობლის დაკარგვა იგლოვოს? ქონების მოტაცება და ოჯახის განიავება? თუ უხაროდეს დანახვა თავისი სიყრმის მეგობისა, თავისი ნატვრის თვალისა?

ყველაფერ ამისთვის შემთხვევამ მიანიჭა მეტად მოკლე დრო. რომელზე დახარჯოს? რომელი გრძნობა უფრო ძლიერი, უფრო სათუთი და თავანკარი?

— თედო, კაცო! რამოდენა წვერ-ულვაში გაგზრდია! ნამდვილ ტყის კაცს დამგზავსებიხარ!...

— შენ კი გოგოჯან, ამდენ სევდასა და ვარამში ისევ იმ ქოჩორა ტოროლათ დარჩენილხარ, როგორც მახსოვხარ ჩვენი შეხვედრის განთიადზე.

თედომ თითქო უხერხულათ და მორიდებით მოჰხვია მკლავები. მაგრამ თებროშიც ალარ ტრიალებს ალმური მძლე ქალურის გზნებისა. რკინის რგოლივით შემოეჭდო თედოს კისერს არა ავხორცობის ასატეხად, არამედ სევდის ჟინის დასათრგუნავად. თედოს გულში ათასი ონავარი გრძნობა დათარეშობს და ვერც ერთისთვის ვერ უგდია ქამანდი ხელში სრულ მოსაბოჭველად.

— თებრო ქალო! შენ სალოგინე როდისა ხარ?

თებროს ფერი-ფურმა გადაჰკრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ... მე მგონი ჩქარა...

— შენ გენაცვალე, ბევრს ნუ იჯავრებ! ეგები მოგვარდეს რამე...

(თანაც თვითანავე ვერ გაუგია, რა იმედით ამბობს ამ სიტყვებს.)

— თედო! შენ ისევ უნდა წახვიდე?

— მაშა! აქ რომ მომასწრონ, ვინ დამზოგავს!

— ... მეც რა სისულელეს გეკითხები! საცვლები არ გინდა?

— ... მომეცი, თუ კი არის!

თებრომ ხელდახელ გამოჰკრა თავშალში საცვლებიც და საგზალიც, თუ კი რამე მოეპოვებოდა.

—... ის იუდა ძალიან გაწუხებს გოგონი?

—... იმაზე ნულარაფერს ნუ მკითხავ! დაიქცეს ის საათი, როცა ის აქ ჩამოთესლდა!

— უეჭველად უნდა დავლიო იმი სისხლი, იმ საზიზღრისა!

— მერე სოფელი? არა, არა! ისევ მარტო ჩვენ ვიტანჯოთ, ისა სჯობია! სოფელი რა დამნაშავეა ჩვენს უბედურობაში!

— მესმის გენაცვალე, მაგრამ მაშ რა ვქნა, რა? ასე უნდა გავფუქდე ვაჟკაცი? მე მგონია, კაეს დავკვნეტ მეთქი და ვიღაც გლახაკი ასე მაოხრებს კია. მერე შენ, ჩემო ცელქო, ჩემო მალხახო გოგონი, განა ეგრე უნდა ჩაგმწარდეს სიცოცხლე!

მეზობელ ეზოდან გაცხარებული ძაღლის ყეფა მოისმა.

თედომ ხელთ მოიმარჯვა თოფ-იარაღი, მიეყუდა კარებს და სმენათ გადიქცა.

ძაღლის ყეფა ნელ-ნელა მისწყდა.

— თებროჯან, შენ სულ მარტო ხარ?

— შაქრა წევს აქავე ბოსელში.

— მე წავალ ეხლა. არავინ მოგვასწროს, თორემ... ჩემი თავი არ მენანება, მაგრამ შენც გაგაწამებენ..,

— ნეტამც არ იქნება ჩქარა მომიღგბდენ ბოლოს!

— ნუ ამბობ! მაგას ნუ ამბობ! შენ უნდა იცოცხლო უეჭველად ჩვენი შვილისთვის! და თუ იმ წუწკმა შენც მოგიდნო, მაშინ კი იმას ველარაფერი ვერ იხსნის ძაღლური სიკვდილისაგან. ეხლა კი მშვიდობით გენაცვალე! საფრთხილოა!

თედო და თებრო ჰიგოსავით შემოეჭვდენ ერთი ერთმანეთს თითქოს პირველად შეხვდენ სასიყვარულოდ თითქოს აღარ ფიქრობდენ ერთმანეთისაგან განშორებასო.

ბოლოს ნაძალადევად ჩამოეხლიჩენ ერთი ერთმანეთს მათი მკლავები და თედო ფეხ-აკრებით გავიდა კარში.

თებრო კარგა ხანს იდგა ყურ წაგდებული. შემდეგ კი როგორც მაღალი კლდიდან გადმოვარდნილი, დაეცა ლოგინზე და თედოსთან თავდაჭერილობით ნაგუბი ბოლმა აქ გადმოსქდა მთიდან მოწყვეტილ ნიაღვარივით.

აზრის ლამპარი სავსებით ჩაჰქრა მის არსებაში. მხოლოდ ყრუ და ძლიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობანი აზვირთდენ ერთი ერთმანეთზე თავგამეტებით და [illegible] ეროვასაც სწონიან სიკვდილ-სიცოცხლის ულმობელ სასწორზე.

აგერ მისი ბავშობა—ობლობის ზამთარში მაინც ცელქი და კოხტა სინდედაფალასავით რომ დათრთოდა ცხოვრების გაუტკეპნავ თოვლზე. აგერ ალვის ხესავით შეღერებული მისი ქალობა, როცა სითამამით და სიმალხაზით ეშრიალებოდა მაღალ ნიავის უჩინარ სისინს. ფირალის პირველი სიყვარული ხომ—ეს ცის კალთების გარღვევა იყო სადღეობოთ მომავალი მაყრიონისა. ოო! აქ მოსდევს საზარელი მეხის დაცემა, რის შემდეგაც აღარ უნდა ეცოცხლა თებროს.,.

თედოს სიყვარული—ეს ხომ ორი მტრედის ღუღუნი იყო! ეგებ იმიტომ ჩაშხამდა, რომ ფირალას პირველ სიყვარულს არ ეღალატებოდა? მაშ რა ექნა? მეორე გზა—მხოლოდ სიკვდილი იყო. სიცოცხლემ დასძლია და თედოზე ღირსეული ტოლი კი სხვა ვინღა იქნებოდა? აქ მოჰყვა სიკვდილი მამისა, დედამთილისა, ოჯახის დარბევა და გაოხრება. მომავალი გაუთვალისწინებული უბედურობა, რომელიც ალბად სიკვდილით უნდა გათავდეს. მაშ ბარემ ჩქარა, ჩქარა მაინც გამოემშვიდობოს ამ განწირულ წუთისოფელს.

ყველაზე საზარელი კი ის არის, რომ თედოს უეჭველად თავისი ჭგონია ის ნაყოფი, როელსაც ეხლა გვამში ატარებს. თუ კი ცხოვრებაში ასე დაუმსახურებლად ისჯება ახალგაზრდა, სიცოცხლისაკენ ორხელ გაჰყრობით მომავალი მალხაზი გოგონა, მაშ ვინღა ხარობს, ვინღა მეჯლისობს ამ ქვეყანაზე? ყრუ გრძნობების დამუქრებულო ტალღებო, მოისვენეთ უმწეო გოგო! აღარ შეუძლია, აიტანოს ამდენი მიწისძვრა! თუ არა და ბარემ ქვესკნელიც გაერღვეს ფეხ-ქვეშ—არა სჯობია!

და სიკვდილის მაგიერ ძღივას ეწვია შფოთარე და თვალებ-გამოღამებული ხან-მოკლე ძილი...

თედოც მიდის უფრო გზა დაბნეული, ვიდრე უწინ. მიდის და თან მიაქვს ოჯახში მოკიდებული უშველებელი ლოდები.

— განა იმის ტვირთს ესღა აკლია!

— ნუ თუ ისე უნდა გაიჭყლიტოს ამ სიმძიმის ქვეშ, რომ ერთხელ აღარ ეღირსოს მხრების გასწორება!

უდანაშაულო მსხვერპლი.

ერთი თვის შემდეგ თებრო სალოგინეც გახდა. მეზობელმა ქალებმა მადლი მოიღეს და თავზე იდვეს მის ყურის გდება, ბებიასაც ოაუძახეს. ყველას კი აოცებდა ეს ნაადრევი მშობიარობა. ალბად მუცელი თუ მოსწყდა რაიმე ჯაფისა და ჯავრისაგან-ო. თებრო ჯოჯოხეთურ ტკივილებს განიცდიდა. მხოლოდ ვერ გამოერკვია, ხორციელი ტკივილები უფრო მწვავე იყვენ თუ სულიერი.

ყველას მოლოდინის წინააღმდეგ ბავშვი ცოცხალი დაიბადა. შეხედულობით თუმცა საღი ბიჭუნა იყო, მაგრამ ყველა ფიქრობდა, რომ უეჭველად გარდაიცვლება, დღემოკლე არისო. მხოლოდ თებრომ იცოდა ის საიდუმლოება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბავშვი სწორედ ვადაზე დაიბადა. ამიტომ მის ბოლშევიკაც დახასრული ალარა ჰქონდა.

— მაშ ეს ნაყოფი იმ იუდასია და არა თედოსი!

ეს აზრი, როგორც გახურებული შანთა, ისე სდალავს თებროს სინიდისს, გულსა და სიცოცხლეს. რამდენიმე საათის შემდეგ ბავშვი მიუწვინეს დედას— ძუძუს მოსაწოვად. თებრომ ყრუ კვნესით და ვიშით ბავშვი მოიხუტა მკერდზე და კარგა ხანს ეჭირა ესე. ძუძუ კი ერთხელაც არ მიუკარებია იმის პირთან. ცოტა ხნის შემდეგ ბებიამ აიყვანა ბავშვი და ხელში კი შერჩა უსულო გვამი. ამ ამბავმა სულ ყველა დააღონა:

— ვაჟი მაინც დარჩენოდა საწყალ თედოს იმედათაო!

თებროს კი ბალიშებში ჩაემხო თავი და გმინავდა ცოცხლივ მიწაში დამარხულივით. ჩქარა მთელმა სოფელმა გაიგო ეს ამბავი და ერთგვარი გულმტკივნეულობით ზოგი რას ამბობს და ზოგი რასა.

კოწიას ყურშიც ჩქარა ჩავარდა ეს ამბავი და სიბრაზით ლამის ნარეკილასა ჰგლეჯდა.

— ის ხომ ჩემი შვილი იყო და რათ მოკვდა! ვინ იცის, წესზე ვერ გაუფრთხილდენ და იმიტომ დალია სული!

კოწიამ ვეღარ მოითმინა და ორი კვირის შემდეგ მიეჭრა თებროს.

— შენ ჩემ შვილს რატომ კარგად არ გაუფრთხილდი?

გაწბილებული ქალი ლამის გაჰკრეს სირცხვილისა და სიბრაზისაგან.

— შენ გეკითხები, ქალო? მე ხომ უფრო მეტი უფლება მაქვს შენზე, ვიდრე იმ გაოხრებულ ყაჩაღს?

— თუ ჩემი სიკვდილი გინდათ, აჰა, მომკალით! მადლობასაც გეტყვით! თუ არა და გამშორდით აქედან, სანამ სოფელს დავუძახებდე საშველად!

— ნუ ფიცხობ. ბოშო! შენ ბოლოს მაინც ჩემი ხარ, ჩემი! მაშ ბარემ ეხლავე დამნებდე, არა სჯობია!

სულ გამწარებული თებრო კარებისკენ წავიდა.

კოწია წინ გადაეღობა.

— არ გაგიშვებ! ხომ იცი, თუ ნებით არა, ძალით მაინც ჩემი იქნები! მე ხომ შემიძლია, ეხლა ქვეყანას დავუმტკიცო, რომ ის ბავშვი ჩემი იყო, მაშინ რაღას იტყვი?

— ურია! ულმერთო! მომკალით ბარემ! რაღას მაწამებთ!

— მე გიფრთხილდები, როგორც საჩემოს, თორემ აქამდისაც მოგეჭრიდი თავს ქვეყანაში და ციხეშიაც მიგაბრძანებდი ყაჩაღებთან კავშირისათვის. მაგრამ გინახავ, რადგან მიყვარხარ და ჩემიც უნდა იყვე!

ქალმა ვეღარ აიტანა კოწიას პირისპირ ცქერა და ტახტზედ დაეცა შეღონებული.

— ოო, ღმერთო, ღმერთო! ერთი მეხი ჩემთვისაც გაიმეტე, რომ ჩამქალოს ბარემ და მოვისვენო.

კოწია შეეჭვმინდა: აღარ იცის, კიდევ ძალა იხმაროს, თუ ისევ ბედს მიანებოს ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ისევ დროებითი გონიერებამ დასძლია.

— კარგი! აწი კი წავალ. მაგრამ იცოდე, რომ შენ მინდორზე გაშვებული წიწილა ხარ და მე კი—ქორი, რომლის ბრჭყალებსაც ვერსად ვერ გაექცევი! ჩქარა ცოლობას კი არა, ხასობასაც შემეხვწეები, დამაც!

გული მოიფხანა.

თედო ისევ დაძრწის ტყიდან ტყეში, გაღმიდან გამოღმა. ერთი ხელობა დუშეთის არე-მარეშიც იარა. იქ უფრო ადვილი იყო თავის შენახვა და ლუკმა პურის შოვნა. იქაურ გზაზე ბევრი მიმსვლელ მომსვლელია. ძარცვით ის არავის არ გაძარცვადა. მხოლოდ პურს თუ გამოართმევდა. და თუ ნებაყოფლობით არ მისცემდენ, მაშინ იძულებული იყო, ძალით წაეღო ხოლმე.

უკვე რამდენიმე თვეა, რაც თედო ყაჩაღად გავიდა. დადის აქნობამდის ფეხ-მიუკარებელ ტყე-ღრეში და ყოველ ნაბიჯზე ერთი და იგივე კითხვა სარეკელასავით აკაკუნებს იმის თავში:

— ასე როდემდის უნდა იაროს უფსკრულის ნაპირად, როდემდის?

ტყის სიღრმეში, ბუნების წიაღში მინდობილს და სევდის მორევებში ღრმად ჩაფლულს რამდენჯერ გადაუვლია საღი, სამართლიანი თვალი მთელი ქვეყნიერობისთვის და უფიქრია:

ის ხომ ერთი მეკვლეთაგანი იყო ამ ახალი ცხოვრებისა! მაშ რათ არის ეხლა იგი გარიყული ძის დღეობიდან? ეხლაც ეხლაც ხომ შესწევს იმას ძალონე, ახლად გადაიხადოს სრული ბეგარა ამ ცხოვრების სასარგებლოდ? იმას შეუძლიან იყოს ერთგული და მუყაითი მშრომელი. ის კი ეხლა მხოლოდ დაუქმებულ მძორს წარმოადგენს და სხვა არაფერს. ის უნდა ყოფილიყო მშვიდი, ალალ-მართალი კრავი. ეხლა კი ის მშიერ მგელათ არის გადაქცეული. მუდამ გულკეთილსა და ლმობიერს—ეხლა მას შეუძლიან, რამდენი უბრალო კაცის სისხლში გაისვაროს ხელი სრულიად შემთხვევით. შემდეგ კი თვითონავე უნდა გაუხდეს ყველაფერი ეს სანანებლად. ასეთი გულითა და ხასიათნთ ის ყაჩაღად ვერ გამოდგება. ნაგრამ დახე ცხოვრების უკუღმართობას! ბევრ ნამდვილ ყაჩაღსა და ავაზაკს, როგორც კოწიას, იქ ალხეინად მოუკალათებია. და ბევრი კი—ვინც ურმის თავში შებმული ხარივით გასწევს ჭაპანს ამა ქვეყნისას, ის გარე-გარედ უნდა დაძრწოდეს ცოფიანი ნადირივით.

ყველაფერი ეს კი მხოლოდ საზიზღარ კოწიასაგან მომდინარეობს.

— ქვეყანა როგორ არის მოწყობილი, რომ კანონი და სამართალიც კი ამნაირ უკუღმართ ადამიანს ესარჩლება, თედოსთანა წაღმართიან კაცს კი სდევნის და სასიკვდილოდაც იმეტებს!

ამ ფიქრებში გართული თედო იჯდა ბაზალეთის ტბის გადმოღმა ტყეში და გამვლელ-გამომვლელს უთვალთვალებდა. აჯერ ბედზე კიდეც გამოჩნდა დუშეთიდან მომავალი ერთი ბროლოსნელი გლეხი. თედოს გულმა ვეღარ მოუთმინა და საჩქაროდ გადაუდგა წინ. გლეხს პირველად ფერი ეცვალა. შემდეგ თედომ დაამშვიდა. გადაიყვანა ტყის სიღრმეში, რომ არავის დაენახა და გულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასმით გამოჰკითხა ყველაფერი სოფლისა და ოჯახის შესახებ. გლეხმა უამბო ყველაფერი. რაც კი იცოდა. თებროს ლოგინობა და შვილის სიკვდილიც შეატყობინა, რამაც ერთი ადლით თითქოს უფრო დაბლა დასწია ეს ჭირში გაუტეხავი კაცი.

შემდეგ გამოჰკითხა, სოფელი ხომ ძალიან არ აგინებს, იმის გულისთვის რომ ამდენი უსიამოვნება უხდება. გლეხმა უთხრა, რომ სოფელს, თავის თავად, კაი კაცობის მეტი რა ეთქმის თედოს შესახებ. მაგრამ იმ ულმერთო კოწიამ ისე დააშინა ხალხი, რომ გასაკვირათ არ უნდა დარჩეს, თუ პირველ დანახვაზევე გასცემენ მას და მთავრობას ჩაუგდებენ ხელში. ამიტომ ურჩევს, სოფელს ახლო ნუ მიეკარება და თავის ცოდოშიც ნურავის ჩააყენებს.

გლეხმა თავის საგზაო პურიც თედოს დაუტოვა და გამოემშვიდობა. სხვათა შორის, გლეხს ისიც წამოსცდა, რომ კოწია დღეს დუშეთში უნახავს, ვილაცასთან ყოფილა ქორწილში მიპატიჟებული.

გლეხი წავიდა. თედო კი დარჩა ტყეში და იმის თავში სოლივით ჩაერჭო რამდენიმე ახალი ფიქრი. ყველაზე მეტად კი იმას იპყრობს შვილის სიკვდილი და კოწიას დუშეთში ყოფნა: თვისი პირმშოს სიკვდილით აივსო მოთმინების ფიალა. კოწიას დუშეთში ყოფნით კი ახალად აღეძრა ჟინი სასტიკი შურისძიებისა. მან ცოტა დაიქვეითა იმ ადგილისკენ, სადაც დუშეთიდან ბროლოსნისკენ მომავალი გზები აღარსაით არ იყრებიან და ვერც ვერავინ ასცდება იქითკენ გავლას. იქ ელოდა მთელ დღეს, მთელ ღამეს. არავინა სჩანს.

— ნუ თუ სხვა გზით მოუარა, ან ამდენ ხანს დააყოვნა დუშეთში?

ამ ხნის განმავლობაში სხვა და სხვა ფიქრი ხან გველივით დაიკლაკნა თედოს თავში, ხან ძველი ციხესავით ჩამოინგრა უძირო ხრამში. ხან კი გაუხედნავი რაშივით ყალყზე შემდგარი სხვას არაფერს არ იკარებს თავის მახლობლად. დიაღ, ვაჟკაცი თედო გარეგნულად თითქოს მხოლოდ სავანეა მყუდროებისა. ნამდვილად კი ის ნაწრთობი რკინის გალიაა, სადაც გამოუმწყვდევია შორეულ უდაბნოდან მორეკილი ლომები. ეს ლომები კი არიან მისი დაუგეშავი ფიქრები და ზრახვანი.

შუადღის მზე რომ მოიყარა, კოწიაც გამოჩნდა ტყის პირზე.

ცოტა შეზარხოშებულია. ხმამაღლა მოლიღინებს. მარტოკა არის. ასეთი გამბედაობა როგორ გამოიჩინა! ნუ თუ არც ერთი მხრიდან მტერს აღარ ელის?

ამ დროს თედოს არსებაში კი ორი თავგანწირული მდევი ერთი ერთმანეთს ეკვეთება: სოფლის დანდობა და პირადი შურისძიება!

კოწია უკვე მოახლოვდა. თედომ მიზანში ამოიღო ცხენის თავი. იჭექა თოფმა და ცხენი იქავე დაეცა ალაგობრივ. ცოტა ხანს სულ გამწარებით აფართხუნა ფეხები და ჩქარა სულიც დალია. კოწია ცალი ფეხით ქვეშ მოჰყვა ცხენს და ის დიდ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა.

თედო მაშინათვე გამოხტა ტყიდან. რამოდენიმე ნაბიჯის სიშორიდან ამოიღო მიზანში კოწია და შესძახა:

— წუწკო! შენი განძრევა და სულის გაპნევა ერთი იქნება!

კოწია გაშეშდა შელოცვილივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ეხლა შენი ხელით მოიხსენი თოფი და აქეთ გადმოგდე!

კოწიამ გადმოაგდო თოფი.

— რევოლვერიც! თუ მოხმარა დააპირე, ვაი შენი ბრალი!

რევოლვერიც გადმოვარდა.

— წამოდექ ზეზე!

კოწია ადგა.

— პერანგის გარდა ყველაფერი გაიხადე!

კოწიას ეჩოთირება ამ ბრძანების შესრულება.

— არ გესიამოვნება განა! აბა, ჩქარა!

კოწია მაინც აყოვნებს. იგრიალა თოფმა. ტყვიამ შიგ ყურის ძირში გაუარა კოწიას და ფერიც ეცვალა ისედაც ფერნაცვალს. მან ხლაზვნით დაიწყო ტანისამოსის გახდა.

— ნუ გეზარება! ჩქარა!

— ...კაცის ეგრე დამცირება გაგონილა!..

— შენ განა კაცი ხარ! ჩქარა გაიხადე თორემ მოვიდა ცხელი ტყვია ეხლავე!

კოწიამ გაიხადა. ჯერი მიდგა პერანგის ამხანაგზე და შეჩერდა.

— პერანგის გარდა ყველაფერი გაიძრე. მეთქი! თორემ ტყვია და შენი ჯანი!

წახდა კოწია და გაიძრო პერანგის ამხანაგიც.

— შე წუწკო, შე წამხდარო გლახაკო, დადექი ეხლა მუხლის ჩოქზე!

კოწია დადგა მუხლის ჩოქზე.

— პირჯვარი დაიწერე ჩქარა, სანამ სულს ამოგაძრობდე.

თუმცა უგემურად, მაგრამ კოწიამ მაინც გადაიწერა პირჯვარი.

— აბა ეხლა ანდერძიც მითხარი ორი სიტყვით! თუ არა და სულ ერთია მაინც მოგკლავ ცოფიანი ძაღლივით!

— მე თუ არ გებრალები სოფელი მაინც (დაინდე! სულ ააოხრებენ ჩემი მოკვლისთვინა!

— შენ მაგით გინდა თავი დამაღწიო! მაშ მომეცი პატიოსანი სიტყვა, რომ შენი ასეთი შერცხვენისთვის სოფელს არაფერს დაუშავებ!

— ... გაძლევ პატიოსან სიტყვას!...

— შენისთანა წამხდრებს განა აბადიათ პატიოსანი სიტყვა!

— დამიჯერე!...

— მაშ ეხლა ადექი და გაიქეცი სოფლისკენ, რაც შეგიძლია ჩქარა! და სადაც შენი სთქვა, იქ ჩემიცა სთქვი! ჩქარა!

ვაჟკაცობით შერცხვენილი და თავმოყვარეობით გაწბილებული კოწია წამოდგა და ძუნძულით გაუდგა გზას. იმის ულაზათო შერცხვენას ჰფარავდა უზომო სიხარული—რომ ცოცხალი გადურჩა თედოს. როცა კარგა მოეფარა თვალს, თითქოს მაშინ მოაგონდა, რომ სოფელში შესვლა ასე თავმოსაჭრელად არ შეიძლება და გვერდზე ჩირგვებში გადაუხვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანთებულ საკირის პირად.

როცა სოფლის არე-მარეს კარგად დაეუფლა სიბნელე, კოწია მხოლოდ მაშინ გამოძვრა ჩირგვებიდან და ჩუმათ ფეხაკრებით მიიპარა თავის ბინაზე. ჩაიცვა რაღაც ძველი შარვალ-ხალათი და მაშინათვე მივარდა კომისარიატში ერთი უშველებელი ყვირილითა და აურ-ზაურით.

— არიქა, ჩქარა! ყაჩაღები დამეცენ თედრს მეთაურობით! ცხენიც მომიკლეს, იარაღიც წამართვეს, მაგრამ მე მაინც იმდენი მოვახერხე, რომ გამოვექეცი. აბა, მილიციელებო! აბა პარტიულებო! დაფაცურდით ჩქარა!

სადაც დაცემა მოხდა, იქ თითქმის არავინ წავიდა:

— იქ ყაჩაღებს რაღა დააყენებთო!

მაგრამ ამგვარად უფრო შიში ალაპარაკებდა კოწიას, ვიდრე სიფრთხილე. სანამ ქალაქიდან ახალ ძალებს გამოითხოვდა, მან ამჯობინა, ისევ შინაურებზე ეყარა ჯავრი:

მთელ სოფელში გააჩაღა სასტიკი ჩხრეკა და მრავალიც დააპატიმრა.

აქ მეორე დღესვე დატრიალდა კოწიას ნათესავი სილიბისტრო. ხან ერთ დაპატიმრებულის ჭირისუფლებთან მივიდა; ხან მეორისას. ყველას უყვავებდა. ყველას ნუგეშსა სცემდა. თანაც აღუთქვამდა, რომ ეცდება როგორმე გაანთავისუფლებინოს ზოგიერთი მაინც.

საღამოზე კოწია და სილიბისტრო ერთად ითვლიდენ გლეხების მიერ საცოდაობით შეგროვილ ფულებს. თანაც კაი, კაი ძღვენს შეექცეოდენ და აქვე სწყვეტდენ შემოსავლის თანახმად ვინ გაანთავისუფლონ და ვინ არა. ხუთი-ექვსი კაცი კი, რომელთაც არ მოისურვეს ქრთამის მიცემა, როგორც ცამდის მართალმა ხალხმა, პირდაპირ მეტეხში იქნენ გამგზავრებული.

მიზეზი?—მიზეზი ის არის, რომ ყაჩაღებს ინახავენ, საზრდოსა და ცნობებს აწვდიან. იმათ ძარცვა გლეჯაშიაც წილს იდებენ და შავრაზმელობას ეწევიანო.

თებროც დაიჭირა კოწიამ და ორ დღეს ჰყავდა გამომწყვდეული თავის სამმართველო ოთახში.

ამ ხნის განმავლობაში უბედურ ქალს ლუკმა პურიც არ მიუკარებია. არც არავის დანახვა უნდოდა. პირს არავის უჩვენებდა.

კოწია რამდენჯერ მისცა თებროს რჩევა:

— შენ, სულ ერთია, იმ ყაჩაღთან აღარ გიწერია ცხოვრება. ადრე თუ გვიან იმან უნდა სული დალიოს დევნაში. შენ კი მთელი ცხოვრება ჯერ ისევ წინა გაქვს. შენი უმანკოება ხომ მე შემომწირე! ბარემ საბოლოდაც ჩემი გახდი და გავათაოთ ასე! მაგრამ ჯერ კი ის ყაჩაღი შემოიტყუე როგორმე შენთან მთავრობას ჩაუგდე ხელში და მერე ყველაფერი კარგად წავა. საჩუქარსაც დიდს მიიღებ. შენ საქმეს სულ სოფელს გავაკეთებინებ! ისე გაცხოვრებ! მუდამ როგორც კაი პატარძალს!

მაგრამ თებროს ყველაფერი ეს შხამიან ნევსებათ ეჩხვლიტება გულში. მხოლოდ უკვირს, ამდენ ვერაგულ სისულელეს როგორ ამბობს ის კაცი, რომლის ხელშიაც არის რამდენიმე სოფლის ბედიღბალი! ორი დღის შემდეგ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა თებრო ნამეტანი მისუსტდა სიმშილისაგან, კოწიამ გადაწყვიტა მისი განთავისუფლება. მაგრამ იმის გულში დაბუდებული მხეცი მაინც თავის ლუკმას მოითხოვს და არ უნდა თებრო მშვიდობიანად გაუშვას თავის ხელიდან.

სადილიდან ის კარგად შეზარხოშებული დაბრუნდა. მიიხედ-მოიხედა: გარეშე პირი აღარავინა სჩანს. დარაჯს თვალი უყო, ცოტა იქით გაისეირნეო და თვითონ შურდულივით შევარდა თებროს ოთახში.

არ გასულა რაღაც ხუთიოდე წუთი. უცებ გაისმა კარების ბრახუნი, მტვრევა ცოტა ხნის შემდეგ ოთახიდან გამოვარდა ამღელვარებული და გაფითრებული თებრო რომელსაც აშკარად ეტყობოდა გადატანილი სასტიკი ირძოლა: კაბა შემოჰხეოდა, საკინძეც ჩამოგლეჯოდა. ყელზეც ეტყობოდა უგონო თითების ნაკაწრი. თებრომ ლასლასით მიაღწია მახლობელ მეზობლის კარამდის და გულშეღონებული დაეცა ბოსლის თავზე.

მეზობლებმა თვალის მოკვრაზევე შეამჩნიეს, რომ თებროს თავს რაღაც სიკეთე არ არის, მაგრამ მაშინათვე ვერ გაბედეს ახლოს მისვლა. კოწიასაგან ისე იყვნენ ყველა გლეხები დაშინებული, რომ უბრალო ადამიანური მოვალეობის შესრულებაც ეზარებოდათ—ვაი თუ ყაჩაღობის თანაგრძნობათ ჩაგითვალოსო. მაგრამ როცა დაინახეს, ადამიანი უგონოდ გდია კარში, მხოლოდ მაშინ დასძლიეს შიში და სიფრთხილე. საჩქაროდ მისცვივდნენ ქალები და როგორც იქნა მოასულიერეს შეღონებული თებრო. ბოლოს მაინც შინ ვერ შეჰბედეს იმის შეყვანა და პირდაპირ თავის სახლშივე მიაცილეს. თებრო თითქოს გონს მოვიდა, მაგრამ ეხლა უფრო საშინელ ბურუსში გრძნობს თავს. ვერ გაუგია, როგორა დგას ფეხზე? რაღად უცქერის მზის სინათლეს?

უკვირს და გაჰკვირვებია: რათ უნდა გაიჭყლიტოს რომელღაც ჭიანქველა თუ ჭიაყელა და ის კი ისევ დადიოდეს დედამიწის ზურგზე ქვეყნის სამძიმოდ?

მაგრამ იქ, გულის სიღრმეში, საიდუმლოებათა უძირო ორმოში ჩახედვისას თითქოს გრძნობს, რომ ცხოვრებასთან კიდევ აკავშირებს ერთი უცნაური და ყრუ კითხვა:

— უნდა გამოსცადოს, თუ კიდევ რამდენ ხანს გაუძლებს ამ ცხოვრების ნაღველ-სამსალას? ან სადამდის მიიყვანს კიდეე ბედის უკულმართი ჯირითი იმის დანავსულ და გაწბილებულ სიცოცხლეს.

მიუხედავად ამისა მაინც უკვირს—რაღათა სცოცხლობს? ამირანის ჯაჭვით ხომ არ არის მიბმული დედამიწის გულზე? რაღა მარტო ერთხელ გაჰბედა ნახტომი სიკვდილისაკენ? იმის შემდეგ რაღათ ურიგდება მიწაზე ღოღიალს? რიღათი აცდინა ამ მოსაბეზრებელმა ცხოვრებამ, რომ შერიგებოდა მის ეკლით შემოვლებულ ღობეში მომწყვდევას? რა სიკეთე მიანიჭა ამ ქვეყანამ ისეთი, რომ ეხლა აყვედრებს ესე მკაცრად, დაუნდობრად?

— ნუ თუ სიჯოცხლის უგონო წყურვილი ყოველ შერცხვენასა და უბედურებაზე ძლიერი არის?

ქვეყნიდან მოწყვეტილ თედოს ლამის სულთადგმა აღარა აქვს. მისი ჭაბუკური მზე ერთობ ულაზათოდ ბნელდება—თვითანაც ხედავს. ეს თითქოს ჯან-ღონითა და მრავალ სიკეთით აღჭურვილი ადამიანი ველარც ქვეყანას გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგა, ვეღარც თავის თავს და ვერც თავის ოჯახს. განსაკუთრებით კი ოჯახი არყევს ძირიან ფესვიანად იმის არსებას.

ის კაცია. ის მუდამ მკერდით შეეგებება ცისა და მიწის ყოველგვარ რისხვას და არც შეუდრკება ულაზათოდ. მაგრამ თებრო? ამ ნორჩმა ღილილომ როგორ გაუძლოს ცხოვრების ქვესკნელიდან ამოვარდნილ საზარელ ქარიშხალს.

ან იქნებ ვეღარც კი გაუძლო და ზვარაკად შეეწირა ამ მუხთალ წუთისოფელს? თვეზე მეტია—ოჯახის გარემოება აღარა იცისრა. ბევრჯერ გადასდო თავი და მიუახლოვდა ბროლოსნის არე-მარეს, ეგები შეხვედროდა ვისმეს და გაეგო სახლის ამბავი, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. ეხლაც შვილებ მოტაცებული ვეფხვივით ისევ დაწრძის ღამღამობით სოფლის ახლო-მახლოს და უთვალთვალებს—ვის შეძლიან გამოეხმაუროს, რომ მიიღოს ადამიანური პასუხი.

ერთ საღამო ჟამს აგერ კიდევაც მოჰკრა თვალი სწორედ იმ გლეხს, რომლის კარებზედაც შეუღონდა გული თებროს, როცა გამხეცებულ კოწიას დიდი ვაი-ვაგლახით დააღწია თავი. თედო გადაუდგა და როგორც გაჭირვებაში ჩავარდნილი ბავშვი, ისე ეხვეწებოდა გლეხს, რომ უამბოს რამე იმის გაოხრებულ ოჯახზე. გლეხს ძალიან ეზარებოდა თედოსთან საუბარი. შეიძლება ვინმემ მოჰკრას თვალი და შემდეგ ყველაფერი ჩამწარდეს მთელ სიცოცხლეში. მაგრამ თედოს მუდარას ვერ გაუძლო და ბოლოს მოლბა. ჯერ გულ-მოდგინეთ მიათვალიერ-მოათვალიერა არე-მარე და შემდეგ დალაგებით მოუყვა თედოს მთელი სოფლის თავგადასავალს. უთხრა, რომ იმის გულისთვის ისევ არის დაჭერილი რამდენიმე გლეხი. სხედან სრულიად უდანაშაულოდ, რადგან შესაფერი ერთამი ვერ მისცეს კოწიას. ბოლოს თებროს უკანასკნელი თავგადასავალიც უამბო და საჩქაროდ განშორდა, რომ არავის არ შეემჩნია და არ დაღუპულიყო სრულიად უბრალო კაცი. ამ ამბის გაგონებაზე თედოს თითქოს ახალი მეხი დაეცა და სულ ერთიან დარეტიანდა.

— როგორ! მას თავისი გულის დედოფლისათვის ჯერ ისიც კი არ უკადრებია—თვალ ზევით წამწამი გაქვსო და გათახსირებული კოწია კი, შეხედე, რაებს უბედავს!

— უეჭველად უნდა მოეკლა ის წუწკი! რაღათ დაინდო თედომ ის თავის დამღუპველი და ქვეყნის ამომგდებიც!

— მაგრამ თუ ეხლა ასე შეაწუხეს სოფელი, მაშ რაღას უზავდენ, რომ მოეკლა მართლა ის იუდა?

— ეხლა რაღა ჰქნას? რა გზას დაადგეს? ცხოვერბის კამათელს თითქოს სხვა პირი აღარ უჩანს: ან თედო უნდა გამოესალმოს წუთისოფელს, ან კოწია. მათი ერთად ყოფნა დედამიწაზე შეუძლებელია.

— მხოლოდ რომელი მათგანი უნდა მოკვდეს?

— თედო შურის უძიებლად საფლავში ვერ მოისვენებს. კოწიას სიკვდილით კი სოფელი უნდა აწიოკდეს უბრალოთ და უმიზეზოდ.

— ისედაც დაბეჩავებულსა და აოხრებულ სოფელს რაღა თედოსაგან ეჭირვება ეხლა ცეცხლის წაკიდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ! შემთხვევით ნადირმა მაინც დაგლიჯოს ტყეში და—ბარემ მაისევ ნოს სამუდამოთ ამ თავ-გაოხრებულმა ვაჟკაცმა!

— ან პატიოსნობასა და ალალმართლობას უნდა ჰქონოდა კუთვნილი ადგილი ცხოვრებაში. ან თუ ყაჩაღათ მოუხდებოდა კაცს გაჭრა, მაშინ გულიდან უნდა აღმოფხვრას ადამიანობის ნასახი და გადიქცეს დაუნდობარ მხეცად, რომელსაც თავის თავის მეტი აღარა ეხსომებარა.

თედოს თავისი სახე ვეღარ უცვნია ასეთ გარემოებაში.

— ან ცოტა ლაჩარი და ნაკლებ თავმომწონე მაინც ყოფილიყო, რომ ყოველგვარი დაბრიყვება და შეურაცხყოფა იოლად აეტანა და აინუმში არაფერი ჩაეგდო!

— ასე. ახოვანათა და შეუპოვრად მოარული ცხოვრებაში, აფსუს, რა ულირსად ბეჩავდება ეხლა!

თედო სიბრაზისა თუ კიდევ რაღაც უმწეობისა და შურისძიების გრძნობით როგორღაც მწარედ დაიკლაკნა და პირდაპირ გულიდან ამოჭრილ ბოღმით წამოიძახა:

— არა! აქ ჭუსისხლოდ არ გათავდება საქმე! კანონისა და ცხოვრების გარეშე მოქცეულ ადამიანს ყველაფერი შეუძლიან ჩაიდინოს!

— ოო! შენ მართალი ხარ ჩემო თედო! შეხე, მცხოვანი მუხის ხეებიც კი არ გეწინააღმდეგებიან! მხოლოდ...

მოულოდნელი აღმოჩენა.

თედო არ იქნა არ ჩაუვარდა მთავრობას ხელში. სამაგიეროდ სიმშილი, ჭუჭყი, ათასგვარი გაჭირვება, დარდი და ვარამი კი მეხივით აყრია ისედაც დამძიმებულ თავზე. ის იუდა კოწია კი თავისუფლადა ფალავნობს ცხოვრებაში და როგორც მოესურვება, ისე ხელაობს დროების დაუწმენდავ მორევში.

თედომ თუმცა გადასწყვიტა კოწიას სიკვდილი, რადაც უნდა დაუჯდეს, მაგრა მაინც მოუსვენარი აჩრდილივით თანა სდევს სოფლის შეწუხება, აწიოკება და ყველაფერი ეს გულსა სჩხვლეტავს წვეტიანი ისარივით.

კიდევ რამდენიმე კვირა გავიდა ამ თავის თავის დევნასა, ჭოჭმინსა, გაჭირვებასა და ვაი-ვაგლახში. უკვე შემოდგომის კარიც იღება. ფირუზოვანი ტყეები ოქრომკედის ჩარდახებათ გადაიშალენ.

ღამეები გაიზარდენ. რაღაცის მთხრობელმა და მოღაღადე ქარმა უფრო თავისუფლად დაიწყო ნავარდი ტყიდან ტყეში. თედო გრძნობს, რომ სამოსელ შემოძარცული ტყე ჩქარა მას აღარ გამოადგება მიუვალ საფარად. აგერ ეხლაც წამოწოლილა ის მუხრანის ტყის ერთ მივარდნილ კუთხეში და ფიქრების კამარას არტყავს მთელი ცხოვრების ასავალ-დასავალს.

იმის გუნებაში ისევ ინგრევიან მთები, ძირი ეთხრება ზღვას, დედამიწა ირღვევა ალიზის უმგზავსო ნაჭრებივით. მთელ სამყაროში გაისმის ჭოტების და ყვავების ჩხავილი. ქვესკნელიდან ამოვარდნილა საზარელი ქარიშხალი, რომელიც ანიავწყალებს ყველაფერს სათნოს, კდემამოსილს და კეთილშობილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის გველეშაპს დაუფრენია უფსკრულზედ უფრო შეკრული ხასა და შთანთქას უქადის სიცოცხლის ყოველ დაკვესებას. თედოს გიჟივით სწყურია, ავიდეს რომელღაც მაღალ სამრეკლოზე და იქ დარეკოს დიდი ზარები ქვეყნის გამოსაფხიზლებლად, ან საგლოვად, ან კიდევ უფრო მეტ დასაყრუებლად. მაგრამ ამირანის მსგავსი ჯაჭვებით ის მიბორკილია რომელღაც ადგილას, რომელღაც ფიქრზე და ძვრა აღარა აქვს. მას ენატრება რაღაც უწვდენი მათრახი, რომ ზურგი აუწვას მთელ ქვეყანას. ან ხელში მისცა რაიმე ყუმბარა, და ააფეთქოს იგი ისე, რომ გასაგისიც აღარ დარჩეს. ან მისცა ისეთი ემბაზი, რომ განანათლოს მთელი ქვეყანა და ახალად გამოიყვანოს იგი ცხოვრების სწორე გზაზე.

— მაგრამ ვინ აბურთავებს ქვეყნის ბედ-ილბალს? პატარა ჭიანჭველა, რომელიც დღეს თუ ხვალ გაიჭყლიტება კოწიას ფეხით.

ამ ფიქრების დალუპვასა და განწირულებაში მხსნელ ანგელოზად მოევლინა ისევ თებროს სურათი. და მისი აზრებიც ფარვანასაებრ შემოევლენ მის ნათელ სახეს.

მაგრამ თებროს გახსენებასთან ერთად დამფრთხალი რაშებივით აიშალენ მისი ცხოვრების შავი დღეებშიც.

— ეჰ! თებროს ყოველი წუთი ხომ თედოს სიცოცხლეში ხელი-ხელ სათელელ მარგალიტს წარმოადგენს და ის კი მთელი თვეობით ველარა ჰხედავს ამ თავის ცხოვრების ციცინათელას, თავისი სიყრმის ჯილდოს და სამკაულს!

ტყის ჯურღმულში დაკარგული თედოს ყოველი ფიქრი და გრძნობა რომ აიკინძოს, რა იშვიათი და მდიდარი წიგნი შესდგებოდა. მაგრამ ეს წიგნი ისე დაიხურება თედოს სიცოცხლესთან ერთად, რომ მას ვერავინ ვერ წაიკითხავს. რამდენი ახოვანი ფიქრი და მდევური გრძნობანი წამოიჭრებიან თედოს ულრანი ბუნებიდან, მაგრამ ცხოვრების ქარიშხალის შემოტევაზე უსუსურ ქუნქულასავით იფანტებიან. მხოლოდ რაც უნდა ფიქრების ჭიაკოკონა დაანთოს თედომ, ქვეყნისთვის მაინც მეტია ეხლა ის და ქვეყანაც მეტია მისთვის. და აქ სულ გამწარებულმა ვაჟკაცმა დაჭრილი ვეფხვივით დაიწყო მიწის ბდღვნა ორივე ხელით.

— მაგრამ ვერც დედამიწას მოერევი, ჩემო თედო! ქვეყანა ყრუა ერთი კაცის ვაი-ვაგლახზე, დაე, რაც უნდა ხმამაღალი იყოს იგი!

უცებ რაღაცა ფეხის შრიალი მოესმა თედოს. ქუჩიკზე უსწრაფესად წამოხტა ზეზე და იარაღ-მომარჯვებულმა თვალნი მიაპყრო საფათერაკო ადგილს. უფრო გარკვევით მოისმა ფეხის ხმაური და ვიღაც კაციც გამოჩნდა თოფ-იარაღში ჩასმული.

ორთავემ თვალი მოჰკრეს ერთი ერთმანეთს და ელვის სისწრაფით მიზანშიაც ამოიღეს ერთმანეთი სასიკვდილოდ.

— ვინა ხარ კაცო, ხმა ამოიღე!

— შენ თივთან ვინა ხარ, ჩქარა მითხარი, თორემ...

თედომ იცნო ოსი ყაჩაღი — დიანოსა.

— დიანოს! შენა ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე კი დიანოსა ვარ, მაგრამ შენ ვილა ხარ?

— მეც ყაჩაღი თედო ვარ!

— ჰოო! მეც გიცნობ!

— მაშ გამარჯობა, ძმაო! ერთმანეთს რაზე ვაკლავთ თავსა!

— გაგიმარჯოს, თედოჯან!

ორი დაკარგული ადამიანი ერთმანეთს მიუახლოვდა. თავით ფეხამდის გაზომეს ერთმანეთი და ალბათ ბევრი რამეც ამოიკითხეს ადამიანის დაგლეჯილ ცხოვრების აწეწილ წიგნიდან.

— შენ როგორ მოხვდი აქ დიანოს?

— როგორ მოხვდი ჩემო თედო და—სულ ადვილათა!

— შენ აკი დუშეთისკენ აოჩევდი ყოფნასა?

— დიანოსა იქ აღარ დადგება! ეხლა დიანოსა კავკავისაკენ უნდა გავიდეს! თუ გინდოდეს, შენც წამოდი!

— შენი ძმად-ნაფიცი გურგენი სად არის?

— ეხ! იმი სალავათიც დაიქცეს! დაჭრილი დავტოვე აქ, ახლო სოფელში!

— ვინ დასჭრა?

— რა ვიცი! ყველა ჩვენი მტერი არ არის! ვილაცები მოგეპარენ ტყეში და ისეთი ტყვია დაგიშინეს, როგორც სეტყვა. საწყალი გურგენა მაშინათვე დაიჭრა მუხლში. მაინც გაუტეხავი კაცი არის. არ წაიქცა. სულ ჩემსავით ირგინა. ძლივ-ძლიობით დავაღწიეთ თავი ამ უბედურობასა.

— მერე თქვენ კი არავინ მოჰკალით?

— ბევრი გესროლეთ, მაგრამა რა ვიცი, მოკვდა თუ არა ვინმე.

— მერე? მერე?

— გზაზე რო გამოვედით, ერთი გლეხი დაგინახეთ. მაშინათვე ის ძირს ჩამოგაგდეთ და გურგენი შეჯდება ზედა. თანაც ფეხი თავშალით შეგიხვიეთ, რომ ბევრი სისხლი არ წავიდეს. როგორც იქნა, მოვედით ღამე ერთ ოსების სოფელში. იქ ერთი ჩვენი ნაცნობი კაცი არის. მიხვედით, მაგრამ გურგენი ცხენიდან ველარ ჩამოვიდეს. ფეხი სულ დასივდებოდეს და ძერა აღარ ქონდეს.

— ვინ იცის არც არავინ იყო, რომ ეწამლა?

— ჩვენი მასპინძელმა გითხრა—ექიმბაშს გიშოვიო. მაგრამ მე არა მჯერა არც ექიმბაში და არც ეშმაკი.

— მა რა ეშველება?

— რა უნდა გეშველოს! მე რო გურგენას ფეხი ისე დაგინახე, გუნებაში გითხარი, ეს აღარ მორჩება მეთქი. ამოვიღე ლივერი და შიგ შუბლში დაგადე გურგენასა. ის მეკითხება, რათა მკლავო? მე გითხარი: შენისთანა ძმა-კაცი არცა მყოლია და არც მინდა რო მყავდეს შემდეგ. შენ ისე მიყვარხარ, რო მთავრობის ხელში ვერ ჩაგაგდებ ცოცხალს. ცოდო ხარ მთავრობის ხელში და ისევ შენმა ძმამ დიანოსამ რო მოგკლას, ის გირჩევნია მეთქი.

— მერე შენი ხელით როგორ უნდა გაგემეტა ეგეთი იშვიათი ამხანაგი?

— არა, ჯობია, თავისმა ერთგულმა ამხანაგმა მოკლას, ვიდრე მტერმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიცინოს იმი თავზე და სულის ამოსულის დროს სულ პირში გაფურთხებდეს და გაფურთხებდეს!

— მერე რაღათ გაუშვი მაშ ცოცხალი?

— მერე გურგენი შეგეხვეწოს: ერთ კვირეს დამაცადე! თუ მორჩი, მორჩი, თუ არა და მერე მომკლამდეო! მეც ცოცხალი გაგიშვი. მაგრამ... გუშინ გაიგე, რო მთავრობას მიუგნია და საწყალი ბიჭი კიდეც დაუჭერიათ...

— დაუჭერიათო?

— მაშა! ეხლა მე აქ რაღას გაგიკეთებდე! მეც რო დავიკარგებოდე, ის ჯობია, თორემ...

— კიდევ კარგი, რომ ეგრე წასულა საქმე, თორემ ხომ ამხანაგის სისხლში გაისვრიდი ხელებს!

— ეგეთი სიკვდილი ცოდო არ არი! ეგეთი სიკვდილი მადლია! ცოდო ეხლა არის ციხეში! ეგები ეხლა ინანებდეს კიდეც, რო დიანოსამ თავის ხელით არ მოკლა მაშინა...

საღამომდის ასეთ ძაძა- მოსილ საუბარში გაატარეს დრო თედომ და დიანოსამ. როცა კარგა დაბნელდა, დიანოსა გაუდგა კავკავის გზას. თედო კი დარჩა ისევ ობლად ამ გატიალებულ ტყეში კიდევ უფრო გატიალებულის ფიქრებით. მას უცნაურ ლახვარად ჩაერჭო გულში დიანოსას ნაამბობი: გურგენი ჩემის ხელით უნდა მომეკლაო. და ამ მკვლელობასა ხსნის მეგობრობითა და სიყვარულობით.

— ეს რა უცნაური და ძლიერი შემთხვევაა, რომელშიც რაღაც მძიმე დანაშაულსაცა გრძნობს ადამიანი და რაღაც საშინელ სიმართლესაც!

უწინდელი მწვავე ფიქრები, რომლებიც თედოს ყანყრატოში უჭერდენ და სულთათქმას არ აძლევდენ, ეხლა თითქოს სულ ჩამოშორდენ.

მხოლოდ ეს ერთი ფიქრი ღა უტრიალებს თედოს თავში:

— როგორ? თავგადადებულმა ამხანაგმა სიყვარულობით უნდა მოჰკლას თავისივე ამხანაგი?!

ეს აზრი კბილის ჭიასავით ღრღნიდა იმის ტვინს. ეს აზრი აწამებდა იმის სულს და აფორიაქებდა ისედაც დარღვეულ მის მყუდროებას. თედო გრძნობს, რომ იმის არსებაშიც მიძვრება რაღაც მაჯლაჯუნა თუ რაღაც მხსნელი ანგელოზი, რომელიც აქნობამდის სულ უცხო იყო მისთვის. მაგრამ ის თითქოს არ ეშურება, რომ ეს ახალი არსება შეითვისოს და შეიფაროს თავის გულში. ის თითქოს წინააღმდეგობასაც უწევს, მაგრამ გულის კარი თვითან ირღვევა და ისადგურებს იქ ეს მაჯლაჯუნა თუ ანგელოზი, რომელსაც ვეღარასგზით ვერ გამოდენის თედო თავის არსებიდან.

ეს ყველაფერი შემაძრწუნებელ ამბათ ეჩვენება თედოს, მაგრამ აშკარადა გრძნობს, რომ მთელ მის სულისკვეთებას თვითმპყრობლურად დაეუფლა ეს რაღაც ახალი და იმას ვეღარც დააღწევს თავს, სანამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვეული დედამიწა.

ასე იწვალა თედომ მთელ ღამესა და მთელ დღეს. ამ ხნის განმავლობაში იმის პირს ნაყრი არ მიჰკარებია. როცა კარგა შეღამდა, ის დაურიდებლად ჩამოვიდა შარა გზაზე და გასწია პირდაპირ თავის სახლისკენ.

ვახშმობა გადასული იქნებოდა, როცა მიადგა სახლის კარებს. თითქოს განგებო, გზაზედ სულიერ ადამიანს არ შეხვედრია. და რომ შეჰხვედროდა კიდეც, სულ ერთია, თედო არავის შეეპოვებოდა.

კარები დააკაკუნა მძიმედ.

პასუხმა დაიგვიანა.

თედომ უფრო მკაფიოდ დააკაკუნა და იმის გულმაც უმატა ცემას.

ბოლოს პასუხიც მოისმა:

— ვინა ხარ ამ დროს?

— თებრო გენაცვა, გააღე კარი! მე ვარ, თედო!

კარი გაიღო რაღაცა ორჭოფულათ და სინანულით.

ორი დაკარგული ადამიანი ერთმანეთს გადაეკვდენ დაგრეხილი მუხის ტოტებივით, თითქოს ალარა ფიქრობენ ერთმანეთისაგან განშორებას.

— თედო! ჩემო წამებულო თედო! ალარ ‘ზემიძლია ასე ცხოვრება!

— ეხ, ჩემო გვრიტო, ჩემო აზიზო პეპელა! რა უდროვოდ მოგძრა ცხოვრების სისასტიკემ!

— დავიღალე, თედო-ჯან! საშინლად დავიღალე!

— ერთხელ კიდევ დამანახვე შენი ბადრი სახე! ერთხელ კიდევ ჩაგხედო მადლიან თვალებში, ჩემო ჯიღა გოგონი!

თედომ მარცხენა მკლავზე გადაუგდო ქოჩორა თავი. თან დაეწაფა მის ბაგეს, მარჯნის სურის მსგავს ლამაზ ბაგეს. რაღაც უგუნურ ამბორით თითქოს სულიც შეუხუთა და...

თებროს მარცხენა მკერდშიც დაუნდობრად ჩაისრიალა ხანჯალა დანამ.

— ვაი, შე ულმერთო, ვინა ხარ? თედო თუ კოწია!

— თედო ვარ, თედო, გენაცვალე!

და აქ უფრო ღრმად ჩაიფლო ხანჯალა დანა მკვნესარე გულში.

— ვაიმე! გული! გუ-ული!...

— შემდეგ უგონო ქალს აუტყდა საშინელი ხრიალი და ჩქარა სულიც გაუტეევა თედოს საზარელ მკლავებში.

თავისავე ქცევით თავზარდაცემული თედო კი უფრო მაგრა იხუტებს მკერდზე თასმასავით მოწყვეტილ თებროს სხეულს და უგონოდ ჩალუღლუღებს:

— მიყვარხარ გოგოჯან! და ეხლა ვეღარავინ შეგვაწუხებს! ეხლა კი მოისვენებ სამარადისოდ!

შემდეგ უსულო გვამი დაასვენა ტახტზე და თავის საზარელი ქცევით გაბრუებული უსიტყვოდ დასჩერებია განიერის თვალებით.

აქ თედომ შეამჩნია თებროს ცოცხლად დალებული თვალებიც, რომლებიც გაშტერებით მისჩერებოდენ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა მოაგონდა თედოს, რომ თვალებს დახუჭვა უნდა, სანამ გვამი გაციებდებოდეს.

— ჩემო საწყალო გოგო! ჩემო სიამაყე!

აკანკალებული ხელებით სამუდამოდ დაუხუჭა შავ-ყურჭა თვალები. შემდეგ დაემხო იმის სახეს და უგონოთ დაუწყო ისევ კოცნა.

უკვე შუალამეა.

საგიჟეთიდან თუ ჯოჯოხეთიდან გამოვარდნილივით მოდის თავზარ დაცემული თედო კლდე-ღრიან სიბნელეში.

მას აღარც ხალხისა ეშინია, აღარც ნადირის. აღარც თოფი აქვს თან, არც რევოლვერი. ყოველაფერი იქ დარჩა ოხრად თებროსთან ერთად. ყველაფრით განძარცული ვაჟკაცი მოდის გმინვით ამ შუალამისას, თვითონაც არ იცის, სად და რისთვის?

— ნუ თუ ეს არის ის საუკეთესო გზა, რომელიც თედომ აღმოაჩინა თავისი გვრიტის სიკვდილით?

— ოო! მან უეჭველად კარგი საქმე ჩაიდინა!

— მაგრამ მან ჩაიდინა საშინელი ცოდვაც, რომლის შემდეგაც სიცოცხლე აღარ არის საკადრისი.

თედოს მუხლი ეკვეთება. ნიადაგიც ეცლება ქვეშიდან. ფეხებს ნაძალადევად მიაფრატუნებს, რომ იგრძნოს სიახლოვე დედამიწისა. მაგრამ ხედავს—იმის ფეხქვეშ სულ დარღვეულა ეს დედამიწა და ისიც განწირულა დასაღუპავად.

დარღვეული დედამიწა!

დარღვეული დედამიწა!

აი, რაზე სდგას ეხლა ოდესღაც ძლიერი და ამაყი თედო! ამიტომ ფანფალებს მუხლგატეხილი მოხუცივით და ყოველ წამში მოელის უფსკრულში გადაჩეხვას...

თედომ ვეღარ გაუძლო თავის გულში წისქვილის მოუკოდავ ქვების ტრიალს. დაემხო რომელღაც მუხის ძირს და გამხმარ ფოთლებში მორთო საშინელი გმინვა დაკოდილი ნადირივით. თანაც სულგანაბული, დასისხლიანებული ხელებით ბღუჯავს ხან მიწას, ხან ჩირგვებს და სასო მიხდილი, განუკურნავად დაწყლულებული უმწეოდ ჰკვნესის:

— ვაი, გაოხრებულო ჩემო თავო! ვინღა მიშველის! ვინღა მიშველის!..

და ბედისაგან განუკითხავს დაუზოგავად ენგრევა თავზე რისხვა ცისა, სიმძიმე მთებისა, კრულვა ჯოჯოხეთისა.

გულში კი მოგორავენ მაღალი კლდეებიდან მორღვეული ლოდები და უქადიან გაჭეჭყვას მიწის პირად უჩინარ ჯიანჭველას.

— ვაი, გაოხრებულო ჩემო თავო! ვინღა მიშველის! ვინღა მიშველის!

აღსასრული.

თვითონაც აღარ ახსოვს თედოს, თუ როდისა და როგორ გაიარა მანძილი ბროლოსანსა და იბილის შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამო ჟამზე უკვე საგანგებო კომისიაში იყო და თავგამეტებული დაჟინებით მოითხოვდა სიკვდილს.

მან დაურიდებლად მოუთხრო მთელი თავგადასავალი აწერა კოწიას ვერაგობაც და თავისთვის მაინც სიკვდილს მოითხოვდა.

— მე არავინ გამიძარცვია! არც არავინ მომიკლავს! მე უნდა მომეკლა კოწია! უნდა წვეთ-წვეთად დამელია მისი სისხლი, მაგრამ სოფლის აკლებას ვერიდებოდი! მე მოვკალი მხოლოდ ჩემი უსაყვარლესი ადამიანი, ჩემი მხარის დამამშვენელი თებრო და ამიტომ მეკუთვნის სიკვდილი! ხალხთან, ქვეყანასთან, ხელისუფლებასთან კი მე ალალ-მართალი კაცი ვარ!

თედოს აღსარებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საგანგებო კომისიის ყველა წევრებზე.

ყოველ შემთხვევისათვის ის ჯერ-ჯერობით ციხეში გაამგზავრეს. კოწიას შესაპყრობათ და საქმის სწრაფ გამოსაძიებლად კი ხელ და ხელ აფრინეს ბროლოსანში საგანგებო კაცები. ამათში ერია იქ უკვე ერთხელ ნამყოფი აგენტი გიორგაძე.

მათ დაუყოვნებლივ დააპატიმრეს კოწია.

სოფელი გაოცებული იყო და ჯერ იპვის თვალით უცქერდა კოწიას დაპატიმრებას. ეგონათ, ეხლაც ისევ ჩაივლის ყველაფერი როგორც უწინ ჩაუვლია. ამიტომ ერიდებოდენ ახლო გაკარებას

საღამოზე კი გიორგაძის ბრძანებით შეაგროვეს ყველა ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი.

მან განუცხადა, რომ კოწია უეჭველად მოხსნილი იქნება სამსახურიდან, რაც უნდა მოხდეს. ყოველ შემთხვევაში ბროლოსანში მაინც აღარ იქნება ის. ამიტომ ყველამ უნდა აშკარად აღიაროს ყველა იმისი დანაშაული და უკულმართობანი, რომ მთავრობას საშუალება მიეცეს სიმართლის გამორკვევისა.

შემდეგ გლეხებს სათითაოდ დაუძახეს ცალკე ოთახში და ყველაფერს დაწერილებით გამოჰკითხავდენ.

თითქმის ორ დღეს გაგრძელდა ეს დაკითხვა. აუარებელი მასალა მოაგროვეს კოწიას უდიერობაზე, ძალდატანებაზე, მექრთამეობაზე და სიყალბეზე.

იმას თან მიაყოლეს მისი მოკეთე სილიბისტრო და ორთავე გაუყენეს ქალაქის გზას.

აქ თითქმის ერთ კვირეს მოუნდენ ამ საბუთების გამორკვევასა და გადარჩევას.

ბოლოს ყოველმხრივ დამტკიცდა კოწიას ვერაგობანი და თედოს სრული სიმართლე.

დაუყოვნებლივ გაიცა ბრძანება თედოს განთავისუფლებისა.

შუადღის გული იქნებოდა, როცა თედოს გამოუცხადეს სრული თავისუფლება.

იმას არაფერი სჯერა. არც უხარია. მხოლოდ უკვირს როგორღაც ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც გამოიყვანეს თავის „კამერიდან“ და მოდის მესამე სართულის ფართე აივანზე.

— მაშ ის თავისუფალია? თავისუფალი?

ამ დროს მეორე მხარედან დარაჯებს მოჰყავთ ახალი პატიმარი.

— ეს ვისა ჰხედავს! თედო ხომ არა სცდება!

— ის არის! ის იუდა! ის ბოროტი სული!

აქ თედო გააფთრებით ეძგერა ლაჩრულად ნოკუნტულ კოწიას და სანამ დარაჯები გონს მოვიდოდენ, მან უკვე ძირს ეზოში გადაუძახა იგი.

თედომ ერთი გადაჰხედა ძირს. დარწმუნდა, რომ მისი შურისძიება შესრულებულია და უცნაურად გასწორდა წელში.

გასწორდა წელში, მაგრამ ეხლა კიდე უფრო მწვავედ იგრძნო, რომ ის მიექანება სადღაც სიცალიერეში...

იმის ფეხ ქვეშ დარღვეული მიწაა მხოლოდ.

დარღვეული მიწა...

(დასასრული).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუზიიდე საბრი *)

მუნევვერ

თარგმანი ოსმალურით.

როცა შემოდგომის შემზარი გავლენა მთებს ეტანება, როცა ფოთლები ცვივის და ძირს ეფინება, ამ დროს რაღაც იდუმალი სევდით შებყრულ ჩემ სულს ქვითინი სწყურია. დიახ, წარსულის, ჩემი მეხსიერებიდან წარუხოცელი ნალვლით სავსე მოგონებათა გახსენებით გული მწყდება.

მეგობართა შორის ყველაზე უფრო ჩემთან შეთვისებული, ხოლო დღეს მისი ჩვენგან სამუდამოდ გამოთხოვების გამო სასოწარკვეთილებას მიცემულს, მე ჩემი საყვარელი მუნევვერი მაგონდება. მას შემოდგომა მეტად უყვარდა. ფოთლები ცვივის. არემარეს მამაკვდავივით სიცოცხლის ნიშნები ეკარგება და ის, გატაცებული სიამოვნებით ცელქობს, აღფრთოვანებული იცინის, ბაასობს და ბავშვურ მხიარულებას ველარ ჰფარავს.

მაგრამ ამ ხანის, მხოლოდ ამ ხანის მიერ მასში აღძრული სანეტარო გრძობანი სხვა დროებისას არა ჰგვანდა. ეს ხანა გამონაკვლისად რომ ჩაითვალოს, მუნევვერი მუდამ-ჟამ ნაღვლიანი, ყოველთვის დალონებული იყო. ყველა მის მიმოხვრაში—მწუხარება, ყოველ-მოსაზრებაში ღრმა უსასოება იხატებოდა.

მე ეს ჩემი მეგობარი ასეთი სევდიანი გამომეტყველებით უფრო მიყვარდა. სამგლოვიარო ჰანგებივით მომქმედი მისი სიტყვები, მწუხარების მომგვრელი ლიმილები, ჩემი უუსათუთესი გრძნობების მაალერსებელი იყო. როცა ჩვენსას სტუმრად იქნებოდა, უმეტეს ნაწილად ფანდურს დავაკვრევინებდი ხოლმე. ჩემი ცდა, ფანდურის ამონაკვნესი ხმის მოსმენაზე უფრო მუნევვერის მიერ მიღებულ ღმობიერი მდგომარეობის ხილვა იყო. მიზრაპი, ნელ-ნელა ფანდურის სიმებს ეხება დაკოდილი, მგოდებელი, და იმედ დაკარგული გულის ოხვრა-ვაე-

---

*) თანამედროვე ოსმალო მწერლებში საპატიო ადგილი ეკუთვნით მწერალ ქალებს—ხალიდე ედიბეს, მუფიდე ფერიდეს, გუზიიდე საბრის და სხ. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კარჩაკეტილი და ჩადრმოხვეული ოსმალო ქალი რევოლიუციამ გაანთავისუფლა და გაუხსნა მას სოციალური, საზოგადოებრივი და სულიერი შემოქმედების ასპარეზი.

გუზიიდე საბრი 30 წლის ახალგაზრდა ქალია.

რედაქცია ჰბეჭდავს ამ მოთხრობას, როგორც დღევანდელი ოსმალური ლიტერატურის ერთ-ერთ ნიმუშს. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გადმომცემ ჰანგებზე ფანდური ღრმად რომ ასტირდებოდა, მუნეევერი თავის შავ თვალებს სადღაც უხილავ მხარეს მიაბყრობდა, მხედველობა გამოეწურებოდა, თავი ნაღვლიანი იერით გულ-მკერდზე მოეხრებოდა. ნარნარი, მწუხარების სიმკაცრით ათრთოლებული თეთრი ხელებით, თავდავიწყებულად, ცხოვრების ყოველნაირი დაუნდობლობისა და უკულმართობის გამომხატველი, რაც რომ ჰანგები მოიპოებოდა, თითეულობით ყველას დაუკვრავდა. შემდეგ დაიღლებოდა...

ფანდური და მიზრაპი პატივდაკარგულ სათამაშო იარაღივით ფეხებ ქვეშ დაუვარდებოდა. ჩემგან დასამალავად, ცრემლის მოწმენდისათვის, როცა ხელსახოცით პირისახეს მოიფარავდა, ამ დროს ამოხეთქილი ხველა—მკაცრი და ნაწყვეტიანი—გულ-ღვიძლს დაუკაწრავდა და უსუსურებამდე მიასუსტებდა. ამ გოგონას სნეულობა მესმოდა, მაგრამ ვინაიდან ჯერ ახლად ვიყავით ერთმანეთთან დაახლოებულნი, შეკითხვას ვერ ვბედავდი. გარდა ამისა, მუნეევერი თავის სიცოცხლეს სამწუხაროდ, რომ არაფრად აგდებდა, ამასაც ვხედავდი. ნეტავი ამ მობეზრებულობის, ხელ აღებული დაუდევრობის რა იყო მიზეზი?..

მუნეევერი არც იმდენად ლამაზი იყო, მაგრამ მისი მხიბლავი მიმზიდველობა, მტკიცესა და გულმაგარსაც იმორჩილებდა.

მეტად სანდომიანი, მაგრამ ცოტა ფერმიხდილი სახე, მომცრო ცხვირი, შვილდებივით გადაჭიმული ნაზი წარბები, და მათ ქვეშ მოქცეული შავი თვალები, ღია წაბლის ფერი აშლილი თმები, გრძელი და ზვირთებიანი.

რომ ლაპარაკობდა, თითქოს სამგლოვიარო ჰანგს გალობდა. უნებლიედ პირში შეჰყურებდი. მისი სიტყვები მშვიდი და მომქმედი იყო. სიცილი კი, მწვავე ქვითინივით—სალმობიერო. ნაღვლიანობა უფრო შვენოდა, ვიდრე მხიარულება. „მუნეევერს სიცილზე უკეთ მისი ქვითინი ალამაზებსო“—იტყოდენ ხოლმე მისი მეგობრები. მართლაც ეს ლამაზი სახე სევდის განცდისას უფრო მხიბლავი იყო.

საოცარი არ არის? მას გაზაფხულის მიმართ რაღაც იდუმალი მუქარა ჰქონდა გულში ჩამარხული. ბუნების ამ საუცხოო სანახაობას, მის ტურფა და მხიარულ თავაზიან ღიმილს, არ ვიცი მუნეევერი ასე რად ერიდებოდა. ყვავილები იფურჩქნება, ტყე ზურმუხტივით მწვანე შესამოსელით იმოსება, ბულბულები გულმოდგინედ საამურ გალობას ეწევიან და ის კი ამ დროს სხვა ჟამებთან შედარებით უფრო სევდიანია.

არასოდეს არ დამავიწყდება: ერთ მშვენიერ დღეს, სალკუმის *) ხის ქვეშ, თეთრ გვირილების შორის ორივენი ერთად ვისხედით. მუნეევერ ისევ მწუხარე იყო.

სახეზე დავაკვირდი, თვალები გაწითლებოდა. ვიგრძენი, რომ კვლავ ნატირალი იყო.

— ავად ხომ არა ხართ?—შევეკითხე.

— არა—სთქვა და შემდეგ:—მაგრამ ძალიან მოწყენილი ვარ. ოოჰ, ნეტა ეს გაზაფხული გასულიყო.—

დაჩუმდა, თავი მკერდზე ჩამოიგდო და მწარედ ამოიოხრა.

*) სალკუმი.—ყვავილებიანი ხეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვირვებული მის სახეს მივცქეროდი და უნებლიედ:

— მეტად უცნაური ხართ, მუნეევერ! მან ამწვანებულ მდელოს, გაზაფხულის მოვარაყებულ თაიგულს თავისი გამძვინვარებული თვალების ისრები სტყორცნა. შემდეგ ჩემსკენ შემოტრიალდა და:

— ოოჰ!... არ იცით? ეს ხეები, ეს ყვავილები, დიახ გაზაფხულის მასულდგმულებელი სიცოცხლე, თითქო ჩემს მწუხარებას, ჩემგან განცდილ სევდიან ცხოვრებას დასცინიან. ოოჰ! ადამიანს უბედურობის შემთხვევის დროს უნდა რომ... ყველაფერი წარმავალი ჩრდილივით გაიბნეს, რომ მომავალი, გაცრუებული იმედების სხივებივით გაქრეს. რომ იცოდე, მკვდარის და ბოლო-მოღებული გულისთვის ეს ნეტარება და სიკეკლუცე რამდენად თავზარ-დამცემია!

მის გრძელ წამწამებ შორის დაგროვილი მთრთოლვარე ცრემლების დაფარვისათვის მაშინვე თავი შეატრიალა, შემდეგ, თითქო მღელვარებით ნათქვამს ამ სიტყვებს ნანობსო, ჩემი შეკითხვების მოუსმენლად უეცრად ზე წამოდგა და ჭალატყეში თეთრი ყვავილებით მორთულ-შემკული, ხის შტოებიდან თავიანთ კოშკისაკენ გაეშურა.

ოოჰ! მე ვგრძნობდი რომ წასვლის დროს გულამოსკვნილი სტიროდა, და იმიტომ გაიქცა, რომ ჩემგან დაეფარა ცრემლი. მაგრამ მე, იმ წამიდანვე მისი სიცოცხლის საიდუმლოებანი უკვე თვალწინ გადამეშალა. ჩემი დაკვირვებული ჭვრეტით მისი გულის სიღრმეში ჩავსწვდი, და იქ მეტად საზარელი, სისხლით სავსე ნაღვლის წყლული ვიხილე, და ის უბედური მუნეევერი კი არას ამხელდა. ის თავის მგზნებარე გულის ტკივილებს მეტად მშვიდად იტანდა, სევდასა და კაეშანს ისევე თავის გულში კლავდა, მტკიცედ ითმენდა.

მაგრამ ვგრძნობდი, რომ მას მუდამჟამ ჩემთან ერთად ყოფნა თავის ოხვრა-ვაების შემამსუბუქებელ და მწუხარების გამაადვილებელ მალამად მიაჩნდა. მიუხედავად ერთმანეთისადმი წრფელის სიყვარულისა, არც მე ვეკითხებოდი მისი გულის საიდუმლოებას და არც ის მეტყოდა. ამასთან ერთად, მისი სევდის განუკურნელობასაც ვამჩნევდი. მაგრამ თუმცა მიზეზების გაგება ვერ შევძელი, ჩემს გულში მაინც თანაგრძნობას და ლმობიერობას ვპოულობდი.

ივლისი თავდებოდა, შემოდგომის ნელი ქარი ფოთლებს ანიავებდა, ყვავილებს ანადგურებდა. მიწისფრად ქცეული მცენარეულობა შერჩენილ სიცოცხლეს აგრძელებდნენ, კვლავ თავიანთ სიცხოველეს ინახავდნენ.

საკვირველია! რვა თუ ცხრა თვეა, რაც მუნეევერი ჩემთან შეცნობილი, შემეგობრებული, შეთვისებული იყო. შემოდგომის დასაწყისში გაოხრებული მთა-ბარის სანახაობით, სულერთიანად გამოიცვალა, გამხიარულდა, კისკისობდა, საუბრობდა, ნავარდობდა და სიცილ-ხარხარით არე-მარეს არყევდა. ეშხით აღსავსე ღიმილით დაყვითლებულ და მიწაზე დაგდებულ ფოთლებზე დასეირნობდა. როცა ფეხებ ქვეშ მოქცეული დამჭკნარი ფოთლების შრიალი გაისმოდა, თითქოს ეს შრიალი რაღაც აღმაფრთოვანებელი ჰანგების გამომწვევი ყოფილიყოს,—თავის საამური ღიღინით გალობას მოჰყვებოდა. ამასთან ერთად, რაიმე სევდის მოგონებათა გახსენების გავლენით დაძაბუნებული, ღელავდა, თრთოდა, და ფანდურს, მთელი ოავისი ნარნარი გრძნობებით გატაცებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც თავის სიცოცხლის მესაიდუმლეს, დაღონებით გულზე მიიკრავდა და თანაც თავის სულის კვეთების უცნაურ კვნესის—ფანდურის ჰანგებთან შეხმატკბილებას სცდილობდა. ძალდატანებულ და განგებ შეთხზულ ამ ყალბ მხიარულება-სიცილ ხარხარში მუნეევერი ჩუმჩუმად რომ ოხრავდა და გულში მწარედ სტიროდა,—ამასაც ვგრძნობდი.

შემოდგომის სულთა მხუთავი დღე იყო. აქეთ-იქით ნისლში გახვეული მთები მოსჩანდა. წვრილი, მაგრამ განუწყვეტელი წვიმა ნიადაგს ალბობდა. ზუზუნა ქარი ტყეების გაყვითლებულ ფოთლებს ერეკებოდა. ყოველი მხარე, თითქოს მწუხარებისა და ნაღვლის ზეწარით იყო შემოსილი.

მე ამ დაღვრემილ ამინდში ჩემი მეგობრის ნახვის სურვილებს ვერ დავსძლიე, წამოვდექი და მის ოთახში ავედი. შავ ტანისამოსში იყო. არასოდეს არ დამავიწყდება: მკლავებზე და საყელოზე ბზინავი საზედაოები ჰქონდა შემოვლებული.

ოთახში შევედი. მას საწოლში მოესვენა. თავი ბალიშებს შორის მოექცია.

— ოოჰ... ასე შავებში! თქვენი მნახველი აუცილებლად იტყვის—მგლოვიარედ არისო. რომ დამინახა, სიხარულით წამოხტა და ყელზე გადამეხვია. მისი ხმის ჟრჟოლვიდან სჩანდა, რომ ნატირალი იყო. ძალდატანებული ღიმილით შემომძახა:

— მადლობა ღმერთს!.. რა კარგი ჰქენი, რომ მოხველი! ცოტა დამრჩა დაღრჩობასაო —სთქვა.. ფანჯარასთან მივიდა და მინა გამოაღო. დიახ მარტოობაში, სიჩუმე'ში წვიმის ჩვეულებრივი შრიალის სევდიანი ხმაურობა საამური ჰანგივით სულს გვიტკბობდა. შემდეგ ორივენი ფანჯარასთან მივედით. მუნეევერმა თავი გარეთ გაჰყო. ჯერ გაინაბა. მერე უიმედობის მომასწავებელი ნისლიანი მთების სანახაობის წინაშე სასოწარკვეთილებას მიეცა. შემდეგ ჩემსკენ მოტრიალდა და სთქვა:

— დაო ჩემო, ჩემს ამ მდგომარეობას გაოცებით უცქერით, არაა? რა გაეწყობა, ხომ ხედავთ რომ მე ერთი უცნაური, საბრალო ქალიშვილი ვარ! რამდენადაც გაზაფხული მძაგს და ვერიდები, იმდენად, და კიდევ მეტად შემოდგომა მიყვარს, მიუწვდომელი და წმინდა გრძნობებით მიყვარს. ეს ორი თვე ჩემთვის მეტად სანეტარო ჟამია. ამ დროში ნაგრძნობ სიცოხლის გემოვნებას სხვა დროს ვერ ვჰპოულობ.

უეცრივ ლაპარაკი შეწყვიტა. თითქოს რამეს აზროვნებსო—ფიქრებს მიეცა; თითქო მის თვალწინ რაღაც შემაძრწუნებელი ამბები ხდებოდესო—ისე ათრთოლდა; ღრუბლებში მინავარდე რაღაც ლანდს შეჰყურებსო—თვალები ცაში მიაბყრო. წარსულის სევდიანი მოგონება ამ საბრალო ქალიშვილს მთელის არსებით ატირებდა.

შავ სამოსელზე გადაშლილი გრძელი თმების მეორე მხარზე გადატანის დროს რომ ჩუმად ჩაიბუტბუტა,—ესეც გავიგონე.

— დიახ, მეტად ძვირფასია ჩემთვის შემოდგომის დღეები. მე ის მიყვარს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სიყვარული ჩემზე მხოლოდ მისგან დანატოვები უკანასკნელი სახსოვრო არის.

ამ სიტყვების შემდეგ, თითქოს მაჯლაჯუნასაგან თავი დაახწიაო, ამოძრავდა და ძალზე ცდილობდა თვისი დალონებული სახისათვის მხიარული გამომეტყველება მიეცა და:

— ცოტა ხნით გარეთ გავიდეთო—სთქვა. მე გაოცებით მიუგე:

— ასეთ ამინდში, ამ წვიმაში სიარული როგორ შეიძლება! მეტადრე უნდომად იმყოფები, ჩემო მუნეევერ. მერე და, ასეთი ნოტიო ამინდი არ გავნებს?

— დიახ, ავად ვარ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა უნდა ჰქოდეს.

— მე ძალიან მაწუხებს, თქვენ კი თქვენი თავი არ გებრალებათ?

— რათა, ჩემო კარგო?

— აბა ერთი წარმოიდგინე, თუ რას მეკითხები. შენი სიცოცხლისადმი ასეთი დაუდევრობა—ვფიცავ, მეტად მტანჯავს.

სიცილით ხელებზე მომეკიდა და:

— ნუ წყრები, ნუ წყრები, ჩემო დაო! შენთან, ჩემი თავისთვის დიდი მზრუნველობა უნდა გამოვიჩინო.

— ჩემთან კი არა, მუდამ ჟამს ასე უნდა მოიქცე.

— კარგი, კარგი.

თავზე თითო ქოლგა წამოვიხურეთ და ჭალა-ტყეში სიარული დავიწყეთ. გაზაფხულის მდელოებში სეირნობის შეუჯერებელი მუნეევერი, ეხლა რომ ჩაეფლებოდა ფეხები ტალახში, ისე საამურად ხარხარებდა, რომ გაოცებაში მოვდიოდი. აქით-იქით აღმოცენებულსა და გაშლილს შემოდგომის შემამკობ ყვავილებს განუსაზღვრელი სიამოვნებით სწყვეტდა, და თავზე, გულზე იმაგრებდა.

გაოცებული, მე კვლავ მას შევცქეროდი, და თანაც ამ ზომამდე აღფრთოვანებით მისი გამამხიარულებელი შემოდგომის ნაოხვრალს, ყველა ამ სანახაობებს მოწიწებით თაყვანს ვცემდი და აგრეთვე როგორც მისი მოსიყვარულე, ერთგული მეგობარი ამ თვალსაზრისით ქვეყნიერების ყოველივე სანახაობისაც, შემოდგომისებურად ხილვას ვნატრობდი.

ცოტა ხნის შემდეგ, კოშკში დაბრუნებისას, მითხრა:

— რომ იცოდე, როგორ ვწუხვარ, რომ ჩემი ასეთი სულელური სურვილების შესასრულებლად ისეთ წვიმაში გარეთ გაგიყვანე.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ასე ფიქრობ. მე კი ის მტანჯავს, რომ ვერ მივსწდომივარ იმ მიზეზების გაცნობას, რომლებიც შენ მუდამ ჟამს ასე გაწუხებს, და შენთვის ორიოდე სანუგეშო სიტყვა ვერ მითქვამს. შენ კი შენ სევდას და კაეშმანს მიმალავ, არ მიზიარებ.

ამ სიტყვებზე თავი უცნაური კრძალვით მოატრიალა, მხრები შეანძრია და:

— ეჰ, შე დალოცვილო!—სთქვა და:—ამაზე ეხლა ნუ ვიბაასებთ. შენ ეს მითხარი ჩემი ასეთი მომაბეზრებელი ყოფა-ქცევით გაწუხებ, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სრულიადაც არა!

— მართალს ამბობ, არა?

— ჭეშმარიტად! როგორ მიყვარხარ, განა არ იცი?

— გმადლობ, ჩემო თვალის ჩინო, გმადლობ.

ამ საუბარში უკვე მივედით კოშკთან, კარგადაც დავსველდით. ავედით ზევით. ის კვლავ სარკმელთან მივიდა, ცოტა ხანს იჯდა. შემდეგ ადგა. ფანდური აიღო, თითქოს მისი გულის წყლულის ყველა ტკივილები და სიმწარე ამ სიმებზე გადასულიყო.

წარმავალი სიცოცხლის, უკანასკნელი ჟამის მაჩვენებელი, ბუნების ამ სანახაობის წინაშე მუნეევერი ისე აღშფოთდა, რომ ჩემი იქ ყოფნაც კი დაავიწყდა. თავი ფანდურზე დაეშვა. მის თვალში აღგზნებული ტკივილების შინაარსმა უფრო ცხადი, უფრო გოდებისებური ფერი მიიღო. სახე უფრო გაუფითრდა. მისი ხმის ლმობიერმა ქვითინმა ეხლა უფრო მოლოდინე, უფრო ვაების შემომჩივარი კილო აიღო.

ეხლა კი მუნეევერის ასეთმა დამაღონებელმა მდგომარეობამ ჩემზე უფრო იმოქმედა. ადგილიდან წამოვდექი. ჩუმათ მიუჯექი გვერდით. თავი ასწია, აქვითინდა, ღიმილით შემომხედა.

— დღეს ძალიან კარგს გუნებაზე ხართ ვუთხარი.

— ამინდის ამ საუცხოო სანახაობას ვერ ხედავთ? აბა ერთი გარშემო გადაავლე თვალი: ეს ცა, ეს ველი, ეს კუკუნა ჭალა-ტყე. თვალ ცრემლიანები იცინიან, და იდუმლად, თქვენგან მიუწვდომელი ენით იდუმალ ამბებს მიამბობენ და კარგს გუნებაზე მაყენებენ.

— მეტად უცნაური ხართ, მუნეევერ! თქვენსას ვერაფერს გაიგებს კაცი.

გაიღიმა და ამასთან ერთად კვლავ ცდილობდა მწუხარება ჩაეკლა გულში.

— მერე, რად განაღვლებს ასე ჩემი მდგომარეობა?

— შენი გულის საიდულოების გაგება და თანამოდარდეობის გაწევა მინდა.

ამ სიტყვებზე ფერი გამოეცვალა და ბაგენი აუკანკალდა.

— რად მიფარავ, მუნეევერ, შენი გულის კაეშირს? რად არ ჩამახედვინებ შენი სულის სიღრმეში? სთქვი, რადა? მე ვერ ვგრძნობ, ვერ ვამჩნევ განა? შენ ყველაზე უფრო ერთგულს, შენ თანამგრძნობ მეგობარს, შენი ასეთი მდგომარეობა არ მტანჯავს, გგონია? შენ კი ჩემი შენდამი მეგობრული სიყვარულის უაღრესადა და ცხადად დამამტკიცებელ მოწამეებთან, მარტო ერთი იყოს, ჩემდამი შენი სიყვარულისაც განამტკიცებელი საბუთი ვერ წამოგიყენებია. პირიქით შენ მიერ ჩემგან ასე ჩვეულებრივად გულის ტკივილების დაფარვა, ჩემდამი შენი გულ-გრილობის და უნდობლობის გამოკცხადება არის—და სხვა არაფერი.

ფანდური ერთ კუთხეს მიაგდო,—მომიახლოვდა. ხელებზე მომკიდა და ტკბილი საყვედურის გამომთქმელი თვალები პირდაპირ თვალებში მომაშუქა, და ძლიერ სუფთა, მეტად უმანკო და უაღრესად მარტივი იერით:

— მაშ ასე!... კარგი,—სთქვა. შემდეგ ერთი: ‘ოოჰ!—ამოიოხრა და თავი დაიქნია. ის მარტივობა, ის ბავშვური გამომეტყველება მაშინვე გაჰ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრა. ის მშვენიერი სახე, ერთი წუთის განმავლობაში მწუხარებამ შეიპყრო. ხელზე მომიჭირა და:

— შეცდომა ჩაიდინეთ—სთქვა:—ამ უილაჯო მუნევერის ამ ბედკრული ქალიშვილის გამწარებული ცხოვრებაში ერთადერთი გამართობელი შენ რომ ხარ ესეც იცი და მერე ასე რად მისაყვედურებ? რისთვის სდებ მას მეგობრობისადმი გულგრილობისა და უსიყვარულობის ბრალს? არ ვიცი რომ... წყლული, უიმედო, გარდატეხილი გულის მწუხარებათა, წარსულის დანატოვ მწარე, წყეულ მოგონებათა მოსმენა, თუ რასმეს გასიამოვნებს?

მე ძივუგე:

— ასე მგონია, რომ ადამიანს თუ ვინმე გულითადი ამხანაგი, საყვარელი მეგობარი ეყოლება მას ყოველივე საიდუმლოება გაეზიარება, მისგან ნუგეში მოეთხოება.

მუნევვერმა ღრმად ამოიოხრა, თავი გაიქნია:

— ნუგეში?.. აფსუს!.. ეს ჩემთვის ამაოა. ქვეყნიერებაზე ჩემი ბრწყინვალე იმედის გაქრობის შემდეგ, როგორი ნუგეში უნდა იყვეს, რომ მე ცხოვრება შემაყვაროს!

ეხლა კი მის კილოს სულ სხვა მწუხარება, სულ სხვა მთოლეარება მიეცა, და:

— ხომ ხედავ ჩემს დაჭლექებას. ფილტვების დალპობას ვგრძნობ და როგორ დაუდევრად ვიქცევი.

მე გულის გამკაწვრელი ხმის ამაღლებით ჩემი თავი ოთახის შუა გულში ვიხილე...

გაყვითლებული მუნევვერი, იმ შავ ტანისამოსში გახვეული, მე შემომცქეროდა, მის ბაგეებზე მეტად მწარე ღიმილი მოსჩანდა და ლამაზ და მხიბლავ თვალებში კი—უიმედობის ნიშნები.

შავიშალე, იმ სიტყვების საშიშროებაში მოქცეული გავისრისე, მოსაზრება სულერთიანად ამეშალა.

ის მომიახლოვდა და დაღლილი თვალებით შემომხედა.

— რად შეშინდი აგრე? თუ ასეა მოშორებით ვილაპარაკოთ, მიტომ რომ თანამედროვე საექიმო აღმოჩენა სენის გადამდებობას იზიარებს.

მეტი დინჯი კილო ავიღე და:

— მუნევვერ, თუ კვლავ ასეთი სიტყვები გაგიმეორებია, თუ ისე შენი სიცოცხლისათვის შენი ჯანმრთელობისათვის ცილის დაწამებით მეც დაგიტანჯავარ, მაშინ ჩემთან დამოკიდებულება უნდა შესწყვიტო, გესმის?

ამოიხვნეშა და:

— მე ჩემს სიცოცხლეს, ჩემს ჯანმრთელობას ცილსა ვსდებ, არა? კარგი, ეგრე იყოს. მაგრამ მე მაინც უნდა მოვკვდე—სთქვ.. და შემდეგ ნაღვლიანი თავი თავის სუსტ ხელებში მოაქცია. სიჩუმეში, მხჩვალის გოდებასავით გულამოსკვნილი ღრმა ტირილის ხმა მოისმა.

ჩემთან მუნევვერი მხოლოდ პირველად სტიროდა. შემდეგ დიდის მწუხარებით თავი ასწია და აცრემლებული:

— გთხოვ, ნუ დამიშლი—ეხლა კი, სულ სიკვდილზე ვილაპარაკო, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილი უბედური ადამიანისთვის თავდამახწეველი ერთი საშუალებაა და ტანჯულ-ჩაგრულის განმათავსუფლებელი; აწლა ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში მხოლოდ ამაში იმყოფება.

მუნეევერი მჭმუნვარების მეტად სასტიკ ბურანში იყო მოქცეული. ყოველივე წყლული, ყოველივე სიმწარე განუახლდა: წარსულის უუწყვდიად ესი კუთხეები, უუმწარესი წუთები თვალწინ ჯგუფად წარმოუდგა. ცრემლით გაჟღენთილი ხელსახოცი პირისახიდან მოიცილა და დასუსტებული სევდიანი ხმით:

— ვინაიდან ჩემი მწუხარების შემსუბუქება და თანამოდარდეობის გაწევა გინდა იკისრო, რაკი ეს საბრალო მუნეევერი გებრალება და გიყვარს, მისი ცხოვრების სიმწარენი და წყლული გულის გოდებანიც უნდა მოისმინო; მის მიერ განცდილ ტკივილებს მის თავსე დატრიალებულ უბედურებას უნდა გაეცნო.

ორივენი სარკმელთან მივედით. წვიმა ჯერაც კიდევ იმ მარტოობაში, იმ განაბულებაში დაღონებულ ჰანგზე განაგრძობდა შხრიალს და ფოთლები კი— ნელ-ნელა ცვივნას!

დაღლილი და დაქანცული მუნეევერი ჩაჯდა ერთ განიერ სავარძელში, გრძელი თმები შავ ტანისამოსზე ჰქონდა მოფენილი, თავი ერთ ხელზე დაიყრდნო და:

— მომისმინეთ, მეტად მწვავე თავ გადასავალი უნდა გიამბოთ.—სთქვა და დაიწყო:

მე ჩემი ოცი წლის ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ ერთი სული, მარტო ერთი არსება დავისახე მიზნად და ჩემი გულის უუფაქიზესი ლოდინებით, უუწმინდესი გრძნობებით და უუაზიზესი იმედებით შევიყვარე!

ჩვენი სიყვარული იმდენად წრფელი, იმ ზომამდე მხურვალე იყო, რომ ჩემ ენას არ ძალუძს სავსებით გადმოქცეს. ჩვენმა ყრმობამ, ერთ ოჯახში შეზრდით მეტად ბედბიერათ განვლო. იგი ჩემი ბიძაშვილი იყო.

ჩემი ცხოვრების მეცხრე წლამდე ერთად ვცხოვრობდით. იმ დროს ის ერთ-ერთ დახურულ სასწავლებელში სწავლობდა და მეთოთხმეტე გაზაფხულის წელიწადს ათავებდა.

ერთმანეთისადმი ჩვენი დამოკიდებულება, საქციელი და მიმართვა ისეთი ლმობიერი, ისეთი ფაქიზი სიყვარულით იყო შეკრული, რომ ჩვენი მნახველები ჩვენ ორივეს, როგორც ერთ არსების, ერთი სულისა და გულის პატრონებს გვიცქეროდნენ. ჩემი ატირებული ერთი სიტყვა მასაც აატირებდა. მისი გამაღიმებელი რაიმე ერთი ოხუნჯობა მეც გამაცინებდა. ერთი სიტყვით მწუხარებაში და მხიარულებაში ერთიმეორის თანამოზიარე, თანამგრძნობი ვიყავით. მისი ერთად ერთი გემოვნება, უუძვირფასესი ნატვრა ჩემი გახარება, გამხიარულება და გართობა იყო.

კვირაში მხოლოდ ერთჯერ სახლში გასატარებელ ღამის ძვირფას საათებს მე შემომწირავდა. ჩემთან ერთად საუბრისათვის, ჩემთან ერთად დარდის და ნაღველის განაწილებისათვის, განმარტოებულ ადგილებს, მიყრუებულ კუთხეებს დაეძებდა ზოგჯერ განთიადის სიმშვენიერის სანახავად, ჩიტების გალობის მოსასმენად დილას მოვუცდიდით და ღამის წყვდიადის სილრმის განაბულებაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როკა ჩვენი სულები ცდილობდნენ ალლო აეღებინებინათ ერთმანეთისათვის საიდუმლოებით მოცული ჩვენი სიყვარულისა, ჩვენ იმ დროს მათი საამური ჩურჩულის სმენას ვუნდებოდით ხოლმე. ეს კი, ისტორიის უხსოვარის და დასაბამი დროიდან დაწყებული წუთების ახმაურება იყო, რომლის შესაგნებელ წლებში ჩვენ, ჯერჯერობით, არ ვიმყოფებოდით, რადგან ორივენი ჯერ კიდევ პატარეები ვიყავით. ის თოთხმეტი წლის ბავშვი იყო, მე კი ცხრა—წლისა. თუ რას ნიშნავდა სიტყვა „სიყვარული". ამას ჯერ ვერ ავხსნიდით. ჩვენი გულის, ჩვენი სულის შემპყრობი ეს საუცხვო გრძნობანი რომ ტკბილი სიყვარულის დასაწყისი იყო, ამასაც ვერ ვგრძნობდით.

მაგალითად, შუქიან ღამეში მთვარე მთელ ქვეყანას ნათელსა ჰფენს, მსოფლიო ღრმა ძილშია მიცემული, ერთი ბულბული თავისი მგოსნური გალობით ამ განაბულ ბუნებას ნანინას უმღერის. ჩვენ კი ამ დროს ერთად დავიწყებდით ტირილს. შეფიკი მეკითხებოდა:

— მუნევვერ, შენც სტირი?

— ვიშ!—დიახ, შეფიკ, ვსტირი.

— აბა, შენ რათა სტირი, რაიმე ხომ არ გაწუხებს?

— არაფერი. მაშ შენ?...

— მეც არაფერი.

— თუ ასეა, მაშ რათა ვსტირით?...

— არ ვიცი.

— რომ იცოდე, მუნევვერ, რამდენად ტკბილია ეს ცრემლები!

— სსუ შეფიკ, აბა ამ ღელის ჩუხჩუხს ყური დაუგდოთ, ამ ძეწვნის შტოზე მჯდარი ბულბული როგორ გულ-დაწყლულებული გალობს; მე, ხვალ საღამოს შენი დაშორება მაფიქრებს, რათა-არ ვიცი. შემდეგ აი აქ, მკერდზე ღრმად გამჯდარი ნაღველი ცეცხლის სიმწვავესა მგვრის. განა გასაოცებელი არ არის?

მაშინ შეფიკი იტყოდა:

— გეფიცები, მუნევვერ, გუშინ საღამოს სასწავლებელში სწორეთ მეც შენსავით შევიქენი. ზვირთების ხმაურობის სმენაში, მთვარის ნათელიანი სახის ცქერაში სულ შენზე ვფიქრობდი, შენი ფიქრით გატაცებული, ისევ ასე ვსტიროდი.

— ნეტავი რატომა ვართ ასეთები? ნუ თუ ყველას თავიანთი დები და ძმები ასე უყვართ, როგორც ჩვენ?

— არ ვიცი. მაგრამ შენ ხომ ღვიძლი დაი არ ხარ ჩემი, მუნევვერ!

— სსუ, მეორეჯერ აღარ გაიმეორო, თორემ მერე აღარ დავიჯერებ შენს სიყვარულს.

— დაიჯერე, ჩემო საყვარელო დაო, დაიჯერე; მიტომ რომ ამ სიყვარულმა სიკვდილამდე უნდა გასტანოს.

* * *

კვირაში ერთჯერ ასე მე და შეფიკი ამ ძვირფას ღამეებს ასეთი საუბრებით ვათენებდით. ჯერ კიდევ ახლად შესწავლილ ფანდურს მთელი თავისი ნაკლით, ყველა შეცდომებით მას მოვასმენინებდი, და აგრედვე ვგრძნობდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მისი წაქეზებით და მისი ტკბილი ალერსით ჩემი მისწრაფება მუსიკისაკენ თანდათან რომ ძლიერდებოდა.

ამ ხანებში ბიძა ჩემის გარდაცვალებამ თავზარი დაგვცა. უმამოდ დარჩენილი შეფიკი იძულებული შეიქნა თავისი დედით ჩვენგან გახიზნულიყო. ეს ჩემთვის დიდი უბედურება იყო, მაგრამ ამის გამოსწორება ყოვლად შეუძლებელი გახდა. მე უშეფიკოდ, უმეგობროდ, უმწეოდ დავრჩი.

ერთად გატარებული მშვენიერი ღამეების, დილის სიკეკლუცესთან გაყრაში, შემდეგ, მზის ნაღველის სიმწარის განცდაში, დღე და ღამ სულ ვსტიროდი. ამ დროს მათ ჩვენთან ახლოს ერთი სახლი იქირავეს. მამაჩემიც სასამართლოს მიერ შეფიკის მზრუნველად დაინიშნა.

ეხლა კი რამდენადაც ჩვენი წლოვანება მატულობდა, იმდენად ჩვენი გულის სიღრმეში არსებული სიყვარულის სინამდვილის შინაარსის შესწავლაც დავიწყეთ. ამ დამოკიდებულებას, დასაბამიდანვე, წმინდათა წმინდა ეშხის სახით, ჩვენი გულის სარკეში ცხადათ ვხედავდით.

როცა მელაპარაკება, სწუხს; მე ვერ ვბედავ იმის პირისახეს შევხედო. ორივეს მარტოდ ყოფნისა გვეშინოდა.

ჩვიდმეტი წლის შეფიკი სამხედრო საექიმო სასწავლებელში იქმნა მიღებული, მისი ერთად ერთი მიზანი ექიმად გამოსვლა იყო.

მაგრამ, არ ვიცი, ასე მუდამჟამ რად ჰპოულობდა იგი სევდა-ნაღველის მომგვრელ საგნებში ბუნებრივ სიამოვნებას? შემოდგომა! ეს დრო მისთვის სანეტარო ჟამი იყო. დაყვითლებული ფოთლები ცვივის, ყვავილები სუსხით ისრისება, მთელი ტყე და ხეები დაშიშვლებულ და დაღვრემილ სურათს წარმოადგენს, და ის კი ამათი სანახაობით სიამოვნებას ჰგრძნობს და თავის განცდას ყოველთვის მე მიამბობს.

ზოგჯერ ხუმრობით ვეტყოდი:

— შეფიკ, ტყუილია, შენ რომ ფიქრობ, ისეთი ექიმი ვერ უნდა გამოხვიდე, მიტომ რომ შენ ნივთიერ შრომაზე ეფრო მეტს სულიერ საქმიანობას ეწევი, და აგრედვე იმიტომ, რომ უუგრძნობიერეს და უუწრფელესი გულის პატრონი—დინჯი და მტკიცე ექიმი ვერ შეიქმნება. ასე მგონია.

ის ჩემს აზრს უარყოფდა და:

— ექიმის გულქვაობა და უგრძნობლობა შენ ვინ გითხრა?—მეტყოდა.

სასწავლებლის დამთავრებას ერთი წელიწადი-ღა დარჩენოდა.

ოოჰ, არასოდეს არ დამავიწყდება, მან რომ პირველად სიყვარული გამომიცხადა! შემოდგომის სწორედ ასეთი, ნაღვლიანი დღე იყო. როცა შემოდგომის თავაშვებული ქარი მოყვითლებულ ფოთლებს ზედ გვაყრიდა, შეფიკმა თავის გულის ნადები გადამიშალა, სულის სიღრმეში ჩამახედვინა და იმ დღეს, მხოლოდ იმ დღეს პირველად:

— მუნეეეერ მიყვარხარ!—მითხრა.

დიახ, მე მიუწდომელისა და დამამწუხრებელი ეშხის გავლენით, შეფიკის სიყვარულით ვკანკალებდი, ის კი კვლავ იმეორებდა:

— მუნეეეერ! ეს სიყვარული დასაბამიდანაა, მარადიულია. სიყრმიდანვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთთან დაკავშირებული ჩვენი სიყვარულის განელება მხოლოდ სიკვდილს შეუძლიან, ამბობდა.

მუნეკვერმა აქ ღრმად ამოიოხვრა—ოჰო!—და.

— ცოტა ხნით ადრე ფანდურს რომ უკრავდი, მისი სიმების ნაღვლიანობა, თითქოს მე იმავე სიტყვებს ისევ ყურში მიჩურჩულებსო, მეგონა და ფიქრებმა გამიტაცა...

მის გაფითრებულ ლოყებზე რამდენიმე წვეთი ცრემლი ჩამოვარდა.

ნაღვლით სავსე მუნეკვერმა ისევ განაგრძო:

— ერთი თვის შემდეგ მამა ჩემმა, ბიძა ჩემის უკანასკნელი ნაანდერძევი შეასრულა და შეფიკის და ჩემი კანონიერი ნიშნობა მოახდინა. და ჩვენი ცხოვრების საბედნიერო გზა გაგვიკაფა, ჩვენი უფრო მაღალი იმედები, უფრო შემკული მოლოდინები, შეუღლების კავშირით გაგვიმტკიცა.

აწ კი შეფიკისა და ჩემი დამოკიდებულება კანონიერ ფარგლებში იყო მოქცეული. ის ჩემი მომავალი ქმარიც იყო და შემწყნარებელი მეგობარიც, სიყრმის ამხანაგიც, სიყმაწვილის იმედის ყვავილიცა და თანაც ჩემი ცხოვრებისა და ბედნიერების მომნიჭებელიც.

ეხლა კი შეფიკი გულმოდგინეთ, განუსაზღვრელი ხალისით მაცადინეობდა დიპლომის მიღებისათვის. ჩვენი შეუღლება, კაპიტანობის მოწმობასავით, ამ ქაღალდის მიღებაზე იყო დამოკიდებული.

თურმე ნუ იტყვით, ადამიანისათვის სრული ბედნიერება შეუძლებელი ყოფილა. ზოგჯერ შეფიკს უაღრესად დამწუხრებულს ვხედავდი. თავი ჩამოხრილი, თვალები დაშტერებული, გაჩუმებული და განაბული, რაღაც ფიქრებში იყო მიცემული.

ეს გარემოება მე საგონებელში მაყენებდა. რას ნიშნავს ჩვენი გაბედნიერების დროს ამ გვარად ფიქრებით გატაცება, ნაღვლიანობა? უსათუოდ შეფიკს ჩემგან დაფარული რაიმე დარდი აწუხებს. მერე და, განა შესაძლებელია, რომ შეფიკს ჩემგან დაფარული რამ მწუხარება ჰქონდეს? ჩვენ ერთმანეთის დარდისა და ნაღველის შემამსუბუქებელი, თანამოდარდე, თანამგრძნობი და თანალმობიერები არ ვიყავით?

მე მისგან დასაფარავი, ან იმას ჩემგან დასამალავი რა დარდი და ნაღველი უნდა გვქონოდა? ეს აზრები მტანჯავდნენ.

ერთ დღეს ბაღში ვისხედით. იმის სახეს დავაკვირდი. ფერი წასვლოდა, გამხდარიყო და მის თვალებს გარშემო შავი რგოლი შემოვლებოდა.

უნებლიედ შევეკითხე.

— ავად ხომ არა ხარ, შეფიკ?

სევდა-ნაღველის დასაფარავად სიცილით:

— არა, მხოლოდ დაღლილი ვარ.—მიპასუხა.

ეს ორი სიტყვა ბევრ რასმეს გამოხატავდა. მე ღრმად ვიყავი ჩაფიქრებული. ჩემგნით მიზეზების გამოურკვეველი რამ კაეშანი გულ-ღვიძლს მიგლეჯდა, მიწყლულებდა...

ამ დროს შეფიკმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მუნეევერ!—დაიძახა და:—ასე რამ დაგაღონა, ჩემო კარგო? სთქვი, რაზე ფიქრობ?

— შენზე, შეფიკ, მხოლოდ შენზე! შენს გარდა ვინ უნდა მყავდეს საფიქრებელი?

— ჩემზე? მერე ჩემი რა გაფიქრებს ჩემო ანგელოზო?

— შენ ავად ხარ, შეფიკ! დიახ, შენს ავადმყოფობას მიმალავ. აი, ეს მაფიქრებს.

შეფიკის თვალებზე კაეშანის ნისლმა გადაიარა. სევდიანი და მრთოლვარე კილოთი:

— ღმერთო ჩემო!—სთქვა და შემდეგ:—შენ ასეთ უაზრო რამეებისათვის რათ იწუხებ თავს?

— მე ... ავად რომ ვიყო... შენ დაგიფარავდი? განა ავადმყოფს სამეცადინო ძალ-ღონე ექნება სხეულში? ამასაც კარგად ხედავ, რომ მე შენთვის როგორის გულმოდგინეობით, როგორის ხალისით ვმეცადინეობ.—მერე სიჩუმის შემდეგ, კვლავ სიცილით:—მუნეევერ! ვსთქვათ რომ მე ავად გავხდი. ვსთქვათ ეს ავადმყოფობაც განუკურნებელია. შენ რას იზამდი?

ამ დროს გულში თითქოს გაშანთებული შამფურის წვერი ჩამერჭო და სისხლიანი, ღრმა, მწვავე იარა გამიჩინა.

— შენი ავადმყოფობის შეტყობის დღესვე თავს მოვიკლავდი. ეუპასუხე.

— ღვთის გულისათვის, მართალს ხომ არ ლაპარაკობ?...

— გეფიცები, რომ ჩემს სიცოცხლეში ასე მტკიცედ არა მითქვამს რა.

— თავს მოიკლავდი, არაა?

— დიახ, ჩემო აზიზო! დიახ... იმიტომ რომ, შენდამი ჩემი გულის კავშირის კარნახი მე იძულებულ მხდის ასე მოვიმოქმედო. ოჰ... აბა ერთხელ მაინც მოიფიქრე, მე უშენოდ როგორ ვიცოცხლებ, შეფიკ, როგორ!...

შეფიკმა წარბები შეჰკრა. თავი ღრმა ფიქრებს მისცა. როცა თავი ასწია, სათვალეების ცალა მინების ქვეშ ცრემლის წვეთი თრთოდა.

ორივენი ფეხზე წამოვდექით. ერთად სიარული დავიწყეთ. მაისის ბოლო რიცხვები იყო. გაზაფხულის დღეების ტურფა სანახაობანი ნელ-ნელა თავის სიმშვენიერეს ჰკარგავდა.

მე იმ ზომამდე დაღონებული და მოწყენილი ვიყავი, თითქოს რაღაც იდუმალი ხმა,—აი, ამიერიდან შენი საბედნიერო დღეებიც გათავდაო,—მესმოდა.

შეფიკი, ჩვენ ორივეს დამამწუხრებელ, ამ სიჩუმეს არღვევს:

— აწ კი ზაფხულის დღეები გვემშვიდობება, ეხლა სიმწუხრის მომგვრელი შემოდგომის მშვენიერი დღეების სანახაობას უნდა მოუცადოთ... ოჰ!. ამ დროს ნაგრძნობი ჩემი გულის სიამე, სულის გემოვნება!—და ღიმილით შემომხედა:—მუნეევერ! მათდამი ჩემი ასეთი სიყვარული ხომ არ შეგელაზვება ჩემომშვენიერო! მიტომ რომ, შემოდგომას შეყვარებულივით ვეტრფი.

ერთი წაბლის ხის ქვეშ ვიყავით შეჩერებული. შეფიკს ჩემთვის რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვერ ჰბედავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ვსთქვი:

— შეფიკ! შენ დღეს რაღაც გემართება. ხომ არ გინდა მითხრა რამე?

— დიახ! მარა ვშიშობ, რომ ჩემმა სიტყვებმა გული არ გაგიმწაროს.

— არა უშავს რა, ილაპარაკე, გისმენ, მაგრამ შენი სიტყვები სიკვდილის, ავადმყოფობისა და სხვა უბედურობის შესახებ არ იყოს.

— სამწუხაროდ ყველა ასეთებისაგან...

— უუჰ, შეფიკ!..

— გთხოეთ მოისმინოთ. თქმა არ უნდა, რომ ჩემსავით ახალგაზრდას სიკვდილი არ უნდა—მეტადრე შენთან გაუბედნიერებლად. უუჰ, რას ვლაპარაკობ! დღეს რაღაც ჭკუა-გონება დაბნეული მაქვს. სათქმელი მავიწყდება. უნდა ვიზრუნო, თქმას უნდა შევეცადო, მიტომ რომ, დღეიდან შენ დიდხანს ვეღარ გინახულებ. ღრმად ამოიოხრა და შემდეგ:—მუნეველ! მე როცა მოვკვდები და სამარეში დავიწყების ძილს მივეცემი, მაშინ შენ ყოველ შემოდგომას, ფოთლების ჩამოცვენის, ყვავილების თავდახრის დროს ამ სევდიან დღეებში მომიგონე... მაგრამ ტირილით არ მომიხსენიო. ეს არ მინდა. თუ შენი საგრძნობი სულიერი აღტაცებიდან ჩემი სულის გასამხიარულებელი რაიმე საყნოსავის გადმოცემა გნებავს, შენ ამ დროს გამხიარულებული, აღფრთოვანებული უნდა იყვე. მთელი შენი სევდა და მწუხარება უნდა მოიცილო და გაბედნიერებულებივით, დამშვიდებულებივით ყოველივეს სიცილით უნდა შეხვდე. წვიმიანმა დაღვრემილმა ამინდებმა შენ გაზაფხულის ცხოველ დღეებზე უფრო უნდა გასიამოვნოს; წვიმა საუცხოო შრიალით რომ დაიწყებს მოსვლას და შემოდგომის ქარიშტოების დარეკას, მაშინ შენ, ჩვენი ბედნიერი დღეები მოიგონე. და მე ამ საავალალო მდგომარეობაში თუ რა სიამოვნებას ვპოულობდი და ბუნების ამ მგლოვიარობის, უიმედობის წინაშე დანაღვლებული ჩემი სული და გული თუ რა სიტკბოებას გრძნობდა, ეხლა არ უნდა დაივიწყო! მუნეველ!..

ამ სიტყვების დანაშთენი კვალების, გულის კრებულის ფურცელთა გვერდებიდან აღმოფხვრისათვის საკმაო გრძელი ერთი დროც იყო განვლილი. ეხლა კი შეფიკი რაც ექიმობის დიპლომით გამოვიდა სასწავლებლიდან, სრულდებოდა ერთი თვე.იმ დღიდანვე შეფიკს სიკვდილის, ავადმყოფობის შესახებ ერთი სიტყვაც არა უთქვამს-რა. ჩვენ შორის ამის შესახებ არავითარი საუბარი აღარ აღმძრალა. ამასთან ერთად მისი ნახვაც გამიძვირდა. მასაც გამოჩენა სრულიად აღარ უნდოდა: მეტად დაუდევარი მიმართულება მიიღო. პირვანდელ სიყვარულზე საუბარი მეტად აწუხებდა. სულ უთავ-ბოლო და ჩვენთან შეუსაბამებელი საკითხებით დროს გატარებას ცდილობდა. მის სიტყვებში, მიდრეკილებაში ჩემდამი გულგრილობა ემჩნეოდა. მასში არავითარი სურვილი, არავითარი ხალისი აღარ იყო. ეს გარემოება მე გაკვირვებიდან მწუხარებაში და მწუხარებიდან გაკვირვებაში მაყენებდა და თანაც ამის მიზეზების გამოკვლევა ჩემთვის შეუძლებელი ხდებოდა. ნეტავი მისი საწყენი რა ჩავიდინე?..

ერთ დღეს, მამა ჩემმა თავის ოთახში დამიბარა. შევედი. ფერ გამოცვლილია, წარბებ შეყრილი. სულ წინ იხედებოდა, თითქოს ჩემ დანახვას შიშობდა. მის პირდაპირ დავჯექი. მამამ ხელით მანიშნა და მეც გვერდით მივუჯექი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილო! დღეს მე მინდა მოგელაპარაკო, როგორც მამა კი არა, არამედ, გორც ჩვეულებრივი მეგობარი.

რის თქმა უნდოდა—ვეღარ შევიგენი. გაოცებული, მის სახეს დავაცქერდი. მამა ჩემმა ჩემი დაკვირვების შეკითხვის შინაარსი გაიგო, ამოიოხვრა და სთქვა:

ჩემო კარგო! ზოგჯერ მოულოდნელი უბედურების წინაშე მამაკაცებზე უფრო დედაკაცებს გამოუჩენიათ სიმხნევე. ადამიანები, ცხოვრების ყოველივე ბედნიერებას რომ ღირსებოდნენ, დღეს ქვეყნიერებაზე არც ერთი უბედური და დაჩაგრული არ დარჩებოდა. ყოველივე იმედს მწარე ნაღველი და ყოველივე ბედნიერებას უიმედოებად ქცეული მწვავე გაჰყრა მოყვება, ჩემო გოგუნია.

— მამა ჩემო შენმა სიტყვებმა ფიქრები დამიფრთხო. გთხოვთ თქვენი აზრი გარკვეულად განმარტოთ.

— შვილო! მე ისეთი მოვალეობა დამაკისრეს, რომ მისი თხრობა, ვერ უნდა გავბედო.

შეშლილივით ადგილიდან წამოვდექი და მამაჩემს ხელებზე მივეკიდე. ღმერთო ჩემო! ეს ხელები მთრთოლვარე და ყინულივით ცივი იყო. მე კი ჩახჩობილი ხმით:

— სთქვით ბატონო, სთქვით. მაგ ამბავს, რაც უნდა დამნავსავი იყოს მტკიცედ შევხვდები. ავიტან.

მამა ჩემის წამწამებზე ცრემლები ბზინავდა. მე თავისკენ გამწია, გულში ჩამიკრა და:

— მუნევერ! საბრალო ჩემო ბავშვო!—სთქვა და შემდეგ:—ეს ამბავი იმდენად მწარეა, რომ მან, შესაძლებელია, ბავშვობიდანვე შენს პაწია გულში შეზრდილი ტკბილი მიზნები და აზიზი იმედები სულ გაგიქარვოს. მაგრამ შენ შენი დედაკაცობის სიამაყე იმ უმადურის მიმართ უნდა დაიცვა.

— ღმერთო ჩემო, ეს უმადური შეფიკია, მამა ჩემო?

— სამწუხაროდ... დიახ, ჩემო გოგონია, მისი მამის ანდერძის სისრულეში მოყვანაზე უარი გამოაცხადა და შენთან შეუღლებასაც ერიდება.

მთელი ჩემი არსებობა საზარელი უიმედობით შემერყა. ერთერთი მთავარი ძარღვი გულისა მწყდებაო, მეგონა. თვალები დამიბნელდა, რას მელაპარაკებოდა, არ მესმოდა.

— როგორ? ამას შეფიკი მოითხოვს? ოოჰ!. ამას ის ლაპარაკობს, მამა ჩემო? შესაძლებელია, რომ შეფიკმა ჩემზე ხელი აიღოს? შესაძლებელია, რომ შეფიკმა მომიძულოს? ჩვენს წლოვანებასთან ერთად შეზრდილი, ჩვენი გულის სიღრმეში გამკვიდრებული სიყვარული განა შეიძლება ისე ადვილად ამოიფხვრას?

მამა ჩემი ცრემლ მორეულია:

— აფსუს, რომ... ჩემო შვილო, შენი ცხოვრების შემზარავი ეს ამბავი სინამდვილეა. თუ ისურვებ, შეფიკის ხელით დაწერილი ბარათი წაიკითხე და ჩემი მოვალეობის სიმძიმე გაიგე.

— არა, ბატონო, არა! ამ ბარათის წაკითხვა მე არ ძალმიძს. ეს მწუხარებას უფრო გამიძლიერებს. თქვენ მხოლოდ მისი აზრი მიბრძანეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმის აზრი შენს შერთვაზე ხელის აღებაა, ჩემო შვილო. ეს ერთ-ერთ ისე იცხოვრებთ როგორც დაჲ-ძმა. სიყვარული სიზმარი იყო. ერთი სიტყვით ყოველივე წარსული უნდა დაივიწყოთ.

— მაშ მისი აზრი და სურვილი ასეთი ყოფილა!? ძალიან კარგი, ასე იყოს. რაკი ეს შესაძლებელია მისთვის არა უშავს-რა; იქნებ ერთ დღეს მეც მოვახერხო მისი დავიწყება, მისი სიყვარულის აღმოფხვრა ჩემი გულ-ღვიძლიდან. მაგრამ შემიძლიან გავიგო მამაჩემო მიზეზი ასეთი უუფაქიზესი, ასეთი წმინდა-თაწმინდა სიყვარულის ფეხქვეშ გათელვისა, საბრალო გულის იმედების გაქარწყლებისა?

აქ მამაჩემი ძალიან მოიშალა, ამოიოხრა და:

— არ ვიცი, შვილო, არ ვიცი! ის მიზეზები გაუგებარია ჩემთვის.

— უჰ! არა ბატონო, მაპატიეთ, თუ თქვენი ახსნა ვერ მივიღე, შეფიკი თქვენ ყველაფერს გეტყოდათ.

— არ ვიცი, ამაზე დაჟინება ამაოა შვილო.

— თქვენ ნუ გაამხელთ, მამა ჩემო, არა უშავს--რა, მე მაინც ვიგრძენი, გავიგე. შეფიკმა მე ვიღაც ქალში გამცვალა, არა?

მამა ჩემმა თავი ჩაღუნა და—

— შესაძლებელია.—სთქვა.

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! გაგიჟებას ცოტა-ღა მაკლდა. მაშინვე ზეწა-მოვდექი. იქ გაჩერება ერთი წუთითაც აღარ შემეძლო. ისეთ ბურუსში გავეხვიე, ისეთ საწარღვნო უბედურებაში მოვიქეცი, რომ შესაძლებელი იყო მოუსაზრებლად მამა ჩემის წინაშე რაიმე დანაშაული ჩამედინა. მაშინვე ჩემს ოთახში ავედი, თითქო შეშლილი და გონებადაკარგული, ერთ სავარძელში ჩავიჩოქე ღმერთო ჩემო, რად არ მიყო მაშინ მიწამ პირი! თითქო ერთბაშად სული ამომხდა, ჩემი გული დაკვრით გაისრისა და სიყვარულის მაგიერ შიგ შეფიკის მიმართ დაუცხრომელი შურისძიების ცეცხლი გაღვივდა. მაგრამ როგორ?— ვფიქრობდი. უკეთ რომ ვსთქვა, მოფიქრება მინდოდა. ფიქრები კი ისე არეულ-დარეული მქონდა, რომ ვფიქრობდი, ვფიქრობდი და ამ ფიქრიდან კი არარა გამოდიოდა. ოჰ! ასეთი დამცირება მეტად მემძიმებოდა. შეფიკმა ჩემზე ხელი აიღოს, მე უარმყოს! შეფიკმა ვიღაც ქალში გამცვალოს! შეფიკმა თავის აღთქმა დაივიწყოს, პირობა დაარღვიოს დი სიყვარულის იმ ფართო გზაზე მე მარტოდ, ობლად დამტოვოს! მერე ეს შესაძლებელი იყო განა?! სულით დაბალო, უგრძნობელო, ბოროტო, გაბრწნილო! შენი მიზანი ჩემი სიცოცხლის მოშხამვა, ჩემი ნორჩი გულის მოკვლა იყო, განა!—ვლაპარაკობდი ჩემდათავად.

ამის შემდეგ რაღა უნდა მექნა? ცხოვრების ამ გაპარტახებული ველის სიმარტოვეში, ირგვლივ ჩემი დამაბნელებელი წყვდიადის ბურუსში მოქცეულს, რომელი იმედისათვის, რომელი მიზნისათვის უნდა მეცოცხლნა? ამასთან ერთად მიუხედავად შეფიკის ულმობლობისა და შეუბრალებლობისა, რომელმაც გამანადგურა, ჩემს გულში ვამბობდი:—„არა არა, არ დაიჯერო!“ ასეთი იმედების მხურვალე გრძნობა მაინც არსებობდა ჩემში. და იმავე დროს: „შორს, შორს!“ რა მაცდური გრძნობაა, რა უაზრო იმედია! მამის მიერ გადმოცემუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სიტყვების შემდეგ თქმა—შეფიკს კიდევ უყვარხარო, ... სიხარულია! ჩემი სიყვარულის დამამცირებელი, ჩემი მომავლის დამღუპველი ამ შეუწყალებელი კაცისაგან... რას მოველოდი? ამ გაცრუებულ წუთებში ჩემს გულში იმედების მომგვრელი, სულის მანუგეშებელი-თუ რამ შეიძლებოდა ყოფილიყო, მხოლოდ შურისძიების სურვილი იყო. დიახ, შური უნდა მეძია! იმის კვნესით, იმის მოსპობით უნდა დავმტკბარიყავი, რაკი მან ვიღაც ქალს მანაცვალ...

დღეები გადიოდა. მე ჩემი მიწყნარებული ოთახის ეს კუთხე ჩემ საცრემლოდ, ჩემ სამწუხარო უჯრედად მივიჩნიე. დარდის გამოჩენისა მრცხვენოდა, მეშინოდა, ჩემი ცრემლი არავინ დაინახოს მეთქი.

ჩემი მდუმარება საბრალო მამა ჩემს აწუხებდა. მას ჩემი უიმედობის საზღვარი ესმოდა. ჩემი ცხოვრების განმანადგურებელი ამ საზარელი ელდის საშიშროება იცოდა; ჩემი გართობისათვის, გამხნევებისათვის და ნუგეშისათვის ყოველგვარ განწირულებას ეწეოდა! გაყრილობის დარდისა და ნაღველით დალახვრული, ჩემი გულის გამკურნავ მალამოს დაეძებდა.

* * *

ამ ხანებში ჩემი მთხოვნელი ვინმე ერთის გამოჩენა, შეფიკისადმი ჩემ გულში შემონახული შურისძიების სისრულეში მოყვანისათვის, ერთადერთ საუკეთესო საშუალებად გადამეჭცა. ჩემი თავის განწირვით მისდამი შურისძიებაში, ერთ გვარ სიამოვნებას ვპოულობდი.

დედა ჩემი თანხმობის მიღებისათვის ჩემს ოთახში შემოვიდა. ჩემგნით უცნობი, სიყვარულით შეუსაბამებელი და სულაც შეუყვარებელი ვინმე ერთი კაცის მეუღლეობაში მოქცევა და შემდეგ კიდევ საურთიერთოდ იძულებითი ალერსის გაწევა და თანაც სულთქმამდე მასთან ერთად ცხოვრება, სრულიად არ მომგონებია და: „კარგი დედაჩემო“... მეთქი, და თანხმობა გამოუცხადე. ეს, ჩემი მეუღლე კი არა შეფიკის მიმართ ჩემი შურისძიების საშუალებად უნდა ყოფილიყო.

— ვინ იცის; შეფიკი ამის შეტყობის შემდეგ რა გუნებაზე დადგება? იქნებ მის მიერ ჩანადენი საქციელის მიმართ ჩემმა გულჩახვეულობამ, თავმოყვარეობამ იგი გააოცოს. ერთჯერ იყოს მაინც,—იმის გულიც მწვავე მწუხარებით მწარე სიმწვავით განიმსჭვალოს.

მე ჩემი საკუთარი ასრების გადამყოლს, ჩემ სამიზნო საშუალებად გამოსაყენებელი საბრალო ის კაცი კი არ მაგონდებოდა. ოოჰ!.. ყოველი დედაკაცის გულში გამჯდარი, მისი შინაგანი არსების კიბოსავით მღრღნელი და მოოხრებული ეს ღაზვიანობა, ეს საზარელი გრძნობა რომ არის, აი, სწორედ იმან მთელი ჩემი სულიერი მსჯელობა აღმიკვეცა. ამ მეტოქეობის ფიქრებით გატაცებული, იმის შეუბრალებელ უსამართლო და დაუნდობელ მტრად ვიყავ გადაქცეული.

ერთ წელიწადს კიდევ ნიქაჰბ-ის (ქაბინის) დაწერის შეჩერების პირობით, როცა თანხმობა გამოვუცხადე, დედამისაგან ჩემი ეს საქციელი განუსაზღვრელი სიამოვნებით იყო დაფასებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ჩავდიოდი, თავი როგორი უბედურების მორევში მქონდა ჩაგდებული, ამის შეგნებას მოკლებული, შეშლილივით არეული ვიმყოფებოდი.

აქ მუნეკვერმა, ცოტა ხანის გაჩუმების შემდეგ, თავი სავარძელს მიაყრდნო. თვალები სადღაც რაღაც საოცნებო საგანს მიაპყრო, გამოეწურა. ბაგეები სიმწარის აღმძვრელი ღიმილით აღეგრძო. გულ-ღვიძლის დამკაწვრელი რამოდენიმე ხველის შემდეგ კვლავ მე მომიბრუნდა და უიმედობის გამომხატველი იერით ისევ თავისას მოჰყვა:

„ასე ოცი დღე იქნებოდა განვლილი. დედაჩემი შემთხვევით სახლში არ იმყოფებოდა. იმ დღეს შეფიკის მოსვლა მაცნობეს. მისი ამდენ ხანს დაყოვნებისა და ჩემი შეურაცყოფის შემდეგ უეცრად კვლავ ჩემთან მოსვლა ძლიერ მაოცებდა. ამან მეტად ამაშფოთა. იმის დანახვით ჩემი წყლულების განახლება, მწუხარების გაძლიერება აღარ მინდოდა.

გულთა მონადირეე, მკვლელო ბოროტო! ჩემი მდგომარეობის ხილვით თავის გამართლებისა და ჩემ გულში კვლავ ახალი ლახვარის ჩაკვრის განზრახვით მოსულა! ოჰ, ღმერთო ჩემო! ადამიანი რომ ექიმი შეიქნეს ამისათვის, ნუ თუ ყოველგვარ გრძნობას, გულის ნადებს უნდა იყვეს მოკლებული?... თანაც ამას ვლაპარაკობდი და თანაც ის როგორ უნდა მიმეღო—იმას ვფიქრობდი. მომდურავი გამომეტყველების მიღებამ, მიუხედავად მის მიერ მიყენებული შეურაცყოფისა, არ აფიქრებინოს მას, ჯერ კიდევ მისდამი ჩემი სიყვირული მეთქი. თითქოს ყოველი წარსული დამევიწყოს, ისეთი ჩვეულებრივი და გულგრილი იერი ავისახე, როცა ოთახიდან უნდა გავსულიყავი. ის სულერთიანად გაყვითლებული ოთახში შემოვიდა.

მოულოდნელი შემხვედრელთა შორის შენიშნული ერთგვარი გაოცებულობის ორეოფობით ათრთოლდა და მხოლოდ ერთჯერ:

— უიმე!—სთქვა და შემდეგ დაუმატა:—თქვენი აქ ყოფნა არ ვიცოდი.

ერთგვარი ზეკაცური სიმხნევით ჩემი ზომიერების დაცვას შევეცადე და სრული სიმშვიდით:

— დიახ მე მითხრეს, ვიღაც სტუმარი არისო. თქვენ თუ იყავით, ვერ წარმომედგინა.

ჩემი ზომიერებით, სიმშვიდით და სიმტკიცით გაოცებულმა შეფიკმა სახეზე შემომხედა და ნელა ამოიოხრა.

ოჰ! ვერ გადმოგცემთ, შემოხედვაში როგორი სიმწუხარე, რა იდუმალი ნაღველი მეტყველობდა. მისი თვალების მტანჯველი გავლენა მთელ ჩემს სიმტკიცეს ანადგურებდა, ჩემი გულის სისხლით გაჟღენთილ წყლულებში ისარივით მესობოდა. მხოლოდ დღეს იყო, რომ ჩვენ ორივენი ამ მარტოობით წვალებას განვიცდიდით. თორემ არც მე და არც მას რაიმე სათქმელი აღარ დაგვრჩენოდა! უჰ! იმ დღის ნაგრძნობი გულის სიმწარე არამც და არამც არ მავიწყდება.

მან მეტად მწარედ და ნაღვლიანად:

— ბიცოლა აქ არ არის? როგორც სჩანს შეგაწუხეთ.

რად ყადრულობთ... არ მოიცდით?—მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თქმა უნდა ცოტა ხანს კიდევ მოცდა მინდოდა... მიტომ რომ თქვენი მოლოცვისათვის გიახელი.

ვიშ, ვიშ! ამ სიტყვის შინაარსში გამოხატული საყვედური, ჩემ მიერ განაცადი სიმწარის დავიწყებასავით საამურად შემექნა. „აი, დასაწყისი შურისძიებისა"—ვლაპარაკობდი ჩემს გულში.

შეფიკი თითქმის უილაჯო, დაღლილობით დაცემული სავარძელზე იჯდა. მთელი ჩემი გულის სიბრალულით მას შევსცქეროდი. ამ ოთხ თვეს მასში დიდი ცვლილება მოეხდინა. სახე გაჰყვითლებოდა, თვალების ელვარება გაჰქრობოდა, თითები კალმებივით დასწვრილებოდა, ბაგეებს თავისი ნამდვილი ფერი დაჰკარგოდა, თვალები ჩვეულებრივზე უფრო გადიდებოდა და მხედველობას ნაღვლიანი და ტკბილი სიმწვავე მისცემოდა. შუბლი გამსქვირვალებოდა და შავი წვრილი წარბები მის გაყვთლებულ სახეს ერთგვარ სილამაზეს და მოწყენილობას ჰგვრიდა.

ჩემი მისდამი შურისძიების სურვილებით გადაყოლამ, სინდისის ქეჯნა დამიწყო. აუცილებლად, უილაჯო, უიმედო ვისიმე სიყვარულის ეშხით ტანჯვაში ამდენად გაყვითლებულა, ამ ზომამდე გამოცვლილა მეთქი.—ვამბობდი. შესაძლებელი ყოფილიყო და როგორმე მისი ასე დამტანჯველი არსება მენახა და იმის გაბედნიერებისათვის, იმის შეწყალებისათვის, მის წინაშე მევედრნა!..

დიახ! შეფიკისადმი ჩემი ლმობიერობა და სიყვარული მე ასეთი განწირულობის გამოჩენას მიკარნახებდა. როცა ამ მოსაზრებით მას ვიკვლევდი, ის ზედიზედ წვრილად ახველებდა და გულის ფიცარს ხელით ისრესდა. გულის დამდაგველი ამ სანახაობის წინაშე, ცოტა დამრჩა.

„შეფიკ, ჩვენი ამ ახალგაზრდა ცხოვრების განთიადის ეშხს ნუ გააქრობ, მე ასეთ ბედნიერი მიზნის ნატვრაში მტრილას ნუ დამტოებ. მოდი, მე შენ ჩემი ამ სუფთა და უმანკო ეშხით გაგკურნო."—უნდა მეთქვა. მაგრამ ეს შევედრება მეტად დამამცირებლად მეჩვენა. ყოველივეს მოთმენა გადავწყვიტე.

მაგრამ მას ამ შინაგან არსებაში მომხდარი ბრძოლისა არა ესმოდა რა, თავი შემოატრიალა და:

— გათხოვებას აპირობსო, შენზე მითხრეს.

— თქმა არ უნდა, გესიამოვნებოდათ, არა?

შეფიკს ჩემი სიტყვები თითქოს არ გაუგონია, უცნაური შფოთით თავი შეატრიალა, შემდეგ უეცრივ ზეწამოდგა და:

— ჩემი მოვალეობა შევასრულე, ეხლა კი ნება მომეცით გიახლოთ. ჩემმა აქ ყოფნამ, შეიძლება აი ამ წუთშივე, ტკბილი გართობა მოგაკლოთ.—სთქვა.

ამ სიტყვაში რა ღრმა საყვედური იყო გამოთქმული!

კარებამდე გავაცილე. ამ დროს განმავლობაში ერთი სიტყვაც ვეღარ ამოვიღეთ. როცა კარებთან შევჩერდით, ჩემსკენ შემოტრიალდა... მის თვალებში ასეთი მწარე სიმწუხარე იხატებოდა, რომ ამის გადმოცემას ვერ შევძლებ. მერე ღრმა ოხვრასავით, მისი გულიდან ამოხეთქილი მწვავე ერთი ხმით:

— მუნევვერ! ხელს მომცემთ?—სთქვა.

ხელი გავუწოდე და მძიმედ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამიერიდან თქვენ „მუნევევერის“ სახელის წოდებას ერთი რამ მოვალეობა გიკრძალავთ. აწ „დაო“ უნდა მიწოდოთ...

ამ სიტყვებზე შეფიკი ერთი შებარბაცდა. ხელები გამიშვა და განწირულივით გარეულ გავარდა, წავიდა... თვალები გავადევნე. უკვე აღარ სჩანდა. ჩემი ხელების ჩამჭერი მისი ხელები, იმ ზომამდე ცხელი იყო, რომ ჩემი ხელების გულზე დიდხანს კიდევ მოქმედებდა. ოჰ! ის ასეთი ძლიერი ალმურის სიმწვავეს განიცდიდა, მე კი მას რისთვის არ მოვექეცი ლმობიერად! რათა... რად?

მეტადრე, სხვა დროებასთან შედარებით, დღეს რომ უფრო მიყვარდა, ამასაც ვგრძნობდი. ამასთან ერთად, რატომ იყო ამ ზომამდე უიმედო? მერე და, რისთვის თრთოდა ასეთი ამაღელვებელი ეშხი იმის თვალების საიდუმლოებათა სიღრმეში—ჩვენი ძველი სიყვარულის მამხილებელი ელვარება? ნუ თუ მე მხოლოდ მეჩვენებოდა ეს? ვინ იცის, იქნება შესძლებია ადამიანს ორჯერ შეყვარება! სჩანს, ეს შესაძლებელი ყოფილა მეთქი.—ჩემდათავად ვამბობდი, დიახ სჩანს რომ ერთი თუ მოსწყინდება, მეორის გამონახვა და შეყვარება ჩვეულებრივი მოთხოვნილება ყოფილა. თუ კი ᲨᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ სიყვარული ამას წარმოადგენს... მე ასე მეგონა, რომ ᲣᲠᲧᲔᲕᲘ გული პირვანდელი სიყვარულის სამარადისო დამტარებელი იქნება მეთქი.

საღამოზე, შეფიკის მოსვლა მამაჩემს რომ გადავეცი, მან ღრმად ამოიოხვრა და.

— საბრალო ბავშვი!—სთქვა,

ეს სიტყვა მეტად საოცრად, ძლიერ საეჭვოდ მეჩვენა. რას ნიშნავს,—შეფიკი, იყო საბრალო? ნამდვილი საბრალო, ნამდვილი შესაწყალებელი მე არ ვიყავი? მთელი ჩემი დღეები, ღამეები, კვირეები და თვეები აუტანელ წვალებაში და მწუხარებაში გადიოდა. მე ვცოცხლობდი გრძნობას, სიყვარულს, იმედს მოკლებული, გატეხილი გულით, სნეული სულით, ვითომდა ცხოვრებას ვეწეოდი. აწ კი შეფიკის შესახებ მაუბარი სახლში აღარ ისმის. და რომ ვისმეს საუბრის აღძვრის სურვილიც გამოეჩინა, მამა ჩემი მაშინვე მის მიჩქმალვას შეეცდებოდა. შეფიკის შესახებ ლაპარაკი მას რომ ძლიერ სტანჯავდა, ესეც მესმოდა.

მას შემდეგ, რაც შეფიკმა მინახულა, გავიდა სამი თვე. ერთ საღამოს შევეკითხე მამაჩემს: (არასოდეს არ დამავიწყდება—სუფრის გარშემო ვისხედით).

— როგორც სჩანს, ბატონ შეფიკს სრულებით აღარ შეხვედრიხართ, რომ იმის შესახებ ერთ სიტყვასაც აღარას ამბობთ.

დედამ გაოცებით შემომხედა. მამა დაიბინა და ნაძალადევად, უნებურად პირიდან გამოსწურა:

— მართალია, ამ დღეებში არ შეეხვედრივარ. როგორც სჩანს, კუნძულზე წასულან.

— როგორ, კუნძულზე წავიდნენ?

მამა ჩემი თავის სიტყვებს რომ ნანობდა, ეს ვიგრძენი. თავი მოიკრიფა და:

— არ იცი, ჩემო კარგო. შეფიკ პოეტობა უყვარს. ბუნების სანახაობისაგან, მსხემთა წვეულობისაგან და სხვა რამეებიდან სიამოვნებას ᲰᲞᲝᲣᲚᲝᲑᲡ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინეთ ერთ დღეს მითხრა: ბიძა ჩემო, გაზაფხულის მშვენიერის შესახვედრად წრეულს კუნძულზე მარტზე ადრე უნდა წავიდეო.

მწარე სიჩუმით მოვუსმინე და ვუპასუხე:

— თქვენი სიტყვები ჩემი დარწმუნებისათვის საკმარისი არაა, მამა ჩემო, მიტომ რომ შეფიკი შემოდგომის მოტრფიალეა. გაზაფხულის ფერადოვანსა და წარმტაც მშვენიერებაზე უფრო შემოდგომის მიცვალებული და გაყვითლებული ფოთლები უფრო უყვარს. კუნძულზე მისი წასვლა სხვა რაიმე მიზეზისათვის რომ მიგეწერა, უფრო კარგი იქნებოდა.

— ოო, მაშ ჩემი არა გჯერა?— გაიოცა მამამ.

— როგორ არა, მაგრამ ავად არ იყოს მეთქი.

ამ სიტყვებზე მამა ერთჯერ ათრთოლდა და დინჯად:

— ჯერაც ბავშობისაგან ვერ განთავისუფლებულხარ, მუნევვერ! ეს პირველჯერ არის, რომ, როგორც მამა, გიბრძანებ: შენი დამვიწყებელი, შენი უარმყოფელი კაცი ამიერიდან ერთი სიტყვითაც არ გაიხსენო: ეცადე დაივიწყო და აღარ ახსენო.

ატირებული, ჩემს ოთახში ავედი. ჩემი გულამოსკვნილი ტირილის შეჩერებისათვის პირში ხელცახოცი ჩავიჩარი. ოჰ! იმის სიყვარულს მიკრძალავდნენ. ეს შესაძლებელი იყო მერე? ბავშვობიდანვე ჩემი გულის სილრმეში დამკვიდრებულს, ჩემს სულიერ საკვებს, ამ ბედკრულ სიყვარულს რომ ჩემში ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრიდა, ამას არ ფიქრობდნენ.

აწ გაზაფხული იყო დამდგარი; აპრილის პირველი დღეები დაიწყო. ტყე და მიდამო ყვავილებით შემკული; ვარდის ფოთლებს შესხმა დაეწყო, ეშხით აღსავსე ბულბულები კოკორებს თავიანთი სევდა-ნაღვლით უგალობდნენ; ყოველი მხარე, მარადიულ სიცოცხლეს ითვისებდა, ყველას სახე სიამოვნებით ელიმებოდა. ყველა ბედნიერებით იყო კმაყოფილი. და ეს დრო ჩემი უბედურობის პირველი გაზაფხული იყო.

ერთ დღეს—ოჰ, არ ვიცი, როგორი დღე იყო იგი, მამაჩემის მიყრილ-მოყრილ ნაწერებში, ბევრი ძებნის შემდეგ ჩემთვის საყურადღებო ერთი ქაღალდი რომ ვეღარ ვნახე, იძულებული გავხდი დედაჩემის ნებართვით მამაჩემის საწერი მაგიდის დაკეტილი უჯრა გამეღო და იქ მომენახა ის ქაღალდი. ამ დროს მშვენივრად დალაგებულ ამ წერილებ შორის თვალი მოვკარი ერთ კონვერტს და უმალვე ვიცანი ხელი: „ბიძა ჩემს უნდა მიერთვას საკუთარ ხელშიო“. მაშინვე გიჟივით დავტაცე ხელი ამ ბარათს და ჩავიდევი უბეში. გონება მეკარგებოდა. საზიზღარი ქურდობის ჩამდენივით მორიდებით იქით-აქით ვიხედებოდი.

მამა ჩემის ოთახიდან სირბილით ჩემს ოთახში გავეშურე. კარები „ჩავიკეტე. გონების ძალა მეკარგებოდა. არ ვიცოდი რას ჩავდიოდი. გავშალე კონვერტი. სახარელი ცეცხლის ალმურით ვიწვოდი. ნეტა რა უნდა ეთქვა ამ ქაღალდს ჩემთვის?

ნეტავი უკეთესი იქნებოდა, რომ ეს წერილი წაუკითხავად ისევ დამედო თავის ალაგას? ასეთი რთული და ორეროფული გრძნობა, მწარე ნაღველით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამსჭვალული, ჩემს გულ-გონებას ატირებდა. ჩემი ტვინის ღრიანცელთა, ყურის გუგუნთა და გულის მღელვარებათა შორის, შინაგანი არსების გამოძახილებამ შემომძახა: „წაიკითხეო!“

მუნეევერი მიყუჩდა და წამოდგა, მაგიდის ცალი უჯრა გამოსწია. შავ ჩალთიდან გაყვითლებული ერთი ქაღალდი ამოიღო და ჩემთან მოვიდა. გრძნობიარე ძარღვები სასტიკად უღელავდა; თვალთაგან დიდრონი ცრემლები გაყვითლებულ ლოყებზე გორვით იწურებოდა.

ქაღალდი გამომიწოდა და ნაღვლიანად:

— აი, წაიკითხე.—სთქვა.

თავი ხელებში მოიქცია და კვლავ თავის სავარძელზე დაეშვა. ქაღალდი გამოვართვი. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ოთახი თითქოს მუნეევერის სულის სიღრმიდან ამონახეთქი სუნთქვის სიმწვავით იყო გაჟღენთილი. კვლავ შეუჩერებლივ წვიმდა. ფოთლები ნელ-ნელა ცვივოდა.

ბარათი გავშალე. ბწკარების უმეტესი ნაწილი ცრემლებით იყო წარხოცილი და ზოგიერთი ადგილები კი—კითხვის დროს გაფხრეწილი. პირვანდელი ბწკარი ასე იწყებოდა:

„ბიძა ჩემო!

უუაზიზესი არსებისათვის რომ სასიკვდილოდ დასჯილი თავის საქმროს უკანასკნელ წუთებში მონაწილეობა არ მიმეღებინებია და ოთხი წლის განმავლობაში, ჩემი შემბყრობი ამ ჭლექის სენით, დიახ, განძ±ნადგურებელი, ულმობელი ამ ავადმყოფობით ისიც რომ არ გამემწარებია, ამისათვის—გულღვიძლი ჩემი დავიფლითე, ზეკაცური სიმტკიცე გამოვიჩინე და ნუ თუ ასეთი მწარე განწირულება არ იქმნება სახეში მიღებული და ჩემი მკირედი თხოვნა იქნება თქვენ მიერ უყურადღებოდ დატოვებული? ჩემი ნატვრაა რომ, კიდევ ერთხელ ვნახო მუნეევერი. ამის ალღო უკვე გაქვსთ ალბად აღებული. და თუ იმის უნახავად მოვკვდი, სიკვდილთან ჩემი ბრძოლის წუთები აუტანელი იქნება.

მაგრამ მას არაფერი უნდა აგრძნობინოთ, მან არაფერი უნდა შეიტყოს, რომ ბოლოს ჩვენ სამარადისო გამოთხოვებას გაუძლოს.

ღმერთო ჩემო, ეს რა მწარე განწირულებაა! მე ის გაგიჟებით მიყვარდეს და იძულებული ვიყო ვსდუმდე! და მერე ჩემივე ხელებით, ჩემივე დასტურით სხვას დავუთმო! ღმერთო ჩემო! რამდენად მწარეა, ბიძა ჩემო! ეხლა კი ერთი წუთით ადრე ვნატრულობ ჩემს სიკვდილს, რადგან ამ ახლო მომავალში მუნეევერმა, ვინმე ერთი კაცის მეუღლეობა უნდა იკისროს. და ამის დანახვა ჩემთვის, ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩემ მიერ განაცადი სნეულობის, ყველა ტკივილებთან ერთად, თანასწორად მომქმედი, საზარელი წამებაა. საბრალოს ეს საქციელი იძულებული იყო და მიტომაც მასზე გულნაკლული არა ვარ. ახალგაზრდა ქალიშვილის იმედების გამცრუებელი, ვინმე ერთი უმადური მოტრფიალეს მიმართ მისაღები ზომები სამაგიეროს გადახდა იქმნება!..

მას რომ ჩემი ჭლექით დასნეულება სცოდნოდა, გეფიცები, ჩემზე ადრე მოუღებდა თავის სიცოცხლეს ბოლოს. მისთვის ერთ-ორჯერ გამისინჯავს პირი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარდაწყვეტილად უპასუხნია: თავს მოვიკლავო, და ასეთი პასუხით მეც საზარელ მდგომარეობაში ჩაუყენებივარ. ოო, რომ დაგენახად იმ დროს, ბიძა ჩემო, თუ როგორი ძლიერი ზრახვა, რა სიმტკიცე სიტყვისა გამოიხატებოდა მის გამომეტყველებაში? იქიდანვე გადავწყვიტე, ამ საგანზე ერთი სიტყვაც არ მეთქვა მისთვის. იმ დღიდანვე ჩემ სიცოცხლეზე უფრო საზრუნავი მუნეევერი შეიქმნა. ეს უილაჯო ქალიშვილი, ჩემი სამუდამოდ დაკარგვის შემდეგ, თუ რა სევდიან მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო, ამას რომ თვალწინ წარმოვიდგენდი მე ჩემი თავის დასაგმობელ მიზეზების ძებნას დავიწყებდი.

ბიძა ჩემო! მე რომ ყოველივე გულახდილად მოგახსენეთ და გთხოვეთ — ჩემი ეს განწირულება შესაფერათ მასაც აცნობეთ მეთქი, მაშინ თქვენ არა გჯეროდათ, ხომ? მაგრამ ექიმი სენის გამოკვლევაში არ შესცდება. სწორედ სამი წელიწადია, რომ ამ ავადმყოფობის, ახალგაზრდა ქალიშვილის იმედის, მომავლის, ბედნიერების გამაქარწყლებელი ამ საზარელი სენის კლანჭებში ოხვრავდი.

აი დღეს — ჭლექი მთელ ფილტვებში მომედო. ჩემი სიცოცხლის დღეები უკვე დათვლილია. ჩემი სიკვდილი ჭლექის გარდა სხვა რაიმე ავადმყოფობას მიაწერეთ, თორემ მუნეევერი ყველაფერს გაიგებს; საჭიროება მოითხოვს, რომ ჩვენი შეუღლების შესახებ ჩემ მიერ მიცემული პირობის დამრღვევი მიზეზები სამარადისოდ მოიქცეს საიდუმლოების წყვდიადში. მიტომ რომ, ჩემი გარდაცვალების შემდეგ, მისი ცოტათი მაინც მანუგეშებელი, და ჩემი დაკარგვის გამო მის მიერ გადასატანი იმ ძლიერი ჭმუნვის შემამცირებელი მიზეზები, ისევ ჩემი სიკვდილის, სხვა რაიმე ავადმყოფობაზე მიწერა უნდა შეიქმნეს.

ამასაც გთხოვეთ, რომ ხანდახან ჩემ შესახებ მასთან ჩამოაგდოთ ლაპარაკი. მიყვარდა როგორც დაი — უკანასკნელ წუთებამდე, სულთქმამდე. ესეც გადაეცით... აწ კი ხელებში და თვალებში ძალა მეკარგება. იმის დანახვის იმედებით იქნებ ორ-სამ დღეს კიდევ ვიცოცხლო!"

ბარათის წაკითხვა გავათავე, თავი ავწიე და მუნეევერს რომ შევხედე, ის საბრალო უკვე ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

რა ხანს შემდეგ, თავისი ნაღვლიანი თვალები მე მომაბყრო და, მწუხარებით, ერთი კილოთი:

— წაიკითხეთ! — მკითხა.

ამ სიტყვას მოჰყვა მკაცრი ნაწყვეტიანი ხველა. როცა ხელსახოცი პირთან მიიტანა და ნახველი მოიწმინდა, დავინახე, რომ იგი სისხლის ლაქებით იყო დასერილი. გული საშინლად ამტკივდა.

თავდაუზოგველი მუნეევერი თავის სისხლიან ხელსახოცს უცქეროდა და თვალები ველური სიამოვნებით უკრთოდა. მერე ბუტბუტის მსგავსად:

— უჰ! სიკვდილის სინაზემაც დამღალა. წაიკითხეთ, არა? — სიტყვად ამოიოხრა და განაგრძო: — ოჰ! სინამდვილე მთელი თავისი უბედურებით, მთელი თავისი სიმწარით გამოაშკარავებული იყო.

ამ ბარათმა მე უულრმეს და უუწყვდიადეს ჯურღმულებში მიმაბყრობინა თვალები. შეფიკის მიერ ამ რამდენიმე წლის წინეთ ბალში ნათქვამი სიტყვები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგონდებოდა. ყოველივე რატომ უფრო ადრე ვერ მოვიფიქრე? მდაგველს, გამაპარტახებელ ღაზვიანობის გრძნობას, თითქოს ჩემ თვალწინ რაღაც დაუდეგრობის ფარდა ჩამოეფარა. თავს ვიმტვრევდი. გულ-მკერდს ვიკაწრავდი და „ოჰ! ეს დედაკაცობა, დედაკაცობა რომ არის მეთქი“,—ჩემდა თავათ ვლაპარაკობდი.

ბარათი რამდენჯერმე წავიკითხე. რამდენადაც წავიკითხე,—თავის მოკელის განზრახვით ფანჯარასთან მივირბინე. იქედან თავის გადაჩეხვა, ტვინის დანთხევა მოვიწადინე. მაგრამ საბოლოოდ იმის ნახვის სურვილმა ეს საქციელი მე შემაჩერებინა. მაშინვე გავეშურე. საათს დავხედე. რაც უნდა მომსვლოდა, ერთი წუთით ადრე იმის დანახვისათვის, თავის გასაწირავად, ყოველივე დაბრკოლების გადასალახავად მზად ვიყავი. ვითომდა ამის შემდეგ რაღა უნდა მომხდარიყო?

მაგრამ, აფსუს! მზე ჩემს ბედნიერებასავით ესვენებოდა, ქვეყნიერება ჩემი იმედებივით, წყვდიადში იმოსებოდა.

ჩემდათავათ ოთახში გიჟივით ვლაპარაკობდი, ვფართქალობდი, თავს კედლებს ვახლიდი. რაღა დროს! ყოველივე ამაო იყო. ბარათის რიცხვს დავხედე ორი დღით ადრე იყო გამოგზავნილი, ვინ მოიტანა—ჩემთვის გამოურკვეველი იყო. როგორც სჩანდა, მამაჩემის სახლში არ ყოფნის დროს მოეტანათ. დედაჩემსაც, რა კი წერა-კითხვა არ იცოდა, საწერი მაგიდის ფარულ უჯრაში ჩაედვა.

საზარელი საიდუმლოების მამხილებელი ამ შემთხვევისათვის, ათასჯერ მადლობას ვიხდიდი. იმ საღამოს ავადმყოფობა მოვიგონე და სავახშმოდ არ ჩავედი. მამაჩემიც დაგვიანებით მოსულა, ვახშმის უჭმელობა, ამავე დროს მეტად დაღონებული და სასოწარკვეთილი იერი, ჩაკეტილ ოთახში მარტოდ მომწყვდევაც—გადაცეს. მე ამას არ დავუფიქრდი. მხოლოდ ერთ საგანზე მქონდა მიქცეული მთელი ჩემი ყურადღება. დღით იმის სანახავად უნდა წავსულიყავი. ეს ფიქრი სიმხნევეს, ძალ-ღონეს მიბრუნებდა. მის წინაშე ფიცის მიღება ჩემ მიერ მიყენებული წვალების გამო, მისგან შენდობის მოთხოვნა, უკანასკნელი მისი სიტყვების მოსმენისა და მისი საწოლის გვერდით ჯდომა—აი ამით გაძლომის სურვილებით ვწვებოდი.

მე იმის უკანასკნელ წუთებამდე იქიდან, იმის საწოლის გვერდიდან, არავის არ უნდა მოვეცილე. ჩვენ ორივენი ერთად უნდა მოვკვდარიყავით. ის სასსნეულო საწოლი ორ მიცვალებულ არსებისათვის სასვენებელ ტახტად უნდა გამხდარიყო. შემდეგ ორი კუბო ერთმანეთს უნდა გაჰყოლოდა, ორ საფლავს, ეს ორი საბრალო არსება თავის მარადიულ მკერდში უნდა ჩაეკრა და ეს ცივი, შავი მიწა ჩვენი ქორწინების საბედნიერო ბინად უნდა ყოფილიყო. ცხოვრების ამ აუტანელი სიმწარისაგან თავდახწევის შემდეგ, ამიერიდან განუყრელად, ერთად უნდა ვიმყოფოთ, ჩვენი ეშხის გალობის სმენაში სამარადისო ძილს უნდა მივცეთ ჩვენი თავი.

აი ეს ფიქრები ატირებულ ჩემ სულს ცოტათი ანუგეშებდა. იმასთან ერთად სიკვდილის სურვილმა იმ ღამეს, გათენებამდე ჩემში ჩამქრალი სანუგეშო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობები აღმიძრა და სიამოვნებით დრო გამატარებინა. გული და გონება იმედებით აღმევსო. ბოლოს და ბოლოს, ზიანით დამთავრებული ამ სიცოცხლისაგან, ყოველთვის რყევაში მყოფნი, ამ წუთისოფლიდან ჩვენ ორივენი ბედნიერსა და მშვიდობა დამყარებულ მეორე, ურყევსა და უცვლელ სამყაროში ვიხიზნებოდით.. იმ ღამეს გათენებამდე ჩემს თვალებს ძილი არ მოკარებია. მამა ჩემი ჯერ კიდევ ალიონზე წასულიყო. ამის მიზეზი დედა ჩემს შევეკითხე.

— არ ვიცი.—მიპასუხა.

მე მეტად კარგ გუნებაზე დამდგარი გამომეტყველება გამოვიჩინე იმ დღეს, ცოტა გასეირნებისათვის, დედა ჩემს ნებართვა მოვსთხოვე. დედა ჩემს გაუხარდა:

— წადი, გაიარ-გამოიარე, თავი გაირთეო.

ნახევარ საათში უკვე ქუჩაში ვიყავი. ეტლით ჩავედი ოქროს რქის ხიდთან. გემში ჩავჯექი. ხან ვსტიროდი, ხან სულელივით ვიცინოდი. ჩემს გვერდით მყოფი ერთი ქალი, ჩემი მდგომარეობით გაოცებული, სახეზე მიცქეროდა. ოჰ, ნეტავი რა მდგომარეობაში უნდა მენახა ის? ნეტა ერთხელ მაინც მეთქვა მისთვის:

— შეფიკ, აი მუნევვერი შენთან ერთად სიკვდილის გასაზიარებლად მოვიდა.—ამ სიტყვების თქმის სურვილი როგორ მიდაგავდა გულს!

ღმერთო ჩემო, იმ დროს საკუთარი თავის გარდა რატომ სხვა არა მაგონდებოდა-რა? უკანასკნელად რომ მნახა, რატომ არ გამაფრთხილა მისმა უილაჯო გამომეტყველებამ, მისი ხელების სიმხურვალემ და მისმა შეწყვეტილმა. ზედიზედ მოყოლებულმა ხველამ?

კუნძულის ნავთსაყუდელზე ფეხი რომ შევდგი, მობიბინე სურნელოვანმა ნიავმა ყნოსვა მომიალერსა. იმ დღეს, გაზაფხულის ისეთი მშვენიერი, იმდენად გულ-გონების გამამხიარულებელი დღე იყო, რომ მზე თავის ნათელი ღიმილით სულს ატკბობდა. ცა თავისი ულაშაზესი ფერით, საუცხოო სანახაობას წარმოადგენდა. ყველას ხელები, მკერდები და კალთები ყვავილებით ჰქონდა სავსე. ყოველ სახეში სიამოვნების ნიშნები კრთოდა, ყველა იცინოდა, საუბრობდა და თავის მხიარულებას იჩენდა. მზის მხურვალე გულ-მკერდზედ მისვენებულ ზღვას ეძინა. ნავთ-საყუდელზე თავმოყრილ ხალხის სიმრავლემ ძლიერ ცუდს მდგომარეობაში ჩამაყენა.

ბუნების მშვენიერებანი მე, ჩემი ატირებული სულით, განადგურებული ბედნიერებით, დღე-დათვლილი სიცოცხლით, სიმწარით და ჩემი გლოვიაობით თავის შექცევად მეჩვენებოდა. დღეს, წმინდა გიორგის დღესასწაულის გამო, კუნძულზე მიმავალი ხალხი იმდენად ბლომად იყო თავ-შეყრილი, რომ ადამიანი, ათასი რამ დაბრკოლებით, ძლივსღა გადასდგამდა ერთ ნაბიჯს.

ნელ-ნელა სიარულის დროს, უნებლიეთ უეცრივ შევჩერდი. ნავთ-საყუდელთან ახლოს ერთ-ერთ კაზინოში პიანინოსა და ქამანჩის შეერთებული ჰანგებისაგან შემდგარმა გულ-საკლავმა ბგერამ სული ამიბარბაცა. ეს კი სამგლოვიარო ჰანგივით დამამწუხრებელი იყო. ნაღვლიანი, ათრთოლებული და მგლოვიარე ქამანჩა თითქოს ვისმეს სამუდამოდ ეთხოვებოდა და გულ-ამოსკვნილი სტიროდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ამ ადგილს უნდა მოვცილებოდი, თავი უნდა დამეხწია, გულ-ღვძლის საადაგველად ატირებული ამ მუსიკის მოსმენა უნდა მიმეტოვებინა და სიკვდილის ჟამს, საბოლოო სიყვარულის იმედით, ჩემს მოლოდინში მყოფი საბრალო შეფიკისათვის უნდა მიმესწრო. აწლა მე ამ ქვეყანასთან, სიცოცხლესთან და ადამიანებთან რაიმე ხორციელი დამოკიდებულება აღარა მქონდა-რა.

რამდენიმე ჩქარი ნაბიჯი გადავდგი. რაც უნდა ყოფილიყო, ერთი წუთით ადრე ჩემ საწადელ ადგილს უნდა მივსულიყავი. ამ დროს, ჩემთან ერთად თანამოგზაურმა ახალ-გაზრდა სუსტმა ქალმა, მკლავი სანაპიროსაკენ გაიშვირა.

— ღმერთო ჩემო, მცხედარს მიასვენებენო!—იკივლა.

თავმა ბრუ, ყურებმა წივილი დამიწყო. მცხედარი!.. ამ საზარელი სიტყვის გაგონებაზე ჟრუანტელმა დამიარა მთელს არსებაში. მაშინ, აი სწორედ მაშინ, საზარელი უფსკრული გადიშალა ჩემს წინაშე. თავი შევატრიალე და ჩემი თვალი გულის გამგმირავ სანახაობას წააწყდა. მიცვალებულის გამსვენებელი ხალხი ნაპირის ერთ მხარეზე მოყრილიყო და იქ, მიყენებულ ნავზე, თხელი და გრძელი კუბოს გადატანისათვის ზრუნდავდა. ხალხის ცოტა იქით ორი კაცის მკლავებზე დაყრდნობილი ერთი მოხუცი ხელსახოცით ცრემლებს იწმენდდა. ოჰ, მე ის უკვე ვიცანი! მამა იყო ჩემი.

აწ კი გათავებული ვიყავი. აწლა მსოფლიოს მთელი თავისი უბედურება მთელი თავისი საზარლობა, აი იმ დღეს, სწორედ იმ დღეს ჩემს თავზე მოექცია.

ის უკვე ხელიდან იყო წასული—უნახავად, საბოლოო სიტყვების მოუსმენლად, უკანასკნელი სურვილების შეუსრულებლად. მე კი მასთან ერთად სიკვდილის გაზიარების ბედნიერებასაც კი მომაკლო.

იმ წამსვე მწვავე და გულსშემზარი კივილით ზღვისკენ გავეშურე. იმასთან შესაყრელად თავი ზვირთებისათვის უნდა მიმეცა. აფსუს, რომ... რამდენიმე ძლიერი მკლავი ჩემ წინ გადაღობილი, გადულახავ დაბრკოლებად გადიქცა. მაშინ იმ მწარე უბედურების განცდით, ათრთოლებული, გიჟივით ყვირილი მოვრთე:

— გამიშვით!.. გამიშვით!..

აწ კი ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. რანაირად ვიყავი, რა ჩავიდინე? გემში როგორ მიმიყვანეს? როცა თვალი ავახილე, დავინახე რომ გემის ოთახში ვარ და რამდენიმე უცნობის ლმობიერ მფარველობაში და წყალობაში ვიმყოფები. მაშინ ფანჯრისაკენ გავეშურე... აფსუს!.. იმის კუბოს წამღები ნავი კართალის (ადგილის სახელწოდება) მიმართულებით მისცურავდა, შავი ფრინველივით ცისფერ მდინარეზედ მიფრინავდა.

მე მხოლოდ მას,—მთელი ჩემი იმედების, ჩემი ნატვრის გამსვენებელ ნავს ვუცქეროდი და მეორეჯერ ზღვაში გადავარდნას ვფიქრობდი. მაგრამ, ჩემზე მოქცეული რამდენიმე წყვილი თვალი ერთგულად მდარაჯობდა. ჩვენმა გემმა ჰეგშელის კუნძულის წინ მიაწია. საბრალო შეფიკის ნავი შავი წერტილივით, ჩემს უიმედო თვალების წინ დაპატარავდა. ბოლოს მისი დანახვა შეუძლებელი გახდა. ზღვის ზედაპირზე უნიშნოდ გაჰქრა... ჩემს მხედველობაში მოქცეული ცისფერი ზღვის ტალღების გარდა, სხვა აღარა დარჩა რა!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ... მაშინ მე, ქვეყნიერებაზე უმწეოს, უნუგეშო ობოლს, სიმარტოეს გრძნობა ყოველ ადრინდელ წვალებაზე უფრო განმანადგურებელი შემექნა. არ ვსტიროდი. თვალებიდან ერთი წვეთი ცრემლიც კი არ მომდიოდა. თვალების ცრემლები თითქოს ორთქლად ქცეულიყო და მთელ არსებას მომდებოდა. ვიწვოდი, აუტანელი ერთი ცეცხლით ვიწვოდი. ზოგჯერ ძლიერ მციოდა, თითქო ცივ ტალღაში ჩავარდიო. მწყუროდა ხან ხარხარი და სიცილი, ხან კიდევ ჩემი გაოხრებული ბედნიერების სანახაობის ჩარჩოს წინაშე ტირილი. ისეთი წუთებიც განვიცადე, რომ ჩემს თვალებს ცისა და ზღვის ფერადობა მგლოვიარობის ნაღვლით და მარადიულობის სიბნელით მოცული ეჩვენებოდა. ცისკიდურების თეთრი ნისლები მაღლიდან დაცემული მუქი კვამლებით გაშავდა.

მთელი ჩემი არე სიბნელის წყვდიადმა მოიცვა. ყურის წვივილებთან ერთად საზარელმა ხმაურობამ გონება შემირყია. ჩემი საჯდომიდან სავარძელების ქვეშ გადავგორდი. მერე რა მომივიდა, აღარ მახსოვს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა თვალი ავახილე, ვიგრძენი, რომ ჩემი დედა ჩემს თავთან სტიროდა. მე კი ეს ქვითინი რაღაცა წარმოდგენასავით მესმოდა. დედაჩემის ხმა, სიტყვები არაფერს მეუბნებოდა. ყოველივე ეს მონაბერ ქროლვასავით ჩემ შუბლზე გადადიოდა. უსულო საგანივით ყველაფერს ვხედავდი, მაგრამ ყოველივე ამის მისაწვდომ გონიერების ძალას ვიყავი მოკლებული.

გონება ჩემი მხოლოდ ერთი საგნით იყო გართული. ჩემს პირდაპირ მუდამ ქამს იმავე სურათს ვხედავდი:

ცისფერი ზღვის ტალღებზე დამცურავი დიდი ნავი. იმ ნავის თავთან მჯდომარე, ერთი მოხუცი ზედ გაწყობილი თავისი წითელი ფესით (ფესკა) და გრძელი, თხელი კუბო!...

მაშინ, იმ დროს ჯოჯოხეთის ალმურში ჩემს წვა-დაგვასა ვგრძნობდი და კივილს მოვყებოდი. ამის შემდეგ თავზე ცივს რაღაცას დამადებდნენ. ამ სიგრილით თითქოს სიცოხლე მიახლოვდებოდა. მესმოდა დედა ჩემის ქვითინი:

„მუნეევერ!“—პასუხს ვერ ვცემდი. ხოლო რა ატირებდა, ამის გამო გაოცებული ვიყავი და დედას უაზროდ შევყურებდი.

კვლავ თვალ წინ მიდგებოდა ისევ ის დიდი ნავი, ის გრძელი კუბო. ამ სანახაობის წინაშე დიდის წამებით ვფართქალებდი. ტირილი, ამ კუბოსკენ გაწევა, მასზე გადახვევა მინდოდა. გაყვითლებული ერთი ლანდი წინ მელობება, ჩემ დასაბრკოლებლად მკლავებს მაწვდის... მისი ცისფერი თვალების სუსტი და უფერული მხედველობა ზედ მომეყრობა. ბაგეები აღეძვრება ჩემზე გაჯავრებული, რაიმე სიტყვის თქმას მოინდომებს. მე ვერ გავუგებ. ყოველთვის იმავე სიტყვებს იმეორებს, შემდეგ მკვნესარე ჩურჩულივით ეს სიტყვები ყურში მომესმის: „შენ რომ აღშფოთებით გნატრობდი, რატომ არ მოხვედი?“ აი ამ შეკითხვის სიმწუხარის ტვირთის ქვეშ ვიდრიკებოდი, უუსასტიკეს წამებაში ვოხრავდი, მუშტებით თავპირს ვიმტვრევდი.

ერთ დღეს, თვალები რომ ავახილე, ჩემს ირგვლივ ყველანი ვიცანი. ხმა რომ ამოვიღე, დედა ჩემი სიხარულით გაგიჟებული, ჩემთან მოვარდა და რა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უნდა ეთქვა, აღარ იცოდა. მე კი, უსაზღვროდ გაოცებული შევყურებდი და არ მესმოდა. დედა ასე რად იყო აშლილი.

— ღმერთო ჩემო!—იყვირა დედა ჩემმა ტირილით: სწორედ ორი თვე გავიდა... აი ეხლა კი მორჩა. შენ დამიბრუნე შვილი, უფალო! დიდება შენდა, ყოვლად ძლიერო!

ეს მხოლოდ პირველად იყო რომ ვსტიროდი. და ეს ცრემლები, ჩემ მიერ ნაგემი უბედურების გავლენით ცვივოდა. დედა ჩემი, უმწეო დედაკაცი, სამუდარო და სამოწყალო თვალით შემყურებდა და ამბობდა:

— შვილო, ღვთის გულისათვის იყოს, აწ მე შემიბრალე... აბა შემხედე ერთი, დედა როგორ გევედრება, როგორ სტირის.

დედა ჩემის ამ სიტყვებმა, ღმობიერების აღმძვრელმა გამომეტყველებამ იმდენად იმოქმედა ჩემზე, რომ იმის გაყვითლებულმა სახემ, ჩაღრმავებული თვალების ნაღვლიანობამ გული მომიკლა.

— კარგი, ეხლა ნულარ ინაღვლებ. აი, ხომ ხედავ ვცოცხლობ,—ვანუგეშე მე.

სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ორი თვის ბრძოლის შემდეგ ისევე სიცოცხლე! ყველას ჩემი სიცოცხლის იმედი დაჰკარგოდა. ექიმებსაც კი ჩემი განკურნების შეუძლებლობა ეთქვათ. საზარელ საოფლის ბასრ კლანჭებში მიტოვებული, როცა ჩემი სიკვდილის მოლოდინში იმყოფებოდნენ, მე კვლავ გადავრჩი. თურმე ღვთის მიერ მონიჭებული სიცოცხლის შემოკლება, რა მიზეზითაც იყოს, შესაძლებელი არ ყოფილა! მე ასე ვფიქრობდი რომ იმასთან სამუდამო გამოთხოვების შემდეგ ჩემთვის ერთი წუთითაც შეუძლებელი გახდება მეთქი სიცოცხლე. რა დიდი შეცდომა მომსვლია!

მაგრამ იმედი მეძლევა, რომ ჩემი სიცოცხლე დიდხანს არ გასტანს. ბოლოს და ბოლოს, ჩემმა შემპყრობელმა სენმა ჩემს ნანატრ სიკვდილს უნდა შემყაროს.

ერთ ხანებში დედამაც და მამამაც ჩემი შეუღლებისათვის იმ ზომამდე ძალა დამატანეს, რომ კინაღამ გამაგიჟეს. ამისათვის ზეკაციური ძალა მესაჭიროებოდა.

მათი მოსაზრებით, შეუღლება ჩემს გულზე მალამოს მოცხება და იმ საზარელი იარების ტკივილების დაცხრომა იქნებოდა. რაღა დროს!...

ოჰ!... დედაჩემი საბრალო დედაკაცია. ჩემი ამატირებელი, ჩემზე ძალის დამტანი ის იყო. არ ვიცი ჩემს წყლულებზე ლახვარის ჩაცემაში, ჩემს გულში სისხლის ჩაქცევაში რა გემოვნებას ჰპოულობდა.

თითქოს ასეთი საქციელით მანუგეშებდა, მართობდა. რამდენად ფუჭი, რამდენად უშინაარსო მოსაზრებაა!... უმწეო ჩემი დედიკო, რამდენად მებრალებოდა ის! მაინც ჩემი შემბრალებელი, მწუხარების ზომის გამომცნობი არავინ იყო. ჩემი სიცოცხლის ყოველივე სიტკბოების, ჩემი მომავლის უუაზიზესი იმედების, საფლავის სამარადისო წყვდიადში მოქცევის შემდეგ ქვეყნიერებაზე ჩემთვის რაიმე მოსალოდნელი, რაიმე სასურველი შესაძლებელი იქნებოდა რომ ყოფილიყო?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იქმნა, ეს მე ვერავის ჩავაგონე. ამასთან ერთად, ამ არეულ-დარეულობაში მე მუდამჟამ ავადმყოფობაში, ყოველთვის სასტიკი ბურანის ქვეშ ვძაბუნდებოდი. ერთ დღეს ხელსახოცით პირი მოვიწმინდე. იგი სისხლის ლაქებით დაისვარა. აი სწორედ იმ დღეს, შეფიკის გარდაცვალებიდან დაწყებული პირველჯერ იყო, რომ მე სიამოვნება ვიგრძენი.

მიტომ რომ, ეს სისხლის ლაქები, ჩემი იმასთან მარადიულად შეყრისა უტყუარი მახარობელი იყო. ღმერთო ჩემო, იმასთან შეყრის იმედებით სიკვდილი, რა ზომამდე ტკბილი, რამდენად შესაყვარებელი მოლოდინი იყო! იმასავით ხველა, იმასავით სისხლის გადმოფურთხება—როგორ ნუგეშსა მცემდა.

— ჰაერი უნდა გამოიცვალოს.—სთქვეს ექიმებმა.

ამ სიტყვებმა დედ-მამა დამიფრთხო, მიტომ რომ იმ საბრალო შეფიკის მოსავლელი ზომაც ეს იყო. მხოლოდ მაშინ გაიგეს, რომ ეს სენი ჩემი გამანადგურებელი, საზარელი და მომსპობი იყო. აქ გადმოვიხიზნეთ. მამა ჩემმა ზამთარ-ზაფხულ აქ ცხოვრება გადაწყვიტა. ვითომდა ამ ჰაერს ჩემი ჯანმრთელობა უნდა დაებრუნებინა. მე უნდა გავეცოცხლე.

მუნევვერმა ფანჯარის გვერდზე მიაყრდნო თავი. ხელსახოცი პირისახეზე ჰქონდა მიფარებული და სტიროდა. გულში ჩამწდომი სევდით ოხვრავდა. წვიმა ნალვლიანი ჰანგით ჩამოდიოდა, ფოთლები ნელ-ნელა ცვიოდა. აწი იმაზე ნუგეშის მიცემა რომ ამაო იყო, ამას კარგად ვგრძნობდი. მისი ჭმუნვარე ტირილი გულ-ღვიძლს მიგლეჯდა და თანაც იმ შავ ტანისამოსს, იმ აწეწილ თმებს, იმ გაფითრებულ სახეს, იმ დანამულ თვალებს შევყურებდი და უიმედობასა და მწუხარების გამომხატველი სულიერი ძეგლის წინაშე ვიმყოფებოდი, —მეგონა.

მუნევვერი გულამოსკვნილი სტიროდა. მე გვერდში მივუჯექი.

— მუნევვერ, სად არის შენი აღთქმა, რომ ასეთს დანაღვლებულ და ატირებულ ჟამს ის არ უნდა გაგეხსენებინა? ვუთხარ.

ჩაფიქრებული და აცრემლებული თვალები მომაპყრო და:

— ოჰ!... დიახ, მართალს ლაპარაკობთ. მე ის ეხლა ცრემლ მორეული სიცილით უნდა გავიხსენო, რადგან მან მითხრა მე: „შემოდგომა შენთვის სანეტარო ჟამად უნდა გადიქცეს! ყვავილების დამწუხრებამ, ფოთლების ჩამოცვენამ შენ სული უნდა გაგიხაროს; აი, ასეთ გახარებულ მდგომარეობაში უნდა გამიხსენო მეო“.

მუნევვერი ამ სიტყვების შემდეგ წამოდგა და მეტად მწვავე კილოთი დაუმატა:

— აი, წვიმა მოდის, ფოთლები ცვივის, მეც ვხარობ და, შეფიკ, შენმა სულმაც გაიხაროს!

შემდეგ ფანდური მკერდზე მიიდო და ისევე თავის ალაგას დაჯდა. მერე, მეტად მწვავე და მომქმედი შესავალის შემდეგ:

„აწ კი ერთობ შევიწყვიტე მწუხარების მოლოდინი.
შემოდგომავ, სანამ გახვალ, დანთხეს ჩემი სული, ტვინი“.

ამ სიტყვებით დაიწყო დაკვრა და თანაც ფანდურზე ჩამოეშვა თავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებიც დახუჭა! ფანდური დაკოდილი გულის მწარე ტკივილებით მწუხარე ბგერით სტიროდა:

„თუ აქვს კიდევ ოთხი-ხუთი დღე ჩემ სიცოცხლეს დანარჩომი,
შენთან იყოს დღენი ჩემი საბოლოოდ მოსაწვდომი
შემოდგომავ, სანამ გახვალ, დანთხეს ჩემი სული, ტვინი.

ეს ხმა იყო მუნევვერის დამწვარი გულიდან ამოხეთქილი ერთი ღრმა ოხვრა და ამ ქალის თავზე დატრიალებულ უბედურებათა ნაღვლიანი გამოძახილი. ჩემი მეგობარი უკვე მეტად დალლილი იყო. ფანდური გვერდით მოიდო და სავარძლის საყრდნობს მიადო თავი, რამდენჯერმე დაახველა, მკერდზე ხელი მოისვა და შემდეგ ჩემსკენ მოტრიალდა:

— უკვე ჩემ უბედურ თავგადასავალს გაეცანით. აწ ჩემი საქციელი თქვენ აღარ გეოცებათ, არა?—სთქვა და დაუმატა: აი წელიწად-ნახევარი სრულდება, რაც გიჟივით უიმედო და უნუგეშო მდგომარეობაში ვცხოვრობ. ზოგჯერ მწუხარების სისასტიკეს ვეღარ ვძლევ და დილიდან საღამომდე სულ ცრემლებს ღვრი; ზოგჯერ ერთი წუთით ადრე სიკვდილთან შეყრისათვის, თვითმკვლელობის ჩადენას მოვიწადინებ. რომ იცოდე, ჩემო დაო, როგორ მეშინიან ამ სიცოცხლისა! ზოგიერთი ჭლექიანები დიდხანს ცოცხლობენ ხოლმე. მეც რომ გამიგრძელდეს სიცოცხლე... საზარელია, საზარელი!

მუნევვერის სიტყვებზე—პასუხის მიცემა მიძნელდებოდა. ამ მწარე და მწვავე სიტყვების შემდეგ კვლავ ფანდური აიღო ხელში და თავის სულისა და გულის გამატიალებელი წარღვნა წამოვიდა. წვიმამ ცოტათი გადაიღო. წყლის ფოშფოშები ცის კიდურების მიმართულებით იბნეოდა. მთებს წამობურული მწუხარების ზეწარი აეხადა, ნისლები ნელ-ნელა იწეოდნენ, არემარეს ისეთი საამური სანახაობა მიეღო, რომ ადამიანი ცქერით ვერ გაძღებოდა. ყოველი მხრიდან მონიავებული მიწის ტკბილი სურნელობა იყნოსებოდა. ხის შტოებზე დარჩომილი წვიმის წვეთები ნელი ნიავის შერყევით წაპ-წუპით მიწაზე ცვიოდა.

მუხევვერი და მე ბუნების ამ დამნაღვლებელი სანახაობით გაოცებული ვიყავით, ჩემი მეგობარი ამბობდა:

— შეხედე, იმ ჩამოცვენილ, სიცოცხლეს გამოთხოებულ ფოთლებს... საბოლოო სიცოცხლის მაჩვენებელი, სამაგალითო, რა მწვავე და მწარე სურათის ჩარჩოს წარმოადგენს! როცა ადამიანი საღი თვალებით ამის დალუპვას ხედავს, მაშინ ის ფიქრობს, რომ ყოველივე ბედნიერებას თან დაჰყვება უბედურება, ყოველივე სიცოცხლეს—სიმწარე და ყოველივე მომწიფებას—წარმავლობა.

როცა მუნევვერი ამ სიტყვებს ამბობდა, ნიავმა ფანჯარის წინ ლაილაქის ხეს გაყვითლებული ფოთოლი მოაცილა და მუხლებზე დაგვიგდო. ჩემმა მეგობარმა შემოდგომის უბედურების შეხვედრილი ეს ფოთოლი ალერსით აიღო ხელში და ქინძისთავით თმებში დაიმაგრა. ბაგეებზე ანგელოზის ღიმილი მოადგა, ხელები გაიჭიმა და:

— დაო, რას ვფიქრობ, იცოდე!—და კვლავ განაგრძო—ერთი წლის შემდეგ მომავალ შემოდგომაზე ფოთლები ჩემ საფლავზე ასე ნელ-ნელა ჩამოცვივნას რომ დაიწყებს, ჩემ სანახავად იქ უნდა მოხვიდე. შემოდგომის ფოთლები, ნაღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანი შრიალით შენს ფეხებ ქვეშ რომ მოიქცევიან, მაშინ იმ ორ სამარეს შორის, ჩვენს Შარადიულ სავანეს მწვავე, მგლოვიარე, ნანინა მოუყევი. ამის პირობას იძლევი?...

რა პასუხი მიმეცა, აღარ ვიცოდი. მხოლოდ ხელი მოვკიდე და მეც ავტირდი. იქნებ ჩემი ტირილი მან თანხმობის ნიშნად მიიღო.

ერთი თვის შემდეგ გადასახლებულ მამაჩემის სანახავად სტამბულიდან უნდა გავსულიყავი. ჩემი იქ დარჩენა რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, გადაჭრით არ ვიცოდი. მაგრამ შვიდი წლის უნახავი და მუდამ ჟამს ნანატრი მამა ჩემის შეხვედრიდან, ერთ წელიწადზე ადრე რომ ვერ დავბრუნდებოდი, ეს ცხადი იყო.

მუნეევერთან ჩვენი გამოთხოვება, მეტად მწვავე და მწარე იყო. მწუხარებასთან, ნაღველთან, ნატვრასთან ერთად მარტოკად დარჩენილი ამ საბრალო გოგონას ძლიერ ეტირნა. დიახ, ის დღე ჩემი სისოცხლის მოგონებათა მეტად მწვავე სურათის ერთი ჩარჩო არის. ორივემაც ბევრი ვიტირეთ, რადგან ორივემ ვიცოდით, რომ ჩვენი გამოთხოვება იყო საბოლოო, მარადიული. მუნეევერი გადამეხვია და თმებზე კოცნა დამიწყო:

— მე დარწმუნებული ვარ, როცა უკან დაბრუნდებით, მე ვეღარა მნახავ მაგრამ გთხოვ, რომ ჩემ საფლავთან მოხვიდე, ყოველ შემოდგომაზე. ეს ჩვეულებად გაიხადე. ფოთლების ჩამოცვევნის დროს ჩემი სული შენს მოლოდინში რომ იქნება, ეს არ დაივიწყო...

ამის პასუხი ენით კი არა, არამედ ჩემი თვალებიდან დაღვრილი მწუხარების ცრემლებით გავეცი. მაგრამ გულით კი ეს პირობა წმინდათა წმინდა მოვალეობად მივიჩნიე.

ერთ ღამეს შავი ზღვის კიდეზე დაძრული ხომალდის ოთახში მარტოკა ვიჯექი და მუნეევერზე ვფიქრობდი. ზღვით მოგზაურობის დროს ჩემი ნანახის ერთი ნაწილი ფოსტით მივაწოდე. ბოლოს, რვა დღის მგზავრობის შემდეგ, ჩემი ჩასვლა თოკადში მას დეპეშით ვაცნობე. ეხლა კი ჩემ დროს ანატოლიის ამ მიყრუებულ, მივიწყებულ დაბა-ქალაქში მისგან პასუხის მოლოდინში ვატარებდი. მიწით შელესილი, შავსახურავებიანი სახლები მთელ დღეს ს[illegible] ამწუხარეს მიმატებდა.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში იყო, რომ ჩამოვედი სტამბოლს, და იმ დღესვე: „ოცდა ხუთი დღის წინეთ შენი მეგობარი მუნეევერი გარდაიცვალაო“— ეს გულშემზარავი ამბავი გადმომცეს. მათ სახლში მისვლას, მისი დადაგული დედის ნახვას ვერ ვბედავდი. ერთ დღეს მგლოვიარე დედა თითონ მოვიდა ჩემთან. ტირილით გულში ჩამიკრა. დიდხანს ერთად ვიტირეთ. მუნეევერის სიკვდილის ჟამი გადმომცა:

— სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სულ თქვენზე ლაპარაკობდა. თქვენ მოგელოდათ, თქვენზე წერილის მოწერისათვის ბევრი იზრუნა, მაგრამ ვეღარ შესძლო. თვალებში, ხელებში ძალა აღარ დარჩენოდა. ბოლოს, ჩვენთან ლაპარაკის დროს სიცილში ჩიტივით გაფრინდა, ანგელოზივით ძილს მიეცა. მე ასე ატირებული დამტოვა და წავიდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრალო დედაკაცი ტირილით თან ამ სიტყვებს ამბობდა, თანაც მოტანილ ფანდურს მე მაწვდიდა და მეუბნებოდა:

მიიღეთ ეს... ჩემმა ქალიშვილმა თქვენ ეს ფანდური მარადიულ სახსოვრად დაგიტოვათ.

მაშინათვე ჩამოვართვი ეს ძვირფასი სამახსოვრო. და როცა საყვარელ მეგობარივით მისი გულში ჩაკვრა მინდოდა, ზედ ფანქარით წარწერილ შემდეგ სიტყვებს მოვკარი თვალი:

„როცა მე მოგენატრო, როცა ჩემი ცრემლების, ჩემი ღიმილის შეტყობა მოისურვო, მაშინ დაუკარი ეს. ამის სიმებში ჯერ კიდევ ჩემი მწუხარება, დარდი და ნაღველი იმყოფება.

თანახმად მისი ანდერძისა, რამდენჯერმე მათი საფლავი ვინახულე. იმ საფლავების ქვებზე არა ერთხელ მომიბნევია შემოდგომის გაყვითლებული ფოთლები.

ამ ორი საყვარელი არსების მიერ მუდამჟამ ნანატრი მიწა შემოდგომის ფერმიხდილი ყვავილებით შევამკე...

თარგმნელი—**მეჰმედ აბაშიძე**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა მხატვრობა
და
ჯუგლიცისტიკა

მიხ. ზანდუკელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ორბელიანი და მისი შემოქმედება.

(1800—1883 წ.წ.)

I

გრიგოლ ორბელიანი ჩვენი ახალი მწერლობის ერთი უდიდესი წარმომადგენელთაგანია. იგი მეტად დამახასიათებელი და საინტერესო ფიგურაა ჩვენი ახალი მწერლობის ისტორიის განვითარებაში.

გრიგოლ ორბელიანი ალ. ჭავჭავაძის თანამედროვეა, მისი შემოქმედების მიმდევარი, როგორც რომანტიზმის გაღრმავება-გაფართოებაში ჩვენი მწერლობის და ცხოვრების სინამდვილის ნიადაგზე, ისე აღმოსავლური მწერლობისადმი, შეიძლება ითქვას, უკანასკნელი ხარკის მიმცემი, საიათნოვა-ბესიკის ჩანგის ჰანგების კვლავ ძალუმად ამჟღერებელი.

გრ. ორბელიანის შემოქმედებას ჩვეულებრივი (ჩვენი აღორძინების ხანის და მა-XIX-ტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერლებისათვის) ნიადაგი და სულიერი საზრდო აქვს.

გრ. ორბელიანი, როგორც ჩვენი მწერლობის უმრავლესობა, ბრწყინვალე წოდების ღვიძლი შვილია ხორცითაც და ფსიქიკითაც. ის თავისი მსოფლ-შეხედულებით საშუალო საუკუნოების წარმომადგენელია. მისი იდეალი იქ, წარსულშია, სადაც წინაპარმეომარნი „ქუხილის მსგავსი ხმით ქვეყანას სძრავდნენ“ და მტრის ქალაქებს „ხელის ბაირაღით ძირს სცემდნენ“. ასეთი სახე გრ. ორბელიანისა აშკარადა ჩანს მთელს მის ცხოვრებაში პრაქტიკული მოღვაწეობა იქნება ეს, თუ პოეტური შემოქმედება, ან კერძო მიწერ-მოწერა [1]). ახალმა დრომ და ცხოვრებამ მხოლოდ გარეგანი შესამოსელი შემოახვია მას. გარდაქმნა და გამოცვლა მისი ვერ შესძლო.

მეორე მხრით, საქართველოს მაშინდელმა პოლიტიკურმა და სოციალურ-

---

[1]) მე შესაძლებლობა მომეცა შემესწავლა გრ. ორბელიანის მდიდარი არქივი მიწერ-მოწერით კერძო და ოფიციალურ პირებთან. ეს არქივი შეკრებილია ცენტრალურ არქივში. აქ მრავალი საინტერესო მასალაა დაგროვილი. სხვათა შორის 1832 წ. შეთქმულების შემდგომ ჟანდარმერიის მიერ წართმეულ გრ. ორბელიანის ქაღალდებში აღმოჩნდა ექვსი აქამდის გამოუქვეყნებელი ლექსი პოეტისა და პირველი 1827—1832 წ.წ. დაწერილი ვარიანტი „სადღეგრძელოსი“. (იხილე „მნათობი“ 1926 წ. № 7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიურმა მდგომარეობამ თავისებურად აამოძრავა, ააჟღერა და აამეტყველა ჩვენი მწერლების ჩანგი. ქარგის არმთქმელი და არც მომასწავებელი აწმყოთი უკმაყოფილონი, „ძველის დიდების“ დამკარგველნი, ისტორიული „ნაშთის“ მზერის მეოხებით წარსულში გადადიოდნენ და იქ ეძებდნენ დამამშვიდებელს და საიმედოს. ოცნება „ძველს დიდებაზე“ ავსებდა მათ აწმყოში ცარიელ ცხოვრებას, და ეს წარსული რაღაც რეალურ სამყაროდ გადაიქცა მათთვის. ამ წარსულს ისინი მეტად მწვავედა ჰგრძნობდნენ. ეს ერთი უდიდესი დამახასიათებელი თვისებაა საერთოდ რომანტიკოსებისათვის, ხოლო კერძოდ, და ვიტყვით განსაკუთრებით, ჩვენი რომანტიკოსებისათვის.

აი სხვათა შორის ამით აიხსნება, რომ ჩვენი რომანტიზმი, რომელიც დამკვიდრდა და განვითარდა ძალუმი ელფერით და ნაკადით ჩვენს მწერლობაში არა მარტო მე-XIX-ტე საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ მთელი მე-XIX ტე საუკუნის განმავლობაში და გადმოკიდა თითქმის მე-XX-ცე საუკუნეშიც, აღმოცენებულია უმთავრესად ეროვნულ ნიადაგზე. ამ შემთხვევაში ჩვენი მწერლობის რომანტიზმი ძალიან წააგავს დასავლეთ სლოვიანების—ჩეხების და პოლონელების მწერლობას. მათ ობიექტიური ისტორიულ-პოლიტიკური პირობებიც ხომ მსგავსი აქვთ!

მაგრამ, როდესაც ჩვენი მწერლობის რომანტიზმის ეროვნულ ხასიათზე ვლაპარაკობთ და გრ. ორბელიანის შემოქმედება ამ თვალსაზრისითაც გვინდა განვსჯიტოთ, საჭიროა შ მდეგ საკითხებში გავერკვიოთ:

ა) გრ. ორბელიანის შემოქმედებაში არის თუ არა ეროვნული მოტივი?

ბ) თუ არის, როგორი ხასიათისაა ან ძალის ეს მოტივი?

გ) თვით გრ. ორბელიანი მართლა დიდი პატრიოტია?

ამ საკითხების გარკვევა საჭიროდ იმისათვის მიგვაჩნია, რომ ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში ეს საკითხიც, როგორც გრ. ორბელიანის მთლიანი შემოქმედება, ჩვენის შეხედულებით ჯერ არ არის მთელის თავის სერიოზობით განხილული და შესწავლილი. [1])

ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში გაბატონებულია შეხედულება, რომ გრ. ორბელიანი დიდი პატრიოტია და ამისათვის მისი შემოქმედებაც ეროვნული ხასიათის მატარებელია. ზოგს ჰგონია კიდეც, რომ სწორედ დიდმა ეროვნულმა გრძნობამ გრ. ორბელიანის პიროვნება „გააორა“[2]). გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედების ძლიერი ეროვნული ნიადაგი რომ დაამტკიცონ, მთელ მის ბიოგრაფიას აღიარებენ საწინააღმდეგო მასალად მისი შემოქმედების ახსნისათვის [3]). „მისი ბიოგრაფია:—სწერს კიტა აბაშიძე,—არავითარ ნათელს არა ჰფენს მის მწერლობას. და წინააღმდეგ ეს მისი ცხოვრების მატიანე გვარწმუნებს იმაში, რომ ხშირად, ძალიან ხშირად განსაკუთრებით ეს

[1]) ჩვენ მხოლოდ გვინდა ცდა მოვახდინოთ ასეთი შესწავლისა, დამყარებული ფაქტიურ მასალაზე რომელიც მივიღეთ გრ. ორბელიანის არქივის შესწავლის შემდგომ.

[2]) ვ. კოტეტიშვილი—„ქართული ლიტ. ისტ.“

[3]) კიტა აბაშიძე—„ეტიუდები“ ტ. I გვ. ალ. ხახანაშვილი „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (მე-XIX-ტე საუკ.), ვ. კოტეტიშვილი—„ქართ. ლიტ. ისტ.“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მწერლების ისტორიაშია ხშირად (რადგანაც, [illegible] ჩვენი მწერლობის ისტორია და ჩვენი მწერლების ბიოგრაფია სრულიად შესწავლილი არ არის!—მ. ზ.) მწერლის შინაგან არსებისა და მის გარეგან ცხოვრების შორის ხიდია ჩატეხილი და გარდაუვალი უფსკრულია დამკვიდრებული. რა უნდა იყოს საერთო იმ გრ. ორბელიანს შორის, რომელმაც, რაც უნდა ვსთქვათ, ძალიან მძლავრად ააღერა პატრიოტული თავისი ჩანგი და იმ გრ. ორბელიანს შორის, რომელსაც დედამიწაზედ ერთად, ერთ საყურადღებო ცენტრად, ერთად-ერთ წერტილად თავისი ოჯახობრივი ინტერესი მიჩნდა და ზურაბიანთ გვარეულობის დაცემასა და საქართველოს დაღუპვასა ერთმანეთს უკავშირდებდა.»[1])

კიტა აბაშიძის ამ აზრს ვ. კოტეტიშვილი იმეორებს, მხოლოდ ცდილობს უფრო გააძლიეროს ეს აზრი: „გრიგოლ ორბელიანის ხანგრძლივი სიცოცხლე, —სწერს კოტეტიშვილი,—სავსეა შთაბეჭდილებებით, განგაშით და შინაგანი თუ გარეგანი დიდებით. მაგრამ ამასთანავე გაორებული პიროვნებაა: საქართველოს უდიდესი პატრიოტი და რუსეთის ტახტის ერთგული ქვეშევრდომი; 1832 წ. შეთქმულების მონაწილე და 1865 წელს ტფილისის აჯანყების („ბუნტის") იარაღით ჩამქრობი (ჩვენ კიდევ დავუმატებდით: 1841 წელს გურიის ამბოხების ბოლოს მომღები—მ. ზ.): თავისუფლების დიდი მოტრფიალე (?), „ნალი ვარგის აღსარების" მთარგმნელი, „იარალის" ავტორი და შამილის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი, ტლანქი მეომარი, რომელიც სისხლიანი ხელებით თავ-მომწონე წერილებსა სწერს თავის მახლობლებს"...[2]) და ბოლოს გრ. ორბელიანის ცხოვრებიდან სხვა და სხვა ფაქტებს ჩამოსთვლის და დაასკვნის: „უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი პოეტი დიდი პატრიოტია. მას უყვარს ყველა, მაგრამ სამშობლოს ყველაფერს ანაცვალებს,"[3])

ჩვენ კი გვგონია, რომ, თუ გრ. ორბელიანის ცხოვრებას, მის პიროვნებას (როგორც ეს გვეხატება არსებული ფაქტების მიხედვით), ერთის მხრით, და მის შემოქმედებას, მეორეს მხრით, მეტის გულისხმიერებით ჩავუფიქრდებით, დავრწმუნდებით, რომ ზემო-მოყვანილი შეხედულება და საბუთიანობა სწორი არ არის. თუ მეტის ყურადღებით გავითვალისწინებთ გრ. ორბელიანის ცხოვრების ობიექტიურ პირობებს, შესაძლებელია მისი პიროვნების ასეთი „გაორება", მის ცხოვრებისა და შემოქმედების შორის წინააღმდეგობა, მისი დიდი პატრიოტობა და აზრი, რომ ის „სამშობლოს ყველაფერს ანაცვალებს", მცდარი და ზერლე გამოდგეს.

ჩვენ, პირიქით, აშკარად გვეხატება გრ. ორბელიანის პიროვნების, ცხოვრების და შემოქმედების შეთანხმება, იგივეობა და მთლიანობა.

გრ. ორბელიანის მთელი ცხოვრება თავისი დიდებით, პატივით, ბრძოლით, თავისი ბუნების დიადობით და წვრილმანობით ტიპიური, ბუნებრივი და დამახასიათებელი მოვლენა იყო იმ პირობებისა, რომელშიაც ის დაიბადა, აღიზარდა, შეივსო და მოქმედობდა.

---

[1]) კიტა აბაშიძე—„ეტიუდები". ტ. I. გვ. 33.
[2]) ვ. კოტეტიშვილი—„ქართული ლიტ. ისტ." გვ. 96.
[3]) იქვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრ. ორბელიანი ტიპიური წარმომადგენელი იყო ჩვენი თავად-აზნაურობის ნაწილისა, რომელიც რუსეთის ბარბაროსულ დამკვიდრებას უმტკივნეულოდ მაინც ვერ შეურიგდა, თუმცა ის წინააღმდეგი არ იყო რუსეთთან შეერთებისა. როდესაც ეს ჯგუფი მოღვაწეთა ჰხედავდა, რომ ქართველი ერის მრავალწლოვანი კულტურა, სისხლით დაცული და შენახული უფლება-წესწყობილება ილახება და იგინება, გული სტკივათ, სევდა და ჭმუნვა მოიცავს მათს არსებას. მაგრამ ეს უკმაყოფილება მალე სადღაც გულის სიღრმეში იმალება, ხშირად შეუცნობელიც კია. ისინი ახალ ხელისუფლებას მაინც მშვენივრად ეგუებიან და „ჩინოვნიკობის“ კიბეზე ასვლაში, ჩინ-მენდლებით გულის დამშვენებაში, ახალი ხელისუფლების სამსახურით გადიდკაცებაში ერთგვარ შეჯიბრებასაც კი აჩაღებენ.

თავისი ერის და სამშობლოს მდგომარეობა მათ ხშირად მაშინ აკვნესებს, როცა ისინი მათ გულს შემთხვევით მოწოლილ ნაღველს ჩაუკვირდებიან, ან როდესაც ქეიფის დროს „ღვინით გახურებულ შუბლს“ „კოჯრის ნიავი გაუგრილებთ“, ააფორიაქებს მათ შინაგან სამყაროს და გულის სიღრმიდან გრძნობებს ზევით ამოატივტივებს. რუსეთის პოლიტიკა, რომ ქართველები „სხეულით ქართველები უნდა იყვნენ, ხოლო სულით რუსები“ ამ ჯგუფებისათვის სრულიად მისაღები შეიქმნა. ამ მოთხრვნილებას ხშირად მეტად ენერგიულად და მათთვის თითქმის უმტკივნეულოდაც კი ატარებენ, როგორც პირად, ისე საზოგადრებრივ ცხოვრებაში (რუსული ლაპარაკი შინ თუ გარედ. რუსული წერა, გვარების ოვ-ზე დაბოლოება, შვილების რუსულად აღზრდა, ადვილათ და უკრიტიკოდ გადმოღება რუსულ ჩვეულებათა).

ერთი კი უნდა აღინიშნოს ამ ჯგუფის მოღვაწეთა სასარგებლოდ, ეს ის, რომ, როდესაც რუსეთის უხეში პოლიტიკის უხეში გამტარებელნი-მოხელენი თავიანთ საზიზღარ მოქმედებაში საზღვარს სცილდებოდნენ, მეტად ამლაშებდნენ უფრო პირადი ანგარების მიზნით, მაშინ ეს ჯგუფი აიმაღლებდა ხოლმე ხმასა უსამართლობის და ძალ-მომრეობის წინააღმდეგ. თუმცა ამ შემთხვევაშიაც, არ სცილდებოდნენ ოფიციალურ კილოს და ფარგლებს, რომელშიაც კრძალვით იცავდნენ ქართველთა შელახულ ინტერესებს, სინამდვილეს ხშირად არბილებდნენ კიდეც და ამასთან ერთად ხაზ-გასმით ისწრაფოდნენ გულწრფელი უქვეშევრდომილესი გრძნობანი გამოეცხადებინათ. ასეთი იყვნენ თავად აზნაურთა შარშლები—მაგ. საუკეთესო მათგანი: ელიზბარ ანდრონიკაშვილი და სხვანი, მრავალი ჩვენი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ასეთია ჩვენი პოეტი გრიგოლ ორბელიანიც და ეს სრულიად ბუნებრივია. ასეც უნდა ყოფილიყო.

მაშ გავეცნოთ მას.

გრ. ორბელიანი მეფე ერეკლე მეორის ქალის ელენეს შვილი-შვილი იყო. მამამისი დიმიტრი (ზურაბი) რუსების შემოსვლისთანავე დაწინაურებული იყო რუსის სამსახურში. იგი უზენაეს სასამართლოს „ზასედატელად“ იყო დანიშნული; ის საკმარისს ერთგულებას იჩენდა ახალი ხელისუფლების განმტკიცებაში. რუსის სამსახურში ყოფნა და რუსეთის ტახტის ერთგულება საკმარისად აკმაყოფილებდა მის თავმოყვარეობას და პატივმოყვარეობას.

მართალია გრ. ორბელიანის ოჯახი ნათესაურად იყო დაკავშირებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ხელისუფლების დამყარებით უკმაყოფილო მეფის წულებთან—ბატონიშვილებთან; მართალია გრ. ორბელიანისათვის და მის ოჯახისათვის უცხო და დაფარული არ იყო თავად აზნაურთა ზოგიერთ წრეებში და მთელი ქართველ ხალხში გამეფებული საერთო უკმაყოფილება, მით უმეტეს, რომ გრ. ორბელიანი აღიზარდა და ცხოვრობდა სწორედ იმ უდროობის ხანაში, როცა იმედ-გაცრუებული, ეროვნით მოცული ქართველი ერი ამბოხების რკალში სისხლით იწრიტებოდა; მაგრამ ყველა ამასთან, მართალია, ფაქტია ისიც, რომ გრ. ორბელიანი მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, შეიქნა ერთი უერთგულესი მოხელე რუსეთის ტახტისა და ერთი თავდადებული მეომართაგანი, რომელმაც თავისი ნიჭით, მოქმედიანობით და ერთგულებით ხელი შეუწყო რუსეთს მთელს კავკასიაში და კერძოდ საქართველოში „ცეცხლითა და მახვილით“ დაემკვიდრებინა თავისი ტლანქი ბიუროკრატიული ხელისუფლება.

უდაოა, რომ გრ. ორბელიანმა კავკასიის დასაპყრობად ის მახვილი აღიღო, რომელითაც საქართველოს დამოუკიდებლობა დაეცა.

გრ. ორბელიანი მთელი თავისი ცხოვრება-მოქმედობით და პოეტური შემოქმედებითაც განსახიერებაა ტიპიური ფეოდალური აზროვნების, რომლისათვისაც „წასულ დროებზე“ დარდი და ტირილი უფრო იმდენად იყო ძრიელი, რამდენადაც ეს ტირილი პირადი დამოუკიდებლობის და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი როლის დაკარგვით იყო გამოწვეული. დიდი პატრიოტული გრძნობა კი გრ. ორბელიანს, ჩვენის აზრით (რამდენადაც ჩვენი აზრი დამყარებულია გრ. ორბელიანის ოფიციალურ და კერძო მიწერ-მოწერაზე და მის პოეტურ შემოქმედებაზე), არასოდეს არ ამოძრავებულა.

ასეთი შეხედულების დასამტკიცებლად და გრ. ორბელიანის ღვაწლის სწორი დაფასებისათვის საჭიროა გავერკვიოთ მისი ცხოვრების დამახასიათებელ მომენტებში მაინც, გავეცნოთ მის სულიერ განცდებს და შევადაროთ, რამდენად მჭიდრო კავშირია მის ცხოვრების, სულიერი განცდის და მის პოეტურ შემოქმედების შორის.

დავიწყოთ პირველით:

ზოგიერთი კრიტიკოსი გრ. ორბელიანის დიდი პატრიოტობის დასამტკიცებლად აღნიშნავს მის მონაწილეობას 1832 წლის შეთქმულებაში.

გავერკვიოთ ამ ფაქტში.

ჩვენ ვიცით, რომ 1829 წელს ტფილისში ქართველ თავად-აზნაურთა წრეში დაარსდა ფარული საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებას. ამ საზოგადოების მოთავენი იყვნენ ოქროპირი და დიმიტრი ბატონიშვილები, თავად-აზნაურნი: ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, გ. ერისთავი, მამუკა ორბელიანი, ი. ფალავანდიშვილი, ბერი ფილადელფოს კიკნაძე და სხვანი. შეთქმულობის გამომჟღავნება მოხდა 11 დეკემბერს. ია ფალავანდიშვილმა გასცა, და ყველა მონაწილენი დატყვევებულნი იქნენ. ეჭვი მიიტანეს გრ. ორბელიანზედაც, რომელიც ამ დროს ნოვგოროდში მსახურებდა. არსებული დოკუმენტები გვეუბნება, რომ გრ. ორბელიანი ამ შეთქმულების აქტიური წევრი არ იყო. ის მონაწილე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდენად, რამდენადაც, როგორც თვითონ სრულებით გულ-უბრყვილოთ ეუბნება ჟანდარმის გენერალ-ადჯუტანტს ორლოეს, მისი ახლო ნათესავი და მეგობარი იყო თითქმის ყველა მონაწილე შეთქმულებისა. გამოძიებამ დაამტკიცა რომ გრ. ორბელიანს მეტად მცირედი „დანაშაული“ ჰქონდა ამ საქმეში. იმას ასაბრალებდნენ, როგორც ავტორს „იარალის“ და გადმომთარგმნელს რილეევის „ნალივაიკის აღსარებისა“. ამისათვის გამოძიებამ მას მცირე დანაშაული წარუდგინა და დამნაშავეთა მეშვიდე კატეგორიაში ჩარიცხა, რის შემდეგაც ის განთავისუფლებული იქნა და „ლინიაზე“ გაიგზავნა სამსახურში. ერთ-ერთს თავის წერილში აი ამის შესახებ რასა სწერს საქართველოს დედოფალს: „ჩემს გასამართლებლად,—სწერს პოეტი,—მხოლოდ იმას მოგახსენებთ მოკლედ, რომ მართლ-მსჯელებმა სრულებით გამამართლეს მე... ასე რომ თვით ჩემს ფორმულიარშიაც არა სწერია, რომ იყო ჩემზე სლედსტვიე. უბედურება ჩემი იყო მოულოდნელი და ჩემის გამოუცდელობის გამო“.[1])

გრ. ორბელიანის ეს სიტყვები აშკარად გვეუბნება, რომ მისი ამ შეთქმულებაში მონაწილეობა მის პატრიოტობას, განსაკუთრებით „დიდ პატრიოტობას“ არ ამტკიცებს.

რომ გრ. ორბელიანი, მართლა იმდენად საქართველოს დიდი პატრიოტი არ იყო, რამდენად რუსეთის ტახტის ერთგული მოხელე, რომელმაც მის ბედნიერებას ყველაფერი ანაცვალა, ამას თვით გრ. ორბელიანის მთელი მოღვაწეობა და არა ერთხელ ნათქვამი და დაწერილი სიტყვები ამტკიცებენ.

აი რასა სწერს ის ნიკო ჭავჭავაძეს 1877-1878 წ. წ. რუსეთის ოსმალოებთან ომის დაწყების წინ: „განა სლოვიანები ღირან იმ სიხლად, რაოდენიც დაიღვრება რუსთაგან?... ან რომელთა სლოვიანებმა უჩვენეს ძმობა და ერთგულება რუსებსა? გულით, სულით ვწუხვარ, ღამე არ მაძინებს ეს წყლული“.. და განა მართლაც მთელი ცხოვრება და განსაკუთრებით სამხედრო სამსახური გრ. ორბელიანისა ამას არ ამტკიცებს? „უბედური შემთხვევის“, (როგორც თვით გრ. ორბელიანი ეძახის 1832 წლის შეთქმულებაში ჩათრევას) განთავისუფლების შემდეგ კვლავ იქმნა სამხედრო სამსახურში გამწესებული. ამ ჟამიდან გრ. ორბელიანი მთელი თავისი დიდი ენერგიით და გამჭრიახობით შეუწყვეტლივ განაგრძობდა რუსების მოხელეობის კიბეზე საკმარისი სიმკვირცხლით და სიმტკიცით ასვლას ყოველივე დამსახურებული დიდებისა და პატივის მოპოებით. ასეთი წარმატება სამსახურში მას უდიდეს სიამოვნებას და ბედნიერებას ანიჭებდა.

მაგრამ სჯობია თვით მასალები ავალაპარაკოთ:

1843 წელს გრ. ორბელიანი დანიშნეს ავარიის ხანად (მმართველად). ეს თანამდებობა მეტად საშიში და საპასუხისმგებლო იყო. მას უნდა დაემთავრებინა ავარიის დაპყრობა და იქ განემტკიცებინა რუსეთის ბატონობა. აი ამის შესახებ რასა სწერს პოეტი თავის ძმას ზაქარიას: „ვიცი ეს ისეთი ადგილია, რომ ან ამწევს მაღლა, ან სრულიად ძირს დამცემს.“[2])

მართლაც აქედან იწყება გრ. ორბელიანის სამსახურში წარმატების ახალი

---

[1]) წერილი გრ. ორბელიანისა 1835 წლ. 25 დეკემბერი.

[2]) იხ. გრ. ორბელიანის წერილი ზაქარია ორბელიანთან 1843 წ. 28 მარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდი. ამ წარმატებამ გრ. ორბელიანს რაღაც გამოურკვეველი სიამოვნების თავბრუ დაასხა. ეს მდგომარეობა მას სიკვდილამდის შერჩა.

აი ამის დამამტკიცებელი საბუთები:

ხანგრძლივი, დაუზოგველი და ერთგული სამსახურისათვის 1849 წელს გრ. ორბელიანს გენერალ-მაიორის ჩინი ეპოძა. თავის აღტაცებას აი ის როგორ გადმოგვცემს: „იარანალიც შევიქენ! მე და გადლევსკი, სულ ვაშე პრევასხადიტელსტვოს ვეძახით ერთმანეთს და გვაქვს დიდი ყოფა.“[1])

როდესაც გენერლობის პირველი ხარისხიც სტანისლავაც ხედ მიაყოლეს გრ. ორბელიანი ისეთივე სიამოვნების კილოთი სწერს თავის ძმას ილიას: „მომიცვიდა ვარსკვლავი, რასაკვირველია, შეიტყობდი,—მინდა ერთი ქისმალაშის ხალათზედ დავიკერო და კნიაზ პატიომკინსავით დიდ-კაცურად, ნებიერად გავწვე დივანზე.“[2]; ასეთივე აზრს გამოსთქვამს 1851 წლის 3 აგვ სტოს წერილში ვარანცოვთან[3]) „სამსახურის გამო ვიყავი „ლინიაზე“, როდესაც ზაქათალაში დავბრუნდი მოულოდნელად გაბედნიერებული ვიყავი მონარქის წყალობით წმ. ანას პირველი ხარისხის ბოძებით. ეს ახალი ნიშანი თქვენი კეთილ განწყობილებისა ჩემდამი მაკისრებს წმინდა მოვალეობას მთელი ჩემი სიცოცხლე შევსწირო დიდებულ მეფის სამსახურს. არ ვიცი ჩემი დამსახურება ღირს თუ არა მონარქის ამ დიდ წყალობად, მაგრამ ვიცი კი რომ თავი ჩემი, ცხოვრება ჩემი ხელმწიფის სამსახურს ეკუთვნის.“

1861 წელს კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ჩამოვიდა ხელმწიფე ალექსანდრე II. „ქუთაისში სტარიდა ერისთავმა,—სწერს ამ შემთხვევის გამო გრ. ორბელიანი,—დიდის აღტაცებით დალია მეფის სადღეგრძელო, მეფემაც მიირთვა ამის პასუხად: „За здоровие моего верного дварянства“—„В эту минуту,—სწერს პოეტი ბორიატინსკის,—Я был выше человеческого счастья!“ ასეთს აღტაცებაში მოჰყავდა გრ. ორბელიანი მეფის უბრალო სიტყვასაც კი, ხშირად მეფის ბრძანებასაც კი მის რაღაც არაჩვეულებრივ გულთამხილაობითაც კი ხსნიდა ხოლმე მაგალითად: როდესაც თ. ბარიათინსკის შემდეგ მეფის მოადგილედ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე იქმნა დანიშნული, გრ. ორბელიანი სწერს: „ვითარცა უდიდესი გულთამხილავი, მიუხვდა მეფე აქაურს ერის წადილსა და კავკასიის ნამეტნიკად დიდი მთავარი დანიშნა. დანიშნულება ესე ჩვენის ქვეყნისადმი ხელმწიფის ახალისა და განსაკუთრებულს მოწყალებას მოასწავებს“.

ან კიდევ აი რასა სწერს 1878 წ. 27 მარტს ვანო ორბელიანს: „ჩვენს ველიკი კნიაზს წამოსვლის დროს მოვახსენე ჩვენის თავადების მდგომარეობა[4]) და იმანაც დიდის ყურადღებით მოისმინა და თავგამოდებით აღმითქვა შუამ-

[1]) იხ. გრ. ორბელიანის წერილი ილია ორბელიანთან 1849 წ. 3 ივნისს.

[2]) იხ. გრ ორბელიანის წერილი ილია ორბელიანთან 1849 წ. 28 ოქტომბერს.

[3]) იხ. წერილი „К Воронцову 3 августа 1851 г.“

[4]) გრ. ორბელიანი შუამდგომლობდა ქართველ თავად-აზნაურობისათვის, მათი ეკონომიურად შევიწროებული მდგომარეობის გამო, მიეცათ სამი მილიონი დახმარება. იხ. გრ. ორბელიანის წერილი ვანო ორბელიანთან 1878 წ. 27 მარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომლობა წინაშე ხელმწიფისა... რომელსაც ხედმიწევნით ვიცით უყვარს საქართველო და არა რას დაიშურებს მის კეთილდღეობისათვის".

დიდი მასალაა გაფანტული გრ. ორბელიანის წერილებში მეგობრებსა, ოფიციალურ პირებსა და ნაცნობებისადმი მისი პიროვნების და სულიერი განწყობილების დასახასიათებლად. მათი სრული გამოყენება ძალიან გააგრძელებდა საკითხის შესწავლას, ახალს კი არაფერს მოგვცემდა, რადგანაც ერთი მასალა მეორეს ძალიანა ჰგავს.

მისი პიროვნების და მსოფლ-მხედველობის უფრო მკვეთრი დახასიათებისათვის მაინც კიდევ შემდეგ ცნობას მოვიყვან.

1871 წელს 7 ივლისს გრ. ორბელიანის ოფიცრად მსახურობის ორმოცდაათი წლის თავი იდღესასწაულეს. ამ დღესასწაულს მოულოდნელად დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელიც ამ დროს საგარაკოდ ბორჯომში იყო, დაესწრო. ამ გარემოებამ გრ. ორბელიანი დიდს აღტაცებაში მოიყვანა და თავის სამადლობელ სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა: „გამოგიტყდებით, საიდუმლოებრივი კითხვა—გამოიღო რამ სასარგებლო ჩემმა სამსახურმა მეთქი თუ არა?—მუდამ მსდევნიდა. არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ დიდებულს ტახტს კეთილ სინდისიერად ვემსახურებოდი". [1]) შემდეგ ამისა მეფემ მოისურვა გრ. ორბელიანის ორმოცდაათი წლის ერთგული და მეტად სასარგებლო სამსახურის აღსანიშნავად მისთვის პირადად საკუთარის ხელით გადაეცა ანდრია პირველწოდებულის ორდენი. ასეთს დაჯილდოვების მომენტში მის ბედნიერებას საზღვარი აღარა ჰქონდა.

აი რასა სწერს ი. მეუნარგია: „ის წამები, რომელიც პოეტმა გაატარა ხელმწიფესთან შეადგენს სასიხარულო წამებს პოეტის ცხოვრებაში". [2])

გრ. ორბელიანის ასეთი სულიერი განწყობილების დამამტკიცებელია მისი წერილები ძალუა სოფიოსთან და სხვა მის ნაცნობ-მეგობრებთან, დამახასიათებელია, როგორ მიჰმართა თვითონ პოეტმა ამ ორდენის წყალობისათვის: „ღრმად ვგრძნობ, რომ ჩემი დამსახურება არ არის ღირსი ესრეთის მოწყალებისა, მაგრამ ვინც როგორ გემსახურნეთ, მაინც წყალობა თქვენი მარადის უმაღლესია და ვართ თქვენს წინაშე ყოველთვის ვალდებულნი". [3]) აგრეთვე საინტერესოა პოეტის ვრცელი წერილი სოფიოსთან [4]). ამ წერილში მკვეთრადაა გამოხატული გრ. ორბელიანის აღტაცება მეფის პიროვნებით, რომელიც მისი განცდით, რაღაც ღვთაებრივის თვისებითაა დაჯილდოვებული. აღტაცებული და ბედნიერების განცდით ჩვენი პოეტი სწერს ძალუა სოფიოს—„ხელმწიფემ მე დიდის მოწყალებით მომიკითხა, მიბოძა ხელი და მეც ვაკოცე". და არა მარტო მეფის პიროვნება იწვევდა გრ. ორბელიანში ასეთს აღტაცებას, არამედ მისი „ნამესტნიკებიც" (ვორონცოვი, ბარიათინსკი, დიდი მთავარი მიხეილი).

---

[1]) იხ. ი. მეუნარგია „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრ. ორბელიანისა". მოამბე 1904 წ. № V.
[2]) იხ. ი. მეუნარგია „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრ. ორბელიანისა" „მოამბე" 1904 წ. № V.
[3]) იქვე.
[4]) ეს წერილი გამოქვეყნებული აქვს ი. მეუნარგიას „მოამბე" 1904 წ. № V.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ასეთი განცდის ნიმუში:

„უმოწყალეო დაო ეკატერინავ!

„... კნიაზ ბარიათინსკის დავხვდი დიდის ყოფით. ჩირაღდნები, შუშხუნები, ბალები, რეჩები, ისე როგორც შეეფერებოდა იმპერატორის ნამესტნიკს. ხალხმაცა და ჯარმაცა მიიღეს დიდის აღტაცებით“. [1])

აი ასეთია ცხოვრება და სულიერი განცდანი გრ. ორბელიანისა. ეჭვს გარეშეა, აქ გრ. ორბელიანის პიროვნების გაორებას არავითარი ადგილი არა აქვს. და თუ გრ. ორბელიანს არამც თუ არა რცხვენოდა ქართველის სახელისა, არამედ ქართველობდა, საქართველოს ბედს დასტიროდა კიდეც, თუ ხანდისხან მეტად მორიდებით შუამდგომლობდა თავად-აზნაურთა მატერიალურ დახმარების და ზოგიერთთა ქართველის (უფრო კი ნათესავის) შესახებ სამსახურის გამო (ერთხელ კუმისის გლეხ-კაცების შესახებაც, როდესაც ისინი უკანონოდ ზედ-მეტად ბეგარაზე გაჰყავდათ), ან თუ სთხოვდა, მეტად მოკრძალებით, რომ სასულიერო სემენარიიდან ქართული ენა ნუ იქნება განდევნილი და შეეიწროვებული, რომლის დამტკიცება და გამოაშკარავება ვერცკი გაბედა, და მთავარ მართებლის პასუხზე:—„ეგზარხოსმა მომახსენა, რომ ქართული ენა სასწავლებელში არსებობს“,—გრ. ორბელიანი დადუმდა და რამდენიმე დღეს უსიამოვნებასა ჰგრძნობდა, რომ მეფის მოადგილესთან შერცხვა—ეს ხომ დიდი პატრიოტობის ნიშნები და გამომჟღავნება არ არის?! გრ. ორბელიანის პატრიოტობა, ქართველობა მეტად ვიწროა, თავად-აზნაურთა ვიწრო ინტერესების სფეროს არსებითად ის ვერა სცილდება, როგორც ეს დავინახეთ ზევით და ქვემოთაც გვექნება შემთხვევები, ამაში დავრწმუნდეთ.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან გრ. ორბელიანი შედეგი იყო იმ ობიექტური პირობებისა, რომლებშიაც ის აღიზარდა და ცხოვრობდა.

ერთი სიტყვით, გრ. ორბელიანი, საბიოგრაფიო მასალის მიხედვით, თავად-აზნაურობის იმ წრის წარმომადგენელია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას მალე შეურიგდა, მისი ბედი რუსეთის ტახტის მზრუნველობას ჩააბარა, მთელი თავისი ნიჭით და შეძლებულობით ხელი შეუწყო მის დამკვიდრებას ჩვენში და საერთო ქვეყნის მდგომარეობა მას ხელს არ უშლიდა სამსახურში დაწინაურებულიყო.

II

ახლა ჩვენთვის საინტერესოა და საჭიროც გამოვარკვიოთ გრ. ორბელიანში ეს ხილული სახე მისი „გაორებული“ პიროვნების ერთი მხარეა, რომლის იქითაც, მის პოეტურ შემოქმედებაში საქართველოს დიდი პატრიოტი იხატება, თუ პიროვნების ასეთს გაორებას მასში აქაც ადგილი არა აქვს და მისი პოეტური შემოქმედებაც მისი რეალური ცხოვრების და რეალური პიროვნების „ხორცია ხორცთაგან და სისხლი სისხლთაგან“ მისისა?

ჩვენის რწმენით მეორე აზრი უფრო სწორია და აი რატომ.

---

[1]) იხ. წერილი გრ. ორბელიანისა ეკატ. დადიანთან 1856 წ. 23 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, გრ. ორბელიანის შემოქმედებაში ეროვნული ტრადიცია, მართალია, სიყვარულისა და ეროვნულ მოტივზე აღმოცენდა და გაიშალა მისი პოეტური ნიჭი. მართალია, ამ მოტივმა გრ. ორბელიანს საშუალება და საზრდო მისცა გაელრმავებინა და გაეფართოვებინა რომანტიული მიმართულება თავის შემოქმედებაში და მით ჩვენს მწერლობაშიც, მაგრამ საჭიროა გავარკვიოთ ეს ეროვნული მოტივი გრ. ორბელიანის შემოქმედებაში რა თვისების და წარმოშობისაა.

ეროვნული გრძნობა საერთო უიმედობით, უილაჯობით, სასოწარკვეთილებით, იმედგაცრუებულობით შეზავებული და გამოწვეული ქართველი ერის მე-XIX-ტე საუკუნის ისტორიის მსვლელობით (განსაკუთრებით მისი პირველი პერიოდის განმავლობაში) მთელს ჩვენს ცხოვრებას ელინთავდა.

აშკარაა გრ. ორბელიანის ცხოვრებას ეს ატმოსფერა სათანადოთ ვერ შეეხო, და მისი მუდამ დიდება-პატივისაკენ ლაღად მიმსწრაფი ბუნება ვერ აამღვრია. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია გრ. ორბელიანისათვის ამ საერთო უკმაყოფილებას თავისი ბასრი კბილი არ გაეკრა. მართალია, გრ. ორბელიანმა, იმსი ცხოვრების ფაქტების, წერილების და პოეტური შემოქმედების (ამას ქვემოთ დავინახავთ) მიხედვით, ეს ეროვნული ტრაღედია ნაკლები მტკივნეულობით განიცადა, მაგრამ **ვინაიდან ეს გრძნობა იმდენად ღრმად და მწვავედ იყო ჩაგუბებული ქართველი ხალხის განსაკუთრებით—არისტოკრატიაში იმდენად იყო მისთვის მტანჯველი, რომ გრ. ორბელიანსაც, როგორც ამ წრის შვილს, ამ ეპოქაში მცხოვრებ პოეტს, არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ამ გარემოებისათვის, არ შეეძლო დრო და დრო მაინც მწვავედ არ განეცადა ის კატასტროფა, რომელიც თავს დაატყდა ქართველ „ერს“, განსაკუთრებით 1832 წლის შეთქმულების დამარცხებით ქართველ არისტოკრატიას და კერძოდ გრ. ორბელიანსაც.**

გრ. ორბელიანის შემოქმედების საფუძვლიან შესწავლას იმ დასკვნამდის მივყევართ, რომ მას სარწულად უდევს პირადი განცდა ავტორისა (ამას ჩვენ ქვევით აშკარად დავინახავთ). ეს გარემოება მისი პოეზიის შესწავლას უფრო აადვილებს და გასაგებს ხდის.

1832 წლის კატასტროფამდე გრ. ორბელიანის შემოქმედების თემა განსაკუთრებით ტრფიალებაა. ამ გრძნობის განცდაში ის ჰპოებს სიცოცხლის შინაარსს, სიყვარული მისთვის სიცოცხლეზე უტკბილესია:

„გინდ ჟამსა ძილის თვალთა დახშულსა,
წამსავ იგივე (სატრფო) წარმოგვიდგების,
მაშინ სიზმარი სჯობს სიცოცხლესა
და სინანულით განგვეღვიძების“.—[1])

სიყვარულის ეშხით აღტაცებული პოეტი მიჰმართავს თავის სატრფოს: „ჰე ჩემო ღმერთავ! აწ შენ მოგმართავ, კვალად ისმინე შორით სიტყვანი.

[1]) იხ. ჩემ მიერ ნაპოვნი „სადღეგრძელოს“ პირველი ვარიანტი, დაწერილი 1827—1832 წ. წ. „ცენტროარქივში“—გრ. ორბელიანის ხელთნაწერებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველ ჩემთ ფიქრთა, ჩემთ უშნობათა იდუმალ ოხვრათ ხარ შენ საგანი.
თუ არა შენზე, ვუბნობდე სხვაზე, უწყიდე ჩემი ენის როტვანი"...[1])
და აი როგორ ახასიათებს სიყვარულის გრძნობას ჩვენი პოეტი:
„ნამდვილი ტრფობა, გინა რა სიტყვათ. ეძებდეს, ვერ ჰპოვებს,
რამე გამოსთქვას თვის გრძნობა და მისთვის ოხვრით მდუმარებს!
ესე არს საშიშ, შემჭმელი, ცეცხლი უხილავ, უალო.
არ აჩენს გარეთ ნიშანსა, შიგნით გაოხრებს, ჰე გულო!"
(„მარგალიტთ ცრემლთა ცრემლი სდევს"...)[2])

ან კიდევ:
„არ უწყი, თუ ალი ტრფობის ვითარ ძლიერ გულს მეგზნების!
არ უწყი, თუ მას ჟამს ვითა სული ჩემი იტანჯების!
მარა გიცნობ, მისთვის მწამხარ... კვალად ლხინი გულს მეწევის,
დაცინებით ვუმზერ რაყოფთ, რომელთაგან არღა მეშიშვის".
(„გზის გუშაგად მდგომარეს... ხმაზე")[3])

პოეტი გამოცდილის გონებით და გრძნობით აფრთხილებს ჭაბუკთ სიხარულით დღენი თვისნი გაატარონ, იმხიარულონ, შეეტკბნენ, ილხინონ და შეიყვარონ რადგანაც—

„ულმობელს დროს მიაქვს იგი (სიჭაბუკე), მასთან ყოვლი სიხარული,
სიტკბო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკარგვინა. მისი ერთგული სამსახურიც ფუჭი გამოდგა. მაინც არ დაზოგეს. გაუგებრობაზე და „გამოუცდელობაზე“ აშენებული უბედურება საკმარისი იყო, რომ ისიც დაესაჯათ.

აი სწორედ ამ პირადმა განცდამ მისცა პოეტის გულში აწმყოთი უკმაყოფილობის გაღვივებას გზა და ნიადაგი, „უბედურებამ“ უფრო მჭიდროდ დააკავშირა ის თავის თანამოძმეებს,—რასაკვირველია, უფრო დასჯილ თავად-აზნაურობას, წოდებრივი ფსიქოლოგიური ნათესაობა გააღრმავა. ნაღვლიანი პოეტი მიჰმართავს წუთისოფელს:

„ჰე, ცრუ სოფელო, დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერუცვლელ?...“
(„თამარ მეფის სახე“...[1])

და პოეტი, ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოების მაგიერ, ლექსი „იარალის“-ათვის, რომელშიაც მისივე გულწრფელი განმარტებით ჟანდარმის გენერალ ადიუტანტის ორლოვისადმი—„ქართველი შექცევა და ლხინია გამოხატული“,[2]) დასჯილი, აწმყოთი უკმაყოფილო და უნუგეშო, როგორც რომანტიკოსებს სჩვეოდათ, გადადის წარსულში. იქ, წარსულში, ეძებს სულის სიმშვიდეს, ნუგეშს. შესცქერის ნანგრევ ბეთანიის მონასტერში თამარ მეფის სახეს და ნაღვლიანი ამბობს:

„მიხარის—გიმზერ, ვსწუხვარ და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე, რომ აღარ ვგრძნობდე
ჩემის სამშობლოს სულთ დაცემასა“.. („თამარ მეფის სახე“...

იქ, წარსულში, როგორც ჩვეულებრივ რომანტიკოსები, გრ. ორბელიანი პოულობს სურათებს და ძრიელ პიროვნებებს, რომელთა შექმნეს „დიდება ჩვენი ცად სხივ-მომფენი“. მაგრამ საინტერესო და დამახასიათებელი ის არის, რომ

[1]) მეტად დამახასიათებელი და საინტერესოა, რომ ეს საუკეთესო რომანტიული და პატრიოტული ლექსი „თამარ მეფის სახე“.. აღმოცენებულა პირად გრძნობაზე, რომელსაც წმინდა წოდებრივი ხასიათი აქვს. აი რასა ვკითხულობთ გრ. ორბელიანის ერთ-ერთს წერილში 1878 წ. 24 აგვისტოს: „ჩემო საყვარელო ძალუა სოფიო! დიდიხანია ველარ მოგწერე და ან რა მომეწერა გულით ღრმად შეწუხებულსა, ვხედავ რა ჩვენის ოჯახის ესრეთ გაწყალებასა, ესრეთ გაოხრებასა! ვიყურები აქეთ-იქით და აღარა მყავს ვინმე, რომ გავსცე ხმა: ჩემს ქუჩაში უცნობი შევიქენ სხვათათვის!... რა შეცოდება ჰქონია წინაშე ღვთისა, რომ ასე საშინლად ისჯება ჩვენი გვარი, გულით მართალი, შემბრალებელი, გონებიანი, ვაჟკაცობიანი. მოყვარე ნათესაობისა და ერთგული მეგობრებისა, მამულისათვის ყოველს დროს თავდადებული!... ჩემის სიბერის უკანასკნელთა დღეთა მიმწარებს ესე განუშორებელი ფიქრი ჩვენის ოჯახისათვის:

„ჰეი სოფელო,
დაუნდობელო,
შენი კეთილი სად არს ფერუცვლელ?
დიდება ჩვენი
სად სხივ მომფენი
ნუ თუ ეს ღა გვაქვს, ვხედავ რასაცა?!“..

ეს წერილი მართლა რომ გასაღებია გრ. ორბელიანის უკმაყოფილებისა?

[2]) იხ. ი. მეუნარგია „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრ. ორბელიანის“ „მოამბე“ 1904 წ. № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს „ჩვენი ცად სხივ-მომფენი დიდება“ გრ. ორბელიანის შეგნებაში და შემოქმედებაშიაც არა სცილდება ძველს ფეოდალურს იდეალს.

ჩვენს წარსულს გრ. ორბელიანი აღადგენს თავის უდიდეს თხზულებაში „სადღეგრძელო“, რომელიც,—როგორც კიტა აბაშიძე სამართლიანად შენიშნავს,—„დღემდის ჩვენის ლიტერატურის საუკეთესო ლექსად აღიარებული, უნდა მივიჩნიოთ უსუსტესად, ...რადგან მოკლებულია მრავალ ღირსებას. ორი სამი ადგილი კარგია, მაგრამ ეს ვერ გამოიყიდის ამ თხზულების ნაკლულევანებას.

უხერხულია ფორმით, უხერხულია მხატვრულის მხრითაც... არ არის პოემა, რადგან არაკი არა აქვს; არ არის სალირიკო ლექსი, რადგან ამ გვარის თვისება არ არის სიმარტივე, მოკლე თქმულება და მკვეთრათ გამოხატული აზრი, ეს კი მეტად გაჭიანურებულია. ეს არის მუხლები მოძღვრებისა, მცნებისა გალექსილი.“[1])

ასეთს ნაკლს, გაჭიანურებას, ჩანართ ადგილებს, დიდაკტიზმს მოკლებულია გრ. ორბელიანის ხელნაწერებში ჩემ მიერ ნაპოვნი 1827-1832 წ. წ. დაწერილი „სადღეგრძელოს“ ვარიანტი. მხატვრობის და რომანტიული სტილის დაცვის მხრივაც ეს ვარიანტი სჯობს დაბეჭდილს.[2])

პოეტი მიმართავს დამსწრეთ:

„ძმანო პატივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა,
მათში სახენი სჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმადიდეთა!..“ („სადღეგრძელო“),

და ცდილობს დიდის აღფრთოვანებით და მოწიწებით (რასაც ხელოვნური, ყოველს შემთხვევაში, ძალდატანების ხასიათი აქვს), ლამაზი მხატვრული ენისა და ალაგ-ალაგ პოეტური ექსპრესიის დაცვით ჩვენი წარსული თავისი გმირებით, მათი ვაჟკაცობით, მხნეობით მკითხველს წარმოუდგინოს:

„ვინ გვითხრას, ვინა გვიჩვენოს, სადა ცხოვრობდნენ ძველ-გმირნი?
დრომან შემუსრა, აღგავა მიწით მათნიცა საფლავი;
მარამ სცოცხალან ჯერეთაც დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი, საქმენნი სახელოვანნი!“ (იქვე)

ამ წარსულში პოეტს იდეალად ძველი ფეოდალური საქართველო თავისი დამახასიათებელი ზნე ჩვეულებებით ეხატება. მაგრამ ყველაზე საგულისხმიერო და გრ. ორბელიანისათვის დამახასიათებელი ის არის, რომ საქართველოსათვის—„ძველი ივერიისათვის“ თავგანწირულ და სასიქადულო გმირთა შორის, იმავე საერთო პათეტიური გრძნობით, რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ I-საც ასხამს ქება დიდებას:

„გულნი ივერთა გვაქვს მსხვერპლად მზადა, შენდა შესაფერ შესაწირავად;
ტაძარი შენი სდგას გულსა ჩვენსა, მოვედ მშვიდობის ჩვენდა საკმევად!“

[1]) იხ. კიტა აბაშიძე „ეტიუდები“ ტ. I

[2]) „სადღეგრძელო“-ს გარეგნულის ფორმის მხრივ გრ. ორბელიანი სწერს რუსი მწერლის ვ. ჟუკოვსკის „Певец во стане русских воинов“-ის გავლენის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასე ათავებს ჩვენი პოეტი მის სადღეგრძელოს:

„ღმერთო, გვისმინე,
მეფეს მოჰფინე
ძლევა, კურთხევა, მადლი ზეციერ!
ჩვენდა დიდებად,
ბედნიერებად
მეფე გვიცოცხლე მრავალ-ჟამიერ!“ (იქვე).

მიუხედავად იმისა, რომ „სადღეგრძელო“ გრ. ორბელიანს დაუმთავრებია 1870 წელს, მაშასადამე იმ დროს, როდესაც ძველი საქართველოს დროებულობა უკვე ცხადი იყო, როდესაც ახალი საქართველოს სახე, ასე თუ ისე გარკვეულად ეხატებოდა ქართველი საზოგადოების უკეთესს ნაწილს მაინც, როდესაც ჩვენი საზოგადოების აზროვნების ატმოსფერას ეღინთავდა ფორმულა:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ესდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

და ამ მომავალს დემოკრატიული იდეალები ასაზრდოებდნენ,—გრ. ორბელიანი მაინც კვლავ ძველს, ფეოდალურ საქართველოს მისტირის. და ხშირად პოეტი ამ უკმაყოფილობის ჭიას მით ჰკლავს, რომ რუსეთის ტახტს ისეთსავე, თუ მეტს არა, გუნდრუკს უკმევს.

გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედების მიხედვით მისი პატრიოტობა მეტად ცალმხრივია; ის უფრო წოდებრივი პატრიოტია, რომლისთვისაც წოდებრივი კეთილ-დღეობა ყველაფერზე მაღლა დგას. აი რატომ იყო, რომ პოეტის შეგნებაში ზურაბიანთ ოჯახის დაცემა სინონიმი იყო საქართველოს დაცემისა და მაშინ, როდესაც ახალი საქართველო თავისი ტკივილებით და იმედებით ამოძრავებდა საქართველოს ნამდვილ მამულიშვილებს, გრ. ორბელიანში „წარსულ დროებზე სევდას,—როგორც სწერს ი. მეუნარგია,—ზედ დაერთო ეხლა აწმყოზე მწუხარება, სუყველაფერი იცვალა პოეტის გარშემო: თავად-აზნაურობა დაეცხო, ქართული წირვა-ლოცვა და გალობა შემცირდა, ძველებური კარგი ზნე და ხასიათი ქართველის კაცისა და ქალისა დაიკარგა, მისი ახლო ნათესავები და მეგობრები დაღარიბდნენ და შემცირდნენ... მეტადრე თავად-აზნაურობაზე შეჰქმნა პოეტმა ირემიას გალობა.“[1])

ასეთი სულიერი განწყობილების და მსოფლ-მხედველობის მატარებელ პოეტს, ბუნებრივია, ძველს ფეოდალურ საქართველოში უნდა მოენახა და ეპოვა დაკმაყოფილება. ასეც იყო. ამიტომაა რომ პოეტი ტკივილით გვეუბნება:

„წარსულთა დროთა, დიდების დროთა ყოველი კეთილი თანა წაიღეს“.
(„იარალის“)

პოეტი გატაცებით აღწერს „ჯაბუკ-მხედართა შექცევას ყაბახსა ვრცელსა“ და აი ამ „საამო სანახავს“ როგორ გადმოგვცემს:

---

[1]) იხ. ი. მეუნარგია—„ცხოვრება და ღვაწლი თ. გრ. ორბელიანის“—მოამბე 1904 წ. №6

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი, ბრიალი,
უზანგთა ცემა, ცხენთაგან ხტომა, კვალად ზეხტომა და ხმალთ კრიალი!"
(„იარალის")

და ასეთი წარსულის დიდებით და მამაცობით, სილამაზით და მიმზიდველობით დამთვრალი პოეტი, ცოტა ხელოვნური და ნაძალადევი კილოთი წარმოსთქვამს:

„მამულისათვის ფიალა სავსე ვსვათ სიამოვნებით,
და იქმნეს აღყვავებული კეთილ-დღეობით, დიდებით:
იქმნეს მის ქედი აღყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით.
და სიყვარულის მისდამი ვხაროობდეთ გულსა აღგზნებით!

—

სოფელი იმად არა ღირს კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!
მის სადიდებლად ჩვენც შევხვდეთ უშიშრად აბასს მახვილსა,
და მოვკვდეთ, თუ კი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა" [1])
(„სადღეგრძელო")

მართალია, „სადღეგრძელო" საგრძნობლად რიტორიკულია, მას სენტენციების და მოძღვრების ხასიათი აქვს, როგორც მთლიანს, ისე კერძოდ ამ მოტანილს ადგილს; პოეტი თითქოს ძალ-დატანებით მსჯელობს; ამას თვით ავტორიც ჰგრძნობს და ამბობს „კმარა მოძღვრება"-ო, მაგრამ პოეტური ენა და შიგა და შიგ მხატვრული ადგილები ამ ნაკლს საგრძნობლად ანელებენ.

პოეტს უკმაყოფილება თანდათან უფრო უჯდება ძვალსა და რბილში, როდესაც „გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყვარდნენ" განშორდნენ. მგოსანი მწარედ შესჩივის ალ. ორბელიანს:

„ან რაღას ველი სოფლისაგან, რა მიხარიან, რა მინდა?
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ; ვერც კი ვგრძნობ, რაცა მიყვარდა.
დღე ყოველ, ჟამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა.
ვმზერ მწუხარებით მომავალს და ვწყევლი ფუჭად წარსულსა"...
(„თ. ალექსანდრე ვახტანგის ძეს ორბელიანს")

ასეთსავე განცდას გრ. ორბელიანი ამჟღავნებს ზემომოყვანილ წერილში ძალუა სოფიოსთან.

საერთოდ ამ უკმაყოფილებაზეა აღმოცენებული გრ. ორბელიანის შემოქმედება და კერძოდ მისი რომანტიზმი.

III

მართალია გრ. ორბელიანის რომანტიული უკმაყოფილება და აღმაფრენა

[1]) ჩვენა გვგონია ეს ადგილი უხეში, გრ. ორბელიანის მსოფლ-მხედველობაზე ხელოვნურად ნაკეთები უნდა იყოს ნიკ. ბარათაშვილის ძლიერი და საერთო საკაცობრიო აზრი;
„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს.
იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს!" („ფიქრი მტკვრის პირას")
ასეთს შეხედულებას ნაწარმოებთა დაწერის წლებიც ადასტურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადულია, როგორც ამაში ზევით დავრწმუნდით, მაგრამ რომანტიკულ მიმართულებისათვის საკმარისად დამახასიათებელია. გრ. ორბელიანის შემოქმედებას ძლიერი ბეჭედი აზის რომანტიული სტილისა, რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელ განცდათა განსახიერების და ლამაზი პოეტური რომანტიული ენისა, სავსე პოეტური ფიგურებით.

ძლიერი რომანტიული ლირიზმის ელფერით მეტად საინტერესოა და მდიდარი ელეგიები „ჩემს დას ეფემიას", „მიბაძვა პუშკინისა" და „საღამო გამოსალმებისა", რომლებშიაც განსახიერებულია პოეტის თავზე გრიგალისებურ მოვლინებული უბედურებით გამოწვეული უნუგეშობა, ჭმუნვა, ძიება, შინაგან განცდათა ანალიზი—რომანტიზმი ყველა თავისი დამახასიათებელი ატრიბუტით დაფერადებული. მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი, იმედგაცრუებული და უნუგეშო პოეტი აი როგორ აუწერს თავის დას ეფემიას თავის სულიერ ტანჯვას:

„უცებ გრიგალმა უბედობის დამქროლა ესრეთ,
და დამცა უფსკრულს ვაებისას, უმწედ, უნუგეშათ
სადაც ოხვრანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით,
არვის ესმოდენ და ჰქრებოდნენ ხლუდეთა შორის!
სადაცა სწვავდნენ, ვითა ცეცხლი, ღაწვთ ცრემლნი დენით
და მათ არ სწყვეტდა არავისი ხელი ნუგეშის;
. . . . . .
და სად სიკვდილსა ვინატრიდი, ვით ცის ნუგეშსა,
თუმცა სამარეს შეედრების სადაცა ვიყავ!" („ჩემს დას ეფემიას")

უნუგეშო, სასოწარკვეთილებით აღსავსე პოეტი ეძებს აფორიაქებული სულის დასამშვიდებელს და მასვე მიჰმართავს:

„ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად, სასიხარულოდ,
ლხენად გულისა, უდროოდა მწარ დამჭკნარისა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ,
და განმასვენე კვეთებათაგან ბოროტმხვედრისა!" (იქვე)

ასეთს მდგომარეობაში მყოფი პოეტისათვის, ბუნებრივად უნდა დასმულიყო საკითხი ცხოვრების მნიშვნელობის შესახებ. არც გრ. ორბელიანი ასცდა და მისი შეხედულება ჩვეულებრივი შეხედულებაა რომანტიკოსისა საერთოდ. ცხოვრება ფუჭია, ადამიანის გონებას ღრღნის ეჭვი, ჭმუნვა, ამაოება. აი გრ. ორბელიანი როგორ გადმოგვცემს თავის ამ განცდას:

სიცოცხლევ ფუჭო,
უბრალო ნიჭო,
რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა?
და თუ მიწოდა
არსით სოფლადა
რისათვის მიმცა მსხვერპლად ტანჯვისა?
რად მომცა სული,
ვნებით აღვსილი,
გონება ეჭვით შეშფოთებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აწმყო არად,
წარსული სიზმრად
და მაცთუნებლად თვით მომავალი?"

(„მიბაძვა პუშკინისა")

ამ გვარი განცდის ჟამს ჩვეულებრივ რომანტიკოსებს აღეძვრებოდათ ხოლმე იმ სოფლის რწმენა, როგორც საუგეშებელი რამის. იქით იმ ქვეყნისაკენ ფრენა აძლევდა ხოლმე მათ სიმშვიდეს, იმედს, ნუგეშს. ასეევა გრ. ორბელიანიც. აი ამ განცდას ის როგორ გადმოგვცემს:

„მაგრამ მახსოს კი, ერთ გზის მესმა ჭიკჭიკი მერცხლის,
ვსთქვაა, რომ მართლივ მრწამდა იგი ხმად მეგობრისა,
იმიერ სოფლით ჩემს ნუგეშად მოვლინებულის,
და მის პასუხად მსურდა მეცა თქმა სიმღერისა!"

(„ჩემს დას ეფემიას")

იმედ გაცრუებულობა, ცხოვრებისაგან მოტყუება, ცხოვრების გარეშე განდგომა, მარტოობა, დუმილი—აი დამახასიათებელი თვისებანი რომანტიკოსების განცდათა. ასეთივეა გრ. ორბელიანის სულიერი განწყობილებაც.

„ან მე უგუნურს, რად მრწამდა ბედისა დაუსრულება?
ან დავშთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა!
არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა,
სჯობს ენა სდუმდეს, ხმა შესწყდეს მოთქმით რა ერგოს გულ-წყლულსა?"

(„საღამო გამოსალმებისა").

ცხოვრებისა და სულიერი ტანჯვის სიძძიმეს რომანტიკოსებს ხშირად უსუმბუქებდა, უქარვებდა ცრემლი. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ცრემლს გრ. ორბელიანისათვისაც:

„ჭმუნვისა ცეცხლით გულსა დამწვარს აგრილებს ცრემლი:
შემაშრენ ცრემლნი, და ესეცა შვება მომაკლდა".

(„ჩემს დას ეფემიას").

ამავე უკმაყოფილების, უიმედო და უნუგეშობის შვების ძიების ნიადაგზეა აღმოცენებული გრ. ორბელიანის შემოქმედებაში რომანტიზმის ერთ-ერთი უმთავრესი თვისებათაგანი —კულტი ბუნებისა.

გრ. ორბელიანი ჩვენს მწერლობაში ბუნების კულტის შემომტანია. ბუნება რომანტიკოსებისათვის ერთ-ერთი (თუ ერთად-ერთი არა) ხავთსაყუდარი იყო, სადაც აფორიაქებული და გაწამებული რომანტიკოსების სული სიმშვიდეს და სიწყნარეს პოულობდა. ბუნების რომანტიკოსებმა სული ჩაუდგეს, გააკაცეს, აამეტყველეს, თავიანთი ჭმუნვანი ნაღველის თანამოზიარედ გახადეს, მისი თავისადმი განჭვრეტილ თანაგრძნობაში იქარვებდნენ აწყმოთი დაუკმაყოფილებელ სევდიან გრძნობას; ბუნება ერთგვარი ტაძარი იყო, რომელსაც ცხოვრების იქით ბედნიერების მაძიებელი რომანტიკოსები, გუნდრუკს უკმევდნენ.

ერთი უდიდესი დამსახურება გრ. ორბელიანისა, როგორც რომანტიკოსისა, ის არის, რომ მან დიდის ნიჭით და მხატვრულობით ბუნების ასეთი გაგება მოგვცა. მაგალითად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ქამს კავკასსა,
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მ.მას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი—
სხედან ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!
მათ ,ლდოვან გვერდთა შავათა ღრუბელნი ზე დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან“.
(„საღამო გამოსალმებისა“).

ან კიდევ:

„იელვა, ბინდი ღამისა! ცაში ვარსკვლავნი ქრებიან,
ათასი ხმებით ფრინველნი განთ.ადს მიეგებიან!
მიჰქრის დილისა ნიავიც, გულისა მაგრილებელი;
ფშინვა დაიწყეს ყვავილთა და ბალში ფოთოლთ შრიალი!
ოჰ რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!
დაჩუმ.დი... ყური მიუგდე... არ გესმით, გალობს ბულბული?“
(„სადღეგრძელო“)

რომანტიკოსები ბუნების წიაღში, მისი სილამაზის და უშუალო შეხების პროცესში უახლოვდებოდნენ იმ პირველს მიზეზს, რომელსაც ღვთაებას, აბსოლუტს ეძ ხდნენ და რომლის ძიება უდიდესი განცდა და განსახიერება იყო მათი აღგზნებული აღმაფრენისა. ბუნება რომანტიკოსებს ერთგვარ გზად და ხიდად ედებათ ამ აბსოლუტის შესახებად და განსაცდელად.

ასეთივე გაგება და განცდა აქვს ჩვენს პოეტსაც:

„ვიშ ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჭმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკბობელსა!...
ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს, მის ფეროვთვალავ შვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!..„ (იქვე)

გრ. ორბელიანი ბუნებასთან შეხებაში გრძნობს გამაფაქიზებელ, განმწმედ საშუალებას ყოველივე ბიწიერებისაგან, მაღალი პოეტური ნიჭით და აღმაფრენით აღბეჭდილი გულუბრყვილობით კითხულობს:

„იმ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა“-ო

გრ. ორბელიანის პოეზია საინტერესოა აგრეთვე რომანტიზმის სხვა მოტივის—სიყვარულის გრძნობის ახალი გაგების შემოტანის მხრივ ჩვენს მწერლობაში.

სიყვარულის გრძნობის განსახიერება ჩვენი მწერლობისათვის უცხო და ახალი არ იყო. სატრფიალო ელემენტი, როგორც გამომხატველი პირადი განცდისა ჩვენი აღორძ ნების ხანის მწერალთა შემოქმედებაში უხვადაა გაშლილი. საუკეთესო წარმომადგენელი, რომელსაც მიმ ხიდველობა დღესაც არ დაუკარგავს არის ბესიკი. მისი ლექსთა დიდი ნაწილი თანამედროვეთათვის სამღერალ რომანსებად გადაიქცა და თითქმის მეოცე საუკუნის კარამდე ვრცელდებოდა. სიყვარულის გრძნობა მეტად მრავალ-მხრივ და მრავალფეროვანად განავითარა და განასახიერა გრ. ორბელიანის წინამორბედმა—თანამედროვემ ალ. ჭავჭავაძემაც. სიყვარულის მრავალფეროვანობის განსახიერების მხრივ როგორც ბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკი, ისე ალ. ჭავჭავაძე ისეთს ვირტუოზობამდის მივიდნენ, რომ გრ. ორბელიანი ამ მხრივ მათ ვერცკი შეედრება. მაგრამ როგორც ბესიკი, ისე ალ. ჭავჭავაძე სპარსული მწერლობის გავლენის გამო ხორციელ, ფიზიკურ სიყვარულს უგალობენ, მხოლოდ მას უთმობენ თავის გულს ტახტად, მონად მას უხდებიან, მათთვის მეორე, სულიერი მხარე სიყვარულისა მიჩქმალულია, არც კი ჩანს. გრ. ორბელიანს კი ახალი გაგება სიყვარულისა, მისი სულიერი მხარის სიძლიერის და უპირატესობის შეგნება შემოაქვს ჩვენს მწერლობაში:

„რაა გინდ მოეკვდე! მაინც შენდამი სულს სიყვარული თანა
წარყვება!
არს უკვდაება, სულის დატკბობა, რომელს დასასრულს არა ექნება;
მაშ სახე სულის დ მატკბობელი იმიერ სოფელს არ განგვშორდების
და სიყვარული სულის მაშვენი სიცოცხლესთანა არ დაშრტების,—
თვარა სიყვარულს თუ დავკარგვიდე უკვდავებამან მის წილ რა
მომცეს?..“ („სადღეგრძელო“)

გრ. ორბელიანს, როგორც ნამდვილ რომანტიკოსს, არა მარტო სიყვარულის სულიერი მხარე სწამს, მისი გაგების უნარი აქვს, არამედ, როგორც რომანტიკოსებს სჩვეოდათ, ის გრძნობს, რომ სიყვარულის განცდის წყალობით ადამიანი აბამს კავშირს ღვთაებასთან. ასეთს ღრმა რომანტიულ ფილოსოფიურ გაგებას სიყვარულის გრძნობისას გრ. ორბელიანი შემდეგს სიტყვებში გვაძლევს:

„ძმანო, ივიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება;
მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება,
რომლის შუქი ალგვმაღლებს, რომლით სული გვინათლდება,
რომლით კაცი მშვენიერებს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება!
(იქვე).

სიყვარულის გრძნობა, როგორც გრძნობა ბუნების ადამიანს არა მარტო აახლოვებს ღვთაებასთან, არამედ უკვდავებას განაცდევინებს:

„რომ სახე მისი, თვალთა დახშულმან, თანა წარვიღო იმიერ სოფელს,
მუნ საშვებელად, მუნ სანუგეშოდ, და რათა მითვე ვსცნა უკვდავება!“...
(იქვე).

ასეთი ძლიერი განსახიერება სულიერი სიყვარულის განცდისა და გაგებისა ბევრს დიდ რომანტიკოსსაც კი გაუჭირდებოდა!

IV

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გრ. ორბელიანის შემოქმედებაში აღგვენიშნა და დაგვენახა სიყვარულის მხოლოდ სულიერი მხარის განსახიერება.

გრ. ორბელიანი, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ხარკს აძლევს აღმოსავლეთის პოეზიის გავლენას, რომელიც ქართულ სინამდვილეს შეჯამებული თავისებურ ელფერს მისცემს თეიმურაზ I, არჩილ მეფის, ვახტანგ VI და ჩვენი აღორძინების ხანის სხვათა ლირიკოსთა შემოქმედებას. ეს აღმოსავლური პოეზიის და კულტურის გავლენა ჩვენს ძველი მოქალაქის ცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზეც ემყნობა და გვაძლევს თავისებურ ტიპს, რომელსაც ჩვენს სინამდვილეში ყარაჩოღელს ეძახიან.

ეს ყარაჩოღელი, მიუხედავად ჟამთა და პირობათა ცვლილებისა, თითქმის დღემდის ტიპიურ მატარებლად დარჩა ძველი ტფილისის თავისებური ცხოვრებისა სპეციფიური განცდებით და ელფერით.

აი ამ ყარაჩოღელის გული გრ. ორბელიანმა დიდის ოსტატობით, გაგებით და შეთვისებით, მასთან ერთად თავისებური სიმპატიით და თანაგრძნობით გადახსნა ჩვენს წინ მთელს რიგ თავის მშვენიერ ლექსებში. ამ ლექსებში მან უმთავრესად ამ ყარაჩოღელის სიყვარული და ამ გრძნობით გამოწვეული მისი ცხოვრების წვა, რომელსაც გარეგნულად უდარდელი ხასიათი აქვს, ცოცხლად დაგვანახვა.

თავისებურია სიყვარული ყარაჩოღელისა, მეტად მარტივი, პრიმიტიული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეტად უშუალო, მწვავე და ძალუმი ყარაჩოღელის სიყვარული დიამეტრალურად განსხვავდება კულტუროსან ევროპიელის სიყვარულისაგან, რომლის სიყვარული რთულია, განვითარებული. მაგრამ მასთან ერთად ხშირად ანგარიან-ანგარიშიანი და ხელოვნური.

აი როგორ მიმართავს ყარაჩოღელი თავის სატრფოს:

„ნუ მასმევ ღვინოს,—ულვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით,
თვარა მიმუხთლებს და წარმოსთქვამს ენა ყოველსა,
ესდენ ხან კრძალვით დაფარულსა ღრმად ჩემსა გულსა“.
(„მუხამბაზი“)

ევროპიელი კი, ცხოვრების პირობების გამო, ისეა გაწვრთნილი, რომ მას ასეთს შემთხვევებში ენა არასოდეს არ „უმუხთლებს“, არასოდეს „ყველაფერს“ უნებლიედ არ ათქმევინებს და სიყვარულის „კრძალვით“ დაფარვას არასოდეს არა ცდილობს. ევროპიელი ყოველ შემთხვევაში ასე გამოუცდელად და გულუბყვრილოთ არ შექმნის პირად ტანჯვას, ის ეცდება თავის გრძნობაზე ილაპარაკოს, ამეტყველდეს, ხშირად პათოსშიაც გადავიდეს, რომ სატრფოს გული დააყუჩოს, მოალბოს, მოათბოს, მოიგოს, დაიმორჩილოს. ევროპიელი სიყვარულის გრძნობაშიაც ანგარიშს ჰხედავს, ყარაჩოღელი კი გრძნობის უანგარო მონა-რაინდია.

„ყმ სავითა მე ერთგული შენი ვარ,
გინდა მკლავდე, არას გეტყვი,—შენი ვარ.
სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ.
გინდ ვერ მნახო, იცოდე, რომ იქა ვარ!
რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ,
ჩემთვის ჩუმად ვამბობ: „რა ლამაზი ხარ?“
გინდ მეძინოს მაინც სოლში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ“.
(„მუხამბაზი“)

ყარაჩოღელისათვის ძალიან ცოტაა საჭირო, რომ ასეთი მწვავე და ძლიერი გრძნობა დაიყუჩოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯულის ურჩისა დასამშვიდად, მცირედ გონება
შემრჩომია ღა, და მისიცა გსურს დაბნელება!
მის დასამონად, იცი კმარა შენი შვენება,
ერთი მოხედვა ტრფიალებით, მცირ-ყურადღება!

. . . . . .

აწ გინდა მომკლა, გეტყვი, თმენის არლა მაქვს ძალი.
ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვგიჟდები ეშხით.
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოთ ვარ მთვრალ შენის ეშხით“.

(„მუხამბაზი“)

ყარაჩოღელი უშუალო ბუნების პატრონია, ის ვერც სიყვარულს და ვერც სიძულვილს ვერ მალავს; მას სიხარულის და მწუხარების შეკავება, გულში ჩამარხვა, გამოუთქმელობა არ ეხერხება. ის რომ იტყვიან — „душа на распашку“. თუ ის ბედნიერებას განიცდის, მას უნდა ყველა ამაში განიხიაროს. ის თავის სიხარულზე ღიღინებს, მღერის, ხითხითებს, უნდა ყველას ამცნოს, რომ ცოტათიც არის განიტვირთოს ამ ბედნიერების სიმძიმისაგან. ის ასეთ შემთხვევაში გულ-უბყვრილო, თითქოს უზრუნველი გამოუცდელი ბავშვია. ის ამ დროს არ ფიქრობს, რომ —

„(მის) დარდებსა ვინ ინაღვლის, ვინ არის?
ვის რათ უნდა, ლოპიანა, ვინ არის?
მკვდარია, თუ ცოცხალია, ვინ არის?
ქვეყანაში არა რაა, ვინ არის?!!“

(„მუხამბაზი“)

ის ამ დროს მძლავრად გრძნობს თავისი სიცოცხლის მაჯის ცემას, ის გრძნობს, რომ ის ცხოვრობს, რომ ის არ იყინება, ის იწვის, იხარის, “ამ წუთისოფელს სჭამს“ და ამისათვის მას თესლი უიმედობისა, კაეშნისა არა ჰხვდება. ის თავისი ბედნიერებით დამთვრალია, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია და გადამდები სიხარულით მოიმღერის:

„არავისთვის მე დღეს არა მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!
ამას ვამბობ მე, ბეჟანა მკერვალი,
ქალებისა ლხინი და თაიგული.
შვენებითაც საცა ვინ არს ქებული,
მისი კარი ჩემთვის არს გაღებული:
საცა მივალ, თან მიმაქვს სიხარული:
მარამა დღეს არავისთვის მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!

* *
*

მისი სახე, ვით მთვარე გაბადრული,
ბროლის მკერდზე მზის შუქი მოფენილი,
„ჩემო ბეჟან!“ მისგან სინაზით თქმული,
როს მაგონდეს, როგორ არ მოკვდეს გული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესდენ ხანი მისთვისა დადაგული?
ამიტომ დღეს არავისთვის მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან".

(„მუხამბაზი")

ყარაჩოღელის ბუნების უშუალობა და პრიმიტიულობა გამოიხატება მის გულწრფელობაშიაც, რომელიც ასე უცხოა ევროპიელისათვის. ყარაჩოღელს, აღზრდილ აღმოსავლეთის ტრადიციებზე, ცოდვად თავისათვის და შეურაცყოფად სატრფოსათვის არ მიაჩნია გულახდილად უთხრას მას:

„ნუ გწყინს ვარდო, ყვავილთ მეფევ,
რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ! მზეში შემოდიო!

* *
*

რა ექნა გულს ვერ ვეტყვი უარს:
ვარდიც მიყვარს, იაც მიყვარს! მზეში შემოდიო!"

(„სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ").

და ეს ციინიზმი არ არის! ეს შედეგია აღმოსავლეთის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დამყარებული ტრადიციისა და ამაზე გამომუშავებული შეხედულებისა ქალზე. რამაც ზოგიერთ ერის ცხოვრებაში ჩვენამდის შეინახა მრავალცოლიანობა და ჰარამხანა. აი ამით აიხსნება ბეჟანის გრძნობის გულწრფელი გადმოცემის გაგრძელება:

„მარამ რაყიფთ ვმზერ შენთან როს,
მწვენ, გულზედ მისმენ ცეცხლს-უთოს! მზეში შემოდიო!"

(იქვე).

მიუხედავად ამისა ბეჟანას სიყვარული, როგორც თვითონ მას ესმის, უდიდესია, ის მზადაა მსხვერპლი გაიღოს, თავს შემოეელოს სატრფოს, დაიწვას მისთვის:

„შენ სანთელი, მე ფარვანა,
დაე, დაიწოს ბეჟანა! მზეში შემოდიო!" (იქვე)

სიყვარული ყარაჩოღელისათვის მამოძრავებელი, ცხოველმყოფელი განცდაა. ეს ცენტრია, რომლის გარშემო ტრიალებს მისი მწვავე, თუმცა პრიმიტიული, ბუნება და ტემპერამენტი. ეს გრძნობა რალაც მუდმივ, სასიამოვნო, მთვრალ მდგომარეობაში ამყოფებს მას. მის აღმაფრენას ძლიერი ოცნების ფრთას ასხავს, პოეტური განსახიერების უნარს აძლევს:

„რტო ალვისა შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია;
ეგ თვალები ცაში ელვა მგონია;
ვარდის სუნი შენი სუნთქვა მგონია;
როს მეღირსოს, ვსთქვა: „გეთაყვა ჩემი ხარ!"
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ ზედ წამწამზე მიზიხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ათი გზა მაქვს ათივე შენკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!
მინდა რამ ვსთქვა შენი სახელი შოდის!
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?
ერთხელ მაინც მკითხე: „აგრე რათა ხარ?"
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ ზედ წამწამზედ მიზიხარ!" („ბუხამბაზი")

ან კიდევ:

„სიყვარული არს თავის დავიწყება!
ვაის უფსკრულს ვგდივარ,—მაგრამ გონება
მაინც მასვე შორით ეტრფიალება.
ზინიკო, ზინკიკო!" („საავთნოვას მიბაძვა")

ყარაჩოღელთათვის სიყვარული იმდენად ძლიერია, იმდენად გულწრფელი გრძნობაა, რომ მას, უტყვს, უბრალო ადამიანს ამჭერმეტყველებს, ლექსსაც კი აწერინებს:

„სიყვარულმა მათქმევინა,
თორემ მე ვინ,—ლექსი ვინა? მზეში შემოდიო!
(„სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ")

ეს ყარაჩოღელთა წრე მეტად თავისებურია[1]) მას თავისებური მსოფლმხედველობა აქვს, გრძნობის გამოთქმისა და განსახიერებისათვის თავისებური ენა, სტილი მეტად მკვეთრი და ძალუმი; მასთან ერთად თითქოს რაღაც მოთამაშე, მომღიმარე ბავშური, გულ-უბრყვილო, უზრუნველი. ნიმუშისათვის:

„ჭიანურო! მადლად, ტკბილად დაუკარ!
ვინცა გაქოს, თავი მდაბლად დაუკარ,
შენსა მტერსა კბილის კრიჭა აუკარ!
ზინიკო-ზინკიკო!

* * *

ავი კაცის წვერი წყევით აივსოს,
ჩემი თასი წითელ ღვინით აივსოს!
ზინიკო ზინკიკო!" („საავთნოვას მიბაძვა")

ჭეიფი და ლხინი ძმაბიჭებთან ერთად საუკეთესო და ერთად ერთი საშუალებაა, სადაც ყარაჩოღელს შესაძლებლობა ეძლევა მთელი თავისი ორიგინალური ბუნების გადაშლისა, აზრის თუ გრძნობის გამოხატვის და გაზიარებისა, მწუხარების თუ სიხარულის თანაგრძნობისა, ძმა-ბიჭების, დარდიმანდობის გამოჩენისა. აქ სწავლობენ ისინი ამ „ძმა-ბიჭობის" მასალას. აქ მათ ჰყაყთ ღირსეული მასწავლებელიც:

„ლხინის პაპა სახით არაბისტნელი,
ღვინისა და ეშხისათვის შექმნილი."

[1]) ყარაჩოღელთა თავისებური ცხოვრების შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ჩვენი მგოსნის ი. გრიშაშვილის საინტერესო გამოკვლევაში „საიათნოვა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის სკოლაში „ვინ არა ვართ ნასწავლი," აქ იქმნება მჭიდრო წრე ძმა-ბიჭებისა მტკიცე ჩვეულებებით და ამ ჩვეულებების აღსრულებას ავალებენ ჭაბუკს, როგორც უფრო გამძლეს, რომელიც „ორმოცი წლის რომ შეიქმნეს" უნდა გააგდონ. აი როგორია ამ ძმა-ბიჭების ძახილი:

„სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით.
თასით, ჯამით, ყანწით, აზარ ვეშებით!
ლხინის სუფრა მოჰფინეთ ყვავილებით:
ალავერდა დასვით თარით ნაქებით,
ყოჯა ბულბულ ტკბილი ხმით აღულუნეთ,
დიმპლიპიტო დაჰკარ-დააკაკუნეთ!"... („მუხამბაზი")

და ეს ხალხი, რომელიც „კულტურულ" ცხოვრების გარეშე დგას, რომელიც თითქოს ცხოვრების სარბიელზე არა ჩანს, „მკვდარია თუ ცოცხალი" არავინ იცის, თითქოს „ქვეყანაში" გამოსაჩენი არ არის—თავისებურად ცხოვრობს, მან თვითონ იცის სად არის გამოსაჩენი, სადა გრძნობს ის თავის თავს კაცად:

„ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ.—
მაშინ შეგიყვარდე, ჰსთქვა: „ძვირფასი ხარ!"
(„მუხამბაზი")

ან კიდევ:

„ქუდ ჩაკეცით, ყელზე ჩითმერდინითა,
რა ქევქევით გავსწევ ორთაჭალისკენ!
მტკვრ ს პირს, ჩარხთან, თავის ლაზათებითა,
სუფრა გაშლით, დამხვდნენ იქ დარდიმანდნი:
იქა მნახონ, რა შევქნილვარ, ვინა ვარ,
რა მადანი მიპოვია ბედისა!" („დიმიტრი ონ-ის დარდები")

უნდა ითქვას რომ გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭი, რომელიც უდაოდ დიდი იყო, ყველაზე უკეთესად და მკვეთრად ამ ყარაჩოღელთა ცხოვრების პოეზიის ასახვაში გამოიხატა.

ყარაჩოღლობა პირადად გრ. ორბელიანისათვისაც ბუნებრივი იყო. ყარაჩოღლობა ძველი საქართველოს ნატეხია. იმ ძველი საქართველოსი, რომლისკენაც ჩვენი ჰოეტი თვალცრემლიანი იყურებოდა და რომელსაც იგი მომავალშიაც სვრეტდა თავისი დამახასიათებელი თვისებებით. გრ. ორბელიანი, თუმცა ერთგვარად ზევიდან ირონიით, გულნატკენი უყურებს ბეჟანა მკერეალს და მისთანეებს, „რომელთაც დარჩათ ბურთი და მოედანი", რა „ბედმან დაამხორაყიფნი დიდ-კაცნი" (შეთქმულების გამო), მაგრამ მაინც მათი ცხოვრება მისთვის გასაგებია, ძვირფასია, მისია.

აი ამიტომაა, რომ ის ამ ყარაჩოღელთა ცხოვრებას და მათ ცოცხალ სახეს ასეთის ძლიერებით აქანდაკებს. ყარაჩოღული ცხოვრება დარდიმანდობა გრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორბელიანის თვისაც ნამდვილი სტიქია იყო. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისი 1875 წლის 13 იანვრის წერილი ტასო აგლობეიოსთან:

„ამას წინად,—რაღაც არაჩვეულებრივი სიამოვნებით სწერს გრ. ორბელიანი,—შევიყარენით სულ ყმაწვილი კაცები: მე, ჩილაევი, გიორგი მუხრანსკი, შახავსკოი, მირსკი, ლევან, ისაკ, ჯორჯაძე, სულთან-გირეი, სოსიკო, აღალაროვი და სტაროსელსკი,—ამ ყმაწვილ კაცებში ყველაზე უფრო ყმაწვილი 60 წლისა მაინც იყო. წავედით საღამოზედ ორთაჭალას და მტკვრის პირაზედ ჩავსხედით ზურნით, ჭიანურ-თარით და ლაზათიანის მომღერალითა. და იყო ჰაერი მშვენიერი, ღამე მთვარიანი. ამ დროს სად იყო, სად არ იყო წამოვიდა ერთი ნავი დასტითა და სწორედ ჩვენს პირდაპირ შუა მტკვარზე დადგა.—მოთავემ დაიძახა: „წმინდა სანთლები აანთეთ!“ და აენთო ნავ ს გარშემო წმინდა სანთლები ჩირაღდნად! დაიძახა: „გაშალეთ სუფრა!“ და გაიშალა სუფრა! მოართვეს მოთავეს თეჯში ოთხი სტაქნით და დალია ოთხივე დიდის მოხდენით: მერე თვითონ აავსო ოთხივე და ჩაურიგა რიგზე ყველას ოთხ-ოთხი და ამით გაჩაღდა ლხინი, ჩვენი აქედამ, იმათი შუა მტკვრიდამ. გამოჩნდა რომ ნავის ადმირალი იყო ქუნძუას ძმა, ყასაბი! შუა ლხინში რომ შევიდნენ, დაიძახა ადმირალმა,—ასე დავარქვით მოთავეს—„ეხლა წვადები მოვიდეს!“ ამ სიტყვებზე ერთი ნავიდან გადმოვიდა მალაყსა, ჯერ ჩაიღუპა და მერე მძოვრით ამოვიდა, მოუსვა ვეება მკლავები და გამოვიდა ტიტველი მიკიტნის დუქანთან, საიდანაც ცხელ-ცხელი შამფურები პუტნაღალით გაიტანა ნავში და შეიქნა კელავ ახალი ჩამორიგება ოთხ-ორთი სტაქნებისა ერთად. ჩვენი საზანდრების სიმღერაზე ისინი ძალიან იხრაკებოდნენ და ხშირად იძახდნენ: „ერთი კიდევ, გეთაყვა, ჯანუმ! გიოზუმ!“... პირველ საათზე ჩვენ აქედამ ავიყარენით და იქიდამაც იმათი ნავი ნელ-ნელა ცურვით წავიდა ზევით ხიდისაკენ.“ ამას მოგვითხრობს და ასე 75 წლის მოხუცი დამსახურებული გენერალი, მეფის მოადგილის თანამდებობის აღმსრულებელი, სამეფო და არისტოკრატთა სასახლეებში და სალონებში გამობრძმედილი გრ. ორბელიანი, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მასში ეს ყარაჩოღელის ბუნება ამ ხანშიაც ძრიელია, მიმზიდველი: აი ამით აიხსნება რომ ყარაჩოღელთა და მათი ცხოვრების დახატვაში გრ. ორბელიანი თავის მასწავლებელ საიათნოვას არამც თუ არ ჩამოუვარდება, არამედ გაცილებით სჯობნის კიდეც. ლოპიანას დიმიტრი ონიკოვის, მკერვალი ბეჟანას განცდანი პოეტისათვის გასაგები და ღვიძლი განცდანი იყო. აი სწორედ ამიტომ შესძლო მან ასეთის ოსტატობით განეცვრიტა ყარაჩოღელთა გულის მოძრაობა, შესულიყო იმათ კანში, თავის ენის მაღალი შტილი უკუეგდო და ლოპიანას და მკერვალი ბეჟანას ჩვეულებრივი ენით ასე ამეტყველებულიყო!

ყარაჩოღელთა ბუნებრივი დასურათ-ხატებით რომანტიკოსს გრ. ორბელიანს უნებლიედ თავის შემოქმედებაში შეაქვს რეალიზმი. თუ აქ მაინც და მაინც ცოტა იდეალიზაციას აქვს ადგილი, ეს იმდენად მხოლოდ, რამდენადაც ეს „ლოთი-ფოთი“ „დარდიმანდი“ ყარაჩოღელი ჩვენს მგოსანს მოაგონებდა ძველს მამა-პაპეურს დროს, საიათნოვას და ბესიკის ხანას, და მის პაპა ერეკლე მეორის მეფობას.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ყარაჩოღული პოეზია გრ. ორბელიანის პოეზიაში იმდენად ძ

ერია, რომ ყარაჩოღელთა ცხოვრების ასახვაში და მათი ენის კოლორიტის დაცვაში მას ჩვენს ახალ მწერლობაში გამოუჩნდნენ ნიჭიერი მიმდევარნი ა. ახნაზაროვი ი. გოიშაშვილი და სხვანი.

V

გრ. ორბელიანის შემოქმედების განხილვა შეიძლებოდა აქ დაგვემთავრებინა, მაგრამ მისი სახე, როგორც მწერლისა და მოღვაწისა არ იქნება სავსე თუ არ განვიხილავთ მის ცხოვრებას და შემოქმედებას 60-იანი წლებიდან მის სიკვდილამდის.

ცნობილია, რომ 60-იანი წლები მძლავრი გარდატეხის, დაჭიმვის და ინტენსიური მოქმედების ხანაა რუსეთის და აქედან, როგორც ანარეკლი, ჩვენს ცხოვრებაში. ეს ის ხანაა, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, როდესაც ჩვენში „თერგდალეულთ“ ახალი ცხოვრების და ახალი გზის მაჩვენებელი დროშა აშკარად და მძლავრად ააფრიალეს და ზედ დააწერეს:

„მოვიკლათ წარსულს დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სჩვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.“[1])

ახალი თაობა მცირე რიცხოვანი, მაგრამ დიდის გატაცებით აღფრთოვანებული მყოფადის საფუძვლების გამონახვას შეუდგა. გამონახა კიდეც. მისი შეგნებით, მყოფადის მომცემს თაობას უნდა ამოძრავებდეს: „ძმობა-ერთობა თავისუფლება, რომ სიმართლისთვის გული უთრთოდეს და მომავლისთვის ბედითა ბრძოდეს“.

ახალმა თაობამ თავისი თავი გამიჯნა ძველი თაობისაგან, რომელსაც სწამდა: „ღმერთი არმობის, ღმერთი ყალბობის, ღმერთი მზაკვრობის და თვალთმაქცობის, ღმერთი უქმობის, ღმერთი ხარბობის და მძარცველობის.“[2]) ეს ღმერთი ახალმა თაობამ ძველს დაუთმო. ხოლო სამაგიეროდ მან იწამა ღმერთი: „უქმთა წარწყმედი, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი, ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა, ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი, ყოველთა ძმობის თანასწორობის მოძღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული, ძლიერთ დამძმელი, უძლურთ აბხსნელი„,[3]) რომელიც გმობილი და დევნილი იყო ძველი თაობისაგან. „მამათა“ ჩივილზე და საყვედურზე „შვილებისადმი“—

„კოღო-ბუზებო,
ლიბერალებო,
ჭკუით გლახებო, პატრიოტებო.
გზადაკარგულნო,
წყალწაღებულნო,

[1]) იხ. ილია ჭავჭავაძე „ქართლის დედა.“
[2]) იხ. ილ. ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“.
[3]) ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატის კნუტებო, რადგანა კნავით?
მოელეთ რუსეთში,
აფრიკაში,
მობრძანდით ისევ უანბანონი?
ვირი წავიდა,
ვირად მოვიდა,
კაცად ვერ იქცა, თვით ქაბის მადლით.
თქვე ცრუ მირაბო,
ზინ დიდგულებო,
გარედ კი მხდალნო, მოკუნტულებო" [1])

„შვილები" თავისი ღირსების და მოვალეობის შეგნებით აძლევენ პასუხს:

იქიდან ვკნავით,
სად თქვენის მადლით
ხაფანგებ-ქვეშე დამწყვდეული ვართ.
ჩვენ ვლეთ რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;
ჩვენი ქვეყანა
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლია.
ლიბერალობა,
პატრიოტობა
სალანძღავ სიტყვათ არ გაგვიხდია;
თქვენგან ჩაგრული
დაბრმავებული
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია.
ქვეყნისა ბედი,
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში ბჩვრად არ გაგვხდომია;
კაცის მხნეობა
კაცის ზნეობა
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია." [2])

ამ „პასუხების" საშუალებით ჩვენს თვალწინ იხატება ჩვენი ორი თაობის ძველისა და ახალის, „მამათა" და „შვილთა" სრული გაყრა 60-იან წლებში.

აი როდესაც ძველისა და ახალი თაობის ასეთი გამიჯვნა მოხდა გრ. ორ-

[1]) იხ. ცენტროარქივში, გრ. ორბელიანის ხელთნაწერებში ჩემს მიერ ნაპოვნი ვარიანტი გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა"-სი „გამოცანების პასუხის" სათაურით. ეს ვარიანტი უფრო მკაცრი, უხეში და გალიზიანებული კილოთი არის დაწერილი. დაბეჭდილი ვარიანტი გაცილებით შერბილებულია და დამშვიდებული კილოთია გადაკეთებული. ილია ჭავჭავაძის პასუხი, როგორც მოყვანილი ციტატებიდანაცა ჩანს, სწორედ გრ. ორბელიანის ხსენებული ვარიანტითაა გამოწვეული.

[2]) იხ. ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელიანი ძველი თაობის, „მამათა“ მეთაურათ გამოვიდა და ~~ბოლო~~ თავისი ენერგიით და ავტორიტეტით შეებრძოლა ახალ თაობას, „შვილებს“. გრ. ორბელიანი თავის „პასუხი შვილებთა“-ში თავის credo-ს, ძველი დროის უპირატესობას გამოსთქვამს:

„დრო მამებისა,
მამაცობისა,
წარვიდა მათთა სახელთა ქებით!
. . . . . .
ოსმალ-სპარსები,
დაღისტნის მთები
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ“. („პასუხი შვილთა“)

პოეტი აღნიშნავს შედარებით შვილებთან უპირატესობას „მამათა“, რომელთაც „დაიფარეს სისხლ-შემოსილი მამული თვისი“ და „სასო ღვთისა, მცველი ერისა, ენა, საყდარი, სარწმუნოება!“ ახალ თაობას კი მისი შეხედულებით, ხრწნის „უსასოება. ურწმუნოება“, „მამის გალანძღვა“ და ამ გრძნობების და აზრების სხვებზე გავრცელება. პოეტი ახალ-თაობის იდეებს და მოძღვრებას ეპ-ვის და უარყოფითის თვალით უყურებს და „გულით ოხრავს, რადგანაც ჰხედავს (მის) სიცოცხლეს ფუჭად მიმავალს... უქმობას, არარაობას და უ]ეცრების ამაყობასა!“... ბოლოს დაცინვის კილოთი აცხადებს: ახალი თაობისათვის დაცლილია დიდებისა და სახელ-ქების ასპარეზი და დეე მან გვიჩვენოს თავისი ნიადაგიანობა და ცხოველ-მყოფელი ძალა:

„რაღასა ელით?—მიჰმართავს პოეტი „შვილებს“.—
რატომ გვირგვინით
არ შეიმოსვის, ვინცა გყავთ ღირსი?..
რომ ბრძოლის ცეცხლი,
ასტყდეს ფიცხელი,
ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიჟინით,
იმ თქვენმა გმირმა,
სულით ძლიერმა,
ხელს ბაირაღით ძირს დასცეს ყარსი!“...

აი გრ, ორბელიანის მსოფლ-მხედველობა და იდეალი რას ვერ გასცილდა! აქაც ისევ ის ფეოდალი, როგორიც იყო გამუდმებით თავის ცხოვრებაში და შემოქმედებაში. მისი იდეალი აქაც კი ვერ გასცილდა ჩინ-მენდლებს, ჯვრებს და ომში გამარჯვებულის გვირგვინს.

VI

მაგრამ ახალი დროის ქროლვანი მეტად ძლიერი იყო. ასწლოვან მუხას, გრ. ორბელიანსაც, ძალა უნებურად უნდა განეცადა ამ ქროლვათა ძალა. თვით ბრძოლა „მამათა“ და „შვილთა“, რომელშიაც ასეთ დაუზოგველად ჩაება გრ. ორბელიანი, მაჩვენებელია იმისი, რომ ხელშეუხებელი არც ის დარჩა. ახალი დროის ძალა მან იგრძნო და, მეტოქეობის სურვილით უფრო, მოიწადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა ახალი მოძღვრების გამოყენება შემოქმედებისათვის. მაგრამ იმ იდეების შეთვისება გრ. ორბელიანმა ვერ შესძლო, სადაც კი მოინდომა საშინელი უხეში ჩანაკვესები გამოუვიდა. ამ ჩანაკვესებს თითქმის ყველგან სენტენციის ან, როგორც მას თვითონ წამოსცდა „კმარა მოძღვრება"-ო, მოძღვრების ხასიათი აქვს. ავიღოთ მაგალითად „სადღეგრძელო"-ს მეოთხე სადღეგრძელო, სადაც უსისტემოდ, სქემატიურად, დებულებების სახით თავმოყრილია მაღალი და პროგრესიული იდეები, რომელნიც აღნიშნულ ნაკლს გარდა, ცრუკლასიკურ დიდაქტიზმს მოგვაგონებს:

მაგალითად: „რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექნეთ ნუგეშ-მცემელი?
თუ არა ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისი არ გვესმის ტკივილი?"
(„სადღეგრძელო")

ეს, მართლაც, „მოძღვრება" ისე ხელოვნურად არის მიკერებული მთლიან ნაწარმოებს, ამ ნაწარმოებში ერთი მოძღვრება მეორეზე ისეთის ძალდატანებით არის აკინძული, რომ მკითხველი აშკარად ჰგრძნობს, რომ ავტორი ამ ფორმულებს ტრაფარეტულად იმეორებს, ეს ფორმულები მასში არ განხორციელებულა, მის არსებაში არ გათქვეფილა, აქ ძალად შეუტანია. რა აქვს საერთო ყველა ზემო ჩამოთვლილ რადიკალურ აზრებს გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობასთან, რომელიც მეფის ტახტსა და მის განმტკიცებას ანდომებდა მთელ თავის სიცოცხლეს?! ცხადია, ამ იდეებს ის ბუნებრივად ვერ განასახიერებდა და მათ პოეტურ სურათებში ვერ მოგვცემდა. ამიტომ აქ ძალდატანებითი რიტორიკაა!.. და გახა ასეთივე ძალდატანებითი რიტორიკა არ არის?

„მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას:
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას!"

ლამაზი და ეფემარიტი აზრია, ჩვენთვის და მის თანამედროვე ახალთაობისათვისაც კი გასაგები, მისაღები და სახელმძღვანელო, მაგრამ გრ. ორბელიანისთვის კი, რომელიც „ზურაბიანთ გვარეულობის დაცემასა და საქირველოს დაცემას ერთმანეთს უკავშირებდა",[1]) რომელმაც „თავად-აზნაურობის გაღარიბების და შემცირების გამო ერემიას გოდება შექმნა",[2]) რომელმაც ბანკის ერთ-ერთ კრებაზე განაცხადა: „ჩვენი დღევანდელი უბედურება ის არის, რომ მე, ყაფლანიშვილს და ვიღაც ცალქალამანიძეს ერთი და იგივე უფლება გვაქვს მონიჭებული, ერთი და იგივე ძალა!... იმასაც ჩემოდენი შეუძლიან ამ საკენჭო საქმეში" [3])—ეს აზრი ასეთი პიროვნებისათვის, რასაკვირველია, უცხო, გაუგებარი და მიუღებელია. ასეთს ჩვენს შეხედულებას გრ. ორბელიანზე სხვათაშორის ადასტურებს პოეტის წერილი ილია ჭავჭავაძესთან. აი ეს წერილაც:

„1879 წ. 18 მაისს, კნ. ილია ჭავჭავაძეს."

„დღეს ვერ გიახლები ჩვენი საზოგადოების კრებაში თეატრის გამო, რად-

[1]) იხ. კიტა აბაშიძე—„ეტიუდები" ტ. I.
[2]) იხ. ი. მეუნარგია „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა" „მოამბე" 1904 წ.
[3]) იხ. აკ. წერეთელი. „ჩემი თავგადასავალი" ტ. I. გამოცემა 1926 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაც ვარ მიწვეული в экстренное заседание общества вост. христьянства; მაგრამ გავბედავ და გულწრფელობით მოგახსენებ, რომ მე არა ვარ თანაგრძნობი ქართულის თეატრისა ამ ჟამად დაწესებისა, რომელზედაც დახარჯული ფული მგონია დაკარგულად.

მე არ მესმის, როგორ უნდა დაემყაროს თეატრი, რომელსა არა აქვს თავისი შენობა, რომელსა არა ჰყავს განსწავლული აქტიორები, რომელსა არ შეუძლია შენახვა თავისი თავისა, და თუ ქართულის ენის მოყვარულნი წარმოადგენენ რასმეს წელიწადში ორჯელ, სამჯერ, ხომ ეხლაც არის ამგვარი თეატრი.—არა მგონია ჩვენი ბანკი იყოს ისე გასუქებული, რომ სამასის თუმნის უსარგებლოდ დახარჯვა არაფრად მიაჩნდეს.

ჩვენი ბანკი—ასე მახსოვს, დაარსდა იმ მიზნით, რომ ჩვენს შვილებს მიეღოთ ბ.ნკის შეწევნით სწავლით აღზრდა ლიმნაზიებში და თვით უმაღლესთ სასწავლებლებში. ეს აზრი დამრჩა აზრად. და ეხლა მოულოდნელად ამას ზედ დაერთო სახალხო შკოლაცა და თეატრიცა. ვინ იტყვის, რომ შვილების აღზრდა,[1]) სახალხო შკოლები, თეატრი არ იყოს საჭირო ჩვენთვის? ვინ არ იცის რომ სამი ეს საგანი არის ხალხისა სულით ამაღლება, გონების გახსნა და თვით ეკონომიური შემატება, მაგრამ არა მგონია ჩვენს ბანკს ჰქონდეს ისეთი შეძლება, რომ ეს სამივე მეტად დიდი და ძნელი საქმე, ერთსავე დროსა დაამკვიდროს საფუძვლიანად, შეურყეველად.

ჩემის აზრით, ჯერ პირველად აღსრულდეს საზოგადოების სურვილი, ესე იგი, მიეცეს შვილებსა ფართო გზა დაუბრკოლებლად სწავლის აღზრდისა, რომლის აღსასრულებლად მოგვინდება რამდენიმე ათასი თუმანი ყოველს წელიწადს და თუ ბანკსა დარჩება რამე, მაშინ შეძლებისამებრ აშენდეს ხალხის სკოლებიცა და თვით თეატრიც".

აი ხამდვილი სახე გრ. ორბელიანისა: ჯერ თავად-აზნაურობა და შემდეგ თუ რამე დარჩება—ერი და მისი კულტურა!

ცხადია, ზემო მოყვანილი რადიკალური აზრები „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას, ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას"-ი და ამგვარი სხვანი ახალთაობასთან მეტოქეობით გამოწვეული ძალდატანებითი რიტორიკაა, რომელიც გრ. ორბელიანმა ახალი თაობის ახალი იდეების საწინააღმდეგოდ წამოაყენა, რომ გავლენა არ დაეკარგა, ბრძოლა არ წაეგო.

ასეთივე ძალდატანების ხასიათს ატარებს გრ. ორბელიანის ლექსი „მუშა ბოქულაძე". აქ ჩვენ ვერა ვხედავთ მუშას თავისი განცდებით, ტკივილებით, ხასიათით და ენით. მუშა ბოქულაძე უკულმართი და მძიმე ცხოვრებით გაკაჟებული რეალური პიროვნება კი არ არის, არამედ მოწუწუნე (нытик), როგორც ეს მეოცნებე უუნარო ინტელიგენტს დაემართება ხოლმე.

„ან რა გიკვირს? ჩემს 'შუბლზედა ღარები,
წვერ ულვაში უდროდ გათეთრებული
ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა

[1]) გრ. ორბელიანი აქ გულისხმობს თავად-აზნაურთა შვილების გიმნაზიებსა და უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდთა შრომათ, ღრმად ფიქრებთა მწარეთა
უიმედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა!...

ეს ხომ მუშის ენა არ არის! მუშა ხომ ასე ვერც განიცდის და ვერც იმსჯელებს! ეს ხომ გართხმული (расплывчатый) ინტელიგენტის აზროვნების მანერა და ხასიათია, ასე განცდა და აზროვნება შეეძლო თვით გრ. ორბელიანს და არა მწარე ცხოვრებით დაღარულს მუშას!

ან განა მუშას შეუძლიან განიცადოს და სთქვას:

„ბაღით მესმის ჭიანურის, ლხინის ხმა,
სავათნავას გულდამწველი სიტყვები...
გულით მინდა მეც აქედან ხმა მივსცე,
მაგრამ მრცხვენის: მე მათი რა ტოლი ვარ.“

ასე აზროვნება შეუძლიან ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილს, პრივილეგიურ წრიდან გამოსულ პიროვნებას და არა მუშას, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე შავს, ტვირთმძიმე შრომაშია და იცის, რა ძნელია ლუკმა-პურის შოვნა.

ან შემდეგი სიტყვები:

„რათ მიყურებ აგრე გაოცებული?
ნუ თუ, მართლა, კაციც არა ვგონივარ,
რადგანაც ვარ სიღარიბის სამოსლით,
არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა!...
მაშა მღვდელი ლაპარაკს რომ დამიწყებს,
ყურს რად ვუგდებ გონება-მიზიდული?...
მის სიტყვები, ზოგჯერ თუმცა არ მესმის,
მაგრამ გულს კი უხარიან მათ სმენა!...
ვგრძნობ სიმშვიდეს... ლოცვაებსა ვიგონებ...
მაგონდება დღენი ყმაწვილობისა,
ხმა დედისა, მისი ტკბილი ალერსი“...

ესეც ხომ ნიმუშია შრომის შეუჩვეველი, ფუფუნებას მოკლებული ბრწყინვალე წრიდან გამოსულისა, რომელსაც ღმერთი და სარწმუნოება მხოლოდ გაჭირვებაში აგონდება და სასწაულს ელის! ეს მისი პასიური ბუნების, ცხოვრების პირობებთან ბრძოლის შეუჩვევლობის შედეგია. ყოველ შემთხვევაში ამ სიტყვებს არავითარი საერთო არა აქვს ცხოვრების ქარტეხილში გამობრძმედილის მუშის განცდებთან. ამასთან, ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გლეხ-კაციც კი არ არის ასეთი მორწმუნე, მით უმეტეს მუშა. განა მუშისათვის ბუნებრივია სთქვას: „ლოცვაებსა ვიგონებ... ვგრძნობ სიმშვიდეს“...? ეს მეტაფიზიკა მუშისათვის გაუგებარია! ან რომელ მუშას შეუძლიან ასეთის კმაყოფილებით სთქვას: „მაგონდება დღენი ყმაწვილობისა, ხმა დედისა, მისი ტკბილი ალერსი“? მუშა ხომ ჩვეულებრივ ძონძებსა და ქოხში, მშიერ-მწყურვალი, შიშველი კანიანი იზრდება! მან არ იცის დღენი სიყვარულისა და ალერსისა. წარსულში მას შეიძლება მოაგონდეს სიმშილი, სიღატაკე, „ძუნწი ცხოვრება,“ დედის „გლოვის ნანა ქა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რის სისინთან შეერთებული“, მისი ტანჯვის ცრემლები და გავლილი მძიმე ეკლებიანი გზა ცხოვრებისა.

მაშასადამე არც ესა ზრია სწორი და ბუნებრივი. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ ვსჭვრეტთ გრ. ორბელიანს თავისი განცდებით, ფიქრებით, მისწრაფებებით.

ყარაჩოღელთა ცხოვრება მან კარგად იცოდა. ყარაჩოღელთა უზრუნველი ცხოვრება ხშირად მაღალი წოდებისათვისაც დამახასიათებელი და მიმზიდველი იყო. აი ამიტომ გრ. ორბელიანი ადვილად შეეიდა მათ კანში, მათი ენით აამეტყველა თავისი ჩანგი. სამაგიეროდ, მუშის ცხოვრება მისთვის უცხო და გაუგებარი იყო. გრ. ორბელიანმა მუშა ბოქულაძის ტყაპუჭა თავის ჩინ-მენდლიან და ეპოლეტიან მხარ-მკერდზე გადაიცო, მაგრამ მათი სავსებით დაფარვა კი ვერ შესძლო.

ამ რიგად გრ. ორბელიანი ერთი-მთლიანი, გაუბზარავი პიროვნებაა, როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში და სამსახურის ასპარეზზე მოღვაწეობაში, ისე პოეტურ შემოქმედებაში.

მაშასადამე, როგორც აშკარად დავინახეთ, გრ. ორბელიანის ცხოვრების და პოეტური შემოქმედების გულდასმითი შესწავლა ცხადად გვარწმუნებს, რომ გრ. ორბელიანის ბიოგრაფიასა და მის შემოქმედების შორის წინააღმდეგობა კი არ არის, როგორც ამას კიტა აბაშიძე ამბობს და შემდეგ ვ. კოტეტიშვილი იმეორებს, არამედ ერთი-ერთმანეთის შემავსებელი და ამხსნელი მასალაა. აგრეთვე გრ. ორბელიანის პიროვნებაში „გაორებას“ კი არ ვამჩნევთ, როგორც ეს ვ. კოტეტიშვილს უნდა დაამტკიცოს, არამედ მთლიანს გაუბზარავს „მე“-ს თავისი ფეოდალური და წოდებრივი განცდით, გაგებით და მისწრაფებით.

მიუხედავათ ამისა გრ. ორბელიანი ჩვეხი მწერლობის ისტორიაში უდაოდ სტოვებს თავის შესამჩნევ კვალს. მან განავითარა და გააღრმავა ჩვენს მწერლობაში ალ. ჭავჭავაძის მიერ დაწყებული რომანტიზმი, პირველად შემოიტანა და ძლიერი პოეტური ნიჭით აღბეჭდა ჩვენს მწერლობაში რომანტიული გაგება ბუნების კულტისა, პირველმა განასახიერა (და ძლიერადაც) სიყვარულის სულიერი მხარე; მან, როგორც ზევითაც დავინახეთ, თავის შემოქმედებაში უხვად გაფანტა მოვლენათა (ქმუნვა, სევდა, უკმაყოფილება, ძიება, იმ სოფლის რწმენა და სხვა) რომანტიული გაგება და რომანტიული კოლორიტით ძალუმად დააფერადა. გრ. ორბელიანმა თავისი განცდანი ხშირად გასაკვირველი და წარმტაცი ოსტატობით გამოსჭედა ლამაზი და ძლიერი პოეტური ენის საშუალებით, მის შემოქმედებაში პოეტური ექსპრესია ისეთის სიმძლავრით არის დაცული, ისეთის სიძლიერით და მასთან ისეთის სიზწრაფით და სიმკვეთრით, ერთი ან ორი სიტყვით იხატება მთელი დიდი სურათი, რომ, ამ მხრივ, გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭი დიდს სიმაღლეზე დგას.

„დავით სთქვა: „იყავ ქალაქნი!“ და აღმოცენდნენ ქალაქნი!
განვლე უდაბნო ოხერი,—სავსედ დაბები შეჰქმენი!
დაჰკარ წერაქვი—და აღჩნდნენ ტაძარნი ტურფად ნაშენნი!
მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი!
ხმა ჰყავ და აღსდგა ივერი ფენიქსებრ განახლებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდების სხივით შემოსილ, მშვიდობით აღყვავებული!...
ალმხედრდი ლაშქართ,—და ილტვის სულთანი შეძრწენებული,
შირვან დერბენდი ჰყავ საზღვრად, შენის ხმლით შემოხაზული"

(„სადღეგრძელო")

გრ. ორბელიანის შემოქმედებიდან სურათოვანი ენის მაგალითების გამრავლება შეიძლებოდა, მაგრამ მისი პოეზიის გზადაგზა გარჩევის დროს ჩვენ მიერ მოტანილი ნიმუშებიც ჩვენს ამ აზრსაც საკმარისად ამტკიცებენ. ამისათვის მეტი ნაწყვეტებით აღარ გავაგრძელებთ შუშაობას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გრ. ორბელიანის შემოქმედებაში--ყარაჩოღელთა ცოცხალ დასურათ-ხატებაში, შეიძლება განსკვრიტოთ რეალიზმის შთასახვის ელემენტები ჩვენს მწერლობაში.

1926 წ. 6 მაისი.

მოსე გოლიბერიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდრიხ ენგელსი თანამედროვე გუნებათმეცნიერების სამსჯავროს წინაშე

(„ნატურ-დიალექტიკის“ გამოქვეყნების გამო)

> Eine Nation, die aul dif Höhe der Wissenschft stehen will, kann nun einmal ohne theoretiches Denken nicht auskommen.
>
> ფ. ენგელსი [1])

* * *

ამხ. რიაზანავმა თავის ჟურნალში: „Архив К. Маркса и Фр. Енгельса“ გამოაქვეყნა ენგელსის ნაწარმოები: Naturdialektik—„ბუნების დიალექტიკა“, ანუ „დიალექტიკა ბუნებაში“. ეს ნაწარმოები უს თუ ოდ უდიდესი დოკუმენტია მარქსიზმის კლასიკური ლიტერატურიდან მხოლოდ იმის გათვალისწინება, თუ რა უნდა ყოფილიყო ამ ნაწარმოების მიზანი, უკვე ნათელჰყოფს მის უდიდეს თეორიულ მნიშვნელობას.

ენგელსის ცნობილი განცხადებისა თანახმად ჰეგელის სკოლის დაშლის შემდეგ, მისი მემარცხენე ფრთიდან დარჩა ორი მოაზროვნე, რომლებიც ხელს არ უშვებენ ჰეგელის სისტემის უდიდეს ნაყოფს,—აზროვნების დიალექტიურ მეთოდს და ცდილობენ დიალექტიკის საშუალებით გაეგოთ ბუნების კანონები და ადამიანთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალები. მარქსმა „კაპიტალ“-ში მოელი გენიალობით მოიხმარა ეს მეთოდი და მის თეორიულ საფუძვლებზე დაამყარა როგორც ბურჟუაზიული საზოგ დოების მკაცრი კრიტიკა, ისე სოციალიზმის აუცილებლობის დამტკიცება. მარქსის მიერ დიალექტიკა საესებით გამარჯვებულ იქმა ისტორიის სარბიელზე. დიალექტიკის საშუალებით მარქსმა არამც თუ გაიგო კაცობრიობის ისტორიის წარსული და მისი მამოძრავებელი ძალები, არამედ ამავე მეთ დის დახმარებით მან მეცნიერულად გამოიანგარიშა

---

[1]) Fr. Engels: Naturdialektik; Архив К. Маркса и Ф. Енгельса под ред. Рязанова. Томи II ss. 1-6. Москва—Ленинград— 925.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორიის ხვალინდელი დღე და აღმოაჩინა, რომ თვით ის საზოგადოება, რომელშიაც დღეს საკაცობრიო ისტორია მოქმედობს ე. ი. ბურჟუაზიული საზოგადოება, საკუთარ საშოში ატარებს მის შეცვლის აუცილებლობას.—

მაგრამ დარჩა ჩვენი ცოდნის მეორე უდიდესი შტო—ბუნებათმეცნიერება, რომელიც უკვე აჩქარებული განვითარების და გიგანტიური შესაძლებლობათა გზაზე იდგა.

შესაძლებელია თუ არა ჰეგელის უნივერსალური მეთოდის ამ დარგშიც მოხმარება? ეს საკითხი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მარქს-ენგელსისათვის ყოველივე ეჭვს მოკლებულია. დიალექტიკამ ბუნებათმეცნიერსაც უნდა გაუწიოს საჭირო მეთოდიური დახმარება. რასაკვირველია, ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, ვითომც საკმარისი იყოს ბუნებათმეცნიერისათვის დიალექტიკის ყველა კანონების ცოდნა, რომ ამით ბუნების უცნობი ძალების და ყველა საიდუმლოების გაგება უზრუნველყოფილი იქნებოდეს. სრულიადაც არა. თუ ადამიანთა ისტორია მოქმედებდა დიალექტიური კანონების თანახმად და კ. მარქსმა ეს კანონები აღმოაჩინა—ამით მარქსმა შეჰქმნა თვით მეცნიერება ისტორიისა,—ბუნებათ მეცნიერება კი უკვე შეჰქმნილია, მას არავითარი შეკეთება არ სჭირია. საქმე იმაშია, რომ ბუნების კანონები დიალექტიური ბუნებისა არიან და ყველა ამ კანონს დიდი ბუნებათმეცნიერნი ყოველ დღე ახალ-ახალ მასალას უგროვებენ, მაგ. დარვინმა დიალექტიკა გაამაგრა ბიოლოგიაში, მენდელეევმა ქიმიაში. მაგრამ ამ მეცნიერებმა არ იციან, რომ ისინი დიალექტიკოსები არიან.—**ენგელსის შრომის მიზანია განიხილოს მისი დროის ბუნებათ მეცნიერება და დაამტკიცოს, რომ ეს მეცნიერებათა მეცნიერება თუმცალა შეუგნებლად, მაგრამ მით მეტი შეუპოვრობით დიალექტიკის მიხედვით ანვითარებს თავის ცოდნას.**

ამ რიგად „ნატურდიალექტიკა"-ს დიალექტიური მეთოდი ჩვენი ცოდნის მეორე მენახევრის ე. ი. ბუნების მიმართ უნდა გაემართლებია. ამისათვის საჭირო იყო ბუნებათ-მეცნიერების ყველა დარგის შესწავლა და იმ თვალსაზრისით განხილვა, რომ ფეხზე დაყენებული ჰეგელის მეთოდი იძლევა იმას, რაიც თვითეულ მეცნიერს და ცალკეულ სამეცნიერო დარგს თავისთვის აღებული აკლდა. ე. ი. ნატურდიალექტიკ-ს უნდა მოეცა ბუნების მთლიანობის იდეა. ეხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლებოდა ბუნება „აღებულად" და მისი კანონიერება გაგებულად. აქამდე არსებული წინ აღმდეგობა ბუნებასა და ისტორიას შორის მოიხსნებოდა და თვით ბუნების წიაღში ისტორიის მომენტი საჭირო ადგილს დაიჭერდა. ეს უკვე ჰეგელის „ნატურფილოსოფიაში" იყო დაწყებული, მაგრამ ჰეგელს იდეალისტური საძოსელი ხელს უშლიდა თავისი გენიალური იდეები საბოლოო დასკვნამდე მიეყვანა. მარქს-ენგელსი მატერიალისტურ-რეალიზმზე დაყრდნობილ დიალექტიკას კი ეს საქმეც სისრულეში უნდა მოეყვანა.—

სწორედ ასეთი გრანდიოზული იყო ენგელსის ამოცანა, როდესაც მან თავისი „ნატურდიალექტიკის" დამუშავება დაიწყო. „ნატურ-დიალექტიკა" მეთოდიური გაგებით უნდა ყოფილიყო ბუნების მიმართ ისეთი, როგორიც „კაპიტალი" საზოგადოების და ისტორიის მიმართ იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მაგრამ რამდენად ბედნიერი და გრანდიოზული იყო „ნატურდიალექტიკა“ თავის იდეიის და შინაარსის მხრით, იმდენად უბედური აღმოჩნდა მისი ლიტერატურული დამუშავება. ენგელსმა ვერ მოასწრო თავისი გენიალური გეგმის სისრულეში მოყვანა. ჩვენ დაგვრჩენია არა წიგნი, არამედ მასალები შესაძლებელი წიგნისა.

პირველ უბედურებას მეორეც დაემატა. ენგელსის სკვდილის შემდეგ მისი ნაწერები რევიზიონიზმის მამამთავარის ხელში გადავიდა. ედუარდ ბერშტეაინს, რასაკვირველია, დიდათ ვერ დააინტერესებდა სწორედ იმ დიალექტიკის წისქვილზე ახალი ნაკადი მიეშვა, რომელსაც მან ენგელსის გარდაცვალების მეორე დღესვე სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ენგელსის ხელნაწერი არამც თუ ისტორიისათვის, არამედ თვით მარქსიზმის თეორიულ წინამძღოლთათვის უცნობი და ხელარმისაწვდომი დარჩა. თვით გიორგი პლეხანოვსაც კი არ ჩაუხედავს შიგ. ბერშტეაინი მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ინახავდა ამ უდიდეს მნიშვნელობის დოკუმენტს მტვერსა და ყუთში.

პირველად 1873 წელში ენგელსი მიდის იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია დიალექტიური მეთოდის თვალსაზრისით გააშუქოს მისი დროის ბუნებათმეცნიერება. ამის შესახებ ის წერილობით ატყობინებს მარქსს. ამ დღიდან ენგელსი მთელ თავის თავისუფალ დროს ანდომებს ბუნებათმეცნიერების სპეციალურ შესწავლას. როგორც ჩვენ ენგელსის განცხადებიდან ვიცით ეს სწავლის და მომზადების პერიოდი გრძელდებოდა მთელი რვა წელიწადი. 1876 წელს ის გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანოს რედაქტორის (ვ. ლიბკნეხტის) მოთხოვნით იძულებულია შეემბეს კამათით ევ. დიურინგს. ამ კამათის ნაყოფი არის „ანტი-დიურინგი“. „ანტი-დიურინგ“-ში ენგელსი იძლევა ხოკიერთ შედეგებს, რომელიც მას „ნატურდიალექტიკისათვის“ სჭიროდა. მაგრამ „ანტი-დიურინგი“ პოლემიკური ხასიათის ნაწაომოებია. ენგელსს არა ერთხელ გაუცხადებია, რომ მას ეს წიგნი თავისი სურვილით არ დაუწერია, არამედ პარტიამ დააავალა მას ასეთის დაწერა.

ენგელს უნდოდა თავისი შრომის ნაყოფი სისტემატიური დალაგებით გამოექვეყნებია. ენგელსი აგრძელებს მუშაობას. 1882 წლის ბოლოში მას თითქმის მთელი მასალა დამზადებული აქვს, საჭირო შენიშვნები დაწერილი და ერთი სიტყვით მთელი წინასწარი სამუშაო მოთავებული აქვს. 1878 წელს 23 ნოემბერს ენგელსი უკანასკნელად ჰპირდება მარქს, რომ "ახლა აუცილებელია, რაც შეიძლება დაჩქარებით დავამთავრო ნატურდიალექტიკა".

ისტორიას სხვა გვარად სურდა. 1833 წ. 14 მარტს გარდაიცვალა მარქსი. ენგელსმა აქ დღიდანვე მიატოვა მავისი შრომის გაგრძელდება. თუ რა იყო მიზეზი, ამის შესახებ ვკითხულობთ „ანტი-დიურინგიი“ს მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც დაწერილია 1885 წელს. ენგელსი სწერს: ჩემი მიზნის (ე. ი. „ნატურ-დიალექტის“ დაწერა) სისრულეში მოყვანას მოითხოვდა კოლოსალურ შრო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მას. „არამც თუ შესასწავლი და შესათვისებელი დარგი წარმოუდგენლათ დიდია, არამედ ბუნებათმეცნიერება ამ დარგში თვით განიცდის უდიდეს გარდაქმნების პროცესს, რომლის ყოველმხრივი გათვალისწინება იმასაც კი გაუძნელდებოდა, ვინც მთელ თავის თავისუფალ დროს ამ საქმეს შესწირავდა. კარლ მარქსის სიკვდილს შემდეგ კი მთელი ჩემი დრო უნდა შესწიროდა უმთავრეს მოვალეობას და ამიტომ მე ჩემი შრომა უნდა შეეწირებია[1]).“—ეს უმთავრესი მოვალეობა, როგორც ცნობილია, კარლ მარქსის ხელნაწერების შესწავლა და მათი გამოცემა იყო. ენგელსს პირველად ადვილად წარმოედგინა ეს საქმე, ის იმედობდა, რომ დაბოლოს გამოსცემდა მარქსის მათ მატიკურ ხელნაწერებს და ამასთან ერთად თავის ნატურ დიალექტიკასაც. მაგრამ იმედი არ გამართლდა. ენგელსმა სიკვდილამდე „კაპიტალის“ მეორე და მესამე ტომის გამოცემა ძლივს მოასწრო.—„ნატურდიალექტიკა“ კი, როგორც არა ერთი გეგმა მარქს-ენგელსისა, გადაეცა მეცნიერული სოციალიზმის არქივს.

სწორედ ამ არქივიდან ამოიღო ის დ. რიაზანოვმა და მთელი მსოფლიოს მარქსისტული ლიტერატურის ერთ-ერთ ძვირფას განძად აქცია.

* * *

მიუხედავად იმისა რომ რიაზანოვის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი მასალების კრებულის და მთელი რიგი შენიშვნების, ზოგჯერ კი დაუმთავრებელი ესკიზების სახით არის დაცული—მისი მნიშვნელობა თეორიული მარქსიზმის ზოგიერთი სადაო საკითხების მოსაგვარებლად მაინც დიდია. მეტის თქმაც შეიძლება. აქ დამუშავებულია და საუცხოვო თვალნათლობით გადაჭრილია ისეთი საკითხები რომლების გარშემო მარქსისტულ ლიტერატურაში დღემდე ცხარე კამათი არსებობს. ასეთია უპირველეს ყოვლისა საკითხი ფილოსოფიური აზროვნების შესახებ—მაგრამ ამაზე ქვევით.

როგორც დავინახეთ ენგელსის წიგნს დიდი მიზანი ჰქონდა დასახული. მას მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით უნდა განეხილა მთელი მაშინდელი ბუნებათმეცნიერება და თავისი სიტყვა ეთქვა თვითეულ დარგის მიმართ. მაგრამ ბუნებათმეცნიერება ხომ დაუდეგარი რევოლიუციების მოყვარე ფენომენია. რაიც დღეს სავალდებულო და კანონიერია, ის სულ თავის კანონიერებას ჰკარგავს.

ეს მოვლენა არავის სცოდნია უკეთესად, ვიდრე თვით ენგელს. ცნობილია ენგელსის მიერ დაწერილი ლოზუნგი მარქსისტული მატერიალიზმისათვის. თვითეულ დიდ რევოლიუციასთან ბუნებათმეცნიერებაში—გვასწავლის ენგელსი—მატერიალიზმა უნდა შეიცვალოს თავისი სახე, შეუთანხმდეს ახალ ეპოქას. [2])

„ანტი-დიურინგის“ დასახელებულ წინასიტყვაობაში ის პირდაპირ ამბობს, რომ შესაძლებელია სანამდე მოესწრობოდეს მისი ბუნებათ-მეცნიერულ—მათემატიკური ნაშრომის გამოქვეყნება, ეს ნაშრომი საკუთრივ დაძველდეს. ენგელსი სწერს: „ისიც შესაძლებელია, რომ თეორიული ბუნებათმეცნიერების განვითარებამ მთელი ჩემი ნაშრომი ან და მისი ზოგიერთი ნაწილი ზედმეტად

[1]) იხილე: Fr. Engels: «Anti-Dühring» ბოლო წინასიტყვაობა.
[2]) იხილე. Gr. Engegs: «L Feuerbach ete“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახადოს. რადგან რევოლიუცია,—რომელიც თეორიულ ბუნებათ მეცნიერებას თავს ეხვევა იმ უბრალო ფაქტის გამო, რომ საჭიროა დღითი-დღე დაგროვილი, უამრავი ემპირიული მასალის დალაგება,—ისეთია, რომ ის ბუნების მოვლენების დიალექტიურ ხასიათს უჯიუტეს ემპირიკოსსაც კი მიაღებიებს".

ეს დებულება მარქსიზმისათვის უდაოა. ასეთ გადახალისების და გარდაქმნების ზეგავლენას განიცდის თვით მატერიალიზმი. პროგრესიული და რევოლიუციონური იყო ის მე 17-საუკუნის ინგლისში და მე 18-საუკუნის საფრანგეთში. მაგრამ როდესაც ის მატერიალიზმი ზოგიერთმა ექიმებმა გადმოიტანეს მე 19-საუკუნის გერმანიაში, ის შეიქნა არა მეცნიერული და ამიტომ არა პროგრესიული.

აქ ენგელსი, თვით მატერიალისტი, გამოდის ამ ძველი ჯურის მატერიალიზმის წინააღმდეგ და აქცევს მათ თავისი ბასრი ქალმის წვერის მსხვერპლად. ენგელსი მათ „ეზოებში მოყიალე ქადაგის" სახელწოდებით ნათლავს და უარს ეუბნება მეცნიერებასთან რაიმე ახლო კავშირის ქონების შესახებ. ახალი დროის მეცნიერებას და ფილოსოფიას მატერიალიზმის ახალი სახე სჭიროდა. ასეთი ახალი მატერიალიზმი არის მარქს-ენგელსის დიალექტიური მატერიალიზმი.

საკითხია, სდგას თუ არა ახალი მატერიალიზმი დაძველების საშიშროების წინაშე? ამბ. რიაზანოვი თავის წინასიტყვაობაში გაკვრით ეხება ამავე საკითხს და ამბობს, რომ თუმცალა ასეთი დაძველების საშიშროება არსებობს, მაგრამ მარქსიზმი ასეთ დაძველებას სიხარულით ეგებებაო. აქ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ენგელსს ის კი არ უთქვამს, რომ დიალექტიური მატერიალიზმი დაძველდება, (მეთოდი დიდხანს არ ძველდება, ხოლო დიალექტიური მატერიალიზმი სხვა არაფერი არ არის!) არამედ მის განცხადებას ის აზრი ჰქონდა, რომ შეიძლება ჩემი შრომის გამოქვეყნებას თვით ბუნებათ მეცნიერმა გაუსწრონ წინ და გამოაქვეყნონ მათი მეცნიერების დიალექტიური ბუნებაო. ამ შემთხვევაში დაძველებული ე. ი. დაგვიანებული იქნებოდა ენგელსის წიგნი და არა ის საგანი, როჭელსაც ეს წიგნი შეეხებოდა. დაძველდებოდა, ცხადია, მთელი ის ფაქტიური მატერიალი, რასაც ეს წიგნი დაეყრდნობოდა, მაგრამ არ უნდა დაძველებულიყო ის თვალთახედვის ისარი, ის მეთოდი, ის ფილოსოფია, რომლის გამოსაცდელათ ენგელსის წიგნი იწერებოდა.

როგორ შეიძლება ასეთი ნაშრომის დაძველების საკითხის მოგვარება? თუ მაგალითად დღეს იწერება მეთოდიური ხასიათის წიგნი და შეეხება ბუნების ჩვენ დღევანდელ ცოდნას, თუ ეს წიგნი ეპოქალური და ცხოველყოფილია, მაშინ ის ხვალინდელმა დღემ მეთოდიურად არ უნდა უარჰყოს. ე. ი. მოცემული მეცნიერების განვითარება დასახელებულ წიგნში ნაჩვენები გზით უნდა წავიდეს. საკითხია: რა ითქმის ამ თვალთსაზრისით ენგელსის წიგნის შესახებ. დაძველდა ის მთლად, თუ მის შემდგომი განვითარება გაჰყვა იმ მეთოდის გზას, რომლითაც თვით ის უნდა დაწერილიყო?

ჩვენი ღრმა რწმენით ეს უკანასკნელი მოსაზრება სწორია. ბუნებათ მეცნიერება სწორედ იმ გზით განვითარდა რომელიც ენგელს, თუ მთელი თვალ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათლობით გათვალისწინებული არა, გენიალური ინტუიციით მაინც მიხვედრილი ჰქონია.—ის დიდი რევოლიუცია, რაიც მას შემდეგ თეორიულ ბუნებათმეცნიერებაში მოხდა ყოველ ნაბიჯზე ამართლებს ენგელსის თეორიულ მოსაზრებებს. ამბ. რიაზანოვის სწორი შენიშვნით ენგელს ჯერ კიდევ სავალებით გათვალისწინებული არ ჰქონდა მაქსველის ნაშრომის უდიდესი მნიშვნელობა, მაგრამ მით უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ ენგელსი ზოგ ისეთ დებულებას აყენებს, რომლებიც თეორიულ ფიზიკაში მაქსველის სრული მიღების და გაგების შემდეგ დამკვიდრდა.

ამ საკითხების გარჩევასთან ერთად. აუცილებელია შეეჩერდეთ ორ უდიდეს მნიშვნელობის საკითხზე. პირველი იქნება დიალექტიური მატერიალიზმის დამოკიდებულება ფილოსოფიის ისტორიისადმი და მეორე მექანიკური მატერიალიზმის კრიტიკა.

* * *

„ნატურდიალექტიკა" ცნობილი მატერიალისტი ბიუხნერის კრიტიკით იწყება და ხელად გადადის ამ მიმართულებისათვის ცენტრალური მნიშვნელობის საკითხზე. ეს არის საკითხი ბუნებათმეცნიერების და ფილოსოფიის დამოკიდებულების და მათი კანონიერი უფლებების შესახებ. თავის დასკვნას ენგელსი იძლევა შემდეგი სიტყვებით:

„დაბოლოს ფილოსოფია გადაეხდის ბუნებათმეცნიერებას იმისათვის, რომ მან ის (ფილოსოფია) მოატოვა.—ბუნებათმეცნიერნი კი ძოვალე იყვენ გასაცნობოდენ ფილოსოფიის მიხწევებს ბუნების შესწავლის მიმართ და მაშინ დაინახავდენ ისინი, რომ თვითეულ ამ ფილოსოფიაში ისეთი რაიმეც აროის მოცემული, რაიც მათზე უფრო ძლიერია მათ საკუთარ დარგშიაც კი. (მაგ.: ლაიბნიცი დამაარსებელია დაუბოლავებელი სისხის მათემატიკის და მასთან შედარებით ინდუქციის ვირი ნიუტონი პლაგიატორი და დამნაშავეა; კანტის კოსმიური წარმოშობის თეორია მოგვეველინა ლაპლასის წინ; ოკენმა გერმანიაში პირველად აღმოაჩინა განვითარების თეორია; ჰეგელის დასკვნები და მისი რაციონალური დალაგება ბუნებათმეცნიერებისა გაცილებით უფრო დიდი საქმეა, ვიდრე მთელი მატერიალისტური სილაყბე და სისულელე [1]).

რაშია საქმე? რა ენით ლაპარაკობს აქ ენგელსი? რამ გამოიწვია ასეთი დიდი საყვედური ბუნებათმეცნიერების მიმართ, რომლის დიდ საქმეს ენგელსი სხვა მიმართულებით სავსებით ღებულობს? რით ავხსნათ, რომ იმ დროინდელ მეცნიერებაში აბსოლიუტურად გაბატონებულ ისაკ ნიუტონს, ენგელსი „ინდუქციის ვირს" უწოდებს?

უწინარეს ყოვლისა ერთი განმარტება მკითხველისათვის. ენგელსი აცხადებს, რომ ლაიბნიცთან შედარებით ნიუტონი პლაგიატორი და დამნაშავეა. ეს უდრის განაჩენის გამოტანას ერთ დიდ სადაო საკითხზე. ცნობილია რომ დიფერენციალი აღრიცხვის აღმოჩენის შემდეგ, ატყდა დიდი დავა თუ ვის ეკუთვნოდა მისი აღმოჩენა: ლაიბნიცს, თუ ნიუტონს. მათემატიკოსები ორ დიდ ბანაკად იყვენ გაყოფილი. ინგლისელები ამტკიცებდენ, რომ ის ნიუტონმა

1) იხილე: „Архив" გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოაჩინა ის მექანიკის ზოგი პრობლემების გადაჭრის საშუალებისთვის ერთად და უწოდა ამ ახალ აღრიცხვას ფლუქსიების აღრიცხვა; ხოლო კონტინენტის მათემატიკოსების აზრით დიფერენციალი აღრიცხვა აღმოაჩინა ლაიბნიცმა ტაანგენციალი პრობლემის განხილვის დროს. როგორც ფორმულა ds ისე სახელწოდებაც ლაიბნიციდან მოდის. ამ პრობლემის გარშემო არსებობდა ძალიან არა სასიამოვნო ლიტერატურა და წერილობითი დოკუმენტები. ენგელსის დროს ეს საკითხი საკუთარ არ ყოფილა გადაჭრილი. ხოლო ენგელსმა გადასჭრა ის უბრალო მეოდიური მოსაზრებით. ენგელსის მოსაზრება დაახლოებით ასეთია: დიფერენციალი აღრიცხვა მათემატიკური ელემენტის დიალექტიურად გადაქცევას უდრის. მიღებული ამ გზით ზოგიერთი დებულებანი დაბალ მათემატიკასთან შედარებით სისულელეს ჰგავს. მაგრამ მით უკეთესი. ასეთი დიალექტიური „სისულელე" აუცილებელია. ლაიბნიცი წმინდა დიალექტიკოსი თავის რაციონალისტური მეთოდის მიხედვით, ცხადია რომ უფრო გაიგებდა ამ ახალი მეთოდის ბუნებას. ამიტომ მის აღმოჩენაში პირველობაც მას უნდა მივაკუთვნოთ. დაგროვილი მასალის მიხედვით ლაიბნიცისათვის, როგორც დიალექტიკოსისათვის, აუცილებელი იყო დიფერენციალი აღრიცხვის აღმოჩენა, ნიუტონისათვის კი, როგორც ემპირიკოსისათვის ეს მხოლოდ შემთხვევა იყო. აქ არის მეთოდის სიძლიერე მატერიალზე, დიალექტიური აზროვნების უბრალო ემპირიულ აზროვნებაზე. ენგელსი საკუთარ გაამართლა უკანასკნელი დროის კვლევა-ძიებამ ამ დარგში. დღეს სწორეთ გადაჭრილად ითვლება ეს საკითხი, რომ დიფერენციალი აღრიცხვა პირველად ლაიბნიცის მიერ არის აღმოჩენილი.

რაც შეეხება ჩვენს მიერ დასმულ საკითხებს იმათ შესახებ ენგელსი გარკვეულ პასუხს იძლევა ცოტა ქვევით სახელდობრ „არქივის" დალაგებით მეორე თავში, რომელსაც ენგელსის ხელნაწერებში სახელი ჰქონია: Alte Vorrede zum „Anti-Duhring" Ueber die Dialektik—„ანტი-დიურინგის ძველი წინასიტყვაობა.—დიალექტიკის შესახებ" ე. ი. ეს უნდა ყოფილიყო ანტი-დიურინგის ვრცელი წინასიტყვაობა. მაგრამ ისიც გამოუქვეყნებელი დარჩენილა.

რას აკეთებს ბუნებათმეცნიერება? როგორია მისი დანიშნულება? ასე აყენებს საკითხს ენგელსი და უპასუხებს, რომ უპირველეს ყოვლისა ის აგროვებს მასალას, სწავლობს ბუნების თვითეულ კანონს, განიხილავს საგნებს კონკრეტულ მიმართულებაში. მაგრამ თუ მთელი მასალა დაგროვილია, მოვლენები შესწავლილია, ცხადია რომ საკითხი დაისმება ამ მოკლენათათვის ერთი მთლიანი პრინციპის გამონახვის, მასალისათვის კი წეს-წყობისა და დალაგების შესახებ. გარეშე ასეთი სინთეზისა ჩვენ ვერ ვიქნებოდით ნამდვილი მატერიალისტები. ჩვენ ანაფერი გვეცოდინებოდა ბუნებაზე საერთოდ და კერძო ფენომენების შესწავლა ვერ უზრუნველყოფდა ამ ფენომენთა სათავის შესწავლის საქმეს. ასეთი მუშაობით კი „ბუნებათმეცნიერება გადადის თეორიულ არეში, სადაც ემპირიის მეთოდი გამოუსადეგარია,—აქ მხოლოდ თეორიულ აზროვნებას შეუძლია შველა. თეორიული აზროვნება კი ნიჭის სახით თანდაყოლილი თვისებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს ნიჭი უნდა განვავითაროთ; ასეთი აღზრდისთვის კი ერთვითარი სხვა საშუალება არ არსებობს, ვიდრე აქამდე არსებული ფილოსოფიის შესწავლა". [1])

ეს თეორიული აზროვნება, ანუ ფილოსოფია, არის მეცნიერება აზროვნების შესახებ. ის ისეთივე ნაყოფია ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის, როგორც ყველა სხვა ფორმა.

ამგვარად მეცნიერება აზროვნების შესახებ არის ისტორიული მეცნიერება და შეიცავს ადამიანის აზროვნების განვითარების ისტორიულ ფორმებს. აზროვნების კანონები, ისე როგორც ბუნების კანონები, „მარადიული ჭეშმარიტების" შემცველნი არ არიან. თვით ფორმალი ლოგიკის კანონები არისტოტელედან დღემდე დავას იწვევენ, ხოლო დიალექტიკა დღემდე ორ მოაზროვნეს გაუგია. არისტოტელეს და ჰეგელს. სწორედ ეს დიალექტიკის შემცველი ფილოსოფია უნდა კარგად შეისწავლოს ბუნებათმეცნიერმა, „რადგან მხოლოდ მასში მოცემულია ანალოგია იმ განვითარებითი პროცესებისა, რომლებიც ბუნებაში გვხვდებიან და ახსნითი მეთოდესში, რომლის საშუალებით ბუნების საერთო და მთლიანი სათავის გაგება, ერთი მაძიებელი არედან მეორეში გადასვლა, შესაძლებელი ხდება".

მეორე მხრით თუ ბუნებათმეცნიერება არ იცნობს თეორიულ აზროვნების ისტორიული განვითარების ფორმებს, ის ხშირად ძველის-ძველ ნახულ ჭეშმარიტებას ახლად ასაღებს. „დებულებანი, რომლებიც ფილოსოფიაში მრავალი საუკუნოების წინ იყო წამოყენებული და ხშირად ფილოსოფიურად უკვე დაძველებულიც არის, თეორიულ ბუნებათმეცნიერებაში ხშირად უახლესი და უბრწყინვალესი სიბრძნის სახით გვევლინება და ის კი არა ზოდის საკითხათაც კი იჭცევა". ყველა ასეთი შეცდომის თავიდან ასაშორებლად არსებობს ერთი საშუალება: მეცნიერმა უნდა იცოდეს ფილოსოფია, განსაკუთრებით კი მისი დიალექტური ნახევარი.

თუ რამდენად მაღლა აფასებს ენგელსი ფილოსოფიურ კულტურას იქიდან სჩანს, რომ ის დიდ პოზიტიურ მოვლენათ სთვლის ნოიკანტიანლების სკოლის გადარჩენას საერთო ფილოსოფიურ ნგრევის პერიოდში, რადგანაც ამ ნოიკანტიანიზმში „შეინახა კლასიკური ფილოსოფიის ნაფლეთები",—იმ ნოიკანტიანლების სკოლისას, რომლებსაც სისტემატიური მოფიქრებით ენგელსი თავისი სასტიკი კრიტიკის საგნად ხდის.

მხოლოდ ემპირიული მეთოდებით გატაცებული მეცნიერება ჰფიქრობს, რომ ის თავისუფალია ფილოსოფიური მეტაფიზიკიდან. სინამდვილეში კი ასეთი ემპირიკოსები იფლებიან მეტაფიზიკის წუმპეში. მათ ყველგან აკლიათ თეორიული აზროვნება და დიალექტიკა. ამიტომ მათი ბუნება ის მთლიანი და სავსე ერთეული კი არ არის, რომელსაც უბრალო ადამიანი უშუალოთ ხედავს, არამედ ის კერძო საგნების უთავბოლო გროვაა.—ეს არის მეტაფიზიკური ემპირიის ნაყოფი.

---

[1]) იხილე: Архив—გვ. 124.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე რომელია გზა მეტაფიზიკიდან თავის დახწევისა და დიალექტური აზროვნების შეთვისებისა?

ენგელსი ასახელებს ორ წყაროს. პირველი წყაროა ბერძნული ფილოსოფია. დიალექტური აზროვნება აქ მოცემულია უშუალოთ და უბრალოთ. ბერძნულ აზროვნებას გააჩნია ის, რაიც აკლია მექანიკურს—მთლიანობის იდეა. „ბერძნებისათვის ჯერ კიდევ არ დამდგარიყო ის დრო, საიდანაც ბუნების ანალიტური შესწავლა იწყება, მაგრამ ისინი ბუნებას ისე ჰვრეტდენ, როგორც ერთ მთლიანს და ერთ განუყოფელ ერთეულს. ჯანსაღი მიდგომა ბუნებისადმი შესაძლებელს ჰქმნიდა იმ გარემოებას, რომ ბერძნულ ფილოსოფიაში აზროვნების შემდგომი განვითარების მთელი სათავე თითქმის უნაკლოთ მოცემულია. თანამედროვე ბუნებათმეცნიერების სრულ ანალოგიასაც ვხახულობთ იქ. ატომისტიკაც რომ არ იყოს სხვა ბევრი მაგალითის მონახვა შეიძლებოდა. „სასურველი იყო მხოლოდ, რომ ასეთი გაგება ბერძნული ფილოსოფიისა მის საფუძვლიან შესწავლით გაღრმავებულიყოს“.

მეორე წყარო არის გერმანული ფილოსოფიის ისტორია კანტიდან ჰეგელამდე. განსაკუთრებით თვით ჰეგელი. როცა კარგათ შესწავლილი ჰეგელის მეთოდით რომელიმე პოზიტიურ მეცნიერებას მიუდგებით, დიალექტიკა ხელად ჰკარგავს თავის მისტიურ სამოსელს და იძლევა ისეთ შედეგს, როგორც კ. მარქსა „კაპიტალში“ სწორედ რომ იდეალისტური მისტიფიკაციიდან განთავისუფლებული დიალექტიკის საშუალებით მიიღო. კერძოთ ბუნებათმეცნიერების მიმართ პირველივე საფუძვლიანი შეხებიდან გამოირკვა, რომ ბუნებათმეცნიერება თავისი მეთოდური ბუნებით ისეთია, როგორც დიალექტური აზროვნება თავისი განვითარების ფორმებით. პრინციპია დიალექტიური იგივეობა არსებობს იქ ბუნებაში და აქ აზროვნებაში.[1]) „ის, რაიც ჰეგელისათვის მსჯელობის სააზრო ფორმების განვითარების სახით არის ნოვლენილი, აქ (ე. ი. ბუნებათმეცნიერებაში) მოვლენილია როგორც განვითარება ემპირიულ საყრდნობზე აგებული თეორიული ცოდნისა მოძრაობის ბუნებისათვის საეროოდ. ეს ერთხელ კიდევ იმის მაჩვენებელია, რომ აზრის კანონები და ბუნების კანონები ერთი მეორეს უდრიან, თუ ისინი სწორად შემეცნებული კი იქნებიან“.[1])

* * *

აქამდე ჩვენ ვცდილობდით უნაკლოთ დაგველაგებია ენგელსის აზრები და მოგვეყვანა საჭირო ამონაწერები. ახლა კი შეუდგეთ ამის გარჩევას. პირველი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აქ სრული თვალნათლობით გადაჭრილია ენგელსის მიერ, ეს არის საკითხი ფილოსოფიის და ბუნებათმეცნ ერების დამოკიდებულების შესახებ.—მარქსისტებს შორის ხშირად ყოფილა გავრცელებული ის აზრი, რომ მარქსიზმს ფილოსოფია არ სჭირია, რომ ფილოსოფიური აზროვნების სამი ათასი წლის გაკვეთილი მხოლოდ შეცდომების შემცველია და სხვა არაფერი. ასეთ შეხედულებას ჯეროვან პასუხს აძლევს ჩვენს მიერ ენგელსის ნაწერიდან ბლომად მოყვანილი ამონაწერები. ორტოდოქსალური მარქსიზ-

[1]) იხილე: „Архив“ გვ. 124—132.

[2]) იხილე; იქვე გვ. 180

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი აფასებს ისტორიის გაკეთილებს საერთოდ და ფილოსოფიას ბოლოს რიგში. ენგელსი გარკვეულათ გვასწავლის, რომ ყველა დარგის სპეციალურ მეცნიერებას აქვს თავის ვიწრო სამოქმედო არე. ამ არეში ის ახდენს ანალიტიურ მუშაობას, სწავლობს კერძო მოვლენებს და საგნებს, მაგრამ ამას იქით მისი საქმე არ მიდის. ამას მილმა კი ის მეთოდიურ-თეორიული მუშაობა სდევს, რომელმაც ამ შესწავლილი კერძო მოვლენების და კონკრეტი საგნების სინთეზი უნდა მოახდინოს და ერთი მთლიანი მსოფლგაგება მოგვცეს. თეორია კი არის მეცნიერება აზროვნების შესახებ და ის მხოლოდ ფილოსოფიაში შეისწავლება. ეს ამბავი უდაოა და ამ საკითხზე დავა ისიც მარქსიზმის სახელით მარქს-ენგელსის ნააზრები სრულ არ ცოდნას უდრის.

ამ მიმართულებით ენგელსის მიერ პირდაპირ ნაწინასამერტყველია ერთი დიდი მნიშვნელობის თეორიული გარემოება, რომელზედაც დღემდე მარქსისტულ ლიტერატურაში ერთი სიტყვითაც არაფერი არ თქმულა და რომლის შესახებ მკითხველისათვის აქ უნდა „გაეხსნათ ბრჭყალები''.

კიდევ „ლ. ფოიერბანხიდან" ვიცით ჩვენ ენგელსის აზრი იმის შესახებ, რომ ბუნებათმეცნიერება ნელ-ნელა თავის წიაღში მიიღებს მთელ იმ პოზიტიურ საქმეს, რასაც აქამდე ფილოსოფია აკეთებდა, თვით იქცევა დიალექტიურად და რამდენად ის ფილოსოფიას ჩამოართმევს პრობლემებს, იმდენად ფილოსოფია დაცარიბდება და დაბოლოს დარჩება ის, რაიც უნდა იყოს: Die Lehre von den Gesetzen Denkprosesses selbst, die Logik und Dialektik—სწავლა აზრის პროცესების კანონების შესახებ ე. ი. ლოგიკა და დიალექტიკა"[1]) ე. ი. ფილოსოფია დაჰკარგავს უფლებას იყოს სისტემატიური დოქტრინა და იქცევა სპეციალ სინთეტიურ მეცნიერებათ: ის ერთი მხრით იქნება ლოგიკა,—აზროვნების შესწავლა მის სტატიურობაში და მეორე მხრით ის იქნება დიალექტიკა, ე. ი. იგივე აზროვნება მოძრაობისა და დინამიურობის პროცესში. მაგრამ საით უნდა წავიდეს ის დიალექტიური სინთეტიზმი, რომელიც გამოწვეულია ბუნების პროცესების და აზრის კანონების იგივეობის პრინციპით? ამის შესახებ აქ გარკვეული პასუხი არ არის, უნდა ვიფიქროთ მხოლოდ, რომ ის რომელსამე ბუნებათმეცნიერულ დარგში გადავა.

„ნატურდიალექტიკა"-ში ენგელსი უბრუნდება ამავე საკითხს და პასუხსაც იძლევა ჩვენს მიერ დასმულ საკითხზე. „თუ ბუნებათ და საზოგადოებათმეცნიერება დიალექტიური შინაარსით აივსო, მხოლოდ მაშინ ფილოსოფიური ხარჩენები—რასაკვირველია გარეშე წმიდა სწავლისა აზროვნების შესახებ—საჭირო აღარ იქნება და ის პოზიტიურ მეცნიერებაში გაითქვიფება"—„ბუნებათმეცნიერს შეუძლია იჯიუტოს, მაგრამ მის საქმეს მაინც ფილოსოფია მმართავს". „ფიზიკავ, დაიცავი თავი მეტაფიზიკიდან ეს სწორია, მაგრამ სულ სხვა აზრით". იმ აზრით რომ შეიოვისე არა ეკლექტიური ნაგავი. არამედ თეორიული აზროვნების ისტორიის შესწავლით მიღებული გამოცდილება.[2])

ამ რიგათ საკითხი იმით არის გადაჭრილი, რომ ის სისტემატიურ-სინთე-

[1]) იხილე. Fr. Engels: „L. Feuerbach etc." გვ. 56.

[2]) იხილე: „Архив" გვ. 190.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ტიური ნაწილი აზროვნებისა, რასაც ამდენხანს ფილოსოფია ბუნებისმეტყველებას კანონების წავლასთან ერთად შეიცავდა, ბუნებათმეცნიერებაში დიალექტიკის გაბატონების შემდეგ, ფილოსოფიას გამოეყოფა და პოზიტიურ მეცნიერებაში მოთავსდება.

ამ მიმართულებით ენგელსის მიერ დასახელებული სიტყვა „ფიზიკა“ წარმოადგენს ჩვენთვის მთავარ ინტერესს. ენგელსი აზრს ისე აშენებს, რომ გამოდის, ის დადებითი რაიც „ძველ მეტაფიზიკას“ გააჩნდა შეიძლება მოთავსდეს დიალექტიურად გაგებულ ფიზიკაში.—და აი სწორედ დიდი წინათსწარ მეტყველობა იყო.—ვინც დღეს დაახლოვებით მაინც კი იცნობს თანამედროვე თეორიულ ფიზიკის მდგომარეობას, იმას კარგად ეცოდინება, რომ ფიზიკამ დიდი ხანია მიატოვა მარტო ფენომენების შესწავლის საქმე და აწარმოებს იმ დიალექტიურ-სინთეტიურ მუშაობას, რაზედაც ენგელსი ლაპარაკობს. ენგელსის დროს ამის თქმა დიდი გამბედაობა იყო. მაშინ კიდევ მკაცრი ფენომენალიზმი მეფობდა ფიზიკაში. დღეს ამის თქმა ძალიან ადვილია. თანამედროვე ფიზიკა არის ის დიალექტიურ-სინთეტიური მეცნიერება, ის ფილოსოფიით გამსჭვალული ბუნებათმეცნიერება, რომლის აშენების შესახებ ენგელსი ოცნებობდა.

დიალექტიური განვითარების მთავარი ეტაპები, როგორიც არის განვითარება რევოლიუციებით და ნახტომებით, სვლა წინააღმდეგობათა რკალებით და სხვ. ენგელსის დროის ფენომენალისტურად განწყობილ ფიზიკაში თითქმის პრინციპიალურად მოუთავსებელი იყო. მაშინ ფიზიკა იყო ახალი გარდაქმნების პროცესში; მექანიკა გზას უთმობდა ელექტროდინამიკას და მთელი ფიზიკის მეცნიერების მთავარ საქმიანობას ახლად დანახული ფენომენების შესწავლა შეადგენდა, ექსპერიმენტი—ექსპერიმენტს სცვლიდა და თეორიისათვის ფიზიკოსებს ნაკლები დრო ჰქონდათ. რამდენად ფიზიკა თეორიული იყო, იმდენად ის ნიუტონის პრინციპებს ემყარებოდა. და სწორედ ამ დროს ენგელსი გაბედულათ ამბობს, რომ ბუნება იმავე კანონებს ექვემდებარეა, როგორსაც „ჰეგელის აზროვნება“ ე. ი. დიალექტიურ კანონებს და განიცდის იმავე განვითარებას, როგორც ეს უკანასკნელი; კიდევ ძეტი: ეს დიალექტიური ნახტომები პირველობითია ბუნებაში და მეორეებით გადმოდის ჩვენს აზროვნებაშიო.

ასეთი იყო ენგელსის აზრთა წყობა ამ 50 წლის წინად. რა შეგვიძლია დღეს ვსთქვათ? ის რომ მეცნიერების შემდგომმა განვითარებამ ენგელსი სავსებით გაამართლა. ბუნებას მართლა აღმოჩნდა უამრაკი ნახტომები და რევოლიუციები. ვისაც თანამედროვე ფიზიკის ვითარებაში კი ჩაუხედავს, მან ეს ძალიან კარგათ იცის. ჩვენი დროის ერთი დიდი ფიზიკოსი—რომელიც, რასაკვირველია, არც ენგელსს იცნობს და არც დიალექტიკას—გადაჭრით ამბობს, რომ ატომის შენებისა და ელექტრონის თეორია ჩვენ ბუნებაში გვანახებს მხოლოდ რევოლიუციებს, ახლა საჭიროა იმაზედაც დავფიქრდეთ, თუ როგორ ემზადება ბუნება რევოლიუციებისათვისო. მაქს პლანკი უდიდესი ბერლინელი ფიზიკოსი, შემენელი ე. წ. ქვანტების თეორიის, გადაჭრით ამბობს, რომ ბუნება არამც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ნახტომებს აკეთებს, არაშედ ერთობ გასაკვირი ხასიათისა ნახტომებსა. — ამას ამბობდა ენგელსიც და ამაშია მისი მეცნიერული წინა გრძნობის ძალა.

* * *

ის დიდი რევოლიუცია ბუნებათმეცნიერებაში, რომელმაც თანამედროვე ფიზიკამდე მიგვიყვანა, დაიწყო ენგელსის შემდეგ. ენგელსმა მთელი გენიალობით წინასწარ იგრძნო, რომ რაღაც ახალი ხდებოდა, რომ ბუნების მხოლო აღწერითი მეთოდები ჩრდილების ქვეყანაში მიდიოდა და ახსნითი მეთოდები იჭერდენ ადგილს. ის სავსებით დადგა ამ ახალ გზაზე. ამისათვის საჭირო იყო ძველთან ანგარიშის გასწორება და ახალისათვის გზის გაწმენდა.

ენგელსის ნაშრომი უპირველეს ყოველისა სწორედ რომ ამ მეთოდიური საქმიანობით არის გამართლებული. სწორედ მეთოდის დახმარებით შესძლო ენგელსის ნააზრევებმა ორმოცდა ათი წლის შემდეგ წამსდგარიყო ბუნებათმეცნიერების საშუალოროს წინ და იქიდან გამარჯვებული გამოსულიყო.

ახალი ნიადაგის მოსამზადებლად ენგელსი სამ მეთოდიურ საშუალებას მიმართავს. ეს არის ბრძოლა ნიუტონის წინააღმდეგ, ბრძოლა ძველი მატერიალიზმის (მეტ ნაწილად მექანისტურის) წინააღმდეგ და ბრძოლა ინდუქტიური მეთოდის წინააღმდეგ.

დავიწყოთ პირველიდან. როდესაც ენგელსი ამ ორმოცდაათი წლის წინად თავის გესლიან შენიშვნებს სწერდა ნიუტონის მსოფლ შენების წინააღმდეგ, ის ჩვენ აჩქარებულ კაცად შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა. რომელიმე ფიზიკოსს მაშინ ენგელსის შენიშვნები რომ წაეკითხა, ის უსათუოდ გაკვირვებით თან დაცინვით ხელს ჩააქნევდა. ნიუტონი იყო აბსოლიუტური მეგალიტონე ევროპის მეცნიერული აზროვნებისა. დიდი ბრძოლა, რომელსაც მის წინააღმდეგ ლაიბნიცი და კარტეზიანელი ფიზიკოსები აწარმოებდენ ნიუტონის ბრწყინვალე გამარჯვებით იყო დამთავრებული, ხოლო იმ დავის არსებითი შინაარსი ყველას დიდი ხანია დავიწყებული ჰქონდა.—და ამ დროს ვინმე ენგელსი ამ ბუმბერაზ ნიუტონს „ინდუქციის ვირს"—„Induktionsesel"-უწოდებს.

ენგელსისათვის ნიუტონი მეტაფიზიკური აზროვნების წარმომადგენელია. ნიუტონის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მის მექანიკას აკლია სათავე, მექანიკაში ყველაფერი მოძრაობს, მაგრამ მოძრაობის მაღლა სდგას უძრავი ძალა. სწორედ ამიტომ თვით გრავიტაციის თეორია აშენებულია მეტაფიზიკურათ. „ნიუტონის ატრაქციის თეორია და მისი ცენტრიდანმსწოფი ძალა—საუკეთესო მაგალითებია მეტაფიზიკური აზროვნებასა: პრობლემა გადაჭრილი კი არ არის, ამამედ დაყენებული და ეს გადაჭრათ არის გასაღებული".[1])

ენგელსი, სადაც არ გადაეყრება ნიუტონს, ყოველგან მას კრიტიკული თვალით უყურებს. პატარა თავი: „ნიუტონის გრავიტაცია" შეიცავს შემდეგ კრიტიკას: „საუკეთესო, რაიც ჩვენ ნიუტონის გრავიტაციის შესახებ შეგვიძლია ვსთქვათ იქნება ის, რომ ეს თეორია პლანეტათა მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობას კი **არ ახსნის**, და რომ მას **ვასაჭვრეტად ხდის** (veranschau licht). მოცემულია მოძრაობა, ამიტომ მო-

[1]) იხილე: „Архив" გვ. 8.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ცემულია გზის მიმზიდველობითი ძალა. მაგრამ აქედან როგორ შეგვიძლია ჩვენ ავხსნათ მოძრაობა? მხოლოდ ძალთა პარალელოგრამით ე. ი. ტანგენციალი ძალით, რომელიც ახლა ძირითად პოსტულატად შეიქნა და ჩვენ იძულებული ვართ ის მივიღოთ. ეს იმას ნიშნავს რომ, თუ მოცემული მდგომარეობის მარადიულობას მივიღებთ, ჩვენ იძულებული ვიქნებით მივიღოთ პირველი მძრავი ე. ი. ღმერთი. მაგრამ არც პლანეტათა ქვეყნის ახლა არსებული მდგომარეობა. მარად და პირველად არც მოძრაობა ყოფილა რთული, არამედ ის იყო უბრალო როტაცია. ძალთა პარალელოგრამის აქ დახმარება იმიტომ ყალბია, რადგანაც ის იმით არ კმაყოფილდება, რომ საძიებელი ჯერ უცნობი სისხო, X, ალმოაჩინოს; ე. ი. იმღენად ყალბია, რამდენად ის საკითხის დასმას კი არ მოითხოვს, არამედ მის გადაჭრას"[1]).

ჩვენ ალარ შეეჩერდებით იმაზე, რომ ნიუტანის თეორიის ასეთ კრიტიკას დღემდე არ დაკარგავს მეცნიერული ინტერესი და მნიშვნელობა და მიუთითებთ იმ სათავეს, სადაც ენგელსის აზრით მოთავსებული იყო ნიუტონის მსოფლგაგების მთავარი ნაკლი. დაცულია „ნატურდიალექტიკის" შესავალი „არხივის" დალაგებით მეექვსე თავი. ეს წიგნის პროექტი კი არ არის, არამედ უკვე დამთავრებული სტატიაა. აქ ენგელსი შემდეგ ნაირად ახასიათებს ნიუტონის დროის ბუნებათ მეცნიერების საერთო ნაკლს: „რაიკ ამ ხანას განსაკუთრებით ახასიათებს, ეს არის ერთი თავისებური მსოფლმხედველობის გამომუშავება, რომლის ცენტრალურ მომენტს ბუნების აბსოლიუტური უცვლელობის მიღება ხდადგენ"[2]). ეს „ბუნების აბსოლიტიური უცვლელობა" სავსებით მიღებული აქვს ნიუტონსაც, ამიტომ მისთვის უცნობია ბუნების განვითარების იდეა. და რადგან მას განვითარების იდეა აკლია, ცხადია მას მოძრაობის სრული გაგების უნარიც არ გააჩნია.

კერძოთ ნიუტონის მისამართით აქ ენგელსი ამბობს: თუმცალა მე-18 საუკუნის დასაწყისში ბუნებათ მეცნიერებამ მეტი ფაქტები იცოდა, ვიდრე ბერძნულმა ფილოსოფიამ, მაგრამ მას აკლდა ის მთავარი რაც ბერძნებს გააჩნდათ, „ბერძენ ფილოსოფოსებისათვის ქვეყანა რაღაცა ქაოსიდან ამოსული, რაღაც განვითარებული და ქცევადი იყო" დასახელებული ეპოქის ბუნებათმეცნიერებისათვის კი ქვეყნიერება იყო უცვლელი, ერთხელ სადღაცაგან მოცემული და მერმე შეუცვლელი მექანიკა, რაღაც უცბათ გაკეთებული. „მეცნიერება ყოველგან დაეძებს და კიდევაც ხახულობს გარედან მომქმედ უხილავ მამოძრავებელს, ამ პირველ მძრავის ახსნა თვით ბუნებიდან დაუშვებელად არის მიჩნეული. მიმზიდველობა,—რომელსაც ნიუტონი ბაქი-ბუქობია საერთო გრავიტაციის სახელით ნათლავს—თუ მატერიის არსებით თვისებათ იქნება მიჩნეული, მაშინ საიდან მოდის ის გაურკვეველი ტანგენციალი ძალა, რომელიც პლანეტების გზებს საზღვრავს"[3]).

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ნიუტონის გრავიტაციის ასეთი კრი-

[1]) იხილე: „Архив" გვ. 24—26.
[2]) იხილე: „Архив" გვ. 158.
[3]) იხილე „Архив" გვ. 160.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკა დღეს განცვიფრებას იწვევს. აქ ენგელსი ხომ პირდაპირ—ანბრძოლ, რომ ნიუტონმა ვერ შესძლო თავისი გრავიტაცია აეყვანა ბუნების ზოგადი და საერთო კანონის სიმაღლეზე, რომელიც თვით ბუნების ფენომენიდან (ამ შემთხვევაში მოძრაობიდან) ახსნიდა მთელ ბუნებას, ყველა მის კანონებს და მოვლენებს. უნიადაგოდ გახდიდა ე. წ. პირველ მამოძრავებელს, ღმერთს და სხვა.

* * *

ვინც თანამედროვე მეცნიერების ანა ბანა კი იცის, ის გაკვირვებული გვეტყვის: ეს ხომ იგივე კრიტიკა ნიუტონის მსოფლგაგებისა, რომელიც შეგვეძლო წაგვეყენებია ჩვენ ნიუტონის წინააღმდეგ ჩვენი დროის გრავიტაციის ე. ი, საერთო სელტიომის თეორიის გათვალისწინების შემდეგ?! დიახ, ეს ასეა.

საიდან მივიდა ენგელსი ნიუტონის ასეთ კრიტიკამდე, ეს ჩვენთვის უცნობია. თუმცაღა 1870 წელს ცნობილმა კარლ ნოიმანმა თავის სახელ განთქმულ: „Ueber die Prinzipien der Galilei—Newtonaschn Theorie" უკვე აღნიშნა ნიუტონის გრავიტაციის მთავარი ნაკლი, მაგრამ მან ნიუტონს კრიტიკა და გასწორება კი არ დაუწყო, არამედ განსაკუთრებული ჰიპოტეტიურ სხეულ „ალფას"-ს გამონახვით შეეცადა ნიუტონის შენობის გამაგრებას. შეიძლება გვეფიქრა, რომ ენგელსი იცნობდა ნოიმანის ნაშრომს, მაგრამ ეს ყალბი ფიქრია. ჩვენ ძალიანი დაკვირვებით უყურებდით ამ საკითხს, მაგრამ ვერსად ვერ შევნიშნეთ, რომ ენგელსს ნოიმანის შესახებ რაიმე სცოდნოდა.

დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ენ ელს ; დიალექტიური მეთოდის საშუალებით მივიდა იმ აღმოჩენამდე, რომლის მიხედვით ნიუტონის გრავიტაციის მთავარი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ის ვერ არის ბუნების უნივერსალური მსოფლიო კანონი, მას აუხსნელი რჩება მოძრაობის ფენომენის მთავარი ამბავი, პირველ-ძრაობა, რომ „მას არ შეუძლია ეს ფენომენი თვით ბუნებიდან ახსნას (aus der Natur selbst zu erklären).

ჩვენ უკვე ვსთქვით და კიდევ ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს იგივეა მეთოდიურად, რაიც საერთო რელატივობის თეორიაში გაკეთებულია ნიუტონის მიმართ. 1924 წ. ჩვენ გამოვაქვეყნეთ პატარა წიგნაკი აინშტაინის შესახებ. ამ წიგნაკში ამავე საკითხის შესახებ სწერია: „ამ ნიგად აინშტანმა გამონახა ის, რაიც ნიუტონის მეცნიერებას არ გააჩნდა, რაიც მახმა და ახალმა მეცნიერებამ ვერ ნახა: უნივერსალური კანონი, რომელსაც მეცნიერების ცოდნის ყველა ფენომენის ახსნა და ყველა პრინციპების გამართლება საკუთარ კონსტრუქციაში გააჩნია [1]) ამ სიტყვებით არის დახასიათებული აინშტაინის თეორის საერთო მეთოდიური მნიშვნელობა. ადვილი დასანახავია, რომ ეს ის მოთხოვნაა, რასაც ენგელსი ბუნებით მეცნიერებიდან მოითხოვდა და რის უქონლობის გამო მას ნიუტონი მიუღებლად მიაჩნდა.

„ნატურდიალექ-იკი"-ს სხვა ნაწილების განხილვიდან ჩვენ ხელად დავრწმუნდებით, რომ ენგელსისათვის ეს მოთხოვნილება ბედნიერი შენთხვევის საქმე კი არ ყოფილა, არამედ ღრმა პრინციპიალური მოფიქრების.

[1]) იხილე: მოსე გოგიბერიძე: „აინშტანის რელტ. თეორია" ტფილისი 1924. გვ. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი ფენომენია ბუნებისა, რომელსაც თანამედროვე რელატიობის თეორია თავისი მოქმედების ცენტრში აყენებს? ცნობილია, რომ ეს არის დრო, სივრეც და ენერგია, ანუ მოძრაობა.

დავიწყოთ ამ უკანასკნელიდან. თუ მოძრაობის ცნების გაგებაში რევოლიუცია არ მოგვიხდენია, ისე ახალ თეორიულ ფიზიკაში წინ წასვლა შეუძლებელია. ახლა ვიკითხოთ, თუ როგორია ენგელსის ნატურ დიალექტიკის დამო: კიდებულება ბუნების დედაფენომენთან? პასუხი გააკვირვებს იმასაც კი ვისი გაკვირვება ძალიან ძნელია. ენგელსი სწორედ რომ მოძრაობის ცნების ახალ გაგებით იწყებს საქმეს. კიდევ „ანტი-დიურინგში" გამოთქვა ენგელსმა რევოლიუციონური აზრი მოძრაობის ბუნების შესახებ. მან იქ უარჰყო აბსოლიუტური უძრაობა და მოძრაობა მატერიისა მთავარ თვისებათ გამოაცხადა. „ნატურ-დიალექტიკაში" კი ეს აზრები უკვე ლოღიკურ დასკვნამდე უნდა მისულიყო.

დაცულ ხელნაწერებში გვხდება ერთი ასეთი საინტერესო ადგილი: ენგელსს მოჰყავს ცნობილ კირხჰოფის „მექანიკიდან" ამონაწერი: „სიმშვიდე ერთი სპეციალი შემთხვევაა მოძრაობისა". ენგელსი ამ ციტატას უკეთებს ასეთ კომენტარიას „ამით კირხჰოფმა დაამტკიცა, რომ მას, მარტო ანგარიში კი არა, დიალექტიური აზროვებაც შეუძლია *) ეს ფრაზა ძალიან ბევრის მთქმელია. გამოდის რომ დიალექტიურად მომქმედი აზროვნება მექანიკას მიმართ ბოლოთხოვს სიმშვიდის და მოძრაობის ცნების იმდაგვარ გარელატივებას, რომ სიმშვიდე თვით გადაიქცეს მოძრაობის ერთ-ერთ ნაწილათ. ე. ი. ბუნებას შერჩება ერთი მთავარი ფენომენი: მ ო ძ რ ა ო ბ ა. მაგრამ ეს მოძრაობა, როგორც არაფერი სხვა დიალექტიური—აბსოლიუტური არ არის, არამედ ენგელსი პირდაპირ ამბობს: „ე რ თ ი კ ე რ ძ ო სხ ე უ ლ ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ა ა რ ა ა რ ს ე ბ ო ბ ს. მ ო ძ რ ა ო ბ ა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს რ ე ლ ა ტ ი უ რ ი ა" **).

ამავე თაურში, რომელსაც ენგელსის მიერ სახელათ მიცემული აქვს: „ბუნებათ მეცნიერების დიალექტიკა" მოცემულია ნ ი უ ტ ო ნ ი ს გრავიტაციის ის კრიტიკა, რომელზედაც უკვე ვილაპარაკეთ. და ცხადია დღის სინათლესავით, რომ აქ ენგელსმა საესებით შეგნებულად და გარკვევით ნ ი უ ტ ო ნ ი ს ა ბ ს ო ლ ი უ ტ უ რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი ს საწინააღმდეგოდ წამოაყენა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს რ ე ლ ა ტ ი ო ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი. ეს კი მოკლეთ რომ ვსთქვათ, არამც თუ დიდი მეცნიერული გამბედაობა იყო იმ დროისათვის, არამედ გენიალობა, რომელსაც შეუძლია მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა მივაკუთვნოთ.

ენგელსი ერთხელ კიდევ უბრუნდება მოძრაობის ფენომენს და კარგ მოგრძო სტატიაში უდგება მას ყოველმხრივ. ამ სტატიიდან საჭიროა მოვიყვანოთ რამოდენიმე ადგილი, რომელსაც განსაკუთოებული მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად დიდი ფილოსოფიური ღირებულებაც აქვს. პირველი იქნება მოძრაობის ზოგადი დეფინიცია: „მოძრაობა, განხილული ზოგადი თვალ-

*) იხილე „Архив" გვ. 210.

**) იხილე Архив გვ. 6.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზრისით ე. ი. ისე როგორც მატერიის არსებობის წესი, როგორც მატერიის შინა ატრიბუტი, შეიცავს ყველაფერს რაიც კი ბუნებაში ცვალებადობისა და პროცესების სახით მიმდინარეობს, დაწყებული უბრალო ადგილის გამოცვლიდან და გათავებული ოვით აზროვნებით".

მეორე შეეხება მატერიისა და მოძრაობის ურთი-ერთ დამოკიდებულების საკითხს: „მთელი ჩვენთვის ხელმისაწვდომი ბუნება არის ერთგვარი სისტემა, კრებადობითი კავშირი სხეულთა. სხეულს ქვეშ კი ჩვენ გვესმის ყოველგვარი მატერიალი არსებობა დაწყებული მნათობებიდან გათავებული ატომით, ის კი არა ეთერის ნაწილაკით, რამდენად ამ უკანასკნელის არსებობა დაშვებულია. იმით, რომ ეს სხეულები ურთი-ერთ მიმართ ერთგვარ კავშირში არიან, უკვე მიღებულია მათი ერთი-მეორეზე ზეკავლენის მოხდენა, და ეს ზეგავლენა არის მოძრაობა. აქ უკვე ცხადია, რომ მატერიის მოძრაობის გარეშე მოფიქრება შეუძლებელია. და თუ ჩვენს წინ მატერია სდგას, როგორც რაღაც მოცემული, ისე შეუქმნელი, როგორც გაუქრობელი,—აქედან უშუალოდ ის გამომდინარეობს, რომ მოძრაობა აგრეთვე შეუქმნელი და გაუქრობელი არის" [1].

* * *

თუ მოძრაობის შესახებ ნათქვამს იმასაც მიუმატებთ, რომ ენგელსი „ნატურდიალექტიკის" სხვა და სხვა ადგილს ეხება ძალის და მოძრაობის ცნებას და ცდილობს ძალა განდევნოს ფიზიკიდან და მისი ადგილი დაიჭიროს მხოლოდ მოძრაობით, მაშინ ჩვენთვის სავსებით სრული იქნება ის სურათი, რომელსაც ენგელსის ბუნების გაგება გვიმხელს. ენგელსმა ათეული წლეებით წინ იწინასწარმეტყველა ის გზა, რომლებზედაც მოძავალში თეორიული ფიზიკა შესდგა.

ნათქვამს უნდა მიუმატოთ ერთი ფრიად შესანიშნავი გარემოება. ეს არის დიალექტიური შეხედულობა დროისა და სივრცის ცნებაზე. ცნობილია, რომ ნიუტონის გაგებით გარეშე ჩვეულებრივი ემპიროიული დროისა, და სივრცისა, არსებობს აბსოლიუტური, უძრავი დრო და სივრცე. კანტმა ფილოსოფიური საფუძვლებიც ჩაუყარა ნიუტონის მეცნიერებას და დროსა და სივრცეს ემპირიული რეალობის გვერდით ტრანცენდენტალი იდეალობა მიანიჭა. ამ უკანასკნელი გაგებით დრომ და სივრცემ დაჰკარგა რეალური არსებობის პრედიკატი და შეიქმნენ აპრიორული ფორმები თვით ემპირიული რეალობის არსებობისა ე. ი. მით მიენიჭა ერთგვარი სუბიექტივისტური მნიშვნელობა. ამით საბოლოოდ ნათელი გახდა ძველი მოძღვრების იდეალისტური საფუძველი. ძველი მატერიალიზმი ახლო მონათესავე ძველი მექანიკისა, რასაკვირველია კანტის იდეალიზმამდე არ მიდის, მაგრამ ის დროის და სივრცის ობიექტიურობის აღიარებასთან ერთად, აღიარებს ამ ორი ფენომენის მატერიიდან დამოუკიდებელ არსებობას. კიდევ ფოიერბახი დროსა და სივრცეში მატერიის არსებობის პირობებს ხედავს. ეს ობიექტიურად შებრუნებული ნიუტონ-კანტის ცნებაა.

რა პოზიციას იჭერს ამის მიმართ ენგელსის დიალექტიური მატერიალიზმი? ენგელსისათვის უპირველეს ყოვლისა მიუღებელია ძველი მატერიალიზმის მექა-

[1]) იხილე: „Архив" გვ. 230.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნისტური გაგება მსოფლიოსი და ამასთან ერთად ენგელსი სულ ახალ აღმოჩენას აკეთებს:

ჯერ საკითხი ეხება დაუბოლავებელის და დაბოლავებულის შემეცნების შესაძლებლობას. ენგელსი მიდის დასკვნამდე, რომ დაუბოლავებელის შემეცნება ისე შესაძლებელია, როგორც მისი შემეცნება შესაძლებელი არ არის. დაბოლავებულს ჩვენ ხომ შეეიცნობთ—ეს უდავოა, ამიტომ ჩვენ უსათუოდ დაუბოლავებელსაც ვიცნობთ. საკითხი ისე სდგას როგორც ჰეგელთან: ჩვენ ვეამთ მსხალს და ვაშლს, მაგრამ არა ხეხილს, მაგრამ იმით რომ სხალს და ვაშლს ვეამთ, ჩვენ ხეხილსაც თან მივირთმევთ.

ამის გარკვევის შემდეგ ენგელსი ისახავს სამუშაო პროგრამას: დაუბოლავებელის შესწავლას საჭიროა წინ უსწრობდეს პაწია კუთხე, რომელსაც სივრცე და დრო ჰქვია. ენგელსი მოჰყვება დროის და სივრცის შესაძლებლობის საკითხს და აქაც ჰეგელის დასრულებული მაგალითი გამოდის სცენაზე: ჩვენ ვეამთ მსხალს და ვაშლს და ამით მივირთმევთ ხეხილს. დროის და სივრცის პრობლემის მიმართ მსხალის და ვაშლის ადგილს იჭერს მატერიალი ქვეყანა, საგნები თუ ეს საგნები არ არის, თუ მატერია არ ყოფილიყო, მაშინ არც ეს მათი „ხეხილი“ დრო და სივრცე იქნებოდა. ენგელსი შემდეგი ფორმულით გამოხატავს თავის აზრს: „მატერიის ეს ორი არსებობის ფორმა, რასაკვირველია, გარეშე თვით მატერიისა არაფერი არ არის, ან არის ცარიელი წარმოდგენა, აბსტრაქცია, რომელიც მხოლოდ ჩვენს თავში არსებობს“ [1]) ე. ი. რამდენად დრო და სივრცე არსებობენ, იმდენად მატერიაც არსებობს, ანუ უფრო სწორად თუ ვიტყვით, რამდენად მატერიალი ქვეყანა არსებობს, იმდენად დრო—სივრცეც არსებობს. ე. ი. დრო და სივრცეს არ ჰქონიათ საკუთარი დამოუკიდებელი არსებობა, ისინი არსებულ მატერიასთან ერთად. ასე, დიალექტიური ხერხით ენგელსმა სულ ახალი გაგებით გადასჭრა ეს უძველესი სადაო პრობლემა. მაგრამ აქ მარტო დიალექტური ხერხი არ არის, არამედ დიდი მეცნიერული წინა-გრძნობა. ამის დასამტკიცებლათ შორს წასვლა საჭირო არ არის. საკმარისია მივმართოდ ჰანს მინკოვსკის სახელგანთქმულ წიგნაკს: „Raum und Zeit“, ანდა საერთო რელატივობის თეორიის დასკვნებს ამ მიმართულებით. ორივე შემთხვევაში დავრწმუნდებით რომ ორმოცდაათი წლის წინად ენგელსის მიერ ნაგრძნობი და ფილოსოფიურად გაგებული იყო ის პრობლემები, რომლებიც დღეს თეორიულმა ფიზიკამ მეცნიერულად დაამუშავა.

ჩვენ შეგვიძლია მოკლეთ დავასკვნათ. ენგელსის ბრძოლა ნიუტონის წინააღმდეგ ენგელსის გამარჯვებით დამთავრდა. ენგელსი გაამართლა მეცნიერების შემდგომმა განვითარებამ.

* * *

წერილი გაგვიგრძელდა. ამიტომ ჩვენი პროგრამის ორ დარჩენილ ნაწილს რაც შეიძლება გაკვრით შევეხებით. ეს ორი ნაწილია ბრძოლა მექანისტური მატერიალიზმისა და ინდუქტიური მეთოდის წინააღმდეგ.

მკითხველს უსათუოდ მოეხსენება, რომ ენგელსი „ანტი-დიურინგში“ და

[1]) იხილე „Архив“ გვ, 150.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლ. ფეირბახში“ მარქსის წინამორბედ მატერიალიზმს კრიტიკას ცალკე ადგილში ატარებს. თავისი მარქსისტული დიალექტიური მატერიალიზმისათვის ენგელსი მატერიალიზმის მსოფლმხედველობიდან იღებს მატერიალიზმის რეალისტურ გნოსეოლოგიურ საფუძველს, იმ უბრალო და უდაო ამბავს, რომ არსი პირველობითა აზრის მიმართ, რომ ბუნება უწინ იყო ვიდრე მასში „სული“ გაჩნდა და სხვა. „ნატურ დიალექტიკაში“ ძველი მატერიალიზმის კრიტიკა ცენტრალურ ადგილს არის მოქცეული. თვით ეს წიგნი ასეთ მატერიალიზმის კრიტიკით იწყება. „ნატურ დიალექტიკა ერთობ მდიდარია ძველი მატერიალიზმის წინააღმდეგ წარმოებული კრიტიკული შენიშნებით. არც ახალ მატერიალისტების მიმართ რჩება ენგელსი დაეალიანებული და ფოგტ-მელოშოტ-ბიუხნერის ვულგარულ მატერიალიზმის გვერდით ხშირათ ჰეკელის ე. წ. „მეცნიერულ მატერიალიზმსაც“ ათავსებს. ასე მაგალითად, ენგელსს მოყავს ჰეკელის დებულება, რომ მატერიალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით მატერია პირველობითია და მოძრაობა მეოხებითი, პირველი შემქნელია მეორესი. „სად შოვნილობს ჰეკელი თავის მატერიალიზმს?“ დაცინვით ჰკითხულობს ენგელსი და განმარტავს, რომ ჰეკელის შეხედულება ყალბია, რადგანაც მატერია და მოძრაობა ერთი ვითა. რებაა და მათი დაშორება უაზრობის შემცველია.

მთავარი საკითხი კი მოძრაობის ბუნების გაგებას შეეხება. ძველი ბუნებათმეცნიერება და მასთან ერთად მატერიალიზმი მოძრაობაში მხოლოდ მექანიკურ ფენომენს ხედავენ, მხოლოდ უბრალო ადგილის შეცვლას. ასეთ შეხედულობას ენგელსი შემდეგი მკაცრი შენიშვნით უმასპინძლდება: „თქმა იმისა, რომ მატერიას თავის დროში განუსაზღვრელი არსებობის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ (ე. ი. მისი არსებობის მარადიულობასთან შედარებით რაღაც უმნიშვნელო მოკლე დროისთვის) მიეცა შესაძლებლობა თავისი მოძრაობისათვის დიფერენციაცა ექნა და ამით გამოაჩინა ამ მოძრაობის მთელი სიმდიდრე, და რომ ის აქამდე და ამის შემდეგ მთელი მარადიულობისათვის მხოლოდ უბრალო ადგილის გამოცვლაზე შერჩება—ყველა ამის თქმა ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ მატერია მომაკვდავია, ხოლო მოძრაობა გარდამავალი, მოძრაობის გარდაუვალობა მარტო რიცხობრივათ კი არ უნდ; იყოს გაგებული არამედ ხარის. ხობრივათაც. მატერია, რომელსაც წმიდა მექანიკური ადგილის შეცვლა თუმცა ღა შესაფერ პირობებში უზრუნველყოფს სითბოთ, ელექტრობათ, ქიმიურ აქტუალობათ, სიცოცხლეთ გადაქცევას. რჩება საშუალებას მოკლებული ყველა ეს პირობები საკუთარი თავიდან აწარმოოს; ასეთი მატერია თვით მოძრაობის უნარსაც კი ჰკარგავს მოძრაობა კი, რომელმაც უნარი დაჰკარგა გარდაიქცა მის შესაფერ სახეებში, თუმცალა დინამიურობას კიდევ შეინარჩუნებს, მაგრამ მას აღარ აქვს ენერგია და ამით ენერგია ის ნაწილობრივათ დანგრეულია. მაგრამ როგორც ერთი, ისე მეორე შეუძლებელია მოვიაზროთ“. [1]).

ამ რიგათ მატერიის ასეთი გაგების მთავარი ნაკლი იმაშია, რომ ის ემყარება ერთად ერთ მექანიკურ მოძრაობას, სახელდობრ ადგილის შეცვლის მექანიკას. უამრავი მოვლენები კი, რომელიც ასეთ მექანისტურ რკალში არ ეტე-

[1]) იხ. „Архив“ გვ. 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა, ასეთი მსოფლმხედველობისათვის მიუხვდომელი რჩება. 18 საუკუნეს მატერიალიზმი და მისი წინამორბედი მეცნიერება სწორედ რომ ამ მექანისტური ნაკლით ხასიათდება. ის ვერ მიდის მოძრაობის სრულ გაგებამდე და ამიტომ მატერიალიზმი, როგორც მთლიანი მსოფლმხედველობა უზრუნველყოფილი არ არის.

კიდევ უფრო გარკვევით ამავე აზრსს ენგელსი გამოთქვამს თურმე, „მექანიკური მოძრაობა:“ „ბუნებათ მეცნიერთათვის—ვკითხულობთ ჩვენ აქ—მოძრაობა ყოველთვის უდრის მექანიკურ მოძრაობას, ადგილის შეცვლას. ეს შეხედულება მე-XVIII-ქიმის წინა დროის—საუკუნიდან მემკვიდრეობით გადმოვიდა. მ ო ძ რ ა ო ბ ა მ ა ტ ე რ ი ა ს თ ა ნ გ ა მ ო ყ ე ნ ებ ი თ—ე ს ა რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა დ ო ბ ა ს ა ე რ თ ო დ ი [1]) ე. ი. დიალექტიური მატერიალიზმის შეხედულობით მოძრაობის ბუნებას მარტო ქვანტიტატიური ადგილის შეცვლა კი არ შეადგენს არამედ „ცვალებადობა საერთოდ“, ე. ი. მატერიის მდგომარეობის ცვალებადობა. ეს კი გაცილებით მეტის შემცველია, ვიდრე მექანისტური მატერიალიზმი. საერთოდ ენგელსი რამოდენიმე შენიშვნაში იმეორებს, რომ აბსურდია მექანიკური მსოფლმხეოველობის და მატერიალიზმის გაიგივეობა. მატერიალიზმმა თუმცაღა განვლო თავისი განვითარების მექანიკური სტადია, მაგრამ მან ეს პერიოდი უკვე გაიარა და მეცნიერებაში ახალი პრობლემების წარმოშობასთან ერთად, მასში ე. ი. მატერიალიზმი დიალექტიური თვალსაზრისი უნდა გამეფდეს, რომლის მიხედვით მატერია და მოძრაობაა ყოველივეს საფუძველია! მაგრამ ამ მოძრაობას ის არ ღებულობს, როგორც უბრალო ადგილის შეცვლას სივრცეში, არამედ როგორც უფრო მთლიან და რთულ ცნებას, როგორც „ცვალებადობას საერთოდ“.

ჩვენ ვიცით ენგელსის მთავარი დებულება: მატერიალიზმმა ყველა დიდ მეცნიერულ რევოლიუციასთან ერთად თავის სახე უნდა გამოიცვალოს. მექანიკური მატერიალიზმი გზას დაუთმობს დიალექტურს, იმიტომ რომ უკვე შეცვლილია მეცნიერული საფუძველი.

ამ მიმართულებითაც ენგელსის აზრები დიდი მეცნიერული წინაგრძნობა აღმოჩდა. სულ მალე მექანისტურმა ფიზიკამ ადგილი დაუთმო ელექტროდინამიურს და ფიზიკის თვალთახედვის ცენტრში მოექცა ის „ცვალებადობა საერთოდ“, რომლის შესახებ ენგელსი ლაპარაკობდა.

რამოდენიმე სიტყვით საჭიროა კიდევ ერთი საკითხის შესახებ ვილაპარაკოთ. ეს საკითხი შეეხება მეცნიერული ძიების სპეციალურ მეთოდს ე. წ. ინდუქციის მეთოდს. ბეკონ ვერულამელის დღიდან ინდუქციას საპატიო ადგილი ჰქონდა მინიჭებული ყოფილიყო ბუნებათ მეცნიერის დამხმარე იარაღი. ენგელსმა როგორც დავინახეთ უკუაგდო ფაქტების დაგროვებაზე და აღწერაზე დამყარებული ემპირია და აქ რაციონალურ-დიალექტიური ელემენტების გაბატონება მოითხოვა. ასე მოიქცა მან ინდუქციის საკითხის შესახებაც. მთელი რიგი კონკრეტი მაგალითების საშუალებით გარკვევით ამტკიცებს ენგელსი

[1]) იქვე გვ. 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მეცნიერი ინდუქციურ ჯიუტობას ხშირად სასაცილო და ბავშური დასკვნებამდე მიჰყავს.

ინდუქციას არაფრის დამტკიცება არ შეუძლია. ინდუქციის დედუქციის საწინააღმდეგოდ გამოყვანა სისულელე და ლაყბობაა, რასაც ასე ხშირად და ასე უხეშად ჩადის ჰეკელი. „ჩვენი ბუნებათმეცნიერების გონება გამჭრიახობისათვის ძალიან დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ ჰეკელი სწორედ მაშინ გამოვიდა ინდუქციის ფანატიური დამცველის როლში, როცა ინდუქციის ნაყოფი, სწავლა კლასიფიკაციების შესახებ, საბოლოოდ დამარცხდა“.

„მთელი ინდუქციის სიცრუე ინგლისელებიდან არის შექმნილი, ის იწყება უეველიდან და ასე ქვევით. . ისინი უბრალო მათემათიკური გზით იგონებენ დედუქციის საწინააღმდეგო ცნებას. მაგრამ მის შესახებ არც ძველმა და არც ახალმა ლოლიკამ არაფერი არ იცის“.[1]) არავითარ ინდუქციას არ შეუძლია იმის ახსნა, თუ როგორაა შესაძლებელი თვით ინდუქციის პროცესი. ამიტომ სისულელეა ინდუქციის ცაში აყვანა და მისი დედუქციაზე მაღლა დაყენება. უკეთეს შემთხვევაში ინდუქცია და დედუქცია ერთი მეორეს ნაწილია და ისე ფარავენ ერთმანეთს, როგორც ანალიზი და სინთეზი.

ამ რიგად ენგელსმა მე-17—მე18 საუკუნოების ბუნებათმეცნიერების ეს მედიდური იარაღიც ზეთ-გადააგდო და აქაც ახალი გზების გამონახვა დაიწყო. ახალი გზა კი მშვენიერად მოცემული იყო იმ დიალექტიურ მაგალითში, რომლის მიხედვით, თუ მსხალს და ვაშლს სჭამ მაშინ ხილსაც თან მიირთმევ. მთელი დავა ინდუქცია დედუქციის აქ იმით არის მოგვარებული, რომ ამ დავას ნიადაგი გამოცვლილი აქვს.

არც ეს არის შემთხვევა „ნატურდიალექტიკის“ ნოტებში. ბუნებათმეცნიერებისათვის ინდუქციური მეთოდის უარყოფა ისეთივე აუცილებელი იყო ენგელსის აზროვნების განვითარებისათვის, როგორც მექანიკური მატერიალიზმის დიალექტიური მატერიალიზმით შეცვლა. ენგელსმა ერთიც მოიმოქმედა და მეორეც.—

დაახლოვებით ასეთი ახალი და რევოლიუციონური იყო ის აზრთა წყობა, რომლის მიხედვით ენგელსს თავისი „ნატურდიალექტიკა“ უნდა დაეწერა. წიგნის დაწერა ავტორს არ მოუსწრია, მაგრამ მისი დედა-აზრი შემდეგი თაობისათვის მაინც დაცული დარჩა და ყოველი მარქსისტი უსათუოდ დიდი მადლობით მოიხსენიებს ამხანაგ რიაზანოვს, რომელმაც ეს საუცხოო და დიდათ საინტერესო ხელნაწერი ედუარდ ბერშტაინის მტვერიან განჯინიდან ამოიღო და მშვენიერი აკადემიური გამოცემით მისი შინაარსი ქვეყანას ამცნობ.

---

1) იხილე: Архив 83. 182.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. ნ — ია.

გერმანული დრამა

(მისი ახლო წარსულის მოკლე მიმოხილვა)

I

„საერთაშორისო ომის გათავებისას, ერთი შეხედვით, დადგა დრო ძველი ტრადიციული თეატრის განახლება აღორძინების; ძველმა კლასიკურმა დრამებმა თითქოს ისევ გაიკაფეს გზა.—მაგრამ ეს მხოლოდ გარდამავალი, დროებითი მოვლენაა. თეატრის დირექტორები ჯერ ძველი შარბათით იწყებენ, რომ შემდეგ და შემდეგ თანდათანობით თანამედროვე ამეავებულ ნერვიულ სულის კვეთებას შეუთვისდენ და ხალხი, მსმენელი მასა, სულიერი მდგომარეობისდამიხედვით ჰკვებონ",—სწერდა 1920 წელში ეროი ბერლინელი ცნობილი თეატრის კრიტიკოსი (ფრ. ენგელი. „ბერლ. ტაგებლატი").

მართლაც ომის გათავებისას გერმანიაში თეატრის მთავარ რეპერტუარს ისევ ძველი კლასიკური მწერლები და მათი პიესები შეადგენდა: გოიტეს „ფაუსტი", იმისივე „ტასო" და „გოცი ბერლინჰინგენი", შილერის: „ორლეანელი ქალწული", „ვილ ჰ,ლმ ტელი", „ვალენშტაინი", ლესინგის „მინა ბარნჰელმი," შექსპირის: „ჰამლეტი", "იულიუს კეისარი", „ვენეციელი ვაჭარი".

მაგრამ ეს მხოლოდ მზადების ხანა იყო. ძველი შერჩენილი ქონით საზრდოობა. ახალი დრამები, ახალი ფორმები თეატრალური ხელოვნებისა ჯერ კიდევ დაუმუშავებელი იყო, ის შვებისა და ზრდის პროცესში იმყოფებოდა. საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო გამოსული საშინელების ცეცხლისაგან. ახალი სულისკვეთება მხოლოდ საშოში იყო და მასა ტრადიციულათ კმაყოფილდებოდა კონვენციონალური დრამატურგიით.

საზოგადოებრივი საფუძველი, როგორც ნივთიერი ისე პოლიტიკურის მხრივ ომმა სრულებით გარდაქმნა. სოციალურ ფენებს შორის უსწორობა გააღრმავა. კერძო საკუთრების არა მქონეთა რიცხვი გაადიდა. გერმანეთში ომის წინ კარგად ცნობილი საშუალო წრე (Miffelstaud), თავისი უდიდესი ნაწილით გაღარიბდა, გაღატაკდა. ჯერ კიდევ ომის დროს საგრძნობლად დაკლებულმა სახალხო სიმდიდრისა და ღირებულებათა შექმნამ, ომის შემდეგ ფულის კურსის დაცემამ და აქედან გამოწვეულმა კრიზისმა ერთიანად არა რათ აქცია აღნიშნულ წრის ავლა-დიდება, რაც წინანდელ ჩვეულების მიხედვით თავმოყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილი იყო სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ფასიან ქალალდებში. სახელმწიფო სესხებში, ომის და მისი საჭიროებისათვის გაღებულ სარგებლიან ქალალდებში, ჰიპოტეკარულ ვალდებულებებში, კერძო და კომუნალურ ობლიგაციებში. თვით ხელშესახები ღირებულებათა ფასიც დაეცა და შრომის ხელფასი კი ხომ ფულის კურსის მუდმივი ქანაობის გამო არა რათ იქცა, რის გამოც კაპიტალისტურ სისტემას მაშინალურ წყალი შეუდგა. უმრავლესობა უკმაყოფილების ალში გაეხვია. ძველი ტრდიციული კაპიტალისტი, ახალმა ტიპმა, სრულებით უტრადიციო, შემთხვევით, ომზე და ინფლااციაზე სპეკულიაციით გამდიდრებულმა პროფანმა ე. წ. „რაფკე"-მ შეს(ვალა. ამ არევ დარევისა და ქაოსის დროს რაფკე შეიქნა ეკონომიურად ძლიერი ერთეული და სულიერი საზრდოსათვისაც თავისი ელფერის მიმცემი. ხელოვნების „მეცენ"-ი გახდა გაუსალაშინებელი, გემოვნება არეული და მხოლოდ თავის, შემთხვევითი თავმოყრილ სიმდიდრეზედ დაყრდნობილი „რაფკე", რომელმაც მთლიან სულიერ ცხოვრებას თავისი ბეჭედი დაასვა.

ხელოვნურ ნაწარმოებთა აუქციონები ძველად დაგროვილ კოლექციებით გაივსო და ნაცვლად კოლექციონერ ხელოვანისა მას ახლად გამდიდრებული „რაფკე" და მისი ოჯახი დაეპატრონა. თეატრის მსმენელიც ის გახდა. ინფლااციით გამოწვეულმა ბილეთების ფასების მუდმივმა ზრდამ, საშუალო წრეს და მშრომელ მასას თეატრის კარები მიუხურა. ახალ მდიდართა მისწრაფება სულის კვეთება კი ხელოვნების ტრადიციის უქონლობის გამო ერთის მხრით, ხოლო თვით დროის და მისგან გამოწვეული ნერვიული მდგომარეობის გამო შინაარსიან და ღრმა თვისების დრამას ვეღარ იტანს. და დროებითი ეფექტით იაფ „მირაჟით" კმაყოფილდება. ძალაუნებურად იქმნება დრამატიული ხელოვნების კრიზისი. კერძო ინიციატივაზე, მოგების პრინციპზედ აგებული თეატრი იძულებული ხდება ორიენტაცია შეიცვალოს. ის აღნიშნულ გარდატეხას ალღოს უღებს და ისეთ რეპერტუარს ქმნის, რომელიც თავისი გარეგნული ელფერით საზრგადოებას იზიდავს.

ამ მხრივ პირველი სამაგალითო ცდა, კიდევ 1920 წელში მოახდინა „მაინჰარდ ბერნაუერის" თეატრალურმა კონცერნმა. დრამატიულ თეატრში „კოინიგრეცის ქუჩაზე" ქ. ბერლინში დასდგა ახალი დრამა მისტერია: „კაპელმაისტერ კრაისლერის საკვირველი ამბები". აქ კონცერნმა ალღო აუღო საერთო სულის კვეთებას. მსმენელს ნაცვლათ შინაარსიან, ხელოვნურად მაღალ რაობისა გარეგნულად 38 სურათიანი მისტერია მიაწოდა. სინათლის ეფექტებმა, სურათების ხშირი ცვლამ, შინაარსის მიმდინარე ქაოტიურ მდგომარეობაზე გადასკვნამ იმ მხრით, რომ ვულგარული ეროთიკა სერიოზულ პრობლემებს აურია და კინემატოგრაფის სისწრაფით მსმენელის წინ გაატარა,—გასჭრა. 250 ჯერ იქნა ზედიზედ დადგმული აღნიშნული მისტერია. მალე, არა მარტო ბერლინის, არამედ გერმანეთის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თეატრები მოიარა „კრაისლერის საკვირველმა ამბებმა" და შემდეგ ამერიკის სცენასაც, როგორც ახალი სენსაცია, ესტუმრა.

გამუდმებულმა სამეურნეო კრიზისმა გაღრმავება იწყო. ერთის მხრით

ეროვნული

ფულის კურსის წითობრივ ცვალებადობამ, ექსპორტის ლიბერალურმა ... ...ცემამ და უმუშევრობამ თეატრალურ წრეებზე, რა თქმა უნდა, ცუდი გავლენა მოახდინა. ხელოვნების მუშაკთა მდგომარეობა გაუარესდა. დრამატიული ხელოვნებიდან ხელოვანთა საგრძნობელმა ნაწილმა იწყო დენა უფრო შემოსავლიან და სარგებლიან წარმოებისაკენ. ეს წარმოება იყო კინო. თავისი სიაფის მხრით, სურათების მრავალფეროვანებით და შთაბეჭდილებათა სიმრავლით მსმენელი მასა ერთობ კინომ მიიზიდა და ამით არა მარტო ნივთიერის, არამედ ხელოვან ძალების მხრითაც დრამას უდიდესი კრიზისი შეუქმნა. ამ გარემოებას დაემატა ის მოვლენა, რომ დაბალი „ჟანრი"-ს და იაფი შთაბეჭდილების ოპერეტამ, თავისი სიმსუბუქით და ნერვებ ამშლელ საქმიანობით, ნაწილი მსმენელი საზოგადოებისა თავისკენ გადაიპირა.

„კრაისლერის" მისტერიამ მეორეს მხრით სკოლა შექმნა და გერმანულ სცენაზე ფეხი მოიკიდა და მოიმაგრა ე. წ. „რევიუმ" —მრავალფეროვანმა, ეფექტებით სავსე მისტერიამ. აღნიშნულ დარგის ხელოვნებამ, ნაცვლად ძირგადგმული განსაზღვრულ პრობლემის გარშემო შექმნილ ფაბულისა, საზოგადოებას სხვა და სხვა გვარათ აფეროვნებული, სინათლის დახმარებით და ახალი კოსტიუმერიის და ტეხნიკური მიღწევებით თანამედროვე გერმანელს თვალებით დასანახი და ხელით შესახები საკვირველება — სენსაციები მიაწოდა. კერძო თეითეული გამობრძმედილი ხელოვანის ადგილი მასამ დაიკავა, ხორო, ბალეტი, მოკლე მასიური სცენები, ძვირფასი „კოსტიუმერია" და ტრიკოში გამოხვეული, ლამაზი, ტიტველი სხეული „რევიუ"-მ ერთი მეორეში აურია. ადამიანის ამღვრეულ და ქაოტიურ გინცდებს „მირაჟი"-თ სავსე და დროებითი ეროტიული შთაბეჭდილებით სავსე, მდიდარი სცენა თანამედროვე, ნერვების ამშლელი ორკესტრით —წინ დაუყენა.

"რევიუ"-მ „ევროპა მაზე ლაპარაკობს", ეს ქვეყანას ჯერ არ უხილავს", „ტალღა 505", „შენთვის, მხოლოდ შენთვის" და სხვა მრავალი სენსაციური სახელწოდებით შექმნილი სასცენო დადგმები, შეიქნა საზოგადოების მასაზრდოებელი.

ერთ დროს შემდეგაც 1922 წლამდე, კარგათ ცნობილი „მაქს რაინჰარდი"-ს დრამატიული თეატრი, ე. წ. დიდი დრამა კარლოსის ქუჩაზე, ქ. ბერლინში, რომელიც სპეციალურათ კლასიკური პიესებისათვის, შუმანის ყოფილ ცირკის შენობაში იყო მოთავსებული, ზალტენბერგის და შემდეგ შარლის რევიუს კონცერნმა აიღო ხელში, მდაბიო განცდათა ტაძრათ იქცა.

რაინჰარდის „დიდი დრამა" კარლოსის ქუჩაზე წარმოადგენდა იმ ორიგინალურ ცდას ხელოვნებაში, რომელიც ძველი ბერძნული თეატრის ტრადიციებს უახლოვდებოდა. სცენა და მაყურებელი ერთი მეორისაგან განუყოფელ რაობას წარმოადგენდა. თვით შენობა ამფითეატრათ აშენებული, ხელს უწყობდა ამ გარემოებას. მოქმედება თვით მსმენელთა წრეში ტარდებოდა. ევრიპიდეს და სოფოკლეს, შექსპირის და გოიტეს დრამები თავისი მრავალფეროვანი მასით, გაზომილ დადგმით შეადგენდა მთავარ რეპერტუარს. რომენ როლანია და ბიუჰნერის „დანტონი" თავისი მასიური სცენებით და რევოლიუციონური მიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკილებით წლების განმავლობაში ასაზრდოებდა მსმენელ საზოგადოებას, როგორც დრამატიული დარგის საუკეთესო ნიმუში. ზემოაღნიშნულმა კრიზისმა შედეგათ მოიტანა ის გარემოება, რომ ყველა ეს „დიდ დრამიდან" განიდევნა და მისი ადგილი „ფოქსტროტ-ჯიმის„ მოტივებზე აშენებულმა რევიუმ დაიჭირა.

დიდი დრამის სვე ბედი ნიშანდობლივი მოვლენა იყო იმ კრიზისის, რომელიც ომის შემდეგ გერმანულ დრამას ეწვია. თუ ჩვენ მიზეზობრივობას გავყვებით, აშკარაა, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეს არ წარმოადგენს რაიმე დროებით მოვლენით გამოწვეულ რაობას, არამედ არის შედეგი იმ მოვლენის, რომელიც სალტეთ შემოკრული აქვს თანამედროვე ევროპის საერთო ცხოვრებას. ეს სალტეა ის ჩიხი, რომელშიც მომწყვდეულია კაპიტალისტური ევროპის მთლიანი როგორც სამეურნეო პოლიტიკური აგრეთვე ხელოვნების სვე ბედიც.

თეატრის კერძო მწარმოებელმა, რომელიც მოგების პრინციპზე და არა ხელოვნების სიმაღლეზე აყენებდა თავის წარმოებას, გზა დაუთმო შემოსავლიან დაწესებულებას და ხელოვნების პრინციპები ისტორიას ჩააბარა,—ამ რიგათ გზა გაუხსნა ახალ მომგებიან თეატრალურ დარგს.

ისე როგორც ყველა კაპიტალისტურ წარმოებებში, თეატრალურ დარგშიც, რა თქმა უნდა, არსებობდა და დღესაც არსებობს კერძო მრეწველთა შორის მეტოქეობა. ამ მხარემაც, რა თქმა უნდა, თავისი დაღი დაასვა მთლიან თეატრალურ ცხოვრებას. თეატრების დირექტორთა შორის ქიშპობამ, ბაჟების გადიდებით და ხელოვანთათვის დისპროპორციულ პირობებით შეიქმნა ის გარემოება, რომ ხშირათ ერთი რომელიმე თეატრის გარშემო ერთიანათ საუკეთესო ძალები იყრიდა თავს, ხოლო მეორე კი ასეთებით ძლიერ ღარიბი იყო. სხვა და სხვა ხარჯები, ავტორის ჰონორარი და პრესის თავის მხარეზე მიზიდვა აღრმავებდა ამ ქიშპობა-მეტოქეობას, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ხელი შეუწყო იმას, რომ თეატრის სფეროშიც ტრესტები შეიქნა და დრამატიული ხელოვნებაც კერძო მონოპოლიის საგნად გახდა. გასული წლის განმავლობაში ბერლინის თეატრების მთავარ დირექტორებს შორის ჯერ უბრალო პერსონალური უნია შეიქმნა მსახიობთა გაცვლის ნიადაგზე. ამას დაერთო ბილეთების ფასების შექმნის და ერთ დონეზე დაყენების საკითხი და მიმდინარე ზაფხულზე დამთავრდა იმით, რომ დადებულ ხელშეკრულების მიხედვით აღმოცენდა ერთი დიდი თეატრალური ტრესტი „რაინჰარდ-ბერნაუერ-რობერტის" კონცერნის სახელწოდებით, რომლის ხელში გადავიდა ყველა თეატრების (ოპერის გამოკლებით) 60 პროცენტის სვე ბედი. ესეც ერთი იმ ცდათაგანია, რომელიც საერთო მეურნეობის ეკონომიკაში ხდება ხოლმე. სახელდობრ ის რომ, გაერთიანება-შეკავშირებით შერჩენილ იქნას კერძო საკუთრებაზე აშენებული თეატრი, თავისი თანდაყოლილი თვისებით: რაც შეიძლება ამ დარგიდანაც დიდი მოგების მიღება.—

ერთის მხრით საერთო კრიზისმა, ხოლო მეორეს მხრით კერძო მწარმოებელთა აღნიშნულმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ მოეწყო და აშენდა საზოგადოებრივ ინიციატივაზედ აგებული ახალი სცენა: „სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი". სახალხო თეატრის ისტორია შედარებით გრძელია, მაგრამ მისი გავლენა და გაძლიერება მოხდა სწორეთ ამ კრიზისის ხანაში, და რამდენათ სახალხო თეატრის აღორძინება ომის შემდეგ მოხდა, იმდენათ ეს მოვლენა ფრიად მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავია. პირველათ კერძო ინიციატორებისაგან შემდგარი ჯგუფი „სახალხო თეატრის" სახელწოდებით, — ომის შემდეგ პროფკავშირების და კოოპერატივების დახმარებით და ხელის შეწყობით იქცა როგორც ხელოვნების, ისე ტეხნიკური ორგანიზაციის მხრივ ცხოველმყოფელ ორგანოთ. მან გააბა ქსელი გერმანიის ოითქმის ყველა მნიშვნელოვან ქალაქებში და დაიწყო თეატრალურ ნიადაგზე ახალი შენების გზა.

კერძო თეატრის ინტენდანტების და დირექტორების კონცერნულ ხელოვნებას სახალხო თეატრმა თავისუფალი სცენა დაუპირდაპირა. თავისი წევრებისათვის, რომელთა რიცხვი მარტო ბერლინში 200 ათასს აღემატება, მან შეარჩია როგორც რეპერტუარი, ისე მსახიობები და ფასოვნობის მხრივ თეატრში შესვლის საშუალება ულარიბეს მუშა მოსამსახურეს მისცა. ამ ჟამად ქ. ბერლინში „სახალხო თეატრი" დრამატიულ ხელოვნებაში, ეჭვს გარეშეა, პირველ ადგილზე დგას. მის განკარგულებაშია ერთი უდიდესი თეატრთაგანი „სახალხო თეატრი" ბიულოვის მოედანზე და ამის გარდა იჯარით აღებული აქვს ორი სხვა თეატრი, სადაც ხელს უწყობს საოპერო და მუსიკალურ ხელოვნების აყვავება-აღორძინებას.

სახალხო თეატრის გაძლიერება ბერლინში სიმპტომატიური მოვლენაა გერმანეთის ყველა დაბა-ქალაქებისათვის. აღნიშნულ ორგანიზაციებში დაცულია პრინციპი ხელოვნების თავისუფლებისა; ის დრამატურგიას, ძველ კლასიკურ დადგმებს, გვერდში უყენებს ახალ დრამებს, ხელს უწყობს ახალი ძალების შექმნას და თვით ტეხნიკური მოწყობილობის მხრივ უმაღლეს საფეხურზე სდგას. მსახიობთა და სცენის მუშაკთა მდგომარეობა კერძო თეატრთან შედარებით საგრძნობლათ წინ წაწეულია და კონფლიკტის მიზეზები მაქსიმალურათ თავიდან აცილებული აქვს.

როგორც დრამატიულ ისე მუსიკალურ ხელოვნებაში საგრძნობელ როლს თამაშობს აგრეთვე სახელმწიფო და კომუნალური თეატრები. ინფლაციისგან გამოწვეულმა კრიზისმა აქაც გაავლო თავისი სივიწროვის ხაზი. სახელმწიფოსა და კომუნალურ სუფსიდიებზე დამკვიდრებული აღნიშნული დარგი წარმოაგენს ორგანიზაციის მხრივ ბიუროკრატიულ დაწესებულებას. ხელოვნების მხრივ სათანადო სიმაღლეზე სდგას, მაგრამ მაშინ, როდესაც სახალხო თეატრი, როგორც კერძო უფლებრივი ორგანიზაცია გარეშე სდგას თეატრალურ კონცერნების და მაგნატებისა, ზეგავლენისა, აქ, ძლიერ ხშირად, სახელმწიფო იძულებულია მრავალგვარი დათმობა კომპენსაციები მისცეს კერძო მწარმოებელს. საოპერო ხელოვნების დარგში დღეს დღეობით სახელმწიფო და კომუნალური თეატრები ჰეგემონები არის. რაც შეეხება დრამატიულ თეატრს აქ აღსანიშნავია მხოლოდ ორი მთავარი თეატრი: სახელმწიფო დრამა ბერლინში და დიდი დრამა ჰამბურგში, როგორც ხელოვნების ტაძრები. ესენი, ეჭვს გარეშეა, თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმაღლეზე სდგანან. დანარჩენები კი სხვათა და სხვისი მიმდევართა როლს ასრულებენ.

II.

გასულ 1925-26 წლის სეზონი ერთგვარ სინტეზს წარმოადგენდა ძველსა და ახალ მისწრაფებათა შორის. მართალია კლასიკური დრამატურგია უკვე თითქმის დასცილდა თეატრალურ საქმიანობას, მაგრამ რეპერტუარი საერთოთ აღებული, მაინც კონვენციონალურ ჩარჩოებში იყო მოთავსებული. თვით მიმდინარე მომენტის ხასიათმა, ერთგვარ შეთვისებამ—შექმნილ, შედარებით შტაბილურ ეკონომიურ პოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთის მხრით,—ხოლო მეორეს მხრით საზოგადოების საშიშ არსებულმა უკმაყოფილებამ შექმნა ერთგვარი შეთვისება, შეთანხმება დრამატიულ ხელოვნებაშიაც. მაშინ, როდესაც 1921, 22, 23 წლის განმავლობაში ახლად შექნილი რევოლიუციონური „კრამოლური“ დრამები ერთის მხრით და ძველი კლასიკური მეორეს მხრით, ერთი მეორეს ემეტოქეობოდენ, — გასულ სეზონს შედარებით ძირგადგმული და გამკვიდრებული სახეობა ქონდა. აღნიშნულ წლებში ერნსტ ტოლერის სოციალური და რევოლიუციონური დრამები „ჰინკემანთ“ დაწყებული, პროლეტარულ მასებში აღფრთოვანებას იწვევდა,—ხოლო ბურჟუაზიულ კონსერვატორულ წრეებში უკმაყოფილებას და ბევრ ქალაქებში „დებოშ“-„სკანდალებით“ თავდებოდა. არტურ შნიცლერის დრამატიული ნაწარმოები „ფერხული“ თავისი რევოლიუციონური მიდრეკილებით ეროთიკაში, უკმაყოფილებას და ძველი ეთიკის დამრღვეველ რაობათ იქნა გამოცხადებული ბიურგერის მიერ. ამ უკმაყოფილების ნიადაგზე გაიმართა ბრძოლა ყოველგვარ საშუალებებით: „სკანდალები“ დადგმის დროს, პროცესები სასამართლოებში, ბოიკოტი და სხვა.

თეატრებმა ამ გარემოებას ალღო აუღეს. წმინდა რევოლიუციონური გვერდზე გადასდვეს და საზოგადოებას უფრო რბილ ფორმებში ჩამოსხმული სატირა, სანახევროთ „მეშჩანური“ სულისკვეთებით გამსჭვალული, შემსუბუქებული რევოლიუციონური მომენტებით აღვსილი დრამები მიაწოდა. ე. ტოლერის, ა. შნიცლერის, გ. კაიზერის და სხვების ადგილი—ლუიჯი პირანდელომ, ბერნარ შოუმ, ჯ. გლესვორტიმ, გ. ჰაუპტმანმა და სხვ. დაიკავეს.

ლ. პირანდელოს მისტიურმა ფაბულამ, სენსაციურის უბრალოზედ გადასკვნამ და ამ რიგათ არსებულის შეღავათიანმა კრიტიკამ მსმენელში ერთგვარი დამშვიდება შეიტანა და თეატრის საზოგადოებაც გაადიდა.

ბ. შოუს ჯენტლემენურმა სატირამ, მეშჩანურის თანაბარმა კრიტიკამ, საკითხისადმი თავისებურმა მიდგომაცმაც და თვით პრობლემების საინტერესოთ გასალაშინებამ დრამატიულ ხელოვნებას საგრძნობი წონასწორობა მისცა.

ჯ. გლესვორტის საზოგადოებრივი და რასიული შეხედულებათა რბილმა კრიტიკამ ბიურგერს ნერვები დაუმშვიდა.

გასული სეზონი გახდა აღნიშნულ სამი ავტორის ტრიუმფი.. და ეს არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო გერმანიაში, არამედ თითქმის ყველა ქვეყნებისსცენებზე. ახალი ავტორების. კლაბუნდი, ვერფელი და სხვების პიესები, ცუკმაიერის გამოკლებით, ერთგვარ მეორე ხარისხოვან რაობათ გადაიქცა.

ბ: შოუს ტრიუმფალური სვლა დაიწყო მისი „წმინდა იოჰანას" (ორლეანელი ქალწული) დადგმით. შილერის ორლეანელი ქალწულის ანტიპოდით შექმნილი, შოუს პიესა გახდა პირველი მერცხალი ახალი სინტეზისა. თვით პრობლემაზე მიდგომა, მისტიურ ბრჭყალების გახსნამ და იოჰანასაგან ჩვეულებრივი მისტიციზმით გამსჭვალული ადამიანის შექმნამ ერთგვარი ფარდა ახადა ასეული წლეებით შარავანდედით მოცულ პიროვნებას. სოციალური და რელიგიური მომენტები დრამამ სააშკარაოზედ გამოიტანა. თვით დადგმამ და შესრულებამ შექმნა ახალი ტიპი ორლეანელი ქალწულისა: უბრალო განსაზღვრული ჟინის და მისწრაფების სოფლის ახალგაზრდა უბრალო ქალიშვილის, რომელიც ყოველგვარ წინასწარ განზრახული ზე გადიდებისა მიჰყვება თავის სულის კვეთებას და აბა რა მისი ბრალია რომ კათოლიკურმა ეკლესიამ ჯერ სიკვდილით დასაჯა და შემდეგ კი წმინდანათ გამოაცხადა. აქ როგორც წმინდა ისტორიული, ისე ადამიანურის მხრივაც შოუ აღნიშნულ საკითხს მეტის მეტად მოხდენილად მიუდგა. თვით იოჰანას პერსონა კი ელისაბედ ბერგნერმა უალრეს სინამდვილით განასახიერა, რამაც აღნიშნული ხელოვანი ერთ ფავორიტ მსახიობთაგანათ გახადა დღევანდელი გერმანეთის თეატრალურ და საზოგადოებრივ წრეებში.

„იოჰანას" მოჰყვა შოუს „მაიუსალა", „ქაცი და ზე ქაცი", „ქანლიდა, „არ შეიძლება წინასწარ ვიცოდეთ". და სხვა სატირული დრამები, რომლებმაც სეზონის განმავლობაში ათეული დადგმები განიცადა.

რა თქმა უნდა, გასულ სეზონს თავისი სენსაციაც ქონდა. ეს უკანასკნელი გამოიხატა ახალგაზრდა დრამატურგის ცუკმაიერის პიესაში: „მხიარული ზვარი". თავისთავად ხელოვნური ღირებულების მხრივ, პიესა როგორც ასეთი, საშუალო დონეზე უნდა დავაყენოთ. სენსაცია შექმნა ისევ მსმენელმა საზოგადოებამ, რომელმაც ტიპებში თავისი განსახიერება დაინახა. მოქმედება სწარმოებს რეინის ოლქში. იქ სადაც ბახუსს ყველაზედ მეტი გასავალი აქვს. დახასიათებულია სხვადასხვა წრის ტიპები, დაწყებული ხელზე მოსამსახურე ქალიდან, გათავებული უმაღლეს სწავლა დამთავრებული ბიურგერის შვილით. ფაბულა ტრიალებს ოჯახის პრობლემის გარშემო. თვით პიესა კი წარმოადგენს ღია დაცინვას, სასტიკ სატირას მაღალ წოდებით თუ წრეთ წოდებულ საზოგადოებრივ ფენისადმი. არ აკლია აგრეთვე ე. წ. „მუდმივი ურია"· ამ სატირამ ერთის მხრით, და მეტისმეტად მხიარულმა და სასიამოვნო მოქმედებამ მეორეს მხრით პიესა პოპულიარული გახადა. მან გერმანეთის ყველა სცენები მოიარა თითქმის, ორიოდ თეატრის გამოკლებით,—არ დარჩენილა არც ერთი კუთხე სადაც კონსერვატიულ წრეებს „დებოში" და „სკანდალი" არ მოეწყოს. და რა თქმა უნდა, ამ გარემოებამაც ხელი შეუწყო იმ მოვლენას, რომ პიესა ყველასათვის სანახავ აუცილებლობათ იქცა. თვით ავტორი ერთგვარი დევნის და სიმპატიის ობიექტად გაბდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა აქ აღწერილისა, საინტერესოა აგრეთვე ახალ მოვლენათა აღნიშვნა, რომელიც თავის ელეფერს და სახეს აძლევს თანამედროვე გერმანელის ხასიათსა და მისწრაფებას. თუ ჩვენ დროებით წმინდა დრამატიულ ხელოვნებას გვერდს აუხვევთ და თვალს გადავავლებთ სხვა მრავალ მოვლენებს, რომელთაც სცენასთან დამოკიდებულება აქვს, დავინახავთ, რომ ომის შემდეგ მეტის-მეტად ფეხი მოიკიდა ე. წ. პატარა სცენამ. აქ მრავალ ფერიანობას აქვს ადგილი. მუსიკალური გართობა, „ონგლიორი", „აკრობატი", სპორტის სხვა და სხვა დარგი, მოკლე ვოდევილები, დეკლამაცია და სხვა ამგვარი ანარეკლი სცენიურ შემოქმედებისა შეადგენს პროგრამას და შინაარს აღნიშნულ დაწესებულებათა. კაფე-რესტორანი ან სპეციალურათ მოწყობილი კაბარე, სადაც ადამიანი სრულებით თავისუფლებას განიცდის, ჭიქა ყავა ან ლუდს შეექცევა და ამავე დროს პატარა სცენაზე სხვა და სხვა სანახაობით ერთობა. ამ მხრივ გერმანეთი, რომანულ ქვეყნებთან შედარებით, უკან ჩამორჩენილი იყო. ომის შემდეგ აღნიშნულ ნიადაგზე ფეხი მოიდგა პატარა სცენამ და დღეს, თავისი სიაფის და სანახაობათა მრავალფერიანობის გამო, დიდძალ საზოგადოებას იზიდავს.

თანამედროვე „ჟანრი"-ს მუსიკალური ნაწარმოებებში,—ფოქსტროტ ჩერდოსტონის მოტივებზე, მაზედ აშენებული რითმიული მოძრაობა, ცეკვა-სიმღერები ჩვეულებრივ მოთხოვნილებათ გადაექცა დღევანდელ გერმანელს. რა თქმა უნდა თვით ხანამ თავისი სახეობა და ხასიათი, დაამუშავა. ნერვიულ და მღელვარე დროში, რადიოს და სპორტის ეპოქაში გერმანელი უფრო მეტად ეგუება სანახაობის ხშირ ცვალებადობას და ისეთ რამეს, რაც მას გარდა წმინდა გონებრივ ემოციებისა, ერთგვარ ფიზიკურ მოძრაობას და მრავალ ფერიანობას მიაწოდებს.

შრომის მექანიზაციამ და ტიპიურმა დამუშავებამ ადამიანი მანქანის უბრალო ნაწილათ აქცია. შრომის პროცესში ის შეიენა ისეთიე უსულო ნივთი, რომელიც მხოლოდ მექანიკურად ასრულებს თავის დანიშნულებას. ადამიანის ორგანიზმი კი ამით კმაყოფილებას ვერ იგრძნობს. ის მიისწრაფვის გადახალისებისაკენ. ამ მხრივ კი სპორტმა და მუსიკალურმა რითმა საუკეთესო საშუალება მისცა. მამაკაცის მიერ სპორტით გატაცება არა ახალია, ძველია, მაგრამ ის რაც ამ უკანასკნელ ხანებში ხდება, აჭარბებს ყველა ყოფილს და ნახულს. კიდევ ომის წინ, ქალისათვის სპორტი ეს რაღაც წარმოუდგენელი, სრულებით მიუღებელი რაობა იყო. ექიმი ქალი მენზენდიკი, პირველი პიონერი ამ მიდრეკილების 1911 წელში, იძულებული იყო გერმანეთი დაეტოვებია. ომის შემდე კი თვით ცხოვრების პირობებმა, ქალის შრომის პროცესში საგრძნობლად მონაწილეობამ მოიტანა შედეგათ ის, რომ ერთ დროს მენზენდიკის გაბიაბრუებული იდეა, დღეს ყველასათვის მისაღები გამოდგა. დაარსდა რითმიული გიმნასტიკის სკოლები და საზოგადოებები, რომელთა კონტინგენტს მხოლოდ ქალები შეადგენენ. სპორტის სხვა და სხვა დარგებში მათთვის კარები გაიხსნა და ხელოვნურათ გამშვენიერების, სხვა და სხვა კოსმეტიური საშუალებების ადგილი ტანის კულტურამ, მისი ბუნებრივმა მოვლამ და გაჯანსაღება-გაკაჟე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ დაიკავა. მრავალ საფერავებით შეღებილი ქალი თანდათანობით მზით დაბრაწულ სანახაობათ და ფიზიოლოგიურათ სალ და ძლიერ ტიპათ იქმნება.

თავის თავად ცხადია, აქ აღნიშნული მოვლენა საერთო ცხოვრების ანარეკლია. საერთო ეკონომიურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა წარმოშვა თვით ადამიანის ფსიხიკისა და ფიზიკის კრიზისიც. აქ აღნიშნული მოვლენა კი ცდაა სიჯანსაღისა და ბუნებრიობის შენარჩუნების. რომ არსებული საერთო სოციალური ფორმები რყევის პროცესშია და რომ ამ კრიზისს შედეგათ ახალი ფორმები უნდა მოყვეს, ყველასათვის აშკარაა. რა თქმა უნდა „ოფიციოზური" აზროვნება და მიმართულებანი ამას არ სცნობს, მაგრამ სინამდვილე ბევრათ უფრო ძლიერია, ვიდრე ძალადობით აშენებული ლამაზი თეორიები არსებულის აუცილებლობა მუდმივობაზე.

რა თქმა უნდა თეატრიც ეხმაურება ამ მოვლენას. პიესების დადგმა, თვით წერა და მისი მანერა უთვისდება და ეგუება ახალ მომენტებს. ჯერ-ჯერობით პატარა სცენები მეტად აქცევენ ყურადღებას ამ გარემოებას, მაგრამ არც ის დროა შორს, როცა ეს ბუნებრივობის ტენდენცია დიდ სცენაზედაც ჰპოვებს თავის გასავალს.

აღსანიშნავია ერთი მეტის-მეტად დამახასიათებელი მოვლენა სცენის ცხოვრებაში, რომელიც დაიწყო ანგლო-საქსონურ ქვეყნებში და უთუოდ მიმდინარე სეზონში სხვა ქვეყნებშიდაც ფეხს მოიკიდებს. ეს ახალი მოვლენაა—ძველი კლასიკური პიესების და ოპერების რესტავრაცია, განახლება.

რაში გამოიხატება ეს?

თანამედროვე ევროპიელი, როგორც თავის ბუნებით, ისე მდგომარეობით დასცილდა ძველ ტრადიციულ ზნე-ჩვეულებებს. ცხოვრებამ მას ახალი პრობლემები, ახალი სურათები და პირობები გადაუშალა წინ. ის მუდმივ ნერვიულობაშია, ვულკანზე ზის, სადღაც მიდის, მიიჩქარის. ამ სიჩქარის ტემპი, მოძრაობა ელვისებურია. კუნძულ ფორმოზაზე დილით მომხდარი რაიმე შემთხვევა მან ორი საათის შემდეგ რადიოს საშვალებით უკვე გაზეთში ამოიკითხა. პოლიტიკური ცვალებადობა რომელიმე ქვეყანაში წუთების შემდეგ გაიგო. რადიო აპარატი სახლში აქვს და მუდამ მთელი ქვეყნის აბობოქრებულ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. ყოველ წუთში ახალს, ნერვიულ და სენსაციურ რამეს გებულობს. ექმნება მოთხოვნილება ასეთისათვის. როდესაც ქალიშვილმა თმა შეიკრიჭა პირველათ მისი გრძნობები გააღიზიანა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ ხანში შესული ცოლიც რომ ამავე გზით წავიდა უკვე ბუნებრივათ ჩასთვალა. უწინ ის ქალის მოდებზე დევნას ვერ იტანდა; დღეს მატილდამ (ჩვენი დარეჯანი) რომ მოკლე კაბაში ვერ დაინახოს, ეხამუშება, მას უნდა ყველაფერი ახალი პრიზმის ქვეშ გაატაროს.

ეს გარემოება რეჟისორებმა გამოიყენეს და მიყვეს ხელი ძველი პიესების ახლად აფერადებას. ერთმა ლონდონელმა რეჟისორმა პირველი სენსაცია შექმნა. „ჰამლეტი სმოკინგში"—ყუმბარასავით გავარდა პრესაში და საზოგადოებაში. შექსპირის უკვდავ ტრაგედიას მან ახალი სახე მისცა. ჰამლეტი სმოკინგში, ოფელია მოკლე კაბაში გამოაწყო. ძველი იარაღები ახლად შესცვალა და

საზოგადოებას ახალ ჭურჭში გახვეული ძველი გული მიაწოდა. საზოგადოება, რა თქმა უნდა, ამ დრამებს პირველად სკეპტიკურად შეხვდა. ეს გაპიროვნება გარყვნად აღიარა, მაგრამ მხოლოდ ცალი თვალი დახუჭა და მეორეთი ჭვრეტა დაუწყო.

გუნოს ოპერა „მარგარიტა“ (გოიტეს ფაუსტი) კომპოზიტორმა ახალ მოტივებს შეუფარდა, ხორეოგრაფია, ბალეტი ფოქსტროტის ყაიდაზე გადააკეთა და ნაცვლად გულუბრყვილო გრეტჰენისა (მარგარიტა) თანამედროვე თმა შეკრეჭილი, მოკლე კაბიანი ფოქსტროტის მოცეკვავე და სპორტის მოყვარულ ქალათ აქცია. მეფისტოფელს სასპორტო დრესი ჩააცვა. დ-რი ფაუსტი თანამედროვე ცოდნითა და ვარეგნობით შეალამაზა.

ეს, რა თქმა უნდა, პირველათ სენსაცია იყო, მაგრამ საზოგადოებამ თანდათან იწყო შერიგება. და ეს შერიგება მოხდა იმიტომ, რომ თანამედროვე ბუტაფორია მას უფრო მოსწონს, უფრო ეგუება. მეფე ლირი, მაკბეტი თანამედროვე ადამიანებათ აქციეს. ძველი იარაღების და საომარი საშვალებების მაგივრათ ახალი თანამედროვე ქიმია და მისი საშვალებები გამოიტანეს სცენაზე. ამ რიგათ განაახლეს და თანამედროვე მსმენელს მასთან უფრო ახლო მდგომარე გმირები გამოუყვანეს სცენაზე.

„ჰამლეტი სმოკინგში“ გასულ სეზონში, სრულიად ახალი ლოზუნგი იყო. მიმდინარე სეზონში კი ის უთუოდ ბევრი მნიშვნელოვანი სცენის ავლა-დადებათ გახდება.

რას გვეუბნება ყველაფერი ეს? რა პრესპექტივებს შლის ჩვენს წინაშე? რას უნდა მოველოდეთ მომავლისათვის?

ერთი რამ აშკარაა. ცხოვრების საერთო დუღილი, მისი ცვალებადობის აუცილებლობა ქმნის საერთო ძიებასა და ახალის კვლევის მიდრეკილებას. მეურნეობის და პოლიტიკის ფრონტზე სწარმოებს გახურებული ბრძოლა, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. მშრომელი მასსა მიისწრაფის თავისი იდეალისაკენ. აქ მას სამეურნეო მდგომარეობა, ეკონომიკა გვერდში უდგას. მისი მეგობარია, მის ნაბიჯებს და მისწრაფებებს ხელს უწყობს, მას ათამამებს. ძველი გაბატონებული კლასი, წრე კაპიტალისტებისა თავის მხრივ ცდილობს ყოფილის შენარჩუნებას. მღელვარე ზღვაში მოცურავე გაცვეთილი ნავით ბებერი მესაქე აქა-იქ გამოჩენილ ნახვრეტებს გმანავს, დროებით ამაგრებს, რომ ტალღებმა არ სჩანთქას, მაგრამ ბუნების სიძლიერე ერთ დახურულ გზის მაგივრათ მეორეს ნახულობს შიგ შეჭრას და ნავის შთანთქვას ლამობს. ეს ჭიდილი ქმნის გზებისა და საშვალებების ძიებას. ძველის უარყოფა, ახალ ფორმებს თხოულობს. ამ ფორმათა საშუალო ჩამოსხმა აღნიშნულ ჭიდილის შედეგი უნდა იქნეს.

ეს მთავარი ღერძი საერთო სოციალური ცხოვრებისა თავს გამოხატულებას პოულობს ყველა დარგებში. დრამატიული ხელოვნებაც ასეთივე ცდების და ჭიდილის პროცესშია. „რევიუ“ რითმიკა, პატარა სცენა, თავისი აჭრელებული ფერადებით, „ჰამლეტი, სმოკინგში“,—ყველა, ყველა, ეს ამ ჭიდილის ცდის და ძიების შედეგია, რაც მთლიან ჩამოყალიბებას და სახეობას მთავარ საკითხთან ერთად მიიღებს. აქ ნათლისღება დამოკიდებულია პირველ პრობლემაზე.

პეტრე გელეიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ახლო წარსულიდან

(მასალები „მესამე დასის“ ისტორიისათვის.)

I

ეგნატე ნინოშვილით ახალი ერა იწყება ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში. თუმცა ამ ბოლო დროს შედარებით ბევრი დაიწერა ე. ნინოშვილზე, მაგრამ მისი ლიტერატურული და რევოლიუციონური მოღვაწეობა ჯერ მაინც შეუსწავლელია. ჩვენ, როგორც ერთი მოწამე ეგნატე ნინოშვილის მოღვაწეობისა, ვალდებულათ ვრაცხთ თავს ეგნატეს, მისი დროსა და ამხანაგების იმ „დასის“ შესახებ, რომლის მეთაურათ და სულიერ მოძღვრათ ის სამართლიანათ ითვლება, მასალები მაინც მივსცეთ მომავალ მკვლევარს, რომელიც, ეჭვს გარეშეა, გამოუჩნდება განახლებულ საქართველოს და გააშუქებს ჩვენი ისტორიის ყველა კუთხეებს.

ეგნატე ნინოშვილი დევნილი იყო მისი ცხოვრებაში გამოსვლის პირველ დღიდანვე. მაგრამ ის მაინც ბედნიერი იყო, როგორც ბედნიერია რევოლიუციონერი მებრძოლი, რომელსაც სწამს უკეთესი მომავალი და რომელიც გამარჯვების სრულის რწმენით სწირავს ამ მომავალს თავისი სიცოცხლის ყოველ წუთს... ეგნატე განხორციელებული მებრძოლი იყო, ის ქედ-მოუხრელი, შეუდრეკელი რევოლიუციონერი იყო და ასეთი დარჩა იგი სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე. ეგნატე დაიწვა რევოლიუციის საკურთხეველზე, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ის ალი ცეცხლისა, რომელიც მან დაანთო რევოლიუციის კერაზე.

ჩვენი ქოჩორა ახალგაზრდობა, რომელიც დღეს ასე სწავლობს თავისი ქვეყნის წარსულს, და აწმყოს, და რომელიც ასე ენერგიულად ემზადება მომავლისათვის, გაერკვევა თავისი უფროსი თაობის საქმეში, უფრო კარგათ დააფასებს წარსულს თუ მას ჩვენ სწორ და უტყუარ მასალებს მივაწვდით...

და აი, სწორეთ ამ მომავალი დამფასებლებისთვის ვსწერ მეც ამ სტრიქონებს. ჩემი სურვილია მათ შეუნახო ის ფაქტიური მასალა, რის მცოდნეთა რიცხვიც დღეს ჩვენში მხოლოდ ორი-სამია და რაც, შეიძლება, ხვალ-ზეგ სულ დავიწყებულ იქნეს.

მე აქ მინდა ვთქვა იმის შესახებ, თუ როგორ წარმოსდგა ჩვენი თაობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელწოდება: „მესამე დასი“, რას ნიშნავს იგი? აქვს თუ არ აქვს მისს ეროვნულობას რაიმე მეცნიერული საბუთი?

მკითხველმა, სხვათა შორის, ჩემი წერილებითაც იცის, რომ (იხ. „რევოლიუციის მატიანე“, №№ 1 (6) და 2 (7-8) 1924 წ. „ეგნატე ინგოროყვა ნინოშვილი“) ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვის დღეს, როგორც განსვენებულის ცხედართან წარმოთქმულ სიტყვაში, ისე ეგნატეს ალაპზე, გიორგი წერეთელი ბევრს ეცადა დაესაბუთებია, რომ ეგნატე და მისი ამხანაგები ქართველ მოღვაწეთა გაგრძელებაა, რომ ისინი მათი მემკვიდრეებია. ჩვენ დასახელებულ წერილიდან ისიც ვიცით, რომ ამის წინააღმდეგ გ. წერეთელს ეკამათებოდენ, როგორც ამხ. მიხა ცხაკაია, ისე სხვა იქ დამსწრე ამხანაგები. მაგრამ, ალბათ, გ. წერეთელს თავისი აზრი უცვლელ ჭეშმარიტებათ მიაჩნდა და მთელი თავის ძალონით შეეცადა ცხოვრებაში მის გაყვანას. ამ მიზნის მისაღწევად მან პირწმინდათ, თითქმის სიტყვა-სიტყვით, გაიმეორა თავისი, გურიის მთებში ეგნატეს კუბოსთან წარმოთქმული აზრი, იმავე წლის „ქვალის“ 21 ნოემერში, რომელშიც „დამსწრეს“ ფსევდონიმით ეგნატეს დაკრძალვის აღწერა დაბეჭდა და თავისი ახალი აღმოჩენა ასე აუწყა ქართველ საზოგადოებას:

...„ერთი რამ შესანიშნაი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლავებაზე. მას კუბოს გარს შემოკრბენ, ასე ვთქვათ, **მესამე დასი ახალგაზრდობისა** (ხაზი ჩვენია), ესე-იგი, სულ უკანასკნელი წლების თაობა,—ისინი, რომელნიც გამოსულან სამოღვაწეო ასპარეზზე მეოთხმოცდაათე წლებიდან. ნამდვილი ამათი სახელი და ამათი იმედი ყოფილა ნინოშვილი, რომლის ნაწერებში ბრძყვინავს **ამ მესამე“ დასის** ახალგაზრდობის სულის მისწრაფება და მათი მოქმედების პროგრამა (იხ. „ქვალი“, № 21, 15 მაისი, 1894 წ.)

ამნაირათ გ. წერეთელმა გურიის მთებში, ეგნატეს საფლავზე წარმოთქმული, ეგნატეს ამხანაგების მიერ უარყოფილი აზრი თავის გაზეთში წარბშეუხრელად გაიმეორა. ეს იყო და ეს! თვითონ „მესამე დასის“ მწერლებს სიტყვა „მესამე დასი“ არსად არ გაუმეორებიათ თითქმის მთელ 1894 წ. განმავლობაში სრულიად; პირიქით, როცა ამხანაგები ამის შესახებ ლაპარაკს ჩამოაგდებდნენ, ყოველთვის უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ თავისი პარტიის ასეთი სახელით მონათელისათვის.

მაგრამ, სამაგიეროთ, ამ ახალ მოვლენილი პარტიის ასეთი სახელწოდება გაიმეორა მაშინდელმა ნაციონალისტურმა პრესამ. ვის არ ახსოვს, თუ რა მტრულად შეხვდა ეს პრესა ამ ახალ პარტიას, რა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა მას! მკაცრი და სასტიკი იყო ეს ბრძოლა, რომელმაც თითქმის მთელი მეოთხედი საუკუნე გასტანა!

რა იყო ამ შეურიგებელი ბრძოლის დაწყების მიზეზი?

ამის პირველი მიზეზი ის იყო, რომ მაშინდელმა ქართულმა, სულ ერთიანად ნაციონალისტურმა, პრესამ, ისეთი მაღალი ნიჭიერი ბწერლის და პუბლიცისტის მეთაურობით, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე, ჩინებულათ, ყოველ შემთხვევაში გ. წერეთელზე უფრო უკეთესათ, აუღო ალღო იმ „ვანახლების ქარის ქროლას“, რომელმაც ნინოშვილის საფლავზე პირველადვე მედგრად დაპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქროლა. ილია კარგათ მიხვდა, რომ ეს, გურიის მთებში დაბადებული ქარი მალე გადაიქცეოდა ქარიშხლად, რომელიც დანგრევით ექადოდა საქართველოში დიდი ხნიდან გაბატონებულ ვიწრო ნაციონალისტურ აზროვნებას. ამიტომ ქართულმა პრესამ, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, შედგარი იერიში მიიტანა ამ ახალ მოვლენილ „დასზე", იმ თავითვე დაუპირა მას გაჭირობა...

გიორგი წერეთელმა, თუმცა თავის გაზეთში დაბეჭდა ამ ახალ „დასის" წარმომადგენლების მიერ ეგნატეს საფლავზე წარმოთქმული სიტყვები და განსაკუთრებით სილიბისტრო ჯიბლაძის პროგრამული სიტყვა, მაგრამ მან სრულიად არ გაუწია ანგარიში ამ ახალ „დასის" პროგრამას და მისი მატარებელი თაობა გრ. ორბელიანის, მისი შკოლისა „თერგდალეულებისა" და ნაციონალისტურ ჯგუფების სულიერ მემკვიდრეთ, მათ გაგრძელებათ გამოაცხადა.

სულ სხვა თვალით შეხედა საქმეს ილია ჭავჭავაძემ. ის როგორც დიდი ნიჭით დაჯილდოვებული მწერალი და პუბლიცისტი, როგორც შეუპოვარი მებრძოლი, მაშინვე მიხვდა რაშიც იყო საქმე და დაუყონებლივ აღიჭურვა საომრად...

მეორე დიდი მიზეზი, რომელმაც, ყოველ შემთხვევაში, დააჩქარა ილიასა და მისი პრესის ჩვენი ახლად გამოჩეკილ პარტიაზე თავდასხმა ის იყო, რომ გიორგი წერეთელ მა რაღაც ახირებული რეკომენდაცია გაუკეთა ამ მის მიერ „აღმოჩენილ" „მესამე დასს". თუმცა მართალია, მან ეს „დასი" ქართველ პატრიოტებათ და ნაციონალისტებათ, ესე იგი, ორბელიანების, ჭავჭავაძისა და წერეთლების პოლიტიკურ მემკვიდრეებათ გამოაცხადა, მაგრამ იმავე დროს, ამ „დასის" წევრები გამოიყვანა რაღაც ახირებულ „ბუნტოვჩიკებათ", თავისი პოლიტიკური და ლიტერატურული მამების წინააღმდეგ გაბოროტებულათ, უმადურ შვილებათ და იმავე დროს, იმავე მამების ნაამაგარის უსირცხვილო მიმთვისებლათ...

„ესენი („მესამე დასელები") უარს ყოფენ ძველს ინტელიგენტ-მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მავნებლათ მიაჩნიათ... ნინოშვილის კუბოს წინ პირველათ წარმოსთქვეს მათ თავისი პროგრამა მოქმედებისა და თითქოს რაზმად დაეწყვენ, **რომ ხალხში შეიტანონ განათლების შუქი... ხალხში მოფინონ წერა-კითხვა**"... (ხაზი ჩვენია, იხ. „კვალი" № 21, 1894 წ).

ეს ახალი პარტია რომ მართლაც ასეთი მოქმედების პროგრამით გამოსულიყო, ის მართლაც რაღაც სხვა იქნებოდა და არა პოლიტიკური პარტია.

თუ მას, ხალხში **წერა-კითხვის გავრცელებრს** მეტი მიზანი არ ქონდა, ამისთვის ან კი რა საჭირო იყო პარტიის დაარსება? ამას ჩვენი მამებიც ხომ ასრულებდენ შეძლებისდაგვარად. ხალხში წერა-კითხვის გავრცელების მიზნით, ჩვენს დაბადებამდე, დაარსეს სპეციალური „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომელიც მიუხედავათ იმ აუტანელი პოლიტიკური პირობებისა, რომელშიაც მათ უხდებოდათ მუშაობა, მაინც თვალსაჩინო საქმეს აკეთებდა ამ სფეროში. თუ ამ პარტიას ამის მეტი მიზანი არ ქონდა, მას პარტია კი არ უნდა დაეარსებია, ის, უკვე დიდი ხნიდან არსებული „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში" წევრად ჩაწერილიყო და იქ ემუშავნა. ამის მაგიერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ახალი პარტია თავის მიზნათ გიორგი წერეთლის რეკომენდაციით ქართველოში წერა-კითხვის გავრცელებას ისახავს და იმავე დროს თავისი მამების **ასეთივე** მოქმედება „**მავნებლად მიიჩნია**“... ეს ნამდვილ ყაჩაღობათ უნდა მიეღო ლიტერატურულ მაშებს და, აბა, ილია და მისი ლაშქარი ასეთ თავხედობას როგორ გვაპატიებდა? ამას ძალაუნებურად უნდა დაეჩქარებია ძველსა და ახალს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი.

მაგრამ ყველაზე დიდი მიზეზი, ნამდვილი casus belli ამ ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის იყო თვითონ გიორგი წერეთელი, რომელიც ნიშანში ყავდა ამოღებული იმ დროინდელ ქართულ პრესას და ქართველ ინტელიგენციას და, როგორც მოსალოდნელიც იყო, მასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომის დროს, ეს მის მიერ „აღმოჩენილი“ (ეს სიტყვა თვითონ გიორგი წერეთელს ეკუთვნის; ის ხშირად იტყოდა ხოლმე: „მესამე დასი“ მე აღმოვაჩინეო) „მესამე დასიც“ ზედ მიაყოლეს.

ილია ჭავჭავაძემ იმ თავითვე ჩინებურად აიღო ალღო, ის გიორგი წერეთლის შემცდარ რეკომენდაციას არ დასჯერდა: ის კარგად გაეცხო თვით ამ „დასის“ მიერ გამოქვეყნებულ პროგრამას, ის მიხვდა, რომ მართლაც დაბადებულა ახალი ძალა, რომელიც ომს უცხადებს მთელ ქართულ ნაციონალისტურ აზროვნებას და სრულიად წინააღმდეგ მიმართულებას აძლევს მას. მაგრამ ილია ძალიან გააკვირვა და თანაც გააბრაზა ამ დასთან გიორგი წერეთლის დამეგობრებამ. ილიას და მთელ ქართველ საზოგადოებას, რომლებიც ჩინებულად იცნობდენ გ. წერეთელს, ძალაუნებურად უნდა დაბადებოდა კითხვა: „რა არის საერთო ცნობილ ქართველ ნაციონალისტ გიორგი წერეთლისა და ამ ახლად გამოჩეკილ „დასს“ შორის, რომელიც სრული წინააღმდეგობაა ქართული ნაციონალიზმისა და, მაშასადამე, თვით გიორგი წერეთლისაც“.

ილია, როგორც დახელოვნებული სტრატეგი მიხვდა, რომ ქართველ საზოგადოებაში მაშინ აბრუ-გატეხილი გიორგი წერეთელი იძულებული იყო ამ თავის იდეურად მოწინააღმდეგე ახალ პარტიაში დროებით მაინც მოენახა თავშესაფარი, ცოტა ხნით მაინც დაესვენა, ძალები მოეკრიბა და ასე სამშვიდობოს გასულიყო. ილია ერთობ დიდი ნიჭიერი მებრძოლი იყო, რომ გიორგი წერეთლის ასეთი დივერსიები ვერ გაეგო და მან იმ წუთშივე მიუსია თავისი მთელი შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგეთა იმ ბანაკს, რომელთაც გიორგი წერეთელმა შეაფარა თავი.

ასტყდა ბრძოლა მედგარი და შეუპოვარი, რომლის მსგავსი ჯერ არ ენახა ქართულ აზროვნების ისტორიას. „ივერიამ“ და „მოამბემ“ ერთად მიიტანეს ომი გიორგი წერეთელსა და მის მფარველ „მესამე დასზე“. გიორგი წერეთელი იძულებული შეიქნა, რაც შეიძლება უფრო გამოეყენებია მის მოწინააღმდეგე „დასთან“ ეს შემთხვევითი დაახლოვება.

მაგრამ სანამ ამ დაახლოვებაზე რამეს ვიტყოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ფართოდ აღვნიშნოთ იმის მიზეზი, თუ რატომ იყო ასე ამხედრებული გიორგი წერეთლის წინააღმდეგ მაშინდელი ნაციონალისტური პრესა და ილია ჭავჭავაძის მაჯაყვანებელი ქართული ინტელიგენცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

ამის მიზეზი იყო თბილისის ქალაქის სამმართველოს ირგვლივ ქართველ სომეხთა შორის ატეხილი ბრძოლა, და ამ ბრძოლაში გიორგი წერეთლის როლი.

1891—93 წლებში თბილისის ქალაქის საბჭოში ქართველ ხმოსანთა რიცხვი 50 იყო. სამართლიანობა მოითხოვს აღენიშნოთ, რომ მათ მართლაც ახალი ნაკადი შეიტანეს ქალაქის მართვა-გამგეობის საქმეში.

მაგრამ 1893 წ. არჩევნებში, სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა. ამ არჩევნების დროს თბილისის ქალაქის სამმართველოს სახლის კოშკზე, სრულიად მოულოდნელად აფრიალდა ის ნაციონალისტურ-შოვინისტური დროშა, რომელიც, ალბათ, მანამდეც არსებობდა, მაგრამ მის აშკარად გამოჩენას ვერავინ ბედავდა. საქმე იმაშია, რომ ამ დროს დაშნაკელების პარტიამ ნელ-ნელა გადმოიტანა მცირე აზიიდან, ოსმალეთის სომხეთიდან თავისი მოქმედების ასპარეზი კავკასიაში და კერძოთ საქართველოში. მათ გადასწყვიტეს საქართველოს დედა ქალაქის თბილისის ხელში ჩაგდება და ამ მიზნის მისაღწევად თბილისის სომხის ბურჟუაზია თავისებურად დარაზმეს. ეს იყო მიზეზი, რომ 1893 წ. ქალაქის არჩევნებში მდიდარი, ცენზიანი და, მაშასადამე, არჩევნების უფლებით აღჭურვილი სომხები, ქართველი და მასთან დაკავშირებული დემოკრატიულად განწყობილი სომეხი და რუსი ხმოსნების წინააღმდეგ გამოვიდნენ და ამ 16 მაისის არჩევნებში კიდეც გაიმარჯვეს. ამ გამარჯვებას შედეგად მოჰყვა სომხის ყველა კანდიდატების ხმოსნებად არჩევა და მათი მოწინააღმდეგეთა სრული დამარცხება. ამ დღეს ხმოსნად მხოლოდ ოთხი ქართველი იქნა არჩეული, ესენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, დავით სარაჯიშვილი, ავალიშვილი და ზუბალაშვილი. ეს ამბავი ყველასათვ ს მოულოდნელი გამოდგა, ყველა სხვა ნაციის წარმომადგენლებს თავზარი დასცა იმ გარემოებამ, რომ მთელი ქალაქის ბედის ბატონ-პატრონი სომხის მდიდარი ნაციონალისტები გახდენ. მარტო სომხის მსხვილი ბურჟუების გამარჯვება თვითონ მთავრობისთვის მოულოდნელი და იმავე დროს არასასიამოვნო შეიქნა, ამიტომ მთავრობამ არ დაამტკიცა ეს არჩევნები და იმავე მაისის 30-სთვის ხელ ხალი არჩევნები დანიშნა.

მაგრამ 16 მაისის არჩევნებზე ასე სასტიკად დამარცხებული პარტიები, ასეთ მოკლე დროში, რას გახდებოდენ. და მათ გადასწყვიტეს პროტესტი განეცხადებიათ და არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე უარი ეთქვათ. ქართველმა კანდიდატებმა (მათ შორის იმ ოთხმა კანდიდატმაც, რომლებიც 16 მაისს იქნენ არჩეული) ასეთი განცხადება წარუდგინეს მთავრობას: **„რადგან 16 მაისის არჩევნებს ისეთი ხასიათი დაეტყო და ისეთი არასასურველი ტენდენცია დაერთო, რომელიც შესაძლებელია ახლაც არ ასცდეს არჩევნებს, ამიტომ კენჭის ყრაზე უარს ვაცხადებთო“.**

ასეთი განცხადება შეიტანეს არა მარტო ქართველმა კანდიდატებმა, ასევე მოიქცენ ქართველების სიაში მყოფი სომხებ ც.*)

*) ესენი იყვნენ: 1) ალექსანდრე მიხეილის-ძე თ-დი არდუთინსკი-დოლგორუკოვი, 2) არტემ სტეფან ს-ძე ბუდდანოვი-ბოდდასაროვი, 3) ალექსანდრე აირაპეტის-ძე ქალანთარი, 4) გრ. ზაქ. ქანანოვი, 5) სტ. სტ. მალბასიანი, 6). არშაკ თათეოსიანცი, 7). ი. ი. თათეოსიანცი. 8). არშაკ ივ. ტერ-გრიგორიანცი. 9). ლგ. ელიაზაროვი. 10). ფ. ი. ოლთაზარიანცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებს და აქ ჩამოთვლილ სომეხ კანდიდატებს. ... 16 მაისის არჩევნებში უკვე გათეორებულმა უფრო დემოკრატიულად განწყობილმა 25 რუსის კანდიდატებმა და იმათაც უარი განაცხადეს 30 მაისის არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე.

ამრიგად 1893 წ. თბილისის ქალაქის არჩევნებში გაიმარჯვა, დაშნაკების მიერ მირონცხებულმა სომხის ბურჟუაზიამ. ქალაქის საბჭოს ჩამოშორდა მთელი ოპოზიცია—როგორც ქართველები ისე სომხები და რუსები.

III

როგორი იყო ამ საქმეში გიორგი წერეთლის როლი? ამის შესახებ იმ დროინდელ გაზეთებიდან ჩვენ შემდეგს ვტყობილობთ: 8 მაისს ქართველ ხმოსანთა კრებაზე გამოცხადებულა გიორგი წერეთელი და განუცხადებია: „მე სომხის ყმაწვილ-კაცობამ, სახელდობრ სომხური გაზეთები: „**მშაკისა**“ და „**მურჩის**“ მომხრეებმა მომანდვეს გაუწყოთ, რომ თუ ქართველები თავისი სიებიდან ამოშლიან **ილია ჭავჭავაძეს, ნ. დ. ზუბალაშვილს, ნ. ზ. ცხვედაძეს და ნ. ი. ნიკოლაძეს**, ჩვენ სომეხთა ყმაწვილ-კაცობა თავიანთ კენჭს ქალაქის არჩევნებში მივსცემთ ყველა ქართველთ, რომელსაც კი წამოაყენებთ ხმოსნის კანდიდატებათო. (იხ. გაზ. „ივერია“ № 99—1893 წ). („ივერიის“ ამ განცხადების საპასუხოდ გ. წერეთელმა „ივერიაშივე“ მოათავსა წერილი რიდაქციის მიმართ (იხ. „ივერია“ № 100—1893 წ.), რომელშიაც ის აცხადებს, რომ ზემოხსენებული ამბავი „სიმართლეს მოკლებულია“-ო.

მაგრამ ამ საპასუხო წერილში ის არც კი ცდილობს არსებითად უარყოს „ივერიაში“ გამოქვეყნებული ფაქტი და თავისი ასეთი კატეგორიული განცხადების მიუხედავად, პირიქით, ადასტურებს მას.

მაგრამ არც ამის შემდეგ ჩამოშორდა **გ. წერეთელი** სომხების ბურჟუაზიას, არც ამის შემდეგ მოისურვა მან ოპოზიციისთვის მხარის დაჭერა და მაშინაც კი, როცა ქართველებთან ერთად ხმოსნობაზე კენჭის ყრაზე უარი განაცხადეს სომხების და რუსის საუკეთესო ნაწილმა, **გ. წერეთელი**, თითქოს აქ არაფერიაო, დარჩა ბურჟუაზიის ბანაკში, რისთვისაც „ივერიამ“ რამოდენიმე მოწამლული სტრიქონი უძღვნა მას.

აი ეს სტრიქონები: „**ხმოსნობაზე უარი სთქვეს ყველა ქართველებმა, გარდა გიორგი ექვთიმეს ძე წერეთლისა, რომელმაც ქართველებიდან თავი გამოირიცხა**“. (იხ. „ივერია“ № 112. 1893 წ.).

გ. წერეთ ლმა არც ეს ვესლიანი შენიშვნა დასტოვა უპასუხოდ, მან „ივერიაშივე“ დასტამბა **ღია წერილი**, რომელშიც არსებითად არაფერს არ ლაპარაკობს გარდა იმისა, რომ **მას ქართველებიდან თავი არ გამოურიცხავს** და თავის მოქმედების გასამართლებელ საბუთად მოყავს შემდეგი: „არა მარტო მე ვიყარე კენჭი ქართველებიდან, კალოუბნელებიც იყარა კენჭიო“. (იხ. „ივერია“ № 125—1893 წ.).

მაგრამ ეს რა საბუთი იყო? და **გიორგი წერეთელს** არ აპატია ქართველმა ინტელიგენციამ ასეთი ღალატი. ასტყდა მის წინააღმდეგ მითქმა-მოთქმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილების ბეჭდვა. საქაე იქამდე მივიდა, რომ **გ. წერეთელი** საქართველოს მტრად გამოაცხადეს. იმ დროინდელ „ივერიაში“ მის წინააღმდეგ იბეჭდებოდა კოლექტიური საპროტესტო წერილები. თვითონ თბილისში და სხვა ქალაქებშიაც მის წინააღმდეგ იმართებოდა საპროტესტო სხდომები და კრებები, რომლებზედაც სომხის ბურჟუაზიის მიერ სასტიკად დამარცხებული ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგები **გ. წერეთელს** ზიზღს უცხადებდენ.

გ. წერეთლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ერთობ აღუშფოთებლად და პირდაპირ გმირულად ითმენდა ყველა ასეთ პროტესტებს. **გ. წერეთლის** მაშინდელ სულიერ განწყობილებას ჩინებულად ახასიათებს შემდეგი ეპიზოდი: თბილისში ერთ ასეთ კრებაზე ზიზღი გამოუცხადეს **გ. წერეთელს** და თავის ასეთი გადაწყვეტილების გადასაცემად დელეგატებად სამი კაცი აირჩიეს: მათ შორის იყო მწერალი **ნიკო ურბნელიც. გ. წერეთელმა,** როცა დელეგატებისაგან ზიზღის გამოცხადება მოისმინა მათ უპასუხა: „მოციქულმა... ჭამოს, ლორებს თივა დაუყაროსო“. ასეთი პასუხით დაბრუნებული **გ. ურბნელი** თავს იწყეველიდა, ასეთი დავალება რად ვიკისრე და თავი რად გავალანძღვინეო...

ჩვენ, აქ არ შეუდგებით იმის კვლევა-ძიებას, თუ ვინ იყო მტყუანი და მართალი ამ შემთხვევაში, ან რითი ხელმძღვანელობდა **გ. წერეთელი** თავისი ასეთი მოქმედების დროს. ჩვენ პირადათ გვგონია, რომ გ. წერეთლის ასეთ მოქმედებას უფრო ღრმა, იდეური და არა პირადი მოსაზრება ჰქონდა სიფუძელად, როგორც ეს მის მაშინდელ მოწინააღმდეგეებს ეგონა. იმ დროს თურმე ხშირად გაიგონებდით ქართველ საზოგადოებაში: **„გიორგი წერეთელმა** პირადი სარგებლობისათვის ქვეყანას უღალატა და სული სომხის ბურჟუაზიას მიყიდაო“. რა თქმა უნდა, ეს საზიზღარი ცილისწამება იყო, მაგრამ ძნელი გასაგები იყო და არის დღესაც მისი ასეთი საქციელი.

ჩვეს პირადათ გვგონია, რომ ამის მიზეზი თვითონ გიორგის სოფლმხედველობაში უნდა ვეძებოთ. **გიორგი** ქართველი ნაციონალისტი იყო; ის ყოველი ღონით ცდილობდა საქართველოს-რუსეთის ორთავიანი არწივის კლანჭებისაგან განთავისუფლებას. ის იმდენად გატაცებული იყო ამ იდეით, რომ მისთვის მართლაც სიცოცხლესაც არ დაზოგავდა, მას ამ მხრით ერთი მიზანი ქონდა ილიასა და აკაკისთან; ამ მხრით **გიორგი** არაფრით არ განსხვავდებოდა ყველა ქართველი ნაციონალისტებისაგან, მაგრამ **გიორგი** ამ მიზნისკენ სულ სხვა გზით ფიქრობდა წასვლას, ვიდრე **ილია** და **აკაკი.** აი ამ გზებში იყო მათ შორის განსხვავება.

გ. წერეთელი არ გავდა ქართველ პატრიოტებს, რომლებიც ცდილობდენ მხოლოდ პეტიციებითა და თხოვნებით, ან რუსის დიდი ჩინოვნიკების გულის მოგებით გაეხორციელებია თავისი მიზანი. გ. წერეთელი ქართველ პატრიოტთა არც იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც ცდილობდა შემოეზღუდა საქართველოს საზღვრები—მარტო საკუთარი ძალით ოცნებობდა თვითმპყრობელ რუსეთის განდევნას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. გ. წერეთელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, **მთელი კავკასიის თუ არა, კავკასიის აქეთა მხარეში მობინადრე ერების პატრიოტი იყო და არა მარტო საქართველოს პატრიოტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია **გიორგი წერეთელს**, როგორც ზემოთ ვსაუბრობდით, მიზანი ქონდა **ჭავჭავაძესა, აკაკისა**, თუ გხებავთ ყველა სხვა ქართველ პატრიოტებთან, მაგრამ მას არ სჯეროდა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველო **თავისი საკუთარის** ძალ-ღონით **მარტოთ-მარტო** სხვა **მეზობელი ერების დაუხმარებლად** შესძლებდა თვითმპყრობელი რუსეთიდან თავის განთავისუფლებას. ამიტომ ის გულწრფელი მომხრე იყო კავკასიაში მობინადრე ყველა ერების სოლიდარობისა; მისი სიცოცხლის მიზანს შეადგენდა ყველა ამ ერების ძალთა ერთად შეერთება, ერთის მიზნით მისი გატაცება და მით ძლიერი რუსეთის წინააღმდეგ ძალის დამზადება.

ჩვენ ეჭვი არ გვაქვს, რომ ქართული აზროვნების მეისტორიე გამოარკვევს **გიორგი წერეთლის** მსოფლ-მხედველობის ამ მხარეს და სრულიად ცალკე გამოყოფს ამ ქართველ პატრიოტსა და საერთოდ გაზეთ „დროების ჯგუფს" ყველა სხვა ქართველი პატრიოტებისაგან. **გ. წერეთელი** ჩვენი დროის მწერალია და ბევრ ჩვენ თანამედროვეებს დღესაც ახსოვს ალბათ **გ. წერეთლის** მოღვაწეობისა და აზროვნების ასეთი მხარე.

ერთხელ ჩემ კითხვაზე: „რა მიზანს უნდა ემსახუროს მეფე ერეკლეს სახელობის ფონდიო, გიორგიმ უპასუხა:

— იგი უნდა ემსახურებოდეს კავკასიაში მობინადრე ერებს შორის სოლიდარობის საქმეს და როცა ეს მოხდება, მაშინ ამ ფონდით უნდა შევიძინოთ იარაღი და შეერთებულის ძალებით ყველამ უნდა ვებრძოლოთ მტერს და კავკასიონის ქედს გადავაცილოთ იგიო..

მაგრამ რა საჭიროა პირადი მოგონებების დამოწმება, როცა ამ ჩვენს აზრს **გ. წერეთელზე** თვალ-ცხადლივ ამტკიცებს თვით მისი ნაწერები. ვიმეორებთ, ყოველი ეს სხვა დროსთვის უნდა გადავდოთ და თუ ჩვენ აქ ამ საგანზე ლაპარაკი ჩამოვაგდეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდოდა როგორმე აგვეხსნა **გ. წერეთლის** ასეთი საქციელი.

შეიძლება გიორგის იმისი ეშინოდა, რომ ქალაქის არჩევნებში სომხები და ქართველები ერთმანეთს გადაემტერებიანო და ამის თავიდან ასაცილებლად ითამაშა ასეთი როლი. თუ ეს ასე იყო **გ. წერეთელი**, რა თქმა უნდა, ცდებოდა, რადგანაც იმ დროს სომხის ბურჟუაზია ირაზმებოდა არა რუსეთის ორთავიანი არწივის წინააღმდეგ კავკასიაში მობინადრე სხვა ერებთან ერთად, ის ირაზმებოდა დაშნაკცუტიუნის, ე. ი., ისეთი პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც თვითმპყრობლობასაც კარგად შეურიგდებოდა, თუ იგი მის ეროვნულ ნაციონალური მიზნების განხორციელებაში მას ხელს არ შეუშლიდა. ეს ჩვენ ცხადათ დაგვანახა 1914—17 წლის მსოფლიო ომმა, რომელშიაც დაშნაკცუტიუნებმა ასე ჩაითრია მთელი სომხის ხალხი.

1893 წ. თბილისის ქალაქის არჩევნებში მომხდარი ნაციონალური შეხლა-შემოხლა იმას მოასწავებდა, რომ კავკასიის ერების ცხოვრებაში იწყებოდა ახალი ხანა, შავ-ბნელი ნაციონალური შოვინიზმის ხანა, რის შედეგიც ჩვენ უკვე დავინახეთ 1905 წ. სომხებსა და თათრების ურთიერთ ხოცვა-ჟლეტაში.

მაგრამ ყველაფერი ეს მოხდა **გ. წერეთლის** სიკვდილის შემდეგ. (გარდაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვალა 1900 წ.) გ. წერეთელს არ შეიძლება მოეთხოვოს, რომ მან სცოდნოდა ის, რაც მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენ დავინახეთ. შეიძლება ის სცდებოდა, მაგრამ აქედან საქართველოს მოღალატეობამდე ერთობ დიდი მანძილია. იქნება ჩვენი ასეთი მოსაზრება შემცდარი გამოდგეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ჩვენი ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს ამ მომენტს, მან უეჭველად უნდა გამოიკვლიოს და გააშუქოს იგი.

IV.

ასე იყო თუ ისე, **გ. წერეთელი** დარჩა სრულიად გარიყული ქართველ საზოგადოებიდან. მართალია, მას ხელში ქონდა ყოველკვირეული გაზეთი „კვალი", მაგრამ ის, მეტი რომ არ ვთქვათ, ერთობ ზერელე არქეოლოგიური და ისტორიული გამოკვლევებითა და ქართველი ნმინდანების ბიოგრაფიების ბეჭდვით შორს ვერ წავიდოდა. მას უეჭველად უნდა მოენახა რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა ასეთ გაჭირვების დროს. ის ამ დროს ეძებდა **ახალ გზებს კი არა,** როგორც ეს ზოგიერთ ჩვენს აზხანაგებს გონიათ, ის ამ დროს თავისი ძველი გზითაც დადათ კმაყოფილი იყო; ის ეძებდა **ახალ მეგობრებს,** რომლებსაც, ცოტათ თუ ბევრათ, მაინც უნდა აღედგინათ მისი შელახული პრესტიჟი. მაგრამ იმ დროს ასეთი ძალა, ასეთი საზოგადოებრივი ჯგუფი საქართველოში არ არსებობდა. სწორეთ ამ დროს მოუსწრო გ. წერეთელს ჯერ ეგნატეს გაცნობამ, მერე მისმა სიკვდილმა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ პარტიას და **გ. წერეთელმაც** ჩინებულად გამოიყენა ეს გარემოება.

ჯერ **ეგნატეს** სიცოცხლეში, რამოდენიმეჯერ შეეცადა **გ. წერეთელი** ამ ახალ ჯგუფთან დაახლოებას. **ეგნატემ** ჯერ კიდევ 1893 წ. რამდენიმე ჯერ დაუყენა ამხანაგებს ეს საკითხი, თვითონ **ეგნატე** გულწრფელი მომხრე იყო გიორგისთან უფრო დაახლოებისა და მასთან თანამშრომლობისა. მაგრამ ამხანაგები ამაზე არ დაეთანხმენ, იმ დროს ყველაზე უფრო ეწინააღმდეგებოდენ გიორგისთან ასეთი თანამშრომლობის აზრს მიხა ცხაკაია და სილიბისტრო ჯიბლაძე, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ ასეთი თანამშრომლობა უკომპრომისოდ არ შეიძლება, ასეთი თანამშრომლობა ჩვენ გვაიძულებს გაზეთის თანამშრომლობაზე პასუხი ვაგოთ და ფაქტიურად კი მაზე არავითარი გავლენა არ გვექნებაო: სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ იმ დროებით გიორგისთან ასეთი დაახლოება არ მოხდა.

თვითონ **ეგნატე გიორგისთან** თანამშრომლობის მომხრე იყო, მაგრამ მისი გაზეთი „კვალი" მას არც იმდენად აკმაყოფილებდა. გიორგისთან თავის დამოკიდებულებას ეგნატე უფრო პირად ხასიათს აძლევდა. გიორგის სიტყვებზე — „კვალი" ახალგაზრდობის გაზეთიაო — ეგნატე სწერს: „მე კვალში მისთვის კი არ ვთანამშროვლობ, რომ იგი ახალგაზრდობის გაზეთია". შეიძლება ბევრ ახალგაზრდებთან მე საერთო არა მქონდეს რა... მე თქვენგან დავალებული ვარ და მეც ჩემის მხრით ვცდილობ სამაგიერო რითიმე გასიამოვნო. (იხ. ჩემი წერილი ეგნატე ნინოშვილი, „რევოლიუციის მატიანე" № 1—(6, გვ. 137—138.) რომ გი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორგის ეინტერესებოდა მხოლოდ ამ „დასის“ გამოყენება და არა მისი მოქმედების პროგრამა, რომელსაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ის ჩინებულად იცნობდა და რომელსაც განგებ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, ამას ცხადად ამტკიცებს მისი წერილი, რომელიც მან „კვალში“ ეგნატეს დასაფლავებას და „მესამე დასის“ გაჩენას უძღვნა, სწორედ ის წერილი, რომელსაც ნოე ჟორდანიამ ისტორიული უწოდა.

ჩვენის აზრით ამ წერილში კი ისტორიული არაფერია, ჩვენ აქ მხოლოდ იმასვე ვხედავთ, რომ „მესამე დასზე“ დაყრდნობილი გ. წერეთელი ჯავრს იყრის თავის მოწინააღმდეგეებზე და თავის აზრებსა და შეხედულებებს „მესამე დასის“ ფირმით ასაღებს.

„მესამე დასელები“ უარს ყოფენ ძველ ინტელიგენტ მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მავნებლად მიაჩნიათ ჩვენი საზოგადოების წარმატებისთვის. რადგან ისინი განხეთქილან და გაუყვიათ მთელი საზოგადოება პირადი ინტერესების გულისთვის, ებრძვიან ერთმანეთს უწმინდური საშუალებით, დაპირებით, ქრთამებით და სხვანაირი თვალთმაქცობით, საგანი მათი მისწრაფებისა არის სიმდიდრის მოხვეჭა, პირადი სარგებლობის ძიება და პირზედ ნიღაბი ჩამოუფარებიათ ქვეყნის მოღვაწეობისაო,— ხოლო ცხოვრებაში, გარდა პირადი კეთილდღეობისა არა უჩანთ რაო და **როდესაც ჩვენი ეროვნების მავნე ცუდი ნიშნები გამოჩნდება, ისინი შეიკეტენ კარებს და უარს ყოფენ მამაცურად მოქმედებას**“, (ხაზს ჩვენ უსვამთ) (იხ. „კვალი“ № 21—1894 წ.)

აქ „მესამე დასელების“ არაფერია, აქ გ. წერეთელი თვითონ იყრის ჯავრს თავის მოწინააღმდეგეებზე.

მართალია ეგნატე და მისი ამხანაგები ძველ ინტელიგენტ მეთაურებს ებრძოდენ, მაგრამ არა იმიტომ, რომ როცა ჩვენი ცხოვრების მავნე ნიშნები გამოჩნდებოდა, **ისინი მამაცურად მოქმედებას უარსყოფდენ** და იარაღით ხელში არ გამოდიოდენ მტრის წინააღმდეგ. გ. წერეთელს „მესამე დასის“ პროგრამის გაგება მოესურვებია, მას უეჭველად ეცოდინებოდა, რომ ამ დასის წევრები მარქსისტები იყვნენ და ისინი, როგორც ასეთები, ქართველი ხალხის განთავისუფლების საქმეს ქართველ ნაციონალისტებზე ვერ დაამყარებდენ. მაშასადამე, ამით ვერ უსაყვედურებდენ ქართველ ნაციონალისტებს—რატომ „**მამაცურად მოქმედებას უარყოფთ**“ და იარაღით ხელში არ გამოდიხართო. თუ **გ. წერეთელს** აქ იმისი თქმა უნდა, რომ ქართველი ნაციონალისტები **თვითმპყრობელ** რუსეთს არ უმკლავდებოდა და „**მამაცურად**“ არ ებრძოდა, ეს მას თავისი საკუთარი ფირმით უნდა გაესაღებია და არა „მესამე დასის“ სახელით, ვინაიდან ამ „დასის“ პროგრამაში ასეთი რამ არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ერთი სიტყვით, **გიორგი წერეთელის** ამ სიტყვაში შესანიშნავია, მეტის-მეტად გაბედული და თუ გნებავთ მართლაც ისტორიული მხოლოდ ის არის, რომ მან გამოაცხადა: „მესამე დასელების“ სიტყვები და პროგრამა არაფრით არ ეწინააღმდეგება იმას, რაც **გ. წერეთელმა** წარმოსთქვა ეგნატეს კუბოზეო. „**კვალში**“ სიტყვა-სიტყვით ასე სწერია: „**...არც ერთი მუხლი იმათი „მესამე დასელების“ პროგრამისა არ ეწინააღმდეგებოდა იმ აზრებს, რომე-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც გამოარკვია ბ. .გ წერეთელმა ნინოშვილის კუბოს წინაშე წარმოთქმულ სიტყვაშიო (იხ. „კვალი" № 21—1894 წ.).

მერე რა სთქვა გ. წერეთელმა ასეთი ისტორიული, ეგნატეს საფლავზე?

თავის სიტყვაში გიორგი მიმართავს ეგნატეს ცხედარს და გოდებს, რომ მაზე სიცოცხლეში არავინ ზრუნავდა და ახლა, სიკვდილის შემდეგ კი თავს დასტრიალებენ. ამ სამწუხარო მოვლენას ორატორი ხალხის ჩვეულებრივ თვისებათ თვლის, ის ამბობს: „ეს ჩვეულება ახალი არ არის, წარსულ საუკუნეში უფრო ძვირფასი რამ დავკარგეთ და მას აქეთ თვალს ცრემლი არ შეგვშრობია, მაგრამ რაღა დროს?"....

გ. წერეთლის ასეთ აზრებს შეიძლება კაცი დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს, მოიწონოს, ან დაიწუნოს იგი, მაგრამ აქ ყოველ შემთხვევაში **ეგნატესა** და მისი ამხანახებისთვის „ისტორიული„ არაფერია. ეგნატემ და მისმა ამხანაგებმა კარგად იცოდენ, რომ საქართველომ სრულიად ობიექტიური პირობების მიხედვით დაჰკარგა თავისი დამოუკიდებლობა, მაგრამ ამაზე **ახლა** ისინი სულაც არ გოდებდენ. ყოველ შემთხვევაში, **ეგნატეს** საფლავზე ამის შესახებ არაფერი თქმულა სრულიად, პირიქით, „მესამე დასელები" რუსეთისა და საქართველოს ჩაგრული მშრომელი მასების შორის სოლიდარობის განმტკიცებაზე, ამ ორი ხალხის დაჩაგრულ ძალების შეერთებაზე და მის საერთო ბტრის ორთავიანი არწივის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენებაზე ოცნებობდენ და არა მათ ერთმანეთისაგან გათიშვაზე. აქედან ცხადი იყო, რომ **ეგნატე** და მისი ამხანაგები ვერ ურჩევდენ ქართველ ხალხს, იარაღით ხელში რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლას. აბა რაში მდგომარეობდა გ. წერეთლის სიტყვის **ისტორიული** მნიშვნელობა, ეს ჩვენ ვერ გაგვიგია?.

აბა ახლა შევადაროთ გიორგის ზემოთ მოყვანილ სიტყვას განსვენებულ ამხ. სილიბისტრო ჯიბლაძის სიტყვა, რომელიც იმ თავიდანვე „მესამე დასელების" პროგრამათ გამოაცხადეს ...„ჩვენი უწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორ ახალს, ერთი მეორეს მოწინააღმდეგე კლასს. ერთის მხრივ ფიზიკურ და გონებრივი შრომის წარმომადგენელი, მეორეს მხრივ—მუქთა-ხორა, ბურჟუა-კაპიტალისტები; პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი ამ შრომის ნაყოფის მისაკუთრება, ამ უკულმართობის დასამხობად არის, ერთი მეცნიერის სიტყვით რომ ვსთქვათ,—ორსული ახლანდელი ჟამთა ვითარება. ამ მშობიარების დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღწვიან და უნდა იღწვოდენ საუკეთესო წარმომადგენლები ახალი თაობისა. ეს ჭეშმარიტება შეიგნო, მისკენ ქონდა მიმართული თავისი ქნარი შესანიშნავის ნიჭის მქონე „ინგოროყვას". („კვალი„ № 22—1894 წ.)

როგორი ყოფილა „მესამე დასელების" პროგრამა, შეადარეთ ახლა ამას **გ. წერეთლის** სიტყვა ეგნატეს საფლავზე წარმოთქმული, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, და თქვენთვის ცხადი იქნება, რომ მათ შორის სრულიად არაფერი საერთო არ არის. „დასელები" აღიარებენ კლასობრივი ბრძოლის თეორიას. **გ. წერეთელს კი თვალს ცრემლები არ შრება** საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით და სრული წინააღმდეგია ამ თეორიის გამოყენებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგნატეს ცხედართან **ლადო დარჩიაშვილმა** წაიკითხა [illegible] სიტყვა, იქნება გ. წერეთლის სიტყვა ამ ორატორის მიერ წაკითხულ „მესამე დასის“ პროგრამას ეთანხმებოდა? არც ეს არის მართალი. ლადო დარჩიაშვილის სიტყვა, თუ სილიბისტროს სიტყვაზე უფრო პროგრამული არ იყო, ყოველ შემთხვევაში მაზე უფრო გაცილებით რადიკალური, შეურიგებელი და ყოველგვარ კომპრომისებს მოკლებული იყო. ის უფრო აშკარად ანვითარებდა კლასთა ბრძოლის თეორიას. უფრო ასაბუთებდა მთელი ქვეყნის დაჩაგრულ მშრომელთა მასების სოლიდარობის საჭიროებას და კიდევ იმიტომ იყო, რომ გ. წერეთელმა, რომელსაც სილიბისტრომ და მიხამ ლადოს რვეული გადასცეს „კვალში“ დასაბეჭდად, მიუხედავად მისი აღთქმისა, ეს სიტყვა არ დაბეჭდა. კიდევ მეტი, **გიორგიმ** თავის გაზეთში ამ სიტყვის დაბეჭდვაც აღუთქვა მკითხველებს, მაგრამ მან არც ეს აღთქმა შეასრულა. აი რას სწერდა **გიორგი** ამ სიტყვის შესახებ: „ჩვენ საჭიროთ ვსცანით დავბეჭდოთ მხოლოდ ორი ახალგაზრდის სიტყვა... ერთი—ს. ჯიბლაძე და მეორე დარჩია-ქიზიყელი ახალგაზრდა, წლოვანების შესაფერად კარგად მომზადებული თავის პროგრამისთვის“. (იხ. „კვალი“ № 22 —1894 წ.)

როგორც მკითხველმა იცის, სილიბისტროს სიტყვა მან დაბეჭდა, ლადოს სიტყვა კი—არა. „კვალის“ 23-ნომერში სტატიების სიაში თქვენ ხედავთ ალბათ ლადოს სიტყვის სათაურს: „მესამე დასის“ პროგრამა, თვითონ „კვალში“ კი ეს პროგრამა, ანუ ლადო დარჩიაშვილის სიტყვა არ არის. ეს სიტყვა მან შემდეგაც არ დაბეჭდა და, ეგნატეს სიტყვით რომ ვსთქვათ, „ჩაილულის წყალი დაალევინა“.

რატომ? იმიტომ, რომ ეს „მესამე დასის“ პროგრამა იმდენად ეწინააღმდეგებოდა ყველა იმას, რაც **გ. წერეთელმა ეგნატეს** კუბოსთან წარმოსთქვა, რომ მას არ შეეძლო მისი დაბეჭდა, და ჩვენ იქვე, ეგნატეს საფლავთანვე ვიცოდით, რომ გიორგი ამ სიტყვას არ დაბეჭდავდა, რადგანაც ეს სიტყვა იმდენად მიუღებელი შეიქნა **გიორგისთვის**, რომ მან იქვე გამოთქვა თავისი უკმაყოფილება ამ სიტყვის გამო, მან სანახევროდაც არ მოისურვა ლადოს, მართლაც გრძელი სიტყვის (ერთი საათნახევარი გაგრძელდა მისი წაკითხვა) მოსმენა: გავიდა განზე და ცაცხვის ძირში დამჯდარი უცდიდა მისთვის უსიამოვნო სიტყვის გათავებას. სწორეთ ამ ცაცხვის ძირში გამოსთქვა მან თავისი უკმაყოფილება ამ სიტყვის გამო და იქიდან დაიწყო **მისა ცხაკაიასა** და მის შორის ის დავა, რომელიც **ეგნატეს** ბიძა **ალექსი ინგოროყვას** ეზოში საღამომდე არ შეწყვეტილა.

ჩვენთვის ცხადია, რომ **გ. წერეთელს** არაფერი არ სწამდა იმ „მესამე დასელებისა“, რომლებთანაც ერთ ბანაკში ყოფნა მას ბრმა ბედმა არგუნა. მას არაფერი სწამდა „მესამე დასის“ პროგრამისა, ის ვერ ურიგდებოდა ამ „დასის“ რუსეთის პროლეტარიატთან მეგობრობას, **მის „კოსმოპოლიტურ სოციალურ პრინციპს.“**

გ. წერეთელმა ჩინებულად გამოთქვა თავისი სოციალური და პოლიტიკური მრწამსი იმ წერილში, რომელიც მან **ეგნატეს** მისწერა 1894 წ. მარტში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მართლაც ისტორიული წერილია, რომელშიც ავტორი იჩენს დიდ დაკვირვებას და საქმის ცოდნას. ეს წერილი იმდენად საყურადღებოა, რომ გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ **გ. წერეთელს**, რომ მის მეტი არაფერი დაეწოვებია, მის სახელს ამ წერილითაც შეუნახავდა შთამომავლობას ქართული აზროვნების ისტორიის მწერალი. არ შეგვიძლია აქვე არა ვსთქვათ, რომ **გ. წერეთლის** ამ წერილში გამოთქმული ზოგიერთი აზრი უკვე გაამართლა ისტორიამ ეი ერთი ასეთი აზრი: **გიორგი** ეგნატეს წერილის პასუხად სწერდა: **„...გერმანიის სოციალისტები ძმები არიან ფრანცუზებისა და მთელი ქვეყნისა, მანამდის, სანამდის მათ ერ-ვნულ პიროვნებას, მათ ენ-ს, მათ ისტორიას, მათ კულტურას არვ-ნ შეეხება“.**

ამას სწერდა **გ. წერეთელი** 1894 წ. და ისტორიამ სწორეთ 20 წლის შემდეგ გაამართლა მისი სიტყვები. ჯერ არც კი დაერეკა მსოფლიო ომის საშინელ ზარს და გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ სწორედ იმ მოტივებით, რომელსაც გიორგი ასახელებდა, სამხედრო კრედიტს დაუჭირა მხარი რეიხსტაგში და თავისი პარტიის წევრები მილიონობით გამოიყვანა ბრძოლის ველზე.

გ. წერეთლის ეს წერილი მრავალი მხრით არის საყურადღებო და ქართული აზროვნების მკლევარი პატივით მოიხსენიებს მის ავტორს, მაგრამ ამ წერილში გამოთქმული აზრი სრული წინააღმდეგობაა „მესამე დასელების“ პროგრამისა. აქ გ. წერეთელი პირდაპირ აცხადებს, რომ **კოსმოპოლიტური-სოციალური პრინციპი ყელში დანის გაყრაა“.**

რატომ? იმიტომ, რომ „თუ ჩვენ ჩვენს პოლიტიკურად დაჩაგრულ გარემოებას არ მივაქციეთ ყურადღება—სწერს იგი ეგნატეს—და ვიყვირეთ **საქართველოს და რუსეთს შუა საზღვარი არ უნდა იყოსო, ქართველი და რუსი ერთიაო,** ამით ძალმომრეობაზე დამდგარი რუსეთი, ისარგებლებს და გვეტყვიან, როგორც ახლა კიდეც გვეუბნებიან: თქვენ ადექით და ციმბირში გადასახლდით, იქ ბევრი ადგილებია და ფართოდ, გაშლილად იცხოვრებთო, რას აკვდებით მაგ საქართველოს, კრიოხ ადგილებს, როცა თქვენ სამ დესეტინაზე მეტი არ მოგდითო. სოციალური პრინციპი მოითხოვს, რომ ყველას თანასწორი ადგილ-მამული მიეცეს. მაშასადამე, თქვენ მანდედან აიყარეთ და ციმბირში გაფართოვდით, თქვენ მაგიერათ გადმოვიყვანთ და დავასახელებთ მანდ ველიკორუსის ხალხს, გაფართოებულად და მაშინ ყველანი ბედნიერად იცხოვრებთ, რადგანაც ყველას თანაბარი საკმაო ადგილ-მამული გექნებათ განაწილებული; რას მიქვია ეროვნება, რა საჭიროა ქართველობა, თქვენც რუსები ხართ, ჩვენც რუსები, მხოლოდ თანასწორად გავინაწილოთ ადგილ-მამული. ასე რომ იმ სოციალურ პრინციპს რომ გავყვეთ, როგორც თქვენ მიბრძანებთ,—სწერს იგი ეგნატეს,—რუსები ჩვენ ადგილ-მამულს დაგვატოვებიებენ და თვითონ მოიკალათებენ ზედ, პრინციპისამებრ ხმის უმეტესობისა. ორმა კაცმა ოთხმოცის გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილოს—მაშინ რა ვქნათ?“ (იხ. „რევ. მატიანე“ № 1-(6) ჩემი წერილა: ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი) გვ. 139).

ასე ჰიუმორით სავსე წერილს სწერდა **გიორგი წერეთელი ეგნატეს**.. ასე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი იყო გ. წერეთლის პოლიტიკური მრწამსი, მისი სიტყვების მიზანი და იგი მაინც ეპოტინება „მესამე დასს", რომელიც სრული უარყოფა იყო მისი ასეთი შინაარსისა.

რატომ ჩადის **გ. წერეთელი** ამას?

იმიტომ, რომ ეს ერთად ერთი ძალა იყო, რომელსაც ამ გაჭირვების დროს უნდა დაყრდნობოდა, როგორც წყალწალებული ეჭიდება ხავსს, არა იმიტომ, რომ მას იგი მოსწონს, არამედ იმიტომ, რომ ის მისი საშუალებაა, როგორმე ნაპირზე გავიდეს.

V.

გ. წერეთელმაც ისარგებლა „მესამე დასით", გამოვიდა ნაპირს, ის მალე თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა. ფრონტი გამოასწორა და მაშინვე შეეცადა "მესამე დასელების" თავიდან მოშორებას.

გ. წერეთელთან ამ „მესამე დასელების" დამოკიდებულება ნამდვილი შეიარაღებული ზავი იყო, ასეთი განწყობილება არსებობდა ამ ორ ერთმანეთთან სამუდამოთ მიუკარებელ მხარეებს შორის, არა თუ პირველ ხანებში, არამედ მაშინაც კი, როცა **გ. წერეთელმა** ვითომ დაგვითმო თავისი გაზეთი და **ფ. მახარაძის** რედაქციის მდივნად მიღებაზე დაგვთანხმდა.

ნ. ჟორდანია, გ. წერეთელს გვიხატავს, როგორც პირში მთქმელს, მოურიდებელს, გულწრფელ ადამიანს. შეიძლება ნოე მართალი იყოს, მაგრამ „მესამე დასსთან" დამოკიდებულებაში გ. წერეთელი მეტის-მეტი დიპლომატი იყო, თუმცა იგი ხშირად სტოვებდა დიპლომატიისთვის აუცილებელ სიფრთხილეს და თავდაჭერილობას, ხშირად იჩენდა თავის ნამდვილ სახეს.

როცა მას ძალიან უჭირდა, როცა მას მტრები მეტის-მეტად აწუხებდენ, ის თავს შემოგვევლებოდა, ისე მოგვეპყრობოდა, როგორც ციდან მოვლენილ მახარობელს, მაგრამ ისარგებლებდა თუ არა შენით, მოიშორებდა თუ არა მტრებს, ზედაც არ შემოგხედავდა; მერე სხვებს, სრულიად სხვა წრის, სხვა პარტიის, სხვა მიმართულების ხალხს დაუწყებდა ალერსს და მეგობრობას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გ. წერეთელი ჯერ ამაყობდა კიდეც ეგნატეს და ნოეს თანამშრომლობით, შემდეგ, როცა ეს მწერლებით და „მესამე დასის" ზოგი სხვა მწერლებით ისარგებლა და თავისი საქმე გამოსწორებულად დაინახა, მათ ზურგი მიუბრუნა და ბ. ფხას წერილების ბეჭდვა დაიწყო. ბ-ნი ფხა თვითონ ვითომდა „მესამე დასელების" ორგანო „კვალში" პირდაპირ სასაცილოდ იგდებდა „მესამე დასელების" ბელადებს, ის არც კი კადრულობდა კამათს ჟორდანიასთან და პლეხანოვთან. დიდათ ამადლიდა, რომ მათ თავი გაუყადრა და კამათი იკადრა.

გაცხარებული სწერდა „კვალში" „მესამე დასელების" ავტორიტეტების წინააღმდეგ, მაგრამ ის კი არ არის საკვირველი, რომ ფხა სწერდა,—კაცია და გუნება, და ფხასაც სრული უფლება ქონდა, თავისი აზრი ქონოდა ამა თუ იმ მწერალზე, საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ გაზეთ „კვალში", ვითომდა ამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველი მარქსისტების გაზეთ „კვალში“ მაშინ, მარქსისტების მოკალათების ერთი წლის შემდეგ, ასე მასხარად იგდებდენ მარქსსაც, მარქსიზმსაც.

და მის შემდეგ, როცა **საზღვარგარეთელის** წერილები მთელი წლის განმავლობაში თითქმის შეუწყვეტლად იბეჭდებოდა „კვალში“, როცა ყარიბმა, ჯიბლაძემ, მახარაძემ და ზოგმა სხვა მწერლებმა „მესამე დასის“ ბანაკიდან რიგრიგად გადაიხადეს ომი „კვალის“ ფურცლებზე და იგი თავის პარტიის ორგანოთ აღიარეს, ყველა ამის შემდეგ თითქოს აქ არაფერიაო, ერთ საკვირველ დღეს „ფხა“, რომელსაც ამ გაზეთისთვის არც უთესია, არც უმკია, ეპოტინება „კვალს“, ერეკება იქიდან „მესამე დასელებს“ და სასაცილოდ იღებს მათ ავტორიტეტებს, მათ მოძღვრებას?.

რა მოხდა? სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი, ამ პირდაპირ წარმოუდგენელი უმაგალითო მეტამორფოზისა?

ეს ადვილი მისახვედრია. გ. წერეთელმა უკვე დაინახა ფეხქვეშ ნიადაგი. ეგნატეს დაკრძალვის შემდეგ მისი საქმე კარგად მოეწყო, ახლად გამოღვიძებული ქართველი დემოკრატია „კვალს“ დაეწაფა. ის თავის გაზეთად, თავის სასიცოცხლო ინტერესების დამცველად მიიჩნია და მასთან ერთად შეიცვალა გ. წერეთლის მდგომარეობაც. გუშინ საქართველოს მტრად გამოცხადებული, ის დღეს ახალი სოციალისტური მიმართულების მეთაურად გამოვიდა. ის წელში გაიმართა, თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა და თავის გუშინდელ მტრებზე ერთი ათად იყარა ჯავრი.

ახლა თვითონ „კვალი“ უკიჟინებდა სხვებს ქვეყნის მტრობას. დემოკრატიულ პრინციპის ღალატს, თვითონ ის იძლეოდა ახლა საზოგადო მოღვაწეობის დიპლომს. გ. წერეთელმა მიიღო ის, რაზეც ოცნებობდა. „მესასე დასელების“ დამოკიდებულებაში მეტი მას არაფერი აინტერესებდა... სამშვიდობოზე გამოსულმა, სრულიად გამარჯვებულმა გ. წერეთელმა, ზურგი აქცია „მესამე დასს“ და თავის ძველ ბინას მიაშურა, თავის შესაფერ ჯგუფის ძებნას შეუდგა.

სწორედ ასეთ დროს მოყვა მას ხელში „ფხა“ და კომპანია და გაზეთიც მის სათარეშოთ გახადა. ამით მან სამი კურდღელი მოკლა: წამხდარი საქმეც გამოისწორა, თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა და გამარჯვება იგემა. გაზეთიც ახალი მიმართულების დროშით გაავრცელა და თავის ძველ ბინასაც მშვიდობიანათ დაუბრუნდა.

მაგრამ, ამ დროს არც ახლად გამოღვიძებულ ქართველ დემოკრატიას ეძინა, ის ერთობ მგრძნობიარე და იმავე დროს თავისი ინტერესების თავგამოდებული დამცველი გამოდგა და მან სულ მალე აუღო ალღო „კვალის“ ახალ კურსს და საომრად მოემზადა.

VI

ეს იყო 1896 წ., როცა „მესამე დასელებმა“ ულტიმატუმი წაუყენეს **გ. წერეთელს** და გაზეთ „კვალს“ თავის კონტროლს ქვეშ აღება მოუნდომეს, რაზეც ჩვენ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი. უწინ გ. წერეთელთან ბრძოლას უფრო შინაური ხასიათი ქონდა, ამ ბრძოლაში უმთავრეს როლს **საზღვარგარეთელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშობდა. პირველად ის, გახარებული იმ გარემოებით, რომ „კვალში“ მისი ამხანაგები უკვე გადავიდენ შეტევაზე და დიდს საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენდენ,—არა. მატო თავის ამხანაგებს აქებზდა კერძო წერილებში და ბრძოლის სურვილს ულვიძებდა მათ, ის ასეთივე წერილობით მიმართავდა ხოლმე გაზეთის პატრონებს, რომლებსაც წინადადებას აძლევდა ხელი არ შეეშალა მათ ამ ახალი ძალისთვის. ჩვენ ხელთა გვაქვს მისი ერთი ასეთი წერილი, რომელშიც ის თითქმის გრძნობდა, რომ გ. წერეთელი დიდხანს არ უმოყვრებდა „მესამე დასელებს“. შემდეგს სწერდა „კვალის“ გამომცემელ ა. მ. თ. უმთიშვილ-წერეთელს: ...„**თუ ვინმე ჩვენი მეკობართაგანმა სტატიები გამოგზავნოს უეჭველად დაბეჭდეთ, შეიძლება შეასწოროთ, მაგრამ დაუბეჭდავათ ნუ დაუტოვებთ, რასაკვირველია, ჩვენი დედა-აზრის თანახმად იქნება დაწერილი, შეიძლება ამით აზრთა შემუშავებას საძირკველი ჩაუყაროთ და ჩვენს საზოგადოებას მუჯლუგუნი გავკრათ. აზრი, რანაირიც არ უნდა იყოს იგი, საშიშარი არ არის. საშიშარია მხოლოდ უაზრობა.**“

ასე სწერდა ნ. ჟორდანია (საზღვარგარეთელი) „კვალის“ პატრონებს 1895 წ. 12 თებერვალს ჟენევიდან. ამის შემდეგ „კვალში“ დაიბეჭდა სილიბისტრო ჯიბლაძის ჩინებული წერილები: „მესამე დასის მწერლები“ („ჩვენი ლიტერატურული ილიუზია“) (იხ. „კვალი“ №№ 9, 10, 13 და 14—1895 წ.) ამას იმავე წლის მაისის თვეში მოყვა ფ. მახარაძის სტატია: „**გაკვრით პასუხი**“. (იხ. „კვალი“ №№ 21, 22 და 23 (1895 წ.) მაგრამ სწორეთ ამის შემდეგ შეაქცია გ. წერეთელმა ზურგი „მესამე დასელებს“ და „კვალში“ ფაქტიურად „ფხა“ გაბატონდა. მართალია ამ დროს განმავლობაში კვალში იბეჭდებოდა საზღვარგარეთელის ერთობ ბევრი წერილები.. ამ წლის „კვალის“ 23 ნომერში შეხდებით მის წერილებს.. დაიბეჭდა: 1. „პარიზი“ (იხ. ამ წლის „კვალი (№№ 1, 2, 3, 7, 8, 9 და 15.) 2. „ევროპა და ცხოვრება“ (№№ 11, 12, 29, 30, 31, 34 და 35.); 3. „კრიტიკის კრიტიკა“ (№№ 20, 21, 29, და 23); 4. ფრიდრიხ-ენგელსი (№№ 39, 40, 41); 5. „სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში“ (№№ 51, 52, 53); მაგრამ ყველა ეს წერილები ავტორს დიდი ხნით ადრე ქონდა გამოგზავნილი (გარდა „კრიტიკის კრიტიკა“).

„კვალში“ „ფხას“ დაბუდებას თან მოყვა „მესამე დასელების“ მწერლების რედაქციიდან წასვლა. გ. წერეთელი აქაც ორპოფულ პოლიტიკას აწარმოებდა, ჩვენც ისევ ისე ძველებურად გვეფერებოდა და იმავე დროს „კვალში“ ჩვენი მოწინააღმდეგენი იყვნენ გაბატონებულნი.

ის ჯერ კიდევ ყოყმანობდა, ეტყობოდა, რომ მას ჯერ კიდევ საბოლოდ ვერ გადაეწყვიტა საკითხი იმის შესახებ, თუ ვისთან დარჩენილიყო; მას იმ თავიდანვე იმედი ქონდა: „**მესამე დასელები**“ **მოჭკვიანდებიან და ჩემს გზას დაადგებიანო.** ის ამას არ მალავდა, პირდაპირ ასე გვეუბნებოდა, მაგრამ ის თანდათან უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ დასელები ასეთ მოჭკვიანების იმედს მას არ გაუმართლებდენ. ის ძალაუნებურად შეიქნა იძულებული ამ „დასელებისთვის“ თავი მიენებებია, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ „ფხა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კომპანია საიმედოს არაფერს უქადიდენ მას... ის სულ რამოდენიმე თვეში გაბერილ გუდასავით გამოიფშუტა.

გიორგისთვის აშკარა შეიენა, რომ ის ასეთი მეგობრების ამარა შორს ვერ წავიდოდა და „კვალის" ხელმძღვანელი ჩავარდა იმ საზღაპრო რაინდის მდგომარეობაში, რომელიც გზა-ჯვარედინზე დგას და ესმის იდუმალი ხმა: მარჯვნით წახვალ ცხენს დაკარგავ, მარცხნით — თვითონ დაიღუპებიო.

ამიტომ იყო, რომ ვითომ „მესამე დასელებს" ძველებურად უმეგობრდებოდა და იმავე დროს მათ მტრებსაც გაზეთში ათარეშებდა.

აი ეს იყო მიზეზი, რომ საზღვარგარეთელი „კვალს" შემოსწყრა.

აი რას სწერდა იგი ბერლინიდან გ. წერეთელს უკანასკნელის შეკითხვაზე—რატომ წერილებს არ აგზავნიო—1895 წ. 10-22 ოქტომბერს:

„ჯერ კიდევ გაზაფხულზე მინდოდა კორესპოდენციების გამოგზავნა, მაგრამ (მე პირდაპირ ვიცი თქმა), ცოტა არ იყოს „კვალზე„ გული ამივარდა, **ისეთი მდევ-გმირები აღმოჩნდენ მის ფურცლებზე, რომელთა მიზანი ჩვენი დამარცხება (რასაკვირველია, სიტყვებით) ყოფილა. მე ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ რადგანაც „კვალი" მათ ორგანოთ გამხდარა, ჩვენ თანამშრომლობას საჭიროთ აღარ დაინახავთო.** აი ამის და ზოგი სხვა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გამოვგზავნე კორესპოდენციები, თუმცა აუარებელი მასალებია ჩვენთვის საინტერესო"... (ხაზს ჩვენ უსვამთ).

საზღვარგარეთელს თითქმის ერთი წლის განმავლობაში „კვალისთვის" არაფერი არ გამოუგზავნია, რაც სხვათა შორის, აშკარაა მისი 1896 წ. 12 ივლისის თარიღით ბერლინიდან გამოგზავნილ წერილიდან..

„... ეს ხუთი თვეა გერმანიის ამ საუკუნის ბე 19-ე პოლიტიკური განვითარების შესწავლას შევუდექი და განვიზრახე ამ შესწავლის ნაყოფი ქართველი მკითხველისთვის გამეზიარებია. პირველი წერილი ის იყო დაიბეჭდა „ივერიაში", ბეორე და მესამეც დავამზადე და სრულებით მოულოდნელად გაზეთის დახურვის ამბავი მომივიდა. ასე და ამნაირად ამდენი ხნის ნაშრომი აგერ მიყრია უჯრაში."

საზღვარგარეთელის „ივერიაში" თანამშრომლობის შესახებ სილიბისტრო ჯიბლაძეს და მე გვქონდა მოლაპარაკება ამ გაზეთის ხელმძღვანელ **გ. ლასხიშვილთან**, რომელმაც სიხარული გამოსთქვა მის თანამშრომლობაზე და, როგორც მახსოვს, თვიურად 25 მან. ჰონორარის გზავნა დაგვპირდა.

საზღვარგარეთელმა მხოლოდ რამოდენიმე წერილის გამოგზავნა მოასწრო და „ივერიაც", როგორც მახსოვს, 8-თვით დახურა მთავრობამ **თომაანთ კობას** მოთხრობის დაბეჭდისთვის...

გ. წერეთელთან ასე მიდიოდა ჩვენი დამოკიდებულება, სანამ საქმეში არ ჩაერია თვით ჩვენი პარტიული მასები, რომელიც უფრო გვიან „ივერიამ" **ნუ-ლებათ** მონათლა.

„კვალის" ხელმძღვანელის ჩვენდამი დამოკიდებულება რედაქციის კედლებიდან მალე გარეთ გამოვიდა. ასტყდა ერთი მითქმა-მოთქმა: გაზეთი ჩიოდა, ჩვენმა ამხანაგმა მწერლებმა დააჭენეს იგი ფეხზე, ჩვენ მოვუპოვეთ მას ბაზარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გავავრცელეთ. გაზეთი ჩვენათ ითვლება, ყველა მისი შემკვლელებისთვის ყველა ჩვენ გვატეხს თავზე კაკალს და გაზეთში კი ჩვენი მოწინააღმდეგეები ბატონობენ, ამის მოთმენა შეუძლებელიაო.

ეს მითქმა-მოთქმა კონკრეტიულ ფორმებში ჩამოყალიბდა და პარტია იძულებული შეიქნა მოეთხოვა გაზეთი თავის კონტროლ ქვეშ დაეყენებია. თუ მას სულ ვერ დაისაკუთრებდა, იქიდან მოწინააღმდეგეები მაინც გაეძევებიათ.

გადაწყდა: თუ **გ. წერეთელი** ამ წინადადებას მიიღებდა, მას გაზეთის მდივნად უნდა მიეღო ფ. მახარაძე, რომლისთვისაც გაზეთის შემოსავლიდან შესაფერი ჯამაგირიც უნდა ეძლია. თუ **გ. წერეთელი** ამაზე უარს იტყოდა, დელეგატებს დავალებული ქონდათ მისთვის ეცნობებინათ, რომ პარტიას მოსძულდა მისი ასეთი წაჯექ-უკუჯექობა და მას სურს ერთხელ და სამუდამოდ გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება „კვალისა“ და მის ხელმძღვანელს შორის. დელეგატებად არჩეული იყვნენ: **ხილიბისტრო ჯიბლაძე, ლადო დარჩიაშვილი და პეტრე გელეიშვილი.**

გიორგიმ დაგვინიშნა დელეგატების მიღების დრო და წინდაწინვე გვაგრძობინა, რომ ის თანახმაა დააკმაყოფილოს ჩვენი ყოველივე მოთხოვნილება. დანიშნულ საღამოს ფ. მახარაძესთან ერთად წავედით დელეგატები **გიორგიხთან** მოსალაპარაკებლად „კვალის“ რედაქციაში. **გიორგიმ** მართლაც ისე მიგვიღო, თითქოს ჩვენს შორის არავითარ უთანხმოებას ადგილი არ ქონოდეს, უთანხმოების მიზეზად ის უბრალო გაუგებრობას ასახელებდა, ერთგულებას გვეფიცებოდა და, სხვათა შორის, გვითხრა:

რა ვქნა ყმაწვილებო, თქვენ მარქსისტები ხართ, ყოველივეს მარქსის მოძღვრების თვალსაზრისით ხსნით, მე მარქსის არაფერი გამეგება, იგი არც კი წამიკითხავსო.

აქ არ შეიძლება არ მოვიყვანო ერთი პატარა ინციდენტი, რომელსაც ადგილი ქონდა ამ მოლაპარაკების დროს და რომელიც კარგად ახასიათებს გ. წერეთლის ჩვენდამი დამოკიდებულებას. საქმე ის არის, რომ ზემოთ-მოყვანილმა გ. წერეთლის ტირადამ, მისი მარქსის უცოდინარობის შესახებ, მე მეტისმეტად გამაოცა. ის ახლა მარქსის არ ცოდნით იმართლებდა თავს, ამდენხანს კი პირიქით, ჩვენ გვიკიჟინებდა მარქსის უცოდინარობას. ის ხშირად გვეუბნებოდა:

— ყმაწვილებო,—თქვენ რომ ჩილიკაობდით, მე მარქსი მაშინ ზეპირად ვიცოდიო.

თუმცა ჩინებულად ვხედავდით, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ მაინც რა უნდა გვეპასუხა ამაზე და ისიც უმეტესად ისეთ მარქსისტებს, რომლებიც არც ისე დიდად ვიყავით დატვირთული მარქსის მოძღვრების ცოდნით.

როცა გ. წერეთლისგან ახლა ასეთი თავის მართლება გავიგონე, თავი ვეღარ შევიკავე, გრძნობებმა დამძლიეს, სულ დამავიწყდა, რომ ამ საათში მე **„წარმომადგენელი“** ვიყავი და არა კერძო პირი, და **გ. წერეთელს** მისი ასეთი ორპოფობა ვამხილე:

ეროვნული

— **ბ-ნო გიორგი,** აკი ამდენხანს იმას გვეუბნებოდით, რომ **ჩვენ მარქსი** მაშინ ზეპირად იცოდით, როცა ჩვენ ვჩილიკაობდით...

ჩემმა ასეთმა „უზრდელმა" მხილებამ თითქმის შეუმჩნეველად **ჩაიარა.** შეეატყვე ყველამ თავი უხერხულად იგრძნო და მე სირცხვილით სახეზე ალმური მომედო... როცა სახლში მივედით **ხილვამ** შავი დღე დამაყენა:

— კარგი დაგემართოს კარგი დიპლომატი შენ იყო? განა გ. წერეთელთან ასეთი ლაპარაკი შეიძლება?

ასე იყო თუ ისე, ამ საღამოს მოლაპარაკება გ. წერეთლის სრული კაპიტულიაციით დამთავრდა. **ფ. მახარაძე** მეორე დღესვე უნდა გამოცხადებულიყო რედაქციაში, როგორც მისი მდივანი.

VII

ეს იყო 1896 წ., დაახლოებით ივნისის დამლევს, თუ ივლისის შუა რიცხვებში.

ფ. მახარაძე ენერგიულად შეუდგა მუშაობას. მან პირველ დღიდანვე შეადგინა კომისიის მზგავსი რაღაცა, რომელსაც უნდა გამოემუშავებია ინსტრუქცია კორესპონდენტებისთვის. ამ კომისიაში თვითონ ფ. მახარაძეს გარდა მონაწილეობას იღებდენ: სილიბისტრო ჯიბლაძე, არსენ მამულაიშვილი (ლალიონი), ამ სტრიქონების დამწერი და სიმონ გრიაზნოვი. რამოდენიმე სხდომა გვქონდა სიმონ გრიაზნოვის ბინაზე, გრიბოედოვის ქუჩის ბოლოში, იმ მოედანთან, სადაც ეხლა ლენინის ძეგლი დგას.

ამის შემდეგ პირადათ მე მალე მომიხდა თბილისიდან ბაქოში გადაბარგება და შეძლება არ მქონდა უშუალოდ მედევნებია თვალყური რედაქციაში მუშაობის პირობებისთვის და იმისთვის, თუ როგორი განწყობილება არსებობდა ფ. მახარაძესა და რედაქციის პატრონს შორის. მაგრამ იმ დროინდელი „კვალის" კომპლექტის შეხედვა სრულ-უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ **ფ. მახარაძეს** არ უნდა ქონდეს რედაქციაში მაინც-და მაინც დიდი თავისუფლება. ეს იქიდან უნდა დავასკვნათ, რომ ფ. მახარაძეს ამ დროს შედარებით ბევრი არ უწერია. რედაქციაში შესვლისთანავე მან დაიწყო წერილები შენიშვნების სათაურით, (იხ. „კვალი" № 30-1896 წ. 14 ივლისი). როცა მწერალი და ისიც მუდმივი თანამშრომელი და მდივანი ასეთი სათაურით წერას იწყებს, საფიქრებელია, რომ ის ამ სათაურით წერას განაგრძნობს, ამ შემთხვევაში ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. ფ. მახარაძეს „კვალში" არც ერთი სტატია არ დაუწერია ამ სათაურით, ერთად ერთი დასახელებული სტატიის მეტი. ფ. მახარაძეს დაუწყია წერა ს ერთო სათაურით: „რუსეთის შინაური ქრონიკა". ამ სათაურითაც მას მხოლოდ სამი წერილი დაუწერია (იხ. „კვალი" № 45, 47 და 53—1896 წ.)

ფ. მახარაძემ „კვალში" წერა დაიწყო 1895 წ., მისი პირველი დებიუტი იყო: „გაკვრით პასუხი" ვ. წ. წინააღმდეგ მიმართული (ვ. წ. „ივერიაში" ამტკიცებდა, რომ საქართველოში კლასთა ბრძოლა არ არსებობსო. ამის წინააღმდეგ გამოვიდა ფ. მახარაძე თავის პირველ სადებიუტო წერილში. (იხ. „კვალი" №№ 20, 21, 22 და 23-1895 წ.) 1896 წ. „კვალშივე" სანამ ის ამ ორგანოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდივნად შევიდოდა, დაბეჭდა წერილი: (მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა?". ეს წერილი მიმართული იყო კიტა აბაშიძის მიერ ბრიუნეტიერის მოძღვრების ქართულ ლიტერატურაში გადმონერგვის წინააღმდეგ. (იხ. „კვალი" №№ 13, 14 და 15—1896 წ.) იმავე წელს მან „კვალშიეე" დაბეჭდა: „კრიტიკული განხილვა" მოსე ჯანაშვილის ვეფხის ტყაოსანისა. (იხ. „კვალი" №№ 20, 22, 26 და 27—1896 წ.) ეს იყო მანამდე, სანამ ფ. მახარაძე „კვალის" რედაქციაში შევიდოდა. აქედან ცხადია, რომ ფ. მახარაძეს „კვალის" მდივნად შესვლამდე უფრო მეტი უწერია, ვიდრე შემდეგ. აქედან ჩვენ ის დასკვნა გამოგვყავს, რომ მას ვერ ქონია „კვალში" მაინც და მაინც, დიდი თავისუფლება. მაგრამ რაც უნდა იყოს, მხოლოდ ფ. მახარაძის რედაქციაში შესვლის დღიდან დაეტყო „კვალს" „მესამე დასელების" გავლენა. მხოლოდ ამ დღიდან დაიწყო ამ გაზეთის თავის ორგანოთ ჩათვლა ჩვენი პარტიის მასსებმა, ამ. ჩვენ, ქართველ ხალხის ნულებმა, როგორც მათ ცოტა ხნის შემდეგ უწოდა „ევერიამ". ნოე ჟორდანიას საზღვარგარეთიდან დაბრუნებამდე თუ „კვალი" „მესამე დასელების" ორგანო არ იყო, მისი კონტროლისა და გავლენის ქვეშ მაინც იყო.

და ეს ჩვენი პარტიის ნულებმა მოიპოვეს, არა გიორგი წერეთელის კეთილი სურვილით, არამედ მის წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლით.

VIII.

ამიტომ ჩვენ შეცდომათ და ისტორიულ სინამდვილის ღალატათ მიგვაჩნია ის, რომ ნ. ჟორდანიამ გ. წერეთელს „მესამე დასის" წარმოშობისა და მისი მოღვაწეობის საქმეში მიაკუთვნა ისეთი როლი, რომელიც მას არ უთამაშნია, არც უნდოდა ეთამაშნა და კიდეც რომ ნდომოდა, მაინც ვერ ითამაშებდა. მიწერა ისეთი ღირსების, რომელიც გ. წერეთელს ჩვენთან დამოკიდებულებაში არ გამოუჩენია... უეჭველია ნ. ჟორდანიას წერილებს ანგარიშს გაუწევს ჩვენი ისტორიის მკვლევარი და თუ მან გ. წერეთელის როლი „მესამე დასის" ისტორიაში ნ. ჟორდანიას წერილებით აღადგინა, ის დიდ შეცდომას დაუშვებს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ცოტათი კიდევ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება იმ წერილზე, რომელიც ნ. ჟორდახიამ დაბეჭდა გ. წერეთლის გადაცვალების გამო.

ნოემ ორი წერილი უძღვნა გ. წერეთლის სიკვდილს. პირველი წარმოადგენს ვრცელ ნეკროლოგს, რომელშიაც ჩამოთვლილია განსვენებულის პირადი ღირსებები და საზოგადოებრივი და ლიტერატურული დამსახურება.

ამ ნეკროლოგში ავტორი თითქმის არაფერს ლაპარაკობს გ. წერეთლის „მესამე დასელებთან" დამოკიდებულებაზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემდეგ სტრიქონებს, რომელიც ეგნატესთან დამოკიდებულებას ეხება:... „საკმარისია მოვიხსენიოთ ის, რომ ყოველი მხრიდან დევნილი და გასაწყლებული ეგნატე ნინოშვილი მან (გ. წერეთელმა) შეიფარა, ავადმყოფობის დროს მან გაუწია პატრონობა, დამარხვის დროს ძველ თაობიდან მხოლოდ ის წავიდა მის პატივსაცემლად. და ბოლოს მან წარმოსთქვა (მის საფლავზე) საისტორიო სიტყვა". (იხ. „კვალი" № 3—1900 წ.).

ეროვნული

ყოველივე ეს ნოე ჟორდანიას სამათ სამ სტრიქონში აქვს ნაფიქვამი. და ამ სამ სტრიქონში სამი დიდი და პირდაპირ მიუტოვებელი შეცდომა აქვს დაშვებული. **პირველი შეცდომა,** ეგნატეს **გასაწყლებაა,** მეორე ის, რომ ეგნატეს დამარხვაზე ძველი თაობიდან მხოლოდ გ. წერეთელი წავიდა მისი პატივსაცემლად, **მესამე** შეცდომა ის არის, რომ ავტორი საისტორიოთ აცხადებს იმ სიტყვას, რომელიც გ. წერეთელმა წარმოთქვა ეგნატეს საფლავთან.

დავიწყოთ ნ. ჟორდანიას პირველი შეცდომიდან. „გასაწყლებული ეგნატე? ეს პირდაპირ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ვინც ეგნატეს კარგად არ იცნობდა, ალბად, იფიქრებს, რომ ის მართლაც დაგლახავებული ყოფილა; შეიძლება ასეთ მკითხველს თვალწინ წარმოუდგეს **გასაწყლებული,** სამათხოვროდ ხელგაწვდილი ეგნატე და გ. წერეთელი, რომელიც მას მოწყალებას აძლევს. ნამდვილად კი არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ეგნატესთვის არამც თუ მოწყალების მიცემა, უბრალო დახმარების გაწევა და დროებით ხელის გამართვაც კი ძნელი საქმე იყო იმისათვის, ვინც ასეთ გულკეთილობას გამოიჩენდა. ჩვენ აქვე მოვიყვანთ ამის უტყუარ მაგალითს.

1893 წ. ეგნატე თბილისში ცხოვრობდა და პირდაპირ აუტანელ პირობებში იყო. ჭლექმა მას სულ ერთიანად ჩასჭიდა ხელი; ის დასუსტდა, ხშირად ლოგინში იწვა და სიარული უჭირდა, შესაფერი სასმელ-საჭმელი და მოვლა-პატრონობა სხვა დროს როდის ჰქონია, რომ ახლა ჰქონდა?...

ასეთმა აუტანელმა მდგომარეობამ ეგნატე აიძულა, მისი ყრმობის ამხანაგსა და მეგობარს ალექსანდრე თოიძისათვის, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში და ეხლა კი გოლოვინის პროსპექტზე პირველხარისხოვანი სასტუმრო ჰქონდა და ქართველობაში მდიდარ კაცად ითვლებოდა შემდეგი ბარათი მიეწერა:

23 ოქტომბერი 1893 წ. ქ. თბილისი.

ძმაო ალექსანდრე!

შეიძლება მენდო და რამდენიმე თვის ვადით თუმანი მასესხო?... ვსესხულობ იმ იმედით, რომ რამოდენიმე თვის განმავლობაში შევძლებ კიდეც გადახდას. უნდა გითხრა, აქამდეც გამჭირვებია, უვლიდი თქვენგან გვერდს ფულის სესხებას, უვლიდი იმიტომ, რომ კაცს, რომ ასეთი საქმისთვის მიმართავ, იმ კაცს მეც უნდა ვესაჭიროებოდე რამეში. თქვენ აბა რაში გექნებათ ასეთი საჭიროება, რომ სამაგიეროთ მეც ხელი მოგიმართო? არაფერშიც არა, დიახ, ეგ კარგად ვიცი და ამიტომაც ვერიდებოდი ასეთ სესხებას, როცა **გამიჭირდებოდა ისევ ჩემისთანა პროლეტარებს ვართმევდი თითო-ოროლა გროშობით.** (ხაზი ჩემია).

მაგრამ წრეულს, ეს ოხერი, ძლიერ ცუდათ წავიდა ჩემი საქმე: მამის სიკვდილი, ავადმყოფობა და მის გამო უჯამაგიროდ ყოფნა, „ივერიასთან" წაჩხუბება და გონორარის მოსპობა, - ყველა წელს დამატყდა თავზე. აი ამაებმა მომიყვანეს თქვენთან ფულის სასესხებლად.

თუ ამ წერილმა მიზანს ვერ მიაღწია, დარწმუნებული იყავით სამდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავს მაინც არ გამოიწვევს ჩვენში, ჩვენ მაინც ისევ ისე მეგობრები ვიქნებით; ერთი სიტყვით, გაივლის ხანი, ეს მიგვავიწყდება. პირველად რომ შევხვდებით ერთმანეთს, თქვენ მეტყვით: რა ვქნა ვერ გასესხე... მაშინ რალაც... და სხვა... მე კი ჩემის მხრივ ბოდიშს მოვიხდი:—არა მაინც აღარ იყო საჭირო... ქე ვიშოვნე სხვებისაგან, და სხვა“...

თქვენი ამხანაგი და მეგობარი **ეგნატე.**

ეს წერილი ყველაზე უფრო ახასიათებს ეგნატეს; სრულიად ჩვეულებრივია, რომ კაცმა თავის მდიდარ „ამხანაგსა და მეგობარს“ გაჭირვების დროს ფული დაესესხოს. მაგრამ ვინც ეგნატეს დაახლოვებით იცნობდა, მას კიდეც გააკვირვებს ის გარემოება, რომ ეგნატემ მდიდარ ბურჟუა თოიძეს ფულს შეესესხა. ეგნატე სულ სხვა სახით უყურებდა საქმეს და არა ისე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები უყურებენ მას. ჩვენს დროში ვინმემ ფული კი მოგვცეს და სულ ერთია ვინც უნდა იყოს იგი. ეგნატე გაჭირვების დროს მის გვარ გაჭირვებულებს, მის ბედში მყოფ პროლეტარებს მიმართავდა: „როცა გამიჭირდებოდა, ისევ ჩემისთანა პროლეტარებს ვართმეკდი თითო-ოროლა გროშობითო.“ უაღრესი გაჭირვებით ძალდატანებულმა ეგნატემ მხოლოდ ერთხელ გადაუხვია თავის ჩვეულებას და ისიც თოიძის სურვილით, მისი ინიციატივით.

აი რას მწერდა მე ამის შესახებ თვითონ ალექსანდრე თოიძე:. „...: ეგნატე ერთხელ ქუჩაში ვნახე და შენიშვნა მივეცი: მწერალი კაცი ხარ და ტანისამოსი უფრო რიგიანი უნდა გეცვას მეთქი. მან შეძლებაზე მიმითითა, მე უთხარი: ჩემთან ერთად ბევრი სწავლობდენ: ზოგი იმათაგანი საქმეში არიან; ვისაც შეესესხები, არ დაგიჭერენ ორ-სამ თუმანს, შემდეგ შენს თხზულებებს რომ გამოსცემენ, შემდეგ გაისტუმრებ მეთქი. ტრაბახობით ნუ ჩამომართმევ ძვირფასო პეტრე და მინდოდა მე შემომსესხებოდა, მაგრამ მან არ დამეთანხმა და რას იზამდი? ამის შემდეგ გავიდა სამი ოთხი თვე და მივიღე წერილი ფულის სესხების შესახებ... მე უპასუხე: „მობრძანდი და პასუხს თვითონ გეტყვი პირადათ მეთქი... გავიდა სამი დღე, ოთხი, ხუთი, მთელი კვირა, ეგნატე არსად სჩანს, ავდექი და მე თვითონ წავედი ნაჩვენები მისამართით.“

აქედან ცხადათ სჩანს, რომ ეგნატეს თვითონ თოიძემ გააბედვინა ზემოთ მოყვანილი წერილის დაწერა, მაგრამ ის თითქოს კიდევ შეუშ ნდა ასეთ გადაწყვეტილებას, ალბათ გრძნობდა, რომ თოიძეს ფულს ისე მალე ვერ გადაუხდიდა, თუ თოიძეს თვითონ არ მოეძებნა იგი და ფული არ მიეტანა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეგნატე ფულის მისაღებად მასთან არ მივიდოდა. მართლაც, თოიძის ვალი ეტყობა ძალიან აწუხებდა ეგნატეს, თუმცა მან კარგად იცოდა, რომ თოიძე მდიდარი იყო და ასეთი პატარა თანხა მას არაფრად დააკლდებოდა, სიკვდილის წინ სულ ერთი თვით ადრე ამ ვალის შესახებ შემდეგს სწერდა ეგნატე იმავე თოიძეს:

„ძმაო ალექსანდრე: გამარჯობა. ორი თუმანის გადახდა რომ დამაგვიანდა ამაზე დიდ ბოდიშს ვიხდი. არ ვიცი კიდევ რამდენ ხანს დამჭირდება, ჩემს ავადმყოფობაზეა დამოკიდებული. აგერ ოთხი თვეა თითქმის, რაც ავადმყოფობის გამო ვეღარ მიმუშავნია, ასე გასინჯე, ძველი მოთხრობები მქონდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც ვერ შევასწორე"... (იხ. ეგნატეს წერილი სოფ. ჩოჩხათიდან მოწერილი 1896 წ. 12—მარტის თარიღით).

ახლა განვიხილოთ ისიც, თუ როგორ შეაფარა, როგორ გაუწია პატრონობა ავადმყოფობის დროს, ყოველი მხრიდან დევნილ და გასაწყლებულ ეგნატე ნინოშვილს გ. წერეთელმა.

ჩვენ ხელთა გვაქვს ეგნატე ნინოშვილის წერილი, რომელიც მას სოფ. ჩოჩხათიდან 1894 წ. იანვარში, თუ თებერვალში დაუწერია (სამწუხაროთ ამ წერილს არა აქვს თარიღი, რადგანაც ეგნატე ჩვეულებრივად წერილის დასაწყისში აწერდა, ამ წერილის დასაწყისი კი დაკარგულა).

..."რაც შეეხება საზოგადოთ ჩემს ნაწერებს, მე ყოველთვის მსურველი ვიქნები, რომ კვალში დაიბეჭდოს, თუნდაც მიმართულებაში ვერ მოვეწყვეთ და ჩემი პუბლიცისტურ კრიტიკული წერილების ბეჭდვა აღარ ინებოს „კვალმა", ბელეტრისტულ ნაწარმოებს მაინც ყოველთვის ვაწოდებ, სანამ კი ეს გაზეთი ისურვებს ჩემი მოთხრობების ბეჭდვას. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ „კვალი" ახალგაზრდობის ორგანოა, შეიძლება ბევრ ახალგაზრდობასთან მე საერთო არა მქონდეს რა, მე პატივს ვსცემ „კვალის" მეთაურს. **მე თქვენგან დავალებული ვარ არა მარტო ფულით, ზნეობრივათაც** (ხაზი ჩვენია). და ჩემის მხრივ ვსცდილობ რითიმე გასიამოვნო. ამას გარდა „კვალი" დღეს არსებულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ყველაზე უფრო პროგრესიულია, აი ამიტომ მიმაჩნია ჩემ ზნეობრივ მოვალეობად „კვალის" თანამშრომლობა".

რაში მდგომარეობდა ეს „როგორც ფულით, ისე ზნეობრივად დავალება".

აი საქმე რაში იყო: ეგნატე, როგორც თვითონ სწერდა ზემოთ მოყვანილ თოიძესთან მიწერილ წერილში, „ივერიის" რედადაქციას წაეჩხუბა. აქედან მას მიღებული ქონდა 35—მან. ავანსის სახით. რედაქციის პორტფელში კი ინახებოდა დასაბეჭდათ გამზადებული ეგნატეს მოთხრობები. რედაქციაზე საბოლოოდ გულგატეხილ ეგნატეს სურდა ხელნაწერები უკანვე დაებრუნებია, მაგრამ სად უნდა ეშოვნა 35 მან. რედაქციის ვალის გადასახდელად. საქმეში ჩაერია ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც იმ დროს „ივერიის" რედაქციაში მუშაობდა და მისის მოთხოვითა და თავდებობით ეგნატეს დაუბრუნეს მისი ხელთნაწერები, ეს ხელთნაწერები გადაეცა დასაბეჭდათ „კვალის" რედაქციას, რომელმაც წინდაწინ ავანსის სახით მისცა სნეულ ეგნატეს ასი მან.

ეს იყო და ეს, როგორც ფულით, ისე ზნეობრივი დახმარება.

გ. წერეთელის მხრით იმ დროს, როცა ეგნატე უკანასკნელ მდგომარეობაში იყო, როცა ის მშიერ-მწყურვალე, ხშირად 39—40°/₀ სიცხით ეგდო სადღაც სარდაფში, იმ დროს ჩვენ ვერ ვხედავთ მის გვერდით გ. წერეთელს. „ივერიასთან" წაჩხუბების და გონორარის მოსპობამ... მომიყვანა თქვენთან ფულის სასესხებლათო"—სწერს ეგნატე ალექსანდრე თოიძეს ზემოთ მოყვანილ წერილში. აბა საიდან ჩანს აქ, რომ გ. წერეთელმა ავადმყოფობის დროს ეგნატე „შეიფარა", „პატრონობა გაუწია"?..

„კაცს რომ ასეთი საქმისთვის (ფულის სასესხებლათ) მივმართავ, იმ კაცს მეც უნდა რამეში ვესაჭიროებოდეო",—ამბობს ეგნატე. და მართლაც, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კვალის“ რედაქციიდან **ას მანეთს** იღებდა ავანსათ, ეგნატემ კარგად იცოდა, რომ რედაქციისთვის იგი საჭირო იყო. და თუ ეს ასეა, აბა რა შუაშია და რა კიდეში აქ განცხადება რომ „ყოველ მხრიდან დევნილი, გასაწყლებული ეგნატე ნინოშვილი გიორგი წერეთელმა შეიფარა, ავადმყოფობის დროს მან გაუწია პატრონობაო“?.

ეგნატეს, რომ ამ ავანსად აღებული ფულის ანაზღაურების იმედი არ ჰქონოდა, ის სულაც არ მიმართავდა გ. წერეთელს (მას არც ახლა მიუმართავს მისთვის. ამ ავანსის საქმე მისმა ამხანაგებმა მოაწყვეს); ის ისევ მისავე გვარ პროლეტარებს მიმართავდა და მათი დახმარებით წავიდოდა ჩიტათში, რომ იქ საუკუნოდ გამოთხოვებოდა თავის საყვარელ საქმეს.

ნ. ჟორდანიას არც მეორე დებულებაა მართალი.

„ეგნატეს დამარხვაზე ძველ თაობიდან მარტო გიორგი წერეთელი წავიდა მის პატივსაცემლათო“.

გიგო ყიფშიძე რაღა იქნა? ისიც ხომ „ძველ თაობიდან“ იყო წასული ეგნატეს პატივსაცემად? მანაც ხომ გვირგვინით შეამკო ეგნატეს ცხედარი ილია ჭავჭავაძისა და „ივერიის“ რედაქციის სახელით? რამოდენიმე ათეული კაცი მაინც დაესწრო ეგნატეს გასვენებას თბილისიდან ისეთები, რომლებიც ძველ თაობას ეკუთვნოდენ, ეგნატესა და მის ამხანაგებთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ. რა ვუყოთ, რომ ყველა ის "ძველი თაობის" ხალხი გ. წერეთელივით რომანისტები არ იყვნენ! მაშასადამე მარტო გ. წერეთელს არ უცია პატივი ეგნატეს ცხედარისთვის.

მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველია ნ. ჟორდანიას მესამე დებულება: **„გიორგი წერეთელმა ეგნატეს დასაფლავებაზე საისტორიო სიტყვა წარმოსთქვაო“.**

მოვიგონოდ რამდენიმე სიტყვით გიორგი წერეთლის ეს „ისტორიული სიტყვა:

„... ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლავებაზე. მის კუბოს გარს შემოკრბენ, ასე ვთქვათ, „მესამე დასი ახალგაზრდობისა“, ე. ი. სულ უკანასკნელ წლების თაობა—ისინი, რომელიც გამოსულან სამოღვაწეო ასპარეზზე მეოთხმოცდაათე წლებიდან“. მერე როგორია პოლიტიკური მრწამსი და სოციალური ბუნება ამ „მესამე დასის“ ახალგაზრდობისა?“ **ჩვენი ძველი თაობის პოლიტიკური მემკვიდრე, მათი გაგრძელება არისო.“**

გიორგი წერეთლის მიერ ამ ახალი პარტიის ასეთი კვალიფიკაციისა და „მესამე დასის“ სახელით მონათვლის წინააღმდეგი იყო თვით ნ. ჟორდანიაც 1895 წ., რაზედაც ცოტა ქვემოდ გვექნება ლაპარაკი. მაშ, სად არის გ. წერეთლის ამ სიტყვის **საისტორიო** მნიშვნელობა. ეს თუ რამეთი არის საისტორიო და შესანიშნავი, ეს მხოლოდ იმით, რომ პატივცემულ მწერალს სრულიად ვერ გაუგია ისეთი აშკარა რამ, რომლის გასაგებათაც არავითარი ფიქრი და თავის ტეხა საჭირო არ იყო. ამიტომ მხოლოდ ის იყო საკმაო, რომ ეგნატეს კუბოსთან გულდადებით მოესმინა სილიბისტრო ჯიბლაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ჩვენმა პარტიამ საპროგრამო სიტყვათ მიიღო. ამის გასაგებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაო იყო, რომ გ. წერეთელს რაიმე მნიშვნელობა მიეჭცია ამ კომენტარიებისთვის, რომელსაც ამ საპროგრამო სიტყვას, მთელი დღის განმავლობაში უკეთებდენ თვითონ გ. წერეთელთან კამათის დროს ამბ. მ. ცხაკაია და სხვები. და თუ მან ესეც რაიმე მიზეზით ვერ მოახერხა, ეს საპროგრამო სიტყვა ხომ დაბეჭდა თავის გაზეთ „კვალში", იქ მაინც წაიკითხავდა და გაიგებდა, თუ ვინ იყო ეს ახალი თაობა, რომელიც მან „მესამე დასათ" მონათლა და ორბელიანებისა, ჭავჭავაძისა და წერეთლების პოლიტიკურ და სოციალურ მემკვიდრეებად გამოაცხადა...

ყოველი ამის შემდეგ გ. წერეთლის მიერ ამ ახალი დროისა და მისი პოლიტიკური და სოციალური მრწამსის ასე გაგება, თუ გნებავთ, ისტორიული კი არა, პირდაპირ ფენომენალურია, როგორც ორატორის მიერ ამ ახალი თაობის სრული გაუგებრობა.

„კვალის" შემდეგ ნომერში (№ 40, 1900 წ.) ნ. ჟორდანიამ მეორე წერილი უძღვნა გ. წერეთლის დასაფლავებას. ამ წერილში განსვენებული პირდაპირ არის გამოცხადებული ნინოშვილის ბედნიერ მემკვიდრეთ. თუ ნინოშვილის დასაფლავებაზე გ. წერეთელს მხოლოდ რაღაცა „დასი" აღმოუჩენია, თუ ეგნატე ამ უმნიშვნელო „დასს" დაუფასებია და პატივი უცია, თვითონ გ. წერეთლის საფლავზე ნ. ჟორდანიას აღმოუჩენია მთელი ხალხი, ან მისივე სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ: **„ახალი ხალხი მთელი ერისა, რომელმაც გ. წერეთელი დაასაფლავა, როგორც თავისი მოძღვარი და მედროშე"**...

მართლაც რომ დიდი უბედურებაა, როცა პაწაწინა ერს ამდენი მედროშე და მოძღვარი ჰყავს! თუ ასე ყველა მედროშედ და ბელადად ვაცხადეთ, თითო ბელადზე თითო ჯარის კაცი ძლივს მოვა, მაგრამ ცოტა კიდევ მოუსმინოთ ნ. ჟორდანიას:

მე მხოლოდ ორი დასაფლავება ვიცი, რომელიც შეიქნა დასაწყისი ახალი ხანისა. პირველი—ეს ეგნატე ნიოოშვილის დასაფლავება, რომელსაც დაესწრო განსვენებული გიორგი და იქ თავმოყრილ ახალგაზრდობაზე მიუთითა: აი ახალი რაზმი და ახალი დროშაო, განელო ხანი, რაზმი მუშაობდა... და აი, დღეს დავასაფლავეთ თვითონ გიორგი და მის კუბოსთან შემოკრბა, არა მარტო ახალი რაზმი ახალგაზრდობისა, არამედ ახალი ხალხიც მთელი ერისა. აქ თავის თავი გაგვაცნო ახალგაზრდობამ, აქ თავის თავი გაგვაცნო ახალმა ხალხმა, ორივემ ერთად აქ მოიყარენ და გამოეთხოვენ ძვირფას ცხედარს იმ იმედით, რომ შემდეგშიც ერთად ივლიან და გზას ცხოვრებისას ერთად გაიკაფვენ". („კვალი" № 40, 1900 წ.).

ნ. ჟორდანიამ აქაც ერთი არსებითი შეცდომა დაუშვა და ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გ. წერეთლისა და „მესამე დასის" ურთიერთ დამოკიდებულებაში. ნ. ჟორდანია სწერს: „გ. წერეთელმა ეგნატეს კუბოსთან თავმოყრილ ახალგაზრდობაზე მიუთითა, აი ახალი რაზმი და **„ახალი დროშაო"**. ეს არ არის მართალი! გ. წერეთელმა სთქვა: **აი ახალი რაზმი და ძველი დროშაო!** სწორედ ამას ნიშნავდა ამ ახალი რაზმის მამების პოლიტიკურ და სოციალურ მემკვიდრეებათ, მათი საქმის გამზრდელებათ გამოცხადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ დიდათ ვაფასებთ გ. წერეთელს, ჩვენის ღრმა რწმენით მას დიდი ადგილი უჭირავს ქართულ აზროვნების მე-19-ე საუკუნის ისტორიაში. ის ერთობ ნიჭიერი მწერალი, დიდი საზოგადო მოღვაწე იყო. მაგრამ ს.-დემოკრატიულ პარტიასთან იმისი დამოკიდებულება, როგორც ამ პარტიის, ისე მისი მხრით მხოლოდ შემთხვევითი, თუ გნებავთ სტრატეგიის საქმე იყო და არა იდეური ნათესაობისა და ერთმორწმუნეობისა. გ. წერეთელს ასეთ გაჭირვების დროს სჭირდებოდა მტრების წინააღმდეგ დასაყრდნობი საზოგადოებრივი ძალა, ჩვენს პარტიას—გაზეთი.

აი ამ ორი არსებითად შეურიგებელი მხარეების შერიგების მიზეზი.

IX.

ახლა დავუბრუნდეთ საკითხს, თუ რატომ და როგორ მიიღო ჩვენმა პარტიამ „მესამე დასის" სახელწოდება.

როგორც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, მიუხედავათ იმისა, რომ ეგნატეს დასაფლავების შემდეგ ნახევარ წელიწადზე მეტი, ყველა ჩვენი მოწინააღმდეგეები ჩვენს პარტიას „მესამე დასის" სახელით იხსენიებენ და თავს ესხმოდენ, თვით ამ პარტიის არც ერთ მწერალს არ მიუღია ეს სახელი, არ უწოდებია თავისი პარტია „მესამე დასათ". გ. წერეთელი კი ძალიან იყო მოწადინებული, რომ ვინმეს თვითონ ამ პარტიის, ასე თუ ისე, თვალსაჩინო წარმომადგენელს მიეღო პოლემიკაში მონაწილეობა და ეს სახელწოდება ეცნო...

ამ მიზნისთვის გ. წერეთელმა გამოიყენა **ყარიბის** წერილები. საქმე ასე იყო. 1894 წ., სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში თუ ოქტომბრის დასაწყისში, როცა „ივერია" და „მოამბე" სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებდენ „კვალის" წინააღმდეგ, როცა ალ. ნანეიშვილს (ნალ-ს), **კაგრემენს,** (ვ. წ.) და სხვებს შეუწყვიტელი იერიშები მოქონდათ „კვალსა" და „მესამე დასზე", სწორეთ ამ დროს ყარსის ოლქიდან თბილისში ჩამოვიდა ყარიბი.

ამ დროს გ. წერეთელი სულ მარტოთ მარტო იყო. ის შეძლებისდაგვარად უმკლავდებოდა მოსეულ მტრებს, მაგრამ ის ერთობ შესუსტებული იყო და არა თუ შეტევაზე გადასვლას ვერ ახერხებდა, ცხადი იყო, რომ თავდაცვით ომის საწარმოებლადაც ერთობ ცოტა ტყვია-წამალი დარჩენოდა. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლაში ახალი ძალის ჩარევას, იმის მიუხედავად, დიდია ეს ძალა თუ პატარა. ამ მხრით ჩვენი მტრები უფრო ძლიერები იყვნენ: მეომრებს სცვლიდენ და სულ ახალ-ახალ მწერლებს მოქონდათ იერში. „კვალიდან" კი მარტო გ. წერეთლის ერთფეროვანი, მონოტონური პასუხები გაისმოდა და ეს მკითხველებზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ „კვალს" და მის პოზიციას გ. წერეთლის მეტი დამცველი არ ყავსო"... მაშინდელი პოლემიკა რა იყო,— მტრისთვის გაბედული შეძახება:—**ჰკა მაგას, არ გაუშვაო!** და მკითხველი და მსმენელიც შენს მხარეზე იყო.

გ. წერეთელმა, როგორც გამოცდილმა სტრატეგმა, კარგათ იცოდა ქართველი საზოგადოების ფსიქოლოგია...

ესეც რომ არ ყოფილიყო, მას თავს ესხმოდენ „მესამე დასის" „აღმოჩენისათვის", ყოველი მხრიდან უსისინებდენ და თვითონ ეს „მესამე დასი" კი თითქოს აქ არაფერიაო, კრინტსაც არა სძრავდა. მართალია ყველამ კარგად იცოდა, რომ „დასის" საუკეთესო წევრი საზღვარგარეთელი იყო, რომლის წერილებიც იმ დროს „კვალში" იბეჭდებოდა; მაგრამ მისი წერილების უმეტესობა უფრო ადრე იყო გამოგზავნილი და ამ პოლემიკასთან არავითარი დამოკიდებულება არ ქონდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყარიბმა სიხარულით მიიღო გ. წერეთლის წინადადება „კვალში“ მუდმივ თანამშრომლობის შესახებ და მალე „კვალის“ რამდენიმე ნომრისთვის გადასცა მას წერილები **„კრიტიკულ წერილების“** საერთო სათაურით. პირველ წერილის კორექტურა თვითონ ყარიბმა გაასწორა, მაგრამ მას არ მოუცდია „კვალის“ იმ ნომრის გამოსვლისათვის, რომელშიც ეს წერილი უნდა გამოსულიყო: ის იმ ღამეს წავიდა სამტრედიაში...

როცა ყარიბი ორი კვირის შემდეგ ქუთაისში ჩავიდა, სადაც იქაური ამხანაგები მიხა ცხაკაიას ხელმძღვანელობით მარქსისტულ წრის დაარსებას ეპირებოდენ, რომელშიც ყარიბსაც უნდა მიეღო მონაწილეობა, ამხანაგებმა მას უსაყვედურეს: პარტიას „მესამე დასი“ რატომ უწოდეო.

განცვ ფრებულმა ავტორმა, რომელსაც ჯერ „კვალში“ დაბეჭდილი თავისი წერილი არც კი ენახა, ბოლოდ ახლა დაიხახა, რომ გიორგი წერეთელს მისი წერილების სათაური: **„კრიტიკული წერილები“** წაეშალა და მის მაგიერად: **„ივერია“**, **„მოამბე“** და **„მესამე დასი“** დაეწერა. თვით წერილის ტექსტში ყოველგან, სადაც კი ამას საჭიროება მოითხოვდა, გ. წერეთელს ყოველგან „მესამე დასი“ ჩაეჩხირებია.

როცა ყარიბმა ამხანაგებს ეს გარემოება აუხსნა, მას ურჩიეს: გ. წერეთელს დეპეშით წინადადება მიეცი, ეს „შეცდომა“ გაასწოროსო. ავტორმაც დეპეშით მიმართა „კვალის“ რედაქციის ხელმძღვანელს: წერილების წეოა შეაჩერეთ და „შეცდომა“ გაასწორეთო. წერილები ორის მეტი მართლაც არ დაბეჭდილა, მაგრამ „შეცდომის“ გასწორება რედაქციამ არ მოისურვა.

ყარიბის წერილის შესახებ საზღვარგარეთელმაც მოიწერა წერილი: მომწერეთ ავტორის ვინაობა და თანაც ის, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა იგი, როცა ჩვენი პარტიისთვის „მესამე დასს“ ილებდაო? წერილს იწერებოდა ქენევიდან 1894 წლის 27 დეკემბრის თარიღით... ამან კიდევ უფრო გააწყმატა ახალგაზრდა ავტორი: მან უფრო ენერგიულათ მოსთხოვა გ. წერეთელს „შეცდომის“ გასწორება.

ამასობაში თვეზე მეტი დრო გავიდა. გ. წერეთელი დღეს-ხვალეობით პირდებოდა „შეცდომის“ გასწორებას, მაგრამ საქმით კი არ ასწორებდა... ამ დროს განმაცლობაში ამხ. მიხამ უკვე შეიცვალა აზრი ამ საკანზე: ის კონსპირატიულ მოსაზრებით უკვე შეურიგდა იმ აზრს, რომ ჩვენს პარტიას ჯერ-ჯერობით „მესამე დასის“ სახელი შერჩენოდა... დაახლოებით იმავე დროს მივიღეთ საზღვარგარეთელის წერილი ქენევიდან 1895 წლ. 20 თებერვლის თარიღით, რომელიც იწერებოდა: მე ვეთანხმები, რომ ჩვენი პარტია ჯერ-ჯერობით „მესამე დასათ“ იწოდებოდეს. ეს კონსპერაციისთვის კარგია.—ჩვენ რომ ნამდვილი სახელით გამოვიდეთ, აბა ვინ გვაბოგინებსო?

ამხანაგების უმეტესობამ მიხასა და საზღვარგარეთელის აზრი გაიზიარეს და ჩვენს პარტიას შერჩა ეს შემთხვევით მიწებებული ტერმინი, რომლის შინაარსიც სრულიად არ შეეფერებოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და თუ იმას ისე გავიგებთ, როგორც ეს გიორგი წერეთელა ესმოდა, ესე იგი, როგორც გაგრძელება ძველ ქართველ მწერალთა და ბოლოვაზეთა ჯგუფებისა, იგი სრული წინააღმდეგობა იქნებოდა როგორც სოც. დემოკრატიის, ისე ყოველგვარი სოციალისტური პარტიისა.

ყარიბის დასახელებული წერილები დაიბეჭდა 1894 წლ. „კვალის“ №№ 47 და 48-ში (13 და 20 ნოემბერში). ამ წერილებში მარქსისტული ბევრი არაფერია; ისინი ბოლოდ მითია საყურადღებო, რომ ამ წერილებში თვით მესამე დასის მიერ მიღებულია—ტერმინი „მესამე დასი“.

ალბათ ამიტომ მოათავსა თვით ნოე ჟორდანიამ ეს წერილები თავისი თხზულებათა პირველ ტომში (იხ. ნოე ჟორდანია, ტ. I, გვ. 308—330).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

სოფრომ მგალობლიშვილი. რჩეული მოთხრობები. ტომი მეორე. სახელგამი. ტფილისი. 1926 წ. 218 გვ. ფასი 1 მ. 20 კ.

სოფრომ მგალობლიშვილი პროზაში ილია ჭავჭავაძის სკოლას ეკუთვნის. მისი წერის მანერა—რეალისტურია. ამას გარდა, ჩვენს მწერლობაში იგი არის „ხალხოსნური“ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი. მას აქვს ნიჭი და კიდევ მეტი კულტურა. ს. მგალობლიშვილი ზედ მიწე ნით იცნობს მის თანამედროვე ქართლის გლეხის მდგომარეობას, მათ ზნე-ჩვეულებას.

სახელგამის მიერ გამოცემულ მე-II ტომში მოთავსებულია სამი მოთხრობა: „დემეტრეს სახლობა“, „წითელი სარჩული“ და „ჯორ-ზაქარა“.

პირ ელი მოთხრობა შეიცავს—სოფლიდან ლუკმა პურის საშოვნელად ქალაქში გადმოხვეწილ გლეხკაცის ცხოვრების მწარე ფურცლებს. დემეტრე ხარაზია. სიღარიბის გამო იგი იძულებულია აიღოს ვალი ვინმე ჩარჩ-ხაზარასგან. ეს ხაზარა ლავრ. აოდაზიანის სოლომონ მეჯღანუაშვილივით ახლად ჩანასახ კაპიტალიზმისგან არის წარძოშობილი. მას ძლიერ უყვარს ფულები და მზად არის მისი გულისთვის ყოველგვარ ბოროტებას მიმართოს. დემეტრემ ვერ გადაუხადა ხაზარას ფული. ამის გამო მას ჯერ აუწერეს თუ რამ გააჩნდა და შემდეგ ციხეში ჩასვეს, სადაც იგი გარდაიცვალა. მისი ცოლშვილი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ერთის მხრით სიმშილი და, მეორეს მხრით, ხაზარას გადაუხდელი ვალი მძიმე ტვირთად დააწვა დემეტრეს ქვრივს—ნენეს. მაგრამ ნენე არ დაცემულა სულით. მან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ხაზარას, როცა ამ უკანასკნელმა ხასად აყვანა მოუნდომა. ნენემ „უხამუსო სიმდიდრეს ნამუსიანი სიღარიბე არჩია“.

„წითელ სარჩულში“ მოცემულია ტიპი დეგენერატ აზნაურის—იუდა ღეჭიაშვილის, რომელსაც „მთავრობის ხალხთან“ ლაქუცობით, მელიობით სურს მიიღოს „ღენერლობა“, წითელ სარჩულიანი პალტო. ბოლოს იგი თითონ ბუნებამ დასაჯა—ჭკუაზე შესცდა და საგიჟეთში დაასრულა თავის სიცოცხლე.

მოთხრობა „ჯორ-ზაქარა“—ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქართული გლეხის ცხოვრების მთლიანი სურათია. ზაქარა, შეუპოვარი, მებრძოლი რევოლიუციონერი გლეხია. მას კარგად ესმის რომ ბატონყმობის გადავარდნით გლეხის მდგომარეობა ოდნავაც არ გაუმჯობესებულა. „კანონის წინაშე გავერთიანდით. გვეგონა მთა და ბარი გასწორდაო, მაგრამ ფუჭი გამოდგა ჩვენი იმედები,—მამული ბატონს დარჩა, უმამულოთ კი ფრთა შეკვეცილ ქათამს ვგევართ... მიწა და თავისუფლება! მიწა იმისია ვინც მუშაობს, ვინც ოფლს აწვიმებს ში...ა!“ ასეთია ზაქარას რწმენა. მაგრამ მან ისიც იცის, რომ ბრძოლის გარეშე შეუძლებელია მიწის და თავისუფლების მოპოება. ბატონებისაგან და მოხელეებისგან ყოველ მხრივ შეევიწროებული ზაქარა ყაჩაღად გავარდება და სიცოცხლეს უსპობს ბატონის მოურავს—სოფლის წურბელას.

ორ უკანასკნელ მოთხრობაში: „წითელ სარჩულ“-ში და „ჯორ-ზაქარა“-ში ავტორი გაკვრით იხსენიებს სამოციან და ოთხმოციან წლების ხალხოსნურ მოძრაობას. ეს მოძრაობა თავის დროზე არ იყო ინტერესს მოკლებული. მან დიდათ შეუწყო ხელი გლეხების გამოფხიზლებას და ერთგვარი პროგრესიული როლი ითამაშა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რაც შეეხება წიგნის გარეგნულ მხარეს—უნდა ითქვას, რომ ეს წიგნი ისე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სახელგამის ყველა უკანასკნელი გამოცემა აღბეჭდილია საათანადო კულტურით. ამას მოწმობს ყდა, ლამაზი შრიფტი და მოხდენილი ფორმატი $^5/_8$.

შეიძლება ითქვას, რომ სახელგამის მიერ უკანასკნელ ხანებში გაჩღებული მუშაობა, თანდათან გვაახლოებს ქართული წიგნის დღესასწაულს.

ვ. ი-ლი.

ვასილ ბარნოვი. „მრმაზის მსხვრევა“. ისტორიული რომანი. სახელგამი 1926 წ. 155 გვ. ტ.—3000. ფასი—70 კ.

რომანი „არმაზის მსხვრევა“ - თემატიურად უფრო რელიგიურ-ფილოსოფიურ რომანს წარმოადგენს. ამ მხრით იგი თითქოს უნიკალურია ქართულ თანამედროვე ლიტერატურაში. რომანის შინაარსი აშენებულია ქართველების მიერ მირიანის დროს ქრისტიანობის მიღების ლეგენდაზე.

მისი სიუჟეტი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: მირიანის დროს სპარსეთს განაგებდა შაჰი შაჰპური. შაჰპურმა კტეზიფონიდან გამოუგზავნა მირიანს ძვირფასი ძღვენი და თან სთხოვა დახმარება დასავლეთის წინააღმდეგ, რადგან იქიდან ახლად გავრცელებული ქრისტიანობა საფრთხეს უმზადებდა როგორც სპარსეთს, ისე საქართველოს. საქართველოში სპარსეთის ელჩის ჩამოსვლისთანავე გაიმართა ბჭობა ამ საკითხის გარშემო.

ბჭობის დროს გადასწყვიტეს გაეგზავნათ ჰაისტანში მყოფ ძტრის ჯარის დასახვერავად ამზაილ—ქართული ჯარის უფროსის თანაშემწე. თან შეუდგენ ომისთვის მზადებას. ამასობაში ბიზანტიიდან საქართველოში გზავნიან ნინოს —საქადაგებლად. ბიზანტიის ტახტზე ადის კონსტანცი.

იწყება ბრძოლა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. მირიანი შაბურის დასახმარებლად გზავნის ჯარს—ბაქარის სარდლობით.

სპარსეთი მარცხდება. ბიზანტია მორჩილების ნიშნად საქარათველოსაგან ითხოვს მძევალს. მირიანი იძულებულია დასთანხმდეს და ამ მიზნით უგზავნის კიდეც—თავის ვაჟს—ბაქარს.

ამავე დროს საქართველოში ჩამოსული ნინო განაგრძობს მუშაობას ქრისტიანობის გასავრცელებლად. მან მოაქცია ქრისტიანობისაკენ დედოფალი ნანა და მისი ასული—ხვარამზე. მოუქცეველი დარჩა—ამზაილ. რაინდი, ხვარამზეს მიჯნური. ხვარამზეს საშუალებით სურს ნინოს მოაქციოს ამზაილიც მაგრამ ვერ აღწევს საწადელს. ამზაილ არმაზის ერთგული რჩება.

იმართება ბრძოლა არმაზის გარშემო. არმაზის წინააღმდეგ გაერთიანდენ ერთის მხრით ქრისტიანები და მეორეს მხრით—ძველი ქართული რელიგიის—კერპთაყვანიმცემლობის მიმდევარნი. არმაზი სძლიეს, დაამსხვრიეს. ბრძოლაში სასიკვდილოთ დაიჭრა ამზაილი. ხვარამზემაც,—ამ ამბავის მნახველმა—თავი მოიკლა. ასეთია რომანის სიუჟეტი. აქედან გამომდინარეობს რომანის თემაც: ქართული სული ბუნებით პანთეისტურია. მისთვის ერთნაირად მიუღებელია, როგორც არმაზი, ისე ქრისტეც.

კომპოზიციის მხრით რომანი უნაკლოა. კოლორი დროის (Couleur historique) და ადგილის (Couleur locale),—რაც ახასიათებს ისტორიულ რომანს,—შედარებით დაკულია. კარგია შემოდგომის აწერა (გვ. 110).

ამ რომანს აქვს ერთი დიდი ნაკლი. ეს შეეხება მის ფორმალურ მხარეს, უფრო კი—სტილს. ბარნოვს აქვს თავისებური სინტაქსისი, რომელიც ხშირად არ ეთანხმება ქართული პროზაული ენის კეთილხმოვანებას. ამის მიზეზი ჩვენის აზრით, არის ის, რომ ბარნოვი პროზის წინადადებას აშენებს

ლექსის მეტრით. ეს კი—დაუშვებელია. ფორმალურად, განსხვავება პროზისა და პოეზიის შორის სწორედ მეტრშია. ამ იმრით პროზის ენა უნდა განსხვავდებოდეს პოეზიი აგან, პროზა—უბრალოთ, სადათ თქმაა.

ამას გარდა, უნდა აქვეს ეს შეშორებული თავიდან არქაიზმებიც (დავანებული, ჴლვენი, დარანი, გრკალი და სხვა).

ვასო გორგაძე.

კ. მაყაშვილი. „ეშმაკი საქართველოში“. (სატირა) 175 გვ. სახელგამ. ტფილისი.—1926 წ. ტ.—1500. ფასი 1 მ.

სატირა „ეშმაკი საქართველოში“ შესდგება 9 თავისგან. მისი საგანია—რევოლიუციის წინა ხანების—ქართული ყოფის უარყოფითი მხარეების გაკიცხვა.

აკტორი ელასტიური და ცოცხალი ლექსით გვიდგენს მაშინდელი საზოგადოების ყველა ნაკლ . სატირაში არ არის ცალკე ტიპების დასურათება. აქ წარმოდგენილია ქართული საზოგადოების ჯგუფები, კოლექტიური ნაწილები. ესენი არიან—მაშინდელ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების მეთაურები: თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ინტელიგენცია, რომლების „ფუქსავატობა, შეუგნებლობა და ჭკუამოკლეობა“ მეტად უშლიდა ხელს საქართველოს სინამდვილეში ახალი, ცხოველმყოფელი იდეების გაფურჩქვნას.

ზანდარი,—რომელსაც ბელზებელი გზავნის საქართველოში „ქართველთა აზრის გასაქ ნის“ გასაცნობათ,--დაბრუნებისას, მასზე დაკისრებულ მისსიის შესრულების შემდეგ,—მოახსენებს ბელზებელს: „საქართველოში ბევრ ძვალ-ხორცს ნახავ, სულს, ძლიერს სულს კი ვერსად შეხვდებიო“. და მართლაც, როგორი იყვნენ მაშინდელი თავად-აზნაურები? სრული დეგენერატები. ლოთობა, გარყ ნილობა, ბანქოს თამაში აი, რა ახასიათებდა მათ. ასევე იყო სამღვდელოება და ინტელიგენციაც. ინტელიგენცია თავს ირთობდა უიმედო ლაყბობით, ტრაბახით, „ცრუ პატრიოტიზმით“:

„ჩვენს ბედს დავკივი ვით მიკიოტი,
ხელს ვერ გავანძრევ მე იდიოტი,
ცოდნა არა მაქვს, არც ჭკვის
იოტი,
სამაგიეროდ ვარ პატრიოტი“.

— ამბობს სატირაში ინტელიგენციის წარმომადგენელი. (გვ. 130). მუშები და გლეხები სატირაში არ არიან გამოყვანილი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ხელ-ფეხ შეკრული სამი მუშის და გლეხის სცენაზე შემოყვანის: (144 გვ.) ეს ბუნებრივიცაა. როგორც სამართლიანად შენიშნავს თვით ავტორი, მუშა და გლეხს რა უნდა ქონებოდა გასაკიცხი მაშინ, როცა ისინი ადამიანებათ არ იყვნენ მიჩნეული და წარმოადგენდენ უუფლებო ადამიანთა გროვას, წარჩინებულ კლასების საექსპლოატაციო საგანს.

ეშმაკის მოციქულმა ზანდარმა სრულებით „უსისხლოთ“ დაუპყრო საქართველო ბელზებელს. მაგრამ, პოეტის აზოით, მშრომელ ხალხს არ სძინავდა. მისი სილის სიღრმეში დაიბადა ახალი ძალა, რომელმაც, ბოლოს, სასიკვდილო მახვილი ჩასცა ყველა ამ ბნელეთის მოციქულებს.

„ჰო, იხარხარეთ, იმხიარულეთ!
ვაი, რომ ეს დრო მართლაც
თქვენია.
ვერ იბატონებთ ხოლო ხანგრ-
ძლივად,—
იღვიძებს ხალხის მძლავრი გე-
ნია.
ხალხის, მშრომელი ხალხის სიღრ-
მეში,—
რასაც ვერ ხედავს თქვენგან
ვერც ეთი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

იფარვის მთათა შემძრავი ძალა
ჯერ ნორჩი, მაგრამ უძლეველი
ღმერთი“.

პოეტი დარწმუნებულია, რომ „ამაყ ღმერთების ურჩი ქედები მონათ წინაშე დაიხრებიან“. ეს რწმენა არის ამავე დროს ავტორის იდეალი, რომლის გამო ასე სასტიკად ამათრახებს პოეტი მუქთახორა საზოგადოების „ბრწყინვალე“ წარმომადგენლებს.

ცნობილია, რომ თავის არსებით სატირა უმთავრესად პუბლიცისტურია. ამიტომ არც გასაკვირია თუ იგი ჩქარა ბერდება. ბევრი რამ, სატირა „ეშმაკი საქართველოში“ თანამედროვე მკითხველისთვის და უფრო, კი მომავალი თაობისთვის,—უკვე ანაქრონიზმს წარმოადგენს.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ამ სატირის მნიშვნელობა მაინც დიდია. იგი თავის დროზე მეტად გაბედული სიტყვა იყო. წიგნი სუფთად არის გამოშვებული და შედარებით იაფიცაა.

თ.

გ. გროსსი: „ხელოვნება განსაცდელშია“. თარგ. **ბენო გორდეზიანისა.** საქ. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი. 1926 წ.

გერმანულ სახვითი ხელოვნებამ ომისა და რევოლიუციების ხანაში ორი უდიდესი ფიგურა შეეძინა: გეორგ გროსსი და პაულ კლეე—„მაგრამ პაულ კლეე დარჩა, და არ შეეძლო არ დარჩენილიყო „წმინდა ადგილობრივ“ ტიპიურ გერმანულ მოვლენათ“ (ა. ეფროსსი), იმ დროს, როდესაც გეორგ გროსსი გაიზარდა ევროპიულის მასშტაბით. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გროსსი იპყრობს ყურადღებას, არა როგორც დიდი შემოქმედი-ხელოვანი, არამედ როგორც შეუდარებელი კარიკატურისტი და ცინიკი თანამედროვე ბურჟუაზიული წეს-წყობის.

გ. გროსსი—გერმანელი კომუნისტია ის არის ერთი უდიდესი წარმომადგენელი თანამედროვე გრაფიკის. თავის შემოქმედებაში ის განსაკუთრებული სიმახვილით აშიშვლებს გერმანულ ბურჟუაზიის სულის კვეთებასა და განცდებს და ციანიკურ ფორმულებში ათავსებს თანამედროვე ბურჟუაზიულ გერმანიის ყოფა-ცხოვრებას.

გროსსი არ არის გატაცებული ფორმალური ძიებით. თავისი ფენომენალური ნიჭი მან შეაქსოვა პოლიტიკას და მით თავისი შემოქმედება წარმოადგინა, როგორც პოლიტიკური პამფლეტი თანამედროვე გერმანიის მახინჯი სინამდვილის შესახებ.

თავის წიგნში „ხელოვნება განსაცდელშია“, გროსსი იძლევა სურათს იმ საშინელ წინააღმდეგობების, რომელშიც გაიხლართა თანამედროვე ხელოვნება.

„არც ერთი ეპოქა—სწერს გროსსი—ისე მტრულათ არ იყო განწყობილი ხელოვნებისადმი, როგორც თანამედროვე“. ხელოვნების დაცემა დაიწყო მაშინ, როცა გაჩნდა ფოტოგრაფია. გროსსი ფოტოგრაფიას უკავშირებს ხელოვნების დაცემას იმისათვის, რომ ის საშუალო ადამიანის ესთეტიურ მოთხოვნილებას ხედავს სურათში, რასაც მშვენიერათ აკმაყოფილებს ფოტოგრაფია. მაგრამ მასსებს რომანტიზმით გატაცებაც უყვართ, ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი მხატვრულ შემოქმედებაში ეძებენ რომანტიულ ელემენტებსაც. კინოს აღმოჩენით მასების ეს მოთხოვნილებაც დაკმაყოფილდა. ამ რიგად: კინომ სძლია ხელოვნებას, „ვერავითარი **რემბრანდტი**, ვერავითარი დიურერი—სწერს გროსსი—ვერ შეუნახავს შთამომავლობას უბედურებით დამახინჯებულ ჰინდენბურგის სახეს. ვერავითარ მიქელ-ანჯელოს არ შეუძლია გამოსახოს Dempseu-ის კუნთები“ (გვ. 13-14). „ჩაპლინი სცემს რემბრანტს“—ასეთ მახვილს ფორმულაში მოაქცია გროსსმა ტრაგედია თანამედროვე ხელოვნების:

„ხელოვნების უდიდესი ამოცანა განბორციელებულია კინოში". მოძრაობისა და სინათლის პრობლემები, ურომლისოდაც გრაფიული ხელოვნება არარაობაა, იშვიათის საკვირველებით გადაჭრილია კინოში. მაშ რალა დარჩა ხელოვნებას? აქ იწყება გონებური ძიებანი; და პირველი პუნკტი, რომელზედაც შეჩერდენ ხელოვანნი ძიების პროცესში არის ადამიანის სული. აქ გაჩნდნენ ექსპრესიონისტები. ფაქტიურად სულის გამოსახვა—დავიდა თვითონ მხატვრის სულისკვეთების გამომჟღავნებამდე. „აქ იწყება დომხალი და გაუგებრობა. გაჩნდა 77 მხატვრული მიმართულება. ყოველი მათგანი ამტკიცებს, რომ, ის ხატავს **ნამდვილ და ჭეშმარიტ** სულს". (გვ. 15). „მაგრამ გამოირკვა, რომ სული სრულიად გაურკვეველი სახეა. აბიტომაც ზოგი მათგანი გაიტაცა სხვა პრობლემებმა. ეს პრობლემებია: ერთ დროულობა, მოძრაობა და რიტმი. მაგრამ გროსსის აზრით, უნაყოფო იდეალიზმია ერთდროულობისა და მოძრაობის ერთ ტილოზე მოთავსების ცდა. აქ ჩაესახა ნიადაგი სხვა მიმართულებას. დაიწყო კონსტრუქცია. დინამიკა თავის უშუალო გამოხატულებას ჰპოულობს მშრალ ინჟინერულ ხატვაში. გაჩნდა კონსტრუქტივიზმი. „თავის ლოლიკურ განვითარებაში კონსტრუქტივიზმი ჰკლავს ხელოვნებას იმ ფორმით, რა ფორმაშიაც ის არსებობს დღეს—სწერს გროსსი (გვ. 17) ხელოვნებას გროსსის აზრით ორი ამოცანა აქვს: წარმოებითი და იდეოლოგიური. წარმოებითი ამოცანა მდგომარეობს ყოფა-ცხოვრების შელამაზებაში, იდეოლოგიური—ადამიანის განცდათა და გრძნობათა სისტემატიზაციაში. ერთიც და მეორეც უნდა ემსახურებოდეს მუშათა რევოლიუციონურ ბრძოლას, რადგანაც ხელოვნება აგიტაცია და სამსახურია.

გროსსი ხაზს უსვამს ხელოვნების კლასიურობას, და ხელოვნების დანიშნულებას ის ხედავს აგიტაციაში, ვინაიდან, „მხატვარი შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ყოველთვის იყო აგიტატორი".

ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს იმას, ვინც ჰქმნის ყოველგვარ სოციალურ და კულტურულ ღირებულებათ, მუშათა კლასს. „ნაწილი მხატვრებისა—სწერს გროსსი—უნდა წავიდეს ინდუსტრიაში, ხოლო იმათმა, ვინც დარჩება ხელოვნებაში, უნდა თავის შემოქმედებას მისცეს სოციალური გამართლება".

გროსსის წიგნი მეტათ საყურადღებოა. მის ქართულ თარგმანს დართული აქვს ამხ. შეარა დუდუჩავას წინასიტყვაობა. ეს წიგნი განზრახულია მშრომელ ინტელიგენტ და მუშა მკითხველზე.

რედაქტორი—მ. ქახიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა.

საქართველო.

		გვერ.
1.	**კონ. ლორთქიფანიძე**—ბარათი ნოე ჩხიკვაძეს	5
2.	**ვასო გორგაძე**—ცა ტაშისკარის	6
3.	**ალიო მაშაშვილი**—მე და ბარათაშვილი	7
4.	**იოსებ ტატიშვილი**—დედაკაცის ბედი.	15
5.	**მიხეილ მრევლიშვილი**—ინონ	34
6.	**ლევ. მეტრეველი**—დარღვეული მიწა	68

აღმოსავლეთი.

7.	**გუზიიდე ხაბრი**—მუნეევერ	143

კრიტიკა, მხატვრობა და პუბლიცისტიკა.

8.	**მიხ. ზანდუკელი**—გრიგოლ ორბელიანი და მისი შემოქმედება.	177
9.	**მოსე გოგიბერიძე**—ფრიდრიხ ენგელსი თანამედროვე ბუნებათ-მეცნიერების სამსჯაროს წინაშე	210
10.	**ბ. ნ—ია**—გერმანული დრამა.	230
11.	**პეტრე გელეიშვილი**—ჩვენი ახლო წარსულიდან	240

ბიბლიოგრაფია.

12.	**ვ. ი—ლი**—სოფრომ მგალობლიშვილი: „რჩეული მოთხრობები".	267
13.	**ვასო გორგაძე**—ვ. ბარნოვი: „არმაზის მსხვრევა"	268
14.	**თ.—კ.** მაყაშვილი: ეშმაკი საქართველოში"	269
15.	**რ.**—გროსსი: „ხელოვნება განსაცდელშია"	270

DEVLET KITAPHANASI